ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

10

1987



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 63-ე | № 10 | ოქტომბერი, 1987 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი

### 150 — ილია ჭავჭავაძე — 150


ილია ჭავჭავაძე — ყვარლის მთებს. ლექსი . . . 3
თამაზ ჭილაძე — წინასწარმეტყველი . . . 5
ილია ჭავჭავაძე — ბუთნის დედა. ლექსი . . . 21
გრიგოლ აბაშიძე — დიდი გაკვეთილი . . . 32
ილია ჭავჭავაძე — ლექსი . . . 35
ნიკოლოზ ტიხონოვი — დიდი მწერალი-პატრიოტი . . . 37
ილია ჭავჭავაძე — ქართვლის დედას. ლექსი . . . 42
ვახტანგ ჭელიძე — წინაპართა აჩრდილები . . . 43
ილია ჭავჭავაძე — ლექსები . . . 50
რევაზ ჯაფარიძე — ილია!.. ილია!.. ილია!.. . . . 51
ილია ჭავჭავაძე — ლექსები . . . 59
თამაზ ბიბილური — დიდგუნებოვანი . . . 60
ილია ჭავჭავაძე — ლექსები . . . 66
ნუგზარ შატაიძე — ერის თანმდევი სული . . . 67
ილია ჭავჭავაძე — ლექსები . . . 70
ჯარჯი ფხოველი — „აზრი ქვეყნის ხსნისა" . . . 72
ილია ჭავჭავაძე — პასუხის პასუხი. ლექსი . . . 74
გივი ალხაზიშვილი — მარად თანამედროვე . . . 78
ილია ჭავჭავაძე — ლექსები . . . 80
ბათუ დანელია — მარადიული მოძღვარი . . . 82
ილია ჭავჭავაძე — კითხვა-პასუხი. ლექსი . . . 85
ლუიჯი მაგაროტო — „მზერის" პოეტიკა ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილში" . . . 87
ილია ჭავჭავაძე — აჩრდილი (ორი თავი პოემიდან) . . . 92
ოთენგიზ გოგოლაძე — გზები. დოკუმენტური მოთხრობა . . . 94


(იხ. მეორე გვერდი)

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 70 – დიდი ოქტომბერი – 70

მარლენ კორალოვი — გუდაუთა — 1. ვეტერანები. (გაგრძელება) . . . 111
გიორგი მარგველაშვილი — გალაკტიონი და ბლოკი . . . . . 127

## კრიტიკა, პუბლიცისტიკა

თეიმურაზ მაღლაფერიძე — არჩილ ჯორჯაძე . . . . . . . 139
იოსებ უთურაშვილი — XIX საუკუნის 70-იანი წლების ქართული დემოკრატიული პუბლიცისტიკა და გ. მუხრანბატონის წიგნაკი . . 155
გრიგოლ რობაქიძე — წერილები. მინაწერი—თამაზ ჩხენკელი. როსტომ ჩხეიძე . 164

---

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

## ყვარლის მთებს

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა;
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეულლებული!
მახსოვს, ყრმა ვიყავ, ძლივს მოსული გონს და ცნობასა,
რომ სიდიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ჟრჟოლასა...
იგი არ იყო შიშის ჟრჟოლა, შიშის კანკალი,
იგი არ იყო ძვრა გულისა მფრთხალი და მხდალი.
მე ჩრთოლით ვსჭვრეტდი ლაჟვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს
და შევნატრიდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მხარეს;
სადაც ღრუბელნი ვერ ჰბედავდნენ შიშით სრბოლასა,
სადაც ისმენდით ამაყადა გრიგალთ ქროლასა,
სადაც წეროთა ქარავანი, ცას დალუპული,
თქვენ თავთან იყო თითქმის ძლივ-ძლივ გასწორებული, —
იქ მე ვნატრობდი, ყმაწვილ ყრმობის სიმარტივითა,
ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრიგალივითა,
ვნატრობდი ხოლმე, რომ ვეხვიო სუბუქსა ქარსა,
ან თავისუფალ არწივისა ძლიერსა ფრთასა,
რომ ალმოვფრინდე და შევეხო თქვენს ამაყ თავსა.

როცა ჰლმუოდნენ ხევში მძვიფრნი სასტიკნი ქარნი,
ვითარ მრისხანე დაჭრილ ლომთა საშიშნი ხმანი,
ვითა ფოთოლი — ისე ვთრთოდი, ვუგდებდი რა ყურს,
იმ ხმებში ვგრძნობდი მე რაღაცას ნაცნობს, მშობლიურს.
თუ მაშინ ყრმისთვის უცხო იყო თავმოწონება,
აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი,
გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართვლად გაზრდილი,
როს ყმაწვილური მწუხარება ჩემს ყმაწვილურს გულს
სჩაგრავდა ხოლმე, თქვენ თვალ-წინ ვღვრიდი ჩემ ცრემლთ ნაკადულს,
თქვენ შეგჩიოდით, შეგტიროდით, თუმც კი იმ ჩემს ცრემლს,
როგორცა ეხლა, ისე მაშინ არ სცემდით ნუგეშს..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ეს აჩრდილნი საოცნებელთ წარსულთა წამთა
ჩემს სიკვდილამდე მემარხება გულშია ღრმათა!..

რა-რიგ მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ ყრმობის,
და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთის-სოფლის,
მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა,
და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელადა?!
ყოვლი ნაბიჯი ჩემის ცხენის თქვენთან მაშორებს,
ყოველი წუთი გკარგავს თქვენა და მეც მაობლებს..
აგერ თქვენც ჰქრებით თან-და-თანა... თქვენსა მწვერვალსა
ძლივს ვარჩევ... წუთიც!.. მხოლოდღა ვსჭვრეტ ციაგსა ცასა.
ამაოდ ვებრძვი მანძილსა და ჰაერის სისქეს
და მოუსვენრად ვატანტალებ მწუხარს თვალსა ჩემს!..
თქვენნი მწვერვალნი აღარ სჩანან და მშვენივრად ცაა
აღარ უმკობენ ერთნაირსა ციაგს კამარას!..

მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...
უცხოეთიდამ კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა!
კვლავ გაგილიმებთ შორ ქვეყნიდან თქვენ ჩემი სული
და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქვასა გული.

1857 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჭილაძე

# წინასწარმეტყველი

ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება, ლექსი, მოთხრობა თუ პუბლიცისტური წერილი, ლოგიკური გაგრძელებაა, უფრო სწორად, დასასრულია, ფინალური აკორდია იმ ფარული, შინაგანი მელოდია-ფიქრისა, რომელიც პოეტის არსების წიაღში ბრუნავს, ცოცხლობს, მოქმედებს, ანდა ფიქრის ის ნაწილია, რომელიც სხვისთვის გასამხელად გაუმეტებია პოეტს, გაუმეტებია თუ უგრძვნია მისი ხმამაღლა თქმის აუცილებლობა.

სიტყვა — აუცილებლობა ძალიან უხდება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, რამდენადაც თვითეული მისი შედევრი, ჩვენს მიერ ბავშვობიდან დედის რძესთან ერთად შეთვისებული („ძუძუმძლეველი დედა"), ისეთივე აუცილებლობად მიგვაჩნია, როგორც სიცოცხლის ყოველნაირი გამოვლენა ჩვენს გარშემო, ჩვენს ცნობიერებაში ათასნაირად არეკლილი, გადასხვაფერებული თუ პირდაპირ, უცვლელი სახით გამეორებული სინამდვილე და ეს განცდა ისეთი ბუნებრივია, მე ვიტყოდი, ისეთი ჩვეულებრივია, როგორც განცდა საკუთარი არსებობისა, ყოველდღიური ყოფისა, ურთიერთობებისა, მოკლედ, ყველაფრისა, რასაც ადამიანი ცხოვრებას ეძახის.

ილია ჭავჭავაძის ყველა სტრიქონი იმდენად ძვირფასია ჩვენთვის, რომ ხშირად არც კი ვუფიქრდებით ჯადოსნური უბრალოებისა თუ ასევე ჯადოსნური ზემოქმედების იდუმალ კანონებს, არამარტო იმიტომ, რომ ამ კანონების ამოხსნას, ინტუიციის წყალობით, სამართლიანად შეუძლებლად ვთვლით, არამედ იმიტომაც, რომ თითქოს არც იყოს საჭირო, ასე გვეჩვენება, ანდა ჩვენს უმწეობას ასე ვნიღბავთ, ასე ვამართლებთ — გარკვევა იმისა, რასაც ხალხი „ღვთაებრივს" ეძახის, მართლაც, მისი გასაოცარი, თუ შეიძლება ასე ითქვას — მშობლიური უბრალოების, მშობლიური სინათლის, მშობლიური ინტიმურობის გამო, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვთქვათ, რომ პოეტმა გვაჩუქა სულიერი სამშობლო, ყველაზე დიდებული რამ, რაც კი პოეტს შეუძლია მოგვცეს და რომლის რაობის გარკვევისთვისაც შეიძლებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები გაგვეხსენებინა: „სად სულსა სული თვისად მიაჩნის და გულსა გულის პასუხის ესმის"...

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან ასორმოცდაათი წელი გავიდა. ეს საკმარისი დროა, პოეტს უკვდავი რომ უწოდო, ანდა მისი წიგნი დავიწყების აბლაბუდებში გახვეულ თაროზე სამუდამოდ შემოდო, სხვა უამრავ და უამრავ წიგნს შორის, რომელთა ავტორთა სახელებიც ერთდროს საქვეყნოდ ქუხდნენ და ბრწყინავდნენ.

მწერლის გარდაცვალების შემდეგ

იწყება მისი სახელის სიცოცხლე (კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, ამბობდა ილია ჭავჭავაძე — „ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლი!“), სახელის აქტიური ქმედება, აქტიური ბრძოლა, როგორც თვითდამკვიდრებისათვის, ასევე სხვათა თვალის ასახელად, უფრო სწორად — ჭეშმარიტების დასადგენად.

ადამიანი რასაც კი აშენებს, მათ შორის ყველაფერზე არამყარი მისი საკუთარი ცხოვრებაა. ეს ბევრმა არ იცის, ძნელია ამის დაჯერება. სამყაროს, გარემოს, სინამდვილის რეალური აღქმა და ასევე რეალური შეფასება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ამიტომაცაა, რომ მათი ფიქრი და სულისკვეთება გამუდმებით მომავალს ეტრფის, თავიანთი სასიცოცხლო დრო მომავალთა აქვთ გაპირობებული.

ილია ჭავჭავაძე, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ არჩეული გზის ერთგული მიმდევარი იყო — სხვათაშორის, ამ ერთგულებითაც კი უკვე წარმოადგენდა მაგალითს მრავალი და მრავალი სხვა საზოგადო მოღვაწისათვის, რომლებიც არც თუ ისე იშვიათად იცვლიდნენ მრწამსსა და პოზიციას, უკიდურესი დემოკრატობიდან უკიდურესი რეაქციონერობის ჭაობში ეფლობოდნენ — თავის სავალ გზას გონების თვალით თავიდან ბოლომდე წვდებოდა. დღემდე მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთ საკვირველებად რჩება ოცდაერთი წლის ჭაბუკის მიერ დანახული და შეგრძნობილი საკუთარი სიცოცხლის აღსასრული...

თითქოს შემზარავი სიცხადით დაინახა საკუთარი სიკვდილი, დაინახა მკვლელთა სახეები და აი ასეთი განაჩენი გამოუტანა მათ: „გთხოვდე: „შეუნდე, — არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

ნიჭი, ალბათ, სამყაროს, ბუნების, ყოფის გამძაფრებული აღქმის გამო, ადამიანს ნათელმხილველის უნარითაც აჯილდოვებს...

1907 წლის 30 აგვისტოს (ძველი სტილით) მართლაც აცხადდა ეს საშინელი წინასწარი ხილვა პოეტისა — საგურამოს გზაზე, წიწამურთან ჯოჯოხეთის სიბნელიდან გამოწვდილმა ხელმა მოკლა ილია ჭავჭავაძე — წინასწარმეტყველი ქართველი ერისა...

და იმ წამსვე, როგორც კი ტყვიამ პოეტის მკერდი შეანგრია, ადამიანთა თვალწინ კიდევ ერთხელ გათამაშდა ყველაზე ფანტასტიკური, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე ადამიანური აქტი, რაც სიცოცხლის უკვდავებად გარდაქმნას გულისხმობს.

თუკი დღეს, რასაკვირველია, გადარჩენილია იმ ტრაგედიის მომსწრე, პოეტის რომელიმე მოწინააღმდეგე (არ მინდა ვთქვა, მტერი-მეთქი, რომელიც უამრავი ჰყავდა!), თანაც ადვილი დასაჯერებელია, ასეთი მოწმე დღეს ცოცხალი რომ იყოს, რადგან ბოროტება, როგორც ცნობილია, მეტად დღეგრძელი რამ გახლავთ, მას უსათუოდ შეაძრწუნებს ამ მეტამორფოზის ღვთაებრივი აზრი და იმის გაფიქრებაც, რომ მოისპო მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი სიცოცხლისა, ამქვეყნიური ბიოლოგიური არსებობა, მაგრამ გადარჩა ცხოვრება, რომელიც დატენილი და დამუხტული ყოფილა მომავლით, მომავლის ხელყოფა კი ამქვეყნად არავითარ ძალას არ შეუძლია. გადარჩა სიცოცხლის შემოქმედებითი აზრი, სიცოცხლის დიალექტიკური გზნება...

რადგან სიცოცხლესა და უკვდავებას შორის სიკვდილის შემზარავი აჩრდილი დგას, რადგან უკვდავება მაინც სიკვდილის ერთერთი სახეობაა და არა სიცოცხლისა, რამდენადაც მწვერვალი უსათუოდ რაღაცის დასასრულიცაა, ამიტომაც ბევრს, მათ შორის უმეტესად ისეთს, ვისგანაც ამას არ ელოდები, არ შეუძლია სიცოცხლე, დღევანდელი კეთილდღეობა, ფიზიკური არსებობა უკვდავებაზე გაცვალოს, გაურკვეველი, ბუნდოვანი მომავლის იმედით, რომლის კონტურებიც მხოლოდ და მხოლოდ ოცნებაში თუ შეიძლება დალანდოს ადამიანმა და რომელიც არავითარ გარანტიას არ იძლევა, რომ შენი სახელი უსათუოდ

ერის რჩეულთა პანთეონში მოხვდება, სხვა სახელთა გვერდით მარადისობის ფილაზე ამოკვეთილი. ასეთი მნიშვნელოვანი, მაგრამ სახიფათო ნაბიჯის გადადგმა არც შეიძლება ყველას მოეთხოვოს. შევეცადოთ ვიყოთ გამგებნი და მიმტევებელნი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ზეადამიანური ნაბიჯის გადასადგმელად არც სიმტკიცე და სიმამაცეა საკმარისი, არც სხვებისთვის თავგანწირვის კეთილშობილური განზრახვა. ამისათვის საჭიროა აბსოლუტური რწმენა მომავლისა, ფიქრითა და სწავლით გაკერპებული ნიჭის საერთო საკაცობრიო სამსახურში ჩაყენება და წინასწარმეტყველის ტანჯვის ატანის უნარი.

ოცდაერთი წლის ილია ჭავჭავაძე თარგმნის პუშკინის (რომელსაც, გოგოლთან და ლერმონტოვთან ერთად, „რუსის ლიტერატურის უპირველეს ვარსკვლავს“ უწოდებს!) „წინასწარმეტყველს“ და ამ ფაქტიდანაც აშკარა ხდება, რომ ჭაბუკ პოეტს თავისი საშოქმედო პროგრამა უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა. საერთოდ, ის თავიდანვე ჩამოყალიბებულ შემოქმედად მოევლინა ქართულ სინამდვილეს და ეს ცოტა საოცარიც კია, რადგან ოცი წლისამ უკვე იცოდა ის, რასაც ორმოცდაათი თუ სამოცი წლისა ახორციელებდა.

არსებობს ერთი საინტერესო შტრიხი ამ ბუმბერაზი შემოქმედის ხასიათისა — მას, სხვებისგან განსხვავებით, სიჭაბუკის პერიოდი არ გაუვლია, რასაკვირველია, ადამიანის ცხოვრების ამ პერიოდის ტრადიციული გაგებით. აკი გულისტკივილით წამოცდა კიდეც: „ვაი მას, ვინცა ჭაბუკობას ჭაბუკ არ არი!“-ო და ესეც მისი ნათქვამია: „ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევ, სიტკბონი შენი?“ მან არ იცოდა გემო ტკბილი სიჭაბუკისა, არც „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოებ̌ა“ დამსხვრევია ბარათაშვილივით, რადგან ყმაწვილს უკვე ფართოდ ჰქონდა გახელილი „ყოვლისმხედველი თვალი“. ის ტკივილი, რომელმაც ბარათაშვილს სული დაუფლითა, სამწუხაროდ, არ განუცდია. სამწუხაროდ-მეთქი იმიტომ, რომ არ შეიძლება ამ შემთხვევაში არ დაეთანხმო ზოგიერთ კრიტიკოსს, რომ მის ლირიკას აკლია ის გულისშემძვრელი სევდა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ პირადი კატასტროფები იწვევს. თუმცა, განა ესეც ილია ჭავჭავაძის ნათქვამი არ არის: „სად მიგყავარ, მდინარევ, მოწყენილ სიცოცხლისავ?“ აი, ასე, მისივე ნებით ჰერმეტულად ჩაკეტილი საკუთარი ინტელექტის სამყაროდან ზოგჯერ ამოიწვერებოდა, ამოიკვნესებდა და მოულოდნელად ყველას გულს ერთბაშად შესძრავდა პოეტის ენაადგმული ფიქრი, უფრო ზუსტად — ცრემლი სულისა...

ილია ჭავჭავაძის მთელი ცხოვრება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს და კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს იმ აზრს, რომ სიჭაბუკე ასაკობრივი ცნება არ არის. ეს ცხოვრებისეული იდეაა, მდგომარეობაა მარადყამს სასწაულის მომლოდინე სულისა, რომელიც წარმართავს კიდეც ჩვენს ნებისყოფას ჭეშმარიტად ადამიანური ცხოვრების დასამკვიდრებლად.

შეიძლება აქვე ისიც ითქვას, რომ არც სიბრძნეა მხოლოდ და მხოლოდ სიჭარმაგისა თუ სიბერისათვის დამახასიათებელი, ისიც სრული ძალით ნიშანდობლივია სიჭაბუკისთვისაც. ამ შემთხვევაში, ალბათ ყველაზე კარგი მაგალითი იქნებოდა სიბრძნე ჭაბუკი ილია ჭავჭავაძისა და სიჭაბუკე მოხუცი აკაკი წერეთლისა: „თითქოს ჭაბუკი ვიყო მე ახლა და ვყოფილიყო მოხუცი წინათ“. არც ეს — ილიას ულის ცალი პოეტი — ჰყოლია ბედს განებივრებული, ისიც ბედმა, ილია ჭავჭავაძესავით, მხოლოდ წინასწარმეტყველის სიკერპითა და სილატაკით დაასაჩუქრა.

მე-18-ე საუკუნის პოეტმა არჩილმა თქვა: „სჯობს სიგლახაკე სიმართლით, ცრუს დიდსა გამდიდრებასა“-ო. „სიმართლით სიგლახაკე“ კი წინასწარმეტყველთა ხვედრია სწორედ, იმ მოხეტიალე ტანჯულთა ხვედრი, რომელ-

თაგან ერთს, მოყაყანე და ქვისმსროლელ ბრბოში წვალებით მიმავალს ვხედავთ ლერმონტოვის ამავე სახელწოდების და ასევე ილია ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნ ლექსში.

ათასრვაას ორმოცდათვრამეტი წელი — ასე მდიდარი ლექსებით — მეტად ნიშანდობლივი და საინტერესოა ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში. ეს არის სამოქმედო პროგრამის ჩამოყალიბებისა და საკუთარი მოვალეობის — „ვალის" გარკვევის წელი. იწერება მისი ცნობილი ლოცვა: „მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა! მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა: არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა, არ მინდა, ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა... არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული, შენგან ნამცნევის სიყვარულით აღმენთოს გული, რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან, გთხოვდე: „შეუნდე, — არ იციან, ღმერთო, რას იქმან"!

დავიმახსოვროთ ეს ფრაზა: „არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული"! — ის მალე მთელი ძალით გაიშლება და გადაიგუგუნებს გენიალური „განდეგილის" ფურცლებზე.

იმავე წელს იწერება მეორე ლოცვა: „ოდეს დემონი ურწმუნოების, უკუთქმისა და მაცდურობის საწამლავით თვის სავსე თასს მაცდურს წინ დაუდგამდეს ჩემს სულსა უძლურს, — ნუ მანდობ, ღმერთო, ბედისა ტრიალს, — ნუ დამაწაფებ დემონის ფიალს, და უკეთუ არს შესაძლებელი, მე განმარიდენ იგი სასმელი. მაგრამ თუ, ღმერთო, შენს ღვთაებას სურს, რათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს სულს, განჰქრენ შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი და იყავნ ნება, უფალო, შენი!"

გამოცდა!

„განდეგილის" სამყაროში დატრიალებული დრამის, ჰექა-ქუხილის ექოთია სავსე ეს სიტყვა...

ხოლო ამ სტრიქონიდან: „...და უკეთუ არს შესაძლებელი, მე განმარიდენ იგი სასმელი..." გეთსამანიის ბაღში მარტოდ დარჩენილი, ძილგამკრთალი და, რაც მთავარია, [illegible]ალი ტანჯვის მცოდნე კაცის [illegible] ისმის...

„მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმავლდინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ".

იმავე 1858 წელს დაიწერება ლექსი, რომელიც ილია ჭავჭავაძის სიკვდილის შემდეგ, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს ჩააგონებს პოეტის საფლავის ძეგლის იდეას: „დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან, მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან, თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი; რომ ჩემს საფლავზედ დაყუდებულმან ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან, გულწრფელობითა და სიმართლითა, მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმი ხმითა: იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში! შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა; თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან — ჩრდილში ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა". მოქანდაკემ „საფლავზე დაყუდებული ქართველის" სახე უფრო დააკონკრეტა და ილია ჭავჭავაძის საფლავზე პოეტის სხვა ლექსიდან გამოხმობილი ქართვლის დედა წარმოაჩინა, როგორც მგლოვიარე საქართველოს სიმბოლო.

და ეს ლექსიც — „ქართვლის დედას" 1858 წელსაა დაწერილი...

წარმომიდგენია ის უცნაური წელიწადი პეტერბურგში („პეტერბურღი... ცივი, ქვით მოსიპული და უზარმაზარი" — წერს პოეტი ერთ-ერთ იმდროინდელ ბარათში) თავისი „ვალის" გრანდიოზულობით აღფრთოვანებული თუ მომავლის მოულოდნელი ხილვით გაოგნებული (ალბათ, ასე უფრო ლოგიკური იქნება!) პოეტი თავის ცხოვრებაზე ფიქრობს და ეს ფიქრი სრულიად მოულოდნელია და ძალიან განსხვავდება იმ ახალგაზრდა „საუკუნის შვილთა" ფიქრებისაგან, რომელიც ასე მომხიბვლელად, მე ვიტყოდი, თეატრალურად ამაღელვებლად გამოიყუ-

რება მე-19-ე საუკუნის რომანტიკოსების პრიზაში.

ეს ფიქრი ეკლიანია, ძლივსძლივობით, წვალებით გადადის გულის უფსკრულიდან გონების უსასრულობაში, გზა და გზა სისხლის ალისფერ კვალსა ტოვებს. ეს სისხლის პირველი წვეთებია პოეტის მიერ დაღვრილი თავის სავალ გზაზე. სისხლის ტბა, რომელშიაც ჩვენი სინდისი დიდხანს, ალბათ სამუდამოდ, იფართხალებს, მერე გაჩნდება, დიდი ხნის მერე, წიწამურთან, საგურამოს გზაზე... ჯერ ის მომხიბლავიც კია ხელოვნების ღვთაების საკურთხეველზე მიტანილი ვარდებივით, ჯერ მხოლოდ მცირედი საწევროა ყველა დროის წინასწარმეტყველთა რიგებში შესასვლელად („ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“, — ეს ხომ ბიბლიური წინასწარმეტყველისაგან ესტაფეტის მიღებაა!).

იმავე 1858 წელს აი კიდევ რას იტყვის: „ბევრი ვიტანჯე, ვიცი, რომ მელის ბევრი სხვა ტანჯვა მომავალშია... ყველას გავუძლებ: სატრფოს ტანჯვასაც, ჩემს საყვარელთა იმედთ დანთქმასაც, თვით სიყვარულის ფიცისა ღალატს, და თვით ჩემს ბედსაც, ამ უგრძნო ჯალათს. ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა, ბედთანა ბრძოლა ვით შემინებს?! ხოლო ჩემ თავის არაფრობისა არ ძალმიძს, ძმანო, ვერ რით გაძლება!“

რას გულისხმობს, რას წარმოადგენს მისთვის ეს ცნება: „თავის არაფრობა“? ნუთუ სტუდენტის ჩვეულებრივი ოცნებაა მომავალ უზრუნველ ცხოვრებაზე?

არა!

იქ, სადაც „ბედი ჯალათია“, პოეტის შესაფერი, ღირსეული ხვედრი ბედის წინააღმდეგ ამბოხებაა, ბედის წინააღმდეგ ბრძოლაა („და მომავლისთვის ბედთანა ბრძოლა“).

ცხოვრება ტანჯვაა, მაგრამ ტანჯვა „სრული სიცოცხლეა“.

იტყვის: „მისთვის მიყვარხარ, რომ მაძლევ ტანჯვას და იმ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესა!“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეც 1858 წელსაა დაწერილი და იმ საპროგრამო ლექსთა რიცხვს ეკუთვნის.

და აი, სწორედ ამ წელს განათდება მის შემოქმედებაში პირველად სიტყვა „მყოობადი“: „მას ნუღა ვსტირით, რაც დამარხულა, რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა, მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი, ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“ განათდება და მალე მისი შემოქმედების მამოძრავებელ, შეიძლება ითქვას, მთავარ შემოქმედებით იდეად იქცევა.

მაგრამ ესეც ხომ მისი ნათქვამია: „ერის დაცემა იწყება იქიდამ, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა“-ო!

ნუთუ „რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალების“ დავიწყება შესაძლებელია?!

საქმე ის გახლავთ, რომ, ილია ჭავჭავაძის აზრით, ისტორია არ ასახავს მხოლოდ წარსულ დროს, ისტორია აწმყოა და, თუ გნებავთ, მომავალიც!

ილია ჭავჭავაძე ცხოვრების პოეტი იყო, ცხოვრება კი გაცილებით მნიშვნელოვანია, მდიდარია, ვიდრე ობიექტურად არსებული სინამდვილე. ცხოვრება არის ადამიანის რეაქცია სინამდვილეზე, სიცოცხლეზე, ანუ ადამიანის დამოკიდებულება სინამდვილისადმი.

სინამდვილეს ერთი დრო აქვს — აწმყო, ცხოვრება კი განფენილია სამ დროში: წარსულსა, აწმყოსა და მომავალში.

დროის ცნებას, დროის კატეგორიას, დროთა ურთიერთკავშირს, ურთიერთმიმართებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. პოეტი გამუდმებით ცდილობს დაარღვიოს დროთა კლასიკური, ჰარმონიული თანმიმდევრობა, თუმცა ზერელე დაკვირვებით ეს არც კი შეიმჩნევა; უფრო მეტიც — თავის ერთერთ შესანიშნავ ლექსს ეპიგრაფად ლაიბნიცის ცნობილ სიტყვებსაც კი

დაურთავს: „აწმყო შობილი წარსული-საგან, არის მშობელი მომავლისა“...

გარეგნულად ნამდვილად ასეა, მაგრამ პოეტს თავისი საკუთარი დრო აქვს, რომლის მიხედვითაც, თუნდაც ისტორიული პოემა „დიმიტრი თავდადებული“ მომავლის ამსახველი ნაწარმოებია, შიგ მომავალი ამბავია მოთხრობილი, მომავალი ბრძოლის, მომავალი თავდადების ამბავი. ეს რომ უფრო ნათელი გახდეს, გავიხსენოთ ისიც, რომ ილია ჭავჭავაძე მომავლის ცნებას უწყვილებდა სამშობლოსათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას, რომ მომავალი მას ესახებოდა არა როგორც შვება, არამედ, როგორც ბრძოლა, რადგან ადამიანის ყველაზე დიდ შვებას, ადამიანის ყველაზე ნამდვილ თავისუფლებას პოეტი სწორედ ბრძოლაში ხედავდა. ეს აზრი აშკარადაა გამოკვეთილი, თუნდაც, მის დრამატულ პოემაში „ქართვლის დედა“, რომელიც თვით პოეტის მიერ წარმოდგენილია, როგორც „სცენა მომავლის ცხოვრებიდან“: „ხალხი აზვირთდა, ხალხი ადსდგა, ხალხი მოქმედებს!“ — აი, მომავლის სურათი, დიადი ხილვა პოეტისა, აი, ის, რასაც ელტვოდა ასეთი გზნებითა და თავგანწირვით. პოეტის აზრით, ეს არის მომავლის ყველაზე საუკეთესო ვარიანტი, ყველა შესაძლებელ ვარიანტს შორის — ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის!

„კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ფიქრობს, — და ეს ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება!.. დიდია ხალხი, როს ეგ გრძნობა წინ წარუძღვება!“

ილია ჭავჭავაძე მომავლის მშენებელი პოეტია: „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი!“—ეს ხომ იგივეა, რაც „მომავლისთვის ბედთანა ბრძოლა!“ ბედისგან განსაზღვრული, გარდუვალი მომავალი კი არა, რომელიც აწმყოს ადგილს ბუნებრივად, მემკვიდრეობით დაიჭერს, არამედ თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით, საკუთარი ხელით, საკუთარი ნებისყოფით შექმნილი მყობადი!..

მომავლის თემამ თითქოს თავისთავად წამოჭრა თავისუფ[illegible]-ლემა, რომელსაც მალე მ[illegible]-ბაც უფრო გააღრმავებს და ახალი შინაარსითა და მნიშვნელობით აავსებს. შეიკვრება ადამიანის საოცნებო სამი დიდებული რამ: მომავალი, თავისუფლება და მამული. შეიკვრება ერთ აზრად, გამთლიანდება, გაძლიერდება, დაიწყებს ნათებას იქ, სადაც მისი ადგილი თითქოს აღარ იყო, სადაც თითქოს აღარც კი ელოდნენ ასეთ სასწაულს. ეს ხომ იგივეა, რომ საგნის გამოკვეთილ სიბნელეში უეცრად ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი აბდღვრიალდეს. მაგრამ ილია ჭავჭავაძის „ვარსკვლავი“ ციდან მოწყვეტილი კი არა — მამულის თიხიდან იყო გამოძერწილი, შთაბერილი ჰქონდა თავისუფლების სული და მომავლისკენ იყო მიმართული.

თუ რას ნიშნავს, რა ძლიერია მამულის სიყვარული, ეს არა ერთხელ უჩვენებიათ და დაუმტკიცებიათ ადამიანებს თავიანთი სიცოცხლითა თუ სიკვდილით. პატრიოტიზმი მეტად რთული და სათუთი გრძნობაა, რომელიც ზოგჯერ უცნაურ, თითქოსდა წარმოუდგენელ სახეს იღებს ხოლმე...

ილია ჭავჭავაძე ჩვენი დიდი წინაპრების მიერ დამკვიდრებული და ჩვენთვის სავალდებულოდ ქცეული ტრადიციების გამგრძელებელია. ყოველი მწერალი ფასდება არა მარტო იმით, თუ რას უარყოფს, ან რას ამკვიდრებს ახალს, არამედ იმითაც, თუ რას აგრძელებს.

ჩვენი წინაპრები ქადაგებდნენ სათნოებას, სიყვარულსა და მეგობრობას, თავდავიწყებით უყვარდათ რა თავიანთი სამშობლო, დიდ პატივს სცემდნენ სხვა ხალხთა ასევე კეთილშობილურ გრძნობას.

არ შეიძლება ღირსეული იყოს ხალხი, რომელიც თავის კეთილდღეობასა თუ თავისუფლებას სხვა ხალხის უბედურებაზე აშენებს...

საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის გამონათქვამი მე-12-ე საუკუნის დიდი

პოლიტიკური მოღვაწისა და პოეტის მეფე დავით აღმაშენებლის შესახებ: „ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნების, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!“

ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მე-19-ე საუკუნის ცივილიზებულ სამყაროში მაგალითად და ჭკუის სასწავლებლად მოჩანს შუა საუკუნეების წყვდიადში მცხოვრები ბრძენი ადამიანის ქმედება! თუმცა, ორთქლმავლის კივილზე ჯერ კიდევ პირჯვარს იწერენ „კრეიცერის სონატასა“ თუ „ანა კარენინაში“. მეცხრამეტე საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში ჭეშმარიტად დიდი საუკუნეა, რომელიც გასაოცარი კულტურული ელვარებითა და ცივილიზაციის ფანტასტიკური მიღწევებით აღინიშნება. ეს არის ადამიანის ინტელექტის დიადი აღზევების საუკუნე, ვერდის, გლინკასა თუ ვაგნერის მუსიკის აკომპანიმენტით ხელოვნების არაჩვეულებრივ ნიმუშებს რომ ქმნიდა, როგორც ლიტერატურასა, ასევე ფერწერასა თუ არქიტექტურაში, ეს არის ხანა, როცა პოეტებს და მუსიკოსებს, მეცნიერებსა და მხატვრებს ერთმანეთისა ესმით, თითქოს ერთ, იდუმალ, საერთო ენაზე ლაპარაკობენ. პარიზის სცენაზე ჩავარდნილ ვაგნერის ოპერას ბოდლერი გამოექომაგება სტატიით. ემილ ზოლა იმპრესიონისტ მხატვრებს დაუჭერს მხარს. იტალიიდან ისმის დიდებული „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“, რომელსაც ქართველი ჭაბუკი პოეტის ნატვრა საოცრად მახლობელს ხდის სხვა ხალხებისათვისაც: „ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!“

და მაინც „საკვირველ მაგალითად“ რჩება დავით აღმაშენებლის ტოლერანტული დამოკიდებულება სხვა ხალხთა მიმართ...

პატრიოტიზმის ერთერთი „უცნაური“ სახეა ისიც, რომ მამულის უსაზღვროდ მოტრფიალე პოეტები ქება-დიდებისა და აღტაცების [illegible] წყევლა-კრულვით ავსებენ მას. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის: „ფუროხის ღირსი ხარ, შენ საქართველოვ“ და გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის სისხლიან ცრემლში არეული ირონია, სარკაზმი, ბრაზი, ჯავრი: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?! ყველა უნჯი, ყველა მუნჯი, გულჩვილი და ღმობიერი; თვალახმული, თავაკრული, პირს ლაგამი ზომიერი; ყველა ყრუი, ყველა ცრუი; ჰკვადამჯდარი, გულხმიერი; მცირე, დიდი, ყველა ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერი... მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი, არ რის მქონე, არ რის მცოდნე, უზრუნველი და მშიერი“.

აი, ასეთი მწარე სიმართლის თქმა, პირში ძრახვა, ქართული ლიტერატურის უძველესი ტრადიციაა, რომლის სათავესთანაც, სხვა მწერლებთან ერთად, დგას დიდი დავით გურამიშვილი —მე-18 საუკუნის ფრთოსანი მემატიანე. მართლაც, დავით გურამიშვილს ბედმა დააკისრა ყოფილიყო თავისი დროის მემატიანეცა და პოეტიც ერთსა და იმავე დროს. ეს უნიკალური შემოქმედი თავის გენიალურ პოეტურ ხილვებსა თუ მელოდიებს არაჩვეულებრივი თავისუფლებით, თუ შეიძლება ითქვას — ღვთაებრივი სილაღით — უწყვილებდა, უნათესავებდა, აახლოვებდა ცხოვრებისეულ მოვლენებთან. ფაქტი და პოეზია — თითქოსდა ურთიერთდაპირისპირებული ორი ფენომენი — „დავითიანის“ ფურცლებზე თავისუფლად გრძნობს თავს და მათი შერწყმა გულისშემძვრელი დრამატიზმით აღბეჭდილ ეპიკურსა თუ ლირიკულ შედევრებს წარმოქმნის. ვხედავთ ფაქტის პოეტურობას და პოეზიის სიზუსტეს...

ილია ჭავჭავაძის სიტყვით, დავით გურამიშვილის „დიდაქტიკური პოეზია პირს არ შეირცხვენს თუნდ ლუკრეცის, ვირგილის და ჰორაციოს დიდაქტიურ პოეზიას დაუყენოთ პირის-პირ

და რომლის სარწმუნოებრივი ლაღადება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმაღლემდეა ასული“...

თუ ჩვენც, მეთვრამეტე საუკუნის დიდი პოეტის დიადი მეტაფორების გავლენით, მხატვრულ შედარებას მივმართავთ — დავით გურამიშვილის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ მარადისობის ტრიალ მინდორში აღმართული მაღალი ძაბვის ბოძი, რომელიც წარსულის თვალჩაუწვდომი წიაღიდან მომავალში გადაისვრის, მომავალს გადასცემს დიდი ქართული პოეტური სიტყვის ელექტროენერგიას. არსებითად, მართლაც, იშვიათია პოეტი, რომელსაც ამოდენა მისია დაეკისრებოდეს ისევ თავისივე სიდიადისა და სიძლიერის გამო — ყოფილიყო წარსულის დიდ ტრადიციათა მცველი და იმდროისათვის სრულიად მოულოდნელი, მაგრამ აუცილებელი, ახალი ხმის, ახალი განწყობილების, ახალი პოეტური პოზიციის დამამკვიდრებელი.

დავით გურამიშვილი ის დიდი მოძღვარია, რომელმაც ქართველთა სულიერი ცხოვრების ცენტრში აღმართა მარადიული სტელა, ადამიანური არსებობისათვის აუცილებელი სამახსოვრო წარწერით: „...ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!“ რაც შემდგომში ჩვენი „თერგდალეულების“ სამოქმედო პროგრამის საფუძველი გახდა.

„მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბე რად? ვერას ვუქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად. მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად, ვინც არა ჰგავს კახაბესრა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“ — წერდა დავით გურამიშვილი და დიდი ხნის მერე, თითქოს ამ სიტყვების პირდაპირი ზეგავლენით, ილია ჭავჭავაძე იტყვის: „ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია! ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს — ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“

ასე იქცა ცხოვრებისეული სიმართლე ქართულ ლიტერატურაში ერთერთი ყველაზე მძლავრი მიმდინარეობის — „სიმართლისმთქმელთა“ პოეტურ იარაღად. პოეზიად გარდაქმნილი გადადუღებული სიმართლე აღმოჩნდა ყველაზე ქმედითი ძალა, რომელმაც მიაღწია რა სრულყოფას ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში, გადაიქცა თითქოს მატერიალურ ფენომენად.

სიმართლე დაუნდობელია, მაგრამ სიმართლე ჭეშმარიტი სიყვარულია! აი, ამ ზუსტ ფორმულამდე მიიყვანა მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებელთა მიერ დაწყებული ძალისხმევა ილია ჭავჭავაძემ.

დიდ პოეტთან ერთად, ჩვენს წინაშეა მრისხანე მსაჯულიც, რომელმაც ძალიან კარგად იცის საერთოდ ადამიანის ერთი ძველისძველი და დამღუპველი თვისება: საკუთარი ჭირის მალვა! ამიტომაა, ასეთი დაუნდობლობით რომ ამიშვლებს ჩვენს ნაკლს და მალვა-მალვაში დაჩირქებულ ჭრილობებს მალამოთი კი არა — ცეცხლით კურნავს. თითქოს დაშნით უჩიჩხინებს, ჩხვლეტს, აღვიძებს ჩვენს გულგრილობას, ბედოვლათობას, ინერტულობას, სულიერ სიზარმაცეს. სოროდან, ბუნაგიდან, ბუდიდან (რა შეიძლება ერქვას გულგრილობის თავშესაფარს?) გამოჰყავს გარეთ, როგორც მონადირეს — დათვი, რათა მერე თავისი ჯადოსნური, მართლაც, დაშნასავით მახვილი სიტყვით გარდაქმნას მოთენთილობა სიფხიზლედ, სიყრუე — მზადყოფნად სიცოცხლის დიადი ხმების მოსასმენად...

ზემოთ მეცხრამეტე საუკუნის ზოგიერთი, შეიძლება, ძალიან ზერელე, ნიშანი აღვნიშნე. რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენით იყო საინტერესო ეს საუკუნე, თუნდაც იმით, რომ იმ დროს ხდებოდა საკაცობრიო იდეალებისა და ეროვნული პრობლემების დაკავშირება, სოციალური და ეროვნული პრობლემების შერწყმა და გაერთიანება.

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ არ

შეიძლებოდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა იქამდე, სანამ სოციალურ თავისუფლებაზეც არ ვიფიქრებდით. „შრომის სუფევა“ — აი, რაზე ოცნებობდა ის: „ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალის ქროლას, ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას — და დაიმსხვრევა იგი ბორკილი, შემფერხებელი კაცთა ცხოვრების, და ახალ ნერგზედ ახლად შობილი ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების“. და როცა ეს მოხდება, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ის, რაც არის ნამდვილი ადამიანურობის არსის ყველაზე მკაფიო გამოვლენა, შეიძლება ითქვას, იდეალური მდგომარეობა ადამიანის სულისა, როცა „არც ვის ემონევი და არც იმონებ!“

მოთხრობა „გლახის ნაამბობი“, რომელიც არაჩვეულებრივი ძალით გამოხატავს ბატონყმური ურთიერთობის შემზარავ სურათს, იწყება ირმის მოკვლის სცენით, რომელიც არის სიმბოლური სახე იმ ძალადობისა, რომელსაც მწერალი ბუნების ჰარმონიის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად მიიჩნევს: „ბევრჯერ მინახავს ირემი დაფრთხალი ძაღლისაგან, ბევრჯერ მინახავს და ბევრჯერ გაუტაცნია ჩემი გონება მის თავისუფალს სილამაზესა. გადაუწყვია რა ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, მორბის გამაღლებული, ლამაზი და ამაყი, უკან მოჰყეფს ნაგეში ძაღლი. ძაღლს მიურბის საწყალი და ზედ კი შეეხლება ხოლმე კაცსა, რომელიც ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეუბრალებელია და დაუნდობელი. შორიდანვე ესმის ირმის ფეხის ცემა ყურმახვილ მონადირესა; ესმის და მისი მოსისხლე გული ღელდება მეტის მოუთმენლობისა გამო. აი, მოვიდა თოფის მანძილზედ, ფოთლებ და ბუჩქებ შუა გამოჩნდა მისი დალონებული, ნალვლიანი თავი. ძაღლი დაუახლოვდა, იშვირა ფეხი ირემმა და ისარივით გადმოეშო ბუჩქნარზედ. გგონია, აგიქცევს გზას და მიეცემა საყვარლის ტყის განსაცდელით სავსე თავისუფლებასა...

...მაგრამ თოფმა იგრიალა, და ირემი, აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლაღი, გაირთხო იმ ბალახებზედ, რომლის კალთაშიაც პირველად აახილა თვალი...

ისინი იყვნენ ამის აკვნად და ბოლოს საფლავადაც გადაექცნენ. უნდა ჰნახოთ ის ამაყი, თავისუფალი ნადირი, რარიგად უდრტვინველად და მშვიდად კვდება, მაგრამ მე ყოველთვის მის ცრემლმორეულ თვალებში ეს აღმომიკითხავს: ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოს და მშვიდსა, ამ ღვთის მიუწვდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ადგილი მეჭიროს?“

აქ, ამ პატარა „პოეტურ ეტიუდში“, რომელიც მხატვრულობის თვალსაზრისით, სხვათაშორის, იმავე ფუნქციას ასრულებს ამ მოთხრობისათვის, რასაც ზორბლით გასრესილი მინდვრის ბალახის — ბირკავას ამბავი „ჰაჯიმურატისთვის“, უკვე ყველაფერია ნათქვამი, ანუ ამ, ეპიკური მდინარების დინჯი რიტმიდან ამოსროლილ და მერე ლექსად გარდაქმნილსა და კრისტალიზირებულ ნაწყვეტში გადმოცემულია ნაწარმოების მთავარი მელოდია-განწყობილება, და, თუ გნებავთ, ავტორის პოზიციაც, ოღონდ, სრულიად განსხვავებული — პოეზიის ენით და, შეიძლება ამიტომაც, ერთგვარად უფრო განზოგადებული სახით წარმოგვიდგენს „განსაცდელით სავსე თავისუფლებისა“ და ბუნების მიერ ბოძებული სიცოცხლის ხელყოფის პრობლემას, ვიდრე სიუჟეტის კალაპოტში მოქცეული, ძირითადი, ამ „პოეტური ეტიუდის“ წარმომშობი პროზაული ამბავი... უფრო მეტიც შეიძლება ითქვას — აქ, მართალია ძალიან ყრუდ, მაგრამ მაინც აშკარად ისმის ერთგვარი გადაძახილი ილიას სხვა მოთხრობასთან „სარჩობელაზედ“, რომელშიაც, თავის მხრივ, პირველად აჟღერდება, ფეხს აიდგამს, თუ შეიძლება ასე ითქვას —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალას მოსინჯავს 1907 წლის აპრილში სახელმწიფო საბჭოს სესიაზე წარმოთქმულ სიტყვაში უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებული აზრი, — უზნეობაა, როდესაც იმას გართმევენ, რაც თვითონ არ მოუციათ...

ეს არის ხმა უამრავ და უამრავ დამონებულთა, პატივაყრილთა, დაჩაგრულთა, მიწასთან გასწორებულთა, ეს არის კვნესა, რომელიც თითქოს მხოლოდ აი, ახლა შემოესმა ადამიანის ყურს, შეზარა უნაპირო მწუხარებითა და, რაც მთავარია, სიმართლით. თითქოს აი, ახლა აეხილა ადამიანს თვალი, რომ ასე ცხოვრება, როცა ერთი დაჩაგრულია, ხოლო მეორე — მჩაგრავი, აღარ შეიძლება...

ეროვნულ-დემოკრატიული ბრძოლის მეთაურმა საკუთარ თავზე მიიღო ყველა დარტყმა, რაც კი გაავეთრებულმა „ძველმა ქვეყანამ" თავს დაატეხა ცხოვრების განახლებისთვის მებრძოლთ. ის გაჩენილი იყო იმისათვის, რომ პირველი ტყვიისათვის მკერდი შეეშვირა და გაჩენილი იყო იმისთვისაც, რომ ერთი ნაბიჯითაც კი არ დაეხია უკან, რადგან იცოდა, დათმობაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა იქ, სადაც ეროვნულ-სოციალური თავისუფლების საკითხი წყდებოდა. ყოველგვარი დათმობა ამ შემთხვევაში დაღუპვას ნიშნავდა. აკი თქვა კიდეც: „...თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა"-ო.

ეს ფრაზა მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივიდანაა", რომელიც თავისი ქრესტომათიული სრულყოფილებით მეცხრამეტე საუკუნის ქართული პროზის მარგალიტს წარმოადგენს. და აი, ამ ტკივილით სავსე მოთხრობიდანაც ჩანს, რომ მწერალს უყვარდა ადამიანი ისეთი, როგორიც ბუნებამ შექმნა და ცხოვრებამ გამოაწრთო: ჩვეულებრივი, რიგითი, ჯანსაღი, თავისუფალი, გონიერი, მიმტევებელი, გამგები... და ამ თვისებებში (უპირველეს ყოვლისა — ჩვეულებრივობაში!) ეძებდა და პოულობდა კიდეც სიდიადეს სულისას, ვნებათა განუმეორებლობასა და ქცევათა ლოგიკურობას.

მხოლოდ თავისუფალ პიროვნებათა ერთობას — ხალხს ძალუძს იბრძოლოს და მოიპოვოს ეროვნული თავისუფლება! — აი, რას გვასწავლიდა ილია ჭავჭავაძე. ადამიანის პიროვნების პრობლემის წინ წამოწევამ გაზარდა თითოეული ადამიანის შესაძლებლობათა, ინტერესთა, სურვილთა, მოთხოვნილებათა არე. უფრო მეტიც, თვითეული ადამიანის არსებობის ბიოლოგიური რიტმი აქცია საერთო-საკაცობრიო ცხოვრების რიტმად. თვითეული ადამიანი, განურჩევლად წოდებისა თუ მდგომარეობისა, ჩააყენა კაცობრიობის სამსახურში.

ცნებები: „ხ ა ლ ხ ი" და „პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა" განუყოფელია. ხალხი შედგება პიროვნებისაგან და რაც უფრო მეტი პიროვნებისაგან შედგება იგი, ანუ რაც უფრო მეტია, მაღალია პიროვნული ხარისხი ხალხისა, მით უფრო ნაკლებად ემსგავსება იგი ბრბოს...

ილია ჭავჭავაძე გვასწავლიდა, რომ ერის ყველაზე საუკეთესო თვისების (თუნდაც, სხვა ერებისაგან გამორჩეული თვისებების!) შემნახველი და დამცველი ხალხია. ეს თვისებები — რაინდობა იქნება თუ მეგობრობა — ხალხის ცხოველმყოფელ წიაღში ბრუნავს, ყოველდღიურად ახალ და ახალ ძალას იკრებს და, როგორც კი ამას ამოვშანთავთ ხალხის წიაღიდან, ხალხის სულიდან (თუნდაც სოციალური უსამართლობის გამო), ხალხიც, ერიც დაიღუპება. ასე რომ, იბრძოდა რა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, ილია ჭავჭავაძე იბრძოდა ერის გადარჩენისთვისაც და, საკვირველია, სჯეროდა კიდეც, ეს ბრძოლა ამაო რომ არ იყო: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?.. აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია". საკვირველი კი იმიტომ იყო, რომ მართლაც წინასწარმეტყველის უნარი უნდა გქონოდა და აგიოგრაფიული წმინდანის სიკერპე, ცარიზმის იმ ბნელ საპყრობილეში მომავლის შუქი დაგენახა...

ერის წინამძღოლი პოეტები ოპტიმისტები არიან!..

ილია ჭავჭავაძე მომავლის შენების დროს, თავისუფლებას მოითხოვდა ჩვენი დიდი და უძველესი კულტურის სახელით.

კულტურა ერისა ეს განუმეორებელი, ერთადერთი რამ გახლავთ, ურომლისოდაც წარმოუდგენელია საერთოდ კაცობრიობის კულტურა და, ამდენად, მომავალიც. ქრება რა ერთი რომელიმე ნებისმიერი ხალხის კულტურა, ქრება და ირღვევა ის უხილავი ერთობა, უხილავი დუღაბი, რომლითაც სხვადასხვა ხალხის კულტურები ერთმანეთს უკავშირდებიან, ანუ ქრება იდუმალი „საბრძოლო" კავშირი ბუნების განურჩევლობისა და ადამიანური სიბნელის წინააღმდეგ.

იმ „მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასთვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომობისა და დიდ-პატარობისა" ილია ჭავჭავაძემ „ვეფხისტყაოსანი" შეიტანა, როგორც ყველაზე აშკარა საბუთი იმისა, რომ ამ პოემის შემქმნელ ერს ნამდვილად ჰქონდა უფლება და, რაც მთავარია, ძალაც შესწევდა — თავისუფალი ყოფილიყო.

ეს წიგნი, რომლის წყალობითაც მწერლობა საქართველოში რელიგიური რწმენის სიმაღლეზეა აყვანილი, ჩვენს ლიტერატურას ყველაზე მძიმე, შავ-ბნელ პერიოდებში უნარჩუნებდა საკუთარ სახეს, თავისთავადობასა და ბუნებრივობას.

ეს ის პერიოდებია, როცა ზოგიერთმა მწერალმა რუსთაველის სკოლის კანონების დავიწყება საკვირველი ამჩატებითა და უდარდელობით შესძლო, მთელი არსებით მიეცა რა აღმოსავლურად დატკბილულსა და დაბანგულ ეგზალტირებულ ხილვებს. მათ შორის ყველაზე უფრო ნიჭიერნი და გონიერნი შეიძლება გრძნობდნენ, როგორ იჭრიდნენ ყელს, მაგრამ ვის რაღად ჭირდება ყელი, საიდანაც საკუთარი სიმღერა არ ამოდის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე, როგორც ლიტერატურის ღრმა, დაკვირვებული მკვლევარი, მთავარ ყურადღებას აქცევდა ჩვენი მწერლობის გენეზისის პრობლემას, მისი ძირითადი საყრდენი ძეგლების შესწავლასა და გამომზეურებას. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა ილია ჭავჭავაძე, როგორც პირველი ჭეშმარიტად დიდი მეცნიერი — რუსთველოლოგი. „ვისაც რუსთაველზე უნდა წერა, იმან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვისოს იგი არა ჭკუით მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართველის გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯისცემა" — ეს სიტყვები ბრძენი პოეტისა და მეცნიერისა არა მარტო რუსთაველის, არამედ, საერთოდ პოეზიის მკვლევართა ერთგვარ გაფრთხილებად ისმის — გაფრთხილებად და შეგონებადაც! ილია ჭავჭავაძეს უყვარდა ერთი მეტად საგულისხმო სენტენციის გამეორება: ბევრი რამ ისეთი საგანია ამ ქვეყნად, თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, ბევრი კი, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავო. როგორც ლიტერატურის მკვლევარი, იგი უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა ინტუიციას, ხასიათთა ფსიქოლოგიის გაშიფვრას, გმირთა ქცევის ალოგიკურობის ადამიანური სიმართლის ანუ ურთიერთობათა ფარული ლოგიკის ამოცნობას. მის მიერ წაკითხული „ვეფხისტყაოსანი" მისი დაკვირვებანი — გამოთქმული სალიტერატურო წერილებში — ეს არის მთელი სკოლა თუნდაც დღევანდელი რუსთველოლოგებისათვის. ილია ჭავჭავაძის წყალობით, რუსთველოლოგია საქართველოში, შეიძლება ითქვას, სახალხო მეცნიერებად გადაიქცა.

„მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა, უკვდავო რუსთაველო!" — ეს ქართველთა საამაყო პოეტის ღირსეული მემკვიდრის ნათქვამია, ის სიტყვებია, რომელთაც მადლიერი და გონიერი

შთამომავალნი აკადემიის კარიბჭეზე აწერენ...

ილია ჭავჭავაძე გვასწავლიდა, რომ სამშობლო მარტო გუშინდელი კი არა, დღევანდელი დღეა და, რაც მთავარია, მომავალია, რაზედაც ყველამ ერთნაირად უნდა ვიფიქროთ.

ილია ჭავჭავაძე გვასწავლიდა, რომ მომავლის შენების დროს („ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი!“) გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა გონიერებასა და ცოდნას. ეს აზრი დიდებულ პოემა „აჩრდილში“ ასეა გამოთქმული: „ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას და მცნების ნათლით ზეაღზიდულ, ამაღლებული ჭკვით არ განსჭვრეტავს საზოგადო ცხოვრების დენას, იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული, უქმისა დრტვინვით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის, მაგრამ არ იწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა, და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის, ჰლაადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურობასა“ — ასე მიმართავს პოეტი მამულს და დასძენს: უცოდინარნი „თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან“-ო.

ბევრს არავის მოუტანია მამულისთვის იმდენი ვნება, რამდენიც თავისივე შვილთ, „უმეცარ სიყვარულისა გამო!“...

რის ცოდნა იყო მაინც, ილია ჭავჭავაძის აზრით, აუცილებელი მისი თანამემამულეებისათვის?

უპირველეს ყოვლისა, მტრისა და მოყვრის გარჩევისა, რომელიც, რატომღაც, გაჩენის დღიდან უჭირს ადამიანს (გავიხსენოთ, აკაკი წერეთელიც სულ ამას ქადაგებდა: „გაუფრთხილდი! ნუ გჯერა მაგის ტკბილი ნანინა, შენზე წინათ სხვაც ბევრი მოხიბლა, შეაცდინა!“).

ეს იმის ცოდნაა, რომ მხოლოდ თავისუფლებაა „აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“.

ეს იმის ცოდნაა, რომ ადამიანმა თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, თავის სულში უნდა აღმოაჩინოს, ანუ, უფრო ზუსტად, იგრძნოს აუცილებლობა თავისუფლებისა, თავის სულში უნდა გაზარდოს, თავის სულში უნდა მოამწიფოს, თავის სულში უნდა ატაროს არა მხოლოდ თავისი, არამედ ყველას თავისუფლების იდეა და თუკი მისი სული შესძლებს აიტანოს ასეთი ღვთაებრივი სიმძიმე მოვალეობისა, აი, მაშინ დადგება დრო თავისუფლებისათვის ბრძოლისა! მართალია, ის ამბობდა: „თავისუფლების მომტანი მხოლოდ და მხოლოდ თოფია“-ო, მაგრამ ისიც იცოდა, სულით მონების თავისუფლება საშინელ ხიფათს რომ წარმოადგენს კაცობრიობისათვის.

ამიტომაც, ადამიანი ყველაზე მეტად თავის სულს უნდა გაუფრთხილდეს, იზრუნოს მისი სიწმინდისათვის, რადგან ეს ფრთოსანი არსება — თავისუფლება ისეთივე ქათქათა და წმინდაა, როგორც ფრთები ანგელოზისა, რომელსაც მტვრის პაწაწინა ნამცეციც რომ მიეკაროს — ველარ აფრინდება...

მომავლის შენება საკუთარი სულის შენებითა და განწმენდით უნდა დაიწყო, ამისთვის არანაკლებ მძიმე გარჯაა საჭირო, ვიდრე რომელიმე სხვა, თუნდაც, ნამგლით შრომა, ანდა ხმლით ომი. სულის სიწმინდისთვის ზრუნვა ამქვეყნიდან განდგომა კი არ არის, არამედ გაგანია ცხოვრების მალაროში შრომაა, უაღრესად საჭირო ამქვეყნიური საქმის კეთებაა. ეს არის სულ სხვა გზა, გზა რჩეულთა, ამ დიდებული აქტისთვის მთელი არსებით შეწირულთა, ეს არის „გზა ხსნისა“, რომელსაც „უბედურნი“ ანუ წინასწარმეტყველნი ირჩევენ.

აი, ასე ესახებოდა ილია ჭავჭავაძეს განდეგილის მისია თავის ამავე სახელწოდების პოემაში და ეს არ იყო დაპირისპირება ბარათაშვილის ბრძნულ შეგონებასთან: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან შვილნი სოფლისა, უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა“. ეს სწორედ რომ „სოფლის მიდევნა“ იყო, ანუ ცხოვრების შუაგულში ტრიალი, ოღონდ, რა თქმა უნდა, გარეგნულად სულ სხვა — სულის ცხოვრების შუაგულში ბრძოლა!

ილია ჭავჭავაძე განდეგილს კიცხავს და სჯის არა მიწიერის, არა ამქვეყნიური ცხოვრების, არამედ სულის, რწმენის ღალატისათვის!..

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან, სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არა დნებიან, სად უდაბურსა მას მყუდროებას კაცთ ქრიამული ვერ შესწვდენია, სად მეუფება ჭექა-ქუხილსა, ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, — უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი. ფრიალოსავებრ ჩამოთლილი აქვს იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე, და ზედ კარია გამოკვეთილი — ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე. ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, — და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა“.

ასე იწყება ქართული პოეზიის მშვენება „განდეგილი“, და, ვაჟა-ფშაველას გარდა, ალბათ სხვა პოეტს ვერ გავიხსენებთ, რომელსაც შეეძლოს სიტყვით ბუნების ასეთი ზვიადი და ცხადი სურათის გადმოცემა.

აი, აქ — ქვეყნიერებისაგან შორს, ყინულის საუფლოში ცხოვრობს განდეგილი, რომელსაც „საიქიოსთვის ეს სააქაო დაუთმია და განშორებია. განშორებია, ვით ცოდვის სადგურს, ვით სამეუფოს ბოროტისასა, სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს განსაცდელსა მას ეშმაკისასა; სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე-და-ღამ, ვითა მპარავი და მტაცებელი; სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად, მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი; სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია, სადაც ძმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა, სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის წმინდა სიყვარულს მოყვასისასა... განყენებული წუთისოფლისგან აქ სული მისი აღყვავებულა, და ხორციელი გულისთქმა ყველა დამარხულა და განსვენებულა“.

„ცრემლით ალტობდა ღვთის-მშობლის ხატსა და ხელაპყრობით ევედრებოდა წაწყმედისაგან ქვეყნის ხსნისათვის.

— აი, ეს არის განდეგილის მისია, ყოველდღიური საქმე, მოვალეობა! დიდი, აქტიური, დაძაბული ქმედება, საკუთარი ცხოვრების შეწირვა „ქვეყნის ხსნისათვის“...

განდეგილს დიდი რწმენისთვის, ანუ ქვეყნის გადარჩენის იმედისათვის საფუძველი აქვს: „ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ მზე სხივგაფენით ამოვიდოდა, იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა, როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა, და ხორცთ უსხმელი მზის სხივი იგი უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა!“

დიახ, მხოლოდ უფალს შეეძლო ასეთი სასწაულის მოხდენა!

განა განდეგილს არ უნდა გაჩენოდა იმედი, როცა ყოველდღე ასეთ სასწაულს ხედავდა, რომ კიდევ უფრო მეტი ტანჯვის, ლოცვისა თუ თვითგვემის შემდეგ, ღმერთი მის მთავარ სათხოვარსაც მოუსმენდა? ანუ ახალ, უფრო დიდ, უკეთესი იქნება, თუ ვიტყვით — დიად სასწაულს მოუვლენდა, რაზედაც დღე და ღამე ემუდარებოდა ღმერთს!

და ეს სასწაული ქვეყნის გადარჩენა იქნებოდა!

რა იყო ამასთან შედარებით სხვა ნებისმიერი საქმიანობა, სხვა რომელი გარჯა თუ გაბრძოლებაა ამქვეყნიურად უფრო აქტიური?!

„განდეგილი“ დაიწერა 1883 წელს. იმავე წელს ილია ჭავჭავაძე აი, ასეთ საგულისხმო მოსაზრებას გამოაქვეყნებს: „მაშინ რომ ქართველისათვის გეკითხათ, რას ფიქრობთ, რა გსურთ, სიცოცხლეზე ვფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გეტყოდნენ — რას ეძახით სიცოცხლეს, როგორ თუ სიცოცხლეო? — ისეო, გეტყოდნენ, რომ გავლა-გამოვლა შეგვეძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკბობა, მზის ცქერაო და ჩვენი ჭირის გახარებაო...

2. „მნათობი“, № 10.

ერთი სიტყვით, ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელის ცხოვრების ნატვრა ჰქონდა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ უნდა გავფრთხილდე, თორემ, სულს ხომ აღარა ვჩივი, ხორცითაც არ დავილუპოვო...“

აქ მწერალი მეცხრამეტე საუკუნის 40-50-იან წლებს გულისხმობს. რასაკვირველია, 1883 წლისათვის, მიუხედავად საზოგადოებრივი აზრის ერთგვარი გამოცოცხლებისა, საქმის ვითარება სრულებითაც არ იყო შეცვლილი. აი, სწორედ ამ განწყობილებით იქმნება „განდეგილი“ — „ხორციელის ცხოვრების“ საწინააღმდეგოდ, ადამიანთა დაკარგულის სულის დასაბრუნებლად, რადგან თუკი კაცს სული აღარ ექნებოდა, რაღად უნდოდა ის, რასაც სიცოცხლეს ეძახდა!

„რას ეძახით სიცოცხლეს?“-ო, კითხულობდა პოეტი, რადგან ის, რასაც თავის გარშემო ხედავდა, ნამდვილად არ იყო ამ დიადი სიტყვით აღნიშვნის ღირსი. სიცოცხლე, ცხოვრება, სულიერი არსების წილხვედრია, ამიტომ მას, ვინც ცდილობდა ადამიანთა გადასარჩენად ემოქმედა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულზე უნდა ეფიქრა და ეზრუნა ისე, რომ საკუთარი თავიც კი უნდა დაევიწყებინა. ეს არ იყო განდეგილობა ტრადიციული თუ რელიგიური გაგებით, ეს იყო დიდი ბრძოლა, აქტიური ცხოვრებისეული ქმედება მარტოხელა ადამიანისა („...ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო!“), ბრძოლა სხვებისათვის, ბრძოლა, რომლის შედეგსაც ვერ ნახავ, მხოლოდ რწმენა, რომ ეს ბრძოლა აუცილებელია, გაძლევს ძალას, არ გაყრევინებს ფარ-ხმალს, არ გიწურავს იმედს...

და აი „ხორციელი ცხოვრების“ ტალღამ მაინც წალეკა სულისთვის მებრძოლის სპეტაკი სამყარო... განდეგილი სულიერი სიმაღლიდან ელემენტარული ზნეობრივი დანაშაულის ტალახში ეცემა, უერთდება იმ ცხოვრებას, რომლის გარდაქმნაც ასეთი ტანჯვით, ასეთი თავგანწირვით, ასეთი მონდომებით ეწადა...

„განდეგილში“ პოეტმა გვიჩვენა რწმენის დამარცხების შემზარავი ფაქტი. პოემა დამარცხების დრამაა, გლოვაა, სულისთვის, სულიერი სიწმინდისთვის მებრძოლი, სასწაულის მომლოდინე კაცის ტრაგედიაა.

ეს არის დიადი, წინასწარმეტყველური გზნების კრახი ჩვეულებრივ, რიგით, არაფრით გამორჩეულ ყოველდღიურობასთან მიმართებით, ანუ მარადისობის კრახი დღევანდელობის წინაშე...

როგორც ზემოთ ვთქვი, მტვრის პაწაწინა ნამცეციც კი თუ შეეხება ქათქათა ფრთებს — იგი ველარ აფრინდება.

აი, ჭეშმარიტად ანტიკური ტრაგედიის ტოლფასი პოემა ილია ჭავჭავაძისა!

ჩემი აზრით, „განდეგილის“ სწორად წაკითხვისათვის ალბათ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საპროგრამო ნაწარმოებად მიჩნეული ლექსის „პოეტის“ ერთ სტრიქონს: „არა მარტო ტკბილ ხმებისთვის გამომგზავნა ქვეყნად ცამა!“

როგორც ცნობილია, „არა მარტო“ ამ ლექსში კი არა, საერთოდ ქართულ ენაში ერთგვარად კრებითი ცნებაა, რამდენიმე მოვლენას ერთმანეთთან რომ აკავშირებს, ოღონდ, მათ შორის დასახელებულს, ამ შემთხვევაში — „ტკბილ ხმებს“ მაინც უპირატესობას ანიჭებს, თუ შეიძლება ითქვას — ძირითად მახვილს მასზე სვამს.

ილია ჭავჭავაძეს „ტკბილი ხმები“ ესმოდა, როგორც პ ო ე ზ ი ა! მისი ლექსის ამხსნელებს რატომღაც ავიწყდებოდათ ხოლმე, რომ ეს გამოთქმა ლექსიდან იყო და არა კრიტიკული თუ ფილოსოფიური ხასიათის ტრაქტატიდან, სადაც ერთგვარად კიდევ შეიძლებოდა, ისიც სოციალურ-ვულგარული მეთოდის მოშველიებით, ეს ცნება ესთეტიკურ ზედმეტობად, გასართობად ან თუ გნებავთ — „ბულბულის გალობად“ მიგვეჩნია.

ილია ჭავჭავაძეს კი არასოდეს უარუყვია „ტკბილი ხმები“, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პოეტი იყო, თანაც ბრწყინვალე პოეტი, ხოლო „ტკბილი ხმების“ გარეშე პოეზია არ არსებობს, როგორც ზემოთ ვთქვი, „ტკბილი ხმები“ იგივე პოეზიაა.

ილია ჭავჭავაძე „ტკბილ ხმებს“ უწოდებდა ნეტარ, ჰარმონიულ მდგომარეობას სულისას, სიმად ქცეული, სიმივით დაჭიმული სულის ხმას, როცა ყოველი სიტყვა, ფიქრის ნაფლეთი, ფარული ნატვრა თუ ოცნება ლოცვად გადაიქცევა ხოლმე, ანუ როცა ადამიანის არსების წიაღში გულგრილობის ციცაბოებზე თანდათანობით იკიდებს ფეხს ყველაზე უფრო ადამიანური რამ, რაც კი ბუნებას შეუქმნია — ი მ ე დ ი!

პოეტი ტყუილად როდი არქმევს თავის რამდენიმე ლექსს „ლოცვას“. ვინ იტყვის, რომ ეს ლექსები ნაკლებად ცხოვრებისეულია, რომ მათში არ იგრძნობა აქტიური ცხოვრება სულისა ისეთივე ძალით, როგორც თუნდაც „გუთნისდედისა“ თუ „კაკო ყაჩაღში?!“

პუშკინს ეკუთვნის ეს სიტყვები: ჩვენ გაჩენილები ვართ შთაგონებისთვის, ტკბილი ხმებისათვის და ლოცვებისთვისო... ვის მოუბრუნდება ენა, თქვას, რომ „ტკბილი ხმები“ ამ დიდ პოეტს ხელს უშლიდა ყოფილიყო თავისი ხალხის სულიერი წინამძღოლი...

ილია ჭავჭავაძეს იზიდავდა მეოცნებეთა თუ იდეისათვის წამებულ პიროვნებათა წინააღმდეგობებით სავსე ხასიათები, ისინი, ვისაც არ ასვენებს, აფორიაქებს, ძილს უფრთხობს „თავისუფლების მშვენიერი სხივთ მხურვალება“.

„შენ დაიძინე, ძილისთვის გაჩენილი შენა ხარ“ — ეუბნება დონ კიხოტი სანჩო პანსას. თვითონ უ ძ ი ლ ო ბ ი ს თ ვ ი ს იყო გაჩენილი! ილია ჭავჭავაძეც ასევე მარადი უძილობისთვის გაეჩინა ღმერთს: „ო, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ — ეს ხომ გამუდმებით ფხიზელი კაცის ნათქვამია!

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ხშირად შევხვდებით ბაირონის, გოეთეს, ჰაინეს, შილერის, ვალტერ სკოტის, ანდრე შენიესა თუ სხვა დიდებულ შემოქმედთა სახელებს. და მაინც ყველაზე ხშირად შექსპირს ახსენებს, ხშირად მოჰყავს მისი სიტყვები, იმოწმებს თავისი აზრის გასამართლებლად, ზოგჯერ კი არაჩვეულებრივად ზუსტად ახასიათებს გენიოსი ინგლისელის ნაწარმოების ამა თუ იმ პასაჟს. აი, მაგალითად: ჰამლეტის „ყოფნა-არყოფნას“ „სულის უბინაობისაგან ამოკვნესილად“ მიიჩნევს.

„უ ბ ი ნ ა ო ბ ა ს უ ლ ი ს ა!“ — თითქოს ფორმულირებულია ტკივილით სავსე წანწალი ადამიანის ფიქრისა გაუგებრობის და სიძულვილის უდაბნოში!..

უნდა ისიც ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძემ, ღრმად ერუდირებულმა შემოქმედმა, შექსპირის სკოლაშიც შეითვისა ზოგიერთი რამ, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ მან შექსპირის სკოლაშიც შეამოწმა საკუთარი იარაღის ვარგისიანობა. მას შეეძლო ყველასა და ყველაფრისგან ესწავლა, რადგან თვითონაც მასწავლებლად იყო გაჩენილი.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მრწამსის ფონზე სრულიად ბუნებრივად მოჩანს მის მიერ „მეფე ლირის“ თარგმნა, ქართული მთარგმნელობითი სკოლის სიამაყესთან — ივანე მაჩაბელთან ერთად.

ილია ჭავჭავაძისთვის მეფე ლირიც „სულით უბინაო“ იყო...

მეფე ლირი ისეთი პერსონაჟია შექსპირისა, რომელმაც გაიარა საპირისპირო გზა სხვა გვირგვინოსნებთან შედარებით — ტახტიდან ადამიანობისაკენ! ესეც, რა თქმა უნდა, გარკვეული თვალსაზრისით, კარიერაა, არანაკლებ ძნელი, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი. მეფე ლირმა ტახტიდან ჩამოდგა ფეხი და მისი ტერფები ჯოჯოხეთის ფსკერის სიმხურვალემ დაითუთქა.

ლირის ცხოვრება, რომელიც ტახტზე უარის თქმის მერე იწყება, ტანჯვაა, რომელსაც შეგნებულად ირჩევს.

ლირი ის რეჟისორია, რომელიც თავის დადგმულ სპექტაკლს ეწირება, როგორც მსახიობი...

„მეფე ლირში“ ადამიანის სულისათვის ბრძოლის ამბავია მოთხრობილი. შეიძლება ჩემი ნათქვამი ძალიან თამამად გაისმას, მაგრამ თუკი რაიმე ოდნავ მაინც გვაგონებს მას ქართულ ლიტერატურაში, ეს, უპირველეს ყოვლისა, დიდებული „განდეგილია“.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შესანიშნავი თარგმანის წყალობით, ჩვენი ხალხის ცნობიერებაში სამუდამოდ დამკვიდრდა და სულიერი კონსტიტუციის ერთერთ პარაგრაფად იქცა ასეთი ბრწყინვალე, ჰუმანისტური შეგონება: „რაც საჭიროა, მასზე მეტი რომ კაცს არ მივსცეთ, — ადამიანი ხომ პირუტყვად გარდიქცეოდა!“

ილია ჭავჭავაძის პოეტური გალაქტიკის ცენტრში მოქცეულია პოემა „აჩრდილი“, ფილოსოფიურ-ლირიკული პოემა, რომელიც მწერლის მთელი შემოქმედების ტემპერატურასა და შუქს ერთგვარად განსაზღვრავს და განაპირობებს კიდეც.

„აჩრდილი“ კონტრაპუნქტული და, ამავე დროს, ფორმის მხრივ, ქართული ლიტერატურისათვის ძალიან ტრადიციული პოემაა, სწორედ ისეთი, როგორიც იწერებოდა, ვთქვათ, მეთორმეტე საუკუნის საქართველოში, თუნდაც იოანე შავთელის „აბდულმესიას“ სახით.

შავთელი დიდი წინაპარია მეცხრამეტე საუკუნის შესანიშნავი პოეტებისა. მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ პლატონ იოსელიანმა მისი პოემა 1838 წელს გამოაქვეყნა. სამწუხაროა, რომ შავთელის ლირიკულმა პოემამ (რომელსაც ნამდვილი სათაური აშკარად შემდეგ, დიდი ხნის მერე, დაცემის ხანაში შეუცვალეს აღმოსავლური მწერლობის გავლენით!), მონღოლთა თუ სხვა დამპყრობთა ბარბაროსული თარეშის გამო, როგორც ხელოვნების უაღრესად ნატიფმა ფორმამ, სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დიდი პოეტების ქმნილებებში იჩინა თავი მისმა თითქოსდა დაგვიანებულმა, მაგრამ მაინც ცხოველმყოფელმა, [illegible] კიდევ ერთხელ დაამტკიცა ჭეშმარიტი პოეზიის უკვდავება...

პოემა „აჩრდილი“ ორ ხმაზეა დამყარებული, ორი ხმა ენაცვლება ერთიმეორეს. ერთი ხმა დღევანდელ პოეტს ეკუთვნის, მეორე — კი — მყინვარზე მდგარ მოხუცებულს. შეიძლება ითქვას, ეს არის ნაწარმოები ორი ხმისთვის: პოეტისა და მისი მომავალი იპოსტასის — საქართველოს „თანამდევ“ სულისთვის. ასე რომ, მყინვარზე მდგარი მოხუცებული საკუთარი ბედის წინასწარმეტყველური ხილვის შედეგად მოვლენია პოეტს, ეს თვითონაა, ოღონდ, უკვე საქართველოს ხნისა, მასში ცოცხლობს სამშობლოს წარსულიც, აწმყოც და მომავალიც, რამდენადაც იგი მარადიულია, „უკვდავი სულია“, ეს რაღაც იდუმალი, ამოუხსნელი გრძნობითა თუ სულისკვეთებით წარმოშობილი ტრანსცენდენტალური ხილვაა პოეტისა, საკუთარი არსებობის მარადიულობის განცდა, საკუთარი მარადიული ხვედრის, მისიის დანახვა, რაც ამ პოემიდან ზუსტად ამოიკითხა ვაჟა-ფშაველამ. გავიხსენოთ ამ დიდი პოეტის სიტყვები ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს: „ვუწყი, რომ შენი აჩრდილი არ დაივიწყებს საქართველოს“...

პოეტის მეორე სახე — მყინვარზე მდგარი მოხუცებული — მარადიულია და, ამდენად, მარადიულ სამშობლოსაც გულისხმობს, რადგან უკვდავება ერთისა დაკავშირებულია მეორის უკვდავებასთან.

ამ პოემაშიც, ისევე როგორც „მგზავრის წერილებში“, გამოჩნდება დიდებული მთა — მყინვარი, ოღონდ, მოთხრობისგან განსხვავებით, სადაც მყინვარს სიმბოლური დატვირთვა აქვს მინიჭებული, აქ იგი მხოლოდ სიმაღლეა, საიდანაც მთელი საქართველო მოჩანს. ეს „დიდებული და შეუბღალავი“ სიმაღლეა, რომლისკენაც ყოველთვის ილტვოდა პოეტის გული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონება. ამიტომაა სწორედ ის „მზის სხივით გაბრწყინებული“. შეიძლება უნებურად სახარების მთაც კი გაგვახსენდეს („და ვითარცა იხილა იესო ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჯდა იგი მუნ...“), მაგრამ ეს ძალიან შორეული, უფრო ზუსტად — ხელოვნური ასოციაცია იქნებოდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მაცხოვრის სახება მის შემოქმედებაში ხშირად გამოჩნდება ხოლმე.

ამ შემთხვევაში, მთას კი არა აქვს რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა, მთა კი არ წარმოადგენს რაიმეს სიმბოლურს, არამედ „მთაზე დგომაა“ ფილოსოფიურ-სიმბოლური ხასიათის მეტაფორა, რაც მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში პოეზიის უმაღლეს ზღვართან მიახლოებას ნიშნავს, „ღმერთთან ლაპარაკს“ ანუ უმაღლეს პოეზიასთან ზიარებას. „მაგრამ გავიგებთ ერთხელაც, ვინც ახლოს ვდგავართ ღმერთთანა“, — იტყვის ვაჟა-ფშაველა, როდესაც აკაკი წერეთელთან პოეზიის რაობაზე კამათის დროს ილია ჭავჭავაძის ამ სახეს („ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ...“) მოიშველიებს და ამით ახსნის კიდეც მას.

შეიძლება ითქვას, „აჩრდილი“ მეცხრამეტე საუკუნის ქართული სულის მოძრაობის მიუკერძოებელი მატიანეა. სწორედ ამ პოემაში უკავშირდება ეროვნული და სოციალური პრობლემები თავისუფლების ცნებას...

სამყაროს აღქმის სიახლე — აი, პირველი, რაც თვალში გვეცემა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების კითხვისას, ლექსი იქნება თუ მოთხრობა, პუბლიცისტური წერილი თუ ლიტერატურული ესე. მისი მხატვრული სამყარო ახალი ადამიანებითაა დასახლებული, ახალი ადამიანებითაა სავსე. მეცხრამეტე საუკუნეში იშვიათია ქართველი მწერალი, რომელსაც ამდენი ახალი, ცხოვრებისეული ტიპი და ხასიათი შეექმნას — ცოცხალი, კოლორიტული, შთამბეჭდავი: ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, კესო, არჩილი, პეტრე, დათიკო, გაბრიელი, ლამაზისეული, დარეჯანი, ლუარსაბ თათქარიძე — ეს რაბლეს გმირების გვერდით მოხსენიების ღირსი ღორმუცელა, ბედოვლათი, ყეყეჩი და მაინც, თქვენ წარმოიდგინეთ, სიმპათიური გმირი.

„ამ ყოფაში და ჭკუის გონიერ ვარჯიშობაში გადიოდა დილა. როცა სადილს უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი, როცა საღამოზედ ნიავი ფრთას გაშლიდა და ბალჩის ღობის გრძლად გაწოლილი ჩრდილი ეზოს მოადგებოდა, მაშინ კნეინა დარეჯანი ერთ ბალან-გაცვინულ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბრძანდებოდა ხოლმე თავმომწონე პატარძალივით თავდახურული, წარბებ-აჭიმული და გამოპრანჭული. ლუარსაბიც, თავის განუშორებელ ჩიბუხით ხელში ჩამოჯდებოდა — და ქოშებით შიშველ ფეხებზედ, ხშირად წითელ პერანგის ანაბარას და უფრო ხშირად ლურჯ კალმუხის დარბაისლურად ჩატეხილ ქუდით, ბოლთასა სცემდა გრილოშია“ — აი, არაჩვეულებრივად მეტყველი სურათი, ფერადი, მოძრავი, სულჩადგმული სცენა ცხოვრებიდან, მხატვრობად გარდაქმნილი სინამდვილე, საოცრად ზუსტი დეტალებით, იქნება ეს „ბალჩის ღობის გრძლად გაწოლილი ჩრდილი“ თუ „ლურჯ კალმუხის დარბაისლურად ჩატეხილი ქუდი“.

იმ უამრავ და უამრავ მეორე ხარისხოვან პერსონაჟებს შორის („დიკენსმა მსოფლიო მეორე ხარისხოვანი პერსონაჟებით დაიპყრო“ — წერს ჩესტერტონი), რომლებითაც სავსეა მისი შემოქმედება, შეიძლებოდა გამოგვეყო სოსია მეწისქვილე („ოთარაანთ ქვრივი“), რომლის უკანასკნელი სიტყვებიც: „ცოდო ვარ, შვილო, ცოდო!“ — რაღაც უცნაური ძალის წყალობით რატომღაც გვახსენებს ერთი დიდი ფრანგი მოაზროვნის სიტყვებს, შრომისგან ქანცგაწყვეტილი გლეხების მისამართით გამოთქმულს: „ისინი საწოლში მხოლოდ იმიტომ წვებიან, რომ დაიხოცნენ...“

პოეტის გუმანი, ალღო, როგორც მაგნიტი საგნების გროვიდან — ლი-

თონს — ისე იტაცებს, იზიდავს მაინც და მაინც იმ შტრიხს, იმ დეტალს სინამდვილისას, რომელიც შემდეგ გაგვაცვიფრებს თავისი ერთადერთობით, შეუცვლელობით, ემოციური თუ აზრობრივი ზემოქმედების ძალით, როგორც ყველაფერი, რაც თავის ადგილას, თავის დროსა და თავის სრული შესაძლებლობით მოქმედებს.

აი, მუშის პორტრეტი: „აჰა, მიხვედი, მიუტანე ტვირთი პატრონსა, რუსულ ფარაჯის კალთით შუბლზე იწმენდავ ოფლსა“.

სხვა, მეტი რომ არაფერი დაეწერა, მხოლოდ ეს ორი სტრიქონი ყოფილიყო მთელი ლექსი, მაინც შეიქმნებოდა მუშის პლასტიკურად სრულყოფილი სახე...

ილია ჭავჭავაძე დიდი ოსტატია ჟესტისა და მოძრაობის გადმოცემისა, რაც მის პოეტურ სურათებს ცხოვრებისეულ დამაჯერებლობასა და რიტმულობას ანიჭებს. პოეტს შეუძლია ბუნების გრანდიოზულ, უკიდეგანო წიაღში უცებ დაინახოს, გამოარჩიოს და ამით ჩვენი შემეცნების კედელზე სამუდამოდ მიახატოს „...წეროთა ქარავანი, ცას დალუპული...“ ასევე სამუდამოდ დაუკავშიროს ჩვენს არსებას და ჩვენთვისაც მახლობელი და ძვირფასი გახადოს ნისლში შემალული ყვარლის მთები: „აგერ თქვენც ჰქრებით თანდა-თანა... თქვენსა მწვერვალსა ძლივს ვარჩევ... წუთიც!... მხოლოდღა ვსჭვრეტ ციაგსა ცისა...“ სიტყვით მიღწეული ვიზუალური საოცრება! — ასე შეიძლება ვუწოდოთ ამ პასაჟს ამოღებულს შესანიშნავი ლექსიდან „ყვარლის მთებს“.

იმავე ლექსში არის ასეთი ფრაზა: „კვლავ გაგიღიმებთ შორს ქვეყნიდან თქვენ ჩემი სული“...

„სულის ღიმილი!“

იშვიათად თუ შევხვდებათ მეცხრამეტე საუკუნის ჯადოქარ პოეტთა ლექსებში ასეთი თამამი, ასეთი დღევანდელი მეტაფორა, რომელიც იმითაც არის საინტერესო, რომ ფარულ, საიდუმლო და მაინც აშკარა ნათესაობას ამჟღავნებს ქართული რომანტიზმის ზვიად ვირტუოზებთან [illegible]-თრებით კი იმ გენიოს [illegible]-მლის შემოქმედებითაც ილია ჭავჭავაძე არა მარტო აღფრთოვანებული იყო, არამედ ამაყობდა კიდეც, რამდენადაც არ შეიძლება არ იამაყო იმით, ვინც თავისი არსებობით შენს თავისთავადობასა და განუმეორებლობასაც ამტკიცებს, აკი თქვა: „...ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი“-ო...

რომანტიკოს პოეტთა შორის უმრწემესმა, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე დიდმა, ჭეშმარიტად გენიალურმა პოეტმა ქართულ პოეზიას ისეთი ჰაეროვნება, ისეთი საიდუმლო თრთოლვა შესძინა, რომ მომავალშიც და არა მარტო სამშობლოს „მხურვალე ცის ქვეშ“ ხშირად აღტაცებით წამოიძახებენ ხოლმე მისსავე სიტყვებს: „ვისი ხმა არის ეს საკვირველი?“-ო.

ილია ჭავჭავაძე სწორედ ბარათაშვილთან დაკავშირებით იტყვის დღესდღეისად უკვე ყველასთვის ძვირფას ფრაზას: „პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს!“

ეს პოეტური ჭეშმარიტება — პოეტური იმდენადაც, რამდენადაც მისი დედააზრის სიდიადეს, თუ არ ირწმუნე, ვერ შეიგრძნობ — კიდევ ერთხელ საცნაურს ხდის „ტკბილი ხმების“ თითქოს ირეალურ, მაგრამ ამავე დროს აუცილებელ, გამკურნავ მნიშვნელობას ადამიანის სულისათვის...

ისიც უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი — ეს არის შვილის მოწიწება მამის წინაშე. ამ ჭაბუკი პოეტის აჩრდილი დიდხანს გაჰყვება მის ცხოვრებას, როგორც „ღვთივ რჩეული“ ტიტანი, რომელმაც ადამიანებს

მოუტანა „გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობად“.

ვინ თუ არა მან — ილია ჭავჭავაძემ — თავად დიდმა პოეტმა, იცოდა, რომ ყველაფერზე ძნელი ამ ქვეყნად ადამიანის გულის გათბობა იყო...

მისთვის ყოველთვის სამაგალითოდ დარჩება პოეტი, რომელიც „სულის მშვენიერებას ჰხდიდა ტრფიალების საგნად“.

ტრფიალების საგნად ქცეული სულის მშვენიერება!

აი, საითკენ მიილტვოდა თვითონაც, რა ეწადა, რა სურდა, რარიგ იზიდავდა მშვენიერების ღვთაებრივი ძლევამოსილება!

როგორ უნდოდა მისი კვნესაც, ბარათაშვილის მსგავსად, კაცობრიობის კვნესად გადაქცეულიყო!..

თუმცა ამბობდა, ბარათაშვილისთანა პოეტები უმემკვიდროოდ მიდიანო, მაგრამ გულის სიღრმეში თავის თავს აშკარად მის მემკვიდრედ თვლიდა. შემთხვევით კი არ არის ამოთქმული: „მე ცა მნიშნავს!..“ გაიხსენეთ, რა თქვა მან ბარათაშვილზე: „...ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშადო“.

ოღონდ, ასეთი დიდი მისია მისთვის ელიტარულ განსაკუთრებულობას კი არა, ყოვლადღიურ მძიმე შრომას ნიშნავდა.

ბარათაშვილი მისთვის გაცილებით დიდი იყო, ვიდრე პოეტი. ბარათაშვილის ფენომენი მისთვის ახალ ერას ნიშნავდა, მომავლისაკენ გადადგმულ ნაბიჯს, ადამიანის სულში მომხდარ, ფარულ მიწისძვრას, ახალი აზროვნების ცისკარს...

ილია ჭავჭავაძე, როგორც უძველესი ქართული მწიგნობრული კულტურის ტრადიციების ერთგული დამცველი, მწერლობაში მაღალი პროფესიონალიზმის პრინციპული მქადაგებელი. მისი შემოქმედების ეპიგრაფად ყველაზე მეტად ალბათ რუსთაველის შემდეგი სტრიქონი გამოდგებოდა: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, შეიძლება ითქვას, [illegible] ინტელექტუალური ბუნებისაა, რაც, რასაკვირველია, [illegible] ნავალაც კი არ ამცირებს [illegible] დოებრივ მნიშვნელობასა და მოქალაქეობრივ ჟღერას.

ლიტერატურის ხალხურობის ცნება ილია ჭავჭავაძემ ლაკონურად ასე განსაზღვრა: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“ — ეს არის ჭეშმარიტი ხელოვნებისა და მისი დანიშნულების ერთ ასპექტში მოქცევა, კიდევ ერთი შეხსენება იმ სიბრძნისა, რომ ნამდვილად ხალხური ნაწარმოების ენა არის მაღალი ხელოვნების ენა.

საინტერესოა, რომ ილია ჭავჭავაძის არც ერთი ნაწარმოების ენობრივ ქსოვილში სრულიად არ ჩანს ფოლკლორული გავლენის რაიმე კვალი, თუ არ ჩავთვლით ანდაზებს, რომლებსაც მეტად თავშეკავებულად იყენებდა დიდი მწერალი. ამას განსაკუთრებით იმიტომ აღვნიშნავ, რომ ჩვენი ლიტერატორების ზოგიერთ წრეში გავრცელებული მცდარი შეხედულების მიხედვით, ფოლკლორი ლიტერატურული ნაწარმოების ხალხურობის თითქმის ძირითად ფაქტორად ითვლება.

ქართული პოეზია მეტად აქტიურად სარგებლობდა და სარგებლობს კიდეც ჩვენი ფოლკლორის თვალისმომჭრელ, უმდიდრეს საგანძურიდან, იმ წყაროზე ითქვამს სულს, რომელსაც ჩვენს წარმოდგენებსა და პოეტურ ხილვებში სამუდამოდ დამკვიდრებული გმირები — ამირანი, მინდია, ასფურცელა თუ ვეფხვებთან მეომარი მოყმე ეწაფებოდნენ.

და მაინც, ქართული ფოლკლორი სრულიად ცალკე და დამოუკიდებლად არსებული ზვიადი სამყაროა, ჩონგურის, ფანდურის, სალამურისა თუ გუდასტვირის ჯადოსნური ჰანგით შემოზღუდული.

ქართულ მწერლობას კი, შეიარაღებულს მსოფლიოში ერთერთი უნიკალური ანბანის 33 მახვილით, როგორც ჭეშმარიტად პროფესიულ ხელოვნებას, თავისი გზა და კანონები აქვს და ამოზრდილია რა ჩვენი ხალხის ყოფი-

დან, მისი ბუდე მოწნულია რა ჩვენი ხალხის სულისკვეთებათა და ოცნებათა ცისარტყელებით, სისხლხორციელად უკავშირდება ქართულ მხატვრობასა თუ მუსიკას (გავიხსენოთ გალაკტიონ ტაბიძის: „ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებს!"), იგი გამდიდრებულია მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების, რელიგიათა თუ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა თითქმის ყველა თვალსაჩინო მიღწევითა და გაკვეთილით. როგორც ნამდვილად თვითმყოფადი, ეროვნული, ძლიერი ხელოვნება, ყოველწამს მზად არის და უნარიც შესწევს ყველაზე თანამედროვე მეტაფორათა თუ აზრთა ფორმების წარმოსაქმნელად. ამას ამტკიცებს მთელი მისი ისტორია, დაწყებული ქართული აგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის უბრწყინვალესი ნიმუშებით...

ილია ჭავჭავაძე მართლაც იშვიათად მიმართავდა ანდაზებს და, ამავე დროს, ასხვავებდა კიდეც მათ ერთმანეთისაგან, ზოგიერთ მათგანს ერის დაცემის აშკარა მაგალითებად მიიჩნევდა.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არსებობს მთელი წყება ანდაზებისა, რომლებშიაც გადატეხილ ხერხემლიანი, მხოხავი სული ილანდება და ნებაყოფლობითი მონობის ხალხისთვის შეურაცხმყოფელი მაგალითებივით ისმის: „სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურე", „სულ არარაობას ცალუღელა ხარი სჯობია", „დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამს" — ეს რენეგატთა, გამყიდველთა დამღუპველი სენტენციებია. „ციხე შიგნიდან გატყდებაო" — ნათქვამია ისევ ჩვენი ხალხის მიერ და შიგნიდან გამტყდარი ციხეთა ნანგრევებით სავსეა ჩვენი ისტორია...

„შეჩვეული ჭირი მირჩევნია შეუჩვეველ ლხინს" — აი, ის საშინელი, კიბოს მეტასტაზებიანი, ობივატელური შეხედულება, რომელსაც ცეცხლითა და მახვილით უპირებდა ამოშანთვას ილია ჭავჭავაძე და რომლის მქადაგებლებმაც „შეუჩვეველი ლხინის" შიშით, საკუთარი წინასწარმეტყველი სასიკვდილოდ გაიმეტეს.

მაგრამ არის ანდაზა, რომლის მთქმელსაც მწერალმა „ხალხის გენია" უწოდა და რომელიც ასე ზუსტად ესიტყვება მწერლის მოქალაქეობრივ მრწამსს: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო!"

ილია ჭავჭავაძის ყოველ ნაწარმოებს გამოარჩევს ცენტრალური, შემოქმედებითი იდეა, ამიტომაცაა ალბათ, რომ მისი პოეტური ნაწარმოების გარეგნული ფორმა ჰგავს წყალზე გაფენილ ჭავლს, ოღონდ, წრეების საპირისპირო მოძრაობით — არა ცენტრიდან, არამედ, ცენტრისკენ — ფოკუსისაკენ, მთავარი სათქმელისაკენ. ეს არის წრიულად შეკრული, თავისთავად სრულყოფილი ფრაზების ლტოლვა ძირითადი იდეისკენ, რაც მთელ ნაწარმოებს ანიჭებს ერთიან, მთლიან, გაუბზარავ სახეს. ოღონდ, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ფრაზათა თავისთავადი მნიშვნელობა. თვითეული მათგანი თითქოს პოეზიის პატარა, დამოუკიდებელი ნიმუშია. პოეტს უყვარს ეფექტური, ენერგიული, პლასტიკურად მოქნილი ფრაზა, ამჟღავნებს აშკარა მიდრეკილებას აფორისტიკისაკენ: „რად მინდა ხმალი, გინდ იყოს მჭრელი, თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება!" „თავისუფლებავ შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი!"

პოეტის თვალი, სხვა მრავალ შესაძლებელ სიტყვას შორის, ირჩევს ერთადერთ საჭირო სიტყვას, თავისი უმდიდრესი პოეტური არსენალიდან იღებს ერთადერთ, ამ შემთხვევაში, ყველაზე ქმედით იარაღს. საერთოდ, რაც უფრო მდიდარია პოეტის შემოქმედებითი ბუნება, მით უფრო ნაკლებ გამომსახველობით საშუალებებს მიმართავს, იყენებს ხასიათის გახსნის დროს. უმთავრესად ერთს და ამასთანავე ნაღდ ხერხს ჯერდება, რომელიც ყველაზე უფრო ეფარდება გმირის ხასიათის განვითარების ლოგიკას, თავისებურებას, ვგულისხმობ ოსტატის „სიძუნწეს", რომელიც სილატაკისგან კი არა — სი-

მდიდრისგანაა წარმოშობილი, წარმოქმნილი.

გავიხსენოთ ერთი ადგილი მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“, რომელიც, ჩემი აზრით, ქართული პროზის სიამაყეს წარმოადგენს.

ჯარისკაცებს ფარაჯიანი ბიჭი ჩამოსახრჩობად მიჰყავთ. ამ ამბავს უყურებს სოფლიდან თბილისში ჩამოსული გლეხი კაცი, რომელსაც ყველაფერი ეს „თვალმაქცობა“ ჰგონია, რადგან ადამიანის ჩამოხრჩობა წარმოუდგენლად მიაჩნია — „კატა ხომ არ არის, აილო და ჩამოჰკიდო!“

და აი, აქედან იწყება დიდი პროზაიკოსის მიერ შექმნილი — გარეგნულად კომიკური, შინაარსით კი შემაძრწუნებელი — სურათი და კომიკურისა და ტრაგიკულის ასეთი დაწყვილება მოულოდნელად და თითქმის საოცრებად მოჩანს იმდროინდელი პროზის ფონზე, რამდენადაც თავისი თვისებით მეოცე საუკუნის ექზისტენციალისტთა ნაწერს მოგვაგონებს, თუნდაც, კაფკას დახლართული და ჩახლებული ლაბირინთების დაძლევის შედეგად მიღწეულ აბსურდულ სიტუაციას, რომელსაც, ამავე დროს, ადამიანისადმი თანაგრძნობა უდევს საფუძვლად. და ეს მეტად საინტერესო აღმოჩენაა ილია ჭავჭავაძისა, როგორც ჭეშმარიტად ახლის მაძიებელი მხატვრისა.

„ამასობაში ის ფარაჯაში გახვეული ბიჭი მიიყვანეს და სარჩობელას ქვეშ დააყენეს. ცალმხრივ მღვდელი მოუდგა, მეორე მხრივ კი ვიღაცა ჩინოვნიკი. წითელპერანგა ჯალათი უკან იდგა...

...ფარაჯაში გახვეულს გახადეს ფარაჯა, გადააცვეს თეთრი პერანგი თავიდან ფეხებამდე, ასე რომ პირის-სახე აღარ უჩანდა. წითელპერანგა ჯალათმა გაასწორა სარჩობელაზედ ყულფი, მერე მიადგა სარჩობელის ბოძს, მოუბრუნდა უბედურს, ხელის კვრით წინ წაიგდო, აიყვანა კიბეზედ, მოსწია ყულფი, რომ თავი გააყოფინოს. ხალხს ხმა ჩაუწყდა, თითქო სული შეეხუთათ, თითქო ამოდენა ხალხის გულის ძგერაც შედგათ.

ჯალათმა თავი გააყოფინა ყულფში, გამოაცალა კიბე და ჰკრა ხელი. ხალხმა ერთი ღრმად და ყრუდ ამოიქშინა, ისე, როგორც ამოიქშენს ხოლმე უეცრად ცხელ-წყალ თავდასხმული.

უბედური სარჩობელაზედ ჩამოეკიდა. ქანაობა დაიწყო და ფორთხალით დიდხანს იქნივა საწყალმა ფეხები.

— დილამდე რომ სულ ეგრე იქნივო ფეხები, მაინც არ დაგიჯერებ, ამბობდა თავისთავად პეტრე“.

შეიძლება მხოლოდ კინემატოგრაფმა გადმოსცეს ასეთი ზედმიწევნითი სიზუსტით ყველაფერი, რაც კი ამ სურათშია მოცემული, მაგრამ ისიც კი უმწეო იქნება იმ დრამატიული დინამიზმის გადმოსაცემად, რასაც მწერლის სიტყვა ასეთ, მართლაცდა საკვირველ სიცხადეს ანიჭებს.

სცენას, რომელიც „სუნთქვაშეხუთული“ ხალხის გულის ძგერის ფონზე მიმდინარეობს, საფუძვლად არაჩვეულებრივი ფსიქოლოგიური სიმართლე უდევს და მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ექზისტენციალისტური ფორმისა, რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ მის თანამედროვეობას უსვამს ხაზს, რეალისტური წერის უმნიშვნელოვანესი გაკვეთილია, თუნდაც დღევანდელი მწერლებისათვის, რამდენადაც მასში ირეკლება მთელი სისტემა არა მარტო მწერლური მეთოდისა, არამედ, თუ გნებავთ, მწერლის პიროვნების სულიერი წყობისა, პოზიციისა...

კონტრასტი, რომელსაც მკაცრი, თითქმის მექანიკური გულგრილობითა და განურჩევლობით ამოძრავებული სინამდვილე და გულუბრყვილო, გაოცებული და გაოგნებული კაცთმოყვარეობა ქმნის, წარმომქმნელია, ბიძგია იმ ფარული აზრისა, იმ იდეის ძალისხმევისა, რომ ადამიანის დასჯა და მისი სიცოცხლის ხელყოფა სხვა და სხვა ცნებებია, რომ ადამიანის სიცოცხლის ჩატევა სასამართლო კოდექსის რომელი-

მე მუხლში იგივეა, ჩაამწყვდიო ნიაგარას ჩანჩქერი კასრში...

კანონი ადამიანისათვის და არა ადამიანი კანონისათვის! ამას უზარმაზარი, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნად დიადი კანონიერების დასამკვიდრებლად, რომლისკენაც ყველა ერთნაირად უნდა ილტვოდეს...

ამ მოთხრობაში აღძრულია დანაშაულისა და სასჯელის პრობლემა, რომელიც ასე აღელვებდა, მე ვიტყოდი — აწვალებდა მეცხრამეტე საუკუნის დიდ მწერლებსა და მოაზროვნეებს, რამდენადაც ადამიანის პიროვნული თავისუფლება მჭიდროდ უკავშირდება ზემოთ ნახსენებ პრობლემას.

კანონი და მის საფუძველზე გამოტანილი განაჩენი, სასჯელი უსათუოდ ბოროტებას უნდა ებრძოდეს, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი მოვლენის აღმოსაფხვრელად უნდა იყოს მოწოდებული, მაგრამ, ამასთანავე, არ შეიძლება, ანტიადამიანური მოვლენას წარმოადგენდეს. ერთმა მწერალმა თქვა, განაჩენი, რაც უნდა მკაცრი იყოს, მაინც პატიებააო. შეიძლება ამ ნათქვამის ფარულ მაქსიმალისტურ აზრს, ილია ჭავჭავაძესავით, არ ვიზიარებდეთ, მაგრამ ერთი რამ კი აშკარაა, რომ სასჯელი თავის არსით, გაცილებით ჰუმანური ფენომენია, ვიდრე ზოგჯერ, უკიდურესი გაცხარებისა თუ აღშფოთების წუთებში, გვინდა რომ იყოს, როცა ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი ვენდეტამდე ანდა ლინჩის კანონამდე, რაც თავისთავად, ყველაზე მკაცრი და აშკარა შეხსენებაა იმისა, ადამიანი რომ ცხოველია და მასში ცხოველურ ინსტინქტებს მხოლოდ და მხოლოდ კულტურის დიადი ძალის წყალობით აკავებს და თრგუნავს გონიერება, სათნოება და ცოდნა...

ილია ჭავჭავაძე კიდევ უფრო შორს წავიდა, მას არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო, რადგან ყველაფერზე მეტად ნახევარსიმართლეს ვერ იტანდა და 1907 წელს სახელმწიფო საბჭოს სესიაზე თქვა: „საბუთად მოყვანა იმისა, რომ სიკვდილით დასჯა ამრავლებს თუ აკლებს დანაშაულობას, — არაფერს არ მოასწავებს, [illegible]დანაშაულობის სიმრავლე [illegible] მიზეზებზეა დამოკიდებული"-ო.

ხედავთ, რას ამბობს დიდი მწერალი და ჰუმანისტი — ყველა დანაშაულის მიზეზი უნდა გამოვიკვლიოთო! ე. ი. ზოგჯერ მიზეზი უფრო შემზარავია, ვიდრე დანაშაულიო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ზოგ შემთხვევაში, სახრჩობელაზე მსხვერპლმა და ჯალათმა ადგილები უნდა გაცვალონო!

განა სამაგალითო და საამაყო საქციელი არ არის მწერლისთვის ის ამბავი, რომ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მთელს ქვეყანაში გამეფებული საშინელი რეაქციის პირობებში, როცა სახრჩობელას საშინელი აჩრდილი ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელ თანამგზავრად იქცა — სახელმწიფო საბჭოში, იქვე, მეფის სასახლესთან ახლოს — ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოდის!

გასაკვირი არ არის, რომ მისი სიტყვა, ფაქტიურად, სესიის ოქმებიდანაც კი იქნა ამოღებული და აკრძალა მთავრობის მიერ. ზემოთ მოყვანილი ციტატი ამ სიტყვის გადარჩენილი კონსპექტიდანაა მოყვანილი...

რა შეიძლება ითქვას კიდევ ამ მოთხრობაზე, ძუნწი შტრიხებითა და თითქმის უმარტივესი კონტრასტებით (გაოცებული გლეხი — წითელპერანგა ჯალათი, სუნთქვაშეკრული ხალხი — სახრჩობელას მოქანავე ყულფი!") შექმნილ შედევრზე?

ჩემი აზრით, ალბათ, დროული იქნებოდა გაგვეხსენებინა ერთი თანამედროვე ფილოსოფოსის სიტყვები, პავლე მოციქულის „ეპისტოლესთან" დაკავშირებით რომ თქვა: ის, რა თქმა უნდა, ყველაფერს არ შეიცავს, რაც საჭიროა ადამიანის ხსნისათვის, მაგრამ რაც მასშია გადმოცემული — აუცილებელია ადამიანისთვისო...

ილია ჭავჭავაძე უკიდურესად გამძაფრებული, თითქმის ემოციად გარდაქმნილი აზრის პოეტია. მისი შემოქმე-

დების არქიტექტურა ნათელი, თითქოს ანტიკური სიმეტრიითა და ზვიადი იერით რომ არის აღბეჭდილი, შეიძლება ითქვას, ამოზრდილია ადამიანურ ვნებათა კოცონიდან. ამდენად, მისი პოეზიის შინაგანი ფოლადის კარკასი უკიდურესადაა გავარვარებული და ეს მხურვალება პირველსავე სტრიქონიდან გადმოდის ჩვენს არსებაში, რათა იქ, თვით ჩვენთვისაც კი საიდუმლოებით მოცული უფსკრულების სიჩუმეში აქამდე უიმედოდ ჩანთქმული ჩვენივე საუკეთესო თვისებები გამოაღვიძოს და ჩვენვე დაგვიბრუნოს, გვაჩუქოს, დაგვაჯილდოვოს, რათა გაგვამდიდროს უკეთესი მერმისისა და, საერთოდ, იმის რწმენით, რასაც საკუთარი პიროვნების მნიშვნელობის შეგრძნება წარმოქმნის.

ის ზოგჯერ აშკარა ნათესაობას ამჟღავნებს საბა ორბელიანთან, იმდენად მწერალთან კი არა, რამდენადაც ბრძენ, სასულიერო პირთან, მქადაგებელთან, ოღონდ, მასზე გაცილებით მკაცრია, მრისხანეა, დაუნდობელია სხვისა თუ საკუთარი თავის მიმართ. სიმკაცრით მას ქართულ ლიტერატურაში ვერც ერთი მწერალი ვერ შეედრება, თვით აკაკი წერეთელიც კი, რომელიც, მართლა რომ, თავისი პირდაპირობითა და სიმართლის თქმით გამოირჩეოდა.

„მდინარენიცა განხეთქენ ხორგთა და განაბნევენ თოვლთა და მისცემენ გზათა მებადურთა და განუსვენებენ მესათხეველთა და ანადირებენ თევზთა. შენცა განხეთქე შეშინებული გულისხმა შენი და მიეც მეთევზურთა ქრისტეთა მოციქულთა გზა შენი, რათა ქადაგებანი მათნი შევიდნენ გულად შენდა და ნადირობითა განისვენონ შენთა თანა.

გიხილავსა, ჭადარნი უგრძნობელნი ვითარ განჰყრიან ქერქთა მქისეთა და არა მარადის უტევებენ გვამსა ზედა თვისთა? არცაღა ნერგთა ოდენი ძალი გაქვსა, რათა ცოდვისა შებღალული ქერქი მოიძარცო და ახალი შეიმოსო — ქრისტესმიერი ძალი?

იფემთა უგულისხმოთა რქანი დაეზარდნენ და დაუდიდნენ და დაუმძიმდენ, წლითი-წლად განაგდებენ და არარა იქონებენ და ჩჩვილთა ამოუ[ხე]თქენ. მეცნიერო, შენცა ... დამძიმებული ცოდვა, რომელი განხმელ არს კეთილთაგან, და ამოიხეთქე ახალი რქა თავსა შენსა, ძლევა ქრისტესი, მაოტებელი მტერთა უკეთურთა". — ქადაგებს საბა ორბელიანი, მეთვრამეტე საუკუნის დიდი ქართველი მწერალი, ენციკლოპედისტი, ქართული სიტყვის მწყემსი. ის იყო პირველი მოღვაწე, რომელმაც, როგორც თივის ზვინში — ნემსი, იმდროინდელ არეულ ყოფაში ისე იპოვა გასაღები ჩვენი დახშული სმენისა, დავსილი თვალისა და გაგვაგონა, დაგვანახა სიმშვენიერე, სიმდიდრე და სიძლიერე საკუთარი სულისა, ანუ სიმშვენიერე, სიმდიდრე და სიძლიერე დედა-ენისა — გვაჩუქა წიგნი „სიტყვის კონა", უძვირფასესი, როგორც ფირფიტაზე ჩაწერილი დედის ხმა...

თუკი ვინმეს შეიძლება შევადაროთ ილია ჭავჭავაძე, როგორც მოღვაწე, რასაკვირველია, იგი, უპირველეს ყოვლისა, სულხან-საბა ორბელიანს მოგვაგონებს, ოღონდ, მეთვრამეტე საუკუნეში მცხოვრები, ბერად შემდგარი პოეტი უფრო უბედური იყო, ვიდრე ილია ჭავჭავაძე, რადგან თავისი სათაყვანებელი სამშობლოს მიწა მკერდზე არ დაჰყრია...

ბევრი რამ ისწავლა ილია ჭავჭავაძემ ამ დიდი, სამშობლოსთვის წამებული და თავდადებული მოღვაწისაგან, როგორც უკვე ვთქვი, განსაკუთრებით ბევრი რამ, როგორც პუბლიცისტმა, სწორედ საბა ორბელიანის ქადაგებიდგან აითვისა, მაგრამ თუკი ერთი წუთით ისევ ილიას ხმას მოვუსმენთ, ადვილად დავინახავთ იმ განსხვავებასაც, რომელიც ამ ორი „მქადაგებლის" შემოქმედებას თავისთავადობას ანიჭებს.

ილია ჭავჭავაძის სიტყვა, ამ შემთხვევაში, დაცლილია ყოველგვარი პოეტური რიტორიკისაგან, ორნამენტისაგან, იგი სადაა და მკაცრი:

„სადღა არის ეხლა ქართული ენა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან გვინდოდა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა [illegible]ასალოცავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით აღარ ვცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდ რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინო, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინღა სთხოვს? ჩვენ თვითონ დავცარიელდით გუდაფშუტასავით, ცარიელი სიტყვებიღა გვინდა, ცარიელი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის გვინდა ენა? საერთო სახელი *ქართველი* კერძოობითად გავხადეთ, *მამული* დანეხვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, *პატივი* — ნეხვად, *თავი* — გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ *კაცი* კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ *კაცური* არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?“

ან:

„ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, სადაც საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, სადაც ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა“, სადაც თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, სადაც „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ იშვიათი!“

მისი ფრაზა შეკრულია, შენივთული, ორგანიზებული, მე ვიტყოდი — გაწვრთნილი, როგორც მეომართა მწკრივი, ასეთი ფრაზები აქვთ რომაელ ორატორებს! ყველაფერი მთავარი — აზრი, ცეცხლი, შემართება, თუნდაც ენერგია — შიგნითაა შეტანილი, შემალული, ფარისა და აბჯრის მიღმა, ამიტომაა, რომ მაგნიტური ტალღები (არ ვიცი, რა დავარქვა იმ იდუმალ ძალას, რომელიც ასე ზემოქმედებს მკითხველსა თუ მსმენელზე!) ნაწარმოებიდან შენსკენ კი არ მოედინებიან (ზემოთ უკვე აღვნიშნე ფრაზების რკალისებური მოძრაობა ცენტრისკენ, ფოკუსისაკენ!), არამედ, პირიქით, ნაწარმოების შიგნით, სიღრმეში იტაცებენ შენს გულსა და გონებას, რათა იქ, შენში განაწამებმა ცნობისწადილმა შეძლოს ბოლომდე აღიქვას აზრი პოეტისა, გულისთქმა თუ ზრახვა, რადგან მხოლოდ წამების, ტანჯვის შემდეგ მიიღწევა ის, რაც ყველაზე დიდი შვების მომტანია ამ ქვეყნად — როდესაც შენი სულის მოძრაობა და ფეთქვა სინქრონულად ემთხვევა დიდი, ძლიერი სულის მოძრაობასა და ფეთქვას...

და ასე მოდის, მოედინება თითქოს და ერთფეროვან ფრაზათა მწკრივები, ერთს მეორე ემატება, მეორეს, მესამე და ასე შემდეგ და ყველაფერი ეს იერიშზე გადასულ ჯარს მოგვაგონებს, ჯიუტ, განუწყვეტელ, უაღრესად მიზანდასახულ იერიშს და უეცრად, ამ მოჩვენებით „სამხედრო ერთფეროვნებაში“ გაიელვებს მისი მთავარი ძალა — *აზრი*, მე ვიტყოდი — *წინასწარმეტყველება*, მრისხანე და თვალისმომჭრელი, როგორც ღრუბელში — ელვა...

ისევე როგორც სამრეკლოს ვეება ზარი თანდათანობით, ნელნელა, მაგრამ აშკარა წარმატებით, იმაღლებს ხმას, იძლიერებს საკუთარი ხმის თავბრუდამხვევი, დიდებული, მზარდი ძალით, ასევეა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაც. იქაც ერთბაშად კი არა, ნელნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდები იმ ზღვარს, საიდანაც უკვე იწყება პოეტის სრული ბატონობა შენს გულსა და ფიქრებზე.

და შენ გრძნობ, რომ არსებობს ენის ენა, უფრო სწორად — მუსიკა ენისა, საიდუმლო წიაღი ენისა, მუსიკალური კოსმოსი, საიდანაც იბადებიან სიტყვები! რომელთა ჭეშმარიტი მნიშვნელობის გასაგებადაც აუცილებელია გვესმოდეს, ვგრძნობდეთ განვიცდიდეთ ამ მუსიკასაც, არსებითად, ეს მუსიკა ქმნის და აყალიბებს ადამიანის სულს, რამდენადაც იგი მშობლიური ენის ხმაა.

ყველა ჭეშმარიტ პოეტს თავისი მუსიკალური ქვეყანა აქვს, იმ დიადი, საერთო კოსმოსის — მშობლიური ენის

ნაწილი. ყველა ნამდვილი პოეტის ნაწარმოებში (ამ შემთხვევაში, სულერთია მოთხრობას წერს თუ ლექსს!) ჩარჩენილია ავტორის ცოცხალი ხმა, ჩარჩენილი კი არა, უამხმოდ წარმოუდგენელია მისი შემოქმედება.

როდესაც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებს კითხულობ, ლექსი იქნება, მოთხრობა თუ პუბლიცისტური წერილი, გგონია, გესმის კიდეც მისი ხმა და ეს არის სრულყოფილი ჟღერა, სრულყოფილი გარეგნული მელოდია ენისა. თითქოს საკუთარ სულს უსმენო, აქამდე სადღაც, ბნელ კუნჭულში მორიდებულად მიყუჟულს, ახლა კი ძალამიცემულსა და გათამამებულს დიად, ღვთაებრივ ენერგიასთან დაწყვილების გამო. ეს ან, მართლაც, ზებუნებრივი უნარია, ანდა დედაენის მუსიკალურ პარტიტურაში მოქცეული და პოეტის მიერ ამოკითხული მელოდია ჩვენივე სულისა. მიქელანჯელო, რომელიც სავანაროლას თითქმის არც ერთ ქადაგებას არ აცდენდა, მერეც ხშირად აღნიშნავდა ხოლმე მქადაგებლის ხ მ ი ს უცნაურ ძალას...

ილია ჭავჭავაძის სიტყვები თითქოს უხილავ კედლებს ეხლებიან და ექოსავით უკან უბრუნდებიან მსმენელს. ხ მ ა თითქოს ეკლესიის თაღებში ისმის...

მისი სიტყვა თითქოს რეალურად არსებული საგანია, თითქოს შეგიძლია ფიზიკურად შეეხო, ხელშიც კი აიღო, თუკი, რასაკვირველია, მისი სიმძიმე ხელს არ მოგწყვეტს. განა ყველა ჭეშმარიტი პოეტის დანიშნულებაც ის არ არის, რომ სინამდვილიდან შექმნას სიტყვა?!

შეიძლება ამიტომაცაა, რომ დღემდე ზოგს (მოდი, ნუ დავხუჭავთ ამაზე თვალს) პოეტის შრომა საზოგადოდ და, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ილია ჭავჭავაძისა, აბსურდულადაც კი ეჩვენება, რადგან პოეტი სამყაროს სიტყვებად აქუცმაცებს, რათა იმავე სიტყვებით ისევ სამყაროააშენოს. მაგრამ იმ ზოგიერთს, ვისაც ამ შემთხვევაში ვგულისხმობ და ვინც, სამწუხაროდ, ნებისმიერი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენ[illegible] ლობიდან რჩება ის ძირ[illegible] რომ სიტყვებით პოეტი ა ხ ა ლ, აქამდე ა რ ა ს ე ბ უ ლ სამყაროს აშენებს, დიახ, რაც უნდა ძლიერი იყოს რეალობის იმიტაციის ილუზია. სამყარო, პოეტის მიერ აგებული ქვეყანა, სრულიად ახალია, ცინცხალია, ნამდვილია და... სრულიად უცნობია..

არც სამყაროს სიტყვებად დაქუცმაცებაა ადვილი საქმე, მას ანტიკური მითოლოგიის ფანტაზიის მიერ მოგონილი ტანჯვები თუ შეედრება. ეს ხომ ფაქტიურად სამყაროს ამოხსნაა, ყველა საგნის, ყველა მოვლენის, ყველა სულიერი არსებისთვის სახელის დარქმევაა, ეს არის დიად აღმოჩენათა კომპლექსი ადამიანის ცნობიერების სფეროში...

სინამდვილის ნამსხვრევებითაა შექმნილი ლუარსაბ თათქარიძის სახე, რომელიც ყველა ქართველ მკითხველს, გულის სიღრმეში, რეალურად არსებული პიროვნება ჰგონია. ილია ჭავჭავაძე შეუდარებელი ოსტატია პერსონაჟის პორტრეტის შექმნისა. ეს უძნელეს საქმედ ითვლება სიტყვით მხატვართა შორის და ქართულ ლიტერატურაში თუმცა ბევრი საინტერესო ცდა და მიღწევა არსებობს ამ თვალსაზრისით, ჩემი აზრით, დღემდე მაინც მიუღწეველ სიმაღლედ ითვლება ილია ჭავჭავაძის მიერ დახატული ლუარსაბის სახე, რომელიც, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთგვარ სტერეოტიპადაც კი იქცა ქართველ მწერალთა შორის უქნარა, მუცელს აყოლილი ადამიანის ხატვის დროს. რასაკვირველია, ეს გაუთვალისწინებელი აქტი იყო, მაგრამ, ასეა თუ ისე, მაინც ილია ჭავჭავაძის დიდ მწერლურ გავლენაზე მეტყველებს.

ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი, რომელთა რიცხვსაც ილია ჭავჭავაძე ეკუთვნოდა, ქმნიდა და ქმნის ლიტერატურული ხასიათის ერთგვარ სტერეოტიპს, რომელიც რაღაც მანქანებით, მისი ეპოქის მწერლებისათვის, მისა-

ბაძად თუ არა, ამოსავალ წერტილად, საყრდენ ქვად იქცევა ხოლმე...

მის შემოქმედებაში წამოჭრილ, უკიდურესად აქტუალურ პრობლემების პასუხს ილია ჭავჭავაძე თითქოს ჩვენგან მოელის, ცხოვრებისეულ კითხვებზე პასუხის გაცემას თითქოს ჩვენ გვავალდებულებს: „შენ რაღას იტყვი, მკითხველო?“ — ეს შეკითხვა ბრძენი პოეტისა მუდამ თან დაგვყვება, და, რასაკვირველია, ცოტათი გვაფრთხობს კიდეც, რადგანაც ჩვენგან სრულ პასუხისმგებლობას მოითხოვს ყველაფერზე, რაც კი ჩვენს ცხოვრებაში ხდება. მაგრამ, ამასთანავე, გვწვრთნის კიდეც, რადგან არაფერი ისე არ ზრდის, ისე არ ამაღლებს ადამიანს, როგორც მოვალეობის გრძნობა.

ილია ჭავჭავაძე იმ მცირერიცხოვან პოეტებს ეკუთვნის, ვისაც ერის წინამძღოლობა უკისრია და ამ მძიმე მისიას განუსაზღვრავს კიდეც მისი პოეზიის წინასწარმეტყველური ხასიათი.

სწორედ დიდმა მწერლურმა ნიჭმა აქცია დამაჯერებლად ყველა ბრძნული შეგონება ილია ჭავჭავაძისა. ჩვენ გვჯერა პოეტისა, გვჯერა და უსაზღვროდ მადლიერნი ვართ მისი, რადგან ასე ძალუმად გვაგრძნობინა ჩვენი ნაკლი თუ სიმშვენიერე. ჩვენი არსების წიაღში მინავლებულ ღველფში სულის შებერვით გამოაღვიძა „ნაპერწკალი“ ანუ რწმენა საკუთარი შესაძლებლობისა. რწმენა კი იმდენად არის დიდი, რამდენადაც წარმოშობს ფიქრს მომავალზე, წარმოშობს ოცნებას.

ხვდები, რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რაზე ოცნებობ!..

„მგონი, დიდი გამძლეობა და მსხვერპლია იმისათვის საჭირო, რათა უარი თქვა შენი შრომის ნაადრევ და მიმზიდველ ალიარებაზე და დაუცადო მომავალს, თუმცა გვიანს, მაგრამ საფუძვლიან შეფასებას“, — ეს იმანუელ კანტის სიტყვებია, ასე რომ უხდება და ესადაგება ილია ჭავჭავაძის პიროვნულ ხატს. „დიდი გამძლეობა და მსხვერპლი“ — წინასწარმეტყველთა ამქვეყნიური ხვედრია, ხორცის დათრგუნვაა სულის სადიდებლად, სულისა, რომელსაც მომავალში მოუწევს ცხოვრება. სული ეს თავად მომავალია ჩვენს არსებაში შემოხიზნული და როგორ მოვეპყრობით მას — გალიაში ჩავსვამთ თუ საკუთარი ოცნების ფრთებს გამოვაბამთ — ამაზეა დამოკიდებული, როგორი ვიქნებით ჩვენ, როგორი იქნება ჩვენი ამქვეყნიური არსებობა.

ილია ჭავჭავაძეს ახასიათებდა რელიგიური რეფორმატორის, ანბანის შემქმნელისა და გუთნისდედის უბრალოება. მხოლოდ ასეთმა მაღალმა უბრალოებამ შეიძლება წარმოშვას ასეთი შედევრი:

„ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალი ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“

ჩვენი ლიტერატურის ისტორია ერის ცხოვრების ისტორიაა, სადაც ასე მჩქეფარედ, მხურვალედ და შეუჩერებლად მოედინება ხალხის უკვდავი სისხლი, რომლის მძლავრი გუგუნი გვახსენებს და გვაფრთხილებს — თვალის ჩინივით მოვუაროთ ჩვენს ენას, ჩვენს სულსა და ჩვენს ოცნებას...

და ეს დიდებული ცხოვრება ხალხისა, წამებული წინასწარმეტყველის ძალისხმევის წყალობით, წინასწარმეტყველისა, რომელმაც ხალხს ოცნება აჩუქა, მიმართულია მომავლისაკენ, ანუ უკვდავებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ილია ჭავჭავაძე**

## გუთნის-დედა

„გადი-გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარო“.

ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი,
ბელტი ბელტზედა გადმოვაწვინოთ
და შრომის ოფლი მიწას ვაწვიმოთ.
ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:
მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;
შენებრ მეც მელის მიწა ვით მსხვერპლსა,
სიკვდილის შემდეგ დასავიწყელსა.
შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი!?.
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?
აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომე აჩეჩოს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?
შენ ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!..
აჰ, მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი.
მაშ რა გაღონებს?.. გასწი ჭაპანსა
და გაიტანე გუთანი ბოლოს,
ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!..

4 ივნისი, 1858 წ. პეტერბურგი.
(ბოლო რედაქცია 1863 წ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

# დიდი გაკვეთილი

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიას არ ჰყავდა დავით აღმაშენებლის შემდეგ მეორე მოღვაწე, რომელსაც ილია ჭავჭავაძის ტოლი ამაგი დაედოს სამშობლოს აღორძინებისათვის.

ილიამ თავისი მრავალმხრივი შემოქმედებითა და პრაქტიკული საქმიანობით ქართველ ხალხს აღუდგინა და განუმტკიცა რწმენა საკუთარი ძალებისადმი.

ილია ჭავჭავაძე იყო ერთი უპირველესთაგანი იმ მოღვაწეთა შორის, რომელთაც მშობელ ხალხს შეუქმნეს აწმყო და მომავალი. თავის ღირსეულ თანამებრძოლებთან — აკაკი წერეთელთან, ვაჟა-ფშაველასთან, იაკობ გოგებაშვილთან ერთად მან უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი ხალხის ეროვნულ გამოფხიზლებაში.

ილიას დრო ხალხების დიდი მოძრაობისა და მღელვარების დრო იყო: ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის იმპერიის ხალხები ჰაბსაბურგებისა და რომანოვების თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იბრძოდნენ და ამ „ხალხთა საპყრობილეების“ დასამხობად განუწყვეტელი იერიში მიჰქონდათ.

ევროპის ამ ორი ჟანდარმის წინააღმდეგ დაწყებულ საღვთო ბრძოლის წინა ხაზზე პოეტები იდგნენ და ხალხს არა მარტო სიმღერებად ქცეული მათი ლექსები მიუძღოდა ბარიკადებზე, თავადაც პირველნი ეგებოდნენ მათი სამშობლოს თავისუფლების წინააღმდეგ ამართულ ხიშტებზე.

ჩაგრულ ხალხთა ამ გმირულმა ბრძოლამ წარმოშვა პოეტის ახალი ტიპი — აგიტატორისა და მომღერლის, თავისუფლების მქადაგებელი პოეტისა, ტიპი სამშობლოს ჯარისკაცი პოეტისა.

პოეტის ეს ტიპი საყოველთაო გახდა ყველა გაქელილი, მაგრამ გამოფხიზლების გზაზე დამდგარი ერისათვის — უკრაინისა და პოლონეთისათვის, უნგრეთისა და ბულგარეთისათვის, სომხეთისა და საქართველოსათვის.

ილია ჭავჭავაძე იყო პოეტთა ამ მოდგმის ღირსეული წარმომადგენელი. მან ყველაფერი — თავისი კეთილდღეობა და პირადი ბედნიერება, და ბოლოს, სიცოცხლეც მშობელი ხალხის ეროვნული და სოციალური გათავისუფლების საქმეს ანაცვალა და მის წმინდა სამსხვერპლოზე მიიტანა უყოყმანოდ და უდრტვინველად.

შვილს ისეთი ჩაგრული ერისა, როგორიც საქართველო იყო, მუზების სამსახურის გარდა, სხვაც ბევრი ეროვნული საქმე უნდა ეტვირთა და თავისი დიდი ნიჭი და ენერგია ზოგჯერ შავ სამუშაოზე უნდა დაეხარჯა. ამით „განდეგილისა“ და „კაცია ადამიანის?!“ ავტორმა ცოტა როდი დააკლო თავის შემოქმედებას, მაგრამ მან სწამდა და სჯეროდა, რომ ყველაფერი, რაც სამშობლოს აღორძინებისა და თავისუფლებისათვის კეთდებოდა, დროისა და

ძალის ფლანგვა სულაც არ იყო და მშობელი ხალხის მომავლისათვის მიტანილი ყოველგვარი მსხვერპლი წმინდად და გამართლებულად ჩაეთვლებოდა.

ილია ჭავჭავაძე სამართლიანადაა აღიარებული ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლად, ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამამკვიდრებლად.

ილია ჭავჭავაძე არაერთხელ ავტორიტეტულად გამოსულა ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების, ქართული ენისა და კულტურის თავგამოდებულ ქომაგად და დამცველად რუს შავრაზმელთა, შოვინისტგამყალბებელთა და გადაგვარებულ კოსმოპოლიტ ხელმყოფელთაგან.

ილიას წერილები ისტორიის, ენათმეცნიერების, არქეოლოგიის საკითხებზე ამ დარგების მაშინდელი განვითარების საუკეთესო დონეს შეესაბამებოდა და ამიტომაც იწვევდა ივანე ჯავახიშვილის აღტაცებას ჩვენს დროში.

დიდი მწერალი უსაზღვროდ შეყვარებული იყო მშობლიურ ენაზე, მთელი თავისი შემოქმედებით მის გამშვენიერებაზე ზრუნავდა. ასაბუთებდა ხალხის სამეტყველო ენასთან სალიტერატურო ენის დაახლოვების აუცილებლობას და მოთხოვნილების შესაფერისად თავადაც ბევრი, ახალი ფრაზეოლოგიურ-ლექსიკური ერთეული შექმნა, რომლებიც სამუდამოდ დამკვიდრდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ-მამასაც არ დავუთმობთ ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“, — წერდა ილია ჭავჭავაძე.

ილიასვე ეკუთვნის ეს შესანიშნავი სიტყვებიც: „ენა არის არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მგონია ვისმე სხვას ამაზე უკეთ გამოეხატოს ენის აზრი და დანიშნულება. ეს მშვენიერი და უაღრესად ტევადი ფორმულა, სწორედ იმ ხალხის შვილს უნდა ჩამოეყალიბებინა, რომელიც არაერთხელ მდგარა დაღუპვის პირას, მაგრამ ენა შეუნარჩუნებია, ნგრევისა და დევნის ქარცეცხლში გამოუტარებია და საბრძოლო დროშასავით მოწიწებით გადმოუცია შთამომავლობისათვის.

იმ ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ბრძოლის წინა ხაზზე გაატარა, რომელმაც თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე დაგმო მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება, საკუთარ ლოგინში სიკვდილი ალბათ არ ეწერა.

ილიას ცხოვრების გზის ბუნებრივი ბოლო, მტარვალების წინააღმდეგ ბრძოლაში სიკვდილი, სამშობლოს მტრების წინააღმდეგ პირისპირ ბრძოლაში დაცემა იქნებოდა.

ჩვენს სამშობლოს და მის უდიდეს შვილს ბედმა არ გაუღიმა, ილია ჭავჭავაძემ შანდორ პეტეფისა და ქრისტო ბოტევის ტრაგიკული, მაგრამ დიდებული ხვედრი გაიზიარა.

ილია სწორედ ასეთ ხვედრზე ოცნებობდა, როცა იგი პეტერბურგის სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობდა, როცა „მესმის, მესმის“ წერდა და გარიბალდის ვოლონტერად წასვლას აპირებდა.

ილიას მოწამებრივმა სიკვდილმა დიდი როლი ითამაშა ქართველი ხალხის გამოფხიზლებასა და კონსოლიდაციაში, მან კიდევ უფრო ნათლად დაინახა თავისი წინამძღვრის გზის სისწორე და სამშობლოსათვის გაღებული მსხვერპლის სიდიადე.

ჩვენი დროის უდიდესმა ქართველმა პოეტმა გ. ტაბიძემ შესანიშნავად შეაფასა თავისი დიდი წინაპრის ვერაგულად მოკვლის მნიშვნელობა ქართველი ხალხისათვის:

წაწამურში რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი...

დროის გამოცდა ყველაზე დიდი გამოცდაა, ხოლო დიდი ადამიანის ცხოვრება — ყველაზე დიდი გაკვეთილი.

დიდი მწერლისა და ჰუმანისტის, ადამიანთა, ხალხთა თანასწორუფლებიანობის მქადაგებლის — ილია ჭავჭავაძის შემოქმედება დღეს მილიონობით არაქართველთათვისაც ხელმისაწვდომი გახდა.

ახლა, როცა ილიას იუბილეს ჩვენთან ერთად მთელი საბჭოთა ქვეყანა ზეიმობს, და როცა მისი ღვაწლის ნაყოფი ყველასათვის თვალსაჩინოა, მადლიერ შთამომავლობას შეუძლია სიამაყით განაცხადოს, რომ ასრულებულია მისი უკვდავი შვილის ნატვრა:

დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინია,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან, ასრულა მან თვისი ვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

## ლოცვა

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ-წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე. — არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

17 ივლისი, 1858 წ.
ტიარლევო.

## როდემდის

როდემდის უნდა ჩვენ არ ვცნობდეთ სიცოცხლის ფასსა?
როდემდის არ ვსცემთ ღვთიურს ნიჭსა ღირსსა თაყვანსა?
მის ყოველ წუთსა სიფრთხილითა რატომ არ ვხარჯავთ
და მის აქ ყოფნას ამაოებად რისთვისა ვსახავთ?
ძრწოდე, სულელო! ნუთუ ქრისტეს არ სცნობ სიტყვათა,
ნუთუ შენს თავსა მტვრითა შექმნილს ჰხედავ კვლავ მტვრათა,
და შენს პიცოცხლეს, ამ უკვდავ ნიჭს, მტვრის თანამგზავრად?
რომ მარტო მისთვის იგი არ გაქვს. ქრისტემ სთქვა ცხადად...
ნუთუ არ იცი, რას გამცნებდა ღმერთი ჯვარცმული,
როს ბრძანა: „ვითა მამა ზეცის, იყავ შენც სრული“.

1 აგვისტო, 1858 წ.
ტიარლევო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: ალასრულა მან თვისი ვალი;

რომ ჩემს საფლავზედ დაყუდებულმან
ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან,
გულწრფელობითა და სიმართლითა,
მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმის ხმითა:

იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!
შენ გიცოცხლია ,როგორც უნდოდა;
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან — ჩრდილში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

19 ნოემბერი, 1858 წ.
პეტერბურგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ტიხონოვი

# დიდი მწერალი—პატრიოტი

როდესაც მე ვფიქრობ ილია ჭავჭავაძის საოცარი პიროვნებისა და იმ უზარმაზარი შრომის შესახებ, რომლითაც აღვსილი იყო მთელი მისი შეგნებული დიდი ცხოვრება, ვცდილობ, წარმოვიდგინო ის რეალური გარემოცვა, რომელშიაც მას მოღვაწეობა უხდებოდა.

მე ვხედავ მას გლეხთა შორის, რომელთა ცხოვრებას ის ზედმიწევნით იცნობდა მათი ყოველდღიური გასაჭირითა და საზრუნავით, ზრახვებითა და იმედებით. მე ვხედავ მას მთის მივარდნილ ბილიკებსა და გზებზე, სადაც პოეტს ხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც შემდეგ მისი პოემებისა და მოთხრობების გმირებად იქცევიან. მე ვხედავ მას სახლში და ყანაში, იქ, სადაც ბატონყმური წყობილება ჩაგრავს და თავის გაჩენის დღეს აწყევლინებს ადამიანებს.

მე ვხედავ მას პეტერბურგის სტუდენტთა წრეებში, სადაც ყველაფერი დუღს და აღშფოთებულია დრომოჭმული რეჟიმით, სადაც ყველაფერი გამოსავალს პროტესტში ეძებს; იბრძვის ახალი ადამიანისათვის, იბრძვის თავისუფლების ახალი მონაპოვრისათვის. შემდგომში ის თვითონ იტყვის: „ოთხი წელიწადი! იცით, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა წელიწადია! ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების სადირკველია. ცხოვრების წყაროს სათავე, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევინოს“.

მე ვხედავ მას თბილისში, თავისი მეგობრების, ქართველი ერის ერთგული შვილების მხარდაჭერით, თავისი ამაღლებული გონებისა და დიდი გულის ძალას ახმარს საყოველთაო წერა-კითხვის გავრცელებას, ინტელიგენციის საუკეთესო ძალების განვითარებას, ბრძოლას ბატონყმობის წინააღმდეგ, რომლის გადმონაშთები ღრმად არის აღბეჭდილი ცარიზმის პოლიციური პოლიტიკის მორჩილ მომხრეთა შეგნებაში.

მე ვხედავ მას საგურამოში, მუდმივი შრომით, შემოქმედებითი პოეტური ენერგიით გაჟღენთილ ატმოსფეროში. ლიტერატურული მოღვაწეობის მრავალ დარგში გამოჩენილი მომუშავე იღებს ყველას, ვისაც კი უხდება მასთან შეხვედრა. დასვენების ჟამს იგი გამოდის ფართო აივანზე, საიდანაც იშლება მისთვის ესოდენ ახლობელი ქართული პეიზაჟი — მშობლიური ტყეების, მთების, ველების, მდინარეების განუმეორებელი სამყარო.

გაზაფხულზე ეს მთები ცისფრადაა დანისლული და აყვავებული ბაღები ვარდისფრად ათრთოლებულია. შემოდგომაზე, ცისარტყელასავით ბრწყინავენ შემოდგომის მზით ცეცხლმოკიდე-

ბული ფოთლები. ზამთრობით იგი მქაფიოა, როგორც ოსტატურად ჩინური მელნით გამოყვანილი ნახატები წუთიერად მზით განათებული თეთრად მოქათქათე დაბლობისა, რომელსაც წელიწადის ყველა დროს დიადი მთაგრეხილები დაჰყურებენ და გუშაგივით თავზე ადგას მარადიული თოვლით დაფარული ყაზბეგი. მყინვარის ფერხთით კი ფაფარაყრილი, გაუმაძღარი, თავისუფლებისმოყვარე თერგი გაათრებული ბობოქრობს, თერგი, რომლის შესახებაც მან თქვა: „თერგი სახეა ადამიანის გალვიძებული ცხოვრებისა, ამაღელვებელი და ღირს-საცნობი სახეც არის; იმის მღვრიე წყალში ჩანს მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა".

ერთხელ ილია ჭავჭავაძე ღრმად დააფიქრა ამ მძვინვარე მდინარის სანახაობამ. მან დაინახა, რომ იგი ზუსტად და სრულად გამოხატავს მის ზრახვებსა და ფიქრებს, „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი".

აი, პოეტი თავისი სახლის მაღალი აივნიდან თვალს ავლებს არემარეს და შორს, სადღაც ხეობის სათავეს ხედავს მსუბუქ ნისლში გახვეულს, აქედან ოდესღაც ბნელმა მთიელმა მხედრებმა მოიტაცეს ქართული ლიტერატურის იმედი და მშვენება — ჭაბუკი დავით გურამიშვილი, რომელიც ოდესღაც აქვე, ილია ჭავჭავაძის სახლის ახლოს, საგურამოს მთაზე ცხოვრობდა.

მაგრამ თვითონ ილიას მოტაცებაც შეეძლოთ ბნელ ძალებს. მათ შეეძლოთ მოეტაცათ მისი სული, მისი ნიჭი, მისი დიადი ცხოვრება, მათ რომელთაც არ სურდათ გამოთხოვებოდნენ წარსულს, გამოთხოვებოდნენ კაცთმოძულე ცხოვრებას. ესენი იყვნენ ხალხის დიდი და პატარა, უმაქნისი, შინაგანად გამოფიტული მჩაგვრელები, საშინელი თავისი სიძულვილით ყველასადმი, ვინც კი იბრძოდა პატიოსნებისათვის, ადამიანის ღირსებისათვის, ახალი დროებისათვის.

მან უწოდა მათ თავადი ლუარსაბ თათქარიძე, კნეინა დარეჯანი, მაგრამ ისინი კიდევ არ იყვნენ უმთავრესი წარმომადგენლები იმ ბნელი ძალებისა, რომლის წინააღმდეგ მან დაიწყო ძნელი და ხანგრძლივი ბრძოლა. ისინი ბევრნი იყვნენ — ახალგაზრდები და მოხუცები — და თავს ცხოვრების ბატონპატრონად თვლიდნენ, მაგრამ ხალხისათვის იმდენი უბედურება მოჰქონდათ, რომ მათი ატანა შეუძლებელი ხდებოდა. შეუძლებელი ხდებოდა აგრეთვე მათი ადვილად დაძლევაც, რადგან მეფის რუსეთის პოლიციური რეჟიმი მთლიანად მათ მხარეზე იყო.

მაგრამ ილია ჭავჭავაძეს ემხრობოდნენ საქართველოს მთელი ახალგაზრდა ძალები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. მას ემხრობოდა მომავალი, რომლისაც მას სწამდა, სწამდა მთელი გულით. სწამდა, რომ მომავალი შეაფასებდა სიცოცხლის დამთრგუნველებთან, ხალხების ჯალათებთან შეუპოვარი ბრძოლის შედეგებს.

აღწერდა რა იმ წარმატებებს, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნემ მოგვცა ადამიანის განთავისუფლების საქმეში, ლაპარაკობდა რა იმის შესახებ, რომ ამ საუკუნემ შექმნა ახალი იდეალი — მოსპოს ქონებისა და შემოსავლის არათანაბარი განაწილება, მოსპოს ყოველგვარი კლასობრივი ჩაგვრა, შეძლებისდაგვარად კლასობრივი განსხვავებაც და დაადგინა მშრომელი კლასების დახმარებისა და მხარდაჭერის უფლება, ილია ჭავჭავაძე ამბობდა: აქ არის სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუნეს.

ამიტომ პარიზის კომუნის დაცემის დღე მისთვის იყო დამარცხების დღე იმ დიდი სიყვარულისა, რომელიც თავისი წამებულთა სისხლით ამტკიცებდა ადამიანის განთავისუფლების წმინდა საქმეს.

კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შედგნენ ძალნი
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი.

„კაცია-ადამიანი?!“ — კითხულობდა ილია ჭავჭავაძე, როდესაც უმზერდა ცხოველურ ჩარჩოებში მომწყვდეულ მუქთახორა მემამულეს, რომელიც ლორის თვალებით უყურებდა ადამიანურ უფლებებს მოკლებულ ხალხს.

მაგრამ განა მხოლოდ ეს ველური და საზიზღარი სახე ტანჯავდა პოეტის წარმოსახვას? პარიზის კომუნის ჯალათებიც ხომ ტირანების იმავე სამყაროს ეკუთვნოდნენ.

მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ტირანთაგანი იყო ცარიზმი თავისი ჟანდარმებით, მთელი თავისი პოლიციური ძალით, რომელმაც თოკებითა და ჯაჭვებით შებოჭა სიცოცხლე.

ადამიანი უნდა აჯანყებულიყო, ადამიანს უნდა ეგრძნო, რომ ის მარტო არ არის ბრძოლაში. ჩვენ, რუსებს, სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, პეტერბურგში გატარებული ის ოთხი წელი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ცხოვრების საძირკვლად თვლიდა, არ იქნებოდა ესოდენ მნიშვნელოვანი, რომ არ ყოფილიყვნენ დიდი მეგობრები: ბელინსკი, ჩერნიშევსკი, გერცენი, დობროლუბოვი, რომელთა ხმები ძლიერად ქუხდნენ, ნაცვლად იმ დუმილისა, რომელიც ხელისუფლებას სურდა გაემეფებინა ქვეყანაზე.

ის ისმენდა ამ ხმებს, ერკვეოდა ეროვნული და ზოგადკაცობრიული ინტერესების რთულ ხლართებში, ოფიციალური ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, სხვა თვალით უყურებდა მშობლიური ხალხის ისტორიას. მან თავის თავში იპოვა ძალა, რომლითაც შეეძლო მთელი სიცოცხლე ევლო დინების საწინააღმდეგო ახალი გზით, შეეძლო ყოფილიყო დაუღალავი პატრიოტი, მოწინავე მწერალი, შეჰხებოდა მშრომელი ქართველი ხალხის ყველაზე საჭირბოროტო საკითხებს.

არის დრო, იბადება მწერალი, რომელშიც ხალხი არა მარტო აერთიანებს ეროვნული ხასიათის ნიშნებს, არამედ თითქოს ანიჭებს უფლებას ყველაზე ნათელი, მისაწვდომი და განუმეორებელი ფორმით გამოთქვას საკუთრად ხალხის აზრები. ქართულ ლიტერატურაში ასეთი მოვლენა უეჭველად იყო ილია ჭავჭავაძე.

მრავალმხრივი ნიჭი საშუალებას აძლევდა მას ყოფილიყო გამოჩენილი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. გარდა ამისა, ის იყო ისეთი ბუმბერაზი საზოგადო მოღვაწე, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების საქმეში მისი ღვაწლისათვის შეგვიძლია ვუწოდოთ პროგრესული ქართული ინტელიგენციის გული, მშრომელი ხალხის დიდი მეგობარი.

მის ნაწარმოებთა მნიშვნელობა, ჩემი აზრით, კიდევ იმაშია, რომ საქართველოს ეროვნულ საგანძურში წარსულსა და მომავალს ისინი ხალხის ბედის, ხალხის გენიის ბრწყინვალე ძლიერი რწმენით აკავშირებენ.

„ჩვენი ისტორია ომების და მეფეების ისტორიაა, ერი არსად არ ჩანს. მე კი ასეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს სულაც. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს“, — ამას ამბობს „ქართლის ცხოვრების“ შესახებ ილია ჭავჭავაძე, რადგანაც ხალხის ზნეობრივი სახე, მისი სულის სილამაზე, მისი გონების ძალა, მისი შრომის უნარი და მოუქანცველობა მუდამ ცოცხლობდა მწერლისათვის და ხალხის თავისუფლებისმოყვარეობა საუკუნოვანი ჩაგვრით არ იყო მოკლული. ხალხი შესანიშნავი სიმღერების, თქმულებების, ზღაპრების შემოქმედია, ხალხს უყვარს მხიარულება, სიხარული, შეგნებული აქვს საკუთარი თავის მნიშვნელობა, უყვარს სამშობლო მიწა, იბრძვის მის დასაცავად.

ილია ჭავჭავაძე რეალისტია. მას მშვენივრად ესმის, რომ ამ პოზიციას არ იზიარებენ ისეთი ადამიანებიც კი, როგორიც იყვნენ მის მიერ დახატული არჩილი და კესო, რომელნიც მასავით დაბრუნებულან რუსეთიდან, მასავით შეჰხებიან დიდი რუსი დემოკრატების იდეებს. ისინი საკუთარმა გლეხებმაც კი „კარგ ადამიანებად“ აღიარეს, მაგ-

რამ გლეხებმა არ იციან, რას ლაპარაკობენ მათ შესახებ ეს, საკუთარი ხალხით შეშინებული, ინტელიგენტები. ისინი ამბობენ: „ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია, მე მისგან. მე დაკარგული მენანება, მებრალება და არ მემართლება კი. გლეხი უწმინდურია თავის ტყაპუჭით კი არა, ზოგჯერ თავისი გულითაც...

...ადამიანობით ისინი ჩვენზე უარესნი არიან. გლეხ-კაცისთანა გაუტანელს, გლეხ-კაცისთანა შეუბრალებელსა და უმადლოს ძნელად თუ ჰნახავ სადმე“...

ილია ჭავჭავაძისთვის არასოდეს არ უღალატია რწმენას ადამიანისადმი. იგი მოითხოვდა სამსახურს საზოგადოებრივი სიმართლისათვის, ქართველი ხალხის თავისუფალი ცხოვრების აღდგენის იდეისათვის. პოემა „განდეგილში“ მან მკაფიოდ დაასაბუთა ხალხისაგან თოვლში და ყინულში გაქცევის არაბუნებრიობა. განდეგილის ეგოისტურ, განდგომილ ცხოვრებას არ აქვს არავითარი გამართლება, ადამიანი ცოცხლობს ხალხისათვის ბრძოლაში, ცხოვრობს ხალხის წიაღში, იზიარებს მის ბედს თუ უბედობას, და ხელოვნებაში ხედავს ნათელ მიზანს — ასახოს ხალხის ცხოვრება, მის ყველაზე უფრო მართალ, ფერადოვან ძლიერ გამოხატულებაში, შექმნას დიდი, ღრმად ცხოვრებისეული ხასიათები, როგორიცაა გლახა („გლახის ნაამბობი“), როგორიცაა ოთარაანთ ქვრივი, როგორიცაა მისი ვაჟი გიორგი, როგორიცაა კაკო ყაჩაღი.

რეალისტური ლიტერატურის ამ პრინციპების მტკიცე თანმიმდევრობა აკავშირებს მას რუსულ ლიტერატურასთან. ეს არის დაურღვეველი, საუკუნო კავშირი საქართველოსა და რუსეთის მეგობრობისა, საქართველოსა და რუსეთის კულტურული თანამშრომლობისა. შემთხვევითი როდი იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ ასეთი სიყვარულით, ასე შესანიშნავად თარგმნა პუშკინის ლექსები. და რასაკვირველია, „წინასწარმეტყველი“ მისთვის განსაკუთრებული ძალით უნდა აღ[illegible]ებულიყო.

ეროვნული

ის ხომ ხედავდა [illegible]ნათესაობას, რომელიც აახლოებდა ერთმანეთთან ისეთ პოეტებს, როგორიც იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი და მიხეილ ლერმონტოვი. საერთოდ კი, დიდი რუსი მწერლები საქართველოსათვის შეუმჩნევლად არ დარჩენილან. ქართველმა ლიტერატორებმა დაინახეს მათი გმირული ლიტერატურული ღვაწლი, მათი ბრძოლა რეალისტური საფუძვლებისათვის, ადამიანის ხასიათის ღრმა გაგება, რამაც ტოლსტოისა და დოსტოევსკის ქმნილებათა საშუალებით შეარყია ევროპული სამყარო.

ილია ჭავჭავაძე აღიარებდა რუსული ლიტერატურის წამყვან როლს და იმ გავლენას, რომელიც მან იქონია ქართული საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე და თავისი დაღი დაამჩნია აზრებს, ფიქრებსა და გრძნობებს. მაგრამ ეს გავლენა სრულებითაც არ ზღუდავდა ქართულ აზროვნებას, პირიქით, უბიძგებდა მას ახალი ძიებისაკენ, ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ.

იმ წლებში ილია ჭავჭავაძე — აკაკი წერეთელთან ერთად — გვევლინება საქართველოში ყოველგვარი პროგრესული და ადამიანური უფლებებისადმი მებრძოლი ძალების ბელადად. მისდამი ფართო მასების სიყვარული და პატივისცემა ცუდად შენიღბულ გულისწყრომას იწვევდა რეაქციონერებისა და მეფის სატრაპების მხრივ.

მას თითქმის ნახევარი საუკუნე მოლოდ ეჭირა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა. ახალი ქართული დემოკრატიული მწერლობის დროშა. მას, შესაძლოა, ჰქონდა სხვადასხვა უტოპიური წარმოდგენები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო უკვე სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში განხორციელებულ ხალხის იდეალებთან. ზოგჯერ ის ცდებოდა, როგორც შეიძლება შეცდეს ყოველი დიდი საზოგადო და ლიტერატურული მოღვაწე, მაგრამ იგი არ ცდებოდა ქარ-

თული დემოკრატიული მწერლობის გამარჯვებაში, ხალხის მჩაგვრელებზე გამარჯვებაში.

და დღეს, როდესაც მოწიწებით მადლობას ვუხდით დიდ მწერალს მისი ძლევამოსილი შრომისათვის, ადამიანის მიმართ მისი კეთილი ზრახვებისათვის, მოწინავე კაცობრიობის საქმისადმი მისი მგზნებარე ერთგულებისათვის, რუსულ ლიტერატურასთან და რუსულ პროგრესულ საზოგადოებრიობასთან მისი მეგობრობისათვის, ადამიანს, რომელმაც დააკავშირა ქართველი და რუსი ხალხები, — ჩვენ უნებლიეთ ვეშურებით მისი სამშობლოს იმ ადგილებისაკენ, რომლებიც მან აღწერა თავის პოემებში, ლექსებში, მოთხრობებში. ჩვენ ვხედავთ, რა საოცრად შეიცვალა საქართველო, რა დიდი სიყვარულითა და მადლიერებით უფასებს ამაგს თავის დიდ შვილს ქართველი მშრომელი ხალხი თავდადებული, ხანგრძლივი, დიდებული სამსახურისათვის.

ბნელმა ძალებმა ვერაგულად დაღვარეს მისი სისხლი, მაგრამ ის სისხლი დაიღვარა იმ მიწაზე, რომელსაც მან მისცა მთელი თავისი სიყვარული, ეს სისხლი ნათელ მოგონებად ბრწყინავს ხალხის ხსოვნაში, ეს სისხლი მარადიულ ცეცხლის ალად ინთება დიდებულ საფლავზე, რათა მომავალ თაობებს გაუნათოს გზა კიდევ უფრო დიადი მომავლისაკენ, რომელსაც მოწინავე კაცობრიობა აშენებს შრომისა და მსხვერპლის დაუზოგავად.

1957 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

# ქართვლის დედას

აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა.
**ლეიბნიცი.**

ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...
გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა,
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.
მითხარ, — სადღაა მამა-პაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?
მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, —
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებ ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს,
დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.

15 დეკემბერი, 1858 წ.
პეტერბურგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჭელიძე

# წინაპართა აჩრდილები

მთელს დიდსა და ძნელს ისტორიაში ჩვენი ერის არსებობისა ალბათ იშვიათად მოიძებნება მეორე შემთხვევა, როცა უკიდურესი განსაცდელის ჟამს ხალხს ისეთი ქომაგი და მხსნელი მოვლენოდეს, როგორიც ილია ჭავჭავაძე იყო. თითქოს მართლაც ზენაარმა მოუვლინა იგი თავის ქვეყანას. „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის — მიწიერი ზეციერსა". ამას მხოლოდ განგებით მოვლენილი ეტყოდა თავის ხალხს.

და იქვე დაბეჯითებით იმეორებს — თითქოს იმიტომ, რომ თავი დაირწმუნოს და სიმტკიცე შეიმატოს, რაც უსათუოდ დასჭირდება ასეთი მისიით მოვლენილს—„ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა".

რა საოცრად ჰგავს ეს შემაძრწუნებელის სიცხადით დახატულს სურათს განმარტოებულ მთაზე ღმერთთან მოლაპარაკე ადამიანისა.

როცა დიდ მოღვაწეებზე ლაპარაკობენ, ადამიანებს პარალელების გავლება უყვართ, და ამას თავისი საფუძველი აქვს: ასე უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩნდება სიდიადე შემოქმედისა თუ მოღვაწისა. და როცა მოვინდომე პარალელი მომეძებნა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისათვის, ჩემს თვალწინ გამოიკვეთა მონუმენტური ფიგურა გრიგოლ ხანძთელისა. იქნებ სუბიექტურია ეს, მაგრამ მაინც მგონია, რომ ამ შედარებას საფუძველი აქვს.

გრიგოლ ხანძთელს ბედმა თუ განგებამ მაშინვე მოუვლინა მეისტორიე. ილია ჭავჭავაძე კვლავ ელის ღირსეულ მეისტორიეს. ამას რომ ვამბობ, მე სულაც არ მინდა ჩრდილი მივაყენო რამდენიმე კარგ გამოკვლევას. მაგრამ ეს ხომ მისი დიდი ცხოვრების სრული ასახვა არ არის. თუმცა უმთავრესი ღვაწლი გრიგოლ ხანძთელისა ვერც მისმა მეისტორიემ მიგვანიშნა. ეს მას ალბათ არც შეეძლო, ეს შორიდან ჩანს უფრო ცხადად და გამოკვეთილად. ისტორიკოსი ერთი რამით უნდა ჰგავდეს პოეტს — გაბედულებით და აღსაწერი მოვლენის ფართო მასშტაბური წარმოსახვით. გრიგოლ ხანძთელს ბედმა არგუნა საფუძველი ჩაეყარა განადგურების პირას მისული სამშობლოს აღორძინებისათვის. ვინც იმდროინდელი საქართველოს ცხოვრებას გაეცნობა და ამ თვალთახედვით შეხედავს ხანძთელის მოღვაწეობას, ეს მისთვის აშკარა გახდება.

ხანძთელმაც, როგორც უგვირგვინო მეფემ, ხალხის სულიერი ამაღლებით იწყო აღორძინება და გაერთიანება დარღვეული ქვეყნისა — მას სხვა იარაღი არ გააჩნდა, იგი ფეხშიშველი დადიოდა სოფელ-სოფელ (ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, მტრისაგან ნაცარტუტად ქცეულ და მტრისგანვე გავრცელებული საშინელი სენით გაუკაცრიელებულ ნასოფლარებში), რათა სამხრეთ საქართველოდან მთლიანი საქართველოს აღორძინებისათვის ჩაე-

ყარი საფუძველი.

მოგვიტევოს მისმა ნათელმა, თუ ვცდებოდეთ, მაგრამ ხანძთელის მოღვაწეობა უფრო ადვილიც ჩანს.

ილია ჭავჭავაძის დროს ჩვენს ხალხს უფრო დიდი საშიშროება ელოდა, მისი ქვეყანა კიდევ უფრო დაროვეული და დაცემული იყო. დიდი რისკის ფასად მოპოვებული სიმშვიდე მოჩვენებითი მშვიდობა იყო — მას ხალხის სულიერი დაცემა და გადაგვარება მოჰყვებოდა. და როცა მოღვაწეობის ასპარეზზე გამოდიოდა, ილია ჭავჭავაძეს უფრო მეტი საფუძველი ექნებოდა სასოწარკვეთისა, ის რომ განგებით მოვლენილი არ ყოფილიყო — ღმერთთან სალაპარაკოდ და ერის წასაძღოლად...

მე, ისე როგორც ალბათ ბევრს ჩვენს თანამედროვეს, შესწავლილი მაქვს ის ეპოქა, რომელშიაც ილია ჭავჭავაძე მოღვაწეობდა, და თითქოს ძნელი არ უნდა იყოს მასზე წერა. მაგრამ რამდენჯერ ამიღია კალამი ხელში და შევმკრთალვარ, ისევე როგორც შეკრთება ადამიანი, თუ იგი ღმერთზე წერას განიზრახავს. მასზე მხოლოდ უნდა ილოცო.

გრიგოლ ხანძთელის მეისტორიე ძალიან ახლო იყო თავისი შესანიშნავი მოთხრობის პერსონაჟთან და არ შეეძლო ისეთი რელიეფური მთლიანობით აღექვა ის, როგორც ამ თვალსაწიერიდან ჩვენ ვხედავთ. განვლილი წლების გაცნობიერებას დრო და მანძილი სჭირდება, რათა პერსპექტივაში მთელის სისრულით აღიქვა წარსული მოვლენების მნიშვნელობა.

ყოველი ერის ისტორიას თან ახლავს ჭრილობები, რომელთაც გაქრობა და დავიწყება არასოდეს უწერია, მაგრამ უსათუოდ უნდა მოშუშდეს, რომ მასზე დინჯად და ობიექტურად ილაპარაკო.

ილია ჭავჭავაძისათვის ბევრი ჭრილობა მოუყენებიათ, — უკანასკნელი — საბედისწერო გამოდგა. ეს ჭრილობა ჯერ ისევ ღიაა, ერს ჯერაც ვერ მოუშუშებია ის...

იქნებ იმიტომაც ვერ მოხერხდა ჯერ დიდი წიგნის შექმნა, ისეთი წიგნისა, რომელიც მთელის სი[illegible]სით გადაგვიშლიდა მ[illegible]ბას, მის რთულსა და მრავალფეროვან მოღვაწეობას, ამ მოღვაწეობისეროვნულ მნიშვნელობას...

ვბედავ, გავიხსენო სამიოდე წლის წინანდელი ერთი პატარა შემთხვევა. საგურამოში გავემგზავრეთ ილიას სახლის მოსანახულებლად. თან შვილიშვილები გვახლდა. მათ შორის ყველაზე პატარა — მაშინ ოთხიოდე წლისა — პირველად მიგვყავდა. სახლი დაკეტილი დაგვიხვდა და სანამ მორიგე თანამშრომელს მოვძებნიდით, ბავშვები ეზოს მოედვნენ, ყველა კუთხე-კუნჭული მოირბინეს, როგორც ბავშვებს სჩვევიათ ხოლმე. მოვძებნეთ მორიგე და სახლი გავაღებინეთ. რაღა თქმა უნდა, დაგვხვდა იგივე ექსპოზიცია — იქნებ აქ ამის დრო არ იყოს, მაგრამ საკმაოდ უგემურად და უგემოვნოდ მოწყობილი. უფროსი ბავშვებისათვის უკვე ნაცნობი იყო ყველაფერი და მაშინვე მივარდნენ იმ თაროს, სადაც სამარცხვინო ტყვიაა გამოფენილი. ასევე მოსდის ალბათ ყველა ბავშვს, მით უმეტეს, რომ მიგნება არ გაუჭირდებათ: რატომღაც შესვლისთანავე თვალში სწორედ ეს ეცემათ. ამასობაში სხვა ბავშვებიც შემოვიდნენ. გიდი გვიხსნიდა ამ საბედისწერო ტყვიის თავგადასავალს. ეტყობოდა, ყველამ იცოდა ეს, მაგრამ სულგანაბულნი და აშკარად შეწუხებულები, შემცბარ-შეშფოთებულები იდგნენ და ისმენდნენ. ჩვენი პატარა შვილიშვილიც იქვე იყო, მაგრამ, უკვე დაღლილი და იავჩაღუნული, განზე იდგა. სხვა ბავშვებისაგან განსხვავებით, მისი სახე არც სიბრალულს გამოხატავდა, და, მით უმეტეს, არც შეშფოთებას.

მწერლის ეზოდან რომ გამოვედით, ბავშვებმა ზედაზენზე ასვლა მოგვთხოვეს, და უკვე შებინდებული იყო, როცა შინისკენ გამოვბრუნდით. ბავშვები ერთხანს გატაცებით ლაპარაკობდნენ ახალ შთაბეჭდილებებზე, მერე დაღლილობა მოერიათ და მიჩუმდნენ.

საღამოს, დაძინების წინ, როცა უკვე ლოგინში აწვენდნენ, სულ პატარამ, უმცროსმა შვილიშვილმა, პირველად ამოიღო ხმა: „რომ გავიზრდები, იმ ცუდ კაცს მოვკლავ“. ეს თქვა ძალიან მშვიდად, ბავშვისათვის დამახასიათებელი შეუვალი სიმტკიცით, დიდი ფიქრის შემდეგ ძნელად მიღებულ გადაწყვეტილებას რომ ამოთქვამ.

მას მართლაც ჰქონდა სათამაშო თოფი, მაგრამ ასეთი „აგრესიულობა“, თანაც ასე სიმშვიდითა და სიმტკიცით გამოთქმული, ჯერ არ გამოუჩენია, და ამიტომ დედამისი გაკვირვებით ჩაეკითხა, ვის უპირებ მოკვლასო. და ისევ სიმტკიცითა და სიმშვიდით თქვა: „ვინც ის კარგი კაცი მოკლა, ჩვენ რომ ვიყავით დღეს“.

პირველი გრძნობა, რაც ამ სიტყვებმა გამოიწვია, იყო შეძრწუნება, და მერე — სიხარული და გაკვირვება, რადგან ამ ბავშვს, საგურამოდან მოკიდებული, ხმა არ გაუღია, და, საერთოდ, არაფრით გამოუხატავს თავისი განწყობილება.

და ახლაღა, როცა ამ წერილს ვწერდი, მთელი სიღრმითა და სიმწვავით გავიცნობიერე, რომ ჩვენ ჯერ ვალში ვართ დიდი წინაპრის წინაშე, და იქნებ სწორედ ამ ბავშვის თაობას დააკისროს ბედმა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და ცხოვრების მთელი სიმართლითა და სიღრმით აღნუსხვა. ეს ხომ სწორედ დათრგუნვა და მოკვლა იქნება ბოროტებისა, რამაც პატარა ბავშვი ააშფოთა. მათი პერსპექტივა და თვალსაწიერიც ხომ უფრო გაიზრდება და მეტის თქმის საშუალება ექნებათ. ჩვენ ხომ დღეს მხოლოდ ვლოცულობთ ამ დიდ ადამიანზე. და ეს ლოცვაც, რაც განუწყვეტლივ ესმით და გულში იბეჭდავენ — მათ ძალას შემატებთ.

ასევე გრიგოლ ხანძთელთან გავლებულ პარალელს უნდა დავუბრუნდე. მე მხედველობაში მაქვს არა მარტო რკინისებური სიმტკიცე და ერთხელ არჩეული გზის ერთგულება, შეუპოვრობა; ორ დიდ წინაპარს რომ ვადარებ ერთმანეთს, უპირველესად, მათი მოღვაწეობის საერთო პათოსს ვგულისხმობ, რამაც ერის ბი[illegible] ვალი განსაზღვრა.

ბიბლიოთეკა

ძნელი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა ბედი ჩვენი ხალხისა იმ ავბედით დროს, არაბთა ხანგრძლივი ბატონობის უკიდურესად მძიმე წლებში, რომ სამხრეთ საქართველოდან არ დაძრულიყო და შემდეგ მთელ ქვეყანას არ მოსდებოდა გამაცოცხლებელი სუნთქვა თავისუფლებისა და აღორძინებისა. ამის სულის ჩამდგმელი გრიგოლ ხანძთელი იყო.

ასევე ძნელი წარმოსადგენია, რა ელოდა საუკუნეობრივი ჩაგვრისა და ბრძოლებისაგან სისხლდაწრეტილ, წელში გაწყვეტილ, გადაშენების წინაშე მდგარ ჩვენს ხალხს, თუ არა სამოციანელთა გამაცოცხლებელი მოძრაობა, რომლის სულის ჩამდგმელი და მეთაური ილია ჭავჭავაძე იყო.

ორივეს — გრიგოლ ხანძთელსაც და ილია ჭავჭავაძესაც — ყმაწვილკაცობიდანვე მტკიცედ ჰქონდათ გამოკვეთილი მიზანი ცხოვრებისა და თითქოს წინასწარ ხედავდნენ გზას, რომელიც უნდა გაევლოთ; იმასაც ხედავდნენ, რომ ეკლიანი იქნებოდა ეს გზა, და მაინც ამ გზას ირჩევდნენ — როცა ნერსე დიდის კარზე აღზრდილი და მრავალმხრივი განათლებული გრიგოლ ხანძთელი მტკიცედ ჩამოყალიბებული გეგმით სამხრეთ საქართველოში მიემგზავრებოდა და ღმერთს შესთხოვდა, „მოეც სულსა ჩემსა სიწმინდე სალმრთოი“, ხოლო ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნის დროსვე ცას ნაპერწკალს შესთხოვდა გულში ცეცხლის აღსაგზნებად, რათა ერისათვის ტანჯვის ცრემლი მოეწმინდა. ისინი წინასწარ ჭვრეტდნენ, რა გზა უნდა გაევლოთ, ჩვენ კი უკვე თვალსაჩინოდ ვხედავთ მათ გავლილ გზას...

რა საოცარი მსგავსებაა მათი მოღვაწეობის ხასიათისა, როცა ისინი ორიენტაციას ახალგაზრდებზე იღებენ და ჭეშმარიტი მოძღვრის გულმოდგინებით წვრთნიან როთულ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსაყვანად. მაგალითების

მოყვანა უხვად შეიძლება. ჩვენ ვიცით, როგორ გზავნის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამისიონეროდ თავის თანამოძმეებსა და მოწაფეებს გრიგოლ ხანძთელი (კიდევ უნდა გავიმეოროთ: ეს მტრისაგან დარბეულ-დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანება-ალორძინებისათვის ნიადაგის მომზადება იყო!); მაგრამ განსაკუთრებით უნდა გავიხსენოთ არსენის მომზადება და დიდ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოყვანა. ჩვენამდი მოღწეული ძველი ცნობები ძუნწია, მაგრამ მრავლისმეტყველი. ჩვენ ვიცით, როგორ მიიყვანა ხანძთელმა მონასტერში ალსაზრდელად ჯერ კიდევ სავსებით უწლოვანი არსენი, თუმცა ამით მონასტრის მაშინდელ კანონებს არღვევდა. იმიტომაც შეიქნა „დრტვინვაი" მონასტრის ბერებს შორის, ეს იყო ერთგვარი პროტესტი. მაგრამ ხანძთელმა იცოდა, რასაც აკეთებდა. მან საგანგებოდ შეარჩია ნიჭიერი ბავშვი — იმ მისიისათვის ზრდიდა, რაც ახლო მომავალში უნდა დაეკისრებინა. შემდეგ კი მოწმე ვხდებით, რა შეუპოვარი ბრძოლა დასჭირდა ხანძთელს, რათა თავისივე აღზრდილი, მისივე სულისკვეთებით გამსჭვალული ახალგაზრდა კაცი, არსენი, ქართლის კათალიკოსად გაეყვანა. რა საოცარი იყო ის ბობოქარი კრება, სადაც გრიგოლ ხანძთელი მრისხანე ერისკაცს, იმ მხარის ხელისუფალს გააფთრებით შეებრძოლა და გასტეხა კიდეც. უკვე გადაწყვეტილი საქმე თავის სასარგებლოდ შეატრიალა და დიდი ეროვნული მიზნის მისაღწევად საეკლესიო კანონების დარღვევასაც არ მოერიდა. რა რკინის ნებისყოფა და ბრძნული წინასწარჭვრეტა გამოიჩინა ხანძთელმა... აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ სწორედ არსენის დროს მოხერხდა საქართველოს ეკლესიის გაერთიანება, რაც სულ მალე ქვეყნის გაერთიანების საფუძველი გახდა. იმიტომაც ისე თავგადადებით ქომაგობდა გრიგოლ ხანძთელი.

გარეგნულადაც კი როგორა ჰგავს ეს იმ სიტუაციებს, იმ ბრძოლებს, რაც ილია ჭავჭავაძეს გადაუხდია: როგორა ჰგავს მის რკინის სიმტკიცესა და ნებისყოფას, მის ბრძნულ შორსმჭვრეტობას.

ფართოდ არის ცნობილი ილია ჭავჭავაძის როლი ახალგაზრდა მწერლების და კერძოდ ვაჟა-ფშაველას სამწერლო ასპარეზზე გამოყვანაში, და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, არც სხვა ფაქტებს ჩამოვთვლი. მინდა გავიხსენო მხოლოდ ერთი ფაქტი, რაც გარეგნულადაც კი უფრო ჰგავს იმას, რასაც ხანძთელისა და არსენის ურთიერთობაზე მოგახსენებდით.

პეტერბურგში საქმეზე დიდი ხნით ჩასული ილია ჭავჭავაძე ხვდება სავსებით ახალგაზრდა სტუდენტს ვანო მაჩაბელს, ამ შეხვედრამ ალბათ უდიდესი როლი ითამაშა ივანე მაჩაბლის სამწერლო მომავალზე. სწორედ ამ დროს ითარგმნა შექსპირის პირველი ტრაგედია. „მეფე ლირი" გახდა ის ბედნიერი დასაწყისი, რამაც არა მარტო მაჩაბლის სამწერლო ბედი, არამედ ქართული შექსპირიანის მომავალიც განსაზღვრა. ბედნიერ შემთხვევას შემოუნახავს დროჟამისაგან გაყვითლებული უბრალო რვეულის ფურცლები, აწ უკვე ჩვენი ერისათვის ძვირფასი და სანუკვარი რელიკვია, თავისი უნიკალობით გამორჩეული და იქნებ ერთადერთიც. ეს ფურცლები თითქოს თვალსაჩინოდ გვიცოცხლებს სურათს: როგორ შემოსხდომიან ლამპის შუქით სუსტად განათებულ მაგიდას ორი ადამიანი — ერთი სავსებით ახალგაზრდა ჭაბუკი, და მეორე მასზე ჩვიდმეტი წლით უფროსი ვაჟკაცი, უკვე გამოცდილი მწერალი. ჩვენ ვხედავთ, როგორ გაუბედავად იწყებს ახალგაზრდა კაცი წერას და როგორ თანდათანობით ემატება მის ხელს სიმტკიცე. ჩვენ ვხედავთ აქა-იქ როგორ ფრთხილად და მარჯვედ ჩაუსწორებია მეორე ხელს ცალკეული სიტყვა თუ გამოთქმა... ვფურცლავთ გაყვითლებულ ფოლიანტებს და უცებ წავაწყდებით საოცრებას — ჩვენთვის უკვე ნაცნობ, აწ უკვე მტკიცედ გამოყვანილ სტრიქონებს, შიგადაშიგ, სტრიქონ-სტრიქონ. ენაცვლება მეორე ხე-

ლი, რომელსაც წინა გვერდებზე მხოლოდ ცალკეული სიტყვები ჰქონდა ჩასწორებული. თითქოს საგანგებოდ იმიტომ, რომ შთამომავლობისათვის თვალსაჩინოდ გაეცოცხლებინათ, ჩვენთვის ასე სანუკვარი და სასურველი გაეხადათ ის ბედნიერი წუთები... ეს ფურცლები ბრძენი ოსტატისა და ლირსეული შეგირდის ურთიერთობას გვიშლის. დროდადრო ისინი შეისვენებენ, შექსპირის სამყაროს ცოტა ხნით მოშორდებიან, და საუბრობენ საქართველოზე, აქაურ მწერლებზე. ამასაც იგივე ფურცლები გვეუბნება, თარგმნილი სტრიქონების გვერდზე უზრუნველი სილაღით მიწერილი ცალკეული სიტყვები, ჯიუტად განმეორებული „იარალი“, „იარალი“ — ამ დროს, ეტყობა, გრიგოლ ორბელიანზე ჰქონდათ საუბარი.

ჩვენ უკვე ვიცით, რა მნიშვნელობას აძლევდა ილია ჭავჭავაძე ამ თარგმანს.

ეს ხდება 1873 წელს.

გაივლის ამის შემდეგ ოცამდე წელი. გადაწყდება უკვე სახელმოხვეჭილი მწერლის ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულის გამოცემა. ამ საქმეს ალექსანდრე ჯაბადარი ითავებს. და კვლავ ბედნიერ შემთხვევას კიდევ ერთი წერილი შემოუნახავს. ამ დროს უკვე მაჩაბელსა და ჭავჭავაძეს შორის ბანკის საქმეების გამო მწვავე უთანხმოებაა ჩამოვარდნილი. ბარათი ილიას ხელით არის დაწერილი. იგი თავის გამომცემელსა სთხოვს, მოელაპარაკოს მაჩაბელს და თუ ისიც თანახმა გახდება, თხზულებების კრებულში „მეფე ლირის“ თარგმანიც შეიტანონ. რა თქმა უნდა, თანამთარგმნელის მოხსენიებით. ილია ჭავჭავაძე ბოლომდე სიყვარულით იხსენებს ამ თარგმანს, და ალბათ იმ თანამშრომლობის ბედნიერ დღეებსაც. სამწუხაროდ, გამომცემლის საპასუხო წერილი არ ჩანს. არც „მეფე ლირის“ თარგმანი შესული ამ თხზულებათა კრებულში. რა მოხდა, ძნელი დასადგენია.

ეს თარგმანი სიტყვამ მოიტანა, სულ სხვა რამის თქმა მინდოდა. პირველივე შეხვედრით ილია ჭავჭავაძე დარწმუნდა, რომ მაჩაბელი დიდად ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი იყო. სწორედ ასეთი ხალხი სჭირდებოდა მას იმ საქმეში, რასაც იგი ახლა საქართველოში ფართო ფრონტითა და დიდი მასშტაბით წარმართავდა. საქართველოში დაბრუნებული, მაჩაბლის უფროს ძმას, თავისივე მეგობარს, ვასილ მაჩაბელს ხშირად სწერს წერილებს და სულ იმ ახალგაზრდა კაცით არის დაინტერესებული. შორიდან ადევნებს თვალყურს, შორიდანვე ამზადებს სამოლვაწეო ასპარეზზე გამოსაყვანად, ამას არ შეიძლებოდა, გავლენა არ მოეხდინა ახალგაზრდა კაცის მისწრაფებების უფრო მტკიცედ გამოკვეთასა და ჩამოყალიბებაში. პარიზს გამგზავრებული ივანე მაჩაბელი პეტერბურგში უფროს ძმასა სწერს წერილებს — თავის მომავალ გეგმებს უზიარებს, თავის მოსაზრებებს აცნობს, თუ როგორ უნდა ემსახუროს სამშობლოს. და საოცარი რამ ხდება: ილია ჭავჭავაძე, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებსა და იქვე მოლვაწე სხვა თანამემამულეებთან, და რომელსაც გაუგია ახალგაზრდა მაჩაბლის უცხოეთიდან გამოგზავნილი პირადი წერილების ამბავი, ვასო მაჩაბელს ბარათსა სწერს, ვანოს წერილები გამომიგზავნე, „ივერიაში“ დავბეჭდავო. აქვე მოვიტანოთ ილიას ეს წერილი იმის ნიმუშად, თუ როგორ შორიდან მზრუნველობს, როგორ შორიდან „ზრდის“ მომავალ საზოგადო მოლვაწეს ერის სამსახურისათვის.

„საყვარელო ძმაო ვასო! მოგართვი შენგან დაბარებული „ივერია“. აბა, შენ იცი, როგორ დაგვეხმარები. იწერები, ვანოს უცხოეთში უნდა გავუგზავნოო. თუ გიყვარდე, იმისი ადრესი მომწერე და მე თვითონ გავუგზავნი პირდაპირ აქედამ... ვანოს წიგნების ქებას იწერები. ვიდრე ამას შენ მომწერდი, ჩვენმა ავალოვმა დიდი ქება მითხრა მაგ წიგნებისა. რა კარგი იქნება, რომ ეგ წიგნები დამაბეჭდვინო,

თუ შესაძლებელია და თუ ვანო ნებას მოგვცემს. მისწერე შენაც და ჩემაც, მოგვეშველოს როგორმე. ჭკვიანი ბიჭია და ამასთანავე კარგის კალმის პატრონი. ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება, სთხოვე, და არამც თუ სთხოვე, შეეხვეწე ჩემმაგიერ, რომ სტატიები რამ გამოგვიგზავნოს".

რა საოცარი მაგალითია ოსტატის და შეგირდის ურთიერთობისა. რამდენხანს გრძელდება ოსტატის მზრუნველობა.

და ახლა ის ფაქტიც, რაც კიდევ უფრო გაგვახსენებს მრავალი საუკუნის წინანდელი ბრძენი ოსტატისა და ღირსეული შეგირდის ურთიერთობას.

ახალგაზრდა მაჩაბელი უცხოეთიდან ბრუნდება. ზემოთ მოყვანილი წერილიდან [ჩვენ უკვე ვიცით, როგორი სასოებით ელის მას ილია ჭავჭავაძე. იგი მაშინვე გვერდში დაიყენებს ივანე მაჩაბელს, რადგან იცის მისი სულისკვეთება, სჯერა მისი და ენდობა. და ისევე როგორც ერთ დროს გრიგოლ ხანძთელს დასჭირდა შეუპოვარი ბრძოლით გაეკაფა გზა არსენისათვის, ილია ჭავჭავაძეც დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ზუსტად ანალოგიური სიტუაცია განმეორდა, ახლაც შეიქნა პროტესტის ნიშნად საზოგადოების „დრტვინვა". ილია ჭავჭავაძეს მოუხდა შეუპოვრად დაპირისპირებოდა გავლენიან პირებს და ერთ-ერთ საზოგადო საქმეში უკვე დამტკიცებული პირის ნაცვლად ახალგაზრდა მაჩაბელი გაეყვანა, რომელსაც მეტი პერსპექტივა ჰქონდა, რომლისგანაც მეტს მოელოდა ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმეში და რომელსაც ენდობოდა. შეიქნა მითქმა-მოთქმა, გაზეთებიც ბეჭდავდნენ აშკარად საპროტესტო წერილებს, ისეთივე გაფთრებული ბრძოლა გაიმართა, როგორც იქ, ჯავახეთის კრებაზე, რამდენიმე საუკუნის წინათ. და, ხანძთელის მსგავსადვე, ილია ჭავჭავაძემ რკინის სიმტკიცე და ბრძნული შეუპოვრობა გამოიჩინა.

ილია ჭავჭავაძემ იცოდა, რასაც აკეთებდა.

სიტყვა გამიგრძელდა. მაგრამ არ შემიძლია კიდევ ერთი ფაქტი არ გავიხსენო.

ეროვნული

რა წინააღმდეგობას აწყდებოდა ილია ჭავჭავაძე, როგორი დაჯგუფებები იმართებოდა მის წინააღმდეგ და რა შეუწყნარებლად უკადრის ხერხებს მიმართავდნენ მისი მოწინააღმდეგენი — ანუ ეროვნული საქმის წინააღმდეგ ამხედრებული ბოროტი ადამიანები, და რა საბედისწერო ტრაგედია მოჰყვა ამას, ეს ამჟამად კარგად არის ცნობილი და სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

იქნებ ასე ფართოდ არ იყოს ცნობილი, რა წინააღმდეგობას აწყდებოდა თავის ეროვნულ მოღვაწეობაში გრიგოლ ხანძთელი. და სავალალო მსგავსება ის არის, რომ ორივე მოღვაწის წინააღმდეგ შემართეს სისხლიანი ხელი.

მაშინაც, მრავალი საუკუნის წინათაც, გარეწარმა მკვლელებმა „სამი გრივი ფეტვისა და ხუთი თხის" სათვალავისურად ჯალათი დაიქირავეს, „მაგრად მოისარი", ანუ მარჯვედ მსროლელი არამზადა, რომელიც ბუჩქებში ჩაუსაფრდა შინ დაბრუნებულ მოხუც კაცს... გრიგოლ ხანძთელს...

აქვე მთავრდება მსგავსება სიტუაციისა.

როცა შინისკენ მშვიდად მომავალი მოხუცი კაცის გასაგმირად შემართა გარეწარმა მშვილდისარი, იგი ხანძთელის თავზე გამოსახულმა შარავანდმა დააბრმავა და მოზიდული მშვილდი დააშვებინა. თავადვე განერთხო — შეშინებული და საქციელწამხდარი.

მაშინ უფრო ახლოს იყო ღმერთი ადამიანთან და გარეწარმაც კი დაინახა ციით დაშვებული შარავანდის ბრწყინვალება.

ახალი დროის მკვლელი გარეწრები, ბუნებრივია, სამი გრივი ფეტვით არ დაკმაყოფილდნენ. დიდებას შეჰპირდნენ მათ, და ყალბი დიდებით გაოგნებულებს აღარ შეეძლოთ დაენახათ შარავანდით გაბრწყინებული შუბლი ილიასი.

ასე მეორდება ისტორია. ასე ჯიუტად ცდილობს სხვადასხვაგვარად შე-

ნილბული ბოროტება, ლახვარი ჩასცეს სიკეთეს. ვერცხლისა და ყალბი დიდებას მოლოდინით დაბრმავებულები, ვერა გრძნობენ, რომ არსება სიკეთისა გრძელია.

აქვე შეიძლებოდა დაგვემთავრებინა ეს პატარა ექსკურსი წარსულში. მაგრამ რაკი აქ მოტანილი მაგალითებით თითქოს კონტურები მოიხაზა ილია ჭავჭავაძის პორტრეტისა, ერთი ფაქტიც უნდა გავიხსენო, რომელიც რბილ ფერებს შემატებს დიდი მწერლისა და მოღვაწის მონუმენტურ პორტრეტს.

როგორც ცნობილია, 1885 წელს მეფის მთავრობამ „საზოგადოებრივად საშიში მიდრეკილების“ გამო დახურა მაჩაბლის რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „დროება“. მაჩაბელს ტვირთად დააწვა რედაქციის ვალი — 9.000 მანეთი. ეს მაშინ დიდი თანხა გახლდათ, რომლის გადახდა ხელმოკლე მაჩაბლისათვის თითქმის შეუძლებელი იყო. საზოგადოების მოწინავე ნაწილმა გადაწყვიტა, შეეგროვებინათ ფული და უსამართლოდ დაჩაგრული საზოგადო მოღვაწისათვის ეს მძიმე ტვირთი მოეხსნათ. შეადგინეს კომიტეტი. რომელსაც სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე. თუმცა ამ დროს მას, ბანკის საქმეების გამო, უკვე გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა მაჩაბელთან. შეადგინეს სიები. ვისზედაც ვალად დარჩენილი თანხა უნდა გაენაწილებინათ. მაგრამ ვერაფერს გახდნენ, ფულის შეგროვება ვერ მოხერხდა. ვალი მაჩაბელსვე დარჩა გადასახდელად...

გავიდა ამ ამბის შემდეგ მრავალი წელი. უკვე აღარც მაჩაბელი იყო ცოცხალი და ის ვალი და მასთან დაკავშირებული საქმეც ყველას დაავიწყდა.

და ილიას გარდაცვალების [stamp] გამოქვეყნდა ერთი პირადი [stamp] ილია ჭავჭავაძე ცნობილ მოღვაწეს. სერგეი მესხის ძმას დავით მესხს სწერს ქუთაისში.

სწორედ ეს წერილი მინდოდა გამეხსენებინა. მცირე შემოკლებით მოვიტან მას.

„ბატონო დავით! თქვენმა წერილმა მეტად უსიამოვნო ამბავი მოგვიტანა. ჩვენ რა გადამხდელები ვართ გაზეთის ვალისა, რომ უთქვამთ, — ვერაფერი საბუთია. მაშ, ალმართის მხვნელმა ძალამ რომ კაცი გასრისოს, შველა არ უნდა? ნუთუ ყოველი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა იყოს ჩვენში მიგდებული? ნუთუ არავის, ქვეყნისათვის მოღვაწეს, იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ფეხი წამასხლეტინონ, მოძმენი ხელს მომაწვდიან და ფეხზე დამაყენებენო?.. ასე თუ ისე, სამწუხაროა ის ამბავი, რასაც თქვენ იწერებით. მაგგვარი სჯა და ლაპარაკი, რასაკვირველია, აქაც ხელს აგვიცრის, მაგრამ მაინც კიდევ ყოველს ღონისძიებას ვიხმართ, რომ აქ მაინც მოვაგროვოთ ფული. თუ ეს მოხდა, მაგალითი მაინც იქნება, რომ საზოგადოება უმწეოდ არ უშვებს უსამართლოდ დასჯილს.. გთხოვთ ეს წერილი მე და თქვენს შორის დარჩეს. თქვენი ილია ჭავჭავაძე“

აქ იმდენად ის კი არ არის საინტერესო, რომ ილია ჭავჭავაძე ძალიან მონდომებული გასაჭირში ჩავარდნილ მოღვაწეს მდგომარეობა შეუმსუბუქოს, არამედ მინაწერი ეს წერილი ჩვენს შორის დარჩესო.

გაუმჟღავნებელ სიკეთეს ასკეცად მეტი მადლი აქვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

## გაისწორდით, ბედო

ეჰ, ჩემო ბედო! ჩემ სიცოცხლეში
სულ შენს ნებაზედ მითამაშნია;
მოგიკლავს ბევრი კარგი ნუგეში,
ტკბილ ოცნებებზედ გინავარდნია.
სისხლისა ცრემლით დამწვი თვალები,
გულზედ მატყვია შენი ბრჭყალები.
გეყო!.. მოვიდა დრო ანგარიშის,
მოდი, გავსწორდეთ, ნუ მემალები,
წარვიდნენ დღენი შენის უფლების,
დროა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები...
შენს დუდუკზედა აქამდის ვხტოდი,
ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრუწუნე,
ეხლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი,
მე დავუკრავ და — შენ კი იხტუნე.

19 იანვარი, 1859 წ.
პეტერბურგი.

## ელეგია

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.

არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!..
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ზოგჯერ — კი ტანჯვით ამოძახილი
ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა!

ვიდექ მარტოკა.. და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება...
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!..

4 ივნისი, 1859 წ.
პეტერბურგი.

## დაკარგული ედემი

ვის უნახავს ის ედემი შლილი,
სადაც ისე ტკბილ არ არის ძილი,
როგორც ტკბილია გამოღვიძება;
სადაც ბუნების თავისუფლება
მონებას, როგორც უხმო ყვედრება,
ცოცხალ ფშვენითა უყენებს თვალსა;
სად დაუკარგავს მშვენიერ ხალხსა
იმ თვით ედემში თვისი ედემი?
ვის უნახავს ის სამშობლო ჩემი?..

26 დეკემბერი.
1859 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# ილია!.. ილია!.. ილია!..

თუ გინდა, მწერალი და მისი შემოქმედება მთელი სიგრძე-სიგანით შეიცნო, მიაგნო უმთავრესსა და უპირველესს, რითაც ის სულდგმულობდა და რის წყალობითაც სამარადისოდ შერჩა მშობელი ერის ცნობიერებას, იგი ისტორიულ კანონზომიერებათა ურთიერთკავშირში უნდა წარმოიდგინო.

ისტორიული გარემო, საზოგადოების მამოძრავებელი ძალების ურთიერთმიმართება, მრავალსაუკუნოვან ტრადიციაზე აღმოცენებული ნერგი ხვალინდელი დღისა განსაზღვრავენ ხალხის ეროვნული სულის გამომხატველი მწერლის ადგილს ისტორიაში. ეს ადგილი თითქოს წინასწარ დადგენილია, დადგენილია თვით ინდივიდუალობაც მომავალი მწერლისა, რომელმაც ის ადგილი უნდა დაიკავოს. მოდის მწერალი და მას ხვდება სამოღვაწეო ასპარეზი, გაუტეხელი ყამირი, ჯერ კაცის მარჯვენა რომ არ შეჰხებია, არ გაუპოხიერებია, ოფლით არ მოურწყავს, შიგ მომავლის თესლი არ ჩაუთესია.

ასეთი ასპარეზი იყო თავისი ისტორიული ორბიტიდან ამოვარდნილი საქართველო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრისა, როდესაც მომხვდური თუ შინაური მტრის მახვილით უთვალავჯერ ნაოხარ კახეთში, იმ მთების ძირას, რომელთა გზებსა და ბილიკებზე ქვეყნის გამაჩანაგებელი ავაზაკთა ურდოები დაეშვებოდნენ ხოლმე და თავიანთ ცოდვის გზაზე ცრემლის ზღვას და აოხრებულ ნასახლარებს სტოვებდნენ, ქართველ ერს მისი ეროვნული მეობის მხსნელი, გზის მაჩვენებელი, ბიბლიურ მოსეს მსგავსად, ხელთ სასწაულმოქმედი კვერთხის მპყრობელი დიდი ილია ჭავჭავაძე მოევლინა.

ვერ გავიგებთ ილია ჭავჭავაძეს, მის ისტორიულ მისიას, თუ იგი ისტორიის კონტექსტში არ განვიხილეთ, თუ არ დავინახეთ ტრაგიზმი ხალხისა, რომელიც ათასწლეულებში ეროვნული დამოუკიდებლობის ამაყ დროშას მოაფრიალებდა, დროშას, მისსავე მოწამებრივ სისხლში რომ იყო ამოვლებული, ახლა კი არა მარტო ეროვნული სახელმწიფოებრივობა დაეკარგა, დაეკარგა ის ძველი მხნეობაც, რის მეშვეობითაც ერთი ათს სძლევდა ხოლმე და თავის ეროვნულ ვინაობას, დედისა და ცოლის ნამუსს შეუბღალავად ინარჩუნებდა, დაეკარგა აქტიური მოქმედების უნარი, ყოველივე ძვირფასი და აუცილებელი, რაც ხვალინდელი დღის მქონე ხალხს სჭირდება და კვლავაც და კვლავაც დასჭირდება.

ის, ვინც გუშინ და გუშინწინ ერს წინ მიუძღოდა და მის ჭირსა და ლხინს პატიოსნად ინაწილებდა, ქართველი სამხედრო არისტოკრატია, სხვის სამსახურში შესულიყო, ჩინებითა და ტემლაკებით გულმკერდი დაემშვენებინა,

უზრუნველი ცხოვრებისათვის მიეცა თავი და სხვაგვარი ცხოვრება ველარ წარმოედგინა, ხალხი კი, ის ხალხი, ვისი ოფლითა და სისხლითაც ყველა ციხე-სიმაგრე, ყველა სახლი და სასახლე აეგო, ვისი უსაყვედურო შრომის ნაყოფი ქვეყანას კვებავდა და რჩეულთა შორის რჩეულებს ფუფუნებაშიაც აცხოვრებდა, ცხრა მთის გადაღმიდან გასამდიდრებლად მოსული უცხოელი მოხელის ხელში ჩავარდა და მატერიალური დოვლათის შემქმნელი უტყვ იარაღად გადაიქცა.

დიახ, სწორედ უტყვ იარაღად, ვინაიდან მისი მეტყველება, მისი მრავალსაუკუნოვანი ენა, „რომელზედაც რაგინდარა გამოითქმის“, ფიქრი და აზრი ალარავის აინტერესებდა, თვით იმ სამსახურში დაწინაურებულ თვისტომებსაც კი, ვინც ყოველივე მშობლიური სხვათა გულის გასახარად დაივიწყა, დედა უარჰყო და დედინაცვლის მზეს იფიცებდა!

ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთი და მთელი დასავლეთ ევროპა დიდ სულიერ ალმავლობას განიცდიდა, როდესაც ცივილიზებული კაცობრიობა თითქოს ხელახლა იბადებოდა და მოწინავე საზოგადოების წიაღში წარმოქმნილი ჰუმანიზმისა და ეროვნული თავისუფლების იდეები სრულიად სხვა სახესა და ელერადობას იძენდა. რუსეთისა და სრულიად ევროპის გასაგონად რეკდა გერცენის „კოლოკოლი“, ჩერნიშევსკის „სოვრემენნიკი“ რუსეთის საზოგადოებას სოციალური განახლების კვირაძალს უწინასწარმეტყველებდა და ამ განახლებისათვის ამზადებდა. რუსეთის ცის კაბადონზე უკვე ციალებდნენ პირველი რიგის მნათობები: გოგოლი და პუშკინი, ლერმონტოვი და ტოლსტოი, ტურგენევი და დოსტოევსკი. კრიტიკული აზროვნების ცეცხლს ანთებდნენ შმაგი ბესარიონი და რუს რევოლუციურ-დემოკრატთა მთელი პლეადა.

ჯერ კიდევ სენატის მოედანზე დეკაბრისტების გამოსვლით შერყეულ და სახელგატეხილ რუსეთის იმპერატორთა ტახტს, ხალხთა საპყრობილედ გადაქცეულ უზარმაზარ ქვეყანას როზგითა და ტყვიით, ალაგმულ [illegible]ლებათა გაუგონარი შეზღუდვებით რომ განაგებდა, წყალი შეუდგა და მისი ერთხელ და სამუდამოდ დამხობის დრო შორს უკვე აღარ იყო. რუსეთი დუღდა, მის ყოველ ცოცხალ უჯრედში ჯანყის სულს შეეღწია და აზვირთებული მორევის შეჩერება, ძველ კალაპოტში ჩაგდება და დამორჩილება უკვე არა ძალას აღარ შეეძლო.

სწორედ ამ მშფოთვარე დროს დაემთხვა ილია ჭავჭავაძისა და მისი უმცროსი თანამებრძოლების, ერის მომავალი მამების, სტუდენტობა.

სანქტ-პეტერბურგი მაშინ არა მარტო ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმული თვალუწვდენელი ქვეყნის ადმინისტრაციული ცენტრი, იმპერიის სატახტო ქალაქი, არამედ რუსი ერისა და რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი სხვა ერების საზოგადოებრივი აზროვნების კერა იყო, რომელიც რევოლუციური გარდაქმნების ეპოქაში ოდესღაც პატრიარქალური, ქალამნიანი რუსეთისათვის აქამდე წარმოუდგენელი ცხოვრებით ცხოვრობდა.

უნდა დამხობილიყო რუსეთის ბასტილია, უნდა დამდგარიყო რუსეთის 1789 წელი, რომელიც პირისაგან მიწისა აღგვიდა საძულველ მონარქიულ-ბიუროკრატიულ რეჟიმს და ხალხებს, უპირველეს ყოვლისა თვით რუს ხალხს, სოციალურ და ზნეობრივ თავისუფლებას მოუტანდა.

ძნელი არ არის კაცმა წარმოიდგინო, რა სულისკვეთებით იყო განმსჭვალული მაშინდელი ქართველი სტუდენტობა, პეტერბურგისა და რუსეთის სხვა დიდი და მცირე ქალაქების უნივერსიტეტებში რომ სწავლობდა და ძმობის, ერთობისა და თავისუფლების იდეებს ხარბად დაწაფებული სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსასვლელად ემზადებოდა.

ძნელი არ არის მიახლოებით მაინც წარმოიდგინო ფიქრების ზღვა, პეტერბურგიდან სამშობლოში მომავალი

ილიას გარშემო რომ ტორტმანებდა და ლარსის სადგურში ბრიყვ სალდაფონ ოფიცერთან მოსაუბრეს ორადორი აკვიატებული კითხვა ტვინს შანთივით უხვრეტდა: როგორ შეხვდებოდა ის სამშობლოს და როგორ შეხვდებოდა სამშობლო მას? საიდან და რით უნდა დაეწყო, ვის დაყრდნობოდა, ვის წინააღმდეგ გაელაშქრა, რა და როგორ ეშენებინა?

ილიას „მგზავრის წერილები“, მისი პირველი პროზაული ქმნილება, რომელმაც ახალგაზრდა მოაზროვნე მწერლის მთელი მსოფლმხედველობა დაიტია და გამოხატა, დიდი და განუმეორებელი ადამიანური დოკუმენტია. საოცარი გონებამახვილობით, ირონიითა და აზრის სიღრმით შეზავებული ეს დოკუმენტი, მართალია, მაღალნიჭიერი მწერლის კალამს ეკუთვნის, მაგრამ მისი საზოგადოებრივი დანიშნულება, მრწამსი შორს სცილდება საკუთრივ ლიტერატურის ფარგლებს.

„მგზავრის წერილები“ საქართველოს მომავალმა უგვირგვინო მეფემ დასწერა და შიგ თავისი ეროვნული პროგრამა, სამოქმედო გეგმა ჩააქსოვა, რაც ტახტზე ახალასული ჭაბუკი მეფის საზრუნავი უფრო ჩანს, ვიდრე მხატვრულ სიტყვასა და სახეებთან შეჭიდებული მწერლისა.

მაგრამ საქართველოს და ქართულ მწერლობას ოდითგანვე სხვათაგან განსხვავებული ბედი დაეკვეთა. მისი მეფეები თითქმის ყოველთვის პოეტები იყვნენ, ხოლო პოეტები, უკეთესნი უკეთესთა შორის, უგვირგვინოდ აკეთებდნენ იმ წმინდა საქმეს, რომლის გაკეთება განგებამ ერის წინამძღოლს — მეფეს დააკისრა.

პირველი, რაც სამშობლო ქვეყნისათვის უცხოეთში განათლებამიღებულ შვილს უნდა გაეკეთებინა, ის იყო, რომ საზოგადოებრივი მოდუნების აშმორებულ ჭაობში კენჭი გადაეგდო და ბედის ნება-სურვილს პასიურად მინდობილი თანამემამულენი საათის ძილიდან გამოეყვანა.

ო, ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

1832 წლის თავად-აზნაურულ შეთქმულებას, მიზნად რუსეთის იმპერიის ანექსიისაგან საქართველოს გამოხსნის და აქ ეროვნული მონარქიის აღდგენის, უკეთეს შემთხვევაში ევროპული ტიპის რესპუბლიკის შექმნის უტოპიური იდეა რომ ჰქონდა დასახული, შეთქმულებას, რომელიც არც კი განხორციელებულა და ბოლომდე ხალხის მასისაგან სრულიად მოწყვეტილი ფეოდალური ზედაფენის განზრახული შეთქმულების ფარგლებში დარჩა, საქართველოსათვის სასარგებლო არაფერი მოუტანია. პირიქით, სამარცხვინოდ ჩაფლავებულმა შეთქმულებამ ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაამტკიცა, რომ ძალებს, რომლებიც ოდესღაც განაგებდნენ და წარმართავდნენ ქვეყნის ბედიღბალს, თავისი ძველი მოვალეობის შესრულება უკვე აღარ შეეძლოთ და რომ მათი ადგილი საზოგადოების სათავეში სხვა, უფრო პროგრესულ ძალებს უნდა დაეკავებინათ, რომელთაც მოქმედების საბოლოო მიზანიც სხვა ექნებოდათ და ამ მიზნის მისაღწევად საშუალებებსაც სხვას აირჩევდნენ.

ილია ჭავჭავაძე ისტორიის გზაჯვარედინზე იდგა, ისევე როგორც სრულიად საქართველოს თვითმპყრობელი მეფე დავით აღმაშენებელი შვიდი საუკუნით ადრე. მოქმედების აუცილებლობა, მოქმედებისა, „მგზავრის წერილებში“ მღელვარე და ბობოქარ ბაირონს რომ შეადარა, ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ, ანდაზისა არ იყოს, მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალიაო. თუ ბედისწერის მიერ მონდობილი სამართლიანი საქმის გამარჯვება სწადდა, ილიას გარს უნდა შემოეკრიბა ყოველივე ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი, რაც ერს გააჩნდა და იგი, ერთ მძლავრ მუშტად შეკრული, ყოველივე იმისათვის დაეპირისპირებინა, რაც ერის ცოცხალ ორგანიზმს ღრღნიდა და დღეს თუ ხვალ საბოლოო აღსასრულს უმზადებდა.

ასე შენივთდა ილიას გარშემო წარმ-

შეუხრელ მამულიშვილთა ნაფიცი ჯგუფი, შემდგომ სამოციანელები რომ ეწოდათ, ვისმა თავგანწირულმა, დაუღალავმა, სწორედ რომ გმირულმა მოღვაწეობამაც შეუძლებელი შესძლო, მომაკვდავი გამოაბრუნა, არარაობის უფსკრულის პირას მისული ერი შეაყენა, სააქაო ცხოვრების იმედი ჩაუნერგა და შეურიგებელი ბრძოლისათვის აღანთო.

ბრძოლა მით უფრო მწვავე ხასიათს იღებდა, რაც უფრო ღრმად სწვდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების სულ სხვადასხვა ფენებს. ჭაობში გადაგდებულმა ქვამ ჰქნა თავისი საქნელი: იქ დაბუდებული ჭიაღუა გამოაღვიძა, აამოძრავა, ააქოთქოთა. ვინ არიან ეს არამკითხე აბეზარები, ტკბილ ძილს რომ გვირღვევენო? აღშფოთდნენ. ე. წ. ღრმა მექართულენი, ლიტერატურულ მეტყველებაში ანტონისეული „მაღალი შტილის“ მოტრფიალენი, ცეცხლითა და მახვილით შეხვდნენ „ენის წამხდენელთ“, ლიტერატურული და საგაზეთო ენის დემოკრატიულ რეფორმას, რომელსაც ილიამ და მისმა დასმა თავიანთ პირველსავე პუბლიკაციებში და საჯარო გამოსვლებში მიმართეს, აიყოლიეს ისეთი დიდი ავტორიტეტიც კი, როგორიც სამხედრო და ადმინისტრაციული იერარქიის უმაღლეს საფეხურზე ასული, დიდებული ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი ბრძანდებოდა, აკადრებინეს არასაკადრებელი, რაც შემდეგ, დრომ რომ გაიარა და ყველაფერი ნათელი გახდა, სანანებელი გაუხდა. აკი უკანასკნელი ლექსიც გაუგზავნა „ბუროთივით მრგვალ ლიბერალს“, მისი მსჯავრი ყველაზე მეტად აინტერესებდა.

„ბედნიერი ერის“ ავტორს ლუარსაბ თათქარიძისა და კნეინა დარეჯანის მხატვრული სახეების შექმნამ საზოგადოების მაღალ წრეებში, თუკი შეიძლება მის მიმართ სიტყვა „მაღალი“ ვიხმაროთ, საბოლოოდ დაუმკვიდრა ერის მოძულის, მისი ლაფში ამომსვრელის, სამარცხვინო ბოძზე გამკვრელის სახელი. გამოჩნდნენ ადამიანები განაწყენებულ დიდგვაროვანთა შორის, ილიაზე მეტი მამულიშვილობა და პატრიოტიზმა რომ დაიბრალეს და პოეტს დუელში გამოწვევითა და მოკვლითაც კი დაემუქრნენ. ერთ მათგანს, გვარად მუხრანბატონს, სამეფო ჩამომავლობის პირს, ქვეყნისა და ხელმწიფის სამსახურში გაჭაღარავებულ მოხელეს, თავის ბრწყინვალე წარმომავლობასთან შედარებით ილიას გვარიშვილობა ეცოტავა, იფიქრა, საქართველოზე ზრუნვა ნეტა რა წვრილფეხა თავადიშვილის საქმეაო და ბანკის საერთო კრებაზე საკმაოდ გადაკრულადაც მიმართა, რაც შემდეგ, სამწუხაროდ, პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა. მუხრანბატონს თავისმა ბრწყინვალე გვარიშვილობამ, რასაკვირველია, ვერ უშველა, იგი ილიას პოლემიკური დოლაბების შუა მოექცა, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად დარჩა: ილიას გაწიწმატებული ებრძოდნენ, ებრძოდნენ იმავე სამშობლოსა და ერის სახელით, რისთვისაც ის არც სულიერ ენერგიას ზოგავდა და არც თვით სიცოცხლეს.

ილია, როგორც პოეტი და პროზაიკოსი, ევროპული მასშტაბის შემოქმედია. მისი „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „სარჩობელაზე“, „კაცია-ადამიანი?!“ მწერლისეული ლიტერატურული ოსტატობით, უაღრესად კოლორიტული, დახვეწილი ქართული ენით, ხატვა-ძერწვის თავისებური მანერით, შეუდარებელი მხატვრული სიმართლით გვერდში უდგას რომელიც გნებავთ მსოფლიო მნიშვნელობის შედევრს. რომელია, თუნდ ერთხელ რომ წაგეკითხოს და სულს სამუდამოდ არ დაამჩნეოდეს?

გარდა ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილებისათვის დამახასიათებელი შთამბეჭდაობისა, ილიას მადლიანი ხელიდან გამოსული ყოველი სტრიქონი, ყოველი ნაწარმოები იმითაც გახლავთ ღირსშესანიშნავი, რომ დროთა ვითარებაში არ ძველდება, ისეთივე ახალი და ცინცხალია, როგორიც ქაღალდზე გადატანის პირველ დღეს. ამიტომაც უწერია ილიას პოეტურ მუზას ყო-

ველი დროის მკითხველის თანამგზავრი და სიკეთის შთამაგონებელი ძალა იყოს.

ღმერთო, რა ღვთაებრივად ბუნებრივი და დამაჯერებელია მოხუცი გლეხის, პეტრეს გაოცება, მახათას მთაზე ადამიანის ჩამოხრჩობას რომ დაესწრო. ბოლო წუთამდე სულ ეგონა, რომ ატყუებდნენ. სიკვდილმისჯილი ჩამოახრჩვეს. პეტრეს თავზარი დაეცა. ნუთუ მართლა? ნუთუ მართლა გაიმეტეს ღვთის შვილი, ცოცხალი ადამიანი? მერე რისთვის? რა უფლების ძალით? ნუთუ შეიძლება, ადამიანმა თავისსავე მსგავს ადამიანს სიცოცხლე მოუსწრაფოს და ცოდვაბრალით სავსე. ქვეყანაში ამას კანონის ფორმა ჰქონდეს? ეს ხომ ის სიტყვებია, რომელიც რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრ თავად ილია ჭავჭავაძეს საბჭოს სხდომაზე უნდა წარმოეთქვა, ოღონდ მოთხრობად წარმოსახული, მოთხრობად თქმული. ნუ დავავიწყდება, რომ ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის შემდეგ ჩამომდგარი რეაქციის წლებია, ქვეყანა სტოლიპინის ჰალსტუხებითაა მოფენილი, ათასობით მსჯავრდადებული ციხეებშია ჩამწყვდეული და ბედის განაჩენს ელოდება.

შეიძლება, ცისმე მეხსიერებიდან ამოუვარდეს საყოველთაო სიკეთის მთესველი, მოყვასისათვის თავდადებული ახალგაზრდა მღვდელი „გლახის ნაამბობიდან“, ილიას იდეალური გმირი, გონებადაბნელებულ თანამოძმე გლეხს სწავლა-განათლების სარგებლობაზე რომ ესაუბრება, თვალს უხელს და არწმუნებს, რატომ და რისთვის უნდა გამოუშვას შვილი სკოლაში?

რა ჯადო აქვს ყურძნით სავსე გოდორივით დაჭირხნილ სიტყვას, სულის რა იდუმალ სიმებს ეხება მწერალი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გიმორჩილებს, თავისი გავლენის სფეროში გაქცევს, თავისი ფიქრის, აზრის მუდმივ თანაზრახად გხდის და, ამავე დროს, სიამაყითაც გავსებს, რომ შენც მისი გორისა ხარ, მის გვარსა და ჯილაგს ეკუთვნი!

ხოლო რაც შეეხება „კაცია-ადამიანს“, ავტორის სწორუპოვარი მხატვრული ალღოთი დახატულ [illegible] ყოფას, იმ იდუმალი, ჩვეულებრივი თვალისათვის მიუწვდომელი ნიშანთვისების მიგნებას, რითაც ერთი ადამიანი მეორისაგან განსხვავდება, იდეის სრულყოფილ ხორცშესხმას, განუმეორებელ ეროვნულ ხასიათებს, რომელთა მსგავსი არც წარსულში შექმნილა და არც მომავალში შეიქმნება, ყოველი დროის მკითხველის აღტაცებას და თაყვანისცემას გამოიწვევს. თითქოსდა რა მარტივია მოთხრობის ფაბულა, რა ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ვითარდება მისი სიუჟეტი, რა სადა და ზუსტია ენა, რა უშუალო, მართალი და გამომსახველია დიალოგი, რა ღრმა, კახელი კაცისათვის დამახასიათებელი შეფარული იუმორი გასდევს თხრობას, გმირის მიერ წარმოთქმულ ფრაზას თუ ავტორის რეპლიკას, როგორ ახერხებს მწერალი თავად ჩრდილში დარჩეს და ჩვენ კი, მკითხველები, მოთხრობაში გათამაშებული კოლიზიის მოწმე და მონაწილე გაგვხადოს!

ეს ხომ დიდი მე-19 საუკუნის დიდი ქართული პროზაა, სრული უფლებითა და ღირსებით რომ უდგას გვერდში ამავე საუკუნის დიდ რუსულ და ევროპულ პროზას!

განუმეორებელია ილია როგორც პოეტი. მისი შთაგონებული პოეტური ფრაზა გარეგნულად, თვალის ერთი შევლებით რა გაუჩარხავად და არაკეთილხმოვნადაც არ უნდა მოგეჩვენოს, არ გაძლევს ნებას მთავარს გვერდი აუარო და წვრილმანს, მეორეხარისხოვან დეტალს ჩაუკირკიმალდე. შენ მას აღიქვამ, როგორც მთლიანსა და განუყოფელს, როგორც თვით განგებამ წარმოქმნა და ეს განგება ზეგარდმო ნიჭით მომადლებული პოეტია.

ერთ დროს, პოეტის სიცოცხლეში, როცა ყველა ცოცხალს, თანამედროვეს, ის თავისი ტოლი და სწორი ეგონა, რადგან სხვებივით ცოცხალი იყო, ელვიძა, იძინებდა, ჭამდა, სვამდა, ეტ-

ლით დადიოდა, ხელგაშლილ მასპინძლობას ეწეოდა, შიგადაშიგ ნარდსა და ბანქოსაც თამაშობდა, ვიღაცამ საყვედური გამოუთქვამს, მერცხალი როდისა ჭყივის, „აგერ მერცხალი ჭყივის“ აბა რა პოეტური ფრაზააო.

ღმერთო ჩემო, რა გვემერცხლება და გვეჭყივლება. განა ესაა აქ მთავარი, განა ეს უნდა ეცეს თვალში კეთილის მსურველ მკითხველს! ყური დაუგდეთ, რას ღაღადებს, რას გვეუბნება პოეტი! ლექსი, საიდანაც ეს სტრიქონია ამოღებული, ხელიხელ საგოგმანებელი მარგალიტია ყველა იმ ლექსს შორის, რომელიც კი რომელიმე პოეტს ქართულ ენაზე შეუქმნია. ამ ლექსში ჩაწნულ-ჩაქსოვილი ნათელი სევდა სიყმაწვილიდან ღრმა სიბერემდე მოსდევს თაობებს და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იმ სასწაულს ახდენს, რის მოხდენაც მხოლოდ სალექსო სტრიქონს, პოეზიას შეუძლია.

აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები,
მამულო, საყვარელო, შენ როსღა აყვავდები!

გვეცნო უმანკო სისადავე და უშუალობა, ის სისადავე და უშუალობა, რითაც ილიას ბელეტრისტული შედევრები დაიწერა. ამავე დროს რა სიღრმეა გრძნობისა, რა სულის ამამაღლებელი ოცნებაა, ყოველ კაცს, ვისაც ესა სწამს და ამაზე უოცნებია, ღმერთის ტოლ არსებად რომ აქცევს!

ნუ ჩამომერთმევა მეტისმეტ გულუბრყვილობად თუ ვიტყვი, რომ ოქროს აკვანი, ბაზალეთის ტბის ძირას რომ იწვევა და შიგ სამშობლოს მხსნელად დაბადებულ რაინდს სძინავს, ქართველი მკითხველისაგან არ აღიქმება როგორც მარტოოდენ პოეტური ქმნილება. მის შექმნაში ღმერთი ურევია, ის უზენაესი ძალა, რაც საზოგადოდ ამ მაგიურ სიტყვაში იგულისხმება. ამიტომაა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე, რამდენ წელიწადსაც არ უნდა ვიცოცხლოთ, ლექსის ნეტარების მომგვრელ ტყვეობაში ვყავართ და როგორღაც გვწამს, რომ ბაზალეთის ტბის ძირას მართლაც იწვევა გმირთა გმირის აკვანი. დადგება დრო, ის დრო კი კარზეა მომდგარი, გმირი გაიღვიძებს, ქვეყანას მოევლინება და მას დიდი ხნის [illegible] შვებასა და სიხარულს [illegible]

კაცი ოცნებაში იცნობა. აი, რაზე ოცნებობდა დიდი ილია, აი, რა იყო მისი ფიქრისა და შთაგონების საგანი! მას არ შეეძლო უქმად სიტყვა ეთქვა, უქმად ლექსი დაეწერა, მარტოოდენ მისი მუსიკალობით დამტკბარიყო, თვითკმაყოფილებას მისცემოდა, შემხედეთ, მე მარტო ვარ, ჩემს გარდა სხვა არავინ მოიპოვებაო, მოხვეჭილი საქვეყნო დიდება და ხალხის მიერ სიცოცხლეშივე გაღმერთება ეკმარა. პოეტს უფრო დიდი და ყოვლის მომცველი რამ სჭირდებოდა და სწორედ იმ დიდისა და ყოვლის მომცველს ესწრაფვოდა. ეს იყო სწორედ ის, რაც მის მიერვე ხელახლააღმოჩენილ „მერანის“ ავტორთან ანათესავებდა — უვალი გზების თელვა, რათა მოძმისათვის გზასავალი გაეადვილებინა, მყოობადი ეშვა, ხალხისათვის მომავალი მიეცა!

„აჩრდილი“, ილიას ერთი უპირველესი პოემა, ცად აღვლენილი დაუსრულებელი ლოცვაა, რომელმაც შეუძლებელია მიზანს არ მიაღწიოს, რადგან თვით ლოცვის აღმვლენელი აღსავსეა რწმენით, რომ ღვთაებრივი საწყისი, სამშობლოს ცნებას რომ ახლავს, მარადიული ფენომენია და სამშობლოზე ფიქრი, მისი კეთილდღეობისათვის შეუნელებელი ზრუნვა სამყაროს შემქმნელ სუბსტანციასთან კავშირია.

ღმერთს არ სჭირდება მონები, გვეუბნება პოეტი „განდეგილში“, მის სადიდებლად ყოველივე ამქვეყნიური მოწყვეტილები. იგი შრომითა და ჭირთა თმენით უნდა ვადიდოთ. ღმერთმა ადამიანი მოქმედებისათვის შექმნა და ჭეშმარიტი ადამიანიც სწორედ ის არის, ვინც მიწყივ მოქმედებს, ქმნის, გულითა და გონებით სიკეთის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ჩაბმული. განდეგილი, ბერად დაყუდებული საზოგადოებისა და მისი ინტერესებისაგან მოწყვეტა, თუნდაც იგი მაღალი რელიგიური მოწოდებითაც იყოს ნა-

კარნახევი, უგუნური, ბუნებძს საწინააღმდეგო საქციელია. რაკი კაცად გაჩნდი, უნდა იცოდე, რომ არსებითად ვერსად განდგები, ბუნებას ვერსად გაექცევი, ვინაიდან ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ხარ ამავე ბუნებისა, საზოგადოებისა, სამშობლოსი!..

რა დიდი და თვალშეუდგამიც არ უნდა იყოს ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება, რა დიდი და ცამდე ამაღლებულიც არ უნდა იყოს ადგილი, რომელიც მას ქართულ მწერლობაში თავისი პოეტური და ბელეტრისტული ნაწარმოებებით უჭირავს, მისი პორტრეტი არამც და არამც სრული არ იქნება, თუ გაკვრით მაინც არ შევეხეთ, ჯეროვანი არ მივუზღეთ პუბლიცისტიკას, სულმნათი ილიას მეორე, უდიდეს სტიქიას.

განათლებულ კაცობრიობას ბევრი მგზნებარე, მართალი საქმის დასაცავად ხმალამოღებული პუბლიცისტი ჰყოლია და ჰყავს. მათ შორის თუნდაც ვიქტორ ჰიუგოს, ემილ ზოლასა და გერცენის გახსენებაც კმარა, მაგრამ ილია ჭავჭავაძის როლი, როგორც პუბლიცისტისა, საქართველოში მაინც განსაკუთრებულია.

პუბლიცისტიკა, როგორც ცნობილია, მკითხველის გულსა და გონებაზე უშუალო ზემოქმედების ნაცადი და ბასრი იარაღია. ქვეყნის განახლებისათვის, ბედს მინდობილი, ვიწრო ყოფით საზღვრულში ჩაფლული, თავის ხვედრს უდრტვინველად შერიგებული ერის გამოღვიძებისა და მსოფლიო გზებზე გამოყვანისათვის ბრძოლის ველზე გამოსულ ილია ჭავჭავაძეს პუბლიცისტიკის გარეშე ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეეძლო. პუბლიცისტური გამოსვლები მას, რედაქტორსა და უამრავი საზოგადოებრივი საქმის ორგანიზატორს, თითქმის ყოველდღიურად სჭირდებოდა და ისიც ყოველი დარგის განსაცვიფრებელი ცოდნით ეხებოდა ხალხის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, ხოლო მისმა ლიტერატურულმა წერილებმა რევაზ ერისთავის მიერ „შეშლილის“ თარგმნის გამო, „კარკოვის პასუხად“, „ქვათა ღაღადმა“, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“, „ნუთუ“ და სხვებმა ქართული სალიტერატურო აზროვნება უმაღლეს წერტილზე აიყვანა და იგი დღემდე გადაულახავ მსოფლიო დონეს გაუტოლა.

ენციკლოპედიური ცოდნა, ზუსტი ალღო და მოვლენათა არსში სწრაფი გარკვევის ფენომენალური უნარი ილიას საშუალებას აძლევდა დაუყოვნებელი რეაქცია მოეხდინა და თავისი გადამწყვეტი, კომპეტენტური სიტყვა სწორედ მაშინ ეთქვა, როცა მისი თქმა საჭირო და აუცილებელი იყო.

იქნებ ყოველივეს ამაოდ ჩაევლო, ამ ღმერთკაცს ბრძენი სახელმწიფო მოღვაწის გამჭრიახობა რომ არ გამოეჩინა და მხედველობის გარეთ დარჩენოდა რუსეთის იმპერიის განაპირა კუთხის, საქართველოს, უსასოო ეკონომიკური მდგომარეობა. ქართული ეროვნული ბურჟუაზიის სისუსტემ, რასაც შესაბამისი ისტორიულ-ფსიქოლოგიური ფესვები ჰქონდა, საბოლოოდ ის გამოიწვია, რომ კაპიტალი უცხო ელემენტის ხელში აღმოჩნდა. ნატურალურ მეურნეობაში ჩაფლულ ქართველობას ფულის მიმოქცევა სასიკეთოს არას უქადდა. მთელი ეროვნული სიმდიდრე, უპირველეს ყოვლისა, თვით მიწა, თანდათან სხვის ხელში გადადიოდა, ქართველი კაცი კი სხვისი მოჯამაგირე ხდებოდა თავისსავე სამშობლოში, ითვისებდა სხვის სარწმუნოებას, ენას და, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოთხრობილი ერთი ამბისა არ იყოს, ეროვნულ თვითშეგნებასაც კი კარგავდა.

მართალია, მოგვიანებით, კერძოდ, 1864 წელს, ბატონ-ყმობა საქართველოშიაც გადავარდა, რისაც ასე პანიკურად ეშინოდათ ლუარსაბ და დარეჯან თათქარიძეებს, არც კი სჯეროდათ თუ რუსეთის დიდი ხელმწიფე თავის ერთგულ თავად-აზნაურობას ასე გაიმეტებდა და ულუკმაპუროდ დასტოვებდა, მაგრამ, თითქოს ამ ორ მცონარას

უსმინესო, მიწების უდიდესი ნაწილი მაინც ძველი მფლობელების, თავად-აზნაურების ხელში დარჩა. ყოველგვარ სისტემატიურ შემოსავალს მოკლებული თავად-აზნაურობა, რომელსაც რუსეთის მთავრობამ სამხედრო წოდებები და ჩინ-მენდლები ბლომად ჩამოურიგა, მაგრამ მუდმივ ჯამაგირზე კი უარი შემოუთვალა, ახლა ამ მიწებს ჩალის ფასად ჰყიდდა ან აგირავებდა და აღებულ ფულს ყოველდღიურ ქეიფსა და დრონსტარებაში ფანტავდა.

ადვილი წარმოსადგენია, რა სახეს მიიღებდა საქართველო, ამ თავქარიან მფლანგველთა პარპაში ორ-სამ ათეულ წელიწადს კიდევ რომ გაგრძელებულიყო.

ქართველ მოწინავე საზოგადოებაში, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები უდგნენ, დაიბადა იდეა სათავადაზნაურო ბანკის შექმნისა. ბანკს კრედიტი მთავრობისაგან უნდა მიეღო, უცხო ბურჟუაზიის კერძო ადგილ-მამული და უძრავ-მოძრავი ქონება შეესყიდა ან გირაოში მიეღო და წარმოებისაგან მიღებული სახსრები ეროვნული დაწესებულებების შესანახად გამოეყენებინა. მთელ წელიწადს იჯდა ილია სანკტ-პეტერბურგში, სადაც მომავალი ბანკის გამგეობის მიერ შედგენილი წესდება ჰქონდა ჩატანილი დასამტკიცებლად. თავდაპირველად ის, მართალია, ბანკის თავმჯდომარე არ იყო, მაგრამ როგორც თავმჯდომარის ამხანაგს და განათლებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით იურისტს, უამრავი აბურდულ-დაბურდული საქმის გარკვევა და თავისი ავტორიტეტული აზრის თქმა უხდებოდა.

ასე გადაარჩინა ილია ჭავჭავაძემ საქართველოს მიწა-წყალი გაყიდვას, ასე გაუმაგრა მან ფესვი ქართველ კაცს მშობლიური ქვეყნის ნიადაგში. გარდა ამისა, ბანკის მიერ გამოყოფილი სახსრებისა და შემოწირულობათა შემწეობით დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი ილია ჭავჭავაძე იყო, გაიხსნა სახალხო სკოლები, შემოღებულ იქნა სკოლებში ქართული ენისა და სხვა საგნების ქართულ ენაზე სწავლება, დაიწყო საზოგადოების დანაზოგების ხარჯზე სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა და ა. შ.

ასე და ამგვარად იქცა ილია საქართველოს სინონიმად, ასე და ამგვარად დაეუფლა ის ხალხის გულს და ასე იწამა იგი ერმა თავის უგვირგვინო მეფედ. თუ საქართველოს სტუმარი მოუვიდოდა, იგი ილიას პირადი სტუმარი იყო, თუ ვინმე თავზეხელაღებული და სინდისგარეცხილი საქართველოსა და ქართველ ხალხს აუგად მოიხსენიებდა, იგი პირადად აყენებდა შეურაცხყოფას ილია ჭავჭავაძეს და მომაკვდინებელი პასუხიც მისგან უნდა მიეღო, თუ საქართველოში რაიმე ახალი მოძღვრება ვრცელდებოდა, ჭაშნიკი პირველს ილიას უნდა გაესინჯა და ვაი, თუ ერის მამა მის გავრცელებას ერისათვის სასარგებლოდ არ ჩათვლიდა!

ილია!.. ილია!.. ილია!..

— ილია ვარ, ბიჭო, რას სჩადი!... — შესძახა მოხუცმა პოეტმა, როცა წიწამურის ბოლოზე თავისივე ტომის დაქირავებული მკვლელები დაუხვდნენ და საგურამოსაკენ მიმავალი გზა მოუჭრეს.

— შენ გეძებთ სწორედ!.. — ურცხვად უპასუხეს და ცხელი ტყვიით გული გაუგმირეს.

დიახ, მას ეძებდნენ, ეძებდნენ და იპოვნეს კიდევაც, რა ძნელი საპოვნი ის იყო. ეძებდნენ იმისათვის, რომ ძირში მოეჭრათ ტოტებგაბარდნილი მუხა, გრიგალისა და წარღვნისაგან რომ იცავდა მრავალტანჯულ სამშობლოს, რომ მოეკლათ მწყემსი, რომლის გამჭრიახ თვალსაც ფარაში ერთი ბატკნის დაკარგვაც არ გამოეპარებოდა. დაეცა და უმალ აღდგა კიდეც უფრო საშიში და მძვინვარე ყველა იმისათვის, ვისაც საქართველოს სახელი და დიდება გულზე ეკლად ესობა, როგორც მარადიული ძეგლი, სამშობლოს ორეული, ქართული ეროვნული გენიის ცოცხალი განსახიერება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

## პოეტი

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.

დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჰმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...

მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ ალმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსა ტანჯვის ცრემლსა!

23 ივლისი, 1860 წ.
პავლოვსკი.

* * *

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნვლად მონობისა.
ალმიტაცებს ხოლმე ეს ხმა
და ალმიგზნებს იმედს გულში..
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!

29 ივლისი, 1860 წ.
პავლოვსკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ბიბილური

# დიდბუნებოვანი

დიდი ადამიანები ისე ცხოვრობენ, რომ მათი ცხოვრება შთამომავლობას გაკვეთილად გამოადგეს:

ალბათ ამიტომაც ეთქმით დიდნი.

სანამ ცოცხლები არიან, ამაზე არც ფიქრობენ.

ისინი ამგვარად დაიბადნენ და ამგვარად იცხოვრეს, რადგან სხვანაირად ცხოვრება არ შეეძლოთ.

დიდი ადამიანები ბავშვობიდანვე იჭრებიან ჩვენს ცხოვრებაში და ზოგჯერ ისე გვგონია, თითქოს მუდამ ჩვენს გვერდით იდგნენ, უიმათოდ ჩვენი ყოფა ვერ წარმოგვიდგენია, უიმათოდ თითქოს ყველაფერი აზრს დაკარგავდა. ისინი ჩვენს ცნობიერებაში ჯერ კიდევ მაშინ მკვიდრდებიან, როცა ხეირიანად არც კი შეგვიცნია ყოფიერების ავი და კარგი, და ჩვენც მათ გავლენას თავს ველარ ვაღწევთ, როგორც ვერ დააღწევს თავს ხე ნიადაგში ღრმად გადგმულ ფესვებს.

ამგვარია ქართველი კაცის ცხოვრებაში ილია ჭავჭავაძე და როგორც ყველა სხვას, მეც დარწმუნებით შემიძლია ვთქვა: ილია ჭავჭავაძეს მუდამ ვიცნობდი.

„დიდბუნებოვანი კაცი იმითაც არის შესამჩნევი, რომ რომელი მხრიდანაც არ უნდა მოუარო, ლამაზი სანახავია“... ეს თვით ილიას სიტყვებია და საოცრად "მიესადაგება ამ სიტყვების მთქმელს.

ხსოვნაში არ არსებობს ის დღე, რომელზედაც შემიძლია ვთქვა, მაშინ შევხვდი პირველად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას-მეთქი. ლუარსაბი და დარეჯანი თითქოს მუდამ არსებობდნენ, ოთარაანთ ქვრივიც ჩვენი მეზობელი იყო... თვით ილიას არაერთხელ მოესტუმრებინა სოფელი, სადაც მე ვიზრდებოდი.

ეს სოფელი კახეთშია და ვაჩნაძიანი ერქვა. წელიწადში რამდენჯერმე ვაჩნაძიანელებს მლოცველებივით უნდა მოგვევლო „წმინდა ადგილები“: წინანდალი, თელავი, იყალთო, შუამთა, ყვარელი... ხოლო ის სკოლა, სადაც ვსწავლობდი, ოდესღაც თავად ლევან ჯანდიერის სახლი ყოფილა. სახლი იტალიელი არქიტექტორის ნაგები იყო, ბაღიც — უცხოურ ყაიდაზე დაგეგმილი.

ლევან ჯანდიერი ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი ყოფილა.

ბავშვობიდანვე შემორჩა მეხსიერებას თელავური ცნობილი ჭანდარიც, რომლის საჩრდილობელშიც 1893 წელს ილიას საპატივცემოდ გაიმართა ნადიმი და რომელზეც თურმე სწორედ ლევან ჯანდიერი თამადობდა.

ექვთიმე თაყაიშვილის თქმით, „ლევან ჯანდიერი ყველაზე უფრო დაახლოებული პირი იყო ილიასთან. თბილისის მაზრის უფროსი, ჭკვიანი, პატიოსანი, ენერგიული და დიდად შეგ-

ნებული, კახეთში ერთ-ერთ მოწინავე კაცად ითვლებოდა, ნივთიერადაც შეძლებული იყო. სადაც კი წავიდოდა ილია, ისიც თან დასდევდა და მოგზაურობის მარშრუტი მის ხელში იყო".

სწორედ ამ ლევან ჯანდიერს ჩამოუსახლებია მაშინდელ ბორჩალოს მაზრაში, სოფელ გოხნარში, მთიელები.

ბატონი ექვთიმე მოგვითხრობს:

„ქვემო ქართლი (ბორჩალოს მაზრა და თბილისის მაზრის სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო), ეს შესანიშნავი მხარე და მოწინავე სადროშო საქართველოსი დაცარიელდა აუარებელი მტრის შემოსევით, მეტადრე ლეკების გაუთავებელი თარეშის დროს. იმის მაგიერ, რომ ეს ადგილები ქართველი ხალხის უმიწო გლეხებით დაესახლებინათ, მთავრობამ XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში ოსმალეთიდან გადმოასახლა სომხები და ბერძნები, შემდეგ აქ დასახლდნენ გერმანელებიც. თბილისისა და ბორჩალოს მაზრების დასავლეთ საზღვრებთან ძველიდან დარჩენილი ქართული სოფელი სულ სამი იყო: ერთი დიდი სოფელი გომარეთი, მეორე — ვარდისუბანი, პატარა სოფელი, 15 კომლიანი, და მესამე — რეხა, სადაც სანახევროდ ბერძნებიც ცხოვრობდნენ. რეხასა და ვარდისუბანს მცირედი მიწა ჰქონდათ, გომარეთს — უფრო ნაკლები. ამიტომ მე მეტად გამიკვირდა და მეამა, როდესაც მანგლისის მახლობლად, გოხნარად წოდებული ნასოფლარის ქვემოთ, ვნახე მთიულებით დასახლებული სოფელი 50 კომლისაგან შემდგარი და რიგიანად მოწყობილი. ვკითხე: „საიდან გაჩნდით აქ თქვენ?" მათ მიპასუხეს: „ჩვენ მთიელები ვართ, მიწა ნაკლები გვქონდა. უშველოს ღმერთმა ლევან ჯანდიერს, მან მოგვხედა და აქ გადმოგვასახლა, სამყოფი მიწა მოგვიხერხა და მისი წყალობით მოვითქვით სულიო. აქ ორი ნასოფლარია თავისი ეკლესიებით, მაგრამ რაკი მათი სახელები არ ვიცით, ჩვენ სოფელს ახალსოფელი დავარქვითო". მე ვუთხარი: „ამ ნასოფლარების სახელები მე ეკლესიათა ნაწერების მიხედვით გამოვარკვიე, თქვენ ქვემოთ რომ ნასოფლარია, ამის სახელი აზიკვე [illegible] აქ ადამიანთა ქანდაკებებიც [illegible] „შოთაი" აწერია, შეიძლება შოთა რუსთაველი იყოს, ხოლო თქვენს სოფელს ბზა ჰრქმევია.

ამის გარდა ვთხოვე ეკლესიებისთვის ყური ეგდოთ. დიდად გაუხარდათ. დამპირდნენ მოვლას".

თერთმეტი წელიწადი ლევან ჯანდიერის — ილიას უახლოესი მეგობრის — სახლის „ბინადარი" ვიყავი (სკოლა ხომ იგივე სახლი იყო ჩვენთვის) და, ცხადია, იქაურობაში ბევრი რამ ილიას მოგონებით სუნთქავდა.

მახსოვს დიდი დარბაზები. ფართო აივნები. ვრცელი ეზო და, რაც მთავარია, დიდებული გადასახედი ალაზნის ველზე.

სახლის პირდაპირ, თითქოს საგანგებოდო, ყვარელი მოჩანდა, ცოტა გასწვრივ — გრემი.

ამ აივნიდან ალბათ ხშირად ჰვრეტდა ილია თავის მშობლიურ „ყვარლის მთებს".

მახსოვს უცხოური, „ბეკერის" ფირმის „პიანინო"...

უცნაურია, და იმ დროისათვის ძალზე დამახასიათებელი, ბედი ამ „პიანინოსი".

ოციან წლებში, ცხადია, ინსტრუმენტი, როგორც სხვა ყველაფერი, ჩამოერთვათ ჯანდიერებს. „პიანინოს" კი ის ბედი ეწია, რომ სოფლის პატარა კლუბის „ორქესტრაში" ჩადგეს, რათა მომღერალთა გუნდებისათვის აკომპანიატორობა გაეწიათ.

აკომპანიატორი, რა თქმა უნდა, არ არსებობდა და იმ „პიანინოს" აქლიალებდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა.

განსაკუთრებით სოფლის გიჟს უყვარდა... როგორც კი მსმენელებს დაიგულებდა, ახდიდა სახურავს და ხოხოცით პირდაპირ კლავიშებს დაახტებოდა.

და ერთდროულად შიშით ზრიალებდა ყველა კლავიში, რომელიც კი ამ ჰკუამხიარულის ქვეშ მოემწყვდეოდა.

ეს ისე, მოგონებისათვის...

ყველაზე ნამდვილ მოგონებად კი დარჩა ზამთრის ღამეები, გაყინული ცა, ქათქათა თოვლი და სავსე მთვარე, როცა თითქოს ყურში ჩაგესმოდა ჩურჩული ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივიდან“:

„ღამე არ იყო ბნელი. ცაზე დროგამოშვებით კაშკაშა მთვარე ხან გამოჰყოფდა ხოლმე ღრუბლიდამ თავს, ხან ისევ გაეხვეოდა, თითქოს ღრუბლის ბნელი და მთვარის შუქი ერთმანეთს ეჭიდებიან და ხან ერთია ქვეშ და ხან მეორეო.

სოფელს დიდი ხანია ეძინა იმ გულიანის ძილითა, რომელიც მართლა სასვენია და არა სანებივრებელი. მისწყდა სოფლის ხმაურობა, დღის ჟივილ-ხივილი. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმაც. ახალ მოსულს თოვლს, ყინვა-დაკრულს, არსად არ აჩნდა ნაფეხურები ადამიანისა... სოფელს ხმა გაეკმინდა და თითო-ოროლა ადგილას მეტის-მეტად ფრთხილის ძაღლის ყეფა-ღა ისმოდა ხანდისხან.

ყველას ეძინა, ყველას... ერთის მეტს“.

ის ერთი, ცხადია, ოთარაანთ ქვრივია, რომელსაც შვილის ძახილი ესმის.

ვაჩნაძიანში აკაკიც ყოფილა 1911 წელს.

არსებობს ფოტოსურათიც: აკაკი წერეთელი ჯანდიერებთან. სურათი ჯანდიერების სახლის კიბესთანაა გადაღებული. შუაში, ცხადია, მგოსანი ზის, ირგვლივ — ჯანდიერები.

ვაჩნაძიანელი მოხუცები ხშირად იგონებდნენ მთვარიან ღამეს, სოფლის მოედანზე შეყრილ უამრავ ხალხს და თეთრწვერა მგოსანს, რომელსაც თავი ზემოთ ამაყად აეწია და იმ მთვარის შუქში ღაღადებდა:

„ცა-ფიროუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო...“

ახლა წინ მიდევს ილიას წიგნი და მინდა იქიდან ამოვწერო ნაწყვეტი, რომელიც სწორედ კახეთში აკაკის მოგზაურობას შეეხება: დასაწყისში ილია ამბობს, რომ ხალხმა პატივი უნდა მიუზღოს იმისთანა კაცს, ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის ერის წინაშე, და ამგვარ კაცად, პირველ ყოვლისა, აკაკი წერეთელს მიიჩნევს, „ვინც ტკბილის და გრძნობიერის სიტყვითა ამ ოცდახუთ წელიწადში ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის“.

აკაკიმ სიტყვა წარმოსთქვა თელავში, კახელების წინაშე.

ილიას აზრით, „ამაზე მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ, კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ, არ იცით, რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას“.

აკაკის სადიდებელს ილია ასე ამთავრებს: „გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაიჩენს სამუდამო სახსოვრად, და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას, და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულის-შვილობისათვის.“

ეს სიტყვები 1882 წელს დაიწერა.

1887 წელს კი „ვეფხისტყაოსნის“ გამო გამართულ აკაკი წერეთლის ლექციებზე ილია მკაცრ წერილს წერს.

— ერთგან — აღფრთოვანება, მეორეგან — პრინციპული, მწვავე დავა...

ილია უძველესი ქართული ცივილიზაციის გამოვლინებაა. ეს ცივილიზაცია საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა ლიტერატურაში, მხატვრობაში, არქიტექტურაში, მუსიკაში. იგი მოვიდა ჩვენამდე თავისი ხელშესახები სახით, მაგრამ დაფლეთილი, განაწამები, დაქუცმაცებული და დროთაგან ფერშეცვლილი. იგი ხან ტაძარს ჰგავს, რომლისთვისაც მუსრი გაუვლიათ და არ შეშინებიათ არც ღმერთისა, არც კაცისა. ამ ტაძრისაგან აქ-იქ ორიოდე ჩუქურთმა თუ შემორჩენილა ხელუხლებელი. კედლები დაბზარულა და ჩამონგრეულა. მაგრამ აგერ, ერთი თაღი, რაღაც სასწაულად გადარჩენილი, იმ ჩუქურთმებთან ერთად, საოცარი ძა-

ლით გვაგრძნობინებს სიდიადეს მთელი ტაძრისა. ეს ცივილიზაცია ხან დიდი წიგნის ხელნაწერს ჰგავს, რომლის თავდაპირველი მოვერცხლილი ყდა ცეცხლისაგან ალანძულა. მინიატურები, საგანგებოდ რომ გამოუყვანია ოსტატს, გახუნებულა, ფურცლები აქა-იქ ვიღაცას ამოუხევია და ქარისთვის გაუტანებია, მაგრამ ეს წიგნი მაინც არსებობს, მთლიანდება ჩვენს წარმოსახვაში და მასაც თავით ბოლომდე, იმ ამოხეული და შელანძული ფურცლების ჩათვლით ვკითხულობთ... არსებობს სიმღერები, რომელთათვისაც დროს ვერაფერი დაუკლია. არსებობს ცეკვაც, რომლის დახვეწას და რაფინირებას გრძელი საუკუნეები სჭირდებოდა.

მაგრამ არის სულიერი ცივილიზაციაც, რომელსაც ტაძარივით თუ წიგნივით ვერ შეეხები. მას არც მკვეთრად გამოსახული ფორმა აქვს, არც ფერი, მაგრამ არსებობს და იმდენად არსებობს, რომ ყველაფერშია, თვით ადამიანის ცხოვრების წესში, ყოფაში, სამყაროსადმი მის დამოკიდებულებაში, ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის აღქმაში, კულტურული მონაპოვრის გათავისებაში.

ხან როდის, ხან როდის, ხან საუკუნეში ერთხელ, ხან, თუ ერს ბედმა გაუღიმა, რამდენიმე ათწლეულში ერთხელ, იბადება ადამიანი, რომელიც თავისი ბუნებით, ცხოვრების წესით და კულტურით ერის სულიერი ცივილიზაციის გამომხატველი ხდება.

ამგვარი იყო ილია ჭავჭავაძე.

ჩვენ სიამაყით ვამბობთ და მისი თანამედროვენიც ამბობენ, რომ არ არსებულა მეცხრამეტე საუკუნეში არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე, რომლის სულის ჩამდგმელი და მთავარი განმგებელი ილია არ ყოფილიყოს. მაგრამ ახლა, იმ საუკუნიდან მოშორებით მჭვრეტელთ, უკვე ღრმად გვჯერა, რომ იმოდენა ბუმბერაზს, როგორიც ილია იყო, ერთი საუკუნე სამოღვაწეოდ არ ეყოფოდა. ამიტომ გძლევს დიდი სურვილი, წარმოიდგინო იგი შორეული საუკუნეებიდან მოხმობილ სულად, რომელიც აგერ უკვე ჩვენს დრომდე მოსულა და მისი შეჩერება მაინც ვერავინ შეძლო. ის გზას განაგრძობს, ვიტყოდი, ტრიუმფალურს-მეთქი, მისი გზა მართლა ტრიუმფალური რომ ყოფილიყო, და არა ტრაგიკული.

ის მოვიდა და მოიტანა დიდი ნათელი, მაგრამ შეეჯახა წყვდიადის მეუფებას და ყველაფერი ისე დამთავრდა, თითქოს ქვეყანა ბრმა ყოფილიყოს, თითქოს ნათელი ვერავის დაენახოს და ჩაქრა კიდევ ერთი ვარსკვლავი, როგორც მირიადობით ჩამქრალა ამ უსაზღვრო და უკიდეგანო სამყაროში.

მისი დიდბუნებოვნების დასტურად ვაჟასადმი დამოკიდებულება გავიხსენოთ. ისინი არ ყოფილან მეგობრები. ილია ასაკითაც გვარიანად უსწრებდა ვაჟას, და ტოლებიც რომ ყოფილიყვნენ, მათი თავისთავადი, ამაყი ბუნება შეიძლება ვერც იგუებდა ურთიერთობათა დიდ ციკლს. მათ ალბათ შორიდან უნდა ეჭვრიტათ ერთმანეთისათვის და შორიდან დარჩენილიყვნენ ერთმანეთის ერთგულებად. ილიას ახლობელი მეგობარი დავით ჯანდიერი ყოფილა. ვაჟა უწყინარ და მშვიდ შიო მღვიმელთან მეგობრობდა. და მაინც, ილიამ პირველმა შეიცნო ვაჟა, რასაც ადასტურებს მისი ნათქვამი: „არა, ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი უნდა ძირს დავსდოთ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ“.

ნუ დაგვავიწყდება, მწერლის შექებაში ილია ძალიან ძუნწი ყოფილა.

თვითონ ვაჟა კი მუდამ ამაყობდა „დიდი ილიას ნაკურთხი კალმით“.

ილია ჭავჭავაძის „გავლენას“ ქართველი მწერალი ძნელად თუ ასცდება. მაგრამ სიტყვა „გავლენაში“ უფრო ილიას სამყარო იგულისხმება. ჩვენ ყველანი ამ სამყაროდან უნდა მოვდიოდეთ და ამ სამყაროს მსახურებად გვეგულებოდეს თავი. ეს სამყარო ვრცელია და თითქოს ყველაფერს იტევს, რითაც უცხოვრია და დღესაც ცხოვრობს ქართველი ხალხი. იქ წარსულიც იგულისხმება, აწმყოცა და მყობადიც. მაგრამ ერთი მწერლის სამყა-

როდან მოსვლა, რაგინდ დიდი მწერალიც უნდა იყოს იგი, სულაც არ ნიშნავს მის მონა-მორჩილად ყოფნას; იმ კერპად აღიარებას, რომლის წინაშეც მხოლოდ ქედს იხრიან. დიდი მწერლის სამყაროდან მოსვლა ამ სამყაროს საზღვრების კიდევ უფრო გაფართოების ცდაა, დროის მდინარების შესაბამისად. შვილი ავითარებს მამისაგან გადმოცემულ სულიერ სიმდიდრეს, მაგრამ ისე, რომ თავისი სიტყვა თქვას, მხოლოდ ის, რაც აუცილებლად შვილს უნდა ეთქვა და არა მამას.

ეს ზოგჯერ კონფლიქტის საბაბი ხდება ხოლმე, ანუ „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის საბაბი.

ამ ბრძოლას ვერც ილია ჭავჭავაძე გადაურჩა.

მერე კი თავის „მამას“ — გრიგოლ ორბელიანს ამგვარი სტრიქონები უძღვნა:

„იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართული ენისა, იგი იყო „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრის. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ — სასოებით მისი მსმენელნი“.

ილია ჭავჭავაძის მთელი მხატვრული მემკვიდრეობა და ცხოვრება ორ დიდ ფუნდამენტს ემყარებოდა: მამულიშვილურს და ზოგადკაცობრიულს. ეს ფუნდამენტი ილიას ყოველ საქმესა და სიტყვაში იგულისხმება. ერთი მეორის გარეშე არ არსებობს და ორივეს გარეშე კი — მწერლობა და მოქალაქეობა მწერლისა. მან კარგად იცოდა, რომ ყოველივე კეთილი, რაც ადამიანს გააჩნია, თავის მამულს უნდა უძღვნას, მამული კი წარმოუდგენელია კაცობრიობისაგან მოწყვეტილად, განყენებულად და ჩაკეტილად. ყოველი ერი, დიდია თუ მცირე, კაცობრიობის საერთო კულტურაში თავისი წვლილის შეტანისათვის უნდა ილვწოდეს და რაც უფრო ფართო იქნება ეს წვლილი, ერის ღირსებაც უფრო ფართოდ გამოჩნდება.

ილიამ დაიწყო ბრძოლა კარჩაკეტილი ლიტერატურის წინააღმდეგ. ეს დიდი ბრძოლა იყო და რაც ამ მხრივ ერთმა კაცმა გააკეთა, ალბათ ათეულობით ნიჭიერ კაცს ეყოფოდა გასაკეთებლად. მისთვის მიუღებელი იყო ყველაფერი, რაც ზღუდავდა ლიტერატურას, რაც ჩარჩოებში აქცევდა და ფართო თვალსაწიერს უკარგავდა მას. მებაიათეთა და მემუხამბაზეთა პოეზია ილიასათვის დრომოჭმული და ქართული ეროვნული კულტურისათვის შეუფერებელი იყო. ეს უცხო კილო სულს უხუთავდა მხატვრულ სიტყვას, ყოფას, ტრადიციას. საჭირო გახდა საუკუნეთა ამ დანალექიდან თავის დაღწევა, იმ ფესვების ძიება და მათზე ახალი კულტურის აღმოცენება, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე ზრდიდნენ გიორგი მერჩულე, ათონელები, რუსთაველი, გურამიშვილი... ეს კულტურა კი ფართო სივრცეებს, აზროვნების მრავალმხრივობას, სიღრმესა და სიბრძნეს ითხოვდა. ქართული კულტურის მოღვაწეს იქით უნდა გაეხედა, საითაც ოდითგანვე იხედებოდნენ ჩვენი კულტურის ყველაზე მოწინავენი — მსოფლიო კულტურის კერებისაკენ, რათა შეეთვისებინათ ყოველივე ახალი, რაც იმ კერებში იქმნებოდა, დიდი ტალანტები კი მეტოქენიც ყოფილიყვნენ მისი.

ალბათ ამის გამო შემოიჭრა ილიას ენაში ახალი სიტყვა: „ევროპეიზმი“, რაც ნიშნავს ახალს, მოწინავეს, მაღალი კულტურის მქონეს, დროის შესაფერისს. და ილია არკვევს ევროპეიზმის გზას ქართულ პოეზიაში, ეძებს დასტურს ევროპული აზროვნებისა ისეთი პოეტების შემოქმედებაში, როგორიცაა დავით გურამიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და განსაკუთრებით ნიკოლოზ ბარათაშვილი — „ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა“.

ილია ჭავჭავაძე საკუთარი ქვეყნიდან დიდ სივრცეს ჭვრეტდა, სულის თრთოლვით განიცდიდა ქვეყნიერების ავკარგს და დაუნდობლად ებრძოდა ყველას, ვინც ამ ავ-კარგს განდგომოდა. იგი მთელი არსებით ესალმება შემოქ-

მედს, ვისი „კვნესაც კაცობრიობის კვნესაა, ვისი ჩივილიც კაცობრიობის ჩივილია“. მას იზიდავს და ხიბლავს „ზოგად-კაცობრიობის გაუთავებელი ტრიალი იმ საიდუმლოების უძირო მორევში, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო, არც ჰო და არც არა“. მისთვის ბარათაშვილის „მერანის“ თავგანწირული სულისკვეთება „ზოგად-კაცობრიულია“, ხოლო „ვაება კაცობრიობისა ის არის, რომ მიზეზი აქვს ძებნის, ეძებს და ვერ უპოვია“. და ალბათ მშობლიური, სამამულო ლიტერატურის განვითარების სამომავლო გზაც იქით არის, „იმ თვალ-გადაუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობის, საცა ღალადებაა ყოველგვარ სულისკვეთებისა და ვნებათა ღელვისა“.

ზოგჯერ, რაკი დიდი ადამიანი მათ გვერდით ცხოვრობს, სულით პაწაწკინტელა კაცუნებს ჰგონიათ ხოლმე, ჩვენც მისი ტოლნი ვართო. და რაკი დიდი ადამიანი სამყაროს წინაშე უმეტესად მარტოა, კაცუნებს ხმას არავინ აკმედინებს; პირიქით, ზოგჯერ აქეზებენ კიდეც, მიდით, რა იმაზე ნაკლები თქვენა ხართო. ამგვარი კაცუნები ილიასაც ბლომად ეხვია. რეგვენთაგან მოსყიდულის ტყვია წიწამურთან გავარდა, რათა ერთხელაც შეეხსენებინა ქვეყნიერებისათვის, რომ ადამიანის ადამიანად ქცევას ჯერ კიდევ ბევრი დრო სჭირდება, იმდენად დიდი, რომ კაცმა არ იცის, გასწვდება თუ არა ამას ჩვენი პატარა პლანეტის სიცოცხლის ხანგრძლივობა, მიიღებს თუ არა დასრულებული ქმნილების სახეს ის „ვიღაც“, რომელსაც უკვე ამოდენა ხანია, შემოქმედი დიდის მოთმინებითა და ტანჯვით ძერწავს.

ილია ჭავჭავაძე მოკლეს...

„ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ“, — იტყვის ამ სიკვდილით შეძრწუნებული პოეტი.

— ცოდოა... — იტყვიან ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, არჩილი, კესო, პეპია, მოხუცი პეტრე...

ილიას სული კი ყველას მკაცრად მიუგებს:

„მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?

ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორ-მასწორო წუთისოფელში“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ილია ჭავჭავაძე

* * *

დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა,
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში;
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულვილში, არც სიყვარულში.

დიდხანს ვებრძოდი სიმდაბლეს, მტრობას,
და გავიმაგრე ჭაბუკი მკლავი.
ბევრჯერ მამარცხებს, მაგრამ არვის-წინ
არ შომიხრია ამაყი თავი.

ვისაც ვებრძოდი, ბრძოლად არ ჰღირდნენ,
გვიან შევიტყე ეს ცდომილება;
ეხლა მათ საზიზღ, მდაბალ მტრობაზედ
არც მეცინება, არც მეტირება.

დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა,
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში;
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულვილში, არც სიყვარულში!

25 დეკემბერი, 1860 წ.
პეტერბურგი.

## გაზაფხული

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალი ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ღხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

28 იანვარი, 1861 წ.
პეტერბურგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ შატაიძე

# ერის თანმდევი სული

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა; ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“. არავინ იცის, როგორ შეხვდნენ ოცდასამი წლის ჭაბუკის ამ, ცოტა არ იყოს, პრეტენზიულ განცხადებას მისი თანამედროვენი, მაგრამ დღეს ცხადზე ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძე მესიასავით მოევლინა მაშინდელ საქართველოს, რომელიც გრიგოლ ორბელიანის თქმით: „მრავალჯერ გაოხრებულა მონღოლთაგან, სპარსთა და თურქთაგან, ლანგ-თემურ-შაჰ-აბასისაგან, მაგრამ დაემორჩილა მხოლოდ რუს ხელმწიფესა იმ იმედით, რომ მის მფარველობის ქვეშ ეღირსება მშვიდობიანად და კეთილდღეობით ცხოვრებასა! ახლა რასა ვხედავთ? ასე დაცემული სულითა არა ყოფილა არა ოდეს, გაუძლებელი სიგლახაკე და უიმედობა გვიბნელებს გონებასა, შეგვიპყრა სასოწარკვეთილებამ... უწინ მტრისაგან დამწვარს სახლსა ავაშენებდით ნელ-ნელა, რადგანაც მიწა გვრჩებოდა გაოხრებისაგან და მოველოდით მომავალში უკეთესობას; ახლა აშენებული სახლიდამ გვერეკებიან გარეთ და აღარ ვიცით, სით მივეფარნეთ, რადგანაც ფეხქვეშიდამ გვეცლება მიწა, და მომავალიცა აღარ არის ჩვენთვის“.

„და მომავალიცა აღარ არის ჩვენთვის“...

მაგრამ ეს ახალი როდი იყო, ათასი წლის წინათ ასევე მწარედ მოსთქვამდა გიორგი მერჩულეც: „აღვერიენით ერსა უცხოსა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულისთქმასა გულთა ჩვენთასა მიბაძვებითა მათითა“.

თითქოს გადაწყვეტილია ყოველგვარი იმედი: ქართლი არაბებს დაუპყრიათ, მეფობა მოუშლიათ და თბილისის საამირო დაუარსებიათ. ქართლს დაუკარგავს თავისი პოლიტიკური სტატუსი, ხოლო სრულიად საქართველოს — უმნიშვნელოვანესი ცენტრი. თავისუფლებისათვის ბრძოლა უაზროა, რადგან ხალიფატის გავლენა მთელს მსოფლიოს მოსდებია და ქართველები მასთან ვერას გახდებიან.

„და მომავალიცა აღარ არის ჩვენთვის“...

მაგრამ ქართულ მიწას ზეციურ წყალობასავით მოევლინა „ვარსკვლავი უდაბნოთაჲ“ — გრიგოლ ხანძთელი, რომელმაც მურვან ყრუსაგან გაუდაბურებულ ტაო-კლარჯეთში ხანძთისა და შატბერდის მონასტრები ააგო და იქაურობა საქართველოს ახალ სულიერ ცენტრად აქცია, რასაც შედეგად ერის კულტურული აღორძინება, მისი პოლიტიკური გაძლიერება და, ქვეყნის გაერთიანება და განთავისუფლება მოჰყვა.

ათასი წლის შემდეგ, ასეთსავე „ჟამსა სიავისასა“ მოვიდა ილია ჭავჭავაძე და მოიტანა იმედი გამარჯვებისა, რწმენა ერის თანმდევი უკვდავი სულისა და

ეს იმედი, ეს რწმენა დღესაც არ სტოვებს ჩვენს გულებს.

„ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“. ილიას ამ ცნობილ სიტყვებში იგრძნობა დაუძლეველი სურვილი იმ საიდუმლოს ამოცნობისა, თუ როგორ, რა გზით შესძლო ქართველმა ხალხმა საკუთარი არსებობის გადარჩენა, როგორ შეინარჩუნა ენა, კულტურა, თვითმყოფობა. „რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შეკრულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულ! ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა“.

სწორედ ამ მაგარი ქვის ჩასადებად „დანიშნა ზეცამ“ ილია ჭავჭავაძე. ამ ქვაზე ქართული ასოებით ეწერა, — ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო.

ილიას სიცოცხლეშივე შეარქვეს ერის მამა. იგი მართლაც მამა იყო ერისა, მამა — მოსიყვარულე, პირუთვნელი და მკაცრი. „გულის შემაზრზენი პირფერობა, ტყუილი ქება და პირიდამ თაფლის დენა, რომელსაც ქართველი „ზრდილობას“ ეძახის — ესენი ერთად მტოები არიან დამპალი ყიზილბაშებისა“. „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრის სარედაქციო წერილში ილია წერდა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია. როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვენი „მოამბე“ დაუნდობლად გამოჰფენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი“. ილიამ მშვენივრად იცოდა ქართული ანდაზა: „კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო“ და მისი საოცარი ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, სათქმელს ისიც პირში ეუბნებოდა თავის სნეულ ქვეყანას.

ისევ გრიგოლ ორბელიანს მოვიხმობთ: „ჩუმად, კვნესით და ოხვრით, კვდება და ჰქრება ის სახელოვანი თავადაზნაურობა, რომელიცა ათასის წლის განმავლობაში მამაცობით ებრძოდა მთელს აზიასა ქრისტეს სარწმუნოებისა და მამულის დასაცავად... რა ვჰქნა, როგორ არ შევჰსწუხდე, ვუყურებ რა საქართველოს გამწარებით მდგომარეობასა? ჩვენი საყაფლანიშვილო მამული ერთიანად იყიდება... იყიდება დავით ჭავჭავაძის სახლ-კარი, ნაფარეული, წინანდალი, მუკუზანი, და ერთის სიტყვით, იყიდება თითქმის მთლად საქართველო“.

იყიდება თითქმის მთლად საქართველო...

ვიღაცას ვალი ვერ გაუსტუმრებია და მამულს ჰყიდის...

ვიღაცა ქალს ათხოვებს და მამულში აღებული ფულით უნდა რომ გაამზითვოს...

ვიღაცას თევზი მოსურვებია და მამულის საფასურით ნაყიდ კალმახს შეექცევა...

„იყიდება საქართველო“...

ცოტა ხანსაც რომ გაგრძელებულიყო ასე, ქართული მიწა მთლიანად უცხო ტომის საკუთრებად გადაიქცეოდა, მაგრამ ილიას მეცადინეობით დაარსდა თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკი და ქართული მიწა გადარჩა!

რამდენი ენერგია, რამდენი შრომა დასჭირდა იმ ბანკის დაარსებას.

ერთხელ, პეტრე უმიკაშვილმა ილიას საყვედური შეჰკადრა — ათი წელი ხდება, რაც შენი მადლიანი კალმის საკადრისი არაფერი დაგიწერიაო. აი, რას პასუხობს მას ილია: „მე, სწორედ გითხრა, ცუდი აგებულების კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შალავათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას თავს არ დავანებებ — ეგ მოსვენება და შალავათი ჩემთვის სიზმარია... მწერალს დამოუკიდებლობა უნდა, მწერალს თავისი დრო სულ მას უნდა ეკუთვნოდეს... ეხლანდელი

ჩემი მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება“ .

ილიას უპირველესი საქმე მამულისათვის ზრუნვა იყო, ამ საქმის გარდა, ყველაფრის გადადება შეეძლო.

შემოქმედებითი მოღვაწეობა.

გლეხთა განთავისუფლების რეფორმა...

„საქართველოს მოამბე“...

სათავადაზნაურო ბანკი...

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება...

„ივერია“...

მამულის უჩინარ თუ აშკარა მტრებთან ბრძოლა...

ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა იმპერიის სახელმწიფო სათათბიროში...

კიდევ მრავალი და მრავალი საქმე, რომელთა გარდა ყველაფრის გადადება შეიძლებოდა.

„ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა, არამედ უბრალოჲ ხელითა და წმიდაჲ გულითა“ (წინასწარმეტყველი დავით).

გრიგოლ ხანძთელი და ილია ჭავჭავაძე.

ეს ორი ტიტანური ნების მამულიშვილი განსხეულებაა ერის თანმდევი უკვდავი სულისა: „მარად და ყველგან, — საქართველოვ, მე ვარ შენთანა! მე ვარ რო შენი თანამდევი, უკვდავი სული“.

მათ ათასი წელი აშორებთ ერთმანეთისაგან.

გრიგოლ ხანძთელის დაწყებული საქმე ბრწყინვალედ დააგვირგვინა დავით აღმაშენებელმა. ილიასი — თავის დამაგვირგვინებელს ელოდება:

„იქნებ აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?“

გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა „რიცხვსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა, ქრონიკონსა ოთხმეოცდაერთსა ნათლითა მიუწვდომელითა შემკობილი“.

ილია ჭავჭავაძე 1907 წლის 30 აგვისტოს მოჰკლეს წიწამურთან, სამოცდაათი წლისა. არავინ იცის, ვინ და რისთვის. იმავე წლის 2 სექტემბერს გაზეთი „ისარი“ წერდა: „ცხადია, რომ აქ უბრალო ცნობისმოყვარეობა არ მოქმედებს: ქართველმა ერმა უნდა იცოდეს, უნდა გაიგოს — ვინ და რისთვის ჩაიდინა ესეთი ბოროტ-მოქმედება ქვეყნის წინაშე“.

მართლაც რომ უნდა იცოდეს, რადგან „ჟამი არს დარღვევისაჲ და ჟამი აღშენებისაჲ, „ჟამი დუმილისაჲ“ და „ჟამი სიტყვისაჲ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ილია ჭავჭავაძე

* * *

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.

დაჟინებითა ფიქრი ფიქრზე მოდის გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი, — მიხარიან, რომ ეგრეთ ჰშვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..

6 აგვისტო, 1861 წ.
ყვარელი.

* * *

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში
ბოროტთ საკლავად, — მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ.

თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა,
და დაე გვძრახონ, — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი.

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

ოქტომბერი, 1861 წ.
ყვარელი.

## ბედნიერი ერი

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მძიმე ყალნით,
ლამაზ ფალნით
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩინარი,
ქედდრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ლონიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი,
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჰკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი,
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
მტვერწაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი,
უზლუდონი,
გზამრუდონი,
არ გამტანი და ცბიერი;
მტრის არ მცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არ რის მქონე,
არ რის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
არის კიდევ სადმე ერი?

29 აგვისტო, 1871 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

# „აზრი ქვეყნის ხსნისა“

ილია ჭავჭავაძე იყო ქართული სულის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შემკრები და ამიტომაც მისი ყოველი სიტყვა ფასდაუდებელია არა მარტო მწერლისათვის, არამედ ყველა პროფესიისა და ყველა მრწამსის ქართველისათვის.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში შეღწევა, მისი „მიღმა“ მხარის მოხილვა, მისი უხილავი ნაწილის გაცხადება არაა იოლი საქმე, მაგრამ ვინც ამას შესძლებს, ის უდაოდ სრულყოფილებას ეზიარება, გაუკეთესდება და ამაღლდება ზნეობრივად: იქიდან სიკეთის მადლცხებული გამოვა, როგორც ღვთის ტაძრიდან.

რამდენი ვინმე ჰკარგავს ამ ღვთაებრივად სრულყოფილ ტკივილებთან ზიარების შესაძლებლობას, თავისი სრულქმნის კიდევ ერთ შესაძლებლობას.

ილია ჭავჭავაძის სიდიადის შესაცნობად აუცილებელია მისი ქართულად წაკითხვა. მისი ძალა ქართული ენის წიაღშია ნაგროვები და მარტო ამ ენით მეტყველთათვის ცხადდება მთლიანად და სრულყოფილად.

ილიას მთელს შემოქმედებას მსჭვალავს „აზრი ქვეყნის ხსნისა“, მარცვალი, ხმა — არც ერთ თაობას მოსვენებას რომ არ მისცემს: ავად აბურძგლავს და შესძრავს ისტორიის მუხთალ გზაჯვარედინებზე, სადაც უეჭველად დადგება ქართული სისხლის ყოფნაარყოფნის საკითხი... იგივე ხმა დაგეზავს მომავალ თაობებს, აღავსებს რწმენითა და გმირობის გაუნელებელი წყურვილით.

ილიასდროინდელი საქართველოსა და ქართველის სულის რეალური სურათი ერთი ამოსუნთქვით დაწერილ ლექსში მოგვცა დიდმა წინაპარმა გრიგოლ ორბელიანმა: „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო. გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით“.

წინამავალთა გამოცდილებას, მათს შეცდომებს ვინც ხედავს და ითვალისწინებს, ის უდავოდ კარგ მომავალს იმზადებს. ილიამ ეს შესძლო. მან, ჩინოვნიკური კარიერის უარმყოფელმა, მთელი სიცოცხლე „დამხობილი სამშობლოს“ წყლულებისა და სატკივარის კვლევასა და გამომზეურებას შეალია.

ილია ამაოდ როდი სცემდა საგანგაშო ზარებს. ქართული სულის ბზარები კატასტროფულად ღრმავდებოდა. ეს იყო — ზნეობრივი დაცემა, შემაძრწუნებელი გარყვნილობანი, კოსმოპოლიტიზმის სახელით მამულისა და ერის უარმყოფელობა, ღვთისმგმობელობა, ძმათა სისხლის მსმელობა... იგრძნობოდა, რომ დაიწყო ადამიანთა დაცემის უმაგალითო ხანა... თითქოს გაცხადდა სოდომისა და გომორის შორეული ცოდვის ანარეკლი...

ამის კვალდაკვალ ქართულმა სულმა, ერის ღვთითკურთხეულმა მარცვალმა, სამომავლო საფრთხის შემცნობელმა ხმამ დაიწყო შენივთება, გადარჩენის გზების შეუპოვარი ძიება... ამ საშიშროების, ამ შენივთებისა და ძიების წარუშლელი კვალითაა დაღდასმული ილიას მთელი შემოქმედება, მისი მოღვაწეობის ყველა მხარე.

ილია იყო ეროვნული სულის მკურნალი, მისი ტკივილებისა და წყლულების უცთომლად შემტყობი და ამ მისიით მოგვევლინება ის სამომავლოდაც, მომავალი ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე.

მან, წარსულის სხვა დიდ პოეტებთან ერთად, ქართულ ლიტერატურას დაუმკვიდრა სიმართლის სა[illegible] ერთგვარი ღვთიური მი[illegible] არე, რაც მხატვრული სიტყვის უპირველესი მარცვალი უნდა იყოს.

ილია ჭავჭავაძის მრისხანება, მისი ცრემლი, მისი სიფხიზლე, მისი სიმართლის კვერთხი, თვით მისი სიკვდილიც მიმართულია მომავალი თაობების გულებისაკენ და გვეუბნება, რომ ადამიანთა სისხლითა და ოფლით განზავებულ მიწაში ბოროტების თესლი არ უნდა დაითესოს, ამ მიწაზე ბოროტების ხე არ უნდა აღმოცენდეს.

მისი სულის თავისუფლება მომავლის საუკუნეებთანაა სოლიდარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

## პასუხის პასუხი

I

ჩვენ უჩინონი,
ჩვენ უჩინონი
თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გვგონივართ.
იქიდამ ვქნავით
სად თქვენის მადლით
ხაფანგებ-ქვეშე დამწყვდეული ვართ.

ჩვენ ვვლეთ რუსეთი,
მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია;
ჩვენი ქვეყანა,
მკვდარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიცვლია.

ლიბერალობა,
პატრიოტობა
სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია,
თქვენგან ჩაგრული,
დაბრმავებული
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდია.
ქვეყნისა ბედი,
და ხსნის იმედი
თქვენებრ ხელში ჩვრად არ გაგვხდომია;
კაცის მხნეობა,
კაცის ზნეობა
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია.
სარწმუნოება
და სათნოება
ფარისევლობად არ შეგვიქმნია,
თქვენი სლოკინი,
ხელთა ფოტინი
ღვთისადმი ლოცვად არ მიგვაჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს მოვედით ჩვენ,
მსწრაფლ გიცანით თქვენ,
შორს დავიჭირეთ თქვენი ანბანი:
რად ჰკვირობთ მასა,
რომ თქვენს ანბანსა
ვერ შევაჩვიეთ ვერვინ ჩვენგანი.

II

მითამ რად გიკვირთ,
რომ მაღლა ვყვირით
მილიონებზედ და სხვაზედ არა!
თქვენ ყოვლად ბრმანო!
თვით ოკეანო
ერთად თავმოყრილ წვეთით შემდგარა;

მაშ რაღადა გვგმობთ,
ოდეს ჩვენ ვცდილობთ
ერთმანეთობით მილიონობას?
თქვე ნაცარმქექნო
და გულნამცეცნო,
აქაც ძირს უთხრით ღარიბთ ერთობას.

ვართ ულონონი,
უგზო-უკვლონი
მით, რომ თქვენ ჰყრიხართ უქმად ჩვენშია,
ჩვენ მოკუნტულნი,
თქვენ გაბლინძულნი,
ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია.

III

იმით თამამობთ,
რომ ბეზღით გვწამობთ
ურჯულოებას, ღვთის უარყოფას?
ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმუნია ჩვენსა თაობას;
ღმერთი მზაკვრობის
და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარუყვია,
ღმერთი ხარბობის
და მძარცველობის
თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია.

ხოლო გვწამს ღმერთი,
უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;

ყოველთა ძმობის,
თანასწორობის
მოძღვრობისათვის ქვეყნად ჯვარცმული,
ძლიერთ დამბმელი,
უძლურთ ამხსნელი,
თქვენგან კაცთაგან გმობილ-დევნული!

ორგულობისა,
ორპირობისა
ძირსა დამცემი და დამთრგუნველი,
ფარისეველთა,
სადუკეველთა
გამაკიცხველი და გამდევნელი.

მან კუბოს მორთულს,
შიგ სიმყრალით სრულს,
თქვენებრი კაცი არ დაადარა?!
ზაკვით სავსენო,
ავმორწმუნენო,
ის თქვენ სიტყვით გწამთ და საქმით არა.

IV

მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის —
მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა,
მაგრამა გმობა,
ენისა მტრობა
ბრალად ვის დავდვათ, ჩვენა თუ თქვენა?

ეხლა რომ ბღავით,
თქვენ არ იყავით
ენის პატრონად ჩვენზე უწინა?
ჩვენ ძუძუს ვწოვდით,
როცა თქვენ ჰგმობდით
ენას და ხალხსაც — გარეთ თუ შინა.

ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა
ბრძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთად?!
შიშით — არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად.

ენა მაღალი,
მის სიღრმე, ძალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა;
    პირველ თქვენგანმა,
    იმა ბედშავმა,
    მას მკვდრის სუდარა გადააფარა,

V

    ენა მდიდარი,
    თქვენს ხელში მკვდარი,
ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,
    და ამისაც თქვენ
    ცოდვად გვითვლით ჩვენ,
რაღა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!

    თქვენგან გმობილი,
    თქვენგნით ლტოლვილი
ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევაფარეთ:
    კარგად თუ ავად,
    ჩვენ მას ვინახავთ
და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.

    გვიან თუ მალე,
    დღესა თუ ხვალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,
    მაგრამ კი თქვენი
    მრუდე საქმენი
ისევ ისევე მრუდედ დარჩება.

    უგზოდ მვლელნოო,
    უსწავლელნოო, —
ასეთმა ფურმა უნდა დაგვწიხლოს,
    რომ ჩვენზედ ბევრსა
    თვით იწველდესა, —
ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!

    ვინა ყრიხართო,
    ვირები ხართო, —
მაგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება?
    მაგრამ შოთამ სთქვა, —
    რაც კოკაში სდგა,
იგივე თურმე წარმოსდინდება.

28 იანვარი.
1872 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ალხაზიშვილი

# მარად თანამედროვე

რასაც ახლა ვწერ, ერთ სიტყვასაც არ ვწერ მხოლოდ საიუბილეო თარიღის კარნახით, რადგან ილია ჭავჭავაძე, ჩემთვის და ბევრი თქვენგანისთვისაც, არაა ის მწერალი, საიუბილეო დღეებში რომ მოაგონდებათ, საკადრისს მიაგებენ და მომავალ მრგვალ თარიღამდე მიავიწყდებათ. განსაცვიფრებელია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ილია ჭავჭავაძე ყველაზე უფრო თანამედროვე მწერალია. დავფიქრდეთ, რა არის მიზეზი ილიას შემოქმედების, მთელი მისი მოღვაწეობის უბერებლობისა. მარტივად შეგვიძლია ვთქვათ: ყველა დიდი მწერალი ყოველთვის თანამედროვე მწერალია. მაგრამ ეს პასუხი არ იკმარებს ილიას შემოქმედების მარადიულობის განსაზღვრისათვის. არის კიდევ რაღაც, უფრო დიდი, უფრო მასშტაბური — დიდი მწერლობის ფარგლებს რომ სცილდება და მის დიდ მწერლობას — იმ რაღაც დიდის, მასშტაბურის მნიშვნელოვან, მაგრამ მხოლოდ ერთ მხარედ წარმოგვიჩენს. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ცალკეული ციტატების ამოწერა მისი პუბლიცისტიკიდან არ გამოდგება, რადგან ამოწერილი წინადადებები მაინც შხეფები იქნება იმ დიდი ზღვისა, ილიას წიგნებში რომ ღელავს და შფოთავს დღესაც. მიუხედავად ამისა, მე მაინც შევეცდები, შევახსენოთ ილიას „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ და „ზოგიერთი რამ“. აი, რას წერდა იგი:

„ქანც-გაწყვეტილი მუშაც კი საჭიროებას ჰხედავს დაიტკბოს სიმწარე თავისი ცხოვრებისა სიმღერით და გაიქარვოს თავისი ჭირ-ბოროტი, და ერისათვის რატომ აღარ უნდა იყოს საჭირო, თავისთა მწერალთა ტკბილ-გალობით ასე თუ ისე გაიქარვოს კაეშანი, ხოლო ამით იმის თქმა გვინდა, რომ რაკი საზოგადო ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდამ გამოეცალა, რაკი კაცს ხელთ შერჩა მარტო თავისთავიღა, სხვა რა ექმნა, რომ უსაგნო გარეშემოსაგან ლტოლვილი თვალი თავის საკუთარს გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთა-თქმისა და ჭკუა-გონების ხედვისა“.

„საზოგადო ცხოვრება“ ხელიდან გამოეცალაო“ „ჩვენს კაცს“, — წერს იგი ალ. ჭავჭავაძის პოეზიის შეფასებისას, — და სხვა გზა არა აქვს, „თავის საკუთარ გულში“ იხედებაო; ძიება იმისა, თუ რად წაერთვა, „ხელიდამ გამოეცალა“, „საზოგადო ცხოვრება“ „ჩვენს კაცს“, შორს წაგვიყვანს. მაგრამ მიზეზიც და შედეგიც ამ მოვლენის ილიამ შესანიშნავად იცის, გააზრებული აქვს და მთელი მისი ცხოვრება ბრწყინვალე მაგალითია იმისა, რაგვარი ბრძოლით, რუდუნებით, თავგანწირვით ცდილობს დაუბრუნოს „ჩვენს კაცს“ „საზოგადო ცხოვრება“, რომ მხოლოდ „მწერლის გულთა წვა-დაგ-

ვას, ჭირსა და ლხინს“ კი არ უგალობს, არამედ „მოაზრე ცხოვრების აზრთა სვლას და წარმატებას“.

იმ უთვალავ პრობლემათა შორის, ილიას რომ მოსვენებას არ აძლევდა, კიდევ ერთს, უმთავრესს გამოვყოფ: „ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი, იმ ქვეყანას, სადაც საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, სადაც ყველაში თითო არ არის და თითოში ყველა, სადაც თვითეული ყველასთვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, სადაც „მე“ ხშირია და „ჩვენ“ — იშვიათი!.. განვთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასოასოდ დავიჭერით“... „რაკი ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაიფუყა, სულით და ხორცით დავკუწმაწდით“. ყური მიუგდეთ — „სულით და ხორცით დავკუწმაწდითო“ — სხვას ვის შეეძლო ამგვარი მკაცრი სიმართლე პირში ეთქვა ერისთვის?! „საზოგადო ცხოვრება“ რომ „ხელიდამ გამოეცალა“ „ჩვენს კაცს“, „საერთო ძარღვი რომ გაუწყდა“ ერს, შესანიშნავად იცოდა ეს გულისმომკვლელი, შემაძრწუნებელი სიმართლე ილიამ. და მისი მოწამებრივი ცხოვრება და შემოქმედება ერის საერთო ძარღვის გამთლიანებისაკენ სწრაფვა იყო მაშინაც, როცა „ოსმალოს საქართველოზე“ წერდა და მაშინაც, როცა რუსეთის იმპერიაში საქართველოსთვის ავტონომიური სტატუსის მოპოვების გზებს ეძებდა, საგულდაგულოდ ადგენდა პროგრამასა და პროექტს.

ილია არ არის მხოლოდ პროზაიკოსი, მხოლოდ პოეტი, მხოლოდ პუბლიცისტი, მხოლოდ რედაქტორი. ილია არ არის მხოლოდ გენიოსების (ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა) აღმომჩენი და მგზნებარე მხარდამჭერი, ერთგულების მეგობარი — ილია უფრო დიდი იყო, ვიდრე ერთი დიდი მწერალი, იგი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს გული და გონება იყო, სწორედ ამიტომ ესროლეს ტყვია საქართველოს გულში; მათი მიზანი იყო, რომ საქართველო უგონოდქმნილიყო, გაღვიძებული ეროვნული თვითშეგნება დათრგუნვილიყო. უნდა ვაღიაროთ, ილიას მკვლელობის შემდეგ საქართველოში არ აღმოჩნდა არავინ, ვინც შეძლებდა ილიას საქმე ილიასებურად გაეგრძელებინა. სწორად ბრძანა გალაკტიონმა: „მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“...

ილიას მკვლელობამ კიდევ ერთხელ დაანახა საქართველოს, რამდენ დიდი იყო ილიას ღვაწლი.

მკვლელობის ავტორებმა იცოდნენ, ვის კლავდნენ და რატომ კლავდნენ, მაგრამ ის აღარ იცოდნენ, რომ ილიას მოკვლით არ შეიძლებოდა მოკვლა ილიას „აზრთა სვლისა“, რომელსაც ისე ღრმად გაედგა უკვე ფესვი მოაზროვნე საქართველოს გულში, რომ მისი ამოძირკვა აღარავის შეეძლო.

საქართველოს ილიას „აზრთა სვლა“ ამოძრავებს ამჟამადაც.

ილიას მოღვაწეობა და შემოქმედება ერთმანეთისაგან განუყოფელია. აზრები, მისი წერილებიდან რომ ამოიზიდება, მხატვრულ განხორციელებას პოულობს მისსავე შემოქმედებაში, მრავალი მტკივნეული პრობლემა, უმაღლესი მწერლური შესაძლებლობით ასახული, სხვაგვარ ძალას იძენს მის პუბლიცისტიკაში. ილიას პოზიცია ნათელია, ილიას პოზიცია ქართველი ხალხის პოზიციაა, რადგან მისი პოზიცია ერის განუწყვეტელი ძარღვის შემაერთებელი, საერთო სატკივარის გამომხატველია.

ე რ ი ს მ ა მ ა — ასეც ამბობენ ხოლმე ილიაზე. მაგრამ შვილს შეუძლია მამობრივი სიყვარულის გარდა რაღაც სხვაც დაინახოს მამის პიროვნებაში: უარსაყოფი, განმასხვავებელი თვისება, რაც თამბებს მიჯნავს; ილიას მარადიული სული, მისი მამობრივი მზრუნველობა გაუცხოების ოდნავ საბაბსაც კი არ იძლევა. ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ ილია თავისი შემოქმედებით, პრობლემებითა და მსოფლმხედველობით ყველაზე უფრო თანამედროვე მწერალია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ილია ჭავჭავაძე

* * *

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალი ხომ შენია...
    მათ ახლით აღგიდგინონ შენ დიდების დღენია?
    ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცები,
მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები.
    მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია,
    ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაბილწავს მათს გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა!
    მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია,
    ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ რაღ მოგიწყენია?

15 სექტემბერი, 1872 წ.

### ბაზალეთის ტბა

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო წყლის ქვეშე
უცხო წალკოტი ჰყვავისო.

მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს თურმე არ სჭკნება,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა
იგი არ ემორჩილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.

წალკოტის შუაგულშია
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა
არავის გაუბედნია.

მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,
მარტო იგინი გრძნეულნი
დასტრფიან და დამღერიან...

ამბობენ, — თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.

ამას კი აღარ ამბობენ, —
აკვანში ვინ ჩააწვინა,
ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბად რისთვის დაადინა....

იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?

თუ ესე არის, ნეტა მას
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!

თუ ესე არის, ნეტა მას
დედასა სახელდებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!

14 ივლისი, 1883 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათუ დანელია

# მარადიული მოძღვარი

საქართველოში არავის ისე არ შეეფერება მოძღვრის წოდება, როგორც ილია ჭავჭავაძეს.

სახელი „ილია“ საქართველოში უკვე მოძღვრის მნიშვნელობითაც შეიძლება იხმარებოდეს.

რამდენი დაწერილა და თქმულა ილია ჭავჭავაძეზე!.. და მაინც დასაწერი, სათქმელი და საკვლევი ჯერ კიდევ ბევრია, რაც ამ საქმეში უფრო ჩახედული კაცის ვალია. მე, იქნებ ჯობდა, დამეწერა მხოლოდ იმ განცდებსა და შთაბეჭდილებებზე, სკოლაში ან სკოლის მერე რომ მივიღე მისი ნაწარმოებების წაკითხვისას! და მაინც, ამ წერილში ჯერ მოკლედ მინდა ვთქვა ის, რაც წარმოსახვით და ფიქრით დამაქვს, რისი ქაღალდზე გადატანაც ძალიან მიჭირს.

მე ზოგჯერ წარმოვიდგენ ილიას მოკვლის შემდგომ საათებს და დღეებს, — „ილია მოკლეს!“ „ილია მოკლეს!“ „ილია მოკლეს!“ — წარმოვიდგენ, როგორ გაისმის ეს ორი სიტყვა მთელს საქართველოში და ვხედავ:

დღემდე არც ერთი დიდი ქართველის ამ ქვეყნიდან წასვლის უწყება არაა ისე თავზარდამცემი, როგორც ეს ორი სიტყვა: „ილია მოკლეს!“

ვინ მოკლა ილია? — ილია მთელ ქართველ ერს მოძღვრად მოევლინა და მისი მკვლელი საქართველოს დაუძინარი მტერი უნდა ყოფილიყო. საუბედუროდ, ილიას მკვლელები ქართველები იყვნენ. ზოგის გვარიცა და სახელიც ვიცით, მაგრამ ეს როდია მთავარი! მთავარი სულ სხვაა!..

ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, მნიშვნელობა არა აქვს, ვინ მოკლა ილია, — რა გვარისა და წოდების ადამიანებმა, ან რომელი პოლიტიკური „მრწამსის“ წარმომადგენლებმა, რადგან ვიცი, ერთნიცა და მეორენიც ქართველები იყვნენ, და ჩემთვის სწორედ ესაა შემაძრწუნებელი — რამ მოაკვლევინა ქართველ კაცს თავისი ერის მოძღვარი, რატომ გახდა ქართველი კაცი სამშობლოს მტერი! არა! — ქართველი საქართველოს მტრობას გულში არ გაივლებდა, — ამას ვერავინ ვერ გადამარწმუნებს. ილიას მკვლელი ძე შეცდომილია, ბრიყვია, მტრის ხმასაა აყოლილი და ამიტომ იგი ტრაგიკულიც არის.

იულიუს კეისარი პირწავარდნილი ტირანი იყო, მაგრამ სიკვდილის წინ თავის მკვლელს — ბრუტუსს ჰკითხა: „შენცა, ბრუტუს?..“ მისი მკვლელი მარტო ბრუტუსი როდი იყო, სხვებიც იყვნენ, თანაც ბევრნი, მაგრამ მან მხოლოდ ბრუტუსს მიმართა ამ კითხვით, რადგან ამაგი მიუძღოდა მისადმი.

ილიას უფლება ჰქონდა, ნებისმიერი თავისი ქართველი მკვლელისთვის ასე ეკითხა: „შენც?..“ რადგან იგი ყოველი ქართველის მოამაგე იყო. მაგრამ არა!

— ილია ასე არ მოიქცეოდა. ილია არც მოიხედავდა უკან, — თავისი მკვლელის პირისახის კი არა, ზურგის დანახვასაც არ მოისურვებდა იმის შიშით, ის ქართველი არ აღმოჩენილიყო... თავის მტრად ილია საქართველოს მტერს თვლიდა და არა იმ ქართველებს, რომლებთანაც ყოველდღიური შეხლა-შემოხლა და კამათი ჰქონდა.

ილიას ფიზიკურად მოკვლის შემდეგადაც კლავდნენ: კლავდნენ მორალურადაც, როგორც ერის მასწავლებელსა და პატრონს, როგორც შემოქმედსა და მოღვაწეს. ის კი არ იცოდნენ, რომ ჭეშმარიტი მოძღვრის მოკვლა მხოლოდ ფიზიკურად არის შესაძლებელი, მას შემდეგ კი — მისი მოკვლის ყოველი მცდელობა მარცხით მთავრდება...

ილიასადმი, როგორც შემოქმედისადმი სიყვარული იმ პოემით გამიჩნდა, რომლის ზუსტი სახელწოდებაა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, ხოლო იმდროინდელი ბავშვების მეხსიერებაში რატომღაც „კაკო ყაჩაღი“ ჩარჩა. ჩემს ქრესტომათიაში ყველაზე ცრემლდანთხეული ეს ნაწარმოები იყო.

ქართველებს არ გვაქვს ისეთი საყვარელი მხატვრული ნაწარმოები, როგორიც არის მარკ ტვენის „ტომ სოიერი“ და „ჰეკლბერი ფინი“. არ ვიცი, ვისთვის რა, მაგრამ ჩემთვის „ტომ სოიერი“ და „ჰეკლბერი ფინი“ — ქართულ ენაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებებიდან — „კაკო ყაჩაღი“ გახდა. ილიასადმი, როგორც მოღვაწისადმი, ჩემი სიყვარულიც ამ ნაწარმოებით დაიწყო, — ოღონდ ცოტა მოგვიანებით, როცა მივხვდი, რომ ამ ნაწარმოებმა ისეთივე საქმე გააკეთა, როგორსაც აკეთებდნენ საზოგადო მოღვაწენი. XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში ყველაზე მეტად ილიას მხატვრულ ნაწარმოებებს ეტყობა, რომ მათი ავტორი არა მარტო დიდი ეროვნული მწერალი, არამედ დიდი ეროვნული საზოგადო მოღვაწეცაა.

ილია ჭეშმარიტად მონოლითური, მთლიანი პიროვნება იყო. — ისტორია, კულტურა, სწავლა-განათლება, პოლიტიკა, ეკონომიკა, თეატრი, სამართალი, ადათ-წესი, წარსული და მომავალი და, ვინ მოთვლის, კიდევ რა! — ყოველივე ეს ილიას აწვა ზურგზე და ილია მიჯაჭვული იყო საქართველოს გულს, რომლის გარშემო კალმით, როგორც ხმლით, ისე ებრძოდა ქართველი ხალხის მტრებს, სანამდეც სწვდებოდა... გულდასაწყვეტი იქნებოდა, ილიასავით ბრძენთა ბრძენს მარტო ლიტერატურისთვის რომ დაეთმო დრო! წარმოვიდგინოთ, რამდენი რამ დაგვაკლდებოდა და მოუგვარებელი დაგვრჩებოდა, რამდენი ხნით დაგვიანდებოდა ბარათაშვილის აღიარება და პატრონობა, რამდენი ხნით დაგვიანდებოდა ვაჟას აღმოჩენა და აღიარება, რამდენად დაბალი იქნებოდა იმდროინდელი და შემდგომი წლების კულტურის და ეკონომიკის დონე საქართველოში.

ყველას თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავსო, იტყვიან. ილია კი ის მფარველი ანგელოზი იყო, რომელიც ყველას და ყველაფერს თავის ფრთებქვეშ უძებნიდა ადგილს. მიუხედავად ამისა, ილიამ მაინც შექმნა ის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, — რის შემძლეც იყო თავისი ნიჭითა და მომზადებულობით. სხვა რომ არა გარდა მოთხრობისა „სარჩობელაზედ“, არაფერი დაეწერა, ილია მაინც დიდ მწერლად დარჩებოდა.

ილია ქართველი ერის მამა იყო, არის და იქნება მარად. დიახ, ილია ერის მამა იყო. მამაც იყო და... მინდა გავიხსენო ერთი ქართული თქმა. — მამით ობოლი ბავშვის დედაზე იტყვიან ხოლმე: ესაა იმ ბავშვის დედაც და მამაც! დედით ობოლი ბავშვის მამაზე კი: ესაა იმ ბავშვის მამაც და დედაც! — ასეთი თქმა ხალხში გაჩნდა და დამკვიდრდა, ამიტომაც ჟღერს ბუნებრივად. სწორედ ილიაზე შეიძლება ითქვას ასე: ილია იყო ქართველი ერის მამაც და დედაც. იგი მამასავით გვიფარავდა და იმედად გვყავდა, და დე-

დასავით აკვანსაც გვირწევდა და ნანასაც გვიმღეროდა...

ილია ქართველი ერის მარადიული მოძღვარია.

სიტყვა „მოძღვარს“ მხოლოდ ერთიორი მნიშვნელობა როდი აქვს! — მოძღვარი მასწავლებელიც არის და დამრიგებელიც; აღმზრდელიც არის და გამზრდელიც; მფარველიც არის და პატრონიც; მომვლელიც არის და მზრუნველიც;

ილია როგორც ზრუნავდა ჩვენზე, დღესაც ისე ზრუნავს, და დღეს — მომავალშიც ჩვენი პატრონიც, გამზრდელი და მასწავლებელია, და დღეს — ჩვენს წარსულსაც უვლის და მფარველობს. ამიტომაა იგი ქართველი ერის მარადიული მოძღვარი.

ილიას სიტყვა, ილიას აზრი, ილიას ნათელი, საკუთარი ჩრდილივით უნდა დასდევდეს ყოველ ქართველს და გულში ქართულ ჩუქურთმასავით უნდა ჰქონდეს ამოკვეთილი მისი სახელი.

—•—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

## კითხვა — პასუხი

### კითხვა

კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული;
მაგრამ რამდენადაც მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.

გიმზერ და მზერა კვლავ სწყურიან თვალს,
გისმენ და სმენით ყური ვერ სძღება;
მაგრამ რამდენადაც საყვარელი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.

რა დაგრჩენია კვლავ სანატრელი?
ღვთისგან რა არ გაქვს მომადლებული?
მაგრამ რამდენადაც მადლით სავსე ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.

ვინ მოგმართოს შენ და წინ არ დახვდეს
შენი სიმდიდრე, შენი უხვება;
მაგრამ რამდენადაც მდიდარ-უხვი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.

მარქვი, რად არის ის გულთა კვდომა,
სად სიცოცხლეა გახარებული,
და რამდენადაც შენ ცხოველ-მყოფელ ხარ —
იმდენად უფრო რად კვდება გული?

### პასუხი

— მე სამოთხე ვარ და თქვენ კი, თქვენ კი!..
ვაი, ძე ჩემი ბედკრულ, უძლური!..
იქ თვით სამოთხე ჯოჯოხეთია,
სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვარელი ვარ.. ჩემს მზიან ჩრდილში
სიყვარულს უნდა თვით ტახტი ედგას, —
და, ვაი, იმის სანაცვლოდ თქვენ კი
ერთმანეთს აყრით კრულვას და წყევლას!..

მადლით სავსე ვარ და, ვაი, ჩემს შვილს
ეგ მადლი ჩემი ვერ უშვნევია;
და ან იქ რა ჰქმნას თვით წმინდათ-წმინდამ,
სად ცოდვას მადლი დაუძლევია?

მე მდიდარი ვარ და თქვენ კი, თქვენ კი...
ლუკმა-ნატრულნი ერთმანეთსა სჭამთ,
მე ტკბილ ცხოვრების წყაროსა გაწვდით
და, ვაი, თქვენ კი ძმა ძმის სისხლსა სვამთ!..

იქ თვით სამოთხის წალკოტი, მდელო
უდაბნო-ლაა ურგებ-ურწყული,
სადაც არ აბნევს თვის წმინდა ნამსა
სული მართალი და წრფელი გული.

(1894 წ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუიჯი მაგაროტო

# „მწირის" პოეტიკა ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილში"

ილია ჭავჭავაძის მიერ 1883 წ. შექმნილი პოემის პათოსის მიხედვით, განდეგილური გამოცდილება დიდი შინაგანი წინააღმდეგობებითაა გაჯერებული. პოემა ასაბუთებს, რომ შეუძლებელია, ან უფრო სწორად, ადამიანს არა აქვს უნარი ასკეტურ იდეალებს მიაღწიოს, და ამის დასტურად ინდივიდუალისტურ, სამოღვაწეო ასკეზის გზებზე უცილობელ, სოციალპიროვნულ კონსტანტებს წარმოაჩენს. ტრადიციულად, შუა საუკუნეების მორჩილება და მოღვაწეობა თავისთავად გულისხმობდა ბრძოლას მძიმე განსაცდელთან თუ დაუსრულებელ ცდუნებასთან, გადალახვას იმ ურთულესი სიძნელეებისა, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში შინაგანი გზის პირადი თავისებურებების ფუნქციით რომ ყალიბდებოდა და მუდამ ერთნაირად მძიმე და სახიფათო იყო. მხოლოდ დაუმარცხებელ ,მედგარ მგზავრს შეეძლო გასრულება ამ გზისა, მიღწევა ასკეტური სრულფასოვნებისა, რაც ჭეშმარიტების შეცნობისა და ვნებათა დათრგუნვის უნარს მიანიჭებდა.

ბერი ჭავჭავაძე, თავისი რელიგიური პრაქტიკის ჟამს, გარე სამყაროსთან ხანმოკლე კონტაქტს ამყარებს და მაშინვე აღმოაჩენს, თუ რა შორს დგას იმ მისტიკური სრულყოფილებისაგან, უკვე მიღწეული რომ ეგონა; ხვდება, რომ, პირიქით, მოულოდნელი განსაცდელის მძიმე გზას მხოლოდ ახლაღა უნდა შეუყვეს. წმიდა მამათა მისტიკური ტრადიციების თანახმად, სრულყოფილად რელიგიური მიზანი აბსოლუტურად მიუღწეველია, რადგან მრავალ, მიწიერ ცდუნებას მისი უსასრულობისაკენ გადაწევა შეუძლია, ამ შემთხვევაშიც განდეგილ ილია ჭავჭავაძის წინაშე გადაიშლება გზა და მან ეს გზა უნდა განვლოს, რამეთუ დამარცხება მისი გამოავლენს, რომ სამოღვაწეო გზა ჯერ არ გასრულებულა, გმირი კი სრულქმნილებისაგან შორსა დგას.

ი. ჭავჭავაძის პოემის სიუჟეტს საფუძვლად ძველი, ცნობილი ლეგენდა უდევს. მისი გმირი კი, ჩვენი დროებისაგან არც ისე შორეულ ჟამს რომ ცხოვრობდა, დიდი მეუდაბნოების მსგავსად, საზოგადოებას განუდგა და მარტოსული, ბუმბერაზი ყაზბეგის ფერდობზე კარჩაკეტილად ცხოვრობს. დღეებს იგი ლოცვასა და მონანიებაში ატარებს და სულის გასანათლებლად სხეულს იგვემავს. მწირი ჯერ კიდევ არ არის მოხუცი, მაგრამ იმედოვნებს, რომ ყოველდღიური, რელიგიური სავარჯიშოებით ხორციელ ვნებებს დათრგუნავს და მხოლოდ სულიერი ნეტარებით იცოცხლებს. უძველესი ხატების წინ საათობით მლოცველი განდე-

გილი გრძნობს უფლის ყოვლადმყოფობას, რაც პოემაში წარმოდგენილია ალეგორიულად, პატარა სარკმლიდან შემოჭრილი მზის სხივების სახით, იტალიური ალორძინების ხანის მრავალი ტილოს მსგავსად, სენაკსა და განდეგილს რომ ეცემა და უფლის წმინდა სულით ალვსების სიმბოლოდ გვევლინება.

ერთ საღამოს, მზის ჩასვლის ჟამს, განუწყვეტელი ლოცვითა და მარხვით დაუძლურებული ბერი მონასტრის კარიდან მეწამულ დაისს იხილავს. განდეგილი ამას უფლის ყოვლადმყოფობის კიდევ ერთ დამადასტურებელ ნიშნად აღიქვამს და უკიდეგანო სიხარული მოიცავს. დაისი სიმბოლოა სრული ჰარმონიისა, რაიც ღვთიურის გამოვლინებასა და თავად მოღვაწის მიერ შექმნილ შინაგან სამყაროს შორის არსებობს. ირგვლივ სრული სიმშვიდე სუფევს; ბინდმოსილი ბუნება ნაზი, განდეგილის მზერა კი უშფოთველია. მაგრამ „უეცრად“ — და აქ ეს სიტყვა თითქოს იგივე მნიშვნელობას იძენს, რასაც დოსტოევსკის „უცებ“ — გარემო მკვეთრად შეიცვლება. მოულოდნელად ქარბუქი ამოვარდება, შავი, მრისხანე ღრუბელი გამოჩნდება, ქუხილის ხმა გაისმის, ელვა გაიკლაკნება და თავსხმა იწყება. და თუ მდუმარე ბუნება ასე ჰარმონიულად ეხმებოდა გმირის სულიერ სიმშვიდეს, გარემოს მოულოდნელი შეცვლა იმ ღრმა ძრწოლას ეხმიანება, განდეგილი რომ მოიცავს. ქარიშხლის გრიალში მწირს ესმის, რომ ვიღაც მშველელს უხმობს. „თუ ძეა კაცის, რამ მოიყვანა ამ დროს, ამ ღამეს ქვეყნისა რღვნისას?“ თავს ეკითხება განდეგილი და მაშინვე განსაცდელის წინათგრძნობა უჩნდება. „ვინა ხარ? კაცი თუ მავნე, აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?“ — ყვირის იგი. „კაცი ვარ, კაცი!“ — ისმის პასუხი და მაშინვე გამოჩნდება ქარიშხლით დევნილი მწყემსი ქალი, რომელიც თავშესაფარს მონასტერში ეძებს. თავდაპირველად ბერი ვერც კი ხვდება, რომ ეს მთლად სველი, გაწეწილი არსება ქალია და მისი მელოდიური ხმა აოცებს. შემდეგ კი, ცეცხლ[illegible] [illegible]ნორჩ, შავთვალება, [illegible] ჯავსე, განსაცვიფრებლად ლამაზ ქალს იხილავს. ამ სიმშვენიერით გაოგნებული გმირი ქალს თვალს ვერ აშორებს და მისი სახით, ბაგეებით თუ მოქნილი სხეულით ტკბება. ცეცხლთან ჩამომჯდარი მწყემსი გოგონა კი უამბობს, ავდარმა მომისწრო, გზა ამებნა და „დიდ ხანს“ ვუხმობდი მშველელს, სანამ ხმა მოგაწვდინეო. ეს „დიდ ხანს“ სწორედ არსებითია და განდეგილის პოზიციიდან ისე აღიქმება, თითქოს განსაცდელისაგან თავის დაღწევა სრულიად შეუძლებელი იყოს. სტუმარს კი უკვირს, როგორ შეგიძლია სამყაროს სილამაზისა და სიმშვენიერის დათმობაო და ეკითხება: „მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით, ველარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“ „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურსა...“ — პასუხობს განდეგილი და წარმოსთქვამს თუ არა, უხეიროდ არჩეული სიტყვა თავადვე აკვირვებს. მისი შეცბუნება შინაგან მონოლოგში იჩენს თავს და აშკარად იკვეთება, რომ „უბედურს“ სულსა და ხორცს შორის სასურველი წონასწორობისათვის ვერ მიუღწევია, რომ სულის ამაღლებისათვის ხორციელი მოთხოვნილებების დათრგუნვის მცდელობა კრახით სრულდება, რომ თავის გადარჩენის სურვილით სოციალური მომენტის უგულვებელყოფა შეუძლებელია. აღთქმული სასუფევლის მოსაპოვებლად მან პირადი „მე“ უარყო, სოციალური ურთიერთობის სარკეს განუდგა, მაგრამ ადამიანის მიწიერი ცხოვრების აზრის ძიების სურვილი ვერ მოიშორა. და ის, ვისაც ეგონა ქვეყნის ამაოების ყველა საზრუნავი შორს მოვიტოვეო, ამჟამად ახალი, დაუძლეველი ძალით გრძნობს, რომ ქალი იზიდავს, ის ვისაც ეგონა ყველა კითხვაზე პასუხი გავეციო, ამჩნევს, რომ მხოლოდ შინაგანი ხმა ჩაუხშვია, ის, ვისაც სჯეროდა ნეტარებას ვეზიარეო, ხედავს, რომ კვლავ

იძულებულია, თავისი მოღვაწეობის მნიშვნელობას ჩაუფიქრდეს.

ამასობაში ცეცხლით გამთბარ ქალს ჩაეძინება და მისი სილამაზე თუ მომხიბლველობა გმირისათვის უფრო და უფრო აშკარა ხდება. განდეგილი კვლავ გადახედავს ქალს და აქ, პოეტი, თითქოს დიდ სექსუალურ სწრაფვას უსვამს ხაზს, აღარც „მწყემსს“ ხმარობს, აღარც „შვილს“ და მხოლოდ „ქალით“ ამბობს. მწირს თვალის არიდება სურს, მაგრამ შეუცნობელი ძალა აიძულებს თვალი ვერ მოსწყვიტოს. საიდან იშვა ეს გაუგებარი სიამოვნება, გმირი რომ მოუცავს? მისი გული სულ სხვაგვარად რად იწყებს ფეთქვას? რად კანკალებს?

რ. ბარტი ბრძანებს: „მეცნიერება მზერის სამ, სხვადასხვაგვარად კომბინირებულ ინტერპრეტაციას გვაწვდის: ინფორმაციულს (მზერა გვასწავლის), კომუნიკაციურს (ერთმანეთს შესცქერიან) და მიმზიდველობით-პოსესიურს (მზერით ეხებიან, იპყრობენ ან დაპყრობილნი არიან).[1]

მზერას სამი სხვადასხვა ფუნქცია აქვს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეძიებს, იკვლევს, „ჩხრეკს“; იგი დინამიკური, მოუსვენარი და მოუხელთებელია. იგივე რ. ბარტი შეგვახსენებს, რომ მზერა, ყველა ხელოვნების მსგავსად, რაღაც „მნიშვნელობაზე“ მიგვითითებს, ამიტომ შეიძლება გამოიწვიოს „სინესტეზია, შეგრძნებების ფსიქოლოგიური განუყოფლობა, რაც ამ შეგრძნებებს ისე შეაულლებს, რომ პოეტურად ერთის მეორეზე გადატანის საშუალებას მოგვცემს. ამგვარად, ყველა გრძნობამ შეიძლება „დაინახოს“, ან, პირიქით, მზერამ შეიძლება იგრძნოს, შეეხოს და ა. შ.“[2] შესაბამისად, მზერა წამიერებით არ ამოიწურება, რადგან ის შინაგანად წინ ხანგრძლივად ისწრაფვის, ამავე დროს, უკან ჯიუტად ბრუნდება, თითქოს შთაგონებული იყოს მისწრაფებით, რომ თავისი აღმოჩენის არე გააფართოოს და მოპოვებული განამტკიცოს.[3] განდეგილის მზერა, ქალს მიპყრობილი, სწორედ ასეთია; თითქოს ხილულის მიღმაც ცდილობს დაინახოს და უხეში სამოსით დაფარული სხეული შეიცნოს. მზერის [illegible] სწორედ ის გახლავთ, რომ სამანი არა აქვს, ყველა ბარიერის გადალახვა და იდუმალში შეჭრა შეუძლია. სამზერი ობიექტი (ამ შემთხვევაში მწყემსი ქალი) მაგიური სივრცეა, თითქოს ნაკრძალ მხარეში შეჭრაა, რაღაც ისეთის ნიშანია, რაც მხედველობას არ ემორჩილება. ობიექტი, იმის ნაცვლად, რომ მზერა შეაჩეროს, მას წარმოსახვით პერსპექტივაში, უცნობ განზომილებაში აგზავნის.[4] განდეგილის მზერაც რაღაც სხვას ეძიებს, ეს არ უნდა ჰგავდეს იმას, რაც თვალწინ უდგას. იგი სახეს, ბაგეებს, ნორჩ, უმოძრაო სხეულს შესცქერის და თითქოს უკვე ეხება, აღიქვამს, მთლიანად ემორჩილება სურვილის მიერ გადახსნილ უფსკრულის თავბრუდამხვევ სიმშვენიერეს. მზერის სიჯიუტე სწორედ მის მოჩვენებით უნებისყოფობაში ვლინდება. „საგნებთან ჩვენი დამოკიდებულება, რაც ხედვის პროცესის დროს დადგინდება და წარმოდგენების სახით ჩამოყალიბდება, სწორედ იმას ეძახის მზერას, რაც იძხევა, მოძრაობს, ერთი პლანიდან მეორეში გადადის და რაღაც ნაწილით ყოველთვის გისხლტება“.[5] მაგრამ ეს თითქმის შეუმჩნეველი მოძრაობა, როგორც უკვე შევნიშნეთ, არაჩვეულებრივ შეუპოვრობას შეიცავს, რადგან მზერის ბუნება მას მხოლოდ წმინდა კონსტატაციაზე შეჩერების საშუალებას არ აძლევს და მუდამ მეტს მოითხოვს. ეკლესიის მამები, არც თუ უსაფუძვლოდ თვლიდნენ, რომ მზერა მატყუარაა, ყველა სხვა გრძნობაზე სუსტია და ცდუნებასაც მეტად ემორჩილება. განდეგილმა ეს დაივიწყა, მზერა ქალზე შეაჩერა, წარმოსახვის ნაყოფი მოამრავლა და თავიც დაკარგა. იგი ნელა წამოდგა, ქალს მიუახლოვდა, ჩაციებით დააცქერდა და მისი ბაგეებისაკენ ნელა დაიხარა. მწირმა ყველა მორალური აკრძალვა გადაივიწყა და ხორციელი სურვილის დაკმაყოფილება სცადა. ბრძო-

ლა მიწიერ (ეროსი) და სიკვდილის (თანატე) ცდუნებებს შორის, მის არსებაში ასე დიდხანს რომ დუღდა, ერთი შეხედვით, უკანასკნელთა გამარჯვებით დასრულდა, თუმცა პირველთა ჩახშობა ვერ შესძლო. უფრო მეტიც, პირველი შესაძლებლობისთანავე ეროსი გამხნევდა, თანატე დაამხო და საკუთარი მიზნის მისაღწევად მთელი ძალ-ღონე მოიშველია. მაგრამ განდეგილი, ოდნავ შეეხება თუ არა ქალის ბაგეს, მაშინვე მოინანიებს და შერყეული სულიერი წონასწორობის აღდგენასა და ხორცის ამბოხის ჩახშობას მოისურვებს. ეს რალას ნიშნავს? დანაშაულის შეგრძნება გაჩნდა, თანატე დაბრუნდა თუ რაციონალურობა განმტკიცდა? მოკლე მონოლოგი, რომელიც ამ მონაკვეთს მოჰყვება, არასრულ და არაცალმხრივ პასუხს გვაძლევს. დაუკმაყოფილებელი სურვილი და ხორცის დასამარების კვლავ განმტკიცებული ნება ერთმანეთს შეეჯახება. სწორედ იმ დროს, როცა განდეგილი თავის სურვილებს კვლავ დაიმორჩილებს, სენაკში ვერაგი, ბოროტი სიხარულით აღსავსე ხმა გაისმის: „წაწყმდი თუ არა!..“ გაოცებული განდეგილი ირგვლივ მიმოიხედავს, ეძებს, ვინ წაასწრო, ეს სიტყვები ვინ წარმოსთქვა, მაგრამ სენაკში მძინარე ქალის გარდა არავინაა. მაშ ვისი ხმა გაისმა? მზერა არა მხოლოდ აქტიურ, პასიურ მოქმედებასაც მუდამ გულისხმობს: როცა ვხედავთ, ჩვენც გვხედავენ, თუნდაც ჩვენივე სინდისი, სამზერი ობიექტის მიერ გამოწვეულ რეაქციას თვალს რომ ადევნებს. ამ მიზეზით მზერას ხანდახან განიხილავენ, როგორც სინდისის, ამ თავისთავად მოუხელთებელის, გამოვლინების ნიშანს: დაუკმაყოფილებელ სურვილს ხანდახან მოულოდნელ შედეგთან მივყავართ. მაგრამ განდეგილის სულს ამ სურვილმა დიდი ზიანი მიაყენა, როცა აიძულა მწყემსი ქალის ბაგეებს შეხებოდა და გარემოს რეალობა სხვა, რელიგიური შეგნების მიერ ნაკარნახევი რეალობით შეცვალა. განდეგილობისა და ასკეტიზმის მიმდევარს, რომელიც მიწიერ ცდუნებებს თავზარდაცემული უნდა გაქცეოდ[illegible]ლის შეგრძნებამ, ცო[illegible] სული აუფორიაქა და მწირიც, თავისი სენაკის მშვიდ, წყნარ გარემოს წარმოსახული რეალობით ავსებს, რეალობით, ჰალუცინაციების საშუალებით ბნელი, დემონური ძალებით რომ არის დასახლებული და დანაშაულის შეგრძნების გამოვლინებად გადაიქცევა. ნებისა და სასოწარკვეთილების ძალით იგი მუხლებზე დაეცემა, ლოცვას აღავლენს და ბოროტების ხლართებისაგან თავდახსნის გზას ღვთისმშობლის კალთაში ეძიებს. სურვილი კი არ ქრება, ხელს პირჯვრის გადაწერას, ენას კი ლოცვის წარმოთქმას არ ანებებს. სინდისისა და ეროტიკული სურვილების შეჯახებით გამოწვეული დაძაბულობა ახალ სივრცეს წარმოშობს, რაც ახალი ჰალუცინაციებით ივსება. განდეგილი ღვთისმშობლის ხატს შეხედავს, მაგრამ წმინდანის ხატებასაც კი მწყემსი ქალის სახე მიუღია; მიაყურადებს და კვლავ ესმის იგივე ხმა, ადრე რომ ესმოდა და დასცინოდა, კვლავ შესცქერის ღვთისმშობლის ხატს და კვლავ მწყემსი ქალის სახეს ხედავს. მწირი ველარ უძლებს ასეთ დაძაბვას და ძრწოლით აღვსილი, შიშით თავზარდაცემული მონასტრიდან საშველის საძებნელად გარბის. ამგვარად, გამოცდა დასრულდა, მაგრამ განდეგილმა იგი, ცხადია, ვერ ჩააბარა. მწყემსი ქალის გამოჩენა საკმარისი აღმოჩნდა, რათა სურვილების უსაზღვრო სივრცე გაჩენილიყო, სწორედ იმ სურვილებისა, მრავალი წლის მანძილზე მონანიებით ამაოდ რომ ახშობდა. იმედი სულის აღზევებისა, ხორცის დათრგუნვისა და სასუფევლის მოპოვებისა ერთ წამში გაქრა. შორეულ სენაკში განმარტოებული ბერი თავის გადარჩენის ინდივიდუალურ გზას ეძებდა, მაგრამ, ავტორის აზრით, მოქალაქეობრიობისა და საზოგადოების მიღმა მხსნელი თავშესაფარი არ არსებობს, როგორც კი ამ ქვეყანასთან ხანმოკლე კონტაქტი აღადგინა, განდეგილი მაშინვე ძრწოლამ მო-

იცვა, რადგან საკუთარი არსებობის გამართლება მხოლოდ ცხოვრებითა და მოქმედებით შეიძლება. მეორე დილით ამოსული მზე მწირს მშვიდლად მოევლინება და ისიც მზის სხივებით გამთბარ თავის სენაკში ბრუნდება. მწყემსი ქალი უკვე წასულა და სენაკმაც ყოველდღიური იერი დაიბრუნა. განდეგილი კვლავ ლოცვანს აიღებს, მაგრამ ის სხივს აღარ აირეკლავს, მწირს ენა წაერთმევა, დაეცემა და სულიც ამოხდება. ასეთ გმირს, რომელიც ინდივიდუალისტურ კარჩაკეტილობას ამჯობინებს იმას, რომ ხსნა სამშობლოსათვის თავგანწირვაში ეძიოს, ჭავჭავაძე სასჯელად მონანიებით გამოწვეულ წამებასაც კი აღარ უტოვებს და იმედდაკარგულს მხოლოდ მსხვერპლად წირავს.

„და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ლალადების,
აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარიშა დადის და ქშუის,
და გამომფრთხალი ჭექა-ქუხილით.
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...“

ლიტერატურა:


1 ბარტი, რ. „აშკარა და გაუგებარი“, კრიტიკული წერილები, III, პარიზი, 1982 წ. გვ. 279 (ფრანგულ ენაზე).

2 იქვე, გვ. 280.

3 სტარობრიანსკი, ჟ. „ცოცხალი თვალი“, 1961 წ., გვ. 7 (ფრანგულ ენაზე).

4. იქვე, გვ. 6.

5 ლაკანი, ჟ. „სემინარიუმი“ წ. XI, პარიზი, 1943 წ., გვ. 70 (ფრანგულ ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

## აჩრდილი

(ორი თავი პოემიდან)

### VII

მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.
მეცა ვტანჯულვარ, ჰე ბედკრულო, შენის ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
მეც წარტყვევნილვარ წარსულ დღეთა შენთა ნატვრითა,
შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულებია.
წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება,
ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა მორჭმულ-ძლიერი,
შენცა გფენია ქვეყნის მადლი — თავისუფლება,
ეხლა აღგვილა ყველა ესე, ვითარცა მტვერი...
და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,
განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული,
მას დაჰკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი რწმენა
და დაუგდიხარ ვით ტაძარი გაუქმებული.
ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას
და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული
ჰკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,
უქმისა დრტვინვით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის,
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა,
და იგი ცრემლი ურწმენობის, ეჭვის და ტანჯვის,
ჰლალადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## XXVI

დედაო ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა;
სალმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს ულვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.
ძლიერო ღმერთო! შენთვის ჰბრძოდნენ ქართვლისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან — რა არს მშვიდობა,
იკმარე სალმრთოდ მათ პატიჟი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.
მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!..

26 იანვარი, 1859 წ. (პეტერბურგი)
(ბოლო რედაქცია 1872 წ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე

# გზები

მატარებელი ტფილისის სადგურში ჩამოდგა.
კუბო ციმციმ გადმოიღეს ვაგონიდან...
მშობლიური ქალაქიდან უსახელოდ წასული ჩინოვნიკი ახლა გენიალური პოეტის სახელით ბრუნდებოდა...

ორთქლმავალი ქშენით მიარღვევდა ღამის წყვდიადს. ბაქო-ბათუმის საფოსტო მატარებელი აჯიკაბულიდან ელისაბედპოლ-განჯისაკენ მიემართებოდა.

ჭაბუკი მემანქანე სოლომონ დოლიძე ორთქლმავლის ფარებით მკრთალად განათებულ ლიანდაგს გაჰყურებდა.

სოლომონს თანაშემწედ ოზურგეთელი მეზობელი, თვრამეტი წლის კაკო მახარაძე ჰყავდა, ცეცხლფარეშად კი განჯელი ჭაბუკი მამედ ჰასან-ოღლი. ორივე ერთნაირად თვინიერი და მორჩილი იყო, თვით განსაცდელის ჟამსაც კი მემანქანის განკარგულების უსიტყვოდ შემსრულებელნი.

განსაცდელის ჟამი ბევრჯერ დაუდგათ და ერთმანეთიც გამოსცადეს.

რკინიგზა თავისი არსებობის სულ რაღაც ოციოდე წელს ითვლიდა ამიერკავკასიაში. ჯერ კიდევ ბევრი რამ მოუწესრიგებელი იყო და, ცხადია, ყოველივე ამას დიდ-პატარა ხიფათიც ახლდა.

რკინიგზის იმ უბანში, სადაც ამ სამეულს მატარებლები დაჰყავდათ, ყველაზე სახიფათო გადასარბენი განჯა-ალაბაშლა იყო. განჯის სადგურის ისარს გასცდებოდნენ თუ არა, დაღმართი იწყებოდა, ვიდრე სადგურ ალაბაშლამდე. ამ გზაზე მემანქანეებს სული კბილით ეჭირათ და ცხრაპირ ოფლს იწურავდნენ... ზოგჯერ მემუხრუჭეთა დაუდევრობით, დაუმუხრუჭებელი ვაგონების მთელი სიმძიმე ორთქლმავლებს აწვდება და იყო შემთხვევა, როცა სადგურ ალაბაშლაში შეჭრილი მატარებელი მატარებელს დასჯახებია, ანდა ორთქლმავლები და ვაგონები ლიანდაგს ასცდენია.

ასეთი დიდი საფრთხე დოლიძესა და მის ბიჭებს არ შემთხვევიათ, მაგრამ რამდენჯერმე შიში კი იწვნიეს...

კოლომნის ქარხანაში ნაკეთები ოთხდერძა ტენდერიანი ორთქლმავალი ძლიერ უყვარდა სამივეს. მეოთხე მეგობრად თვლიდნენ, ცოცხალ არსებად მიაჩნდათ და ალერსიანი სიტყვებითაც ელაპარაკებოდნენ.

სამთა ბრიგადა მატარებლებს აჯიკაბულ-ელისაბედპოლ-განჯა-ალსტაფის გზაზე დააქროლებდა. (განჯას მაშინ ელისაბედპოლ-განჯას უწოდებდნენ).

ოცდაოთხი წლის სოლომონი კი დიდი კაცი იყო მახარაძისა და მამედ ჰასან-ოღლისათვის. წიგნიერსა და საქმის უბადლო მცოდნე მემანქანეს სულ თვალებში შეჰყურებდნენ.

სხვამ თუ არა, კაკომ მაინც ყველაზე უკეთ იცოდა, როგორ ეწაფებოდა სოლომონი წიგნებს. მიუხედავად იმისა, რომ ექვსი წლით უფროსი იყო დოლიძე, მასთან კარგი მეგობრობა აკავშირებდა. სოლომონს ბევრი და-ძმა ჰყავდა — ისიდორე, დავითი, თედო, სოფიო, მაშურა და თამარი. კაკოსაც ეძმო, რადგან ეს ბიჭი თავად სიყვარულით მიეტმასნა. როგორც კი დროს მოიხელთებდა, სოლომონს თავისუფლად დაიგულებდა, აეტორღიალებოდა. უფროსი მეგობარიც გადახვევდა ხელს და ხან სად მიჰყავდა, ხან სად.

ცხოვრებაზე თავისებური შეხედულებანი ჰქონდა სოლომონის მამას — ესე დოლიძეს. უამრავი შვილის პატრონს, სიბერეში უკვე უჭირდა ოჯახის რჩენა. ცოლი გვიან შეირთო. როცა შვილები წამოეჩიტნენ, ის უკვე სიბერეში ფეხშედგმული იყო. მთელი თავისი სიცოცხლე სულ მიწას დასჩერებოდა მიწის იმედით. შვილებსაც სულ ძალისძალით აბამდა

გლეხურ საქმეზე — უნდოდა მიწის მუშები გამოსულიყვნენ, მათ სწავლა-განათლებაზე არც უფიქრია და არც უზრუნია.

ცხოვრება თავისას მოითხოვდა. სულ სხვა გამოდგა ჰაბუკთა და გოგონათა მისწრაფება. სოლომონი, მაინც, ისე დაეწაფა წიგნებს, მამის მრისხანება კი არა, მთელი ქვეყანა რომ გადმხედგომოდა წინ, სწავლისკენ ლტოლვას ვერავინ დაუშლიდა.

ოზურგეთში იყო ერთი მწიგნობარი, წიგნით მოვაჭრე კაცი, კოწია თავართქილაძე. მაღაზიის გარდა მას პატარა სტამბაც ჰქონდა, შეძლებისდაგვარად ბეჭდავდა და თავისივე მაღაზიაში ჰყიდდა გამოჩენილ ქართველ მწერალთა პატარ-პატარა წიგნებს. წიგნების დიდი ნაწილი კი თბილისიდან ჩამოჰქონდა. იმ დროისათვის განთქმული გამომცემლის ზაქარია ჭიჭინაძის მეგობარი იყო და წიგნები ძირითადად მისგან მოჰქონდა.

ოზურგეთელებს, კოწია თავართქილაძის წადილითა და მეშვეობით, ლამის მთელ დასავლეთ საქართველოში ყველაზე უკეთ ჰქონდათ საქმე.

კოწიამ კარგად იცოდა უფრო მეტად ვის სჭირდებოდა წიგნი — ბეჯითს, ნიჭიერსა და მონდომებულ ყმაწვილებს ხელს უმართავდა, მათ შორის სოლომონ დოლიძეს — გამორჩეულად, რადგან ეს ყმაწვილი კალამსაც ეთამაშებოდა. კოწიას საიდუმლოდ კიდეც გაანდო თავისი მიზანი. როცა თავართქილაძემ ყმაწვილის რამდენიმე ლექსი და პროზად შეთხზული მინიატურა წაიკითხა, შეაქო, გაამხნევა და ურჩია: „კეთილი საქმე დაგიწყია, ბიძიკო, ბოლომდე ბეჯითად მიჰყევი. ხომ იცი, მაგ საქმეს დიდი განათლება უნდა. მე კი წიგნს არ მოგაკლებ, იბეჯითე, ასახელე ოზურგეთი!“

აბა, იმ დროს ზაქარია ჭიჭინაძის, კოწია თავართქილაძის, გრიგოლ ჩარკვიანისა და სხვათა წვრილ-წვრილი გამომცემლობები კი არა, თავზე საყრელ ლიტერატურას პეტერბურგისა და მოსკოვის სტამბებიც ვერ უშვებდნენ.

კოწიას წიგნის დუქანი ხშირად გამოცარიელებული იყო, მისი სტამბა — გაჩერებული, მასალის უქონლობის გამო, და რა ზეიმი ჰქონდათ ოზურგეთელ წიგნის მოყვარულებს, როცა თავართქილაძე თბილისიდან გამოგზავნილ ამანათს — ორიოდე ყუთ წიგნს მოიტანდა თავის მაღაზიაში!

სოლომონმა პირველად ორთქლმავალი ნატანებში ნახა. მამამ ბათუმში ურმით წაიყვანა და გზად ნატანებში გაიარეს. სადგურში დაინახა ეს საოცრება — მანქანა, ცეცხლს რომ აფრქვევდა და ორთქლში გახვეულიყო. მაშინ შიშიც იწვნია და აღფრთოვანებაც... შინ საოცრად აღელვებული დაბრუნდა. იმ დღიდან ვეღარ მოისვენა, შემდეგ, დროდადრო, ბიჭებთან ერთად მიიპარებოდა ხან ნატანებში, ხან სუფსა-ჯუმათის სადგურებზე და [illegible] შეჰყურებდა მატარებლებს...

ერთხელ პატარა კაკოც წაიყვანა. ნაშუადღევი იყო, როცა ჯუმათში მივიდნენ, კაკოს არც ლიანდაგი ენახა და არც მასზე მოსრიალე მატარებელი. კარგახანს უყურებდა უცნაურ გზას — რკინის ზოლებს, ერთმანეთზე კოხტად მიჯრილ შპალებზე რომ გაეწყოთ. როცა ორთქლმავლის ხმა შემოესმათ და სადგურში დაგადუგით შემოიჭრა მატარებელი, შიშით გულგახეთქილი კაკო ადგილს მოწყდა და სოფლის შარაზე ისე გაენთო ღრიალით, სოლომონი ძლივს წამოეწია... მერმე ხშირად სიცილით იხსენებდნენ ამ ამბავს. იმ ღამეს კი კაკოს შფოთიანად ეძინა, მეორე დღეს მისიანებმა შეალოცვინეს კიდეც...

ერთხელ ოზურგეთში ვიღაც უცხო, ელეგანტურად ჩაცმული მამაკაცები ჩამოვიდნენ, შეკრიბეს ახალგაზრდები და გამოუცხადეს, რკინიგზა ახალი საქმეა კავკასიაში, ხალხი გვჭირდება, უამრავი მუშა-ხალხი გვინდა — მემანქანეები, მათი თანაშემწეები, მეცეცხლურები, მეისრეები, ვაგონების გამყოლები, გადამბმელები, მემუხრუჭეები...

შეარჩიეს მსურველები. სოლომონიც ჩაეწერა რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში. ეს ამბავი ესე დოლიძეს არ ესიამოვნა, ბევრიც იბობოქრა, ვაი-უშველებელიც დაატრიალა ოჯახში, სოლომონის დედამ, კესომ, ცრემლიც გადმოღვარა — სად დასაკარგავში უნდა წასვიდეო, მაგრამ ზღვის აგორებულ ტალღას ვერავინ შეაჩერებს — ის უთუოდ ნაპირს უნდა მიეხალოს.

თბილისში წასვლის წინა დღეს სოლომონმა კოწია თავართქილაძე ინახულა. კოწიას გაეხარდა, ჭაბუკი სასწავლებლად რომ მიდიოდა.

— მაგი კარგი საქმეა, ჩემო ბიძიკო... მაშ მემანქანე უნდა გამოხვიდე, ჰა? — მერმე წარბი შეათამაშა და თითქოს რაღაც გაახსენდაო, შეფიქრიანებულმა შეხედა, უმალვე პირზე ღიმილი მოეფინა და ყმაწვილს მხარზე დაადო ხელი, — თუმცა, ამან როგორ უნდა შეგიშალოს ხელი მწერლობაში... უფრო კარგია, ქვეყანას შემოივლი, აურება ხალხს შეხვდები, ცხოვრებას გაიცნობ და მწერლობაც გაგიადვილდება... ოღონდ წიგნს თავი არ მიანებო... მომიცადე ერთი... ერთ ღვთისნიერ კაცთან წერილს მივიწერ, ის შენ წიგნებს არ მოგაკლებს...

„ჩემო ზაქარია...“ — იქვე, დახლზე, დაიწყო კოწიამ წერილის წერა. ლამაზი ხელწერა ჰქონდა, ნელა და მონდომებით ხატავდა ასოებს. მთელი თაბახი გაავსო, ბოლოს ფურცელი მოკეცა და ზემოდან დააწერა ზაქარია ჭიჭინაძის მისამართი. ბარათი სოლომონს გაუწოდა და გზა დაულოცა.

ნატანების სადგურში ახლობლებთან ერთად კაკოც აცილებდა თავის მეგობარს. აბა, იმ

დროს ჯერ კიდევ რა იცოდა ყმაწვილმა, რომ მათი გზები მალე ისევ შეიყრებოდა, რომ იგიც ორთქლმავალზე მუშაობას მოიწადინებდა, შინიდან გაიპარებოდა, თბილისში მარტოდმარტო ჩავიდოდა და მემანქანის თანაშემწის კურსებზე ჩაირიცხებოდა, შემდეგ თავის ძმადნაფიცს მოძებნიდა შორეულ განჯის სადგურში...

ახლა ერთად დააქროლებენ მატარებლებს ალსთაფა-ელისაბედპოლ-განჯა-აჯიკაბულის გზებზე. საქმე ყელამდე ჰქონდათ, თავისუფალი დრო ძალზე ცოტა. შინ მხოლოდ დასაძინებლად შედიოდნენ...

მიდის, მიგუგუნებს, ღამის წყვდიადს მიაპობს ორთქლმავალი განჯის სადგურში სულის მოსათქმელად.

ილაჯგაწყვეტილ ბიჭებს სასთუმალზე თავის დადება ბევრჯერ მონატრებიათ, როცა ორთქლმავლების უკმარისობის გამო ორსა და სამ ცვლაში უმუშავიათ, როცა მატარებელი გამწევი ბრიგადის შეუცვლელად ტფილისამდე უტარებიათ... ვინ იცის, იქნებ ახლაც დაახვედრონ განჯაში განკარგულება და ბაქო-ბათუმის საფოსტო მატარებელი განჯიდან ალსტაფაში ჩაიყვანონ. ყველაფერი მოსალოდნელია. სოლომონი კი განჯაში ეშურებოდა, მაგიდაზე მიტოვებული წერილი ელოდა. ამ წერილით, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩასულიყო ტფილისში. დრო არ ითმენდა, წუთებიც კი წყვეტდნენ ყველაფერს.

...კოწია თავართქილაძის ბარათით სოლომონი ზაქარია ჭიჭინაძეს ეწვია. მათი შეხვედრა მეტად თბილი იყო. ახალგაზრდა, მხნე და სანდომიანი კაცი მეგობრულად შეხვდა ოზურგეთელ ყმაწვილკაცს. ამის შემდეგ სოლომონს წიგნი არ მოჰკლებია, ნათხოვარი თუ ნაჩუქარი, თუ წვრილი გროშებით შეძენილი. ჭიჭინაძე თავად ურჩევდა და თანაც არიგებდა. როცა ჭაბუკი რკინიგზაზე განამწესეს სამუშაოდ და ასპარეზისათვის შორეული განჯის სადგური არგუნეს, გამოსათხოვრად ზაქარიას ეწვია. განჯასთან დაკავშირებით ორივემ ტანჯული მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი გაიხსენა.

ტფილისური გაზაფხულის მშვენიერი საღამო იყო. ზაქარია და სოლომონი აივანზე ისხდნენ და მთვარით გაშუქებულ მთაწმინდას გაჰყურებდნენ. იმ დროს სოლომონმა ბარათაშვილის თითქმის ყველა ლექსი ზეპირად იცოდა, ხელში შემოაცვდა პოეტის ჯერ კიდევ ადრე გამოცემული თხელყდიანი პატარა წიგნი.

საუბარი მის გენიალურ ლექსებზე ჩამოვარდა. მორიგეობით რამდენიმე ლექსიც თქვეს ზეპირად და როცა სოლომონის წასვლის დრომ მოატანა, ზაქარიამ უთხრა:

— იცი, სოლომონ, ჩვენი სასიქადულო მოღვაწენი დიდად ცდილობენ ბარათაშვილის ნეშტი აგერ, აქ, მთაწმინდაზე გადმოასვენონ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოდის...

— რატომ, რა უშლით ხელს? განა რა მოხდა, რომ საქართველოს გენიალური პოეტი თავის მიწა-წყალზე განისვენებდეს?! — გულუბრყვილოდ იკითხა ყმაწვილმა და ზაქარიას მიაჩერდა. ის კი თავის მხრივ მამადავითს არ აშორებდა თვალს, იმ საღამოს, თითქოს საგანგებოდ, მთვარეს უხვად რომ მიეფრქვია სხივები და მთაწმინდას რაღაც ზღაპრულ ფერებში ხვევდა.

— რა გითხრა, ჩემო კარგო... მძიმე დროა. ამბობენ, თითქოს განჯაშიც საძებნი გამხდარიყოს მგოსნის საფლავი..., ქვა აულიათ და კვალი წაშლილა. იონა მეუნარგია ბრძანებულა განჯაში. სამი დღით ჩასულა ამ ორი წლის წინ. ძნელია, ასე მოკლე ხანში ყველაფერი გამოიძიო... რაღაც ისე აგვიწერს, ალბათ იმისი კვალიც წაშლილია, რაც იყო... იქნებ რამე იღონო, გაიკითხო და გვაცნობო, ამჟამად რა დღეშია საფლავი.

უცხო, პატარა ქალაქში მოხვედრილ ოზურგეთელ ყმაწვილკაცს ყრუ და მიუსაფარი ეჩვენა განჯა. მხოლოდ ჩასვლის დღეებში გაავლო თვალი ბანიანი სახლების უსწორმასწორო უბნებს, ძველსა და ახალ მეჩეთებს. მდინარე განჯა-ჩაის ორივე მხარეს დარჩენილი ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები, კოშკები და ხიდების ნაშთები, ბოი-იმამის მავზოლეუმი, ხუროთმოძღვარ ბახაადინის ნაგები ჯუმა-მეჩეთი ქარავან სარაით, ამ ქალაქის ძველ დიდებას ლაღადებდნენ, ქალაქისა, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში სასტიკმა მიწისძვრამ დაანგრია, ხოლო მონღოლების შემოსევის შემდეგ წელში ველარ გასწორდა...

სოლომონს გაგონილი ჰქონდა ნიზამი განჯელის, აბდულ-ულა განჯელისა და პოეტი ქალის მეჰსეთი-ხანუმის სახელები. აზერბაიჯანელი დიდი პოეტების ნაწარმოებებს კი არ იცნობდა. ეს სახელებიც თბილისიდან წამოსვლის ჟამს ზაქარია ჭიჭინაძემ გააცნო და დააინტერესა ჭაბუკი მოკალმე, რომელიც ორთქლმავალზე სამუშაოდ მიდიოდა იმ ქალაქში, სადაც ოდესღაც სული დალია საქართველოს დიდმა მგოსანმა.

განჯაში ამ დროს უამრავ ქართველობას მოეყარა თავი, ისინი ძირითადად რკინიგზის მუშა-მოსამსახურენი იყვნენ. სად არ გაიკითხა, ვის არ ჩამოუგდო სიტყვა ბარათაშვილზე, ყველანი მხრებს იჩეჩავდნენ, გაგვიგონია, განჯაში არის დასაფლავებული, მაგრამ სად, ამას ვერ მოგახსენებთო.

ორთქლმავალზე მუშაობას დიდი დრო მიჰქონდა. ცვლიდან შინ მისული, დაღლილ-დაქანცული მიეგდებოდა და ღრმა ძილს ეძლეოდა. ორთქლმავალმა ლამის წიგნი და კალამი დაავიწყა. მანქანა შეიყვარა, თავს ევლებოდა და ღმერთს უმადლოდა, რომ ასეთი ბედი არგუნა. როცა მატარებელი მიჰყავდა, თავს ისე გრძნობდა, თითქოს ქვეყნის მესაჭე ყოფილიყო.

ყოს, თითქოს მას მოჰყავდა მოძრაობაში მთელი სამყარო... ბაბუკის ფანტაზია ფრთას ისხამდა, უფრო დიდ სისწრაფეზე ოცნებობდა.

თავისთავად რკინიგზელებთან ურთიერთობაც საინტერესო იყო. ეს გახლდათ ერთადერთი ცოცხალი უბანი, სადაც დღე და ღამ მოძრაობა იყო.

ზამთრის ერთ დღეს განჯის სადგურს ახალი უფროსი მოევლინა. ცვლიდან დაბრუნებულ სოლომონს დეპოში დაახვედრეს ეს ამბავი. მოკლეთ რომ ჩამოუვა კაცს, ისე მიახარეს. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. სადგურის ახალი უფროსი ჯუმათის სადგურიდან გადმოეყვანათ, ამ კაცის სიკეთე მთელ გურიაში იყო ცნობილი. იგი რუსი იყო, წყნარი, დარბაისელი, ღარიბების შემწე.

ერთხელ სოლომონი ბიჭებთან ერთად ჯუმათის სადგურზე მატარებლის სანახავად მივიდა. სადგურის უფროსი ბიჭებს ქართულად გაესაუბრა. ყმაწვილებს მოეწონათ მისი რუსულ-გურული კილო და ღიმილით შეჰყურებდნენ, თვალს არ აშორებდნენ მის ფორმას, რაც ყველასგან გამოსარჩევ და დიდებულ იერს აძლევდა ზორბა კაცს. სოლომონს სამუდამოდ ჩარჩა გულში კონსტანტინ შიშკოვის სახე.

ვის არ უხარია კეთილი უფროსი, მით უმეტეს სამშობლო კუთხიდან ასე შორს გადახვეწილ ყმაწვილკაცს, მეგობარ-ნათესავთ მოკლებულს... მაგრამ თავი მიუსაფრად მაინც არ მიაჩნდა, რადგან მის შრომას აზრი და მიზანი ჰქონდა.

სოლომონი დროს მოიხელთებდა თუ არა, ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავის ძებნას განაგრძობდა. დრო ძალზე ცოტა ჰქონდა, თორემ განჯას კიდით-კიდემდე მოივლიდა, სულ სათითაოდ დაჰკითხავდა აზერბაიჯანელსა თუ ქართველს... აჰ, როგორ ულვთოდ, აჰ, როგორ მიუსაფრად მიგდებულა სადღაც მგოსნის სამარე!

ერთხელ განჯის რკინიგზის სადგურის რომელიღაც მოხელემ შვილის ნათლობა გადაიხადა. მოიყვანეს მღვდელი. ბავშვი მონათლეს და სუფრაც გაიშალა. მღვდელმა დიდად მოილხინა სხვებთან ერთად. სოლომონი სუფრაზე მის გვერდით იჯდა. მღვდელი კარგახნის იყო, განჯაში, აგერ, ოც წელზე მეტ ხანს ემსახურებოდა ქრისტეს რჯულს.

ამ კაცთან ბედმა შემყარაო, გუნებაში გაივლო სოლომონმა და გადაწყვიტა, მისთვის ეკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავის შესახებ.

ჯერ ისე, სხვათაშორის გამოელაპარაკა. მღვდელმა სახელი ჰკითხა.

— სოლომონი მქვია, მამაო.

— ოო, რა დიდებული სახელი გრქმევიათ, შვილო ჩემო...

და სოლომონმა პირველად დაინახა ისე ახლო მღვდლის უცნაურად მწვანე თვალები.

სწორედ ამ დროს წამიც არ დაუყოვნებია, უკეთეს დროს ვერც მოვიხელთებო, მღვდელს ღვინო დაუსხა და ჰკითხა:

— ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზე ხომ ვერაფერს მეტყვით, მამაო?

ეტყობა მღვდელი არ ელოდა ასეთ შეკითხვას, ღვინის წვეთებით შესველებულ წვერზე ხელი ჩამოისვა და გაკვირვებით შეხედა სოლომონს.

— ბარათაშვილი?.. — თქვა მან ხმადაბლა, — მომიტევეთ, მაგრამ არ ვიცი... თქმა არ უნდა, მართლმადიდებელთა ეკლესიის გალავანში იქნება დაკრძალული... განჯაში ხომ ერთიციცქნა ადგილი გვაქვს ქრისტიანებს, პატარა ეკლესია თავის სასაფლაოთი... იქ სძებნეთ, შვილო ჩემო...

— გმადლობთ, მამაო...

ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, უცებ მოუტრიალდა დოლიძეს და მხრებზე შეახო ხელი.

— მონახე ეკლესიის მთავარი ტატიშვილი, მგონი იმან იცის ყველაფერი...

— გმადლობთ, მამაო!

სოლომონმა მონახა მართლმადიდებელთა ეკლესია, რომელიც განჯის მომაღლო ადგილზე იდგა. აქედან მთელი განჯა ხელისგულივით ჩანდა. მავთულის ბადით შემოღობილ მცირე გალავნის შუაგულში იდგა აწოწილი პატარა შენობა. ეტყობა, ხუროთმოძღვარს სურდა ლამაზი ნაგებობა გამოეყვანა, მაგრამ იგი არ ჰგავდა არც ერთ იმ საეკლესიო ნაგებობას, ქართულ მიწა-წყალზე უხვად რომ არის მოფენილი, თავისი გუმბათებითა და სვეტებით, ჩუქურთმებითა და ორნამენტებით დამშვენებული. ეს იყო ყრუ, თითქმის უსარკმლო და უგუმბათო სალოცავი. სოლომონმა რომ შეხედა, ეჭვი შეეპარა, ნამდვილად ეს თუ არის ქრისტიანთა სალოცავიო, მაგრამ როცა გალავანში ჟამთა სვლისაგან მოძველებულ საფლავის ქვებს ჩაუარა, აქა-იქ ქართული ასოთა მოხაზულობა შენიშნა, საფლავის ქვებზე მიცვალებულთა ვინაობაც ამოიკითხა... ეკლესიაში შესვლა გადაიფიქრა მანამდე, ვიდრე ყველა საფლავს არ ჩამოუვლიდა.

გალავანში საოცარი მყუდროება სუფევდა, ნამდვილი სამარისებური... აქ იდგა რამდენიმე ძირი ვაზი, კვიპაროზი, კაკლის ხე და ეკლესიის შესასვლელ დაბალ კიბესთან აკაკის ხე.

სოლომონმა ეკლესიას გარს შემოუარა, ამოუკითხავი არ დარჩენია არც ერთი ქვის ამოტვიფრული წარწერა, ზოგი გაურკვეველი, ზოგიც გარკვეულად ამოჩხაპნილი. დასაფლავებულთა შორის იყო ერთი ბარათაშვილიც, მაგრამ არა ნიკოლოზი... როცა გალავანი კიდითკიდემდე მოიარა და ეკლესიის კარს მიაშურა, კართან ანაფორაში გამოწყობილი მღვდელი შენიშნა. მას ხელები დაშვებული ჰქონდა და

ცოცხალ ქანდაკებას ჰგავდა. იგრძნობოდა, რომ იგი ეკლესიიდან ახალი გამოსული არ იყო და ერთხანს კიდეც ადევნებდა თვალს საფლავებით დაინტერესებულ ჭაბუკს.

— გამარჯობათ, მამაო! — მიესალმა სოლომონი და თავი მოწიწებით დაუკრა.

მღვდელმა ოდნავ დახარა თავი და რბილი ბარიტონით წარმოსთქვა:

— იცოცხლე, შვილო!

— დეკანოზი ტატიშვილი თქვენ ხომ არ ბრძანდებით, მამაო?

— მე გახლავართ. რაზე გარჯილხართ? თუ სალოცავად, მართლმადიდებელთათვის ეკლესიის კარი ღიაა... მოკეთეს ვინმეს ხომ არ ეძებდით სასაფლაოზე?

— ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავს, მამაო.

დეკანოზმა პასუხის ნაცვლად თავი გვერდზე გადასწია, კიბის მარჯვნივ, სადაც ბებერი აკაკის ხე იდგა, ხელი გაიშვირა და თქვა:

— აქ განისვენებს...

— არც წარწერა, არცა რა ნიშანი, — სოლომონი აკაკის ხეს მიუახლოვდა და იქაურობა მოათვალიერა, მოტკეპნილ-მოსწორებულ ადგილს დახედა, რომელსაც საფლავისა არა ეტყობოდა რა. მერე დეკანოზს გაკვირვებით შეხედა.

ტფილისიდან მწერალი მეუნარგია გახლდათ... დიდად დაინტერესებულიყო... ვაჩვენე საფლავი... აი, ეგ ადგილი. შემობრძანდით ეკლესიაში, შვილო... ქვა და წარწერა გადავარჩინეთ...

სოლომონს მღელვარების გამო გული ყელში ამოსდიოდა. დეკანოზი შეტრიალდა, სოლომონიც ფეხდაფეხ მიჰყვა.

ხატებით გაწყობილ ეკლესიაში სანთლისა და საკმევლის სასიამოვნო სუნი იდგა. დიაკვანი სასანთლეებს წმენდდა. მან ქვეშ-ქვეშ გამოხედა შავი მაუდის ტანსაცმელში გამოწყობილ რკინიგზელს. რკინიგზელთაგან ხომ მცირე მორწმუნენი ჰყავდათ მრევლში. სცნობდნენ. ეს კი ახალი იყო.

სოლომონმა ქუდი მოიხადა და მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი არ სწამდა, პირჯვარი მაინც გადაიწერა. დეკანოზს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია და ხმადაბლა ჰკითხა:

— ახალი ჩამოსული იქნები.

— არა, მამაო. ექვსი თვეა ორთქლმავალზე ვმუშაობ განჯაში...

— ღმერთი უნდა გახსოვდეს! — რაღაც ბრძანების თუ ნაწყენ კილოზე წარსთქვა ტატიშვილმა და წყრომის გამომხატველი თვალებით გადმოხედა, ვითომ ამდენი ხნის განმავლობაში რატომ ერთხელ მაინც არ მოხვედი სალოცავადო. სოლომონს არ უნდოდა დეკანოზის განაწყენება და მიუგო:

— ღმერთი ამ შეცოდებას შემინდობს, მამაო.

— რკინიგზაზე ბევრი ურწმუნოა... ჩანს, იმათ არ ჰგავხარ... მოხდენილად გადაიწერე პირჯვარი... დაგშვენდა.

ისინი მიუახლოვდნენ ეკლესიის ერთ ნახევრადბნელ კუთხეს, სადაც საფლავის პატარა ქვა იყო აყუდებული. ქვაში მარმარილოს ახევე პატარა ფირფიტა იყო ჩადგმული, რომელზეც გარკვევით ეწერა:

აქა მდებარებს გვამი საქართველოს თავადის
გუბერნცკის სეკრეტრისა,
ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათოვისა,
გარდაცვალებულის 29 წლის პარასკევსა
თვესა 9-ს ოქტომბერსა 1845 წელსა.

„ეს რა ულმერთობაა, ეს რა ღვთის წყრომაა, დაიკარგოს ასეთი კაცის საფლავი!“ — გულში მწარედ გაიფიქრა სოლომონმა. იმავე დღეს დაჯდა და ბარათი მისწერა ზაქარიას, სადაც დაწვრილებით აღწერდა ყველაფერს, თუმცა იგი ახალს არაფერსეუბნებოდა დიდ მწიგნობარს.

ახალი და საგანგაშო შემდგომ მოხდა, როცა 1892 წლის ოქტომბრის დამდეგს, კვლავ ეწვია ეკლესიას. დეკანოზი ტატიშვილი და მისი მრევლი შეშფოთებული იყვნენ, თურმე ეკლესიას ადგილობრივი ხელისუფლები დანგრევას უპირებდნენ, ამ ადგილზე გზა უნდა გაეყვანათ და ბუნებრივია სასაფლაოც გაუქმდებოდა.

რამდენიმე წლის განმავლობაში სოლომონმა კარგად გაიცნო დეკანოზი და ეკლესიის სხვა მსახურნი. ეკლესიაში ხშირად დადიოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ სულ მცირე ხნით განმარტოებულიყო ბარათაშვილის საფლავთან და რკინიგზაზე მოლლილს შვება ეგრძნო... მერმე ხვთის მსახურებსაც ებაასებოდა.

ტატიშვილი განსწავლული კაცი იყო, ცოტა გოროზიც. მას თავის მოვალეობად მიაჩნდა მაჰმადის რჯულის მიწაზე მყოფი ქრისტიანების უამგარო სამსახური, მაგრამ არასოდეს დასცინია აუგი მაჰმადსა და მაჰმადიანებზე. როცა ერთხელ სოლომონმა ჰკითხა, თუ ერთი ცის თაღზე როგორ თავსდებოდნენ ქრისტე და მაჰმადი, მღვდელმა მიუგო: „ჩვენ და აზერბაიჯანელები მეზობლები ვართ, კარგი მეზობლები... ალბათ ამაში დარწმუნდები, შვილო ჩემო. და თუ იგი, შენი კეთილი მეზობელი, თავის სარწმუნოებას ბოროტად არ იყენებს შენს მიმართ, ნუ შეუგინებ რწმენას.... დაე, იწამოს ის, რაც სწამს, ოღონდ ადამიანი იყოს, ძე კაცისა...“

იმ დღეს კი აღელვებული იყო დეკანოზი.

— სხვა ადგილი ველარ გამოძებნეს გზისთვის? — იკითხა სოლომონმა და ტატიშვილს მიაჩერდა გაოგნებული.

— რა მოგახსენო, შვილო ჩემო!.. შენ, ვიცი, ყველაზე მეტად რამ შეგაფიქრიანა. ნიადაგ გზაზე დგეხარ, ეგებ ტფილისში ჩახვიდე და ხმა მიაწვდინო ბარათაშვილის მოკეთეებს. მიუსაფარ ყმაწვილს მოდგმა არ ჰყავდა... მოკეთეები იქნებიან, შეეხმიანე... ეგებ მისი

 

ძვლები მაინც გადავარჩინოთ... გზის სამუშაოებს ალბათ მალე შეუდგებიან. მანამდე კი ჩვენი მიცვალებულები ახალ ადგილზე უნდა გადავასვენოთ. ალბათ მათ ერთად, ერთ სამარხში მოუწევთ...

— რას მეუბნებით, მამაო! ნუთუ ისე დავეცით ქართველები, რომ ბარათაშვილის ძვლები სხვათა ძვლებში ავურიოთ?! — სოლომონი აღელდა. მადლიერი იყო დეკანოზისა, რომ გააფრთხილა. საგონებელში კი ჩავარდა, რა ელონა, როგორ მოქცეულიყო? იმავე საღამოს წრის წევრთაგან თავი მოუყარა იმათ, ვინც სამუშაოზე არ იყო გასული, უამბო ყველაფერი და აზრს დაეკითხა. ზოგმა თქვა, ბარათაშვილი ჩვენ გადავასვენოთ ახალ სასაფლაოზე, ცალკე მივუჩინოთ სამუდამო განსასვენებელიო, ზოგმა განაცხადა, განგაში ავტეხოთ, საქართველოდან ნათესავ-მოკეთეები, საზოგადოების წარმომადგენლები გამოვიხმოთ, ეგებ ილია ჭავჭავაძეს ვაცნობოთ, ვიცით, რომ დიდი ხანია ცდილობს ბარათაშვილის ნეშტის გადასვენებას, ეგებ ახლა, ამ საბედისწერო ჟამს მაინც გაკეთდეს ის, რაც განუზრახავთო...

წრის წევრებს თბილისიდან ჟურნალ-გაზეთები მოსდიოდათ. განსაკუთრებით „კვალსა“ და „ივერიას“ ეტანებოდნენ. მათ კარგად იცოდნენ, როგორ ცდილობდა პირადად ილია ჭავჭავაძე ბარათაშვილის გადასვენებას. „ივერიის“ რედაქციამ დიდი პოეტის სახელზე ფონდიც კი შექმნა, შეაგროვეს ფული...

გადაწყდა: სოლომონ დოლიძე სათანადო წერილით მხოლოდ და მხოლოდ ილიას უნდა ხლებოდა ტფილისში.

იმავე დღეს რკინიგზელთა მცირე დელეგაცია სადგურის უფროსს კონსტანტინე შიშკოვს ეწვია ტფილისში წასვლის ნებართვის გამოსათხოვად.

— მოდიტ, მოდიტ, ბიჩებო! — ხალისიანად შეიწვია მოხუცმა კარს მომდგარი სამი მემანქანე.

— შეგაწუხეთ, ბატონო კონსტანტინე, — დაიწყო სოლომონმა. ქართველები თავიანთ უფროსს ყოველთვის ქართულად ელაპარაკებოდნენ და მასაც სიამოვნებდა.

— გისმენტ, ბიჩებო.

მისი რუსულ-გურული კილოკავი ბევრს ღიმილს გვრიდა. მას გურიაში ყოფნის ჟამს კარგად შეესწავლა ქართული და მრავალ ქართველ მწერალსაც იცნობდა, მათ შორის ბარათაშვილის ლექსებიც იცოდა, მოსწონდა და ბაირონს ადარებდა. რამდენად მართალი იყო ეს შედარება, სოლომონმა არ იცოდა, რადგან ბაირონის პოეზიას ჯერ კიდევ არ იცნობდა. მაგრამ ის, რომ ბარათაშვილის ზოგიერთ ლექსს მოხუცი შიშკოვი ზეპირად ამბობდა, ეს კი უხაროდა.

სოლომონმა აუხსნა საქმის ვითარება და დაძინა:

— საჭიროა ტფილისში რამდენიმე დღით წასვლა, ბატონო კონსტანტინე.

შიშკოვმა ერთხანს მდუმარედ უყურა ახალგაზრდა მემანქანეებს, მერე გაიღიმა და დოლიძეს ჰკითხა:

— სამივეს გაშვება გამიჩირდება, ბიჩებო... ერთი კაცი კი უტუოდ უნდა ცავიდეს...

მემანქანეები შეინძრნენ, ერთხმად მიუგეს:

— ერთი, მხოლოდ ერთი, ბატონო კონსტანტინე...

— მერედა, ტკვე დალოცვილებო, მარტო დოლიძე არ იკმარებდა?! პოეტი კაცია, პოეტის სამარეს ტუ არ მიხედა, შტამომავლობა დასდზრახავს. უჩირისუპლე, შვილო... ცადიასეტი პოეტის ადგილი იქ, ტავის სამშობლოს გულშია.

მოხუცს თვალები ცრემლით აუწყლიანდა. კაცს გრძნობა მოერია, წამოდგა და სოლომონს ხელი გაუწოდა.

— ღმერტმა ხელი მოგიმარტოს! — თქვა და პირჯვარი გადაიწერა.

სადგურის უფროსისაგან შინმობრუნებული სოლომონი მაგიდას მიუჯდა და ლამპის შუქზე გამალებული შეუდგა წერას. ამჯერად თვალწინ მხოლოდ ილია ედგა, ფიქრით მასთან იყო, მას ებაასებოდა. მხოლოდ ილიამ და ისევ ილიამ უნდა შესძრას ქართველი საზოგადოება ამ კრიტიკულ ჟამს, უნდა ჩამოჰკრან საგანგაშო ზარები და ყველა ღონე იხმარონ, რომ დიდი ადამიანის ნეშტმა საკადრისი განსასვენებელი ადგილი ჰპოვოს.

სოლომონი წერდა, ღელავდა, ჩქარობდა, რადგან ღამის თორმეტ საათზე ხაზზე უნდა გასულიყო.

კაკოს ეძინა, ბავშვური, ჩუმი ძილი იცოდა. როცა იგი შინ იყო, სოლომონი დამშვიდებული „ჩხაპნიდა“ ხოლმე თავის თხზულებებს, ლექსი იქნებოდა, ჩანახატი თუ წერილი...

ახლა მთელი გრძნობით სურდა წერილში თავისი აღშფოთებული სული მოეთავსებინა, თვითეულ სიტყვას ძალა მისცემოდა, რომ თვით დიდ ილიას ისედაც აღელვებული გული კიდევ უფრო აღელვებოდა.

დრო სწრაფად გარბოდა. მეცეცხლურმა მამედ ჰასან-ოღლიმ ეზოში რომ დაიძახა, სოლომონს წერილის ნახევარიც არ ჰქონდა დამთავრებული...

...და ახლა, როცა ღამის წყვდიადში ორთქლმავალს განჯისაკენ ბაქო-ბათუმის საფოსტო მატარებელი მიჰყავდა, ყველაზე მეტად სოლომონს ეჩქარებოდა, რომ მაგიდაზე მიტოვებული წერილის აზრი განევრცო და გულში დარჩენილი სათქმელი გადაეტანა.

ათასი ფიქრი ეხვეოდა, ნაღვლიანი აზრები აწუხებდა, დიდი პოეტის ყისმათით გაბრუებული, ღამის წყვდიადში ათასგვარ მოლანდებებს ხედავდა... ხედავდა, კოჭლი ჭაბუკი როგორ მისდევდა ქურდს, ყაჩაღსა და ნაძირა-

ლას... პოეტის სული კი სულ სხვაგან ჰქროდა. მუზა სულ სხვა მხრივ ეწეოდა. რაღაც, ერთმანეთს არ ერწყმოდა გონება — მოქმედებას. პოეტის სამყარო — ჩინოვნიკისას, კაცის სიღარიბე — მის სულიერ სიმდიდრეს, სიმდიდრეს, რომელიც საუკუნეობით გასწვდებათ ადამიანებს...

ორთქლმავალი ქშენით მიაპობდა ღამის წყვდიადს, ხოლო სოლომონის სიმშვიდეწართმეული გული არა ცხრებოდა.

გათენების ჟამს მატარებელი ელისაბედპოლგანჯის სადგურზე ჩამოდგა. მგზავრებს ჯერ კიდევ ეძინათ. ბაქანზე ფანრები ისევ ბჟუტავდნენ. ორმა ჟანდარმმა ვაგონის გასწვრივ ჩაიარა. სადგურის მორიგე ორთქლმავალთან მივიდა, მემანქანეს კვერთხი ჩამოართვა და აცნობა, ჩამოეხსნათ ორთქლმავალი, რადგან შემცვლელი დეპოდან გამოდიოდა. კაკომ სწრაფად ჩახსნა ტენდერის საბელი ვაგონს, მარდად ავიდა კაბინაში და სოლომონმაც მაშინვე გადასწია რეგულატორი. ორთქლმავალი მთელი სისწრაფით გაქანდა ისრებისაკენ.

მადლობა ღმერთს, ცვლა იქნებოდა!

ისარს რომ გასცდნენ, ორთქლმავალი შეჩერდა. მეისრემ დეპოსაკენ მისცა მიმართულება.

დეპოში ჩამოყენებულ ორთქლმავალს მაშინვე არ მიატოვებდნენ ხოლმე. სანამ ძირიძირობამდე ლაზათიანად არ გასწმენდნენ, ფეხს არ მოიცვლიდნენ. როცა შინისკენ მიაბიჯებდნენ, მოლა მინარეთზე იდგა.

კაკო დასაძინებლად მიწვა ისე, ხემსი არ ჩაუდვია პირში. ღამენატეხ სოლომონს კი ძილი არ ეკარებოდა, თავს მხნედ გრძნობდა. მაგიდას მიუჯდა და მიტოვებულ წერილს დახედა, ვიდრე კალამს ხელს მოჰკიდებდა, ნაწერი გადაიკითხა:

„ნიკოლოზ ბარათაშვილის გვამის გადმოსვენების გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

თითქმის ყველამ იცის, რომ უდროოდ და უცხო მხარეს გარდაცვალებული პოეტი ნ. ბარათაშვილი ასაფლავია განჯის ძველი საყდრის გალავანში. ამ რამდენიმე თვის წინ დიდი ლაპარაკი ატყდა როგორც თქვენს გაზეთში, ისე კერძოდაც, ბარათაშვილის გვამის გადასვენებისა და სამშობლოში დასაფლავების შესახებ, რადგანაც ის საყდარი ინგრევა და გალავანზედ კი, სადაც ასაფლავია დაუვიწყარი პოეტი, ქუჩა უნდა გაიყვანონ ახალი გეგმით.

ეს იყო მიზეზი, რომ ფონდი შედგა თქვენს რედაქციაში, ბარათაშვილის სახელობაზედ საჭირო ფულის შესაკრებად. ზოგმა ნათესავმაც იკისრა შესამჩნევი ხარჯი გაეწია, მოთავეებსაც ასახელებდნენ, რომელთა პატივი უნდა ეცათ და მონაწილეობა მიეღოთ გადმოსვენების საქმეში (მაგალითად ერთმა რკინიგზის მოხელე ქართველმა ავქსენტი ცაგარელი დაასახელა რკინის გზაზედ მოხელე ქართველების წარმომადგენლად).

ეს იყო და ეს, როგორც თითქმის ყველა ჩვენში დაწყებული საქმე, ესეც დავიწყებას მიეცა. ჩვენ მაინც ეგრე ვიცით: ჯერ დავიწყებთ და შემდეგ დავივიწყებთ ხოლმე".

სოლომონმა კითხვა შეწყვიტა, შეფიქრიანდა, რაღაც მეტისმეტი ხომ არ მომსვლია ცხელ გულზეო, სხვა თუ არაფერი, საქართველოს დიდ კაცს, ილიას ველაპარაკები... პირად შეურაცხყოფად არ მიიღოს, ის ხომ ამ საქმის ერთ-ერთი მოთავეა... არა, ეს სიტყვები უნდა წავშალო, მართლა მეტისმეტია... მაგრამ იქნებ არცაა ისეთი მკაცრი, მე რომ მეჩვენება... განა თვითონ ილია არ ამბობს ქართველების დაუდევრობაზე, განა ცოტა მწარე-მწარე სიტყვა დაუხარჯავს თავისი დაუდევარი შვილების გასასწკეპლად! ასეთები თუ ვართ, არ უნდა ვიყოთ! შთამომავლობა არც ერთ დაუდევარ საქციელს არ გვაპატიებს, გაგვკიცხავენ ისევე, როგორც ახლა ჩვენ ვკიცხავთ ბარათაშვილის უპატრონოდ მიმტოვებელთა. როგორ შეიძლება, რომ ჩემი სიტყვა ილიას არ მოეწონოს, მე სწორედ მისი გავლენით გავბედე ასეთების თქმა...

სოლომონმა გული დაიმშვიდა და ნაწერს გაჰყვა:

„რა იყო მიზეზი დავიწყებისა, არც ვიცი და ამის გამოკვლევას არ შევუდგები. მხოლოდ ამას კი ვიტყვი და შევაგონებ როგორც ბარათაშვილის თაყვანისმცემელთ ქართველ საზოგადოებას, ისე პოეტის ნათესავებსაც, რომ თუ სურთ და უნდათ, მიცვალებულის გვამის სამშობლოში გადასვენების დაგვიანება აღარ იქნება, რადგანაც, როგორც განჯის ეკლესიის მთავარმა ბ-ნმა ტატიშვილმა მიამბო, რომელ მიცვალებულებსაც ამ ერთ თვეში არ გამოუჩნდება პატრონი, იმათ გვამს ამოიღებენ და ერთად დაასაფლავებენ ახალს სასაფლაოზედაო".

ამის შემდეგ აღარაფერი ეწერა. აქ გაუწყდა ნაწერი, როცა კარზე მამედა მოადგა და ერთად წავიდნენ სამუშაოზე.

ახლა აზრის გავრცობაა საჭირო. გზები მოფიქრების საშუალებას აძლევდნენ, ორთქლმავალის დაგადუგში წინადადებებსაც კი აწყობდა და თითქმის მთელი წერილის შინაარსი აეწყო, ისე მტკიცედ, ისე საქმიანად, ეგონა, შინ მივიდოდა თუ არა, ყველაფერს უკლებლივ გადაიტანდა ქაღალდზე. მაგრამ ახლა, კალამს მოჰკიდა თუ არა ხელი, გონების ხელახლა გარჯა დასჭირდა, შემდეგ კი ისევ თავისუფლად, ლაღად გაიჭირითა ფურცელზე: „ერთად რომ ვთქვი, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ერთს სასაფლაოზედ იქნებიან დასაფლავებულნი, არამედ იმას, რომ ერთს საფლავში აირევა ჩვენის დაუვიწყარის ბარათაშვილის ძვლები სხვა უპატრონო მიცვალებულების ძვლებთან".

შემაზრზენია! სოლომონმა კალამი შეაჩერა. მაგრამ ნაწერი არ გადაუშლია, ხელახლა გადაიკითხა დ დასძინა, რაზან განგებამ ასე მიკარნახა და ეს აზრი ასე დალაგდა, ალბათ ასე იყო საჭირო.

წერა განაგრძო

„ამიტომ, კიდევ ვიმეორებ, რომ დროა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და თუ არ მოხერხდა რაიმე მიზეზით აქედან გადასვენება, განჯაში მაინც დაიმარხოს ცალკე, რომ სხვა არ იყოს რა, ვიცოდეთ, სად განისვენებს ჩვენი, უდროოდ წუთისოფელს გამოსალმებული პოეტი.

იმედია, ვისიც მოვალეობაა და სურთ ამ საქმეში მონაწილეობის მიღება, არ დააგვიანებენ და დროზე შეუდგებიან საქმეს, რადგანაც როგორც წინადაც ვსთქვი, ერთის თვის შემდეგ გვიანღა იქნება“.

ამის შემდეგ ერთი აზრი აეკვიატა, ისე ჯიუტად და მოძალებით, ვერაფრით ვერ განიფანტა. უნდოდა დასკვნით ნაწილში რაღაც უფრო მნიშვნელოვანი რამ ეთქვა და აი ეს მნიშვნელოვანი როგორ გამოუვიდა:

„თუ ახლაც ყური არ შეიბერტყა ქართველობამ...“ დაწერა და მაშინვე გადაუსვა ხაზი, მაგრამ უმალ ისევ ამ აზრს მიუბრუნდა და აღადგინა. დაე, იყოს მკაცრად, იყოს მომთხოვნი, ჩვენ მეტი სიფხიზლე და გულმოდგინება გვმართებს, დროა გაიღვიძოს ერის მიძინებულმა გრძნობამ!

„თუ ახლაც ყური არ შეიბერტყა ქართველობამ, მაშინ ჩვენ, რკინიგზის სადგურ განჯის მოსამსახურენი, იძულებული ვიქნებით ვუპატრონოთ მოძმეთაგან უყურადღებოდ დატოვებულს ძვირფასს ნეშტს ჩვენი დაუვიწყარის პოეტისას და ცალკე დავასაფლავოთ აქვე, განჯაში მაინც. იმედია ქ. განჯაში მცხოვრები და მყოფი ქართველებიც ხელს მოგვიმართავენ და მხარს მოგვცემენ“.

ბოლო სტრიქონები ძალზე სწრაფად და თითქმის მოუფიქრებლად დაწერა. დაწერა მკაცრი შეგონებითა და გულისტკივილით. თითქოს უიმედობაც გამოსჭვივოდა... მაგრამ, როცა წერილი გადაათეთრა და თავიდან ბოლომდე წაიკითხა, კმაყოფილი დარჩა. ხელი მოაწერა და რიცხვი დაუსვა „1892 წლის 4 ოქტომბერი, განჯა“.

საღამოს სამგზავრო მატარებელს აღარ დაუცადა, მეგობარ მემანქანეს ორთქლმავალზე დაეწყვილა, რომელსაც მაზუთით სავსე ცისტერნები მიჰყავდა დასავლეთისაკენ.

კაკომ და მამედამ გააცილეს. მეცეცხლურმა ერთი პატარა კალათი განჯური ყურძენი გაატანა ტფილისში, მეგობრები გყავს, იმათ ჩაუტანეო.

შემოდგომის რძისფერი ნისლი დასწოლოდა ქალაქს.

ორთქლმავალმა რკინიგზის სადგურის გადახურულ ბაქანს ჩაუარა. სოლომონი თავის კოლეგებს გამოემშვიდობა და ვინაიდან ცისტერნების შემადგენლობა საბარგო სადგურში უნდა გაჩერებულიყო, სოლომონმა ორთქლმავლის სამსაფეხურიან კიბეზე მარდად მოინაცვლა ფეხი და კალათიანად ბაქანზე გადახტა. მემანქანის თანაშემწე თვალს არ აშორებდა. სოლომონი რომ მშვიდობინად დაიგულა, ერთხელ კიდევ დაუქნია ხელი და კაბინისაკენ იბრუნა პირი.

დილაადრიან სადგურისწინა მოედანზე რამდენიმე ეტლი იდგა. ცხენებს ისე დაეხარათ თავი, თითქოს ყვინთავენო. კურტნიანი მეშები ერთ კუთხეში ჩაყუნცულიყვნენ, ალბათ შემოდგომის დილის შემაჟრჟოლებელი სიცივის გამო.

ნისლი სწრაფად ქრებოდა, ქალაქი პირბადეს იხსნიდა. რკინიგზის მხრიდან მოისმოდა ხმაური, სამანევრო თუ ძირითადი ორთქლმავლების ყრუ დაგადუგი და შეკივლება.

სოლომონი წამით შედგა სადგურის მოედანზე, მხოლოდ ახლა დაფიქრდა, ამ დილაადრიან რომელ მეგობარს მისდგომოდა კარზე. არჩევანი ისევ ზაქარია ჭიჭინაძეზე შეჩერდა. ამ კაცმა ყველაფერი იცოდა, ბარათაშვილის ყისმათზე შეწუხებული იყო და ვის, თუ არა მას უნდა სცოდნოდა, რა განზრახვით ჩამოვიდა სოლომონი ტფილისში.

სოლომონი ეტლში ჩაჯდა და ზაქარიას სახლისაკენ გაემგზავრა.

ნამძინარევმა ზაქარიამ სტუმრის მოსვლით გაიხარა. ნამგზავრი კაცი შინ შეიყვანა. სოლომონი ებოდიშებოდა, ასე ადრიანად შეგაწუხეო.

— ბოდიშს ტყუილად მიხდი... ვერ გიცვნივარ, ჭაბუკო! — წამოიძახა ზაქარიამ. განჯიდან მორთმეულ ყურძენზე დიდი მადლობა გადაუხადა.

ცოტა ხნის მერე ისინი იმ აივანზე ისხდნენ, საიდანაც მთაწმინდის დიდებული პანორამა მოჩანდა. სასურველი სტუმრის მიღება და მასთან ბაასი აქ უყვარდა ზაქარიას.

საუზმეს შეექცნენ. თან განჯის ამბები გამოჰკითხა ზაქარიამ ჭაბუკს.

— აი, ეს წერილი წაიკითხეთ, ბატონო ზაქარია, — სოლომონმა თავისი წერილი გაუწოდა, — უნდა ვიჩქაროთ, რაღაც ვიღონოთ ბარათაშვილის გადმოსვენებაზე...

ზაქარიამ ფურცლები გაშალა და კითხვას შეუდგა. სანამ ბოლომდე არ ჩაიკითხა, თვალი არ მოაშორა.

— დიდებულად დაგიწერია, ყოჩაღ. — ზაქარიას სახე წამოეგზნო, — რა უბედურ დღეზე ყოფილა გაჩენილი ეს კაცი! ტიპიური ხვედრია ნიჭიერი ადამიანისა ამ დახავსებულ და ბნელ ყოფაში...

ზაქარია ღელავდა.

— ახლა ამ წერილს რას• უპირებ, სოლომონ? „წერილი რედაქციისადმი", რომელი რედაქციისადმი? — ჰკითხა ზაქარიამ.

— მინდა დღესვე ვაჩვენო ილია ჭავჭავაძეს. გასაკვირია პირდაპირ, ახეთ დიდ ადამიანს როგორ გაუჭირდა ბარათაშვილის გადმოსვენება!.. მასთან ერთად ხომ აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძეც იბრძვიან! რა მოხდა, იქნებ გამარკვიოთ, ბატონო ზაქარია?

— გაჭირდა, ჩემო მეგობარო, გაჭირდა... როგორც ჩანს იოლად მოსაგვარებელი საქმე არ ყოფილა. ამჟერად მეფის პოლიტიკაა ჩარეული მუზათა სამყაროში და ბარათაშვილის გადმოსვენების ამბავი წმინდა ლიტერატურულ ხაკითხს არ განეკუთვნება. აქ ორი ბანაკი დაუპირისპირდა ერთმანეთს — მოაზროვნეთა, პროგრესულთა და ბანაკი მათი, ვინც ისტორიის ბორბალს უკან ეწევა. შენთვის კარგად ყოფილა ცნობილი იმ ხუთეულის ვინაობა, რომელთაც ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება განუზრახავთ. ამას წინათ პარიზიდან დაბრუნდა ნიკო ნიკოლაძე. პარიზში ენახა ფრანგთა მიერ მოწყობილი დიდებული პანთეონი, ნამდვილი „ღმერთთა კრებული". ბერძნულად ხომ ამას ნიშნავს „პანთეონი". ჩვენში თუ ამას ვეღირსებით და ქართველი ხალხის სათაყვანებელი შვილების „კრებული" შეიქმნება, ამით თავსაც მოვუყურით ჩვენს სულიერ საგანძურს, ხალხი დაინახავს და იგრძნობს თავის ეროვნულ-პატრიოტულ ძალას, მას ახალი კერა გაუჩნდება სათაყვანებელი, საამაყო და საშვილიშვილო... ეს დიდი ამბავია ყოველი ერის კულტურულ ცხოვრებაში, სოლომონ...

ზაქარია გაჩუმდა და ერთხანს მდუმარედ მისჩერებოდა მამადავითს, შემოდგომის დილის მზით გუმბათმოოქროვილ ეკლესიას, კლდოვან მთას...

— მერმე, ეს პანთეონის ამბები? — ჰკითხა სოლომონმა, — რა კავშირი აქვს ბარათაშვილის გადმოსვენებასთან?

— მამადავითზე უკვე განისვენებენ გრიბოედოვი და დიმიტრი ყიფიანი. ბარათაშვილსაც იქ უპირებენ დაკრძალვას. ეს კი არ ხერხდება მიზეზისა ხხვადასხვისა და თანაც, მეტად ხერიოზულისა გამო. ბრძოლა ბარათაშვილის გადმოსვენების ნებართვისათვის ჯერ კიდევ ამ ოცდასამი წლის წინ დაიწყო.

სოლომონი შეიშმუშნა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სათქმელი ენაზე შეაცივდა.

— ბარათაშვილის გარდაცვალების ოცდახუთი წლის თავზე, გადმოსვენების ყველა ცდამ ამაოდ ჩაიარა. — განაგრძო ზაქარიამ, — ამ დროს რუსეთში პარიზის კომუნის ორთვიური გაჩაღდა. ამან დაძაბა მეფის მოხელეთა ყურადღება, გაჩაღდა ნეჩაევის მიმდევარ სტუდენტთა დევნა-დაპატიმრებანი... ხუთი წლის შემდეგ ისევ დააპირეს გადმოსვენება. ამ დროს კი რუსეთ-თურქეთის ომი გაჩაღდა, ვიღას ეცალა პოეტის ძვლებისათვის... ორი წლის შემდეგ ნეკრასოვის დაკრძალვა დემონსტრაციად იქცა. ამ ამბავს აკაკი წერეთელიც გამოეხმაურა. წერილი ნიკო ნიკოლაძის „ობოზრენიეში" დაბეჭდილი. აბა, ამ სიტყვის შემდეგ მთავრობა პოეტის გადმოსვენების ნებართვას მისცემდა ვინმეს?! იმხანად პოეტის ბიძა, ჩვენი სახიქადულო პოეტი გრიგოლ ორბელიანი მეფისნაცვლის მმართველობაში დიდი ძალა იყო, მაგრამ არავინ იცის, რამე ილონა თუ არა...

ზაქარია წამით ჩაფიქრდა, მტევანს რამდენიმე მარცვალი შეაწყვიტა და პირი გაისველა.

— მაქარივითაა... განჯური სუფრისა განთქმულია.

— ჩემი მეცეცხლურის ვენახიდანაა...

— დიდი მადლობა გადაეცი, — კიდევ შეაწყვიტა რამდენიმე მარცვალი და განაგრძო, — ნეტავი კი გულთმისნად მაქცია და გამაგებინა, რას ფიქრობდა იმ დროს გრიგოლი... მე მას ვეთაყვანები, როგორც პოეტს. ერთი სიტყვით, ბიძის დახმარებაზე იმედდაკარგულმა თერგდალეულმა ძმებმა გადაწყვიტეს გრიბოედოვის დაღუპვის 50 წლისთავის აღნიშვნა. რუსეთს ამ დროს ომი მოგებული ჰქონდა თურქეთთან და დიდი რუსი პოეტის გახსენებას დაუკავშირებდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენებასაც. ნინო ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის დედები — სალომე და ეფემია ორბელიანები ხომ ბიძაშვილები იყვნენ. ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე პეტერბურგს გაემგზავრნენ, ნახეს პოეტი იაკობ პოლონსკი. იგი ამ დროს პოემას წერდა ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვაზე. ილია და ნიკო ცდილობდნენ გრიბოედოვის ხსენებული თარიღის აღნიშვნის საქმეში ფართოდ ჩაებათ რუსი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლობა, მამადავითის გალავანი პანთეონად გადაექციათ და ამ ყრილობის ჟამს ერთი საფლავიც მიემატებინათ — ნიკოლოზ ბარათაშვილისა. არც ამან გასჭრა.

— დიდი ამბები დატრიალებულა, ბატონო ზაქარია. საინტერესოთ უყვებით, ნათელი მეფინება...

— ჯერ სადა ხარ... 1880 წელს სრულდებოდა ბარათაშვილის გარდაცვალების 35 წელი, 1881 წელს დაბადების 65 წელი. „ივერიისა" და „ობოზრენიეს" რედაქციებმა ბრძოლა გააჩაღეს, მაგრამ პოეტის ბედუკუღმართი ვარსკვლავი აქაც გამოჩნდა. ამ დროს გადასვენების ერთ-ერთი წამომწყები ნიკო ნიკოლაძე საქართველოდან სტავროპოლში გაამევეს...

— კიდევ დაიხლართა ყველაფერი.

— დაიხლართა და მერე როგორ. 1881 წელს მეფეზე თავდასხმამ მთლად აამტუტა საქმე. ხუთი წლის შემდეგ კი, აგერ აქ, ტფილისში,

მოწაფე იოსებ ლალიაშვილმა მოკლა სასწავლებლის რექტორი ჩუდეცკი...

— ეგ ამბავი ვიცი, იოსებს სიკვდილის ნაცვლად კატორღა რომ მიუსაჯეს...

— ისიც გეცოდინება, რუსეთიდან მოვლინებულმა „მოძღვარმა“ — ეგზარხოსმა ამ მკვლელობის გამო მთელი საქართველო რომ საჯაროდ დასწყევლა.

— არა, ეგ აღარ გამიგია. იმ დროს მე განჯაში წავედი სამუშაოდ. მას მერე რა მოხდა, აღარ ვიცი.

— დიმიტრი ყიფიანის სახელი ხომ გსმენია?

— როგორ არა. ბევრჯერ თქვენგან, ბატონო ზაქარია.

— ამ კაცმა ხმა აიმაღლა, როგორ თუ ეგზარხოსმა საქართველო შეაჩვენაო, მოითხოვა მისი რუსეთში გაწვევა... მაგრამ თვით მოხუცებულ დიმიტრის წაავლეს ხელი და სტავროპოლში უკრეს თავი, სადაც ერთი წლის შემდეგ შავრაზმელებმა მოკლეს. უნდა გენახა, რა დიდი პატივით ჩამოასვენეს და დაასაფლავეს მამადავითზე. ეს, მართლაც, გრანდიოზული დაკრძალვა იყო, ნამდვილი ეროვნული გლოვა... და მთავრობამაც დიდი ხნით მაგრად გადაკეტა მამადავითის კარი ახალი მიცვალებულებისთვის. ასე დაიხშო პანთეონისაკენ მიმავალი გზა... მაგრამ გადმოსვენების უფლება მაინც აიღეს პოეტის ჭირისუფლებმა. როგორც იყო, ზარზან ამ დროს. ნებართვა კი მიიღეს, მაგრამ მთაწმინდაზე დაკრძალვისა არა... ახლა დადგა ჯერი სამუდამოდ დაგვეკარგოს იგიც, რაც იმედად მაინც გაგვაჩნია... ის მაინც ვიცით, განჯაში სად განისვენებს...

— ნეტავი განახათ, რა მიუსაფრად, უკვალოდ... მხოლოდ მღვდლის მინიშნებით... ქვა ცალკე გდია, საფლავი... ვინ იცის, იქ კი არის მისი ძვლები?.. ახლა მე წავალ, ბატონო ზაქარია. დღესვე უნდა მოვითავო ეს საქმე, ვნახავ ბატონ ილიას.

— მეც შევხვდები და ვეტყვი. ო, როგორ მატკინა გული ამ ახალმა ამბავმა... რაც ბედმა დააკლო, ადამიანები უმატებენ... გზა უნდა გავიყვანოთო, ჰა? სხვა ადგილი ვერ მონახეს გზის გასაყვანად, არა?! მაინცდამაინც მის გულზე უნდა გადაიარონ... თუმცა რა, განა ყველამ იცის მისი სიდიადე?!

ჯიბეში ჩადებული ბარათი გულს უთბობდა სოლომონს, იმედიანად მიაბიჯებდა ავჭალის ქუჩისაკენ, სადაც სამსართულიან მოზრდილ სახლში ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე, ხოლო ამავე სახლის პირველ სართულზე მოთავსებული იყო გაზეთ „ივერიის“ რედაქცია.

სოლომონი მიხეილის ქუჩაზე მიაბიჯებდა, სადაც უამრავი ხალხი მიმოდიოდა. ქვაფენილზე ცხენის ფლოქვების თქარათქურით გარბოდნენ ეტლები, მირახრახებდნენ კონკები, დროგები, წუწუნელი თუ დიდმელი მემაწვნეები ვირებს მიერეკებოდნენ, იყო გნიასი...

მიხეილის ქუჩა თავში ვიწროვდებოდა და დიდ-პატარა სახლებში იკლაკნებოდა. იქიდან ავჭალის ქუჩისაკენ გადაუხვია სოლომონმა და „ივერიის“ რედაქციაში იმ დროს მივიდა, როცა თანამშრომლები თავს იყრიდნენ.

„ივერია“ იმდროინდელი მოწინავე ინტელიგენციის საკრებულოს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ ადრე ზაქარია ჭიჭინაძესთან გაიცნო სოლომონმა რედაქციის რამდენიმე თანამშრომელი, განსაკუთრებით კი გრიგოლ ყიფშიძეს დაუახლოვდა. თუკი სიახლოვე შეიძლება ეწოდოს მათ რამდენიმე გულითად შეხვედრას. ზაქარიამ კი იცოდა სოლომონის ლიტერატურით გატაცება, მაგრამ მისი „საიდუმლო“ არ გაუთქვამს და სოლომონიც არ ჩქარობდა, რედაქციისათვის შეეთავაზებინა თავისი რომელიმე ნაწარმოები.

ახლა შესთავაზებს კი არა, ჯიქურ შეიჭრება რედაქციაში, თვით დიდ ილიასაც არ მოერიდება და განჯელი ქართველების სახელით... მოსთხოვს? უბრძანებს? ვის, დიდ ილიას, რომელიც პირველი ეპირისუფლა ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელმაც აღმოაჩინა და გამოამზეურა მისი ნაწერთა ნაწილი?

სოლომონს გაახსენდა თავისი წერილის, ცოტა არ იყოს, მკვახე და შემტევი კილო. მხოლოდ ახლა იგრძნო მეტისმეტი უხერხულობა, ვაითუ ილიამ არ მომიწონოსო. რედაქციის კართან შეყოვნდა. ფეხის ხმა მოესმა და უმალ შეტრიალდა.

მის წინ ილია ჭავჭავაძე იდგა, ასე ახლო, პირისპირ. სოლომონს უკან არ დაუხევია, არც გამბედაობა აკლდა, არც სითამამე.

— გამარჯობათ, ბატონო ილია!

— გაგიმარჯოთ! — ილიამ დაკვირვებით შეხედა უცნობ ყმაწვილკაცს.

— მაპატიეთ... პირადად თქვენ გეახელით, ერთ ფრიად გადაუდებელ საქმეზე.

— რახან გადაუდებელია... მობრძანდით, გეთაყვა! — გაეღიმა ილიას და სოლომონს ხელი გაუწოდა. სოლომონმა ხელი ჩამოართვა და ილიას საერთო განყოფილებაში შეჰყვა. თანამშრომლები რედაქტორს მოწიწებით შეხვდნენ. ილიამ მათ დილა მშვიდობისა უსურვა და თავის კაბინეტს მიაშურა.

გრიგოლ ყიფშიძე წინ წამოდგა. სოლომონმა სალამი დაასწრო. მათ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

— რამ შეგაწუხათ? — ჰკითხა გრიგოლმა სტუმარს. ილია მოუბრუნდა ყიფშიძეს და სოლომონის მაგივრად გასცა პასუხი:

— გადაუდებელმა საქმემ, რომელსაც ახლავე გავარკვევთ. მობრძანდით, ყმაწვილო!

მალე ილია და სოლომონი პირისპირ დასხდნენ კაბინეტში.

სანამ წერილს გაუწვდიდა, სოლომონმა შესავალით დაიწყო:

— განჯიდან გეახელით, ბატონო ილია.

— განჯიდან? — ყურადღება გაამახვილა ჭავჭავაძემ, რომელიც უცნობ ყმაწვილკაცს ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა. „თუ დამწყები ავტორია?... ასეთი პრეტენზიით არავინ მოსდგომია „ივერიის“ კარს, გადაუდებელი საქმეაო“.

— დიახ, განჯიდან. რკინიგზელი ქართველების დავალებით გაახლეთ აი, ეს წერილი, — სოლომონმა ქაღალდი გაუწოდა.

ილია ერთხანს თავაუღებლივ კითხულობდა, მერე წერილი მაგიდაზე დადო, წამოიხედა და თითქოს ლექსს კითხულობსო, ისეთი გრძნობით წარმოთქვა:

— ნიკოლოზ ბარათაშვილი ისეთი ვარსკვლავია, რაც დრო გავა, უფრო მეტად გამობრწყინდება!

შემდეგ სოლომონის ნაწერი აიღო და სწრაფად გაალო კარი.

— გრიგოლ, გეთაყვა!..

ყიფშიძე სწრაფად ეახლა ილიას. ილიამ ფურცელი გაუწოდა.

— გადახედეთ და ახლავე გაგზავნეთ სტამბაში... ეგლა გვაკლია, სამუდამოდ დავკარგოთ დიდი მგოსნის ნეშტი!..

აღელვებული შემობრუნდა კაბინეტში, სოლომონს ხელი ჩამოართვა.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ!.. ახლა კი დროა დაიძრას ყინული... ჩვენ ამ ბარათს დავბეჭდავთ „ივერიაში“, დაე, საზოგადოებამ გაიგოს სადამდე მიდის ჩვენი უგერგილობა... ჩვენი სასიქადულო მგოსნის ნეშტისთვის ვერ მოგვივლია!.. — ილია მეტისმეტად აღელვებული ლაპარაკობდა.

— პირადად თქვენ ცდა და ყურადღება არ დაგიკლიათ, ბატონო ილია.

— შედეგი? რას ვეტყვით შთამომავლობას, როგორ წარვსდგებით მათ წინაშე?! ნეშტი ვერ გადმოგვისვენებია და მშობლიური მიწისთვის ვერ მიგვიბარებია!.. მაშ თქვენ ამბობთ, რომ იქ გზა უნდა გაიყვანონ?

— სწორედ მოგახსენებთ, ბატონო ილია. ეკლესიის დეკანოზმა ტატიშვილმა გამაფრთხილა.

— მადლობა გადაეცით ღვთის მსახურს...

— უთუოდ მოვახსენებ.

— ჩვენ აქ ყველაფერს ვილონებთ, უკანასკნელ ძალებს მოვიკრებთ... ნიჭიერი კაცი ბრძანებულხართ... განჯაში რა გინდათ, იქ რაზე მუშაობთ? მაპატიეთ, გვიან რომ გეკითხებით, მაგრამ ისე ავღელდი...

— ორთქლმავლის მემანქანე გახლავართ... ლიტერატურა მიყვარს...

— რკინიგზის თემა ნაკლებად შუქდება... ეგებ რამე მოგვაწოდოთ, ასევე მახვილგონივრულად და პუბლიცისტური მახვილით... „ჩვენ მაინც აგრე ვიცით: ჯერ დავიწყებთ და შემდეგ დავივიწყებთ ხოლმე...“ თითქოს ჩემს გულში იჯექით... გმადლობთ, ბატონო სოლომონ!

ილიას შექებით აღფრთოვანებული სოლომონი მეცხრე ცას ეწია. როცა იგი ჭავჭავაძემ საერთო განყოფილებაში გამოაცილა, გრიგოლ ყიფშიძემ ორივე ხელი ჩამოართვა.

— სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს... ფრიად ამაღელვა თქვენმა წერილმა, ბატონო სოლომონ! ჩვენ აქ ხმამაღლა წავიკითხეთ და ცრემლი ვერ შევიკავეთ!

საერთო განყოფილებაში ფეხზე იდგნენ ალლაძე, ახნაზაროვი, ლასხიშვილი და მანსვეტაშვილი. ისინი სოლომონს მდუმარედ მისჩერებოდნენ.

განჯაში ქართული ჟურნალ-გაზეთები როდის-როდის ჩადიოდა, ზოგჯერ მთელი კვირისა ძლივს აღწევდა. ამიტომ განჯის სადგურის წრის წევრებმა სხვა გზა გამონახეს, მათთვის ყოველგვარი ლიტერატურა თუ პროკლამაციები მემანქანეებს ჩამოჰქონდათ, ბრიგადა ბრიგადას გადასცემდა და ასე აღწევდა განჯამდე.

„ივერიის“ 1882 წლის 9 და 11 ოქტომბრის ნომრები ერთად მიიღო სოლომონმა. ეს მოხდა თექვსმეტში, როცა ორთქლმავალი დეპოში დააყენა და სადგურზე გამოსვლისას მორიგემ შეკრული პაკეტი გადასცა. გზავნილი უშუალოდ რედაქციიდან იყო.

9 ოქტომბრის ნომერში თვალსაჩინო ადგილზე იყო დასტამბული სოლომონის წერილი. სიტყვა არ იყო შეცვლილი. სოლომონს შინ ერთადერთი მსმენელი კაკო ჰყავდა, მაგრამ ისე ხმამაღლა უკითხავდა გაზეთს, გეგონებოდათ სადმე დიდ აუდიტორიაში გამოდისო. თანაც ისეთი მგრძნობიარე ხმით კითხულობდა, კაკოს თვალები ცრემლით აევსო.

— აი, ხედავ, რა ძალა აქვს სიტყვას! — თავმომწონედ თქვა სოლომონმა, — დიდი რამ შეუძლია სიტყვას და გაზეთს. დღეს მთელი საქართველო იქნებ ამაზე ლაპარაკობდეს. განგაშს ასტეხენ და ერთ დღეს უთუოდ ჩამოვლენ...

აღტაცებული იყო სოლომონი. მის აღტაცებას კიდევ უფრო მეტი ცეცხლი შეუნთო გაზეთის მომდევნო ნომერში დაბეჭდილმა წერილმა, რომელსაც ხელს ფრონელი აწერდა. ეს კი ალექსანდრე ყიფშიძის ფსევდონიმი იყო.

ფრონელი წერდა:

„ივერიის“ გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი წერილი განჯიდან ბ-ნი სოლომონ დოლიძისა. წერილის ავტორს საჭიროდ მიაჩნია, მოგვაგონოს კიდევ ჩვენი მოვალეობა ჩვენის დაუვიწყარის პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის წინაშე და თანაც სწუხს, რომ ჩვენ, ქართველები, პირველში ავპილპილდებით, ცეცხლივით ავენთებით და მერე ისევ მალე ჩავქრებით, საქმე დავიწყეთ, და მერე დავიწყებას მივეცით.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყის,

განსვენებული პოეტის გვამი ასაფლავია განჯას, ერთი ძველი ხაყდრის გალავანში. ბ-ნი დოლიძეს სარწმუნო წყაროდგან შეუტყვია, რომ ამ ერთის თვის განმავლობაში, რომელ მიცვალებულის გვამსაც პატრონი არ გამოუჩნდება, იმის გვამს ამოიღებენ და ერთს საზოგადო საფლავში დაასაფლავებენ ახალს სასაფლაოზედაო, რადგან ძველ სასაფლაოს ადგილზედ შარა გზა გაივლისო.

ბ-ნი დოლიძე იმასაც იწერება, რომ თუ ნათესავები და პოეტის ნიჭის თაყვანისმცემელნი დროზედ ყურადღებას არ მიაქცევენ და არას იზრუნებენ, გადაასვენონ სამშობლო ქვეყანაში ნეშტი პოეტისა, ჩვენ, განჯის მცირედი ქართველობა, იძულებულნი ვიქნებით თავი გამოვიდოთ, ცალკე დავასაფლავოთ აქვე, განჯაში, საზოგადო საფლავში კი არ ჩავყაროთ წმინდა ძვლები იმ პოეტისა, რომლის სახელითაც თავი მოსწონს ყოველ ქართველს და მით არ დავკარგოთ საფლავი ძვირფასი მგოსნისაო.

მართლაც, ბ-ნი დოლიძისა არ იყოს, რა უბედურება და ღვთის წყრომაა ასეთი აპილპილება პირველად ყოველ საქმეში და შემდეგ ჩაქრობა, განელება ბურბუშელასავით. რა უბედურებაა ასეთი გულგრილობა, უთაურობა და უგრძნობლობა! ნუთუ ისე მოვუძლურდით სულით, ისე მოვეშვით ხორცით, რომ ეს ადვილად მოსახერხებელი საქმეც კი ველარ შეგვისრულებია? სად არიან ან ნათესავნი განსვენებულის პოეტისა, ან პოეტის ნიჭის პატივის მცემელნი? განა ისეთი რა გაგვიჭირდა, რომ ეს სალმთო მოვალეობაც ვერ შეგვისრულებია?

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ამ საქმისათვის ყველაფერი მზად იყო. ფული ორმოც თუმნამდის შეიკრიბა ჩვენს რედაქციაში, ორთავ გუბერნატორს განჯისა და ტბილისის ნებართვა გამოსთხოვეს გვამის გადმოტანისა, დასასაფლავებელი ალაგიც შეიგულეს მთაწმინდის ეკლესიის გალავანში და მაშ რაღამ დააბრკოლა საქმე. ორმოცი თუმანი სრულიად საკმარისია დეპუტატების გასაგზავნად განჯას პოეტის გვამის ღირსეულად გადმოსვენებისათვის, პოეტის ძვირფასი ფერფლის გვირგვინებით შემკობისათვის. მაშ რაღა უცარავს ხელს ამ ჩვენს საერთო და საეროვნო საქმეს?!

არაფერი, იმ წყლულისა და უბედურების დაუდევრობის [გარდა, რომელიც ლამის ამ ბოლო დროს ჩვენის ერის საზოგადო სენად გადაიქცეს. გული შეუწუხდება ვინც ღრმად ჩაუფიქრდება ამ სამწუხარო გარემოებას. ნუთუ შველა ალარსად არის, ნუთუ შეუძლებელი გახდა კვლავ მოვფხიზლდეთ, თვალი მოვიფშვნიტოთ და მკვდრეთით აღვდგეთ.

ჩვენ არ გვგონია, რომ ყოველივე ძალა დაშრეტილიყოს ჩვენს ერში; არა გვგონია, რომ ჩვენი ხალხის მაჯა აღარ სცემდეს მცირედად მაინც და სამუდამოდ აპირებდეს შეწყვეტას. ჯერ კიდევ გვწამს, რომ ეს ძალა საკმაოდ მოიპოვება, რომ იგი დღეს მხოლოდ მიბინდულია და, თუ ვეცდებით, კვლავ იჩენს თავს, კვლავ დაიწყებს მოქმედებას.

მაშ იმედი ვიქონიოთ, რომ ყოველი ჩვენგანი, დიდი თუ პატარა, ამ მოკლე ხანში შეასრულებს თავის მოქალაქეობრივს მოვალეობას. ამ მოკლე ხანში, იმიტომ, რომ ერთის თვის უკან გვიანლა იქნება. იმედი ვიქონიოთ, ყველა გულწრფელად და მხნედ შეუდგება საქმეს და მით გადაიხდის ზნეობრივს ვალს განსვენებულის პოეტის სახელის წინაშე. სხვადასხვა ქვეყანაში განგებ აზვიადებენ რომელისამე მემამულის ღვაწლს, ადგამენ გვირგვინს გმირისას და ქვეყანას ყურს უჭედავენ, ასეთი სახელოვანი კაცი გვყოლია ან და გვყავსო. ღვთით ჩვენთვის ასეთი თალთმაქცობა საჭირო არ არის! მთელი ჩვენი წარსული ცხოვრება სავანეა გმირთა და ქვეყნისათვის თავდადებულთა. განსვენებული ჩვენი პოეტი ნ. ბარათაშვილიც ერთი იმ მადლით მოსილთაგანი იყო, რომელსაც სწვავდა ცეცხლი სამშობლო ქვეყნის გაბედნიერებისა. ვალი გვაქვს, წმინდა ვალი, პატივი ვცეთ მის სახელს, პატივი ვცეთ მის ფერფლს, ღირსეულად გადმოვასვენოთ მისი ნეშტი და თუ გულში ჩაგვრჩენია მისი სახელი, მისი ფერფლიც დავამკვიდროთ სამშობლო „მდელოთა შორის“.

— ხედავ, კაკო, რეები ხდება ქვეყანაზე!... — წამოიძახა სოლომონმა, როცა ფრონელის წერილის კითხვა დაამთავრა. ჭაბუკი ცრემლს იწმენდდა. სხვა დროს შეიძლება ასეთი გულჩვილობისათვის დაეძრახა სოლომონს, ვაჟკაცს ცრემლი არ შეშვენისო, მაგრამ ახლა სწორედაც რომ დამამშვენებელი იყო. თვითონაც გრძნობით უდუღდა გული.

— ნუთუ შეიძლება, რომ ღმერთმა ასე გასწიროს გენიალური ადამიანი?! — იკითხა კაკომ გაოცებით და მხრები აწურა. — მაინც, რამდენი მოასწრო ოცდაცხრა წლის ჭაბუკმა! მერედა, რა მარგალიტები გადმოაფრქვია!...

— მარგალიტებიო, ამბობ... და მაინც, რეები ხდება ამ ქვეყანაზე, — თავის აზრს დაუბრუნდა სოლომონი, — თუ დაუკვირდი, გინდ ჩემს წერილსა და გინდაც ფრონელისა, შახსეი-ვახსეიზე რომ ვართ გადასული ქართველები...

— შახსეი-ვახსეი რაღაა?

— მუსულმანებში გავრცელებული თვითდასჯა, თვითგვემა, თავ-პირს რომ ისისხლიანებენ გონების დაკარგვამდე.

— არ ვიცი, რას გულისხმობ, სოლომონ. მე ყურადღებით გისმენდი.

— იმას, ჩემო ძმაო, რომ ყველაფერს ვიბრალებთ, ასეთები ვართ და ისეთები ვართ ეს ქართველები... ნეტავი კი იცოდე ნამდვილი ისტორია, ვისი და რისი მიზეზითაც არ მოხერხდა ბარათაშვილის ნეშტის გადასვენება ტფილისში. ზაქარია ჭიჭინაძემ ყველაფერი მიამბო

და გამარკვია. მოხუცები წლებს და ყველაფერი ნათელი ხდება, რომ ამ საქმეში ყველაზე დიდი დამნაშავე შოვინიზმით დაბანგული მეფის წეს-წყობილება. ყველა პროგრესულად მოაზროვნის ჩრდილისაც კი ეშინიათ მეფის მოხელეებს, თუნდაც იგი ამ ორმოცდაათი წლის წინ იყოს გარდაცვალებული. მინდა, რომ ყველაფერი დაწვრილებით იცოდე. ყური მიგდე...

ტფილისში ქუხილივით გადაიარა დოლიძისა და ფრონელის გულისშემძრავმა წერილებმა.

მრავალი ბარათი მიიღო სოლომონმა მეგობრებისაგან. გრძნობით სავსე წერილი მოსწერა ზაქარია ჭიჭინაძემ.

ერთი სიტყვით, იმ დღეებში თუ არა, უახლოეს ხანში დიდ ამბებს მოელოდა სოლომონი.

როგორც დეკანოზმა ტატიშვილმა გააფრთხილა, ერთ თვეში მიხედეთ ბარათაშვილის საფლავს, თორემ მერმე გვიანლა იქნებაო, — ეს ერთი თვე წამების საგნად ექცა სოლომონს, მაგრამ არც გზის მშენებლები ჩქარობდნენ, არც ეკლესიისათვის უხლიათ ხელი და არც ტფილისიდან ისმოდა რამე.

ტფილისში კი ამ დროს ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე კვლავ შეიკრიბნენ და მოლაპარაკების შემდეგ ეახლნენ მთავარმმართებელს. ახლა კი საბოლოოდ და გადაჭრით უარი მიიღეს მთაწმინდაზე პოეტის ნეშტის დაკრძალვისა. ერთადერთი, რასაც მათ მიაღწიეს — მთავარმმართებელს გამოსძალეს ადგილი დიდუბის ეკლესიის გალავანში. ეტყობა, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის შემდეგ საკმაოდ მაგრად ყოფილა შეშინებული თვით მთავარმმართებელი! სადგურიდან მთაწმინდამდე დიდი გზაა. ამ გზაზე შეიძლებოდა კვლავ განმეორებულიყო იგივე ეროვნული დემონსტრაცია, რაც ყიფიანის დაკრძალვისას მოხდა. დიდუბის ეკლესია კი სადგურის მახლობლად იყო და აქ მთავრობის ვარაუდით ყოველგვარი დემონსტრაცია გამორიცხული იქნებოდა, თანაც, არც მაინცდამაინც დიდ ამბავს მოელოდნენ...

ამის შემდეგ გავიდა კიდევ ერთი თვე. დადგა დეკემბრის სუსხიანი დღეები. მოვიდა ახალი 1898 წელი. როცა იანვარ-თებერვალი მიიწურა, მარტმაც თავისებურად დაუბერა. გზის მშენებლები ეკლესიიდან ჯერ კიდევ შორს იყვნენ. მართალია გული საგულეს ჩაუდგა სოლომონს, მაგრამ ფიქრობდა, ახლა სწორედაც რომ მართლდებოდა მისი და ფრონელის სიტყვები. მისი — „ჩვენ მაინც აგრე ვიცით, ჯერ დავიწყებთ და შემდეგ დავივიწყებთ ხოლმე"; ფრონელისა — „რა უბედურებაა ასეთი უგერგილობა, უთაურობა და უგრძნობლობა!"

დადგა გაზაფხული. მწვანით შეიმოსა გარემო. აყვავილდა და შეიფოთლა განჯის ბაღვენახები. მართლმადიდებელთა ეკლესიის გალავანშიც გამწვანდა ხეები, ბარათაშვილის საფლავის დარაჯს — აკაკის ხეს, წვრილი ნარხი ფოთლებს დაასხდა [illegible] გაზაფხულზე თითქოს დიდი [illegible] ნაწილი ამოჰქონდა, განთიადის [illegible] მობრწყინებული პოეტი ახლა თითქოს ამ ხის სიცოცხლეში ვლინდებოდა.

სოლომონს ეს ხეც შეჰყვარებოდა.

აპრილის ერთ დღეს დოლიძე თავისთან მიიხმო სადგურის უფროსმა კონსტანტინე შიშკოვმა და თავისი რუსულ-გურულით უთხრა:

— სადის, ძამა!

— გმადლობთ, ბატონო კონსტანტინე.

— მიტხარი, გეტაკვა, რამე ტუ შეგატკობინეს, ტბილისიდან, ჩვენი პოეტის ტაობაზე?

— არაფერი, ბატონო კონსტანტინე... მე მხოლოდ ის ვიცი, რომ საქმე არ იძვრის. ვშიშობ... გაზაფხული დადგა, გზის სამუშაოებს დააჩქარებენ და...

სოლომონი უცებ გაჩუმდა, რადგან მოხუცმა გაიღიმა. ღიმილის დროს თვალები მონღოლური უხდებოდა. მემანქანემ გაკვირვებით შეხედა, განა ისეთს რას ვამბობ, რომ იღიმებაო. მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ კეთილი გულის კაცი უმიზეზოდ არ გაიღიმებდა. მერედა ასეთ სერიოზულ საქმეზე.

— კარგია, რომ გაჩუმდი და მე ტვიტონ არ შეგაცხვეტინე. შენი ბრიგადიტ მოემზადე, ორტკლმავალი სრულ ცესრიგში გქონდეს. ამ დღეებში საგანგებო მატარებელს ტკვენ ცა[illegible]ვანთ ტბილისამდე.

— რომელ საგანგებო მატარებელს, კონსტანტინ მატვეევიჩ!

— ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტით.

1898 წლის აპრილის მიწურულის მართლაც რომ მშვენიერ შაბათ საღამოს განჯის რკინიგზის სადგურზე საგანგებოდ გამზადებულ ვაგონთან მოასვენეს კუბო.

ბარათაშვილის ნეშტს ჭირისუფლად ადგნენ — პოეტის ბიძაშვილი, ხანშესული გენერალი გრიგოლ ილიას ძე ორბელიანი და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები ისელიანი და ჭყონია.

ბაქანზე პოეტის ცხედრის გასაცილებლად გამოსულიყვნენ განჯის გუბერნატორი თავისი მრავალრიცხოვანი ამალით, თვალსაჩინო მოქალაქენი, თავი მოეყარათ განჯაში მცხოვრებ ქართველებს, დიდსა და პატარას. მათ შორის გამოირჩეოდნენ რკინიგზელები. აქვე იყვნენ განჯის მართლმადიდებელთა ეკლესიის მსახურნი. ღვთის მსახურებმა მძინარაშვილმა და ტატიშვილმა ლოცვა-კურთხევით დაულოცეს გზა განსვენებულის ნეშტს...

შემადგენლობას ორთქლმავალი უკვეება. გუგუნებდა მისი ლუმელი და ორთქლის ძლიერ ნაკადს ქშენით აფრქვევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეცეცხლური საგანგებოდ მოემზადნენ. ყველაფერი წესრიგში მოიყვანეს და ორთქლმავალი მზად იყო გზას გასდგომოდა.

აღსრულდა!

როგორც იქნა აღსრულდა დიდიხნის ნანატრი. ორთქლმავალის სარკმელში გადმოყრდნობილი სოლომონი თვალს არ აცილებდა ბაქანს, გამოთხოვების ცერემონიალს, დროდადრო თვალები ცრემლით ებინდებოდა, გულისფეთქვას ვერ იოკებდა... მალე მაინც დაიძრნენ, გზას გაუტიონ, ეგებ გაფრინდნენ, როგორც მერანი!..

კუბო ციმციმ შეიტანეს ვაგონში.

სოლომონმა დაინახა, რომ ორთქლმავლისაკენ სადგურის მორიგესთან ერთად სწრაფი ნაბიჯით გამოეშურა კონსტანტინე შიშკოვი. მორიგე კვერთხის გადასაცემად მიდიოდა, ეს გასაგები იყო სოლომონისთვის. მაგრამ შიშკოვს რაღა უნდოდა?

სოლომონმა ორთქლმავლის კარს მიაშურა, სწრაფად ჩავიდა მანქანიდან და მოსულთ შეეგება. მორიგემ კვერთხი გაუწოდა, სოლომონმა ჩამოართვა და კონსტანტინე შიშკოვს შეხედა.

— აბა, ბიჭო... ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, კეტილი გზით გატაროთ! — კონსტანტინემ ორთქლმავალს ჯვარი გადასახა, მერე სოლომონს ჩამოართვა ხელი და იქვე, ორთქლმავალთან დარჩა მანამდე, ვიდრე მატარებელი ქშენით არ დაიძრა, მძიმედ, ჭრიალით, დგუშების დგაფუნით...

სოლომონს ისე ეჩვენებოდა, თითქოს ამაზე მძიმე ტვირთი მის ორთქლმავალს ჯერაც არ გაუწევია. სამშობლოსაკენ მიაქროლებს ქართველი ხალხის სალოცავს, მიაქროლებს უკვდავებას, მიაქროლებს განუზომელ სევდასაც...

იმდენად დიდია ბარათაშვილის სახელი — ვერც ჟამი განსაზღვრავს, ვერც რაიმე საზომით განიზომება. სწორად თქვა ილიამ — ბარათაშვილი ისეთი ვარსკვლავია, რაც დრო გავა, უფრო მეტად გამობრწყინდებაო.

ამიტომ მძიმეა, ძალზე მძიმე მისი ნეშტიც კი...

როგორ შეხვდება ტფილისი? როგორ დახვდება საქართველო თავის დიდი ხნის დაკარგულ შვილს? ამის წარმოდგენა არ ჰქონდა სოლომონს, ვერც განსჭვრეტდა გონების თვალით იმას, რაც კვირას მოხდა.

აპრილის მწუხრი დგებოდა. ბინდი გარემოს ეფინებოდა. ორთქლმავალში ყველა თავის საქმეს აკეთებდა. დუმდა სოლომონი, თვალმოუცილებლად გზას გაჰყურებდა. ორთქლმავალი ჩვეულებრივ საშუალო სიჩქარით მიჰყავდა, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ ნელა, კუს ნაბიჯით მიიწევდნენ...

დუმდა ფიქრებში გართული სოლომონი, დუმდა კაკო და მოგუგუნე ცეცხლს თვალს არ აშორებდა მამედ ჰასან-ოღლი.

მამედმა ღუმელს შეუფიცხა. ვარვარა სინათლე სახეზე მოედო. სოლომონმა ცერად გახედა. „ჩვენ ხომ ნიშამი განჯელის ცხედარს არ მივასვენებთ“. რატომღაც უნებლიედ ეს გაიფიქრა და თვითონვე გაუკვირდა, რატომ დაებადა ეს აზრი. როცა მამედს შეხედა. „ჰო, შეიძლება მისთვის სულ ერთია, ვის მივაცილებთ საქართველოში... რა მოეთხოვება მეცეცხლურს!..“ როცა კი პოეზიით ანთებული სოლომონი გრძნობით წარმოთქვამდა რომელიმე პოეტის ლექსებს, მამედი ყურს უგდებდა, მაგრამ სოლომონი ვერ ატყობდა, ამ ბიჭს გულის რომელიმე ძარღვი თუ შეუთრთოლდებოდა... უსმენდა და უსმენდა პოეზიის ცეცხლით გაჩირაღდნებულ თავის მემანქანეს, ეს იყო და ეს.

იმ დღეს კი საოცარი რამ მოხდა. როცა მატარებელი გასცდა იმ დაწყევლილ ალაბაშლას მონაკვეთს, მამედი წელში შესწორდა და შვებით ამოისუნთქა, მერმე გამოთქმით წამოიძახა:

— „გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო...“

სოლომონი უცებ შეტრიალდა მისკენ.

— მამედ!

მეცეცხლურმა თეთრი დიდრონი კბილები გამოაჩინა.

— განაგრძე მამედ, განაგრძე!..

მაგრამ მამედი დუმდა. მიამიტი ბავშვივით დარცხვენილი უყურებდა მემანქანეს, მერე ღიმილი გაუქრა, სახეზე მწუხარება დაეტყო და ჩაილაპარაკა:

— რა ცოდო კაცია!.. რა ცოდო კაცია!..

კვირა დილას, ათის ნახევარზე, მატარებელი ტფილისის სადგურში შევიდა.

მთელი ღამე ნაჯაფარმა და თვალმოუხუჭავმა სოლომონმა ორთქლმავალი ნელა ჩაატარა ხალხით სავსე ბაქანთან. ბაქანი სოლომონის მარცხნივ მოექცა და საშუალება არ ჰქონდა, ახლოდან გადაეხედა შეკრებილთათვის. როცა ორთქლმავალმა ერთ ღრმად ამოიქშინა, სამთაბრივადამ თავისი მოვალეობა პირნათლად მოიხადა, სოლომონი ბაქნის მხარეს ორთქლმავლის ღია კარში გადმოდგა და ხალხს გადახედა. გადამბმელმა ორთქლმავალი ჩახსნა მატარებელს და ნიშანი მისცა, იქაურობას გასცლოდა.

— ვიცი, შენი გული აქ არის, სოლომონ, — უთხრა კაკომ, — ორთქლმავალი მე მომანდე, დეპოში დავაყენებ, შენ კი დაკრძალვას დაესწარი.

— მოვასწრებ დეპოში მისვლას...

— აღარ მენდობი? წადი, ხომ ხედავ, რა ამბავია, სადგურს იქით გახედე, მთელი მინდორი სავსეა ხალხით. ლამის მთელი საქართველო აქ მოსულა...

კაკოს როგორ არ ენდობოდა, ჩინებული მცოდნე იყო ორთქლმავლისა, ვინ იცის, გზაში რამდენჯერ შეუცვლია მემანქანე. ახლა აღარ

ენდობა? რამ დააბნია, რამ დაავიწყა კაკოს უნარი?!.

სოლომონი ორთქლმავლიდან გადახტა და ხალხს შეერია. მისი გული და სული მართლაც აქ ტრიალებდა იმ განუმეორებელ ოცდახუთ აპრილს.

რკინიგზის სადგურის ბაქანზე იდგა გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე, სამღვდელოებით გარშემორტყმული. იქვე იყვნენ ქართველი მაღალი საზოგადოების, ინტელიგენციის წარმომადგენლები, გადმოსვენების მოთავენი უკლებლივ: თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, სხვადასხვა ქალაქებიდან წარმოგზავნილი დეპუტატები.

კუბო ციმციმ გადმოიღეს ვაგონიდან და ვაგზლის დარბაზისაკენ წაასვენეს. იქ მცირე პანაშვიდი გადაიხადეს.

სოლომონი ვაგზლის მოედანზე გავიდა და როგორც პურის მარცვალი ტრიალ მინდორზე, ისე ჩაიკარგა ზღვა ხალხში, აღელვარებულ მასაში.

აქ თავი მოეყარა თითქმის მთელ ტფილისს, ყველა ფენისა და ყველა ასაკის ადამიანს. ყველას საზეიმო-სამგლოვიარო ელფერი ედო, ყველა საოცრად განიცდიდა და ღელავდა. სულ პაწაწებს, რასაკვირველია, არა ესმოდათ რა, ისინი ხელში აეტაცებინათ, მოეყვანათ, რათა ეს დღე ეგებ გულში ჩარჩენოდათ. გონებაში ჩაებეჭდათ, როგორც ერის ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი.

სანამ ვაგზლის დარბაზში პანაშვიდს იხდიდნენ და მღვდლებმა სულთათანა იგალობეს, ხალხი მოედანზე გასუსული იდგა და ელოდა.

პანაშვიდი დამთავრდა. ხალხმა კიდევ უფრო გატრუნა სული. მღელვარებამ ასე მდუმარედ, უხმაუროდ ჩამოიქროლა.

ქორომ გალობა წამოიწყო. იგი თანდათან ძლიერდებოდა, ყრუანტელის მომგვრელად აგუგუნდა. ხალხის ერთმა ნაწილმა ხმაააყოლა და გალობა ამით უფრო მეტად აზვირთდა.

კუბო ვაგზლის დარბაზიდან გამოიტანეს.

ქორო უცებ დადუმდა. მთელმა მოედანმა ერთი კი ამოიგმინა და ამ ზღვა ხალხმა, როგორც ქარიშხალგადავლილმა ყანამ, ისე ჩაიჩოქა.

მუხლებზე დამხობილი ქალი თუ კაცი, მოზარდი თუ მოხუცი, ცრემლიანი თვალებით შეჰყურებდნენ კუბოს.

სოლომონს მღელვარებისაგან გული ყელში ამოსდიოდა, არასოდეს არავის წინაშე მას მუხლი არ ჩაუხრია. ახლა კი საოცარი ყოფილა ის განცდა, როცა გენიოსს თაყვანსა სცემ და შენს გულში ქარიშხალივით ტრიალებს სიამაყის გრძნობა, რომ შენს ქვეყანას ასეთი შვილი ჰყავს.

შემდეგ ზღვა ხალხი ლიტანიით დაიძრა დიდუბისაკენ. ამბიონი გვირგვინებით იყო შემკული. კუბო ქალებსაც მიჰქონდათ. ქალებს ახალგაზრდებიც ცვლიდნენ, ახალგაზრდებს — პოეტის ნათესავ-მოკეთეები.

პროცესია დიდუბის ეკლესიისაკენ მიემართებოდა.

მთელი ეს მიდამო, სადგურიდან დაწყებული, დაუსახლებელი იყო და ხალხის ნაკადიც მდორედ და გაშლილად მიედინებოდა. გზადაგზა რამდენიმე გუნდი გალობდა. ქალთა გუნდი ერთს რომ მოსძახოდა, სასულიერო სემინარიის შეგირდების მეორე გუნდი სხვა ჰანგებით უნანავებდა გზას ხალხის თავზე გადარწეულ კუბოს. იქით სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეთა გუნდი გალობდა... ამ გუნდებს ლოტბარობდნენ შარაძე, ქორიძე და მღვდელი კარბელაშვილი.

ლიტანია ეკლესიას მიუახლოვდა. ხალხმა კვლავ მოიდრიკა მუხლი. მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა.

კუბო ეკლესიაში შეასვენეს. მცირე იყო დიდუბის ეკლესიის აუარება სანთლით გაჩირაღდნებული დარბაზი. კუბოს შეჰყვნენ ახლობლები, ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები, დამკრძალავი კომისიის მოთავენი. პანაშვიდი გადაუხადა და სიტყვა წარმოთქვა ახალგაზრდა მღვდელმა კალისტრატე ცინცაძემ.

წირვის შემდეგ კუბო სამარესთან მიიტანეს. სამღვდელოების გვერდით სოლომონმა შენიშნა ილია, რომელიც მცირე პანაშვიდის შემდეგ სიტყვის სათქმელად მოემზადა. ხალხი გაინაბა. ქალებმა სლუკუნს მოუკლეს, ცრემლს ახლა ჩუმად იწმენდნენ.

ილია წინ წამოდგა კუბოსთან. აშკარად ეტყობოდა, რომ ღელავდა. მერმე ხმადაბლა დაიწყო ჩაგუდული, ცრემლგარეული ხმით:

— „თვითეული ცემა გულის ძარღვისა გვჭრის და გვაწყლულებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“, — სთქვა ერთმა ბრძენმა.

ღმერთი რომ ერს, ქვეყანას, მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა. როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარესა მას იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი. რაკი ესეა, ეხლა ცხადი უნდა იყოს, რა ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშე ვდგევართ ჩვენ დღეს.

პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგანაც იგი გამოვლენილია, რომ ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუჩეროს.

ამ მადლს, ამ ტვირთს, დიდი ძალ-ღონე უნდა სულისა და ხორცისა. და ამიტომაც, როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაუდგა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად, და უბრძანა—წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთეო.

კიდევ ვიტყვი. პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ ხომ ჰხედავთ, იგი დიდი ტვირთიც არის. დიდ ტვირთადვე იცნო იგი ამ ჩვენმა სახელოვანმა კაცმა და მას ყველაფერი ანაცვალა. ოღონდ ეგ ტვირთი დაუღალავად ვზიდო, ოღონდ ერთგულად ვემსახურო და ყველაფერს შევწირავ განწირულის სულის კვეთებამდეო. ამ განწირულობამ, გარდაცვალების ერთის წლის წინად, ეს სიტყვები ამოაკვნესა, რომლებიც წინასწარმეტყველებად გადაექცა ბოლოს:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტირონს სატრფომ გულისა,
ნულა დამცეს ცრემლი მწუხარის...
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტრიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!..
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ობერსა,
დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მივალალებენ სვავნი მყივარნი.

ეს მწვავე წინასწარმეტყველება გაუმართლდა: იგი არ დაიმარხა თავის მამულში, მას არ დაედინა ცრემლი თავის ქვეყნის შვილისა. ეს ჯავრი თან ჩაიყოლია ამ ჩვენმა განმადიდებელმა კაცმა, და დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მისი ნეშტი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლო ცამ თავისი ნამი ცრემლად ადინოს, მისმა სამშობლომ დედამიწამ გული გადაიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს, მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად.

მართალია, ეს მოგვიხდა ორმოც-და-შვიდს წელიწადს შემდეგ, და იქნებ სთქვან, გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოც-და-შვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია".

ხალხის ქვითინმა ილიას სიტყვა შეაწყვეტინა. ისედაც აღელვებულ კაცს გრძნობა მოეძალა. გაჩუმდა. ხალხისთვის არ შეუხედავს, ცერად გაიხედა, იქვე მახლობლად ნიკო ნიკოლაძე იდგა თავის ათიოდე წლის რუსუდანით. გოგონა ილიას მისჩერებოდა დიდი წყლიანი თვალებით.

ქალებმა თვალი შეიმშრალეს, რადგან ილია დუმდა, ხალხს კი მისი სიტყვის გაგონება ეწადა.

როგორც კი დუმილი ჩამოწვა, ილიამ ისევ ხმადაბლა განაგრძო:

„— ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერებაზე გვიანია, არც რაიმე ადრე. ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენლობა მთელის საქართველოსი, მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერი ამაღლებულია სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჰკუაგახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის ესე ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდბუნებოვან კაცისა.

დიდბუნებოვანი იყო იგი, ვის სამარესაც გარს ვარტყივართ დღეს, და აკი იწინასწარმეტყველა კიდეც:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება...

და დარჩა კიდეც. ეგ გზა უვალი თვითეულ ქართველის გულია, საცა მისმა მერანმა ღრმად ჩააჭდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი. ვაპირობთ აქ ძეგლის დადგმას; ხოლო რა დასადარია ხელთ-ქმნილი ძეგლი, თუნდ დიდფასიანი, იმ ხელთუქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა დიდბუნებოვანობამ ჩვენ გულში აღაგო.

მე არ ვეტყვი საუკუნოდ ხსენებას, იმიტომ, რომ თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია.

„სატრფოს ცრემლის წილ დამეცემა ციურნი ცვარნი და ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად სვავნი მყივარნი მივალალებენო". აღსრულდა წინასწარმეტყველება მისი მაშინ, და დღეს კი მტვერს, მის ნეშტს, მის კუბოს, მის საფლავს დასტირიან მისი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა, და ამათს ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი".

ილია დადუმდა თუ არა, ხალხს ისევ აღმოხდა ქვითინი. იცრემლებოდნენ მაშინაც, როცა სიტყვა ნინო ორბელიანს მისცეს. მაგრამ ვიდრე ქალი რამეს იტყოდა, კუბოსთან ჩაიჩოქა და ველარ წამოდგა, მაშინ აკაკიმ შეაშველა ხელი. ნინოს სიტყვა იმდენად მგრძნობიარე იყო — ცრემლი უფრო მეტი ჩანდა, ვიდრე სათქმელი, მაგრამ ქალმა მაინც შეძლო ღირსეულად გამომშვიდობებოდა სამარისაკენ მიმავალ გზაზე მეორედ დამდგარ ჭაბუკს...

ნიკოლოზ ბარათაშვილს მშობლიური მიწის გაჭრილი გული ელოდა...

ილიას სიტყვების შემდეგ მწუხარების შავი ღრუბელი უფრო ჩამოწვა. ორატორები ორა-

ტორებს ცვლიდნენ, მაგრამ ვიდრე აკაკი არ გამოვიდა სევდის ღრუბელი უფრო დაბლა და დაბლა ეშვებოდა...

სიტყვას მაგიური ძალა აქვს. მით უმეტეს ახლა, ორატორები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი გულისტკივილი გამოეხატათ. ამან გული დაუმძიმა ხალხს. თუ აქამდე სამგლოვიარო პროცესიას ეროვნული სიამაყის გამომხატველი საზეიმო განწყობილება ახლდა, ახლა ყველა მხოლოდ სევდამ მოიცვა...

აცრემლებული ხალხი გაისუსა, როცა კუბოსთან წინ წამოდგა აკაკი წერეთელი და თავი მაღლა შემართა. მხოლოდ ცოტა ხანს იდგა ასე მდუმარედ. სხვა ორატორებივით მღელვარება არ ემჩნეოდა. მისმა ოლიმპიურმა სიმშვიდემ გააქვავა იქ მყოფნი. მხოლოდ ბაგე შეერხა, თითქოს ჯერ ნიავმა ჩამოიქროლა, შემდეგ აჟვირთდა და ხალხს კიდით კიდემდე მგზნებარედ გადაუქროლა:

— მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი
ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო
ვაცხოველო;
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა
მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა
ფრინველნი
და ვარდნი.

აკაკიმ ბარათაშვილის სიტყვებით უცებ გაჰფანტა ჰაბუკი მგოსნის კუბოზე დაწოლილი მიწიერი სევდა და კაეშანი, გაჰფანტა ნისლი მწუხარებისა, ყველას მზიანი იმედით აუვსო გული და ხალხს დაუბრუნა ისევ ის საზეიმო მამულიშვილური სიამაყის გრძნობა...

აკაკის ხმამ გაფანტა ნისლი მწუხარებისა:

— ეს ადგილი არის მხოლოდ ნიშანი, სადაც ამიერიდან უნდა დაესვენოს ეს ჩვენი მნათობი, რომ მთელ საქართველოს სხივი მფინოს!

წერეთელი სიტყვას განაგრძობდა, როცა ქალიშვილმა ამ დროს კუბო თავთავებიანი ოქროს გვირგვინით შეამკო. ისინი განზე გადგნენ. აკაკი წამით დადუმდა, ოქროს გვირგვინს დახედა და თავისი სიტყვა ამრიგად დაასრულა:

— მოვსულვართ იმერეთით, რომ ნიშნად სამარადისო ძმობისა და განუყრელი ერთობისა დავადგათ გვირგვინი ბარათაშვილის კუბოს, გვირგვინი შეკონილი პურის თავთავისაგან, საგულისხმოდ იმისა, რომ მგოსანი იყო უპირველესი მთესველი გონებრივი ნაყოფისა, არამარტო ერთის კუთხისა — მთელი საქართველოსი. ნაყოფიერი იყოს ეს ხორბალი, როგორც დღემდე, ისე ამიერიდანაც, რომელთანაც ერთად დაუვიწყარი იქნება სახსენებელი ნიკოლოზ ბარათაშვილისა...

როცა კუბოს სამარეში უშვებდნენ, სოლომონს რკინიგზიდან ორთქლმავლის გაბმული საყვირის ხმა მოესმა. გულმა გაჰკრა, სიხარულმა აიტაცა. ათას ორთქლმავალში გამოარჩევდა თავისი მანქანის ხმას, როგორც დედა თავის შვილისას... ერთ ორთქლმავალს მეორე აჰყვა, მეორეს მესამე...

— ყოჩაღ, კაკო! ყოჩაღ, მამედ! თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო!

ორთქლმავლები გაბმულად გაჰყვიროდნენ და ზეცის თაღს მაღლა სწევდნენ.

კუბო სამარეში ჩაუშვეს.

...მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო სამარადისო განსასვენებელი, ყარიბ მგოსანს ვიდევ ერთი გზის გავლა ეწერა ორმოცდახუთი წლის შემდეგ... კიდევ ერთხელ უნდა ამოსულიყო იგი მიწიდან, კიდევ ერთხელ შეეხედა მზისათვის და მთაწმინდაზე დამკვიდრებულიყო მისი სამუდამო სასუფეველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარლენ კორალოვი

# გუდაუთა—1. ვეტერანები...

(მემუარები ცხელ კვალზე)

12 საათია. წინასწარ შევემზადე წინააღმდეგობის გასაწევად თუ კი გეგმა კვლავ ჩაიფუშებოდა და ამგვარი განწყობილებით შევედი პავლე ხაკეს ძის ღია კაბინეტში.

— თქვენ ჩაის ფაბრიკაში გელოდებიან — შემომაგება ჩემმა მასპინძელმა და განმკარგულებელმა და არც თუ უსაფუძვლოდ — ჩაის განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ეკონომიკაში, ქვეყნის ყოველდღიურ მენიუში და ნარკვევის წერისას მას გვერდს ვერ ავუქცევდი. რასაც ჩრდილოეთში ამბობენ ცენტრში და აღმოსავლეთშიც კარგად იციან: „ჩაის თუ არ დალევ, ვერ წაიმუშავებ“. დღეს ჩაიზე უფრო და უფრო დამოკიდებული რესპუბლიკის ნაციონალური პრესტიჟი, როგორც ადრე ვაზზე იყო. თუმცა ნარკვევისათვის რაიმე აღმოჩენას ფაბრიკაში არ მოველოდი. ბოლო დროს ჩაიზე არსებულმა მასალათა ნაკადმა პირდაპირ წალეკა საგაზეთო სვეტები. ვრცლად მოხეთქილ აღნიშნულ ნაკადს საჭიროა რამდენიმე გუდაუთურიც დაემატოს — ვმსჯელობდი გზად — მაგრამ ჩემს მიერ დამატებული ჩაი მკითხველს, საეჭვოა, რომ გემრიელი მოეჩვენოს. ჩემთვისაც მოსაწყენი იქნება ნათქვამის გამეორება და ნარკვევის შეზავება გამორჩენის მიზნით. დღეს ვისთვის არაა ნათელი, რომ რაოდენობასთან საჭიროა ხარისხის ამაღლებაც, ხოლო რაოდენობას გამოკიდება ადაბლებს ხარისხს?

ფაბრიკა ქალაქთან ახლოს მდებარეობდა. იგი თეთრი, საკმაოდ მოვლილი შენობა აღმოჩნდა. ეზოში სიჩუმე და ხალხის სიმცირეა. საწარმოო ფუსფუსი კორპუსშიც არ შეიმჩნევა. სეზონის ბოლოა! დირექტორი, შოთა ვარლამის ძე ფორჩხიძე საშუალო ასაკის ხრული კაცია. იგი ადასტურებს, რომ ავრალი უკან დარჩა და დადგა დრო მშვიდი ბაასისთვის. ტექნოლოგია? თავს განსაკუთრებით ვერ მოიწონებს, მაგრამ არც შერცხვება. თუმცა, ინებეთ, თავად დარწმუნდით. ფაბრიკის მთავარ ინჟინერს ილარიონ ბაგრატის ძე აჟიბას საამქროში შევყავართ. ძველი ტიპის ნაცვლად ექვსი თანამედროვე დაზგა მუშაობს, რომელთაც მწარმოებლურობა 15 პროცენტით გაზარდეს და იმავე დროს გააუმჯობესეს ჩაის ხარისხი. შესაბამისად შაურით გაიზარდა ანაზღაურება.

— ნუ გეღიმებათ, ყოველ კილოგრამზე შაური — ეს ფაბრიკისათვის ცოტა როდია...

ახალმა როლერებმა სამუშაო ძალის საჭიროება შეამცირეს. ადრე საამქროში სამუშაოდ ყოველ ცვლაში ცხრამეტი კაცი გადიოდა, ამჟამად თორმეტიც საკმარისია, მაგრამ რეკონსტრუქცია სულ ახალი დაწყებულია, წინ მრავალი ამოცანა და უფრო მეტი იმედია, ბათუმიდან შემოიტანენ უფრო მძლავრ საშრობ ღუმელებს, ამჟამინდელებს თავისი ჟავლი გაუვიდა. ფაბრიკას რომ ორი დასაფასოებელი ავტომატი გააჩნდეს, საჭირო აღარ გახდებოდა საამისოდ ჩაის თბილისში, როსტოვსა და ოჩამჩირეში ტარება, ეკონომია მილიონს შეადგენდა.

დირექტორი და მთავარი ინჟინერი ჩაის გადამუშავების მთელ ციკლს წარმოადგენენ — ნედლეულის შეტანიდან ფაბრიკატის მიღებამდე. საუბარი აუჩქარებლად მიმდინარეობს. ამჟამად შესვენებაა, სულის მოთქმის პერიოდი; ზამთარში მუშახელის რაოდენობა ნახევრდება: 280 კაცის ნაცვლად 140 იმუშავებს. ეს მუდმივი კონტიგენტია, დანარჩენს ზაფხულის სეზონისათვის იყვანენ.

— ბატონო შოთა, ამ სეზონზე რამდენჯერ იყავით ზღვაზე?

გაეცინა. ჩაფიქრდა

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 9.

— ერთხელ და ისიც ძლივს მოვახერხე.

— თქვენ, ილარიონ ბაგრატის ძევ? პასუხად ისევ დამნაშავის ღიმილი — იმდენი სიძნელეა, საზრუნავს ვერ აუხვალო.

სიძნელეს ქმნის ტარის უკმარისობა, ერთი ომია ცელოფანზეც (შემოაქვთ ფინეთიდან). სიძნელეა, როცა 25000 მანეთის ღირებულების ავტომატური დანადგარი, თუნდაც მცირე ხნით ფერხდება, როცა არმიიდან დაბრუნებული ჯანღონით სავსე ჭაბუკი სანაპიროზე ხეტიალს ამჯობინებს და მაშველის ადგილს დაეძებს, თუნდაც სხვა რომელიმეს, ვითომ პრესტიჟულს... საქმეს ისიც ართულებს, რომ გაზრდილ კრეფას რომ თავი გაართვა, კიდევ ერთი 5000 ტონის სიმძლავრის ფაბრიკა, ასევე მიკროფაბრიკები და ჩაის ნაწილ-ნაწილ მისაწონის საჭიროება იქმნება. ეს სიძნელე კი არც თუ წვრილმანი ხასიათისა გახლავთ. ხომ მართალია?

მართალია. მაგრამ წუწუნი მაინც ცოდვად ჩაითვლება. პროდუქციაზე განუსაზღვრელი მოთხოვნებია. ძირითადი ნედლეულით რაიონი უზრუნველყოფს. ზღვა ხელის გაწვდენაზეა... იმუშავე მონდომებით და გაიხარე—ასე არაა? ძალიან დაიღლები? გაცურე, იყურყუმელავე.

— ყველაფერი აგრეა, — მეთანხმება შოთა ვლადიმერის ძე; დაღლილობა ეტყობა.

რატომ ვეკამათო? მას სხვა ამოცანა აქვს. სტუმარი რომელიმე მუშასთან გასაუბრებას ხომ არ ისურვებდა? წამობრძანდით. შევდივართ კარადებითა და მაგიდებით გაწყობილ მაღალჭერიან ვრცელ და ნათელ ოთახში. მაგრამ ეს არც კანტორაა და არც საწყობი, ლაბორატორიაა, რომელიც როგორც მაშინვე გაირკვა, საჭირო წუთებში თურმე სასტუმროდაც შეუძლიათ გამოიყენონ. აქ მუშაობს ბელა ანტონის ასული ჭკადუა, დეგუსტერი, ანუ სხვა სიტყვებით — ჩაის ოსტატი, რომელიც ტექნიკური კონტროლის განყოფილებას განასახიერებს. ჩემთან სასაუბროდ აქვე მოიპატიჟეს მუშები — ალექსანდრა ივანეს ასული კურდიუკოვა და ევგენია სოლომონის ასული კილასონია. შემდეგ ნატალია ივანეს ასული ფილია — საროლერო საამქროდან. რატომ მარტო ქალები? იმიტომ, რომ ქარხანაში უმრავლესობას ქალები შეადგენენ. გაცნობა ხეირიანად ვერ მოვასწარი, რომ მაგიდას თეთრი სუფრა გადაეფარა, სწრაფად ჩამოირიგდა წინასწარ მომზადებული კოვზები, დანები. თუხთუხებს ჩაიდანი, თითქოს ისიც ჩქარობდეს სტუმრის გამასპინძლებას.

— კარგად დაგიმუშავებიათ ოპერაცია — წამოვიძახე — აი, ნარკვევიც რომ ამ ტემპით იწერებოდეს!

ან კი როგორ არ დაამუშავებდნენ ჩაის მასპინძლობის რიტუალს, როცა, როგორც გაირკვა ფაბრიკის მონახულება ტურისტულ მარშრუტებში ყოფილა შეტანილი. სეზონის განმავლობაში თითქმის ყოველდღე მოდიან აქ ავტობუსები თავისი ექსკურსანტებით: ავსტრიიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ყველა მოძმე თუ საბჭოთა რესპუბლიკიდან...

— წარმოიდგენია, უკვე რამდენჯერ მოგიწევდათ პასუხის გაცემა იმ შეკითხვებზე, მე რომ უნდა მოგცეთ. სხვათაშორის, საინტერესოა, უფრო მეტად რა შეკითხვებს იძლევიან ტურისტები: წარმოებაზე, ჩაიზე თუ ცხოვრების პირობებზე? სრულიად დასაშვებია, რომ ტურისტს მეტად ჰქონდეს თვალი გამახვილებული, ვიდრე კორესპონდენტებს.

— სოციალისტური ქვეყნებიდან მოსულ ტურისტებს უფრო მეტად სამრეწველო საკითხები აინტერესებთ, მაგრამ, აი, კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლები კი სოციალური საკითხებით უფრო ინტერესდებიან.

— მაშ, რაკი საზღვარგარეთელი ტურისტებისათვისაც გაგინდიათ, მკითხველ თანამემამულეებსაც მოუყევით თქვენს შესახებ, როგორ ცხოვრობთ?

ჩემის მხრივ ეს მეტად ჩვეულებრივი, მაგრამ არც თუ უბრალო შეკითხვა იყო. კონკრეტულ პასუხს ითხოვდა. უფასო სადილი სოც.-კულტურული ღონისძიებების ფონდიდან ანაზღაურდება. ამას გარდა საკუთარი ბუფეტი, სასადილო, მაღაზია, საბავშვო ბაღი. გაჭირვებას განიცდიან საბინაო საკითხში, თუმცა, სად გინახავთ, ზღვისპირა საკურორტო ქალაქი ანდა დასახლება საცხოვრებელი ფართობის დეფიციტის გარეშე? მაგრამ აქ კადრის მშრომელები ბინებით უზრუნველყოფილნი არიან. ნატალია ივანეს ასული ფილია გმირი დედაა — ხუთი შვილი ჰყავს, ქმარი — მშენებელია. აქვთ ოთხოთახიანი ბინა. ალექსანდრა ივანეს ასული კურდიუკოვა 1952 წელს ჩამოვიდა დონბასიდან, ომის დროს და-ძმებს ედგა მხარში, ასე დარჩა მარტოხელა, ოთხოთახიანი არც ერგება. ავითაა თუ კარგით, თავზე ჭერი ყველა „საკადროს" ხურავს. დროებითებს საერთო საცხოვრებელში აქვთ მიჩენილი ადგილი.

ჩემი მოსაუბრეთაგან ცხოვრებას არავინ ემდურის. იმიტომ კი არა, რომ დირექტორმა მოიპატიჟა თუ გამოიძახა შესანიშნავ ფინჯან ყავაზე საბაასოდ, ქალებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ მოსკოველ თუ თბილისელ ჟურნალისტებთან რაიმეზე დაჩივლება უაზროა და უსარგებლო; ჟურნალისტი თავისი ბლოკნოტით შინ წავა, თავისიანები კი ადგილზე დარჩებიან. არც იმაში იყო საქმე, რომ საამქროდან ლაბორატორიაში მხოლოდ ის მუშაქალები გამოიძახეს, რომლებიც განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდნენ. არავითარი „სპეცშერჩევა" არ მომხდარა, არავინ არაფერს მალავდა და არც ეჭვებში შეჰყავდა. ეს ცხოვრებისაგან დაბრძენებული ქალები სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს ლაპარაკობდნენ. არ ჩიოდნენ, ვფიქრობ, იმიტომაც, რომ ჩემს თა-

ნამოსაუბრეებს ჰქონდათ ისტორიულად შემოწმებული გათვლის წერტილი. შეიგრძნეს და შეიგნეს, რომ თუკი ამ ქვეყნად გეცხოვრება, ჭერი და სხვა რამ მეორე და მეხუთე პლანზე ინაცვლებს... მაგრამ ეს არ იყო სრული სიმართლე, როგორც ადრე, ორმოცდახუთი წლის წინ, სარწმუნო და ერთდროულად ურწმუნო, სასოწარკვეთილი უაზრო ფორმულა რომ ლაღადებდა — „ომი ყველაფერს ჩამოწერსო", ამჟამადაც ასევე ვფიქრობ, სრულიად შეშფოთებული — „ოღონდაც მშვიდობა იყოს-მეთქი..." — ცხოვრებისაგან დაბრძენებული მუშაქალები საუბრობდნენ საქმის არსიდან გამომდინარე მშვიდობიანი დღეების სადაგ არც თუ უბრალო მნიშვნელოვან პრობლემებზე.

მაგალითად, ფაბრიკაში საშუალო ხელფასი პრემიებითურთ ორას მანეთს შეადგენს. გახურებულ სეზონში მისი რაოდენობა 350 მანეთამდე აღწევს... აქ მოდით, ცოტა უკან დავიხიოთ. საქმეა, რომ საზღვარგარეთელ ჟურნალისტს თავში მოუვიდეს თანამშრომელთა ხელფასის რაიმე ფორმით გამორკვევა. დასავლეთში, ჩვეულებრივ, ერთმა არ იცის, თუ როგორ უნაზღაურებენ მეორეს, მის გვერდით მომუშავეს. გამომუშავებული ყოველკვირეული თანხა კონვერტით გადაეცემა მის მფლობელს. ანაზღაურების რაოდენობა — ფირმისა და კონვერტის მიმღების საიდუმლოებად რჩება. თანხა ჭირვეულია, ულმობელი საზღვრები აქვს და „ჭერი" არ გააჩნია. ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნა შემთხვევით გარემოებებზე უფრო დამოკიდებული. გუდაუთის ჩაის ფაბრიკაში კი კონკურენცია არ არსებობს. სეზონზე მწვავედ დგება სამუშაო ძალის მოთხოვნა, სეზონშორის და წლის ნებისმიერ კვარტალში მოქმედებს მტკიცედ დადგენილი საშტატო ცხრილი თანდართულ ხელფასთა ბადით, განაკვეთთა რაოდენობით.

ვიმეღოვნებ, რომ არც ფაბრიკის დირექტორი და არც მთავარი ტექნოლოგი, ინჟინერი თუ ლაბორანტები ეჭვს არ შეიტანენ სტუმარში, რომ იგი სხვის ჯიბეში თვალის ჩაპარების უტაქტო სურვილით გამოცხადდა მათთან. პრობლემა საერთოა, გუდაუთისა იქნება თუ მოსკოვისა, უკავშირდება ჩაისაც და ქვანახშირსაც. ეს ჟურნალისტს ისევე ეხება, როგორც საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს.

რატომ უტოლდება ფაბრიკის დირექტორის ხელფასი საშუალო მუშის შრომის ანაზღაურებას, ხოლო მთავარი ინჟინრის განაკვეთი — 165 მანეთი რატომ შეადგენს მოწინავე მუშის ნახევარ გამომუშავებას? თუკი დირექტორი სარგებლობს არავისგან ბოძებული, მაგრამ სრულიად რეალური პრივილეგიით, არღვევს მრავალგზის გამოცხადებულ ეთიკურ კოდექსს, სარგებლობს, ვთქვათ, — სამომსახურებო მანქანით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კიდევ იმის გარკვევაა საჭირო, სად იმალება საერთო სიკეთისადმი გულგრილობა, სად ცოცხლობს საქმიანი აუცილებლობა.

რატომ ღებულობს ფაბრიკის დირექტორი 110 მანეთს, ხოლო ოჯახის წევრები, ვთქვათ, მკრეფავები, კოლმეურნეობის მექანიზატორები პლანტაციაში ზოგჯერ ათმაგს და ფაბრიკის დირექტორის ხელფასთან შედარებით ხუთჯერ მეტსაც გამოიმუშავებენ? დისპროპორციები თვალსაჩინოა, რაღაცა ზომით, რა თქმა უნდა, გამართლებული, მაგრამ საკუთრივ რომელით? დისჰარმონია, ვთქვათ, საკურორტო-საბაზრო, რესტორნებისა და ფაბრიკის ფასებით — თვალნათელია. ამის დადასტურება სულ ადვილია, ვინაიდან ჩვენს გარშემო, ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. ორგანიზატორული, საინჟინრო-ტექნიკური აზროვნების შეუფასებლობა თვალს ჭრის.

დიახ, გარდაქმნა დაიწყო. დიახ, უკვე ასჯერ ითქვა, რომ იგი არ მიმდინარეობს იმ სისწრაფით, რაც აუცილებელია შემოქმედებითი საწყისის ჭეშმარიტი მნიშვნელობის ღირსების მიხედვით დასაფასებლად საზოგადოებრივ განვითარებაში...

როცა ამ უტაქტო თემაზე წამოიჭრება საუბარი, ჩვეულებრივ გვესმის ხოლმე: „ყველაფერი ერთბაშად როდი ხდება", „ძნელი მომენტი". ვეთანხმებით, რომ ყველაფერი მართლაც ერთი ხელის დაკვრით არ ხდება და რამდენადაც მახსოვს, იოლი მომენტები არც ყოფილა. ამიტომ მომინდა ადგილზევე, ლაბორატორიიდან გამოუსვლელად დამეანგარიშებინა, არსებობს თუ არა მოძველებულ „ბადეში" შესწორების შეტანის შესაძლებლობა.

ფანქრით ხელში გამოვთვალე: ჩაის მოყვანის თვითღირებულება კილოგრამებში — დაახლოებით, 50 კაპიკს უდრის. ფაბრიკა მიმწოდებელს კი — 90 კაპიკს უხდის — დამოკიდებულია ხარისხზე. ვთქვათ, საშუალოდ ავიღოთ — 75 კაპიკი. შესაბამისად კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის შემოსავალი ყოველ კილოგრამზე 25 კაპიკია. მაგრამ ამ შემთხვევაში არც ერთი გვაინტერესებს და არც მეორე, არამედ — ფაბრიკა. ოთხი კილოგრამი ნედლეული ერთ კილოგრამ მზა პროდუქციას იძლევა. გადავამრავლოთ და დავუმატოთ ტარაზე დარიცხული სამი მანეთი, ხელფასი და სხვადასხვა. კილოგრამის თვითღირებულება და მოგვცემს 3 მანეთსა და 70 კაპიკს... მაშინ, როცა გასაყიდი ფასი 4 მანეთი და 80 კაპიკია. მაშ ასე, ყოველ კილოგრამზე ფაბრიკას აქვს არანაკლებ ერთი მანეთის მოგება. წინასწარი შედეგი იბადება, მაგრამ, მოდით, ბოლომდე მივყვეთ გამოთვლებს: ჩაის საწონ ფაბრიკას დანაკარგი შედარებით მცირე აქვს: შეფუთვა, საამორტიზაციო დარიცხვა და ა. შ. კიდევ 40 კაპიკი, სულ — 5 მანეთი და 20 კაპიკი გახდა. მაგრამ, კილოგრამი ჩაი სხვადასხვა გაყიდვაში განსხვავებული ხარის-

ხისა და სარტყელების გათვალისწინებით არამც და არამც 6 მანეთზე ნაკლებს არ შეადგენს; გაცილებით მეტს — 8-9 მანეთსაც აღწევს. აღნიშნული გაანგარიშებიდან არ გამოვრიცხავთ სატრანსპორტო-სავაჭრო ხარჯებს, შევჩერდებით სახელმწიფო მოგების ზღვრულ მოკრძალებულ ციფრზე: ერთი მანეთი — კილოგრამზე.

ჩვენი შრომითი ჰიპოტეზისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ღებულობს ამ მანეთს: საქართველოს ამჟამინდელი „აგრომრეწვი" თუ ყოფილი ტრესტი — „ჩაიმრეწვი". ყველაზე უხეში, მაგრამ, ვფიქრობ, ამასთან ფხიზელი დანაწილება გვარწმუნებს: რესპუბლიკის „აგრომრეწვი" იქნება, ზოგადსაკავშირო ტრესტი თუ რაიონული ფაბრიკა — ყოველ ამ ფორმათაგანს აქვს ეკონომიკური შესაძლებლობა, რომ გულუხვობა გამოიჩინოს. თუკი ფაბრიკას მილიონობით შემოსავალი აქვს, საკითხავია, მისი ხელმძღვანელობა რატომ უნდა იჯდეს ხელფასზე, რატომ უნდა კარგავდეს მატერიალურ და მორალურ დადასტურებას?

საუბარი, მხოლოდ ერთს, შოთა ვარლამის ძე ფორჩხიძეს ეხება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მასზე ვიმსჯელოთ. დირექტორად მუშაობის ათი წელი, ფაბრიკაში მუშაობის — ოცი, საპატიო ნიშნის ორდენი, ხუთწლედის შედეგების მიხედვით და ხელფასი მხოლოდ ორი ასეული მანეთი?

დიდად ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული მონაცემები სწრაფად მოძველდება. თუკი გუდაუთის რაიონულ აგრო-სამრეწველო კომპლექსს პირველ ხანებში არ შესწევს ღონე შეექმნა თავისი „ბადე", ამჟამად, როცა გადაწყვეტილია საწარმოების უფლებამოსილება, როცა გუდაუთური და სოხუმური „აგრომრეწვისაგან" ელიან ინიციატივას, როცა არნახული დამოუკიდებლობა მოიპოვა დედაქალაქის თბილისის „აგრომრეწვმა", მაშინ რაღამ უნდა დააბრკოლოს მომწიფებული და გადამწიფებული ამოცანების დროული გადაწყვეტა?

მეორე სართულზე სოლიდური კანტორაა; მეოთხედი საათით იგვიანებს ოდნავ სრული, საშუალო სიმაღლის, ასე, შუახნის, ღია ფერის კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი.

ივანე ხაშიმის ძე ტარკილთან საუბარი იოლი და სასიამოვნოა, სიტყვას მაერშივე იჭერს. იგრძნობა, რომ შენ არ ხარ პირველი ვიზიტიორი, ინტერვიუს მიცემა მისთვის ჩვეული საქმეა, სტილი დამუშავებული. საუბრის დროს ქალი შემოვიდა ქაღალდით ხელში, ტარკილმა იგი მამის სახელის გარეშე წარმომიდგინა — ნელი, ეკონომისტი — მას ქათქათა კოფთა, შავი ქვედაბოლო აცვია.

ივანე ხაშიმის ძე განათლებით ისტორიკოსია. სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაუმთავრებია. პირველ ხანებში მასწავლებლობდა, შემდეგ მუშაობდა დურიფშის საშუალო სკოლის დირექტორად. მოგვიანებით მშობლიური სოფლიდან გუდაუთაში გადავიდა, შემდგომ — გაგრაში. სათავეში ედგა სახალხო განათლების განყოფილებას. ბოლოს თანასოფლელებმა თავმჯდომარედ აირჩიეს. — მითხრეს: ახლა ამ მაგიდასთან წაიმუშავე — ტარკილმა საწერ მაგიდაზე დააკაკუნა — საქმე არც აქ გამოგელევათ.

— არა მგონია განათლების განყოფილების გამგის თანამდებობა თავმჯდომარეობაზე ნაკლები იყოს. ხშირად გაცილებით მეტიცაა. დაქვეითებამ არ შეგაშინათ?

— კაცმა არ იცის, რა უფრო მაღლაა და რა დაბლა. ეს არც გამივარაუდებია — მპასუხობს ტარკილი, ჩვენ, თავმჯდომარეებს, თქვენ, მწერლებსა და მეგაზეთეებს ერთი ამოცანა აქვს ყველას — კარგი მუშაობა. როგორ გგონიათ, თუ საქმეს ჩავაგდებ, უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ამირჩევენ?

დურიფშში ყოფილან ხო-ში-მინი და ფიდელ კასტრო, ჟორჟ მარშე და იარუზელსკი... განათლების რაიონული განყოფილებისათვის როდი მოუკითხავთ ყველა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს. ჩანს, დურიფშის კოლმეურნეობა როდი ჩამორჩება განათლების განყოფილებას.

მდიდარი კოლმეურნეობა უნდა იყოს ერთი შეხედვით — ძალიან მდიდარი.

კოლმეურნეობას მალე ნახევარი საუკუნე შეუსრულდება, ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლების ნახევრიდან მისდევენ აქ ჩაის მოყვანას.

— კეთილდღეობის წყარო ამ კულტურის მომგებიანობაშია?

შრომაში. ჩაი შრომატევადი კულტურაა. დიახ, სხვებთან შედარებით მომგებიანია. მაგრამ, რაკი დაანგარიშება გადაგიწყვეტიათ ყველაფერი უნდა ჩახვიდეთ ანგარიშში: შემოსავალ-გასავალი, გაღებული მსხვერპლი. როგორ ფიქრობთ, დურიფშს ომი რად დაუჯდა? ფრონტზე 892 კაცი წავიდა, სოფელს კი 127 დაუბრუნდა. მართალია, მას შემდეგ ორმოცმა წელმა ჩაიარა, მაგრამ ეს ახალგაზრდებისათვისაა ხანგრძლივი პერიოდი, ჩვენი თაობისათვის მხოლოდ გუშინდელი დღეა.

— მომწონს, რომ ამჟამად ისტორიკოსთან მიხდება საუბარი. როგორც ისტორიკოსმა შეადარეთ, რითი განსხვავდება თქვენი საქმიანობა სამოციანი წლებისაგან?

— ამაზე უცებ ვერ ვუპასუხებ. დაფიქრება უნდა. მთავარი თუ გნებავთ, კრიტერიუმების შეცვლაა. ოდესღაც რამდენიმე კილომეტრი გზის მოსწორება ადვილი საქმე არ გახლდათ, ამიტომ წარმოუდგენელ ბედნიერებად ითვლებოდა. დღეს კი მხოლოდ შეხრეშვა აღარ გვაკმაყოფილებს. ამხანაგებო, — ვეუბნებით მშენებლებს — შეეცადეთ, რომ ასფალტირებული იყოს. მილიონი? რაზეა ლაპარაკი!..

ჩემის აზრით, ასევე შეიცვალა მიდგომა კოლმეურნეობის წევრებისა ცხოვრებისადმი.

სახლი, ავეჯი, ჭურჭელი, ტელევიზორი — დღეს ამაზე საუბარი აღარაა. არის ოჯახები, სადაც ყველა ძმა საკუთარი მანქანის პრეტენდენტია, თუკი გადაწყვეტენ, რომ ბავშვებს მუსიკა შეასწავლონ, „საქართველო" უკვე აღარ აწყობთ, იმპორტულ ინსტრუმენტს ეძებენ. ადრე მოსახლეობისათვის პრობლემათა პრობლემას წყალი წარმოადგენდა. აბა, სცადე წყლის ზიდვა წყაროებიდან მთის ბილიკებით! წყალი ახლაც პრობლემაა, ონკანების საჭიროებაა ცალკეულ სამზარეულოებში, მაშინ გვერდით აბაზანასაც მიაშენებ. წინათ თუ სოფელს ერთი ფერშალი ჰყოფნიდა და ყველა დაავადებას ის ერთი კურნავდა, ახლა საკუთარი სამოცკაციანი საავადმყოფოც გვეპატარავება. ხალხი მზადაა წავიდეს მოსკოვში, ლენინგრადში, ითხოვენ პროფესორს. სხვათაშორის, მე ამაში ცუდს არაფერს ვხედავ, არც არაფერია უცნაური. სოფლიდან ორასი კაცია უმაღლესი განათლებით. მათი ნახევარი აქვე, სოფელში მუშაობს. აღარას ვამბობთ იმათზე, ვინც ამჟამად სწავლობს და ჩვენს სტიპენდიას ღებულობს. მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება — კოლმეურნეობას სპეციალისტები ესაჭიროება.

— ახლა ერთი შეკითხვა ისტორიკოს-ფუტუროლოგს: როგორია თქვენი გეგმები უახლოესი მომავლისათვის?

—უფრო ადვილი შეკითხვა მაინც მოგეცათ. საქმე იმაშია, რომ ვერ ვასწრებთ დაგროვილი სახსრების ათვისებას. შესაძლებლობები მოთხოვნილებების ზომას აღემატება.

— რაში მდგომარეობს ყოველივე ამის მიზეზი? განვითარების დისპროპორციაში? მოსახლეობას სურს ქალაქის ყველა სიკეთეს დაეუფლოს.

— ქალაქსა და სოფელს შორის, ასევე ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის განსხვავების მოსპობა საკითხთა საკითხად რჩება. ამისი განხორციელების გზაზე გასათვალისწინებელია ამჟამინდელი საგანგებო სირთულეები. განსხვავება იმდაგვარად უნდა წაიშალოს, რომ სოფელმა სოფლური ცხოვრების მადლი არ დაკარგოს, გულღიაობა, მიწასთან და ერთმანეთთან სიახლოვე.

— სხვა სიტყვებით, — ზნეობრივი საწყისები, ეროვნული თვითმყოფადობა? თუ სწორად გავიგეთ, ხალხმა რომ კარგად იცხოვროს, იშრომოს, შეძლებასთან ერთად ფსიქოლოგიური შეწონასწორებაცაა საჭირო. ასეა, არა?

ივანე ხაშიმის ძემ საწერი მაგიდის უჯრიდან მცირედი ფორმატის მოცისფრო წიგნი ამოიღო. შ. დ. ინალ-იფა. „დურიფში".

— ამ წიგნში სოფლის ისტორიას გაეცნობით, ეთნოგრაფიულ ცნობებსაც. ვიმედოვნებ, აქ სწორედ ისაა, რაც თქვენ გაინტერესებთ.

— გმადლობთ. ამ საღამოსვე გავეცნობი. ძალიან საწყენია, თუ ჩვენი აუდიენცია ამით დამთავრდება. გზადაგზა წამოიჭრა დამატებითი და სრულიად კონკრეტული საკითხები. წაგართვათ კიდევ ხუთიოდე წუთი?

— სიამოვნებით! ოცდახუთი იუ[illegible] ლისით დამეთანხმა თავმჯდომარე, [illegible] ლულად საათს დახედა და შეწუხებულმა რაღაც აწონ-დაწონა.

— რამდენადაც საქმე სოციალურ ჰარმონიას შეეხო, რა ეკონომიკურ საფუძველზე, რომელ სამეურნეო პროპორციებზე დაყრდნობით ცდილობთ ამის მიღწევას?

— გასაგებია. ჩაი იკავებს ჩვენი სავარგულების ნახევარს. დანარჩენ ფართობზე ვთესავთ სიმინდს, ბოსტნეულს; მოგვყავს ხილი. მეტწილად პირადი საჭიროებისათვის. ჩვენ კრედიტებით არ ვსარგებლობთ, დოტაციას არ ვღებულობთ. საკუთარი სახსრებით ვახერხებთ ცხოვრებას. მათი ნახევარი ხელფასზე მიდის, მეორე ნახევრიდან მესამედი განუყოფელ ფონდში იყრის თავს. ამ სახსრებით ვყიდულობთ ტექნიკას; ავაშენეთ ჩაის მიკროფაბრიკები. მეოთხედი ნაწილით წიგნებს ვიძენთ, ვაწყობთ ექსკურსიებს. ერთი სიტყვით, ვზარჯავთ სოცკულტურულ ღონისძიებებზე. მეათედი ნაწილი დაზღვევას, პენსიებს, სადეკრეტო შვებულებებს, ბიულეტენებს, ინვალიდთა დახმარებას, ახლადშეუღლებულთა სესხს (ზოგჯერ უნაცვალგებოდ) ხმარდება. ნაშთი — სარეზერვო ფონდში მიდის (სტიქიური უბედურება, როგორც მოგეხსენებათ, იცის ხოლმე ჩვენთან). ამ სახით შემოსავლის მეორე ნაწილი კვლავ კოლმეურნეებს უბრუნდება. ამიტომაა მეტი დაინტერესება საზოგადოებრივ მეურნეობაში, ვიდრე პირად საკარმიდამოში.

— ჩანს, აქედან იღებს სათავეს ჰარმონიის მატერიალური საფუძველიც. როცა კოლმეურნე საკუთარ საკარმიდამო შემოსავალზეა, პირადულსა და საზოგადოებრივს შორის განხეთქილება გარდუვალია. დურიფშის მთავარი გამარჯვება ეკონომიკურ-პოლიტიკურ-ზნეობრივი ხასიათისაა, საზოგადოებრივი შემოსავლის წილის უპირატესობა ინდივიდუალურთან აშკარაა.

— ოჯახურ ბიუჯეტში?

— ჰო, რა თქმა უნდა... მაგრამ ამ გამარჯვებას თან დამატებითი სიძნელეებიც ახლავს.

— არა მგონია, კოლმეურნეობიდან გარბოდნენ. პირიქით, დურიფშში მოიწევენ ყველა კუთხიდან. დაგჭირდათ თუ არა რამენაირად შეგეზღუდათ მათი მოძალება?

— წესდებით ვალდებულები ვართ, პირველ რიგში, კოლმეურნეთა შვილები მივიღოთ. ასეც ვიქცევით. შესაძლებლობის ფარგლებში მკაცრ შერჩევას ვახდენთ, მაგრამ გარეშეებსაც ვიყვანთ, როცა სპეციალისტი გვჭირდება. გარდა ამისა, დურიფშელ ჭაბუკს შეიძლება „უცხო" ქალიშვილი შეუყვარდეს და შინ ცოლად მოიყვანოს.

— დურიფშის აფხაზურ იერ-სახეში სულ

უფრო და უფრო მეტი ინტერნაციონალური თვისება იჩენს თავს. ქმნის თუ არა ეს ენობრივ პრობლემას?

— არ ქმნის. სოფელში 12 ეროვნება ცხოვრობს, ბუნებრივია, რუსულის გარეშე საერთო ენის გამონახვა გაგვიჭირდებოდა ურთიერთთანაც და სხვა რესპუბლიკებთანაც. ჩვენი კავშირები ფართოა ამა თუ იმ ხარისხით, მაგრამ რუსულ ენას ყველა ფლობს.

— ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ინტერნაციონალიზმი არა მხოლოდ იდეური საფუძველია, არამედ წარმატებების, მეურნეობრივი კეთილდღეობის, კულტურული დონის პრაქტიკული წინაპირობაცაა?

აქ ვწყვეტ დიალოგს. თანამოსაუბრის სავარძლიდან მსმენელის სკამზე ვინაცვლებ და საათის ისრები სხვა წელსა და თვეზე გადამყავს. ივანე ხაშიმის ძის პრესაში გამოქვეყნებული მონოლოგი ხშირად გაცილებით მწვავეა, ვიდრე ჩვენი გუშინწინდელი დიალოგი. აღნიშნულის დოკუმენტურ დადასტურებას წარმოადგენს სტატია — „სარეველები“, რომელიც 1986 წლის 26 აგვისტოს დაიბეჭდა გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“.

სტატიის დასაწყისი აფხაზურ-ტრადიციულია. ტარკილი იმოწმებს შრომის ვეტერანს, 98 წლის მხაზა შუმუმბას, რომელსაც ღია პარტიულ კრებაზე უთქვამს: „ცუდი მეურნის მიწაზე სარეველა ბალახი ღრმად იდგამს ფესვებსო“... ვინაა ის „ცუდი მეურნე“? — ჩაფიქრდა მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ალბათ მხოლოდ ის, რომელიც თავად არღვევს წესრიგს და უდაოდ დამნაშავეა. ან სხვა, რომელიც წესრიგს არ არღვევს, მაგრამ გულგრილად უვლის გვერდს, თვალს არიდებს მიუტევებელ და აშკარა დარღვევებს, ურიგდება მათ! აი, ერთი მათგანი — სისტემატური და მუდმივი:

შემოსავლიანი მეურნეობა, რომელიც ყოფაცხოვრებაზე, კეთილდღეობაზე ზრუნვის საშუალებას იძლევა, მწვავედ აყენებს მოთხოვნას სამშენებლო მასალებზე. მათ მტკიცე სახელმწიფოებრივ ფასებში ვერ იშოვი. აგური, ცემენტი, სადურგლო მასალები, სახურავის რკინა უნდა „მოიპოვო“ და თანაც სამჯერ მეტი გადაიხადო ღირებულებაზე. სამშენებლო-დეფიციტური მასალები მიწის ქვეშიდან გააჩინო, ცხადია, კანონის გვერდის ავლით...

მძღოლებსაც არ სურთ ჩალის ფასად გარისკონ. სხვათა შორის სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სამშენებლო უბანი, რომელიც ცალკეული კოლმეურნეების ან მთლიანად კოლმეურნეობის განცხადებებს მიიღებდა, არც დურიფში და არც მეზობელ სოფლებში არ არსებობს.

სხვა მაგალითი: ალოობის ჟამს, როცა ჭოველი წყვილი მუშახელი აღრიცხვაზეა აყვანილი, მრავალი „ვაიმშრომელი“, მინიმუმი — ერთი შრომადღეც რომ არ გამოუმუშავებია, საკოლმეურნეო მინდვრებში გარჯას საკოლმეურნეო ბაზრებში დგომას ამჯობინებს. ბრიგადირის ცნობას, რომელიც ამჟამად აუცილებელია ბაზარზე ვაჭრობისათვის როგორღაც შოულობენ. ყველას როდი უნდა თანასოფლელებთან ჩხუბი, სახლიკაცების განაწყენება. ამჟამად დურიფშში ამგვარი ცნობის გაცემის უფლება ბრიგადის საბჭოს ენიჭება, რომელიც ბრიგადის ინტერესებს იცავს და მშვენივრად უწყის, ვისთვის რამდენად აუცილებელია ბაზარზე გამგზავრება ამ გაგანია მოსავლის აღების პერიოდში.

მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარის სტატია ცნობების გაცემის წესებს როდი ეხება, არამედ დურიფშის მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, იმ ზნეობრივ საფუძვლებს, რაზედაც უნდა აღიზარდოს მომავალი თაობა.

თუ ოჯახი თავის ნაშიერებში შრომითი შემოსავლისადმი პატივისცემას ნერგავს, დაპირისპირება სასურველსა და შესაძლებელს შორის აღარ იჩენს თავს, ვინაიდან სწორედ ფუფუნებისადმი ლტოლვა, ძვირად ღირებული ავეჯის მოთხოვნილება უბიძგებს ბევრს დანაშაულებრივი მოქმედებისაკენ. ხოლო როცა ახალგაზრდა გოგო-ბიჭების სასაუბრო თემა ტრიალებს ვიდეომაგნიტოფონის, საკუთარი მანქანების, საზღვარგარეთული ტანსაცმლის გარშემო, გული მიგრძნობს, — წერს ივანე ტარკილი — რომ იზრდება, ფეხს იკიდებს სარეველა ერთადერთი მიზნით, რომ რაც შეიძლება მეტი წაგლიჯონ ჯერ მშობლებს, შემდეგ — სახელმწიფოს და საზოგადოებას.

ივანე ტარკილი ამგვარი სარეველებისათვის ნოყიერ ნიადაგს უპირველესად არაშრომითი შემოსავლით მცხოვრებ ოჯახებში ხედავს. ავტორი ტრადიციებს იხსენებს: აფხაზეთში ადრე რამდენიმე ასეული კაცი ერთად არ მიუსხდებოდა საქორწინო სუფრას, არავინ ცდილობდა ძვირადღირებული საჩუქრებით გადაეჭარბებინა და თავი მოეწონებინა მეზობლისათვის. უხეირო მეურნე გზას უხსნის და აქეზებს უპატიოსნოს, სასურველ პირობას უქმნის გაქნილებს, კარგი მეურნე არ დაუშვებს, რომ მის მიწაზე სარეველამ ფეხი მოიკიდოს, ძირშივე ამოძირკვავს მას. „ძირშივე?“ არა მგონია. კარგი პატრონი უფრო სწრაფად შექმნიდა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სამშენებლო უბანს. ისეთს, რომელიც რემონტს ჩაუტარებდა ძველ სახლებს, ააშენებდა ახალს, მარჯვედ შეასრულებდა ნებისმიერ შეკვეთას. აი, სწორედ მაშინ, შეიძლება სარეველებსაც მიეხედ-მოეხედათ და ცოტაოდენი ჭკუა-გონება მოეკრიბათ და შეეგნოთ, რომ ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუ სასარგებლო მცენარეებად იქცეოდნენ, ისეთებად, რომელთაც აფასებენ, ამრავლებენ, გამოჰყავთ და ძირფესვიანად არა სთხრიან.

ნაკლოვანებებთან ბრძოლის, შეწყობის, და-

ქლევის თაობაზე წამოჭრილ კამათს სხვა დროსაც დავუბრუნდებით, ამჟამად კი შეწყვეტილი საუბარი გავაგრძელოთ.

ამდაგვარად მოვილაპარაკეთ: თავმჯდომარე ესტაფეტას პარტკომის მდივანს ანატოლი გუმბას გადასცემდა, თვითონ კი წყალგაყვანილობის მუშაკებთან დაამთავრებდა დაწყებულ საქმეს. მდივანი დამათვალიერებინებდა დურიფშს და გზადაგზა პასუხებს გამცემდა წამოჭრილ საკითხებზე.

მძღოლი უკვე გვიცდიდა. მაგრამ, ბოლო წამებით ვისარგებლე და ვიდრე ტარკილი მანქანასთან მიმაცილებდა, მივეცი მართლაც უკანასკნელი პირადული შეკითხვა, რომელზეც თავმჯდომარის გარდა პასუხს ვერავინ გასცემდა:

— ოცი წელი ამგვარი ტვირთის თრევას რომ გაუძლო, თანაც მთელი მოწადინებით, პირად ცხოვრებაში ალბათ ჰარმონია უნდა გქონდეს დამყარებული. გაგიმართლდათ ამ მხრივ?

— მგონი პირადი პროგრამა უკვე შესრულებული მაქვს. მე და ჩემმა ცოლმა ოთხი შვილი გამოვზარდეთ. სხვათაშორის, ცოლი მასწავლებელია, უცხო ენას ასწავლის. სამი ქალიშვილი უკვე გავათხოვეთ. ვაჟიშვილიც გზას ადგას. კიდევ რაღა მჭირდება? მალე საათიც ჩამოშკრავს და მაიდა სანაგვისაკენ.

— ვითომ რატომ „სანაგვისაკენ?“ სადღაა თქვენი აფხაზური დღეგრძელობა?

— ეხ, ძვირფასო, ეს თავმჯდომარეებს არ ეხება. ჩვენს საქმიანობაში თითო წელი სამად უნდა ითვალო.

— ჩვენ ერთი თაობის ხალხი ვართ. შემდეგ შეხვედრას, იქ, თქვენი სოფლის სასაფლაოზე მინიშნავთ? სიმართლე გითხრათ, მე აქ ვარჩევდი. თუ თითო წელი სამად ჩაითვლება, ასწლოვანი იუბილე კარს გქონიათ მომდგარი და ეგ არი! შეკრიბეთ 60 და 40.

— კარგი ახაკია. ახეა, დავთქვათ: მესამე და მეხუთე შეხვედრას აქ მოვაწყობთ.

— მაშინ მეორე და მეოთხე მოსკოვში იქნება.

ანატოლი არსების ძე პედაგოგია. პირველი შეკითხვა მასთან წმინდა სასკოლო ხასიათისაა:

— შემისწორეთ, თუ ვცდები, მაგრამ ძლიერ შესამჩნევია აქაური ინტელიგენციის გადახრა პედაგოგიკაში. ეს აფხაზეთის ამჟამინდელ მოთხოვნებს პასუხობს თუ განვლილ ათწლეულებში მიდრეკის მიზეზია?

ანატოლი არსების ძე ყოყმანობს. მისი შეხედულებით, რესპუბლიკის უმაღლესი განათლების სტრუქტურა განხილვას საჭიროებს.

საწყენია, რომ უნივერსამი იქვე გვერდითაა.

ნელ-ნელა ვათვალიერებ საქონლით გაჭედილ დახლებს. აქ უკვე აღარ დავიწყებ ხარისხის შეფასებას, დონის შესაბამისობის რკვევას მოთხოვნასთან, კვალიფიკაცია არ მეყოფა. სიცოცხლეში პირველად ვხედავ ნაბადს, სამხრეებით გამოუკიდიათ ლაბადებისა და პიჯაკების გვერდით. აი, შემოდგომის ჟინჟლიან ამინდში რომ წამოისხურო, ანდა გაეხვიო მასში, როცა ზამთრის აგარაკზე ღუმელი გაგრილდება, სინესტე და სიცივე ვერაფერს დაგაკლებს.

— ნუთუ ნაბადს არავინ ყიდულობს?

— დიდიხანია ასე ჰკიდია, — მპასუხობს გამყიდველი — არ ყიდულობენ.

პარფიუმერიის განყოფილებაში თბილისური, რიგის. ლენინგრადის სუნამოები გამოუფენიათ.

— რომელს უფრო ყიდულობენ?

— მოგვაწოდეთ ფრანგული, მაშინვე დაიტაცებენ — იღიმება გამყიდველი ქალი.

მაინც როგორი საინტერესო ლექსიკონი გაგვაჩნია: ხორცის „მიღება“, ჯინსის „გამოყრა“, „დეფიციტის ამოღება“, იმპორტის „დატაცება“... ეკონომიკურ სეიხში ჩაკეტილია ფილოლოგიის გასაღებები.

— ამ ასორტიმენტით ვაჭრობას დურიფშული ხელფასი არ უნდა სჭირდებოდეს. რისთვისაა ისინი ანატოლი არსების ძევ? მოდის მიმდევრებს თქვენ აქ ვერაფრით გაახარებთ.

— ფული იყოს და... არ შეეშლებათ სად დახარჯონ — მამშვიდებს ჩემი კოლეგა.

დურიფშში დაახლოებით 600 კომლია და ორ ნახევარ ათასზე მეტი მცხოვრებით, ეკონომისტი ნელის მიერ გამზადებული ცნობის მიხედვით, საერთო შემოსავალი მილიონი მანეთია. თუ ასეა, საკითხავია, რა თანხას ხარჯავს კოლმეურნე ადგილზე, სოფელში და რამდენს — „განზე“, სოხუმში იქნება, თბილისში, მოსკოვსა თუ ბუდაპეშტში? რამდენი მიდის კვებაზე და ჩაცმაზე, მოტოციკლებზე და მანქანებზე, ბინათმშენებლობასა და მათ მოწყობაზე, ქორწილებსა და ქელეხებზე, სამკაულებსა და ოქროზე?.. დიახ, დიახ, მორთულობა, სამკაული და ოქრო, ბეჭდები, საყურეები, სერვიზი სოფელში, ისევეა საჭირო, როგორც ქალაქად.

სამწუხაროდ, ხელთ არა გვაქვს ამგვარი სტატისტიკა, ამიტომ შუაგზაზე მივატოვოთ კომერციული თემა.

რამდენადაც ადვილად წარიმართა საუბარი ივანე ტარკილთან, იმდენადვე მიძნელდება ანატოლი გუმბასთან. ბორძიკობს, სიტყვა უწყდება. ეგებ გულჩახვეულია? რაღაც არა ჰგავს. ჩემი თანამოსაუბრე მაღალი და წელში გამართული, სანდომიან ღიმილიანი გულღია და მხიარული ურთიერთობებისათვისაა დაბადებული, მაგრამ ამჟამად რაღაც ვერ ავაწყეთ საუბარი, რაღაც გვიშლის, თითქოს რაღაც ბოჭავს, გულს უმძიმებს მდივანს. რატომ გაკრთა ჭაღარა მის მშვენიერ, გრუზა თმებში?

არ მინდა, უფლებაც არა მაქვს ჩავიხედო სხვათა გულებში. ნარკვევის საფუძველი ფაქტია. მოგვიანებით ვიგებ, რომ დურიფშში რაღაც ვერ გვარდება. მაგალითად, მეცხოველე-

ობაში „არ გაუმართლდათ". მაინც, რატომ, როცა კოლმეურნეობის ანგარიშზე ბლომად ფულია, იქვეა საქონელიც, მაშ, რაღა უშლის ხელს, რომ ფერმაში საქმე თავიდან წამოიწყოს?

გაუხსნელ ფრჩხილებში ბევრი საკითხი იყრის თავს, მაგრამ საათის ისრები წინ გარბიან, ამჯერად გზა მეძახის.

გზაჯვარედინზე ქვის თეთრი ტალავერია, ავტობუსის მოსაცდელად მივიჩნიე. კიდევ რას უნდა აშენებდნენ გზათაგასაყართან? ახლოს მისვლისას მძღოლს მანქანის შეჩერება ვთხოვე. ზღუდის მიღმა, პატარა სკამი და მაგიდა დავინახე, რომელზედაც ყვავილები და ტოლჩა დაელაგებინათ. კუთხეში ცოცხი მოჩანდა. ტურნიკეტი და ლობური გადავაკვეთე და მარმარილოს დაფაზე ამოვიკითხე:

სახსოვრად 1941-1945 წლებში დაღუპულ ძმებს მკაი, შოთა და სპატი შირინის ძე არძინბებს დისგან — შირინისაგან...

კავკასიასა და ამიერკავკასიაში ბოლო დროს გზათა გასაყართან და ხალხმრავალ ადგილებში ხშირად გვხვდება ხსოვნის ობელისკები. განსვენებულთა საფლავები კი სადღაც შორეთშია. აქ უბრალოდ მათი მოსაგონარი ძეგლებია. საძმო საფლავები კი მიმოფანტულან უკრაინა-ბელორუსიაში, დასავლეთში და სადღა არა...

აქ, აფხაზეთში გზაჯვარედინზე აღმართულ თეთრ ლობურთან თავი დავხარე და მაშინ დავფიქრდი იმაზეც, თუ როგორ დაუსრულებლად გვჭირდება ხსოვნა და რომ არა გვაქვს მომავალი წარსულის გარეშე, არამყარია აწმყოც, მოკლებულია მნიშვნელობას წარსულის საყრდენისა და ფესვების გარეშე. ვინ ან რამ ჩაუნერგა შირინ არძინბას დაედგა აქ ძეგლი: უნუგეშო მწუხარებამ? პატრიოტიზმის გრძნობამ? ოჯახურმა, რელიგიურმა განწყობილებამ? საგაზეთო სტატიებმა? საზოგადოება „ცოდნის" წევრთა ლექციებმა? შეიძლება ლექციებმაც, მაგრამ უპირველესად — მძლავრმა ცხოვრებისეულმა ინსტიტუტმა, წუთისოფლის ნებამ, რომელიც უარყოფს, კრძალავს უმიზნო არსებობას, ამქვეყნიდან უკვალოდ წასვლას.

ახლა სულ სხვანაირად გამოიყურებოდნენ დურიფშული ვილლები, სიძველისაგან დევნას თავშესაფარი რომ მიხცე, უფრო დაბალი კედლები, ნაკლები საცხოვრებელი ფართია საჭირო. საამისოდ ნაჭედი რკინის კიბეები ზედმეტია, მაგრამ საკუთარ თავთან რომ გაიმართლდე, საგვარეულო სიამაყე რომ დაიკმაყოფილო და ცხოვრების მძლავრი ინსტინქტი დათრგუნო, საცხოვრებელი სახლი ციხე-სიმაგრედ და მარადიულ ძეგლად რომ აღმართო — საამისოდ მთელი სახსრები და მრავალი წელი უნდა გახარჯო, ჩაყარო ამ ერთ „ვილლაში".

ყოველივე ამის ეკონომიკური საფუძველი მე ჯიბეში მედო. ცნობა, რომელიც ეკონომისტმა ნელიმ მომიმზადა, ცხადყოფდა: [illegible]ში თავისუფალი მიწები არაა, [illegible] იძლევა ჩაის პლანტაციების გაფართოება. 1970 წლიდან იგი სულ ხუთი ჰექტარით გაიზარდა (840-დან 845 ჰა-მდე), მაგრამ ამ დროის განმავლობაში ჩაის მთლიანი კრეფა ლამის ორჯერ გაიზარდა: 2894 ტონიდან 4100 ტონამდე. ასევე განუხრელად გაიზარდა ჩაიდან მიღებული ფულადი შემოსავალიც. ამჟამად ჩაიდან მიღებულმა სუფთა შემოსავალმა მილიონ მანეთს გადააჭარბა, ანაზღაურება თითოეულ კაც-დღეზე გაიზარდა 8,1 მანეთიდან (1970 წ.) 18 მანეთამდე (1986 წ.) და ეს შრომისუნარიანთა რიცხვის აშკარა შემცირებით: 795 კაცი — 1970 წლისათვის, 691 კაცი — 1986 წლისათვის.

მენანებოდა დურიფშის დატოვება მხოლოდ შიშველი ციფრებითა და ფასადების შთაბეჭდილებებით. ჩემს შესახვედრად ანატოლი არსების ძე გამოემართა.

მისი სახლი სხვებზე უკეთესი არ იყო, არც მაღალი, ჩვეულებრივი კიბეებით, ბილიარდის დაფასავით სწორი, დაკრიალებული ეზო, ტრადიციული სახლი იდეალური გაზონით, რომელიც თუნდაც ძველ პარკებს, სასახლეებსა და მუზეუმის შემოგარენს დაამშვენებდა. ეზოს მწვანე უმტვერო საფარს თითქოს ადამიანის ფეხი არ მიჰკარებოდა და მკრეხელობად მეჩვენებოდა მასზე გავლა. თვით სახლიც არაფრით ამჟღავნებდა პატრონის არსებობას. მაგრამ უკაცრიელობა მოჩვენებითი იყო. ეზოს გვერდით, ბაღიდან ვიღაც ზნიერმა კაცმა ხელი დაგვიქნია და დიდის ამბით მიგვიპატიჟა. იგი ლადია კუკუნის ძე არძინბა აღმოჩნდა, ომში დაღუპული სამი ძმის სახლიკაცი, თუმცა არც მთლად ღვიძლი და ახლობელი, მაგრამ მათი მოგვარე. თავადაც სამამულო ომის მონაწილე, ვეტერანი, კოლმეურნეობა „დურიფშის" ძველი გვარდიელი. მისი ვაჟიშვილები არმიაში იხდიან მხედრულ ვალს.

— ქალიშვილები არა გყავთ?

— ქალიშვილებიც ჩავთვალოთ?

როგორ წარმოსახვას იწვევს ჩვენში სიტყვა „ფარდული"? ალბათ, ფიცრული შენობისას, ხშირად ჰაიჰარად. იშვიათად საგულდაგულოდ ნაშენებისას. ლადია არძინბას ფარდული ცემენტით, ბლოკებითაა აგებული. ორფერდა შიფერის სახურავი, ფარდულის სიგრძე, ასე, საშუალო ფერმისა იქნება. ცალკეა განყოფილება ღვინისათვის მიწაში ჩაფლული ქვევრებით. დანარჩენი — მარცვლეულისათვის, ხილისათვის, საქონლისათვის. ფარდული საქორწინო ნადიმისთვისაც გამოდგება, რომელშიც არძინბების მთელი საგვარეულო და კიდევ ნახევარი სოფელი მოთავსდება. ჩემის აზრით, ბეღელი უფროა, ვიდრე ფარდული.

რა შინაარსს შეიცავს ჩვენთვის სიტყვა „საცხოვრებელი"? ესაა ტევადი ისტორიულად

ეროვნული [illegible]

დინამიური ნაგებობა, თავის თავში მოიცავდა და დღესაც მოიცავს ქოხს, ღუთქას, სარდაფს, კიბისქვეშა სათავსოს, ბარაკს, კომუნალურ ბინას. თაობებისათვის იგი ყოველთვის წარმოადგენდა მშობლიურ, მამაპაპურ სახლს. მაგრამ, განცალკევებული ბინა ყოველთვის როდია „თავისი შინა", საკუთარ სახლად მაშინ მიიჩნევ, როცა მასში ათეული წლების განმავლობაში იცხოვრებ, ლადია არძინბამ სახლი ააშენა, ოღონდ თავისთვის კი არა, თვითონ ნაბდის ქვეშაც დაიძინებდა — შვილთა შვილთათვის აგო. სახლს არა აქვს სათოფურები, მარტო ბოლი დარაჯობს, მაგრამ მისი ჭეშმარიტი დანიშნულებაა, იყოს კერა მთელი ოჯახისათვის, საგვარეულოსათვის. გამოცვლა, გადაცვლა ბინისა, როგორც ეს ჩვეულებრივ ქალაქურ პირობებში ხდება ხოლმე — უაზრობაა, მკრეხელურია და ამგვარი დამთხვეული აზრი არავის თავში არ მოუვა. ამჟამად მასში ოჯახის ყველა წევრი ცხოვრობს და როცა საათი დარეკავს, ყველა აქვე მოკვდება, ამ სახლის გვერდით ,საკუთარ კარ-მიდამოში დაიმარხება.

ვიდექით ეზოში და სახლში შესვლა არ გვინდოდა. ლადია არძინბა დაემორჩილა ანატოლი გუმბას ავტორიტეტს და კომპრომისზე წავიდა. შეგვიყვანა პატარა სადგომში, სადაც იყო სამზარეულო და სასადილო „თავისიანი" ხალხის ვიწრო წრისათვის — ასე, 20 კაცს რომ დაიტევდა. ამჟამად იგი საზეიმო სისუფთავით კრიალებდა: ახლად შეღებილი იატაკი, ახალი სკამები, სერვანტი, არსად მცირედი ლაქა და მტვრის პაწაწა ნამცეციც კი. ამ გარემოში ჩვენს გარდა არავინ არ იყო. ამ პატარა სახლის კეთილდღეობის, სტუმართმასპინძლის, ახლობლისა და შორეულის, მშვიდობისა და ძველი ჯარისკაცის, მოუღლელი მშრომელის სადღეგრძელო იყოს. ამინ!

როცა მანქანასთან დავბრუნდით, უკვე თითქმის ახლობელ თანამგზავრს გამოვუტყდი, რომ სწორედ გუშინ საღამოს ვიჯექი სასტუმროში ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნით ხელში და ყველაზე მეტად მისმა წინასიტყვაობამ მომხიბლა. წიგნის ასიოდე გვერდი რომ დაეწერა, ავტორმა მთიანი ზონის, მთისწინა რაიონებისა და ზღვისპირეთის მოსახლეობის ხუთიათასი და კიდევ მეტი ოჯახი გამოიკვლია. დავუშვათ, რომ სტუმარ-მასპინძლობის წესების დაცვით თითოეულ ოჯახში მან მხოლოდ ერთი პატარა ჭიქა გამოტოვა... თუმცა, ამის დაჯერება ძნელია: ვის შეუძლია ერთ ჭურჭელში მოათავსოს ხურვილების მთელი ნაკრები. წვეთებს თვლით ხომ არ სვამდა? ხულ ერთია, თუნდაც თითო ჭიქა დაეცალა ხუთი ათასჯერ, გამოდის ათასი ლიტრი, მთელი ტონა. შეიძლება კი?

ამ წიგნის ნაჩქარევი კონსპექტი ახლაც ხე-

[illegible]

ნამედროვე სოფლის ოჯახები". თბილისი, მეცნიერება, 1958 წ.

1877 წელს აფხაზეთის [illegible] ერთი კაცზე 9 მან და 23 კაპიკი [illegible] ნაცვლად 1963 წელს [illegible] 3 მან. 82 კაპიკისა (გვ. 2).

გვ. 15. „აზკაარას" დიდ ნაწილში — სამეურნეო ფართობში, რომელიც საკარმიდამო ნაკვეთების 3/4-ს იკავებს, გლეხებს სიმინდის მოსავალი მოჰყავს.

გვ. 16. ბოსტანი ჩვეულებრივ საკარმიდამო ნაკვეთის მეათედს იკავებს, მაგრამ ოჯახს აწვდის ხახვის, ნივრის, წიწაკის, კამის, ხვიტის, პამიდვრის, ბალჩეულის: საზამთროს, ნესვის, გოგრის საკმარის რაოდენობას. მათ სიმინდის ნათესების კიდეებში თესენ, რომ ბევრი სასარგებლო ფართობი არ დაიკავონ. ინდივიდუალური მებოსტნეობა და მარცვლეულის წარმოება ძირითადად ამ მომხმარებლურ ხასიათს ატარებს.

გვ. 19. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში თითქმის მთელი აფხაზეთის მოსახლეობა მისდევდა მეფუტკრეობას. არსებობდნენ მეურნეობები, რომელთაც 600-800 ოჯახი ჰქონდათ. მილიარდობით ველური ფუტკარი ბუდობდა ტყეებსა და მთებში. ამჟამად მხოლოდ მოსახლეობის 7,61 პროცენტს ჰყავს რამდენიმე ოჯახი ფუტკარი. მეფუტკრეობის დაქვეითება მნიშვნელოვანწილად აიხსნება ტყეების გაჩანაგებით, განსაკუთრებით ზღვისპირა ზონაში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ქიმიზაციით.

გვ. 41. აფხაზეთის ქალაქური ოჯახების შემადგენლობა საშუალოდ 4,0 კაცს შეადგენს, სოფლებისა —4,9. ყველაზე მეტია ოჯახები, სადაც წევრთა რაოდენობა 6 კაცია (16,84 პროცენტი), მომდევნო ადგილს იკავებს ოჯახთა ჯგუფი, რომელიც 5 სულისაგან შედგება (15,04 პროცენტი), დანარჩენი ჯგუფების წილად მოდის 68 პროცენტზე მეტი. მათ შორის, მარტოხელა ადამიანთა წილიც (9,5 პროცენტი), ორკაციან ოჯახზე — 12,28 პროცენტი; ოჯახები, რომლებიც 10 სულსა და მეტს შეადგენენ — 2,81 პროცენტი. გამოკვლევის საერთო რაოდენობიდან.

გვ. 78. რევოლუციამდელ აფხაზეთში ქორწილებში, რომლის მოწყობა მხოლოდ შეძლებულ ოჯახებს შეეძლოთ, სტუმრებს პირდაპირ მიწაზე სვამდნენ. მათთვის საჭმელი ჩალაზე მიჰქონდათ. ზოგიერთ ოჯახში ლომისა და ხორცის ხარშვას ქორწილამდე მთელი კვირით ადრე იწყებდნენ (ღვინის ჩაუთვლელად, რითაც ამოიწურებოდა მაშინდელი მენიუ), არ ჰყოფნიდათ ქვაბები; ყველა გლეხს როდი მოეპოვებოდა ჭიქები, ღვინოს ხის ჯამებით სვამდნენ...

გვ. 75. ალკოჰოლიზმი და ლოთობა ახალი მოვლენაა აფხაზთა ცხოვრებაში [illegible]

ქცევით. ნ. გ. ალბომის ცნობით, „ცოცხალ სიძველეების" (1988 წ.) მესამე გამოცემის მი-ხეილვით ნარკვევში — „ეთნოგრაფიული დოკ-უმენტები აფხაზეთში" ნათქვამია, რომ მანა-ცკლების თვის ნეტისნეტ უხრდელობად ითვ-ლებოდა შეზარხოშებული მდგომარეობა და საერთოდ სიმთვრალის რაიმე ნიშნით გამჟღა-ვნება.

გვ. 100-101. 1959 წელს აფხაზეთში ყოველ 1000 კაცზე მოდიოდა 16 უმაღლესდამთავრე-ბული, 8 დაუმთავრებელი უმაღლესი განათ-ლებით, 26 — საშუალო სპეც. განათლებით, 78 — საშუალო განათლებით. აღნიშნულთან შედარებით 1970 წელს იყო — 45, 18, 87, 134.

ვიდრე ძილი წამილებდა გადავფურცლე შა-ლვა დენის ძე ინალ-იფას პატარა წიგნი „დუ-რიფში". „ალაშარა". 1981 წ. აი, რამდენიმე ამონაწერი იქიდან.

გვ. 7. სოფელი ზღვის დონიდან 250 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. არც თუ შორეულ წარსულში მისი ცენტრალური ნაწილი უკაც-რიელ ულაბნოს წარმოადგენდა, თითქმის ერ-თიანად დაფარული იყო ხშირი გვიმრებითა და ეკალ-ბარდებით.

გვ. 17. წერილობით წყაროებში დურიფში 1888 წლიდან მოიხსენება. ამ წელს სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში პროფე-სორმა ნორმანმა მოათავსა ნარკვევი ამიერკავ-კასიაში მოგზაურობის შესახებ: „დილით მკა-ცრი სამხედრო წესრიგით გამოვედით ბამბო-რიდან, დურიფშის სამოურავოში გავიარეთ სოფელი ლიხნი და აჩიმჩიგრი, მივაღწიეთ სო-ფელ ლაკროპშს... იქიდან გავუყევით ბილიკს, რომელიც ხიპსის კალაპოტს მიუყვება. შე-ვედით ტყით დაფარულ გაუვალ ხეობაში. ძლივს გავიკაფეთ გზა, წინ ნელა მივიწევდით. აფხაზი გამყოლების ჩაგონებით სრულ სიჩუ-მეს ვიცავდით".

1877 წელს დურიფშზე ბანდიტური თავდა-სხმის შემდეგ, მისმა მცხოვრებლებმა თურქე-თში გადასახლება გადაწყვიტეს, იმ ღვთიურ ქვეყანაში, სადაც როგორც მათ არწმუნებდნენ, გოგრა იმხელა იზრდებოდა, რომ შიგ კამეჩი მოთავსდებოდა, ვირებს ბრინჯით კვებავდნენ და ოქროებით ამკობდნენ.

მაგრამ ლტოლვილებმა ხომალდის ტრიუმე-ბშივე შეიტყვეს, თუ რა ფასი ჰქონდა გოგრას ზღვისგაღმა. ცოცხლად დარჩენილები აფრიან ხომალდებს იტაცებდნენ და სამშობლოში მო-ეშურებოდნენ; უბრუნდებოდნენ გაუდაბურე-ბულ, დანგრეულ სახლ-კარს, რომლის გარშე-მო მგლები ყმუოდნენ, მინდვრები ჯაგებს და-ეფარათ.

გვ. 29-31. 1906 წლის 2 მარტს დურიფშში სასოფლო ყრილობა გაიმართა. 150-მა კაცმა, ყრილობაზე ხმის უფლებით რომ სარგებლობ-დნენ, მოითხოვა, რომ თითო კომლს არანაკ-ლებ 10 დესეტინა მიწა გამოყოფოდა, რამდე-ნადაც მიწა აქ არც თუ ნაყოფიერია, დაახლო-ებით, 800 ფუთ სიმინდს იძლევა. [illegible]-ებრივი მიწები კი აზნაურებმა მიიტაცეს. იმ-ჟამინდელ მეფისნაცვალთან, ვორონცოვ-დაშ-კოვთან გაგზავნილ ამ თხოვნას შედეგი არ მო-ჰყოლია. მოსახლეობის იმედი, რომ „მისი იმ-პერატორობითი უდიდებულესობა" მათ გაჭი-რვებულ მდგომარეობაში შევიდოდა, არ გამა-რთლდა. ძველი აფხაზეთის კულტურისა და მათ შორის დურიფშის ყოფა-ცხოვრების მცო-დნე ა. დ. პახომოვი 1887 წელს წერდა: „და-უსრულებელმა კინკლაობამ, კანლამ (სისხლის აღება), მეზობელი ტომების თავდასხმებისაგან თავდაცვის აუცილებლობამ, ნებსით თუ უნებ-ლიედ აფხაზი ხალხი მეომრებად აქცია, თოფი და კავი კი ერთად ძნელად წყვილდება, მუდ-მივ შიშიანობაში მყოფ აფხაზს იმისი დროც არ ჰქონდა, რომ არსებობისათვის აუცილებე-ლი პირობები შეექმნა. მცირეოდენი სიმინდი ან ღომი, ყველი, იშვიათად თხის ხორცის ნა-ჭერი — აი ყველაფერი, რაც მის საკვებს შე-ადგენდა. ტანსაცმლით არ უკოპწიავებია. მთე-ლი მისი ფუფუნება, ავლადიდება მჭლე, მაგ-რამ ამტანი ბედაური იყო. ცხენი აფხაზის მუ-დმივი და განუყრელი მეგობარია. ცხენისა და კარგი სანდო იარაღის გარდა აფხაზი ზედმეტს არაფერს ატარებდა. რაც უფრო მეტი ჰქონ-და, რისკიც მეტი იყო მის დასაკარგავად თუ ვინმეს ფიქრად მისი გაძარცვა მოუნდებოდა. ყოველდღიურმა აშკარა საფრთხემ გამოცდი-ლება შესძინა, ჩააგონა დაკმაყოფილებულიყო ყველაზე აუცილებლით".

გვ. 75. საუკუნეების მანძილზე აფხაზური საცხოვრებლის უმთავრესი ელემენტი დღე-ღამ ჩაუქრობელი ოჯახური კერა იყო. არც თუ დიდი ხანი გავიდა მის შემდეგ, როცა კერა აფხაზეთისათვის მარტო სითბოს წყაროს რო-დი წარმოადგენდა, მნიშვნელოვანწილად იგი ერთადერთი სინათლის წყაროსაც წარმოადგენ-და...

სასტუმრო „ალაშარაში" მხიარულად რეკენ საათის კურანტები. ძილის წინ ვფურცლავ წიგნს აფხაზეთის წარსულზე, რომლის ცოდნა აუცილებელი და სასარგებლოა დღევანდელო-ბის ჭეშმარიტი გაგებისათვის.

## სერგოს სახელობისა...

ზღვის სანაპირო. მშვენიერი პარკის პატარა კუთხე, სადაც გადმოცემებისა და დოკუმენტე-ბის მიხედვით ნიკოლოზ რაევსკის რაზმი მდგა-რა, გარნიზონი ქერჩის შტაბს ემორჩილებოდა. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ჩვენი საუკუნის ნახევრამდე. ციება დაუნდობ-ლად ცელავდა ადამიანებს. მხოლოდ დიდი სა-მამულო ომის შემდგომ მოხერხდა ამ ვერაგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრის დამარცხება.

ვდგევარ ძეგლთან და გრანიტის ფილაზე ვკითხულობ:

„აქ დაასაფლავეს სერგო ორჯონიკიძე, რომელიც დატვირთული იარაღით მოადგა ნაპირს...“ ეს სტრიქონები უბის წიგნაკში შემაქვს და თვალწინ მიდგება სახალხო კომისრის ახალგაზრდობა: რის ფასად დაუჯდა დაპატიმრება? როგორ მოახერხა თავის გადარჩენა? მკაცრი დრო იყო, არაფრისათვის კედელთან აყენებდნენ ხალხს...

— მოახერხა, — მიმიხვდა ჩემს უსიტყვო კითხვას ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დავით გიორგის ძე გოგბერიძვილი—სოხუმის ჟანდარმერიას ქრთამი მისცა და გამოუშვეს (შემდეგ ბიოგრაფიის მიხედვით შევამოწმე). ისტორიკოსები ინტელექტუალურად წერენ: ქრთამი კი არა „გირაო“ გადაიხადაო.

პარტრაიკომის მდივანი გიორგი პეტრეს ძე კივილაძეც მეხმარება გაავართოოს ჩემი ისტორიული შემეცნების არე: ეს კუთხე წარსულითაა გაჯერებული! მაგრამ, დროა აწმყოს დავუბრუნდეთ.

— ოქტომბრამდე და რევოლუციის შემდეგაც აქ სრულიად უდაბური ადგილები იყო. 80-იანი წლების ბოლოდან ორმოციან წლებამდე მთებიდან ჩამოვიდნენ პირველი ახალმოსახლენი. იმ წლებში აქ სულ სამი კოლმეურნეობა არსებობდა— მიამბობს დავით გოგბერიშვილი — ოცი წლის შემდეგ კი გაჩნდა ჩვენი, გაერთიანებული...

თხრობა პლანტაციებში გრძელდება, რომელიც „რაევსკის პარკს“ აკრავს. გახურებული რთველია, ბრიგადებად გამოსულა კაცი და ქალი, ივსება კალათები დიდებული მტევნებით, ეზიდებიან მანქანებში. კალათებით მჭიდროდ დატვირთულა ძარები, დამძიმებული მანქანები ნელა მიცოცავენ ზვრებიდან და როგორც კი ასფალტირებულ გზაზე გავლენ, უცებ იძენენ სიმსუბუქეს და თვალს სწრაფად ეფარებიან. რთველს მოუცავს მთელი კოლმეურნეობა — სამი ათასზე მეტი კაცი, 700 კომლზე მეტი. რთველი არ ანსხვავებს ეროვნებას, კოლმეურნეთა სამი მეოთხედი ქართველია, მეხუთედი — აფხაზები, არის რუსული ოჯახებიც...

— პატარა, მაგრამ ინტერნაციონალური, არა? როგორია პერსპექტივები? განვითარების კურსი?

— ჩვენთან თავისუფალი სავარგულები არ არის, როგორც დურიფშში. მთელი მიწები ათვისებულია — აგრძელებს დავით გიორგის ძე — უნდა ავირჩიოთ ჩაი თუ ხილი, ყურძენი თუ სიმინდი. ყველაფრის ქონა კია საჭირო, გარდა ამისა, გვესაჭიროება რძე და ხორცი. მეურნეობაში რომელიმეზე უარის თქმა გვიძნელდება, მაგრამ ვერსად გაექცევი ცხოვრების კანონს, რომელიდაცას უნდა მიანიჭო უპირატესობა. ჩვენთან პრიორიტეტი ყურძენს ეკუთვნის.

— ყურძენი ჩვენთან „ერთი“ როდია — შესწორება შეაქვს ნათქვამში გიორგი კივილაძეს — საქართველოში ხუთასამდე ჯიშს ითვლიან, ჩვენი კოლექცია შედარებით მცირეა, მაგრამ კვლავ — ინტერნაციონალური. ჩხავერი — გურული ჯიშია, მოსავლის 80 პროცენტს ვაწვდით რესპუბლიკას, კაჩიჩი — აფხაზური. ინტერნაციონალური ყურძნისთვისაც საჭიროა ბრძოლა. მას ბევრი მტერი ჰყავს.

ზვრების დათვალიერებისას თავმჯდომარე და რაიკომის მდივანი მევენახეობის თვალსაჩინო გაკვეთილს მიტარებენ.

— ამ ფერდობზე — მიხსნის დავით გიორგის ძე — ნიადაგი როგორც ქვიშა ისე ირეცხება. ჰუმუსური ფენა კი უნდა შევინარჩუნოთ, თავიდან უნდა ავიცილოთ ეროზია. ვაზი ფილოქსერისაგან უნდა დავიცვათ. ვიდრე მტევანი მკრეფავის კალათში მოხვდებოდეს, ათი ოპერაციის შესრულება გვიხდება. მძიმე სამუშაოა ყურძნის მოყვანა. ახლა იმასაც ჰმობობენ, „მავნეაო“.

— რა თვალსაზრისითაა მავნე, დავით გიორგის ძევ?

—პირდაპირი გაგებით. ბევრჯერ გვიხდება ქიმიკატების შესხურება. სამწუხაროდ, ამას სპეცტანსაცმლის გარეშე ვასრულებთ, არა გვაქვს ნიღბებიც — დიდი დეფიციტია.

— ალბათ, ოცდაათი, ორმოცდაათი და კიდევ მეტი ოპერაციაა საჭირო. თითოეული თანხაზე რომ გადავიყვანოთ, ორი კაპიკი ძლივს იქნება. ცხადია, საზამთროს მოყვანა ბევრად უფრო ადვილი და მომგებიანია. კოლმეურნეობა მაინც როგორ აღწევს წლიდან წლამდე მაღალ შედეგებს?

მაცნობენ ვაჟა ჭილაძეს, ჩაფსკვნილს, ქარდაკრული სახით. ისე აცვია, როგორც მისი ბრიგადის ყველა წევრს, არც ფრაკი და არც სმოკინგი. მისი ნაცრისფერი პიჯაკი გადასაგდებადაც არ დაგენანება, მაგრამ სამუშაოდ ვარგა. ვაჟა მხოლოდ მოგვესალმა და უსიტყვოდ გაბრუნდა ბრიგადისაკენ. თანამგზავრებმა ხმადაბლა, ჩურჩულით გამანდეს:

— სამგზის ორდენოსანია. უბრალოდ, არ შეუძლია რომ ცუდად იმუშაოს. მის ბრიგადაში 86 კაცი ირიცხება, ოცდაათი წელია, რაც აქაა.

— რთველს თავს ვერ გავართმევდით, პენსიონერები და ბავშვები რომ არ გვეხმარებოდნენ. დიახ, ბავშვები — პასუხობს ჩემს მზერას დავით გიორგის ძე — მეშვიდე კლასის ზემოთ ოცდაოთხი დღის განმავლობაში ჩვენთან ბავშვთა შრომითი ბანაკები იქმნება. დახმარებისათვის თითოეული ას მანეთამდე ღებულობს. სკოლის სალაროში კი არ ვრიცხავთ, პირადად ხელზე ვაძლევთ.

გამგეობაში როცა დავბრუნდით, დავით გიორგის ძეს ხალხი ელოდა. გადავწყვიტე, ხელი არ შემეშალა და ქუჩაში გამოვედი.

გეთანხმებით, ბატონო გიორგი, ხელმძღვანელთა, ორდენოსნების, მოსწავლეთა შეწევნა აუცილებელია, მაგრამ ეს ჩონჩხია. არ შეიძლება ამ ერთი მეურნეობა უფროსკლასელთა და ვეტერანთა შრომას ეყრდნობოდეს. ადამიანის ფაქტორი ამასთან არ მიგვიყვანს. ბრიგადული გარიგებისა და სამეურნეო განაღდების გარდა არსებობს რაღაც საიდუმლო ფაქტორიც, რის გარეშეც ყველაფერი, რასაც გავეცანით, ასეთ მოსავალს არ მოგვცემდა. ჩხავერს გემო სხვანაირი ექნებოდა, კლუბიც სხვანაირად აშენდებოდა. ფუნდამენტის პირველი, მეორე, შესაძლოა ნესამე ქვაკუთხედის განწყვეტა ძალმიძს, მაგრამ აი, მეოთხე ჩემთვის საიდუმლოებას წარმოადგენს.

— რომელი საიდუმლო? — გაუკვირდა კიკვილაძეს — ჩვენს სოფელში ყველა გეტყვით, რომ პირველი ქვა დავით გიორგის ძეა და მეოთხეც — კვლავ დავით გიორგის ძეა. ფერმა, სასადილო, კლუბი — ყველაფერი მისით არსებობს.

— პარტრაიკომის მდივანი გადააფასებს პიროვნების როლს ისტორიაში?

— ჩვენს კოლმეურნეობას არ ეხება ეგ ამბავი. დავითის ცხოვრება სწორია, როგორც ეს ქუჩა. დაიწყო როგორც რიგითმა, გახდა ბრიგადირი, შემდეგ გამგეობის წევრი, შემდეგ თავმჯდომარე... აგროტექნიკუმი ქობულეთში დაამთავრა, ჩააბარა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. და ბოლოს სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი მიაწყვიტა ციდან.

— ჭეშმარიტად, ასეთ ერთგულებას, სიმტკიცეს, მიდეგობას ჩვენს საუკუნეში ხშირად ვერ შეხვდები. სწორი ქუჩებიდან ისტორიის ქარები მედგრად გვიბერავს.

— როგორც ჩანს, დავით გიორგის ძე იმაზე ნაკლებ ხანს არ მუშაობს აქ, ვიდრე ტარკილი — დურიფშში.

— გაცილებით მეტსაც! იგი ყოველთვის აქაა. დილიდან საღამომდე, შრომობს სულმოუთქმელად, მკვდარი საათისა და არდადეგების გარეშე...

— და თქვენ „არდადეგების გარეშე" დასაშვებად მიგაჩნიათ? მამალმერთმა საბათომა კვირა დასვენების დღედ მოიგონა და ეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეებსაც ეხება. თუ არა გჯერათ, კონსტიტუცია გადაათვალიერეთ, სადაც დასვენების უფლებაზე წერია. თქვენ თვითონ, ძვირფასო მდივანო, შვებულებით თუ სარგებლობთ?

— ვსარგებლობ, მაგრამ რატომ გადმოხვედით შეტევაზე? მე ხომ სხვა მინდა ვთქვა — საქმისადმი ერთგულებაზე.

— საყვედურს მეტისმეტად სერიოზულად ნუ მიიღებთ. იცით, უცებ რატომ გავნაწყენდი დავით გიორგის ძის გამო? თავმჯდომარე მუდმივად სხვას სჭირდება, სჭირდება, სჭირდება... მაგრამ, თუკი თქვენ ასე გაგვიმართლებთ, კოლმეურნეობაც ვალდებულია, მასზე იზრუნოს. თუ როგორია თქვენი აზრი, ეგებ მხოლოდ თავმჯდომარეს მართებს სხვებზე ზრუნვა?

— მართალი ხართ. საქმისადმი ერთგულება იგივე ხალხის ერთგულებაა და ხალხმაც მთელი სულითა და გულით უნდა მიაგოს სამაგიერო.

— საქმე სხვადასხვანაირი არსებობს, ასევე თავდადებაც. ხომ ასეა? ანაზღაურებაც სხვადასხვა მონეტით ხდება.

— ჩვენი ხალხი, ძირითადად, იგივე მონეტით უნაზღაურებს. გულგრილობაზე — გულგრილობით პასუხობს, ზიზღზე — ზიზღით. ხოლო პატივისცემასა და შრომაზე — პატივისცემითა და შრომით. თუ გნებავთ, ჩვენი მთავარი საიდუმლოც ესაა, დანარჩენი ყველაფერი თვალნათლივია.

ალაშარაში ვათვალიერებდი სხვადასხვა ცნობებს, ინსტრუქციებს; ბროშურებს, რომლებიც დავით გიორგის ძემ დამშვიდობებისას თავისი საწერი მაგიდის უჯრიდან მომცა. ვფურცლავდი უბის წიგნაკს ჩანიშვნებით, ხელახლა შევაჯამე შთაბეჭდილებების შედეგები.

სერგო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაზე და მის თავმჯდომარეზე წერა გაცილებით ადვილია, ვიდრე დურიფშზე. თუმცაღა დავით გიორგის ძე შეკითხვებს არ გაურბის, მაგრამ სიტყვაძუნწია, გრძელი მონოლოგებისადმი მიდრეკილება არა აქვს. თითქოს არც არაფერს უნდა ჩქმალავდეს, მაგრამ გულახდილი საუბრის სურვილიც ცოტაა. ჩაცმაში, მანერებში, სიტყვაში თავმჯდომარე თავშეკავებულია და მინიმუმით კმაყოფილდება. რამდენიმე სიტყვას მოგიგდებს და მორჩა, ჟურნალისტის ქისაში მათი მოქცევა რომ მოასწრო, გაგიხარდეს, გამოგეპარება რაიმე და ველარც ამოქაჩავ, მაშინ მოიწურე შუბლიდან ოფლი, დეტალებისაგან გამთლიანებული სურათი შეადგინე, ნამსხვრევებისაგან — მოზაიკური პანო.

მაშ ასე — პანო. დასაწყისისათვის — ბიოგრაფიული.

დავით გოგობერიშვილმა შვიდწლედი მშობლიურ სოფელში დაამთავრა. ამჟამად სოფელში ორი სკოლაა, აფხაზური და რუსული, რომელიც გინდა აირჩიე. იმ წლებში კი საშუალო სკოლის სრული კურსის დასამთავრებლად გუდაუთაში უნდა ჩასულიყავი. ტექნიკუმში, როგორც წარჩინებული მოსწავლე, მომატებულ სტიპენდიას ღებულობდა, ახლანდელ ოცდაათ მანეთს. ლუკმა-პურს სჯერდებოდა, მაგრამ ცოტა ნეტისათვის, ვთქვათ, მატარებლის ბილეთის შესაძენად — ველარ აკოწიწებდა, თუმცა ეს ახალგაზრდობაში საშიში არაა.

განა ძნელია ვაგონის თავზე მოქცევა? ამასთან ეკონომიურიცაა.

წარჩინებულ მოსწავლეს მოსკოვში, ტიმირიაზევის სახელობის აკადემიაში მისცეს მიმართვა. ვერ ისარგებლა. მამას ხუთი შვილი ჰყავდა სარჩენი. უფროსები უკვე არმიაში მსახურობდნენ, უმცროსებს ჯერ კიდევ ბევრი რამ სჭირდებოდათ, ძნელი დრო იყო. არმიიდან უფროსი ძმა დაბრუნდა, რიგით დავითსაც მოუწია სამხედრო ფორმის ჩაცმა.

არმიაში გატარებულ წლებზეც იმაზე მეტი ვერ ვათქმევინე, რაც მოსწავლეობის პერიოდზე. მხოლოდ იმაში როდი იყო საქმე, რომ შეხვედრები და საუბრები ხანმოკლე გვქონდა. მის ადგილას სხვა უდაოდ გამონახავდა დროს და დაწვრილებით მოგიყვებოდა, როგორ მსახურობდა ოდესის სამხედრო ოლქში, როცა ამ ოლქს მარშალი ჟუკოვი მეთაურობდა. სხვა ამ თემას ახახავდა ჯერ მოთხრობაში, შემდეგ — პოემაში, რომანში, დეტექტივში და ბოლოს — ფანტასტიკურ ნაწარმოებში.

— რა მოხდა მერე? ვმსახურობდი, როგორც ყველა.

მერე მცირე ხანს იყუჩა. ალბათ მოგონებათა შთაბეჭდილებებს ვერ გაუძლო, ცოტა გაოცებულმა და კმაყოფილმა დაუმატა.

— ცუდად არ მიმსახურია.

კვლავ პაუზა. შემდეგ გაიცინა და დაუმატა:

— როცა ჟუკოვი გადაიყვანეს, სამსახური ბევრად იოლი გახდა!

შემდეგ სოფელში დაბრუნდა. შერჩევის სიძნელე, მაგალითად, დღეს რომელი პიჯაკი ჩაეცვა, ღია ფერის თუ მუქი — არ წამოჭრილა. მისი გარდერობი შესდგებოდა გარეცხილი გიმნასტურებისაგან. პალტო მანამდე არ ღირსებია, ვიდრე ჭამაგირი მუდმივი არ გაუხდა. საკუთარი სახლის მშენებლობაც ომის შემდგომ დაიწყო, როცა კოლმეურნეთა თითქმის ორმა მესამედმა უკვე იზეიმა ახალმოსახლეობა, დღემდე აშენებს. სხვათაშორის არც ერთი რეისით არ უსარგებლია, რომ აგური ან ხე-ტყე შეეგდო კოლმეურნეობის მანქანაზე, ყოველ მგზავრობაზე მკაცრად იწერდა საგზურებსა და ანგარიშებს.

კოლმეურნეობა ძალას იკრებდა და მალე იმაზე მეტი მოგება დააგროვა, ვიდრე მისი თავმჯდომარე ელოდნობოდა. ამის ხაზგასმა წითელი ფანქრით მინდა. დღეს ვილამ არ იცის: ახალი თავმჯდომარე ჩვეულებრივ მთელი ძალით აჩალებს მოღვაწეობას, წამოიწყებს საკუთარ სახლს და მერე თუნდაც ქვა-ქვაზე აღარ დარჩენილა. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ისტორია კი სხვა ლოგიკას ემყარება.

ახალმოსახლეებმა, ჩვეულებისამებრ, დასაწყისისათვის, სახელმწიფო სესხი აიღეს; მეურნეობა საბანკო კრედიტების ანგარიშზე იზრდებოდა. 1956 წლისათვის კოლმეურნეობამ ყველა კრედიტი გაასწორა და აგერ უკვე 30 წელია, კრედიტს აღარ იღებს, არც გრძელვადიანს და არც მოკლევადიანს. 1947 წელს კოლმეურნეობამ საკუთარი ჰიდროელექტროსადგური ააშენა. ხარჯები ხუთწლედისათვის უკვე ანაზღაურებული იყო. ჰიდროელექტროსადგურით დღესაც სარგებლობენ. აქვთ ქვესადგური, მუშაობს წყლის წისქვილი, რომელიც მთელ სოფელს ემსახურება. განვლილი წლების მანძილზე ელექტროქსელის რემონტი სამჯერ ჩაატარეს. საყრდენები ამჟამად ბეტონისაა, საშვილიშვილოდაა ჩაყრილი. როგორც კი კოლმეურნეობამ ცოტა ქონი მოიკრა, მაშინვე საგზაო მშენებლობას შეუდგა, შვიდი კილომეტრის სიგრძის შიდასაკოლმეურნეო გზები დააგო. ამ წლების მანძილზე სამგზის განახლდა ჯოგი. ამჟამად ნაწველი ერთ სულზე 800 ლიტრ რძეს შეადგენს, რაც აფხაზეთის პირობებისათვის ცუდი როდია.

ყველაზე მეტ საზრუნავს ითხოვდა და ითხოვს ყურძენი. როცა საუბარი მთავარ კულტურას შეეხო, დავით გიორგის ძეს ჩვეული სიტყვა-ძუნწობა დათმო და ხალისით გაიხსენა ისინი, ვინც წლების მანძილზე საკოლმეურნეო კოლექციას ქმნიდა: ალექსანდრე იობიძეს — აგრონომსა და ერთდროულად მეცნიერს, ვაჟა გოცირიძეს — ადგილობრივ მკვიდრს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მევენახეობას, რომელიც დასაწყისისათვის მწირად იყო წარმოდგენილი. იგი ამჟამად თბილისში ცხოვრობს. დიმიტრი ტაბიძეს — პროფესორს, თბილისის მევენახეობის, მეღვინეობისა და მებაღეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელს, კვარაცხელიას — დისერტაციის გარეშე რომ წარადგინეს სამეცნიერო ხარისხზე. ეფინ დავითის ძე გოგრიჭიანს და მის ძმა — ლუკას, ნესტორ მარკოზის ძე მაისურაძეს — ყოფილ თავმჯდომარეებს, რომელთაც ცოტა როდი გააკეთეს მთავარი კულტურის განვითარების საქმეში...

უცნაურია: სრულიად ეცხო ხალხის სახელების ნუსხის მოსმენა სიამოვნებას მგვრის. ალბათ იმიტომ, რომ უკვე თითქმის ტრადიციადაა ქცეული წარუმატებლობაში წინამორბედობის დადანაშაულება. ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე პირდაპირ თუ გადაკვრით გაგრძნობინებს — საქმე ჩემი მოსვლის დღიდან დაიძრა ადგილიდან, მანამდე კი ჩხირი არავის გადაუბრუნებიათ. გაანგარიშებაში დაშვებული ეს უწყვეტი შეცდომა დღემდე მომდინარეობს. დავით გიორგის ძეს არავითარი პრეტენზია არ გამოუხატავს, თუნდაც მრავალფეროვანებისათვის სიტყვა არ დასცდენია ვინმე უქნარებისა და უხეიროების მისამართით, თითქოს დოულაპიები და სულელები აღარ ერიოს და საქმეს მხოლოდ ანგელოზები აკეთებდნენ.

არ შემიძლია ვთქვა, რომ უსაყვედურო ქება

და უქებარი საყვედური ყველას ნათქვამში ერთნაირი დამაჯერებლობით ჟღერდეს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში გვაქვს კი საფუძველი უნდობლობისათვის?

მუქთამჭამელები იქ მრავლდებიან დაუბრკოლებლად, სადაც საქმის ვითარება უსაქმურობისათვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის, სადაც უმოქმედობა უკლავს შრომის სურვილს მათაც, ვისაც შეუძლია და სიხარულით, პატიოსნად გაირჯებოდა. აქ კი, ორჯონიკიძელებთან ატმოსფერო მდგრადი და საქმიანია. ეს ატმოსფერო მეფობს ყველგან, ამიტომ შრომაც ბარაქიანი და უხვია.

არსებობს კიდევ დაინტერესების, საქმეში მოზიდვის წყაროც, რომელზედაც დავით გიორგის ძემ სიტყვა გადამიკრა და ვფიქრობ, იგი მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია. აზრი არა აქვს იმის დავიწყებას, რომ ყურძნის, როგორც ძირითადი კულტურის შემოსავლიანობა უმნიშვნელოვანესია არა მარტო ეკონომიკური მოსაზრებით, არამედ ისტორიული, მთავარი სისხლისმიერი, ეროვნული თვალსაზრისითაც. ისტორიკოსი სტრაბონი, ცხადია, ანგარიშგასაწევი ავტორიტეტია, რომელსაც თვით ჰომეროსი იმოწმებს: ხელოვანმა ოსტატმა ოდისევსის ფარზე ვაზი გამოსახა, და ეს მეტი იყო, ვიდრე გამოსახულება, ვინაიდან ეს იყო სიმბოლო. საქართველო მრავალგზის დანგრეული და მიწასთან გასწორებულა მტრების თავდასხმების შედეგად, მომხდური უპირველესად ვაზს მიადგებოდა საჩეხავად არა მარტო იმიტომ, რომ ასრულებდა ყურანში ასახულ ნებას მაჰმადისას, ანდა იმიტომ, რომ ალკოჰოლს ებრძოდა, თავისი ქმედობით მტერი ვაზს კი არა, მის მომყვანს და მეჭირნახულეს ებრძოდა, ამიტომ აჩანაგებდა, რითაც ქვეყანა ღონიერდებოდა და მძლავრობდა.

დავუბრუნდეთ აგრომრეწვს. ორჯონიკიძელები უდაოდ კარგად შრომობენ. რენტაბელობა წლიდან-წლამდე, დაახლოებით, 40 პროცენტს უდრის. კოლმეურნეობის სარეზერვო ფონდი წლიური ხელფასის ტოლია. დიდი გაქანებით შენდება კულტურის სახლი. სრულიად გამართლებულია დასკვნა, რომ სერგოს სახელობის კოლმეურნეობა ჰარმონიული განვითარების მაგალითს იძლევა, სადაც სოციალური უზრუნველყოფა და კულტურა ეკონომიკას არ ჩამორჩება, თვით ეკონომიკაშიც არ არსებობს გამრუდებები.

ამ დასკვნის საფუძვლიან მტკიცებას წარმოადგენს გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ 1986 წლის 24 აპრილს გამოქვეყნებული მასალა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დიმიტრი გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტმა ეკონომიკის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლებთან ერთად ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მოაწყო „მრგვალი მაგიდა“. ბუნებრივია, მასში კოლმეურნეობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. შეხვედრის თემა ჩვეულებრივი იყო: „კოლექტიური შრომა სოფლის მეურნეობის წარმოების სოციალურ-ეკონომიკური საფუძველია“. თუმცა, აღნიშნული გაბნეული სიტყვების მიღმა უმწვავესი, საჭირბოროტო პრობლემები იმალებოდა.

მრგვალი მაგიდის მონაწილენი არ დავობენ, ერთმანეთის მიმართ გაფთრებულ პოლემიკაში არ ებმებიან, წყნარად განიხილავენ პრობლემებს, როგორც ეს თანამოაზრეებს შეშვენით, მაგრამ განიხილავენ ძირეულად და ყოვლისმხრიდან, თეორიული და პრაქტიკული ასპექტით.

აქ უკვე სიტყვა დავუთმოთ პრაქტიკოსს — დავით გოცბერიძეს. კოლმეურნეობაში ბრიგადული იჯარის ყველა გადამწყვეტი ელემენტი სახეზეა — აღნიშნა მან, — მაგრამ არსებობს ზოგიერთი თავისებურება, რაც განპირობებულია მეურნეობის მრავალმხრივი სტრუქტურით და დასამუშავებელი კულტურების რენტაბელობის სხვაობით. ბრიგადული იჯარის შაბლონურ დანერგვას, ვთქვათ, შეიძლება მებოსტნეები მევენახეებთან შედარებით უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა: ბოსტნეულის სყიდვითი ფასი ექვსჯერ დაბალია, ვიდრე ყურძნისა. ამგვარ პირობებში შრომითი რესურსებით მანევრირება რთულია (ხაზს ვუსვამთ, რომ კოლმეურნეობა მაინც მანევრირებს, საკუთარი ძალისხმევით ძლევს ფასების დისპროპორციას).

თავის გამოსვლაში კოლმეურნეობის ბრიგადირმა ჩალაძემ აღნიშნა, რომ მიღწეულია სამართლიანობა შრომის ანაზღაურების მხრივ. კოლექტიური შრომა ცალკეულ კოლმეურნეთა პირად ინტერესებს არ ლახავს, ბრიგადულ იჯარას გათანაბრებამდე არ მივყავართ.

იჯარის თავისებურებებს უფრო დაწვრილებით შეეხო მესამე პრაქტიკოსი — კოლმეურნეობის ეკონომისტი მ. მელაშვილი. კლასიკურ ბრიგადულ იჯარაში — განმარტა მან — ავანსიც და შრომითი ანაზღაურებაც პირდაპირ დამოკიდებულებაშია წარმოების საბოლოო შედეგებთან. კოლმეურნეობაში დაჯილდოება, წახალისება იმავე ორ ელემენტს, ავანსსა და ანგარიშსწორებას ემყარება. ავანსი განპირობებულია უშუალოდ წარმოების შედეგით, მხოლოდ არაპირდაპირ: იგი გაიცემა შესრულებული ნორმის მიხედვით.

დგება საკითხი: ანაზღაურების აღნიშნული სისტემით ხომ არ ირღვევა დაინტერესება საბოლოო პროდუქტში?

— არა, — გვარწმუნებს მ. მელაშვილი — დამატებითი ანაზღაურების რაოდენობა ავანსის დონითაა განსაზღვრული. თუ არ გამოიმუშავებ კაცო-დღეზე დაგეგმილ მინიმუმს, კოლმეურნე დამატებით ანაზღაურებაზე უფლებას კარგავს. შესაბამისად იგი დაინტერესებულია

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელი ციკლის მანძილზე თანაბარზომიერად იშრომოს. ეს მნიშვნელოვანი განმარტებაა თუნდაც კოლმეურნეობის წარმატების საფუძვლებში და იმ ციფრებში გასარკვევად, რომელიც დავით გოგობერიშვილმა დაასახელა. 1984 წლისათვის მთელს აფხაზეთში დამხმარე მეურნეობის წილმა კოლმეურნეთა ოჯახური ბიუჯეტის ფორმირებაში 54 პროცენტი შეადგინა. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში კი — 20 პროცენტი. ამასთან, კოლმეურნეობა პირად მეურნეობას როდი ზღუდავს, პირიქით, გამოყოფს მიწებს საძოვრებისათვის, კოლმეურნეებს ეხმარება ტრანსპორტით, ზრუნავს საქონლის ჯიშთა გაუმჯობესებაზე კერძო სექტორში. და მაინც საკარმიდამო ფართობი დამხმარის სტატუსს ინარჩუნებს და საზოგადოებრივი მეურნეობის მოთხოვნებს როდი ეწინააღმდეგება.

სწორედ აქ უნდა ვეძიოთ შრომითი დისციპლინისა და კოლმეურნეობის საწარმოო წარმატებების ეკონომიკური ფესვები. დ. გულიას სახელობის ინსტიტუტის თეორეტიკოსებმაც ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში არსებული სამეურნეო ანგარიშისა და ბრიგადული იჯარის გამოყენების მაგალითი იმ სტრუქტურის სახედ დაინახეს, რომელსაც დღეს აგრარული ფრონტის ყველა ხაზზე ეძებენ. თუმცა, აქ სჯობია სიტყვა თვით მათ დავუთმოთ.

„მრგვალი მაგიდის" გარშემო საუბრის დასაწყისში, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ო. ხვინგიამ სრულად განმარტა, როგორც ეკონომიკის განყოფილების თანამშრომელთა ერთთვიანი მივლინების ამოცანები ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობაში, ასევე საკუთრივ თავისი პოზიციებიც. ამოცანას წარმოადგენდა შეესწავლათ, რაში მდგომარეობს ეკონომიკური მიზეზები და რაში კერძომესაკუთრული ტენდენციის გამოვლენის ფორმები სოციალიზმის პირობებში არა ზოგადად და აბსტრაქციაში, არამედ აფხაზეთის კოლმეურნეობებისა და კერძოდ ორჯონიკიძელთა კონკრეტული გამოცდილების მაგალითზე. აღნიშნულმა კოლმეურნეობამ ყურადღება მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლებით როდი მიიქცია, არამედ იმითაც, რომ წარმატებები ჭეშმარიტად კოლექტიური პრინციპების დამკვიდრების წყალობით იქნა მიღწეული.

წამყვანის პოზიცია მაშინვე გაცხადდა, შეიძლება ითქვას, რომ მისი არსი მთელი სიცხადით გაშიშვლდა ორჯონიკიძელთა გამოცდილების იმ „ინდივიდუალური მენარდეობის" ფორმებთან დაპირისპირებისას, რომელსაც, ო. ხვინგიას აზრით, ღრმად და საფუძვლიანად აქვს გადგმული ფესვები მრავალ მეურნეობაში. შეუძლებელია არ შეამჩნიო, — განაგრძობს ო. ხვინგია, რომ კერძო საკუთრება, რომელიც საზოგადოსაგან არ იღებს სათავეს, თავის თავში თვითმიზნად გადაქცევის უნარის მატარებელია. ეს სოციალისტური ხასიათის დაკარგვაა, თავისი თავშეუკავებელი მომხვეჭელობითა და საგნებისადმი მონური მორჩილებით, ცხოვრების მეშჩანური ხასიათით იგი კერძო საკუთრების თვისებებს იძენს... ინდივიდუალური მეურნეობა პრაქტიცისტთა რეტროგრადული დანადგარია, რომელიც საკოლმეურნეო წესდებას, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას ეწინააღმდეგება. დადგა დრო, უარი ვთქვათ, ყოველივე იმაზე, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას.

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ბუნინამ კოლეგის მხარდასაჭერად უფრო თავშეკავებული პოზიცია ირჩია. მის გამოსვლაში ვფიქრობთ, ნაკლები სიმკაცრე და მეტი რეალიზმი იყო. ხშირად გვსმენია შრომის ინდივიდუალური ფორმის უპირატესობაზე საკოლმეურნეოსთან შედარებით, — აღნიშნავს ნ. ბუნინა — ეს უმეცრების ცრურწმენაა. გავრცელებული ცრურწმენა, რადგან კულტურების მოსავლიანობა პირად სექტორში გაცილებით მაღალია, ვიდრე საზოგადოებრივში. საქმე მხოლოდ იმაში როდია, რომ საკოლმეურნეო შრომა ნაკლებპროდუქტიულია. მიზეზი სხვაა — მისი მძლავრი პოტენციალის გამოყენების არცოდნა. საკმარისია „ინდივიდუალშჩინას" შედეგები მოწინავეთა წარმატებებს, მაღალ სპეციალიზებული კოლმეურნეობებისას შევადაროთ, რომ შრომითი თანამშრომლობის უპირატესობაზე ყოველგვარი ეჭვი გაგვიქრება.

თეორიულ-პრაქტიკულად „მრგვალი მაგიდის" შედეგები უდავოა. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას შრომის ორგანიზაციის, კოლექტიური ფორმის გავრცელებისა და სრულყოფის თვალსაზრისით, შეეძლო რესპუბლიკის საბაზო მეურნეობად გადაქცეულიყო.

შედეგი პრინციპულად მნიშვნელოვანია. უტაქტობა და ერთდროულად უნაყოფობაც იქნებოდა ამაზე შედავება, ვერწმუნოთ დიდი პოეტის ნათქვამის ჭეშმარიტებას: „თეორია, ჩემო მეგობარო, ნიადაგ უფერულია, სიცოცხლის ხე კი მარადიული სიმწვანით ხარობს..."

ვიდრე ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობას დავემშვიდობებოდე, უკანასკნელად თვალს ვავლებ მასალას, რომელიც დავით გიორგის ძემ მთხოვა. ეს მასალა რამდენიმე ისეთ დეტალს შეიცავს, რომელიც მაიძულებს რომ დავუფიქრდე.

როგორც აფხაზეთის ტურიზმისა და ექსკურსიის საბჭოს ხელნაწერი გვამცნობს, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე 68 წელს სტრაბონი იტყობინება, რომ თითქოს დიოსკურიაში (ამჟამინდელი სოხუმში) ბაზრებში ყურძნით ვაჭრობდნენ (სხვათაშორის, სახელგანთქმული ბერძენი სწორედ ამ წელს დაიბადა; მაგრამ იმის შესამოწმებლად, თუ თავის ჩვიდმეტი „გეოგ-

რაფიის" წიგნიდან რომელში წერდა დიოსკურიაზე — დრო აღარ რჩება.

დღეისათვის ყურძნის წარმოების დონე მოთხოვნას 80 პროცენტით აკმაყოფილებს (საინტერესოა, რომელი მეთოდით გამოთვალეს? მე, ალბათ, თავიდან გადავითვლიდი სოფლებსა და ქალაქებს ბრესტიდან მაგადანამდე, სადაც ყურძენი ვერასოდეს ვერ აღწევს, ანდა — უმნიშვნელო რაოდენობით მარაგდება. შემდეგ დავითვლიდი ცენტრებსა და რეგიონებს, სადაც ლამის ასევე აფთიაქის დოზებით ნაწილდება და დარწმუნებული ვარ, 8 პროცენტი უფრო ახლოს აღმოჩნდებოდა სინამდვილესთან, ვიდრე — 80. უფრო სარწმუნო იქნებოდა თუ ვიტყვით, რომ ყურძენზე მოთხოვნილება არსებითად დღითიდღე იზრდება. ამასთან, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, თუ რამდენი გვილპება გზად, მაღაზიებში, საცავ ბაზებში.

დასკვნა კი ასეთია: კოლმეურნეობა, რომელსაც გამოჰყავს ჩხავერი, ოჯალეში, ცოლიკაური და ყურძნის საუკეთესო ქართულ ჯიშების გარდა ფონდში აქვს ევროპული და შუააზიური ჯიშებიც, რომელმაც თავის ფართობზე გააშენა სოფლებში ემიგრანტული, მძიმე წლების გადაშენების პირას მისული ეს აფხაზური ჯიში, წარმოადგენს საქართველოს ეროვნული კულტურის, უძველესი, სტრაბონამდელი კულტურის წმინდათაწმინდა საცავს და ამასთანავე კოლმეურნეობის კოლექციასაც, რომელიც მეორეა რესპუბლიკაში, თავისი სრულმნიშვნელობით მუზეუმის და ნაკრძალის უფლება უნდა მიენიჭოს, ყოველი უნიკალური ჯიში კი ვალუტით გაუშვა მსოფლიო ბაზარზე... აი, მაშინ დავა ჩვენს შეგნებამდე, რა ფასი აქვს სერგო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ზვრებსა და დავით გიორგის ძის მოღვაწეობას, ჭეშმარიტი ფასი ადვილად გაირკვევა, თუ თავმჯდომარეს საკოლმეურნეო სასწორზე შეაყენებ, წონა ცენტნერს უჩვენებს. ეს კი ნიშნავს, რომ, თავმჯდომარის ფასი ასი კილოგრამია ბაჯაღლო ოქროთი. ეს ფასი ყოველწლიურად აიწევს, არნახულ პროცენტებს მიაღწევს, თუკი ვისწავლით საკუთარ განძში გარკვევას, მის დაფასებას.

□ დასასრული იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი მარგველაშვილი

# გალაკტიონი და ბლოკი

„გალაკტიონ ტაბიძე და ალექსანდრე ბლოკი“ — ეს პრობლემა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეზღუდულ იქნას ორი დიდი პოეტის შემოქმედების ჩვეულებრივად გაგებული შეხმიანებით, მით უმეტეს, გალაკტიონის ლექსებში ბლოკთან ტექსტუალურ ან პოეტურ მოტივთა ანარეკლის კვლევა-ძიებით. რა თქმა უნდა, ძიების ეს ვიწრო ასპექტიც არ არის სავსებით გამორიცხული და კვლევის ობიექტი ამის შესაძლებლობასაც გვაძლევს; მაგრამ ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტი უნდა იყოს თვით პრობლემის საერთო მასშტაბი, თუ გნებავთ, ის სულიერი ნათესაობა, ის კულტურული და სოციალურ-ზნეობრივი, მე ვიტყოდი, ისტორიული დვრიტა, რომელიც ამოძრავებდა მეოცე საუკუნის ამ ორ ბუმბერაზ მგოსანს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გალაკტიონ ტაბიძე ბლოკისადმი მიმართებაში მარტოხელა როდი იყო ქართულ პოეზიაში, და ჩვენ გავაღარიბებთ თვით გალაკტიონის ფიგურას, თუ საჭიროების შემთხვევაში არ აღვადგენთ იმ „ჯგუფურ პორტრეტს“, სადაც საქართველოს წარმომადგენლებად გვევლინებიან გალაკტიონი და ტიციან ტაბიძე, ხოლო რუსეთისა — ბლოკი, ბალმონტი, ბრიუსოვი და მაიაკოვსკი. სხვა პოეტური პერსონაჟებიც არაა გამორიცხული, რა თქმა უნდა, ამ „პორტრეტის“ საერთო ფონდიდან.

ფართო ასპექტში, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, გალაკტიონისა და ბლოკის ერთი ეპოქის გარკვეულ მონაკვეთზე თანაარსებობა თავისებურად განასახიერებდა ამ ეპოქის ქართული და რუსული სულიერი, პოეტური კულტურების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ნათესაურ ნიშან-თვისებებს. ეს კი თავისთავად ბუნებრივი გაგრძელება იყო მეცხრამეტე საუკუნეში მტკიცედ დამკვიდრებული ტრადიციისა: სწორედ ქართულ ეროვნულ ნიადაგში ფესვგამდგარმა პოეტებმა — რომანტიკოსთა პლეადა იყო ეს, თუ ილიასა და აკაკის თაობა — იგრძნეს ყველაზე ძლიერად სულიერი და პოეტური ნათესაობა პუშკინისა და ლერმონტოვის, შემდგომ კი ნეკრასოვის სამყაროსთან. გალაკტიონმა კი ეს ესტაფეტა ბლოკის ნიშანსვეტამდე მიიტანა.

წინასწარ გავუსვამ ხაზს ერთ საგულისხმო გარემოებას: ქართულმა პოეზიამ — ანდრეი ბელის ერთი ლექსის შემდეგ — ყველაზე უწინ აღბეჭდა ბლოკის სახელი თვით ლექსის სტრიქონში და მანვე პირველმა გამოიტირა ბლოკი ლექსად — მარინა ცვეტაევასა და ანა ახმატოვას ცნობილ ქმნილებებზე ადრე. ვგულისხმობ ჯერ ტიციან ტაბიძის 1915 წლით დათარიღებულ ლექსს „პარკში“, რომლის დასკვნითი სტრიქონი მსოფლიო ლირიკის ბუმბერაზთა სამეულს შეიცავს — „ვიგონებ ვერლენს, რემბოს და ბლოკსო“, შემდეგ კი გალაკტიონის 1921 წლის 8 აგვისტოს შექმნილ პოეტურ რექვიემს, სადაც ქართველი პოეტი უკვდავებისაკენ აცილებს „მშვენიერი ბანოვანის“ ანუ „უნაზესი დამის“ მომღერალს. ამ საკითხს ჩვენ შემდგომ დავუბრუნდებით, მაგრამ უკვე აქედანაც ჩანს, რომ ბლოკის ზემოქმედების არე, ისე როგორც მეცხრამეტე საუკუნეში (და რა თქმა უნდა — მომავალშიც!) პუშკინისა, გამოხმაურებას პოულობდა არაერთ სულიერად მონათესავე კულტურაში, რომელთაგან ქართული კულტურა იმთავითვე მოწინავე ხაზზე იდგა.

გავიხსენოთ აგრეთვე, თუ რაოდენ მკაფიო „ეპოქის ფორმულა“ მოგვცა თვით გალაკტიონმა საპროგრამო „პროლოგში ასი ლექსისა“, სადაც ბლოკის მოვლინებასაც მისცა სათანადო შეფასება და მასთან საკუთარი „შეხების წერტილიც“ მონიშნა:

რა საოცარი დასრულდა წლები!
მეფეთა წყება გაქრა, ვით ლანდი,
მოშორდნენ ტახტებს: ვილჰელმი, კარლოს,

ნიკოლოოზი და ფერდინანდი.
მაგრამ მწუხარედ მათზე კი არა,
სხვაზე იფიქრებს მარტიროლოგი:
იმ მრისხანე წელს პოეტი-მეფე —
გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი, —
ჰანგების მეფე — დიდი სენ-სანსი
და დირიჟორი ნიკიში მძლავრი...
ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი,
მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,
რომ გამომევლო ჯერ არსმენილი
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

ბლოკისა და გალაკტიონის ნათესაობა არც შემთხვევითი გახლდათ და არც „თვითნებური". ორივე დაჯილდოებული იყო უნიკალური მახვილი სმენით, რომელზედაც საოცრადაა მორგებული ჯადოსნური ქართული სიტყვა — *გულისყური*. ამიტომ ბლოკისა და გალაკტიონის შემოქმედება, მთელი მათი პოლიფონიური ჟღერადობით და იშვიათი ჰარმონიულობით, სწორედ მუსიკა გახლდათ ამ სიტყვის იმ უმაღლესი აზრით, რა აზრითაც მუსიკად აღიქვამდნენ ისინი ცხოვრებას, ბუნებას, ისტორიას, რევოლუციას. შემთხვევითი როდი იყო, რომ ზემოთმოყვანილ „პროლოგში ასი ლექსისა" გალაკტიონმა, „პოეტი-მეფის" ალექსანდრ ბლოკისა და საკუთარი მისიის გარდა, კომპოზიტორ სენ-სანსისა და დირიჟორ ნიკიშის სახელებიც დაიმოწმა, რითაც ხაზი გაუსვა ეპოქის ხმოვანების სწორედ მუსიკალურ მხარეს.

საკუთრივ ბლოკის შემოქმედებაც — ყველა თავისი წახნაგით — პოეზია იყო ეს თუ პროზა, დრამა თუ წერილები, მიმოწერა თუ დღიურები — მუსიკად მოგვევლინა ამ ცნების იმავე უზენაესი მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც აღიქვამდა თვით ბლოკი ცხოვრებას, ისტორიას, რევოლუციას.

ალექსანდრე ბლოკის სახელთან მთელი ეპოქაა დაკავშირებული რუსული და არა მარტო რუსული პოეზიის, უფრო მეტიც, კულტურის, საზოგადოების სულიერი ცხოვრების ისტორიაში. არიან პოეტები, რომელთაც დაახლოებით საუკუნეში ერთხელ უწევთ მოვლინება, რათა იკისრონ ეროვნული კულტურის მანამდე განვლილი ხანის შეჯამებისა და ახალი ხანის წამოწყების ისტორიული მისია. ასეთ პოეტად მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს რუსეთს პუშკინი მოევლინა, რომელმაც შეაჯამა და უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა წინამორბედი რუსული კულტურა — „იგორის ლაშქრობის ამბავით" დაწყებული, ვიდრე დერჟავინ-ჟუკოვსკიმდე — და იქვე გადაუშალა მას ახალი ჰორიზონტები, ახალი ყამირი სივრცეები, არა მარტო ბიძგი მისცა მისი თანამედროვე პოეტების მთელი პლეადის შემოქმედებას („პუშკინის პლეადის" სახელით რომ შევიდა ისტორიაში), არამედ მთელს მეცხრამეტე საუკუნეს მოჰფინა თავისი ნათელი, რომელიც სპექტრალურად გარდისახა ლერმონტოვის, ტიუტჩევისა, ნეკრასოვისა და ფეტის პოეზიაში, რათა ახალ „ფოკუსში" მერწყმულს, კვლავ განეგრძო გზა უკვდავებისაკენ. არ იქნება გადამეტებული იმის თქმაც, რომ პუშკინი ისეთივე სულიერ დემიურგად მოევლინა რუსეთს, როგორც საქართველოს — რუსთაველი, რომლის ნათელმა ჯერ ხუთასწლოვანი ბინდის გარღვევით, მეჩვიდმეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა პოეზიის ბურჯთა ნალვაწში არაერთგზის განსხივება-ფოკუსირებისა და კვლავ განსხივების შედეგად, ამჯერად გალაკტიონის პრიზმას მიაკვლია. სწორედ ასევე შეკრიბა და შეისხრუტა საუკუნეთა მიჯნაზე ალექსანდრე ბლოკმა პუშკინის მემკვიდრეთა სულიერი და პოეტური განძეულის გამონაშუქი, დოსტოევსკის გენიის წახნაგზეც გარდატეხა იგი, რათა კვლავ პუშკინისეული კრისტალი გამოევლინა, ახალი სინთეზი მოეხდინა და ახალ ნაყოფთა აღმოცენებისათვის შეექმნა ნიადაგი. და ეს ბლოკის მიერ „ფოკუსირებული" ფერუხვი სინათლის ნაკადი, სასწაულებრივ რომ გაიელვა თითქოსდა გაცოცხლებული პუშკინისეული ბრწყინვალებით, იქვე გადაელოცა კარზე მომდგარ პოეტურ თაობებს — მაიაკოვსკიდან ასეევამდე, ახმატოვადან პასტერნაკამდე, ესენინიდან დემიან ბედნიმდე, ცვეტაევადან კლიუევამდე, მანდელშტამიდან ზაბოლოცკიმდე... თანაც ერთმა პირველთაგანმა ბლოკის ამ „უდიდეს გავლენაზე თანამედროვე პოეზიაზე" მთელის ხმით განაცხადა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ბლოკის ზეგავლენა როგორც მის უშუალო მიმდევრებზე, ისე იმ პოეტურ მიმდინარეობათა წევრებზე, რომელთაც დასძლიეს ამ გავლენის უშუალო ფორმები. მაიაკოვკიმ ეს აზრი ბლოკთან გამოსათხოვარ წერილში გამოთქვა. იმავე ჟამს, ცხრაას ოცდაერთის აგვისტოში, ტიციან ტაბიძემ ანალოგიურ გამოძახილში ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ბლოკის სწორუპოვარი ნიჭის პუშკინისებურ „სპექტრალურ" ბუნებას. „...მისი გენია პუშკინის ჰარმონიით შეიცავდა ყველა შესაძლებლობას..." ამ ანალოგიას პუშკინთან ტიციანი აქვე აღრმავებს და ამდიდრებს მას მათი „მოცარტიანობის" თემით, სხვა ხალხთა სიმღერებისადმი მათი გულისყურით და ყურადღებით: „...არავის რუს პოეტებში ისე არ უგრძვნია რუსული ბუნება პუშკინის შემდეგ, როგორც ბლოკს — ამიტომ შეიძლება ეს „დეკადენტი" პოეტი ყველაზე უფრო ეროვნული იყოს ამ დროის უკანასკნელ რუს პოეტებში. მაგრამ ბლოკს, როგორც პუშკინს, თავისი მოცარტობა და პოეტური ჰარმონიულობა ნებას აძლევდა გაეგო ყველა ქვეყნის სიმღერები..."

ამითაც იყო გამოწვეული საპასუხო, მათ შორის ჩვენი ქართული, გამოძახილიც. ალექსანდრე ბლოკის შემოქმედების არე, ისე რო-

გორც მეცხრამეტე საუკუნეში პუშკინისა, არ განისაზღვრებოდა მხოლოდ რუსეთით და კეთილ ნიადაგს პოულობდა არაერთ მოსაზღვრე კულტურაში, თუ კი ამ უკანასკნელთ გააჩნდათ სულიერი ნათესაობის ნიშნები იმ საკაცობრიო საგანძურთან, სადაც რუსეთსაც შეჰქონდა თავისი ღირსშესამჩნევი წვლილი. ცნობილია, რომ საქართველოს ძველთაგანვე, ყველაზე საშინელი, იძულებით თავსმოხვეული კარჩაკეტილობის ჟამსაც კი, არ ჩაჰკეტვია თუნდ სულიერი „პონტოს კარები", რამაც მეცხრამეტე საუკუნეში „დარიალის კარის" სახე მიიღო თერგდალეულთათვის, ხოლო მეოცე საუკუნის დამდეგს და შემდგომშიც ეს მოვლენა თუ პროცესი შემოქმედებითად და სულიერად გააზრებულ-ათვისებული იქნა ქართველ პოეტთა მთელი წყებით — თვით გალაკტიონითა და ტიციან ტაბიძით დაწყებული ვიდრე სიმონ ჩიქოვანამდე.

როგორც ვთქვით, გალაკტიონისა და ბლოკის ნათესაობა არც შემთხვევითი მოვლენა იყო და არც თვითნებური. თავისი სტიქიური ძალითა და ენერგიით მართლაც რომ ხეისმური და ვულკანური ხასიათის მათი პოეზია, მიუხედავად „შემადგენელი ფენების" განსხვავებული წარმოშობისა, მაინც ერთ ეპოქალურ ეპიცენტრიდან ღებულობდა მამოძრავებელ იმპულსებს. ამიტომ განვლეს ორთავემ თავისებურად „ჯერარსმენილი ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა" და პირველთ აუწყეს თავიანთ სამშობლოს „ქვეყნის გადარჩენის" სიმღერა. ეს პარალელი თვით გალაკტიონმა დააკანონა მოგვიანებით თავის „ჯონ რიდში", სადაც რევოლუციის პოეტური ალქმის ნიშანსვეტებად დაასახელა — მომყავს ციტატი — „თორმეტი" ალექსანდრ ბლოკის, „რამდენიმე დღე პეტროგრადში — ჩემიო", კონკრეტული ფაქტის მიმართ რომ გავიმეოროთ ცნობილი დიალექტიკური ჭეშმარიტება შესახებ შემთხვევითობისა, ვითარცა კანონზომიერების გამოვლენის ფორმისა, მხოლოდ ასეთ შემთხვევითობად უნდა ვაღიაროთ, რომ იმ ისტორიულ ჟამს სწორედ რევოლუციური პეტროგრადი გახდა ადგილსამყოფელი დიდებული პოეტური ტრიუმვირატისა: ბლოკი-გალაკტიონი-მაიაკოვსკი! მართლაც, თუ ბლოკის განთქმული პოემა პირველი ეპიკური გამოძახილი და დასტური იყო ოქტომბრის რევოლუციისა, გალაკტიონის 1918 წლის მოსკოვ-პეტროგრადის შთაბეჭდილებებით შთაგონებული ლექსები ხომ ამავე ისტორიული ძვრის პირველი ლირიკული „გარემოების საყვირი" და ექო გახლდათ მთელს მსოფლიო პოეზიაში. ბლოკის საქვეყნო მოწოდებაც — „მთელის სხეულით, მთელის გულისყურით, მთელის შეგნებით უსმინეთ რევოლუციასო" — სწორედ ამ გენიალურმა სამეულმა (მათ შორის ორმა ყოფილმა ქუთაისელმა მოსწავლემ!) განახორციელა ყველაზე ადრე, ყველაზე სრულად და ყველაზე ღვთაებრივად — ამ სიტყვის უმაღლესი ზნეობრივი და შემოქმედებითი მნიშვნელობით.

რა თქმა უნდა, აღნიშნული ნათესაობისა თუ სულიერი თვისტომობის ძირები უფრო ადრე, ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ხანაში საძიებელი. ანდრეი ბელისადმი გაგზავნილ ერთ წერილში ტიციან ტაბიძე შენიშნავდა: „გახსოვთ, რას წერდა ინოკენტი ანენსკი თავის „ანარეკლთა წიგნში" — ჩემს თაობას დოსტოევსკისა და გოგოლის წიაღში განვლამ უწიაო".

„ბლოკის წიაღში" განვლა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვაგვარად ხდებოდა. ქართული მხატვრული ინტელიგენციის ახალთაობისათვის პირველი საკმაოდ ფართო გაცნობა ბლოკისა მოხდა ალბათ რეაქციის წლებში, 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ (თუმცა მანამდეც, რაღა თქმა უნდა, მისი შემოქმედების ცალკეული ნიმუშები ცნობილი იყო საქართველოში). ყველა ნიშნის მიხედვით, სწორედ გალაკტიონ ტაბიძემ ან მასთან ერთად ალექსანდრე აბაშელმა შეისმინეს უწინარეს სხვებზე მისი ხმა. მათ მოყვნენ მომავალი „ცისფერყანწელებიც", ოღონდ აღიქვეს იგი იმჟამად უმთავრესად მის „დეკადენტურ" ჟღერადობაში, თუმცა თვით ბლოკმა ამ დროისათვის უკვე შორს ჩამოიტოვა თავისი გუშინწინდელი ესთეტიკური ილუზიები თუ ცთომილებანი, არქივს ჩააბარა საკუთარი „დეკადენტობაც", „სიმბოლიზმიც" და „მისტიციზმიც", შეურიგებელი ბრძოლაც კი გამოუცხადა მათ...

და აი 1912 წელს ხვალინდელ „ცისფერყანწელთა" ერთმა უახლოესმა მეგობართაგანმა, სიმბოლიზმის თავდადებულმა თაყვანისმცემელმა, მომავალში კი ცნობილმა კრიტიკოსმა ალი არსენიშვილმა თავისი წერილობითი აღსარების საპასუხოდ მიიღო ალექსანდრე ბლოკის წერილი, რომელიც მისთვის (და მის მეგობართათვის) ალბათ მეტად მოულოდნელად ჟღერდა. მითუმეტეს, რომ მათ ჯერ კიდევ გრძელი გზა ჰქონდათ გასავლელი მოდერნიზმის ლაბირინთებში, ვიდრე იხილავდნენ ჭეშმარიტების იმ სინათლეს, რომელზედაც უკვე იმჟამად ლაღადებდა ალექსანდრე ბლოკის ხმა:

„ჩვენ არც საწუწუნოდ და არც დასასვენებლად მოვსულვართ ამქვეყნად. წინააღმდეგობრივ გრძნობათა, აზრთა და ნებასურვილთა ის ჯადოსნური ხლართი, რაიც ა დ ა მ ი ა ნ ი ს ს უ ლ ი ს სახელს ატარებს, სწორედ იმიტომ ატარებს ამ ს ა ს ი ხ ა რ უ ლ ო ს ა ხ ე ლ ს (დიახ, სასიხარულოს, მიუხედავად იმ საძაგლობისა, რომელშიც ყელამდე ვართ ჩაფლული), რამეთუ იგი ერთთავად უპირატესად მომავლისკენაა მიმართული, ვიდრე წარსულისაკენ, რა თქმა უნდა, წარსულისკენაც, მაგრამ იმდენად, რამდენადაც წარსულში მომავალია დანერგილი. ადამიანი — მ ო მ ა ვ ა ლ ი ა. მაშინ კი, როცა ჭარბობს წარსული, თუნდაც თავის უწმინდეს და უკეთილშობილეს სახეობით, ადამიანს ჩვენს არსებაში... უდარაჯებს ელისეს მინდვრებზე

გადასახლების საშიშროება... თუ კი დღევანდელ და მოდუნებულ ცხოვრებაში ბევრს რაიმეს ნატიფსა და ამაღლებულს არ ძალუძს გვაუწყოს ჩვენ მომავალი — ვუფრთხოდეთ მათ. ვარჩიოთ თუნდაც უფრო უხეში და მდაბიო რამ (ამ ცნებათა, ასე ვთქვათ, კულტურული მნიშვნელობით), თუკი იქ უფრო მძლავრად გაისმის ხმა მომავლისა... მოგმართავთ საკუთარ გამოცდილებიდან გამომდინარე — ვუფრთხი ნატიფ, ტკბილ, სანუკვარ, საყვარელ, ნელამოქმედ შხამ-საწამლავებს, ვუფრთხი და ვაიძულებ თავს დავუბრუნდე უფრო ხადა, დემოკრატიულ საკვებს... აი, ჩემი უკანასკნელი თხოვნაც თქვენდამი: თუ გიყვართ ჩემი ლექსები, დასძლიეთ მათი შხამი, ამოიკითხეთ იქ მომავლის სიტყვა“.

გავიხსენოთ ტიციან ტაბიძის სტრიქონები 1915 წლის „პარკიდან“ —

და ბალაგანის გახსენებაზე
ვიგონებ ვერლენს, რემბოსა და ბლოკს!..

„მოგონება“ ბლოკისა, ლტოლვა ბლოკისაკენ (თუმც უფრო „წარსულისაკენ“, „შხამისაკენ“ მასში, ვიდრე „მომავლისაკენ“) იგრძნობა ტიციანის იმ ლექსებშიც, სადაც მან ბლოკის კვალდაკვალ საკუთარი „ბალაგანიც“ გამართა პიეროთი და კოლომბინათი, ან „ქალდეას ქალაქების“ ციკლში, რომლის შესახებ იგი წერდა ავტობიოგრაფიულ ნარკვევში, საკმაოდ ვრცელ რუსულ-ევროპული პოეტური ფონის მიმოხილვით და ბლოკის სახელისა და ფენომენის საგანგებო მინიშნებით :„...ვიგონებდი რა ქალდეას, როგორც შორეულ წინაპართ მიწაწყალს, მე ისტორიულ საწყისებს უფრო ვეწაფებოდი და თითქმის დავიწყებას მივანებე „ბოროტების ყვავილები“ (ბოდლერისა — გ. მ.); რომანტიზმის ეს ელფერი დიდხანს თანმდევდა მე და მაახლოვებდა ხან ჟიულ ლაფორგთან, ამ ფრანგულ მეინესთან, ხან ალექსანდრე ბლოკთან, რამაც მისცა ზოგიერთ კრიტიკოსს უფლება „ქართველ ბლოკად“ მოვენათლე. მართლაც, მე დიდხანს მიტაცებდნენ ჟიულ ლაფორგიც, არტურ რემბოც, ალექსანდრ ბლოკიც, ანდრეი ბელიც, შემდგომ კი ვლ. მაიაკოვსკი და ბორის პასტერნაკი... ყველაზე ძლიერი იყო ჩემი საბჭოთა პერიოდამდე შექმნილი ლექსების მსგავსება ალექსანდრე ბლოკის ლექსებთან რუსეთზე და ჟიულ ლაფორგთან „ორპირის შემოდგომაში“.

ცნობილ ლენინგრადელ მკვლევარს გალინა ცურიკოვას შესანიშნავ მონოგრაფიაში ტიციან ტაბიძეზე მშვენივრად აქვს განხილული, როგორც ბლოკის „კულიკოვოს ველის“ ციკლის გამოძახილი ტიციანის „ქალდეას ქალაქების“ ანალოგიურ მოტივთა კომპლექსში, ისე ბლოკისეული „ბალაგანის“ სახეთა ვარიაციები ტიციანის შესატყვის პოეტურ რკალში.

როგორც ვიცით, ყველაზე ადრე „მომავლის სიტყვა“ ბლოკის სამყაროში ისევ გალაკტიონ ტაბიძემ ამოიკითხა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მომავალი დამკვიდრდა, ან უფრო სწორად, მაშინ, როცა შენგრეულ იქნა მისი კარიბჭე. „ცისფერყანწელთა“ ლიდერმა ტიციან ტაბიძემ შესძლო იმის ბოლომდე გააზრება, რომ „თორმეტის“ ავტორის პოეზიაში „არის ის აფეთქება, რომელსაც გრძნობს პოეტი, როცა ძველი ქვეყანა ინგრევა და მოდის ახალი, ჯერ მისთვის გაურკვეველი მესია“, რომ „აქ არის ის სიხარული, რომელიც გულწრფელად ამოხეთქავს და აგრძნობინებს პოეტს ძველი... სამყაროს და საპყრობილეს დანგრევას“.

1914 წელს გამოვიდა გალაკტიონის ლექსების პირველი წიგნი, რომელსაც, როგორც ვიცით, თვით აკაკი მიესალმა. ამ წიგნში მკაფიოდ იყო მოხაზული როგორც ის რომანტიკულ-პატრიოტული ტრადიცია, რომელსაც უშუალოდ ეყრდნობოდა მგოსანი (ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი), ასევე ამ წინამორბედ პოეტურ და სოციალური გამოცდილების ზღვართა გამაფართოვებელი ნოვატორობის თავისებური ნიშნები. მაგრამ საგულისხმოა, რომ ქართული პოეზიისა და ქართული ლექსის განახლების, გადახალისების პროცესი ამ წიგნში წამოწყებული იყო მეტად „თავისებურად“: ასე თუ ისე დეკლარირებული ან ფაქტიურად „ჩადენილი“ კლასიკოსებთან კავშირის გაწყვეტის გარეშე — ეს ერთის მხრივ, და მეორე მხრივ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაბატონებული დეკადენტური მსოფლშეგრძნებისა და ესთეტიკურ-ზნეობრივი კოდექსის გაუზიარებლად. თვით სიმბოლიზმის ელემენტებიც კი გალაკტიონის პოეტიკაში სრულიადაც არ მოაზწავებდნენ მისი პოეზიის არსის, სულისა და გულის დეკადანსთან და ესთეტურ მოდერნიზმთან ზიარებას. ალექსანდრ ბლოკთან მისი ბუნებრივი და იმთავითვე აშკარა შეხმიანება ამ მხრივაც იყო საგულისხმო: როდესაც ბლოკმა რუსულ ლექსს ახალი ჰორიზონტები გადაუშალა, მანაც როდი მიმართა გამოწვევით „Не бросил вызова“. პუშკინსა და ლერმონტოვს, ნეკრასოვსა და ტიუტჩევს, პირიქით, სწორედ მათ დაეყრდნო იგი მომავლისაკენ თავის სწრაფვაში. ამიტომაც არაა გამორიცხული და ბუნებრივიცაა, რომ იმ 1912 წელს, როდესაც ბლოკმა მიმართა ახალგაზრდა ქართველ ლიტერატორებს საპასუხო წერილით და დაჟინებით უქადაგებდა მათ, რომ „ადამიანი — მომავალია“ და მოუწოდებდა, თუნდაც მისი ლექსების სიყვარულით „დაეძლიათ მათი შხამი“, „ამოეკითხათ იქ მომავლის სიტყვა“, — იქნებ საიმდროოდ ერთი მგოსანი მაინც, ვისთვისაც ეს შეგონება სავსებით გასაგები და ბოლომდე მისაღები უნდა ყოფილიყო, სწორედ გალაკტიონ ტაბიძე გახლდათ...

მისი წიგნი კი, ასევე გასაგებ მიზეზთა გამო, დარდიანიც იყო, მარტოობის მწუხარებით აღსავსეც, „ნათელი სევდით“ შეფერილიც და,

ამასთან ერთად, მომავლისადმი უდრეკი რწმენით გამსჭვალული...

ბლოკის წერილის კვლავ გახსენება აქაც არ გახლავთ შემთხვევითი. და განა იმიტომ, რომ გალაკტიონნს შეეძლო სმენოდა რაიმე მის შესახებ (მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამ წერილის არსებობაზე), არამედ იმიტომ, რომ მისი სულის „დიალექტიკა“ უცნაურად ეთანხმებოდა ბლოკის სულიერ განწყობილებას. ნუ დავჭერდებით ლიტონ სიტყვებს და შევაჭეროთ ბლოკის ეს საპასუხო წერილი მაშინდელ სტუდენტს, მომავალში კი ქართული სიმბოლიზმის მეტრს ალი არსენიშვილს — გალაკტიონის დაახლოებით ამავე ხანის, ცოტა უფრო გვიანდელ, მიმოწერასთან თავის სანუკვარ საცოლესთან ოლღა ოკუჯავასთან. 1914 წლის თებერვალში იგი წერს ოლიას:

„...რა საჭიროა დარდი და წუხილი? რა საჭიროა, რომ ყოველ წუთში შავი ფიქრები გიტრიალებდეს თავში? უნდა ეცადო, რომ მწარე წუთები ტკბილ წუთებად წარმოიდგინო, უნდა ჩაჰკლა მწუხარება გულში, ჩვენი სიცოცხლე ისე ხანმოკლე და უდღეურია, რომ არავითარი ფასი არ ექნება მას, თუ ისე არ გავატარეთ, როგორც ჩვენ გვსურს... არაფერი იმაზე სამწუხარო არა არის რა, როცა ადამიანი ვერ შეიგნებს თავის მდგომარეობას, ერთადერთი საუკეთესო ხანა ჩვენს ცხოვრებაში— სიყმაწვილეა, ახალგაზრდობაა. როცა ამ ხანასაც სიმწუხარეში ვკლავთ, გვინდა, რომ მწუხარებაში ვიყოთ, ამაზე უფრო სიგიჟე ქვეყანაზე იქნება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მწუხარებით ვალამაზებთ ცხოვრებას, თითქო მწუხარება თვითონ ჩვენ გვალამაზებს და რაღაც ფანტასტიურ არსებებად გვქმნის. ნამდვილად კი ამგვარი მწუხარება და ნაღველი, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, ჩვენ გვამახინჯებს... საშინლად გვამახინჯებს, სასაცილო ადამიანებად გვხდის. ყოველ წუთში ენაზე გვაკერია „ტანჯვა“, „გამოუთქმელი მწუხარება“, „სულის სიცალიერე“ და სხვ. და სხვ. მაშინ, როდესაც ჩვენ, ახალგაზრდები, უნდა გავიძახოდეთ „სიცოცხლე“, „სიხალისე“, „ბედნიერება“-თქო. თუ არც სიხალისეა, არც ბედნიერება, არც სხვა რაიმე, ჩვენ უნდა შევქმნათ, გესმის, ჩვენ უნდა შევქმნათ ბედნიერება. გახსოვდეს, რომ სიყმაწვილე ბედნიერებისთვისაა შექმნილი...“

ამ წერილის ავტორისა და ადრესატის პიროვნებისა და ნატურის გათვალისწინებით, ძნელი არ არის ვივარაუდოთ, რომ ეს შეგონება თვითშეგონებას უფრო წააგავს, ამ სიტყვებს თვით გალაკტიონი უნდა გაემხნევებია — ოლღასთან ურთიერთობა კი მისთვის მუდამ გახლდათ ვაჟკაცური თვითდამკვიდრების წყარო და საყრდენი.

გალაკტიონის მიმოწერიდან მოტანილი ეს ფრაგმენტები თავისებურად გვეხმარებიან იმ წინააღმდეგობრივ გრძნობა-განცდათა ბუნების გააზრებაში, რომელთა მორევშიც იყო ჩაძირული პოეტი აღნიშნულ წლებში. გავიხსენოთ, რომ ეს გახლდათ ცხრაას თოთხმეტის დასაწყისი, როდესაც მისი პირველი წიგნი უკვე ჩაბარდა სტამბას და მზად იყო გამოსაცემად, რომ თუნდაც ამიტომ გალაკტიონის წერილში ჩაქსოვილი თვითირონია, გარკვეულ ფარგლებში, ამ წიგნსაც ეხებოდა, მასში გაბატონებულ მოტივთა ნაწილს მაინც, რომ უკვე ამ წერილში აღვილად ამოიკითხება საკუთარი დარდისა და მწუხარების „ზხამის დაძლევისა ანუ პოეზიისა თუ სულიერი განწყობის ახალ ჰორიზონტებისაკენ გზის გარღვევა-გაკვლევის სურვილი.

...გაივლის გაზაფხული, დადგება ზაფხული — საბედისწერო ცხრაას თოთხმეტის აგვისტო, — და უკვე არა მარტო სანუკვარი სამშობლოს სახე დაილრუბლება — მსოფლიოს იერს დაამახინჯებს საკაცობრიო სასაკლაოს სანახაობა. ერთ ვეება უსასრულო „კოსმიურ გუბედ“ წარმოუდგება პოეტს სისხლის ნაკადებით მორწყული დედამიწა. მაგრამ აქაც არ სტოვებს მას, მკაცრი და მტკივნეული იმედი მომავალი შურისგებისა, ფიქრი სულ სხვა, ნიობას ცრემლებთან შესადარ ნიაღვარზე, რომელიც ადრე თუ გვიან თავს დაატყდება და წალეკავს ამ აშმორებულ გუბე-ჭაობს:

ეს მდინარენი შფოთიანი — ეს სისხლის ღლები
უცებ გაჩერდა — კოსმიური შეიქნა გუბე;
აპოკალიპსის გადაიმსხვრა კლდეებზე ცხენი,
ამოტივტივდა ხვეულების უბიდან უბე.

ირევა ყვითელ ჭაობების ბრმა ზედაპირი,
კრეისერების ნაფოტები, მისი დროშები.
გამორიყული ღამხრჩვალებით სუნთქავს
ნაპირი,
ცოცხალი წარღვნის უდარდელად
გარდამომშვები.
აშმორდა გუბე, მაგრამ მკაცრი საათი რეკავს.
გამოიღვიძეთ! შურისგება არყევს ნიობას —
გადაირღვევა ნაპირები... და გადალეკავს
ძველს, ეხლა მაინც დალუპვის ღირს
კაცობრიობას...

„გუბე გალაკტიონის თხზულებათა პირველ ტომში სავარაუდოდ 1914 წლითაა დათარიღებული. არაა გამორიცხული, რომ ლექსი ცოტა მოგვიანებითაცაა დაწერილი, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, არა უგვიანეს ცხრაასჩვიდმეტის ოქტომბრისა (ამას მოწმობს თვით ლექსის შინაარსი). მით უფრო საგულისხმოა, რომ მთავარი მისი ხატი აშმორება და ხრწნა, რაც მსოფლიო სასაკლაოს განასახიერებს, სავსებით ეთანხმება მსოფლიო ომის ბლოკისეულ აღქმას, გადმოცემულს პირად წერილებში (დედასა და მეუღლეს) 1917 წლის გაზაფხულზე: „მსოფლიო ომი — უტვინობაა... მე ამას განა მარტო იმი-

ტომ ვამბობ, რომ თვითონ ვიხრჩობი და ვლპები ამ უაზრობაში..." ან: „მაერში ომის ანუ შმორის, ლპობის და გახრწნის სუნი ტრიალებს", „ან: „წყეულ ომს ბოლო არ უჩანს, იგი კვლავ ყარს..." და ა. შ. ამასვე, ამავე დაჟინებულ შედარებათა გამოყენებით, წერდა ბლოკი თავის საქვეყნოდ განთქმულ სამოქალაქო დეკლარაციაში „ინტელიგენცია და რევოლუცია: „ევროპის სასაკლაო... მან ღირსეულად დააგვირგვინა ის სიცრუე, სიბინძურე და საზიზღრობა, რაშიც ბანაობდა ჩვენი სამშობლო... რა არის ომი? ჭაობები, ჭაობები, ჭაობები... ევროპა ჭკუაზე შეირყა: კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი, ინტელიგენციის მშვენება წლობით ამ გუბე-ჭაობებშია ჩაფლული".

მე უკვე არას ვამბობ შ უ რ ი ს გ ე ბ ი ს მოტივზე, რომლითაც გამსჭვალულია ბლოკის წინარე წლების შემოქმედება. ასე თუ ისე, გალაკტიონის წინასწარმეტყველება ეხმიანებოდა ალექსანდრე ბლოკის გრძნეულ წინათგრძნობასაც და ვლადიმერ მაიაკოვსკის ღრმად გააზრებულ რწმენასაც იმისა, რომ — „в терновом венце революции грядет шестнадцатый год". აქ საქმე ზუსტ თარიღში როდია. მაგრამ რაოდენ საგულისხმო იყო მაიაკოვსკის ამ გენიალურ „შარვლიან ღრუბელში" თუნდაც იმ სახე-ხატის წინასწარ განჭვრეტა, რომელიც ბლოკს სამი წლის შემდეგ მოევლინა „თორმეტში", ოდეს რევოლუცია რეალობად იქცა და „ვარდების გვირგვინსაც" აღარ შეეძლო დაეფარა ეკლის გვირგვინი შუბლზე იმისა, ვინც პოეტმა ძველი, „შემზარავი" სამყაროს დაღუპვისა და ნგრევის მოწმედ მოიხურვა გაეხადა

В белом венчике из роз —
Впереди Исус Христос.

არა მგონია, რომ დღეს — აზროვნებისა და კვლევის დღევანდელ დონეზე საჭირო იყოს იმის საგანგებო განმარტება, რომ ლაპარაკია პოეტურ და არა რელიგიურ სახე-ხატზე. გავიხსენოთ თუნდაც ლენინის მიერ „ფილოსოფიურ რვეულებში" დადებითად კომენტირებული ამონაწერი ფოიერბახიდან, სადაც საქმე ეხება რელიგიაში „უბრალო პროზასა" და „პოეზიას" და ნათქვამია, რომ „პროზის" უარყოფა არ უნდა ნიშნავდეს ჩვენს მხრივ უარყოფას „პოეზიისას", ვინაიდან, — ახსნის უკვე თვით ლენინი, — „ხელოვნება არ მოითხოვს თავის ქმნილებათა სინამდვილედ აღიარებას". და ჩვენც, თანამედროვე მკითხველნი თუ მკვლევარები, რომელთაც ყველაზე ნაკლებ გვსურს მითოსში „პოეზიის" ნაცვლად „უბრალო პროზის" დანახვა, სწორედ პოეტური განჭვრეტისა და წინასწარმეტყველების ტრიუმფალურ ნიმუშებს შევიცნობთ გალაკტიონისეულ დაპირისპირებაშიც „აშმორებულ გუბისადმი" „ნიობას შურისგებისა", „ცხრაას თექვსმეტი წლის" სახე-ხატშიც, რომელიც, მაიაკოვსკის ღრმა რწმენით, „რევოლუციის ეკლიან გვირგვინით" შემკული უნდა მოვლენილიყო, და ბლოკის „თორმეტის" საფინალო გამოცხადებაშიც...

გალაკტიონის, ბლოკისა და მაიაკოვსკის ამ მხრივ შეხმიანება კი კვლავ გაისმოდა სხვადასხვა დროს დაწერილ ლექსებში თუ პოემებში, სადაც ყოველი მათგანი „საკუთარ თავზე ირგებდა" „ჯვარცმულის" სახე-ხატს. ჯერ ბლოკმა ილაღადა ეს სამშობლოსადმი ერთ თავის მიმართვაში:

...О том, что было, не жалея,
Свою я понял высоту:
Да, ты — родная Галилея
Мне — невоскресшему Христу.
И пусть другой тебя ласкает,
Пусть множат дикую молву:
Сын Человеческий не знает
Где преклонить свою главу.

მეორე ლექსში („Осенняя любовь"). ეს მოტივი კიდევ უფრო გაძლიერებულია იმით, რომ ქრისტესავით ჯვარცმული მგოსანი პირისპირ ხვდება ნამდვილ იესო ქრისტეს და მათი ბედიღბალია აქ შეჯვარებული:

Когда в листве сырой и ржавой
Рябины заалеет гроздь, —
Когда палач рукой костлявой
Вобьет в ладонь последний гвоздь, —

Когда над рябью рек свинцовой,
В сырой и серой высоте,
Пред ликом родины суровой
Я закачаюсь на кресте, —

Тогда просторно и далеко
Смотрю сквозь кровь предсмертных
слез
И вижу: по реке широкой
Ко мне плывет в челне Христос.

В глазах такие же надежды,
И то же рубище на нем.
И жалко смотрит из одежды
Ладонь, прибитая гвоздем.

Христос! Родной простор печален!
Изнемогаю на кресте!
И челн твой — будет ли причален
К моей распятой высоте?

მაიაკოვსკიმ კი იქვე, „ეკლის გვირგვინიანი" „ცხრაას თექვსმეტის" განჭვრეტის უმალ, თავი „გაგვაცნო" თუ „წარმოსდგა" ჩვენს წინაშე როგორც ამ ეკლის გვირგვინოსანის თავისებური ორეული ანუ მისი „წინამორბედი":

А я у вас — его предтеча,
я — где боль, везде,
на каждой капле слезовой течи
распял себя на кресте.

ხოლო, როცა აღსრულდა გარდუვალი და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, მან მწარე ირონიით მიმართა ღვთისმშობლის ხატებას:

Видишь — опять
голгофнику оплеванному
предпочитают Варавву?

დაბოლოს გალაკტიონ ტაბიძემაც, ამავე ტრაგიკული ხატისა თუ სიმბოლოს პოეტურ არსთან შეხმიანებით მოგვცა ბლოკის ლექსის თავისებური ვარიაციული პარალელი, რათა დაეხატა ან ეწინასწარმეტყველა საკუთარი ბედიღბალი:

დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია,
თუ დრო არის, დროს ისევ შენ შეჰფერი.
და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია,
მე ტფილისი ავირჩიე ბებერი.

მაგრამ ქრისტეს გოლგოთა ხვდა წილადა,
მე კი ჩვენი დამიფარავს მთაწმინდა.
მანდილი ჩანს ისევ იმ მანდილადა,
მხამსაც შევსვამ შენგან მოწვდილ სასმითა.

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ ბლოკის კიდევ ერთ ლექსში, როგორც გვახსოვს, მოხაზულია სურათი ჯვარცმული პოეტის მდინარის წყლებში ჯვარცმულ იესოსთან შეხვედრისა. საინტერესოა, რომ გალაკტიონის ერთ დაახლოებით ამავე მოტივებზე აგებულ ლექსში ნაჩვენებია ზღვაში ნავზე მცურავი ტანჯული პოეტის შეხვედრა ჯვართან, რომელიც, თუ „დამხსნელი" არ აღმოჩნდა რაღაც სასწაულით, კვლავ „ჯვარცმას" მოასწავებს პოეტისათვის:

გატყდება ნავი მშფოთვარე ზღვაზე,
ატყდება კვნესა, ოხვრა საზარი,
და ამ დროს, როგორც ლანდი, ჩვენება,
შორს გამოჩნდება დამხსნელი ჯვარი.
წინ, მეზღვაურო! თუ იგი ჯვარი
მართლა დამხსნელი არ არის შენთვის,
მასზე წამებას და მწარე ჯვარცმას
მაინც იპოვი მუდამ, ყოველთვის...

დავუბრუნდეთ თვით ქრისტეს მითოლოგიურ, ამჟამად კი პოეტურ სახე-ხატს. ბლოკის, მაიაკოვსკისა და გალაკტიონისათვის თანაბარ თვისტომი და საერთო თვითგაიგივება ამ ტრადიციული სახე-ხატთან იმდენად სანუკვარი აღმოჩნდა ქართველი პოეტისათვის, რომ იგი მომავალშიც არაერთხელ მიმართავს მას; ბევრად გვიანაც, ოდეს მწარე ირონიით დაფიქრდება ზოგიერთ თანამოძმეთა ღალატზე, რომელთაც მან ჭეშმარიტების ნათელი გაუზიარა —

ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა
იქნებ მომავალს შვებას მოუტანს?
იქნება ღამის ალმაცერობა,
მე ეხლავ ვამჩნევ ერთგულ იუდას.
ვინ უღალატებს ბოჰემის სუფრას?
ღვინო — სტიქიის არის საგანი.
ერთი ამ რჩეულ თორმეტთაგანი
სამარადისოდ გაიტანს უფროსს.

ცოტა ადრეც, სადაც პოეტი კვლავ ზღვის სივრცეში უთანაბრდება „ჯვარცმულს", როგორც ზემოთ დამოწმებულ 1918 წლის ლექსში:

იწვება სული ხილვის ტაროსზე,
როგორც პოეტის თეოდეცეა,
აფრააშვებულ გემის აროზე
მისი მკაცრი ხმა ცივად ეცემა...
...ანგელოსები მას შეადარდებს
ქრისტეს ,რომელიც ჯვარზე გაკრულა
და ცას კივილით დაუშვებს ფარდებს
ამ საიქიოს წყევად და კრულვად.

კიდევ უფრო ადრე კი, სამშობლოს ისტორიული ცხოვრების გარკვეული მონაკვეთის გახსენებისას, ოდეს სამშობლოს გზა იყო „დაფენილი მსხვერპლით, ცხედრებით" და „სისხლით სველი", გალაკტიონი, ბლოკის „თორმეტის" ანალოგიით, ოღონდ მისი შვების მომცემი საფინალო ზმანების საპირისპიროდ, დასძენს გულისტკივილითა და მწარე დარდით:
არასდროს ჩვენთან იქ არ ყოფილა ნაზარეველი.
ამ ლექსის ხელნაწერ ვარიანტში ეს სტრიქონი მთავრდება სწორედ ბლოკის პოემის ფინალის მონათესავე სახე-ხატის მოლანდება-გაელვებით:

გველანდებოდა ის მხოლოდ შორით
და გვაწვალებდა ჩვენ მისი ჯავრი.

ისტორიულად სახეცვლილ ვითარებაში კი ასე გარდისახა პოეტის აღქმაში კვლავ „ცეცხლმოდებული" ქვეყნის სურათი:

მოვიდა ვიღაც ცეცხლივით ზანტი,
გადაულოცა გზას ამიდები,
საღლაც წყვდიადში გაჰკრა ასანთი
და ააფეთქა დინამიტები.
ავარდა ალი, მთები იწვიან,
ალმა შფოთიან ზღვას მიუწია,
ქვეყანა ცეცხლმა შორს გაიწვია
და დროს დაარქვა — რევოლუცია.

და აქაც, ამ ლექსის ხელნაწერ შავ ვარიანტშიც, აღმოხდება პოეტს ბლოკთან შეხმიანებული:

და კვნესა ისმის: ქრისტე, მოხედე!

როდესაც საქვეყნო გზაჯვარედინებიდან კვლავ საკუთარ ხვედრს უბრუნდება გალაკტიონი, აქაც მოითხოვს იგი პოეტისაგან, ამ ხვედრის მთელი ტრაგიკული არსის შეგნებით, ხალხის წინაშე გულგახსნილობას და გულწრფელობას, რადგან სწამს, რომ თვით ჯვარცმა პოეტისა ხალხს უნდა ემსახურებოდეს და მისი „ეკლიანი გვირგვინის", ნათელი მას უნდა უნათებდეს და ულოცავდეს გზას:

არის ცხოვრების უსამართლობა
შენთან მოსული მწარე ფიალით,

ის ეკლის გვირგვინს შუბლზე დაგაძდგამს
და შუბლი ელავს სისხლის სიალით.
ნუ დაუმალავ ხალხს ამ იარას,
დადექ იქ, სადაც შუქი ინთება:
ეკლიან შუბლზე უფრო ძლიერი
და მშვენიერი მზე გაბრწყინდება.

უფრო მეტიც: აქ სახე-მოტივთა ათინათი მისსავე, გალაკტიონისეულ, აწ კლასიკურ სტრიქონებისკენაცაა გაწვდილი და თითქოს უხმობს კიდეც მათ:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი სდგას ანგელოსი!
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი.

განა ყოველივე ეს კვლავ არ ადასტურებს ამ დიდ მგოსანთა აღთქმასა და შემოქმედებაში საკუთარი ხვედრის, პოეტის მისიისა და რევოლუციის ქარტეხილთა ერთ ისტორიულ, ზნეობრივ და პოეტურ კომპლექსში ნათესაურ თანაარსებობას?

„ნუ დაუმალავ ხალხს ამ იარასო" — ლაღადებს პოეტი და იმეორებს ამავე მოტივს არაერთ ლექსში:

ნუ იცქირები გარეშემო,
ვით დასასჯელი,
გახსენი გული, უთხარ მეგობარს...
...იყავ გულწრფელი,
გაიგონე ხმა ანთებული
და სასიცოცხლო ჰპოვე საგანი...

ან თუნდაც:

შენს მოწოლებას, შენს სიმთაყლერას
ყურს უგდებს ხალხი სულგანაბული
და გრძნობებს ფარულს, როგორც
სიყვარულს
ის აორკეცებს გამოწაფული.
უყვარს მას ეს ხმა, გამოშუქება
მიმავალ დღეთა დიდი დიდების,
მასში განითქვა მრავალი სიტყვა
ბრძოლათა მძლავრთა გაბედითების.

ეს შედარებით გვიანდელი ლექსებია. მაგრამ ასე იყო რევოლუციამდეც და მის შემდეგაც. სამშობლო — ეს ხომ ხალხია. და მას შემდეგ, რაც მიჩუმდნენ აკაკისა და ვაჟას ხმები, არავის რევოლუციის წინადღის ქართულ პოეზიაში სამშობლოს გრძნობა არ გამოუხატავს ისეთი ძალით, როგორც გალაკტიონს. ასევე, რუსულ პოეზიაში მის თანამედროვეთა შორის ყველაზე ღირსეულად ბლოკმა ზიდა ეს ძვირფასი ტვირთი. საგულისხმო ისიცაა, რომ, მსგავსად ბლოკისა, გალაკტიონ ტაბიძემ ამ გრძნობის გამოხატვაში არსად არ გამოიჩინა დეკლარაციებისკენ მიდრეკილება. უფრო მეტიც, მისთვის არაა ჩვეული თუ დამახასიათებელი თავისთავად სავსებით გასაგები და [illegible] მისწრაფება-სურვილი ისტორიულ მოტივთა, ან ისტორიულ პიროვნებათა ლექსში გაცოცხლება-გაშუქებისა. გალაკტიონის პატრიოტიზმი კიდევ უფრო ღრმა და უნივერსალურია, იგი არ ინაწევრება საფეხურებად თუ ნიშანსვეტებად, იგი თითქოს ერთიანად მოიცავს მშობლიურ მიწა-წყალსა და ზეცას, როგორც ეს თვით პოეტს აღმოხდა ბევრად გვიან ერთ თავის ლირიკულ ლაღადისში სწორედ ამ დროთა ხარვეზებში დაუნაწევრებელ და განუყოფელ სასწაულის ხილვისას:

შეხედე, რა ცაა! —
ეს არის, რაცაა!
...შეხედე, რა ზღვაა!
ო, ეს ზღვა სულ სხვაა:
გულია, მიწაა!..
რა ცაა, რა ცაა!

და აი, ახალ ისტორიულ პირობებში, ყველა იმ კორექტივის გათვალისწინებით, კონკრეტულ რეალობას რომ შეაქვს ნებისმიერ „ტიპოლოგიურ" სქემაში, გალაკტიონს საქართველოში და ალექსანდრე ბლოკს რუსეთში წილად ხვდათ მიელოთ ის „ლერმონტოვისეული", „გერცენისეული", „ბარათაშვილისეული", „აკაკისეული", ესტაფეტა სულიერი ცხოვრება-ქმედობისა ახალი რევოლუციური აღმავლობის ზღურბლზე ანუ იმ პროცესისა, რომლის უმტკიცეს პოეტურ ფორმულად რჩება ბლოკისავე განთქმული სტრიქონები:

Презренье созревает гневом,
А зрелость гнева есть мятеж.

იქუხა ამ ჭანყმაც... და — როგორც ეს არაერთხელ მომხდარა ქვეყნად მანამდე — გამოვლინდა და თავი იჩინა იმანენტურმა კანონზომიერებამ: პოეზიამ ხელი გაუწოდა ისტორიას, მხარში ამოუდგა მას, გახდა მისი წინამორბედიც და მისი პირმშოც, მისი წინასწარმეტყველიც და მისი სტიქიონის მკვიდრიც. აქ კი, როგორც ვთქვით, თვით შემთხვევითობაც გადაიქცა კანონზომიერების განაღდების საშუალება. გალაკტიონ ტაბიძე, ქართული რევოლუციური პოეზიის ხვალინდელი ლიდერი და დღევანდელი გულთმისანი, რევოლუციური ქარიშხლის „მეცხრე ტალღის" აზვირთების ჟამს, აღმოჩნდა მისი სტიქიის ეპიცენტრში — პეტროგრადსა და მოსკოვში, ქართველ პოეტთაგან იგი ერთი „უსმენდა რევოლუციას" მის პირველწყაროსთან.

ოქტომბრამდე კი, სამშობლოში, საქართველოში, თავის სავარდო და სამაისო ქუთაისში შეისმინა გალაკტიონ ტაბიძემ მეფის ტახტის, ცარისტული იმპერიის დამხობის აღმაფრთოვანებელი ცნობა, რამაც იმავ დღეებში სულმოუთქმელად დააწერინა, წამოაძახებინა, წამოამღერებინა „დროშები ჩქარა!" ეს ლექსი უკ-

ვე 18 მარტს დაისტამბა ქუთაისის ახლადგამოსული სოციალ-დემოკრატიული გაზეთის პირველსავე ნომერში და ქართველი მკითხველი დაეწაფა სტრიქონებს, რომელთაც ქართული პოეზიის კლასიკურ ფონდში შესვლა ელოდათ. ერთიმეორის უსწრაფესად იწერება და ისტამბება გალაკტიონის რევოლუციას შეგებებული ლექსები. ჯერ გაისმა თითქოს ლითონისგან ჩამოსხმული სონეტში გუშინდელი თვითმპყრობელობის მიმართ წყევლა-შეჩვენება და მოწოდება, მის ნაცვლად კაცობრიობის საუკუნო იდეალთა — თანასწორობისა და თავისუფლების — დამკვიდრებისა:

...კუბოებისთვის მეკუბოვეთ ხე აღარ ეყოთ,
ხე არ ყოფნიდა მეფეს კაცთა ჯვარზე
საცმელად...
მაგრამ გამოჩნდა სიხარული კაცთ
დასახსნელად...
ამხანაგებო! განახლების ზარმა დარეკა,
ტახტი დაეცა და იმედად ქოსზე დგება:
თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!

პირველად როდი გვხვდება გალაკტიონთან ცნება „ქაოსისა", რომელსაც თან ახლავს მომავალი ჰარმონიის ელფერი. გავიხსენოთ თუნდაც ერთი წლის უკან აჟღერებული მისი სტრიქონები „დედამიწაზე", რომელიც ჯერ „ბნელდებოდა, იძირებოდა თითქო არა აქ, არამედ შორს, სხვა ქაოსებში", მაგრამ პოეტმა კი სულ სხვა ჩვენებები და ხმები იხილა და შეისმინა ამ „ქაოსებში":

ო, როგორ მესმის მე სიჩუმე ამ ნანგრევების,
როგორ მაღელვებს მე ყოველთვის იგი
სიჩუმე...
მასში იდუმალ ძილიერით ძინავს ახალ ქაოსებს
იგი ღელვაა დაფარული, უჩინარ ცეცხლის.

ბლოკი წერდა თვრამეტი წლის იანვარში — თვით „დედამიწაზე" თუ არა — მშობლიური მიწის დიდებულ შვილებზე: „დიადნი ხელოვანნი რუსეთისა — პუშკინი, გოგოლი, დოსტოევსკი, ტოლსტოი — იძირებოდნენ სიბნელეში, მაგრამ მათ შესწევდათ ძალა ამ ბნელში ყოფნა-ლოდინისა: რამეთუ სწამდათ ნათელი, სწამდათ სინათლე, მათ სცნეს იგი. ყოველი მათგანი, ისევე, როგორც ხალხი, რომელმაც ისინი გულით ატარა, კბილების ღრჭენით, სასოწარკვეთით, ხშირად კი სიძულვილით ეხეთქებოდა ბნელეთს, მაგრამ მათ იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ა ხ ლ ე ბ უ რ ა დ მ ო ე წ ყ ო ბ ა, ვინაიდან ს ი ც ო ც ხ ლ ე, ც ხ ო ვ რ ე ბ ა მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ა". გალაკტიონმა დაინახა თუ როგორ დ გ ე ბ ა ქ ა ო ს ზ ე თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა; იგი ხატავდა „ქაოსებში" ჩაბნელებულ, სიბნელეში ჩაძირულ დედამიწას, მაგრამ განჭვრეტა ნანგრევებში „მძინარე ა ხ ა ლ ქ ა ო ს ე ბ ს ა ც", რომელთაც უნდა ეშვათ „ღელვა დაფარული" და „უჩინარი ცეცხლი". სხვაგან იგი წერდა: „ჩვენ გავიარეთ ლაბირინთები და ქაოსიდან გზებზე გავედით"; ხოლო გვიანდელ „კოსმიურ ორკესტრში" პირდაპირ გაუწოდა ხელი ბლოკს; „ო, კოსმიურო, ერთადერთო მძლავრო მუსიკა! ...ამ ქაოსიდან მოევლინა ახალი მუზა ყველაფერს, რაც კი ახსნილია და გასაგები..."

საოცარია ორი დიდი სულიერად მონათესავე პოეტის ეგზომ კონკრეტული შეხმიანება. არც ბლოკმა ამოიწერა ყოველივე ეს გალაკტიონიდან (თუნდაც ქართულის არცოდნის გამო!) და არც გალაკტიონმა ბლოკიდან (რადგან, უმრავლეს შემთხვევაში, უფრო ადრე დაწერა თავისი სათქმელი). მაგრამ ყველა ეს მობოდიშება თუ ახსნა-განმარტება ზედმეტი და მიამიტურია — ორივემ ამოიკითხა თავისი სათქმელი ყოფიერების წიგნიდან ანუ ისტორიის წიაღიდან, ვინაიდან მათთვის საცნაურ იყო თვით სული მუსიკისა — ჰარმონია და რიტმი — რაც აწესრიგებს სამყაროს. ისინი მგოსნები იყვნენ და სცნობდნენ თავიანთ მგოსნებს. ბლოკი — პუშკინსა და გოგოლს, გალაკტიონი — რუსთაველს და მათაც, რა თქმა უნდა. ბლოკს რომ სცოდნოდა რუსთაველი — მას გალაკტიონთან რუსთაველისეული „გზა და ხიდი" შეაერთებდა. გალაკტიონი ულრმესად ჩასწვდა პუშკინს და პუშკინმაც შეახვედრა და შეამტკიცა ისინი. ბლოკი უკვე 1921 წლის თებერვალში წერდა თავის განთქმულ გამოსვლაში პუშკინზე „პოეტის დანიშნულების შესახებ", რომელიც მის სულიერ ანდერძად შეიძლება ჩაითვალოს (თუ არას ვიტყვით იმაზე, რომ ეს იყო ყველაზე ღირსეული სიტყვა პუშკინზე გოგოლისა და დოსტოევსკის ნათქვამთა შემდეგ); „რა არს პოეტი?.. შვილი ჰარმონიისა... რა არის ჰარმონია? ჰარმონია საქვეყნო ძალთა თანხმობაა, ქვეყნიერი ცხოვრების წესრიგი. წესრიგი — კოსმოსია საპირისპიროდ უწესრიგობისა — ქაოსისა. ქაოსი შობს კოსმოსს, სამყაროს, გვასწავლიდნენ ძველი მოაზროვნენი, კოსმოსი — პირმშოა ქაოსისა, როგორც დრეკადი ტალღები მკვიდრი ნათესავნი არიან ოკეანეს ვეება ზვირთებისა... ქაოსი შობს კოსმოსს; სტიქია მალავს თავის წიაღში კულტურის თესლებს; უსაწყისობიდან იქმნება ჰარმონია. პოეტი — პირმშოა ჰარმონიისა..."

ასე ამგვარად, ერთი თვის შემდეგ თებერვლის რევოლუციიდან გალაკტიონი ხედავს, რომ „იმედად ქაოსზე დგება თანასწორობა... თავისუფლება", ქაოსი, რომელიც შობს ჰარმონიას. „ბებიაქალად" კი ამ „მშობიარობისას" უნდა ყოფილიყო ის, რასაც უწოდებდნენ თავისუფლებას ანუ რევოლუციას. ამ ჰარმონიის დამკვიდრების მოლოდინით არის გამსჭვალული გალაკტიონის არაერთი ლექსი, რომელიც იმ მღელვარე და ქარტეხილიან დღეებში იშვა. ზემო-

ხსენებულ, ბლოკთან შეხმიანებულ ფილოსოფიურ-ზნეობრივ კონცეფციისა და ისტორიის ალქმის გაუთვალისწინებლად იქნებ ძნელი გასაგებიც იყოს პოეტის თუნდაც ასეთი ცხრაას თვრამეტ წელს წარმოთქმული ლირიკული მონოლოგი:

რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო
ღელვებს,
ვიცი: ახლოა ის, ვისაც ველი.
მას სამოსელი ბრწყინვალების და
გამარჯვების
მოაქვს მებრძოლი პოეტისათვის.
დასცხრით, ტალღებო, მზე ამოდის
ალმოსავლეთით
მზე მოდის არა ერთი და ორი.
დამშვიდდით, როგორც მე ვარ მშვიდი ამ
მოლოდინში.

აქაც სწორედ ჰარმონიის ზეიმი იგულისხმება და ის რომ პოეტი — ჰარმონიის პირმშოა.

მაგრამ ჯერ ხომ კიდევ ბობოქრობდნენ „ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა". მათ ჰშვეს ბლოკის „თორმეტნი". მოსკოვისა და პეტროგრადის შთაბეჭდილებებმა ჰარბი საკვები მისცეს გალაკტიონის პოეზიასაც და ჰშობეს მთელი რკალი ლექსებისა, რომლებიც მსოფლიო პოეზიის მასშტაბით რუსეთის რევოლუციის თანადროულ უძლიერეს უშუალო მხატვრულ გამოძახილად უნდა ჩაითვალოს ბლოკის „თორმეტსა" და ჯონ რიდის „ათ დღესთან" ერთად, რომელიც, პუბლიცისტურ ქრონიკად მოევლინა მაინც და არა საკუთრივ მხატვრულ ქმნილებად. ამ ლექსებს, თავიანთ ერთიანობა-მთლიანობაში, ჯერ კიდევ ელის უფრო ღრმა აღქმა, შესწავლა, წვდომა და დაფასება. თვით გალაკტიონმა კი მშვენივრად იცოდა ამ ქმნილებათა ფასი და ადგილი ხელოვნების მაშინდელ ასპარეზზე და აკი თავისსავე პოემაში „ჯონ რიდი", 1918 წლის მოსკოვის აღწერისას, პოეტური ქრონიკის მწკრივში, დროისა და მოვლენების სახასიათო ნუსხაში ასახელებს იგი მოსკოვური შთაბეჭდილებებით დაბუნძლულ თავის ლექსს „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები", ხოლო რევოლუციური პეტროგრადის ასეთივე აღწერისას კვლავ იძლევა საგულისხმო რიგს: „ქიმერები ნევასთან, უდაბური პეტერბურგი, სმოლნი, „თორმეტი" ალექსანდრ ბლოკის, „რამდენიმე დღე პეტროგრადში" — ჩემი".

„როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები" — რევოლუციური სტიქიონის აზღვავების გადმომცემი პოეტური სიმფონიაა ჭეშმარიტად. მისი რიტმიც, მისი სახეებიც, მისი ინტონაციური ხლართიც, მისი შინაგანი, თვით სიტყვით ბოლომდე გამოუთქმელი თრთოლვა და მღელვარება, ჟრუანტელი და ზანზარი — უფრო მეტყველი და ზუსტია, ვიდრე უზუსტესი ნატურალისტური აღწერით გადატვირთული ტომები ბელეტრისტიკისა. თითქოს და ბლოკის „თორმეტში" კამერტონად აჟღერებული ქარი — „ветер, ветер на всем божьем свете" — თვითონვე ალაპარაკდა და ახმაურდა აქ, სიტყვა გამოსტაცა დროებას, ჟამთასვლას, ისტორიასა და თავისი სათქმელი იდალადა ქართველი პოეტის ლექსით:

ეს მე ვარ, ქარი, ეს მე ვარ, ქარი!
დავქრივარ ბარად, ვოცნებობ მზეზე...
ერთმევა ფერი ყვითელ არეებს,
მე დაჭრილი ვარ, როგორც აფთარი.
დამჭრეს! ეს მე ვარ! ეს მე ვარ, ქარი,
გამიღეთ კარი, გამიღეთ ჩქარა!
მე მომდევს ცივი საშინელება,
მე მომდევს ჩემი ცოდვილი გული.
ჩემთვის უცხოა სითეთრის რკალი
და ნათელივით არის აშკარა
იუდას სახე, კაენის ლანდი
და ღამეების შავი გუგუნი.

აქაც იგივე პოეტური „განტოლებაა": როგორც ბლოკის „თორმეტში" — იმ „ქარში, ქარში" — გამოჩნდნენ ჯერ რევოლუციით შობილნი თორმეტნი, ხოლო მათ მიუძღოდა „იესო ქრისტე", აქაც, გალაკტიონთან, „ქარისთვის" აშკარაა სახე იმისა, ვინც „ქრისტე" გაყიდა. ასე დაუახლოვდა ამ მხრივაც, ამ მოტივთა ჯაჭვითაც ბლოკის „ქარი" გალაკტიონის „ქარს".

ამავე დროს, ამ „ღამეების შავ გუგუნთან" ერთად, გალაკტიონის გენიალურ ლექსში არანაკლები სიცხადითაა კრისტალიზებული იმის შეგნებაც, რომ —

დაეცა კრემლი! და ნაფოტებად
იქცა წარსულთა ტანჯვათ მიზეზი.

ხოლო უკვე პეტროგრადით შთაგონებულ „მოგონებაში" ყრუ შესახვევისა" პოეტმა ახეთივე ღამის აღწერისას, უხვად დაღვრილ სისხლშიც შეიცნო მისი ჭეშმარიტი სათავე — „იუდას სახისა" და „კაენის ლანდის" საპირისპირო პირველწყარო — სითბო და სიყვარული —

უსაზღვრო ღამე, ღამე და ყინვა,
ქუჩაზე მიდის სისხლი ღვარული,
ამ სისხლში არის არა დაცინვა,
არამედ სითბო და სიყვარული...

ჩვენ ვხედავთ, რომ „ათმა დღემ", რომელთაც — ჯონ რიდის თქმით — „შესძრეს სამყარო" — გალაკტიონ ტაბიძის სამყაროც შეაზანზარეს, ბლოკის სამყაროსთან ერთად. მოსკოვისა და პეტერბურგის შთაბეჭდილებებმა დააჩქარეს ამ ძვრების პოეტური განსხეულება.

და აი, პოეტი, რომელსაც საკუთარი თვალით ნახული, თავისივე ყურით შესმენილი და გულით განცდილი მოვლენები რევოლუციისა არ

შეიძლება რომ შორს დარჩენილ, დროებით ამ მოვლენათაგან მოწყვეტილ სამშობლოსათვის არ მიესადაგა და მიეზომა, წერს პეტროგრადიდან ქართველ მეგობრებს თავის პოეტურ ეპისტოლეს:

ო, როგორ მინდა მეგობრებო, თუნდაც ერთი დღით
ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება.
ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალოთ ფრთები,
განა არ არის საშინელი საცოდაობა,
ისეთ ქვეყანას — როგორც ჩვენი საქართველოა —
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?
ვულკანიური ორკესტრივით უნდა ისმოდეს
გრძნობათა ჩვენთა და ოცნებათ ძლიერი ქნარი.

გალაკტიონის „პეტროგრადული" სტრიქონები იმითაც არიან საგულისხმონი, რომ სწორედ ამ ხილვათა ფონზე და ასეთი ნათელხილვის მადლით შეაღწია მის გულში და მის პოეზიაში ლენინის სახებამ: დასტურ იმ ლექსში, სადაც თავისებურ დასკვნითს ჰანგად იყო აღერებული რევოლუციურ რუსეთის მოგონებათა უკანასკნელი გამოძახილი, გაისმა ამ რევოლუციის ბელადის სახელიც:

გახსენიბების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი"
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი.

ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით (და გვითქვამს კიდეც ეს არაერთხელ), რომ გალაკტიონის „დალანდი" იყო პირველი დასტამბული ლექსი მსოფლიო პოეტურ ლენინიანაში, თანაც აღერებული რევოლუციის მოვლენათა უშუალო გამოძახილად, მათი ქარტეხილის წიაღში, სამი წლით ადრე, ვიდრე ეს რევოლუცია თვით პოეტის სამშობლოში გაიმარჯვებდა.

ქარბუქის, ზარის და ზათქის, რევოლუციური კატალიზმებისა და ისტორიის სეისმური ძვრების აღქმა პოეტის მიერ, რა თქმა უნდა, არ უნდა ყოფილიყო და არც იყო გეომეტრიულად სწორხაზოვანი, მხოლოდ გონების ლაბორატორიაში ნალოლიავები. გალაკტიონი არ იქნებოდა დიდი პოეტი, რომ თვით მის გულს და მის ლექსს არ შეექმნა გენიალური, ცინცხალი გრძნობით აღქმული მოდელი იმ ეპოქალური მოვლენებისა, რომლის მომსწრე გახდა იგი. ამიტომაც მისი „რამდენიმე დღე „პეტროგრადში", ისევე, როგორც ბლოკის „თორმეტნი", ჟღერდა არა მოვლენათა ზერელე პოეტბად, არამედ თვით „რევოლუციის მუსიკის" ერთულეს პოეტურ პარაფრაზად:

ქუჩა სიავის გრძნობამ შეფიფქა,
თან მეფიცება ძმობას და დობას
და ყორანივით უცნობის სკრიპკა
ჩემს მხართან ტირის უამინდობას.
...და როგორც ყორანს დააქვს ბრჭყალებით
ჰაერში ნაზი ხელები ქალის, —
სიმები სწეწენ შეუწყალებით
ამ გაგიჟებას, ვედრებას, ხალისს.
წყებათ დალეწილ ზარების დარდი,
დაღლილ ცხენების სუნთქვა და შური.
მე, ნოემბერი და პეტროგრადი —
ასეთი კარგი და უდაბური.
და მარტოობამ სხვა ქალაგებით
გაიგო ჩემი: ვარ გაძარცვული.
ამ უცხო ნისლის ბარიკადები
მე მიყვარს, როგორც ჩემი წარსული.
ათოვს გამვლელებს და გულცივ ბაღებს.
სად უნდა ვნახო აქ თავის თავი?
ვიღაცა დაჰქრის და ცეცხლს აჩაღებს,
მეც ყაჩაღივით ვარ გამბედავი.

„სისხლიანი ყინულეთის" საშინელება კი შეეძლო გაენათებინა მხოლოდ მტკიცე რწმენას და მომავლის ნათელხილვას, თვით „პეტერბურგის ტრაგიზმის მარშის" მიზანთა-მიზანის შეცნობას, „ღამისა და ყინვის" მიღმა აღმართულ სულიერ შენობათა წინასწარ განცდას:

გემის ბაქანზე ვიდექ მარტო, მინასებრ მწვანე —
ყინულთ კედლები აწვებოდნენ გემს მაღალ მხრებით:
შეუბრალებელ და ურყეველ ბარიერებით
გადაიკეტა მომავლის გზა მოტორტმანე,
იდგნენ ყინულის სასახლეთა მუნჯნი გროვანი,
ყინულის მთები და კოშკები მაღალ თაღებით,
რაც იყო თვალით სანახავი, ხელშესახები,
ისახებოდა ვით ქალაქი ყინულოვანი.
მკრთალ-მოზურმუხტე, სავსე მთვარის დაღლილი სახე
ცივზე-ცივ ნათელს ყოველივეს აწვევდა ზეწრად,
და იმ ნათელში, იმ საოცარ წამში, უეცრად
მაღალ ანძასთან ხელში დროშით შენ დაგინახე!
შენ დაგინახე, სიცოცხლისა გენიავ ჩემო!
როგორც კი გულმა სიახლოვის შეიგრძნო ძლევა,
დამაყრუებელ ხმაურობით დაიწყო ნგრევა,
რაც კი ყინულთა გარემოცვა იყო გარშემო.
...სადღაა ყინულთ ქრიამული და ქარის სტვენა?

ო, მომავლის, დიად რწმენის კარგო ბუნება...
შენ შეგიძლია დღეთა ჩვენთა შემობრუნება,
მშვენიერ დღეთა შეგიძლია მომმადლო ენა!

ძნელი მისახვედრი არაა, რომ ამ ლექსის ადრესატიც — „მაღალ ანძასთან ხელში დროშით შენ დაგინახე! შენ დაგინახე, სიცოცხლისა გენიავ ჩემო!“ — იგივ ადრესატია „დალანდის“ ცნობილი სტრიქონისა — „შენ და მოსკოვი. პეტროგრადი, ლენინი, კრემლი“: იქაც და აქაც პოეტი მიმართავს თავისი ცხოვრების თანამგზავრს, რომელიც მისთვის რწმენის განსახიერება და მისივე მომნიჭებელიც იყო — ოლია ოკუჯავას (მისადმი ამ დროს მიძღვნილი ლირიკული ტრიადა კი წამოწყებული იყო ლექსით „ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს“).

დავუბრუნდეთ პეტროგრადის ლაიტმოტივს, რომელიც ეგზომ აკავშირებს გალაკტიონს ბლოკთან (ორივეს ერთად კი პუშკინთან). ჩვენ უკვე ვახსენეთ და ნაწილობრივ განვიხილეთ გალაკტიონის 1917-1918 წლებში შექმნილი ლექსები, რომლებიც რევოლუციურ პეტროგრად-მოსკოვის მოტივებს მოიცავენ. მაგრამ რევოლუციური პეტროგრადის თემა კვალდაკვალ გასდევს გალაკტიონს მთელი მისი შემოქმედების მანძილზე, თითქმის 1957 წლამდე. მაგალითად, იმავე 1921 წელს, როდესაც გალაკტიონმა ბლოკი გამოიტირა („აღარ არის მენესტრელი“), მან პეტროგრადის ხილვებსაც უძღვნა ერთი საგულისხმო ლექსი — „ცაზე ლეგიონი სცურავს ვარსკვლავების“, — სადაც იქაური „სფინქსიც“, „ხიდებიც“, ხელნაწერის შავ ვარიანტში კი „თეთრი ღამეებიც“ ელანდება პოეტს. მაგრამ, რაც მთავარია, კვლავ ის რევოლუციური „ცეცხლი“ და „გათენება“ [illegible] (ხელნაწერის შავ ვარიანტში [illegible] დღეები“):

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაზე ლეგიონი სცურავს ვარსკვლავების,
მთებში ელვიძება ხეთა ათასეულს,
სფინქსის ეპარება ფიქრი გამკლავების
ლანდებს, ხიდეების სიგრძივ გადასეულს...
...აი, სანახავი, თუ გსურს, დიდებული —
მართლაც მშვენიერი, კარგი სანახავი...
ღამე კოცონებად შემოკიდებული,
ალი, მდინარეზე გადასანახავი.

ვიცნობ ამ ნაპირთა ასავალ-დასავალს,
მაგრამ ყველაფერი ენით არ ითქმება,
რომმე მოგიყვები მათ თავგადასავალს,
და თმა, გათენებავ, ყალყზე დაგიდგება.

მანამ შენს თანაბარს გზები დაუფარჩოს,
შუქთა შეკაზმვას და ალთა გაჩენებას,
იმ სწრაფს, იმ სანატრელ მერანს გაუმარჯოს,
იმ ცეცხლს გაუმარჯოს და იმ გათენებას!

„მსოფლიო დღეები“ საშავო ვარიანტის სწორედ ამ დასკვნითს სტრიქონებშია ჩაქსოვილი:

იმ დღეებს, იმ მსოფლიო დღეებს
გაუმარჯოს,
იმ ცეცხლს გაუმარჯოს და იმ გათენებას!

მრავალმხრივ საგულისხმო ისიც კია აქ, რომ „მსოფლიო დღეების“ პარალელურ ანუ შინაარსობრივად ტოლფას ვარიანტად პოეტმა „სანატრელი მერანი“ შეარჩია, რომელიც მისთვის, როგორც ყველა ქართველისათვის, მუდამ მომავლისკენ სწრაფვის სიმბოლო გახლდათ.

☐ დასასრული იქნება ☐

# კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ მაღლაფერიძე

## არჩილ ჯორჯაძე

### შესავალი

XX საუკუნის პირველი თხუთმეტწლეული უაღრესად რთული და საინტერესო პერიოდი იყო რუსეთის იმპერიაში საერთოდ და საქართველოში კერძოდ. სოციალურ, ეკონომიურ, სამხედრო-პოლიტიკურ თუ სხვა რიგის პრობლემებს, რომლებიც საიმდროოდ ცხოვრებამ წამოაყენა და დაუყოვნებლივ ითხოვდა მოგვარებას, საქართველოში ემატებოდა კიდევ ერთი უმტკივნეულესი პრობლემა: ე რ ო ვ ნ უ ლ ი.

1905 წლის რევოლუციამ, რომელსაც ვ. ი. ლენინმა „ოქტომბრის რევოლუციის გენერალური რეპეტიცია" უწოდა, ნათელი გახადა, რომ სისხლზე და მახვილზე დაფუძნებული ტახტი რომანოვებისა სულსა ღაფავდა და დიდხანს ველარ იბოგინებდა. ამას კარგად გრძნობდნენ მაშინ ძალზედ მომრავლებული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ერთმანეთთან გაფთრებული პოლემიკით ცდილობდნენ საკუთარი თვალსაზრისის დაცვას და ხვალინდელი დღის განჭვრეტა-პროგნოზირებას.

საქართველოში ასეთი პარტია, ძირითადად, ორი იყო: ე .წ. „მესამე დასი", რომელიც დაარსების შემდეგ, ცოტა მოგვიანებით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის განუყოფელი ნაწილი შეიქნა. აგრეთვე, პარტია სოციალ-ფედერალისტებისა, რომელიც ზუსტად ჩვენი საუკუნის დასაწყისში (1901 წ) ჩამოყალიბდა და რომელსაც ეროვნულ საკითხში, სოციალ-დემოკრატების მემარჯვენე ფრთისაგან (ნ. ჟორდანია, კ. წერეთელი და სხვანი), მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა. ამ პარტიას აქტიურად ემხრობოდა მამულიშვილურად განწყობილ ინტელიგენტთა და გლეხთა ფართო წრეები, აგრეთვე, მუშათა გარკვეული ნაწილიც. აღსანიშნავია, რომ რევოლუციის შემდეგ, ხსენებულ ინტელიგენტთა მოზრდილი ჯგუფი, ეროვნული ისტორიის, ლიტერატურისა და, საერთოდ, კულტურის უაღრესად თვალსაჩინო მოღვაწეებად მოგვევლინენ. საკმარისია დავასახელოთ ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კიტა აბაშიძე (გარდაიც. 1917 წ.), დიმიტრი უზნაძე,, ფილიპე გოგიჩაიშვილი, შალვა ნუცუბიძე და მრავალი სხვა. აგრეთვე, XX საუკუნის თითქმის ყველა თვალსაჩინო მწერალი, რომელთა სახელებს სადღეისოდ კრძალვითა და პატივისცემით წარმოთქვამს მთელი ქართველი ერი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის აღიარებული ლიდერი, ზნეობრივი და ინტელექტუალური მედროშე არჩილ ჯორჯაძე იყო.

არჩილ ჯორჯაძე არ არის პოპულარული სახელი ჩვენში, მას, შეიძლება ითქვას, სრულიად არ იცნობს მკითხველთა ფართო საზოგადოება და მისი მემკვიდრეობაც, დღესდღეობით, სპეციალისტთა ვიწრო წრის ანაბარად არის მიტოვებული.

ამას, რაღა თქმა უნდა, აქვს თავისი მიზეზი: აქ, უპირველეს ყოვლისა, ის მიზეზი უნდა მოვიხსენიოთ, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა უნიათო რეზონიორებს, მენშევიკებს, ძალა-უფლება ციურ მანანასავით გაურჯელად ჩაუვარდათ ხელში, ბუნებრივია, ღირებულებათა ტოტალურ გადაფასებასაც შეეცადნენ და სწორედ ამიტომ, ნაადრევად გარდაცვლილი არჩილ ჯორჯაძე (1918 წ.), როგორც იტყვიან, ჩრდილში აღმოჩნდა, რადგან იგი, თავის დროზე (ამას ქვემოთ დავინახავთ), მოუნელებელი იდეოლოგიური მოწინააღმდეგე იყო ნოე ჟორდანიასი და ძმათა მისთა.

მენშევიკების შემდგომ კვლავ შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია და იმდროინდელი მთავრობის ზოგიერთი ხელმძღვანელის სუბიექტური მოსაზრებებისა გამო (მათ ხომ საკუთარ თავზე ჰქონდათ გამოცდილი არჩილ ჯორჯა-

ძის მსუსხავი პოლემიკური ისრები), აგრეთვე, ვულგარული სოციოლოგიზმის განუკითხავი პარპაშის ვითარებაში, როცა „რაპპელები“ მზად იყვნენ საკუთარი მამაც კი ჯვარს ეცვათ, თუკი მათ პრიმიტიულ დოქტრინებს არ დაეთანხმებოდა, არჩილ ჯორჯაძე, ბუნებრივია, ისევ ჩრდილში დგას, მის ღრმა ცოდნასთან, დარბაისლურ მსჯელობასთან, ჭეშმარიტად მამულიშვილურ პოზიციებთან, რაც, ეს ხაზგასმით უნდა ითქვას, ბევრ რამეში სავსებით თანხვდება ჩვენი სახელმწიფოს ამჟამინდელ თვალსაზრისს, ნაჩქარევი დოქტრინებით ბრძოლა ძნელი იყო და ამიტომ ნაცად, გარნა ნაზრახ მეთოდს მიმართეს მაშინაც: არჩილ ჯორჯაძე საერთოდ მიაჩუმათეს, ხოლო ვითარება ისე წარმოსახეს, თითქოს იგი არც კი არსებულიყო. ამავე დროს, მავანი სქელშუბლა კრიტიკოსები უხვად „სესხულობდნენ“ აზრებს მისი ნაშრომებიდან, ცხადია, ავტორის მიუთითებლად.

იცის ისტორიამ მსგავსი პარადოქსები, საუბედუროდ, იცის!

ასე წამოვიდა ეს ბნელი ინერცია ოციანი წლებიდან, იგორა, იტრიალა და, დღევანდლამდე მოვიდა. სწორედ ამიტომ, როგორც ითქვა, არჩილ ჯორჯაძის სახელი თითქმის არაფერს ეუბნება თანამედროვე ქართველ ინტელიგენტს. არადა, სამწუხაროა! კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე სანთელივით დაანავლა საქართველოს უკეთეს მერმისზე ფიქრში, რომლისთვისაც აზრი და საქმე განუყოფელი ერთიანობა იყო, კია ღირსი, მის ნაწერებს კითხულობდნენ, ხოლო სახელს პატივისცემით იხსენიებდნენ. მით უმეტეს, რომ ყოვლად შეუძლებელია XX საუკუნის პირველი მეოთხედის საზოგადოებრივ-კულტურული ვითარების ოდნავ მაინც ობიექტური ასახვა, თუ არჩილ ჯორჯაძეს ჯეროვანი ადგილი არ დაეთმო ამ პროცესში.

რაღა თქმა უნდა, ყოველივეს მისი ნაწერებიდან, სადღეისოდ, თანაბარი მნიშვნელობა არ აქვს. ეს ბუნებრივიცაა: ისეთი, აბა, ვის რა დაუტოვებია ამ ქვეყნად, რომ შთამომავლობას აწონდაწონისა და განსჯის გარეშე, პირდაპირ დროშად აეზიდოს, თუ ეს თაობა მართლაც დოგმატიკოსი და ტვინგაყინული არაა. დიახ, ზოგიერთი რამ არჩილ ჯორჯაძის ნააზრევიდან მოძველდა და მხოლოდღა ისტორიის კუთვნილება შეიქნა, მაგრამ ჩვენ ხომ ვალდებულნი ვართ მის შემოქმედებაში მოვიძიოთ სწორედ ის „რაციონალური მარცვალი“, რაც მარადჟამული გამძლეობით არის აღბეჭდილი და, აქედან გამომდინარე, სადღეისოდაც მისაღებია და საჭირო.

ახლა, როცა ჩვენს ცხოვრებაში, როგორც იქნა, დადგა აგრერიგად ნანატრი დიდი გარდაქმნების ჟამი, როცა მოვლენებზე სრულიად ახლებური, რაც მთავარია, ჭეშმარიტების ადეკვატური შეხედულებები უნდა გამოვიმუშაოთ, მოვალენი ვართ, ჩვენი ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთსაც ობიექტური მსჯავრი დავდოთ და ყოველივეს მხოლოდ მისთვის კუთვნილი სახელი დავარქვათ. არ შეიძლება მოვითმინოთ ისტორიული ფაქტების ფალსიფიცირება, ანდა ურცხვი მიჩუმათება, რაც ხშირად ხდებოდა ხოლმე აკვიატებული დოქტრინის სახელით. ადამიანური ზნეობა გვავალებს უმადურნი არ ვიყვნეთ წინაპრების მიმართ და დავიწყების ფერფლი მოვაშოროთ ყველა იმ მოღვაწის სახელს, რომლებიც ისტორიის პარადოქსებისა, თუ ამ პარადოქსების ავბედითი ინერციის გამო, დღეს ჩრდილშია მოქცეული და მოთმინებით ელოდება იმ დროს, როცა თავის კუთვნილ, მართლაც რომ სისხლით მოპოვებულ ადგილს დაიკავებს ჩვენი კულტურის ისტორიაში.

ასეთი დრო, როგორც იქნა, დაგვიდგა და ჩვენი ზნეობრივი ვალია ფეხი ავუწყოთ მას.

ზემოთ უკვე ითქვა: არჩილ ჯორჯაძის გარეშე შეუძლებელია XX საუკუნის პირველი მეოთხედის საზოგადოებრივი აზროვნების ობიექტური ისტორიის გადმოცემა. იგი იმდროინდელი საქართველოს ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრში იდგა, ინტელიგენციის აღიარებული ლიდერი და, დიმიტრი უზნაძის სიტყვებით თუ ვიტყვით, „კულტურული ცხოვრების ახალი ხანის შემქმნელი“ იყო.

აი, ამ აზრის დამადასტურებელი რამდენიმე კონკრეტული ფაქტი:

ძვირფასო არჩილ!

დიდის სიამოვნებით წავიკითხე თქვენი წერილი: მოხარული ვარ, რომ ჩვენის თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის აუცილებლად საჭირო საქმე ითავეთ და ჟურნალის წინამძღოლობა გიკისრნიათ. მეც, ჩემდა თავად, შეძლებისდაგვარად, ვეცდები დაგეხმაროთ და ჟურნალში მხურვალე თანამშრომლობით მაინც ჩემი ზნეობრივი მოვალეობა ავასრულო. ვწუხვარ, რომ გზის სიშორე ნებას არ მაძლევს სხვაფრივაც დაგეხმაროთ, რომ ცოტადაც არის მაინც მძიმე სარედაქციო მუშაობა თქვენთვის შემემსუბუქებინა. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა თქვენ მიერ დასახელებული თანამშრომლები თავიანთი რწმენითა და ენერგიით, თქვენთან ერთად გამოაცოცხლებენ ჩვენი საზოგადოების მიძინებულსა და ზანტს აზროვნებას...

თქვენი პატივისმცემელი

ივანე ჯავახიშვილი

პეტერბურგი, 1908, 21. IX[1]

„ქართველ ერს დიდი წინასწარმეტყველი

[1] ნაშრომში მოხმობილი ყველა პირადი წერილი ქვეყნდება პირველად.

ემირვება ცეცხლით შობილი. თქვენ მისი წინამორბედი ხართ. ჩემის ღრმა და გულწრფელი განცდით: ადამიანში მე „ღვთიურობას" ვაფასებ და ამ მხრით მარტო წალვერში თქვენთან შეხვედრა რად მიღირს? აზრთა სხვადასხვაობა ბევრს არას ნიშნავს, მთავარი რამ ღვთიური ცეცხლის ანთებაა... გისურვებთ ყოველს კარგსა და მშვენიერს.

თქვენი გრიგოლ რობაქიძე

1/XI. 1912.

„თავის მოტყუებას ძვირად დაგვიჯენს ისტორია. ჭეშმარიტება, — აი, რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ. და თუ ჭეშმარიტება აუტანელია თავის სიმკაცრით, დაე, მოვკვდეთ, რადგან არ ვყოფილვართ ღირსი ჭეშმარიტებისა და მაშასადამე, არც არსებობისა... რა საჭიროა არსებობა, თუკი რაიმე „აზრს" არ ვახორციელებთ. მამულიშვილობის გადაწყვეტა „ფიზიოლოგიურის ემოციით" ყოვლად შეუძლებელია.

იყავით კარგად! ადამიანის ბედნიერება ღვთიური ვალის ასრულებაშია. ვინც ამ ვალს ასრულებს, იგი უკვდავია და ერთვის მარადისობას. თქვენც ასეთ ვალს ასრულებთ, და მაშასადამე, ვერც უგვანო სინამდვილე გაგიტეხსთ გულს...

თქვენი გრიგოლ რობაქიძე

21/I. 1912

არჩილ ჯორჯაძის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული ილია ჭავჭავაძის მიერ XIX საუკუნეში გადმოსროლილი ფორმულის — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" — XX საუკუნისათვის ახლებურად დამუშავება და განვითარება და დროის კონკრეტულ პირობებისადმი მისადაგება, რაც შემდგომში ძალზე ცხოველმყოფელი აღმოჩნდა და რომლის ნაყოფსაც ჩვენ დღესაც ვიმკით, თუმც კი ისე, რომ არჩილის სახელს არ ვახსენებთ.

არჩილ ჯორჯაძის სახელთან არის დაკავშირებული XIX საუკუნის საზოგადოებრივი აზროვნების პირველი მაღალკვალიფიციური ისტორიის დამუშავებაც. ამ „ისტორიიდან" მრავალ დებულებას დღესაც არ დაუკარგავს პირველქმნილი ელვარება, სიღრმე და მასშტაბები.

არჩილ ჯორჯაძის სახელთან არის დაკავშირებული, აგრეთვე, XX საუკუნის ქართული ესთეტიკური და ფილოსოფიური აზროვნების საეტაპო ღირებულებათა შექმნა, საიდანაც, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართული მოდერნიზმი ამოიზარდა.

დასასრულ, მინდა გავიმეორო: „წარსულს ჩვენ არ ვირჩევთ, რაც გვერგო, ისაა ჩვენი წარსული. მაგრამ წარსულიდან იმის ამორჩევა კი უნდა შეგვეძლოს, რაც ჩვენი კულტურული ფონდის განუყოფელი ნაწილია, რაც გვაგრძნობინებს და გვაზიარებს სულიერი ცხოვრების მაშინდელ დონეს. წარსულზე ფიქრი უნებურად იმის სურვილსაც აღძრავს, რომ დღეს და მომავალში აღარ განმეორდეს ჩვენი მიღწევების შეგნებული გაღარიბება, წარსულის მოღვაწეთა დავიწყება, ერის ისტორიიდან მათი „ამოღება". ესეც ჩვენზეა დამოკიდებული და უნდა მივხედოთ ამ საქმეს. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის აზრის სიმწიფე, ქართული მწერლობის მაღალი პრესტიჟი და ქართველი მწერლის სახელი" (თ. ბუაჩიძე).

* * *

1913 წლის „სახალხო გაზეთის" № 858-ში პირველ გვერდზე, ასეთი ცნობა გამოქვეყნდა:

რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს თავის მკითხველს და ქართველ საზოგადოებას, რომ 21 მარტს, საღამოს 11 საათსა და 35 წუთზე, ბათომში გარდაიცვალა გაზეთის მუდმივი თანამშრომელი.

არჩილ ჯორჯაძე

დასაფლავება მოხდება ქ. ტფილისში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

ამავე ნომერში განცხადებებს ათავსებენ ამხანაგთა და მეგობართა ჯგუფი, ასოთამწყობნი და სტამბის თანამშრომლები, ქართველი მუშები და სხვა. არის ცნობა იმის თაობაზეც, რომ „განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ თავისი თხზულებანი უანდერძა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას". გამოქვეყნებულია, აგრეთვე, სურათი განსვენებულისა: სანდომიან, წვერ-ულვაშიან ახალგაზრდა კაცს ხელი ყვრიმალისათვის შეუბჯენია და საოცრად მეტყველი, ნაღვლიანი თვალებით იმზირება. სურათს ქვეშ მიწერილი აქვს დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი: 1872—1913.

ამის შემდეგ, გაზეთის მომდევნო ნომრებში კარგა ხნის მანძილზე იბეჭდებოდა სამძიმრის დეპეშები, გამოგზავნილი ევროპის, რუსეთისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან თუ სოფლებიდან. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს:

ბერლინი: თქვენთან ერთად ცხარე ცრემლით დავსტირით ძვირფასი მასწავლებლის კუბოს.

გერონტი ქიქოძე

ლაიპციგი: დამწუხრებულნი და დაობლებულნი ვგლოვობთ. დავკარგეთ ერის გუშაგი. ერო, სტიროდე შენს მოამაგეს, ვინდა შეგიხვავს მწუხარეს ან წყლულს? ერო, სტიროდე შენს ჭირისუფალს, შენთვის წამებულს, შენთვის დაკარგულს.

კ. გამსახურდია, ს. შანშიაშვილი და სხვები.

ბერლინი: გზაში გავიგე შეუდარებელი არჩილის გარდაცვალების ამბავი. სიცოცხლე ალსავსე შვენებითა და ტანჯვით. გამფრინდა

მარადისობის წიაღში. უდაბნოსებურმა სიცარიელემ მოიცვა სული.

გრიგოლ რობაქიძე

პეტერბურგი: ვწუხვარ არჩილის სიკვდილს, მაგრამ ახლა მისი ტანჯვა გათავდა. და მისი ხსენება და აღთქმანი მარადი იქნება. ეს მანუგეშებს.

ზურაბ ავალიშვილი

ხარკოვი: დავტირი არჩილს, რომელმაც საქართველოს კულტურული ცხოვრების ახალი ხანა შექმნა.

დიმიტრი უზნაძე

დააკვირდით ამ სიტყვებს: „საქართველოს კულტურული ცხოვრების ახალი ხანა შექმნა“... ასეთი აზრის დაუფიქრებლად წამოსროლა უპატიებელი არასერიოზულობა იქნებოდა, რასაც დიმიტრი უზნაძეს ვერასგზით ვერ დავწამებთ. საიმდროოოდ მას უკვე დაცული ჰქონდა გერმანიაში სადოქტორო დისერტაცია ვლადიმერ სოლოვიოვის მეტაფიზიკურ მსოფლმხედველობაზე.

„სულო ძლიერო, რომელმაც მამობრივი მზრუნველობით გულს ჩაგვინერგე მტკიცე იმედი წამებული სამშობლოს ბრწყინვალე აღდგომისა, იყავ კურთხეულ ამიერიდან!“ — წერს არისტო ქუმბაძე, „სახალხო გაზეთის“ იმჟამინდელი რედაქტორი, ხოლო უსასოო ნაღველით გამსჭვალულ ლექსებს უძღვნიან ი. ევდოშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ფაშალიშვილი და სხვები.

აი, კიტა აბაშიძეც:

„იგი ღრმა, გრძნობიერი ადამიანი იყო და ერთ დღეს, როცა დადგება ამისი შესაფერისი დრო, ჩვენ დავინახავთ მრავალ მომხიბვლელ და საოცარ თვისებას მისი ბუნებისას, რომელიც ჯერჯერობით დუმილის სამგლოვიარო ლეჩაქით უნდა იყოს შებურვილი. ასეთი იყო მისი ნება.

გათავდა ტანჯვა, მაგრამ დაიწყო სულიერი აღდგომა. მისი აზრი ქართველი ერის უფლებების დაცვის შესახებ, „საერთო მოქმედების“ შესახებ, მომავალს ეკუთვნის.

იგი განხორციელდება, ან ქართველი ერი მოკვდება.

და აი, მკვდრეთით აღდგება იგიც, მისი საყვარელი სამშობლოც. თუ არა და, მის აზრთან ერთად დაიმარხება მისი სამშობლოც“.

როგორც ჩანს, არჩილ ჯორჯაძე, პიროვნება და მოაზროვნე, დიდად ხიბლიანი კაცი იყო, მას წარუხოცელი შთაბეჭდილება მოუხდენია სხვადასხვა ადამიანებზე, მათთვის უშურველად გაუნაწილებია გულის სითბო და ინტელექტის სხივმოსილება, ამიტომაც ზოგიერთ მათგანს მოუწადინია კიდეც, რომ მისი ბიოგრაფიული შტრიხები და ადამიანური ნიშატი ქაღალდზე აღებეჭდა, მოგონებათა სახით დაეტოვებინა ჩვენთვის.

ლიტერატურა საკმაო რაოდენობისაა. რაღა თქმა უნდა, ყველას თანაბარი ღირსებები არა აქვს, მაგრამ ერთი დადებითი თვისება თითქმის ყველას გააჩნია: მათი შემწეობით ხერხდება თვალის მიდევნება არჩილ ჯორჯაძის ცხოვრების პერიპეტიებისა ადრეული სიჭაბუკიდან მოყოლებული, თვით უკანასკნელ დღემდე.

ადრეულ ბავშვობის პერიოდს ეხება ექიმ გ. გოკიელის მოგონება:

„არჩილს პატარაობიდან ვიცნობდი: ერთად დავიწყეთ სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში. კოხტა, ცქრიალა, ცქვიტი ბავშვი იყო, ხშირად ნახავდით თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილს, შეკაზმულ ვირზე მჯდომარეს უკან მხლებლით, ხან ერთ მეზობელს შეეჭრებოდა ეზოში, ხან მეორეს.

გიმნაზიაში ცელქი და მოუსვენარი მოწაფე გახლდათ. საწყალ მოხუც მასწავლებელს — მაისურაძეს არჩილისგან ილაჯი ჰქონდა გაწყვეტილი. მახსოვს, ერთხელ მოაბა გრძელი ქაღალდისგან გაკეთებული კუდი და ამრიგად მასწავლებელი წარუდგა ბ. დირექტორ სტოიანოვს. უნდოდათ გაერიცხათ დამნაშავე, მაგრამ ვერ იპოვეს. ჩვენ, ამხანაგებს ძლიერ გვიყვარდა არჩილი და არ გავეცით. ქუთაისის გიმნაზიაში არჩილმა დაჰყო 3-4 წელი. ამ ხანებში მის მშობლებს მძიმე უბედურება ეწვიათ: მოწაფეთადან ჩამოიტანეს ამბავი, რომ ჯორჯაძის ორი მოზრდილი ქალიშვილი, წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსი კლასის მოწაფეები, წყალწითელაში ბანაობის დროს, უეცრად დაიხრჩვნენო. თურმე პატარა არჩილიც იმ დროს წყლის პირას იყო. იმ უბედურმა შემთხვევამ ისეთი მძიმე შთაბეჭდილება იქონია ახალგაზრდა არჩილზე, რომ წარუშლელი დაღი დაუტოვა ცხოვრებაში. ამის შემდეგ მშობლები მალე გაეცალნენ „უბედურ“ ქუთაისს და არჩილიც ტფილისის გიმნაზიაში მიაბარეს“.

დგება ახალი პერიოდი ჭაბუკი არჩილის ცხოვრებაში. სწორედ ამ ხანას გვისურათებს ჩვენი მარადდაუვიწყარი თედო სახოკია:

„არჩილ ჯორჯაძე 1891 წელს გავიცანი თბილისში, როცა ის პირველი გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე იყო. დინჯი, დაფიქრებული და თან მეტად სანდომიანი სახის ყმაწვილი კაცი ამხანაგებში გამოირჩეოდა და მთელ ჩვენ სიმპათიას იზიდავდა. დედ-მამა, ერთ დროს შეძლებულნი, ადრევე დაეხოცა და ახალგაზრდა არჩილის საზრუნავი იყო საკუთარი თავი, ორი და და ერთი პატარა ძმა, მაშინ რეალური სასწავლებლის მეოთხე კლასის მოწაფე. თვალწინ მედგა, როგორ ზრდიდა და ერთ ღარიბულ სასადილოში როგორ აჭმევდა. თავისთან ერთად, ღარიბულ სადილებს უმცროს ძმას, კერძო გაკვეთილებში აღებული ფულით (თვეში სამი მანეთი). მთლად მშობლიურ ზრუნვად

გადაჭარბებული, თვით საზრუნავი ახალგაზრდა კაცი!"

გიმნაზიის კურსის დამთავრების შემდეგ არჩილი პეტროგრადის უნივერსიტეტში შესულა. აქ გაუტაცნია ფილოსოფიას, კერძოდ, სარწმუნოებრივ საკითხებს და ჯერ კიდევ სტუდენტობაში ბუდას მოძღვრების შესახებ ერთი სერიოზული ნაშრომიც დაუბეჭდავს რუსულ ჟურნალ „სევერნი ვესტნიკში".

1895 წლითაა დათარიღებული ბარათი, რომელსაც იგი პეტერბურგიდან უგზავნის თავის დას — თამარს.

„დიახ, ძალზე ბევრი და მრავალი შრომა — გარჯაა საჭირო! შენ, თამარ, მშვენივრად გესმის, რომ მხოლოდ წინ უნდა ვიყურებოდეთ. მომავალი ჩვენს წინაა — ყოველივე ჩვენზეა დამოკიდებული — შეგვიძლია სასარგებლონი ვიყვნეთ ჩვენთვისაც და სხვებისთვისაც, საზოგადოებისათვის. მე მწამს, რომ შენ არ დაემგვანები იმ ტვინცარიელ ქალიშვილებს, რომლებიც არისტოკრატიულ წარმატებებს და მოჩვენებით ბედნიერებას დასდევენ".

ამ ნაწყვეტში კარგად ჩანს ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემებზე დაფიქრებული ახალგაზრდა კაცი, რომელიც მზად არის საზოგადოების უანგარო სამსახურისათვის და დასაც იგივეს ურჩევს. კიდევ უფრო საინტერესოა მეორე წერილი, დათარიღებული 1895 წლის 10 ნოემბრით. ეს ბარათი ძვირფას ცნობებს გვაწვდის არჩილ ჯორჯაძის იმჟამინდელ განწყობილებებზე და საბიოგრაფიოდაც ერთობ ფასეულია:

„უნივერსიტეტი მე სავსებით შეგნებულად მივატოვე, ჩემივე ნებით, რადგან პრინციპული წინააღმდეგი ვარ სახელმწიფო სამსახურისა. განათლების თვალსაზრისითაც არაფერი დამიკარგავს, რადგან, ერთის მხრივ, მე უკვე შევიძინე იმდენი, რამდენიც ამ ვითარებაში შემეძლო შემეძინა, მეორეს მხრივ, სწავლულთა და ლიტერატორთა ფართო წრესთან ნაცნობობამ, რომელთა მხარდაჭერითაც მე ვსარგებლობ, ამჟამად საშუალება მომცა დავძლიო და გამოვასწორო ჩემი ჩამორჩენა. რჩება ერთი კითხვა — კითხვა ნივთიერი უზრუნველყოფისა და ლუკმა პურისა. ამ თვალსაზრისით ჩემი საქმეები კვლავ აწეწილია. როგორღაც გამაქვს თავი. ჩემი დიდი ხნის ოცნებაა ლიტერატურული მუშაობა. მაგრამ ჯერჯერობით თავს მომზადებულად არ ვთვლი საიმისოდ, რომ აშკარად ვიმუშაო ამ სარბიელზე. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია შემოვიფარგლო უპრეტენზიო ლიტერატურული შრომით (იქნებ მხოლოდ კომპილაციურით). ვფიქრობ, მოვახერხებ პეტერბურგის ერთ-ერთ ჟურნალის რედაქციაში მოწყობას. ყოველივე ეს, რასაკვირველია, იმიტომ მჭირდება, რომ განსწავლა გავასრულო იმ მიმართულებით, რომელიც განსაკუთრებით შეესატყვისება ჩემს ნიჭსა და ხასიათს. თანაც, ცოცხალ ლიტერატურულ წრეში მომიწევს ცხოვრება.

უკეთესი პირობები სწავლის გასა[illegible]ლად და საკუთარ თავში კულტურული მიდრეკილებების აღსაზრდელად, არც მჭირდება. ამიტომ არ უნდა შეშფოთდეთ იმის გამო, რომ დიპლომი არ მიმიღია. მე დიპლომზე უარი იმიტომ კი არ ვთქვი, რომ ვერ შევიძელი მის მისაღებად აუცილებელი პირობების შესრულება, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მე იგი არ მესაჭიროება, რადგან არ მინდა ვიცხოვრო ბიუროკრატიული და ბურჟუაზიული ცხოვრებით. რომ არც მომიწიოს ჩემი სურვილების განხორციელება, მე მაინც ვამჯობინებ ცუდ ნივთიერ პირობებს, ვიდრე უზრუნველყოფილს, თუკი ეს უზრუნველყოფა საკუთარ სინდისთან კომპრომისისკენ მომიწოდებდა".

წერილის ბოლოს იგი ასე არიგებს დას:

„შენ წარმოდგენაც კი არ შეგიძლია, თუ როგორ მახარებ, ჩემო თამარ, იმით, რომ კითხვის დიდი სურვილი გაგღვიძა. წიგნები ბევრს მოგცემს. მაგრამ წინდახედულად კითხვას გირჩევ. მოპასანის მთლიანად წაკითხვა არა ღირს, დიდი ნიჭიერების მიუხედავად, მაინც ჰუჰყიანია. არც ზოლაზე ღირს მაინცდამაინც ხანგრძლივად შეჩერება".

ამ ბარათში ორი საკითხი იქცევს ჩვენს ყურადღებას: პირველი ის, რომ არჩილი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე მიუთითებს: უნივერსიტეტი სავსებით შეგნებულად მივატოვე, ჩემი ნება-სურვილით, რადგან პრინციპულად წინააღმდეგი ვარ სახელმწიფო სამსახურში ჩადგომისა და მირჩევნია მატერიალურად შეჭირვებული ვიყო, ვიდრე საკუთარი სინდისის ძახილს ვუღალატოო.

მეორე: აშკარად ჩანს, რომ ჭაბუკი არჩილის გულში მკაფიოდ გამოკვანძულა ლიტერატურული მუშაობისკენ ლტოლვა. მართალია, აქ სახელდობრ ნახსენებიც კი არ არის მშობლიური, ქართული ლიტერატურა, არჩილი პეტერბურგის რომელიმე რედაქციაში მუშაობაზე ოცნებობს მხოლოდ, მაგრამ გაივლის სულ ცოტა დრო, სისხლის ყივილი თავისას გაიტანს და მამულის მსახურების უმტკივნეულესი პრობლემა მთელი არსებით წამოიჭრება მის წინაშე. მანამდე კი არჩილმა „მოგზაურობასა და განსწავლის" წლები უნდა გაასრულოს, მოიაროს ევროპა, ბევრი რამ ნახოს, მრავალი შეიმეცნოს, ერთ ხანს ტოლსტოის მოძღვრების მხურვალე მიმდევარი შეიქნეს, ორიოდ წელიწადი ლონდონში დაჰყოს ტოლსტოის მოწაფისა და მათაყვანებელის — ჩერტკოვის წრეში და შემდგომ, რელიგიის საკითხებზე საკმაოდ გულგაგრილებული, პარიზში გადავიდეს, სორბონაში სასწავლებლად.

ჩვენამდე მოღწეულია არჩილის ორი წერილი, ინგლისიდან გამოგზავნილი, დათარიღებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი 1897 და 1898 წლებით. ადრესატი კვლავ საკუთარი დაა, თამარი;

„გწერ ინგლისიდან, სადაც ერთი თვის წინ ჩაველი. პეტერბურგს იმიტომ მოვშორდი, რომ ცხოვრების საზიზღარი პირობები იყო. მეცადინეობას ახლა აქ გავაგრძელებ. იმედი მაქვს, ცხოვრების სახსარსაც აქვე მოვძებნი. ვცხოვრობ სოფელში, ლონდონის სიახლოვეს, ინგლისელი ფერმერის ოჯახში, სადაც ენის ცოდნაში ვიწაფები. გარემოში ბევრი რამ ახალია და საინტერესო, იმედი მაქვს არ მოვინანებ, რომ საბოლოოდ მივატოვე უნივერსიტეტი და ყოველივე ის, რაც პეტერბურგში მაკავებდა. აქ ცხოვრება უფრო ფართოა, უფრო სრული და ღრმაც, ბევრი რამის სწავლა შეიძლება. გავეცანი მრავალ ინგლისელს, რომლებიც განსაკუთრებული ყურადღებით მეპყრობიან. მეც ვმეცადინეობ, ვმუშაობ და ცხოვრებაც ჯერხანობით კარგად მიდის. ზაფხულში ცოტაოდენი ფული დავზოგე — ჯერ არ მიჭირს — კარგია აქ სოფლად, ძალიან იაფად მოვეწყვე. ყოველივე აუცილებელს ვაკეთებ, რომ მომავალი უზრუნველყოფილი მქონდეს.

პირველ ხანებში მანაღვლიანებდა უცხოთა შორის ცხოვრება, შინაურებისა და მეგობრებისაგან მოშორებით. ახლაც, როცა მეცადინეობას მოვრჩები, ხევდა მეუფლება, მოგონებებს ვიძლევი და ვცხოვრობ მოგონებათა სამყაროში, მაგრამ ეს გაივლის და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი ცხოვრება აქ კარგად წარიმართება. მე გავაკეთებ, რის გაკეთებაც მინდა.

ნაწყვეტი მეორე ბარათიდან:

„ამ ხნის მანძილზე მრავალი დაეჭვება მქონდა ცხოვრებაში (ჭორებს ნუ დაუჯერებთ — სიცრუეა, თითქოს მეზარმაცოს). გაზაფხულზე თავს ცუდად ვგრძნობდი. პარიზში გავემგზავრე მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრების ნირი შემეცვალა (დროებით). პარიზში კიდევ იმიტომაც წაველი, რომ მინდოდა იქ ხელოვნების ნიმუშებით შემემოწმებინა ტოლსტოის შეხედულებანი ხელოვნებაზე (აქ გამოვიდა მშვენიერი სრული თარგმანი მისი წიგნისა „რა არის ხელოვნება?“). პარიზში ზუსტად ერთი თვე ვიცხოვრე. იქიდან ლონდონს დავბრუნდი, სადაც აგრეთვე ერთ თვეს დავყავი. ახლა კი ისევ სოფელში ვცხოვრობ (იმასთან ახლოს, სადაც ადრე ვცხოვრობდი). ერთ ხანს მართლაც გაჭირვებული ვიყავი, მაგრამ ახლა არაუშავს — კარგად ვცხოვრობ. ბევრს ვმეცადინეობ. ჩემზე ნუ იდარდებ. საერთოდ, თუ ცხოვრებისა და შრომის სურვილი გაქვს, არ დაიკარგები. მე კი, დროდადრო ძალზე ძლიერად ვგრძნობ ცხოვრების ძალას“ (წერილები დაწერილია რუსულად).

ამ ბარათების უკან დგას 26 წლის ყმაწვილი კაცი, სერიოზული, ფიქრიანი, ცხოვრებისა და ხელოვნების შეცნობას მოწყურებული, ზოგადკაცობრიული კითხვებით მოაზროვნე, მაგრამ ამავე დროს, საკუთარი პატარა ქვეყნის ტკივილებისა და წუხილებისადმი სრულიად გულგრილი. საიმდროოდ საქართველო მისთვის ფიქციაა, შემოუფარგლავი, დაუკონკრეტებელი ცნება, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ იგი ვერც კი ხედავს საქართველოს... მაგრამ აი, ლონდონიდან არჩილი კვლავ პარიზში გადადის და სწორედ ამ ხანებში იწყება მისი, თუ შეიძლება ითქვას, „გამოღვიძება“.

ჩვენ უკვე ვნახეთ ექიმ გოკიელის მოგონებანი ა. ჯორჯაძის ბავშვობის პერიოდზე ქუთაისში. როგორც ირკვევა, იგივე გ. გოკიელი პარიზშიც შეხვედრია არჩილს.

აი, რას იგონებს იგი:

„განვლო დიდმა ხანმა და არჩილს შევხვდი პარიზში 1899 წელს. მას გაეგო ჩემი იქ ყოფნა და თვითონვე მომძებნა. არჩილი ამ ხანებში გატაცებული იყო ლევ ტოლსტოისა და, საზოგადოდ, ფილოსოფიურ-რელიგიური იდეებით. მეტად აღფრთოვანებული გახლდათ ბუდდას და კვაკერების სწავლითა და მცნებით, თავისი სამშობლო კი თითქმის სულ მივიწყებული ჰქონდა. ბუდდას და კვაკერების მოძღვრების შესახებ ბროშურად გადმობეჭდილ „სევერნი ვესტნიკიდან“ თავის შრომას გვაძლევდა ხოლმე ნაცნობ-ამხანაგებს წასაკითხავად. ზოგიერთი ამხანაგი, ამგვარ იდეებით აღტაცებულ არჩილს ხშირად ეუბნებოდა: „კაცო, დაანებე თავი მაგ ბუდდას მცნებას! გაგონილა, ადამიანი მოკვდეს და მისი სული გაცოცხლდეს?“ მაგრამ არჩილი სერიოზული სჯა-ბაასის დროს, თავისი ძლიერი ნიჭის წყალობით, გონიერი და გამჭრიახი პასუხებით, თვით ბუდდას კითხვებშიც მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

იმ ხანებში ჩვენ პარიზში მოგვდიოდა „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, თავისი „მოამბით“. თავისუფალ დროს ხან სახლში, ხან მახლობელ ლუქსემბურგის ბაღში ვკითხულობდით მათ და ვიზიარებდით ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამს. არჩილი დიდის აღფრთოვანებით ჩაებმებოდა ხოლმე სჯა-ბაასში ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის განხილვის დროს და დინჯი, გამჭრიახი და თავაზიანი მსჯელობით მუდამ სჯობნიდა მოკამათეებს. როცა ვუყურებდით ამგვარ უხვად დაჯილდოვებულ პიროვნებას, ვნანობდით, რომ ამისთანა ნიჭიერი, უანგარო, ცოდნის პატრონი არ ემსახურება ჩვენს ღარიბ ლიტერატურას. ეს აზრი ბევრჯერ თვით არჩილისთვის გაგვიზიარებია და კიდევაც გვისაყვედურია: ვურჩევდით, მალე მიეღო მონაწილეობა რომელიმე პროგრესული მიმართულების გაზეთში“.

არანაკლებ საინტერესოა მცირე მოგონება ჩვენი სასიქადულო მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძისა:

„1899 წელს ჩაველი პარიზში, სადაც პირველად ვიყავი და, რასაკვირველია, ქართვე-

ლობას ვეცნობოდი. ამ წლიდან იწყება ჩემი ნაცნობობა არჩილ ჯორჯაძესთან. შთაბეჭდილება ძლიერ კარგი იყო: წყნარი, ცოტას ლაპარაკობდა, თვალებში სევდა ეხატებოდა — თითქოს რაღაცა აწუხებსო. მაშინვე შევნიშნე მისი განსაკუთრებული, ფრიად დამახასიათებელი მჯდომარე პოზა და ხელების დაჭერის მანერა, რასაც ფიზიკური ნაკლი იწვევდა (მარცხენა ხელის მტევანი არ ჰქონდა).

პარიზელი ქართველობა იმჟამად ძლიერ ეტანებოდა სხვა და სხვა სულიერ და პოლიტიკურ საკითხებს. არჩილი მაშინ ისეთ საკითხებს სწავლობდა, რომელთაც ცოტა კავშირი ჰქონდათ მის ბოლო ხნის ნაწერებთან: მისი შეხედულებები მეტად კოსმოპოლიტური იყო. რაც შეეხება ნივთიერ მდგომარეობას, ძლიერ გაჭირვებას განიცდიდა.

დილით ადრე სამხატვრო აკადემიაში მივდიოდი და შინ საუზმისთვის 12 საათზე ვბრუნდებოდი. არჩილი ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ამდგარი. მივადგებოდი ხოლმე მისი ოთახის კარებს და რახუნს დავუწყებდი, თანაც ვფიქრობდი: „რა ზარმაცია-თქო". მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ არჩილი ღამით შეუწყვეტლივ მუშაობდა, ხშირად თურმე 6-7 საათამდე.

რამდენიმე ხნის შემდეგ პატარა ატელიე დავიქირავე და აქ ჭიქა ყავაზე, ან ღვინოზე ერთობოდნენ პარიზელი ქართველი ახალგაზრდები და სამშობლოზე ლაპარაკში ატარებდნენ დროს. არჩილმა ქართული ლაპარაკი ცუდად იცოდა, წერა-კითხვა კი სულ არა. ამხანაგები ურჩევდნენ ქართული ესწავლა.

— როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას მოვისურვებ, მაშინ შევისწავლი კიდეცო.

და მართლაც, გამოცა რამდენიმე ხნის შემდეგ მისმა დაწერილმა წერილებმა. საერთოდ, მას დიდი უნარი ჰქონდა ენების შესწავლისა: თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე".

როგორც ამ მოგონებებიდან ჩანს, არჩილ ჯორჯაძის სულში, ნელა, მაგრამ ჯიუტად მიიკვლევს გზას, წინაურდება და სულ მალე მის პიროვნებასა და მსოფლმხედველობაში მთავარ ადგილსაც დაიკავებს სამშობლოს, საქართველოს პრობლემა, ეს რომ ნამდვილად ასეა, მშვენივრად გვიდასტურებს თედო სახოკიას ჩანაწერი:

„პარიზში არჩილს 1900 წელს ჩავუსწარი პანთეონის მოედანზე, ჰოტელში, რომელიც, სახუმაროდ „ქართველთა სასტუმროდ" იყო მონათლული. ტოლსტოის ფილოსოფიაზე ჯერ კიდევ ხელი არ აეღო, ყოველ შემთხვევაში, მასთან ბაასისაგან იმ შთაბეჭდილებას კაცი ვერ გამოიტანდა, რომ არჩილი საქართველოს ბედილბლის ულელში შეებმებოდა ოდესმე და, კერძოდ, ქართულ მწერლობაში მიიღებდა მონაწილეობას .იმას მაინც ვერ იფიქრებდით, რომ არჩილი გახდებოდა საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის იდეოლოგად და თეორიულ ხელმძღვანელად. ყოველივე ამას ისიც უშლიდა ხელს, რომ ქართული ენა თითქმის დავიწყებული ჰქონდა. ქართულად საყველპურო ბაასს თუძლა ახერხებდა. მოკლედ რომ მოვჭრათ, არჩილი ეკუთვნოდა ქართველი ახალგაზრდობის იმ წრეს, რომელსაც რუსულად ნასწავლ-აღზრდილს, ქართული ფიზიონომია დაკარგული ჰქონდა და თვით საქართველოს პოლიტიკურ კალოს გალეწილად სთვლიდა... ამ წრეს სამშობლოსათვის ზრუნვა, ქართველი ხალხის აღდგენისათვის ფიქრი და მისთვის მეცადინეობა. მეტი რომ არა ვთქვათ, მოცლილი ადამიანის საქმედ მიაჩნდა.

მთელი წელიწადნახევარი, რაც ერთად ვიყავით, დიდ სულიერ ბრძოლას განიცდიდა. 1901 წლის შემოდგომაზე, ერთ საღამოს ვინახულე არჩილი და იმანაც აღსარებასებრ შემდეგი მითხრა: მომბეზრდა ამდენი უგზოუკვლო და, თუ გინდა, უმიზნო ცხოვრება. გადავწყვიტე სამშობლოს დავუბრუნდე. მაგრამ ისე არ მინდა ჩასვლა, თუ წინასწარ რამდენიმე წერილი არ დავბეჭდე „ცნობის ფურცელში" და, ასე თუ ისე, ჩემი თავი არ გავაცანი საზოგადოებას აქედანვეო.

— ქართულად წერა რომ არ იცი, ჩემო არჩილ, როგორ უნდა დასწერო რამ? — ვკითხე.

— მართალია, მაგრამ ერთი-ორჯერ შენ მითარგმნე რუსულიდან, ერთი-ორჯერ ჩემი ქართული გამისწორე და მერე ვნახოთ.

თქმა და საქმის შედგომა ერთი იყო. ორ კვირას თუ ცოტა მეტს, გაგრძელდა ამნაირი მუშაობა. პირველად ძალიან გვიჭირდა, მაგრამ შემდეგ თვითონ ახერხებდა პირდაპირ ქართულად ეწერა. ბოლოს და ბოლოს, მსუბუქი შალაშინის გაკვრაღა სჭირდებოდა მის ნაწერს. როცა პარიზში მოგვივიდოდა „ცნობის ფურცლის" ნომრები, სადაც არჩილის წერილები იყო დაბეჭდილი, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა! ადამიანი გამოცოცხლდა ,გადახალისდა, თითქო ხელახლა დაიბადაო. ახლა კი შემიძლია სამშობლოში დავბრუნდეო, ამბობდა.

1901 წ. დამდეგს არჩილი საქართველოში გამოვისტუმრეთ".

გიორგი ლასხიშვილი, არჩილ ჯორჯაძის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, 1934 წელს გამოცემული მემუარების წიგნში წერს:

„1901 წელს „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვისხედით მე და შაქრო ბილანიშვილი, როცა უეცრად კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა შესახედავად მეტად სიმპათიური ახალგაზრდა, რომელმაც მე მიკითხა. მივეგებე, გამეცნო: არჩილ ჯორჯაძე ვარო. მე მას არ ვიცნობდი, თუმცა ამხანაგებისაგან ცოტა რამ გაგებული მქონდა. არჩილმა გამოთქვა სურვილი ჩვენ გაზეთში მუშაობისა. დიდ ხანს ვისა-

უბრით საიმდროოვო საკითხებზე და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ არჩილი დაიწყებდა მუშაობას, როგორც მუდმივი თანამშრომელი".

ეს ის დრო იყო, როცა მომწიფდა აზრი საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტიის დაარსებისა, წელი 1901. „ცნობის ფურცლის" რედაქციის ირგვლივ თავი მოიყარა იმ ახალგაზრდობამ, რომელმაც შემდეგ ხანებში დააარსა კიდევაც ეს ახალი პარტია.

„ახალ პარტიაზე ლაპარაკი გაცხოველდა, — იგონებს გ. ლასხიშვილი, — როცა ჩვენ წრეში შემოვიდა არჩილ ჯორჯაძე. არჩილი მხურვალე მომხრე შეიქნა იმ ახალგაზრდა ჯგუფისა, რომელსაც საჭიროდ მიაჩნდა სრულიად ახალი და დამოუკიდებელი ქართული პარტიის შექმნა. ერთ-ერთ კრებაზე არჩილ ჯორჯაძემ წამოაყენა საკითხი არალეგალური ორგანოს შესახებ. საქმე ის არის, „ცნობის ფურცელში" მაშინდელი პოლიტიკური პირობების მიხედვით, მეტად გაჭირდა ეროვნულ პროგრამაზე და პირობებზე ლაპარაკი. ამიტომ არჩილის აზრი ერთხმად იქნა გაზიარებული: დავა გამოიწვია მხოლოდ საკითხმა, თუ სად იქნეს დაარსებული თავისუფალი ორგანო არჩილ ჯორჯაძე გატაცებით იცავდა იმ აზრს, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ამგვარ ორგანოს დაარსება საზღვარგარეთ, ბოლოს, გადავწყვიტეთ თავისუფალ ორგანოს შექმნა საზღვარგარეთ და საქმე უახლოეს ამოცანად ვაღიარეთ".

კომიტეტმა არჩილ ჯორჯაძეს დაავალა პარიზშივე დაბრუნება და რედაქტორობა პარტიის ორგანოსი, რომელსაც „საქართველო" უნდა დარქმეოდა. 1902 წლის შემოდგომაზე არჩილი მართლაც წავიდა პარიზში. მას მიჰყვა გიორგი დეკანოზიშვილიც. დეკანოზიშვილმა საგანგებოდ ჩამოასხმევინა მომავალი გაზეთისათვის შრიფტი, „პარიზულად" წოდებული, ხოლო არჩილი შეუდგა წერას, მაგრამ 1904 წელს მას ჭლექი გაუმწვავდა და იძულებული გახდა შვეიცარიაში წასულიყო საექიმოდ. მიუხედავად ავადმყოფობისა, შვეიცარიიდან განაგრძობდა „საქართველოსათვის" მასალების მიწოდებას. ამავე დროს, პარიზში აგზავნიდა პირადი ხასიათის ბარათებს, რომელთა ადრესატები არიან ანეტა ოქრომჭედლიშვილის ქალი და სარედაქციო საქმეების წარმმართველი, გრიგოლ დეკანოზიშვილი. საბედნიეროდ, მოხდა ისე, რომ ამ ბარათების ერთი ნაწილი გადაურჩა დროის მსახვრალ გავლენას და ჩვენამდე უვნებლად მოაღწია. წერილები, რიცხვით თხუთმეტი, უნიკალური ხასიათისაა: მათში ნათლად ჩანს სამშობლოს სიყვარულით გულანთებული კაცი (საიმდროოდ არჩილ ჯორჯაძე 32 წლისაა მხოლოდ!), რომელსაც ხვალინდელი დღისათვის, მისი თავისუფლებისათვის ბრძოლა ცხოვრების უმთავრეს მიზნად გაუხდია. ფილტვები ჭლექით აქვს დაცხრილული, უცხოობაში ეულად მთენილს ხშირად სცივა და შია კიდეც, მაინც არ კარგავს სულიერ წონასწორობას, სიტყვაც კი არ წამოსცდება [illegible] ბაზე, დიდი სიცხით აალმურ[illegible] ცაზე ხელით სწერს პატრიოტულ გზნებით ანთებულ წერილებს არალეგალური გაზეთისათვის და ამავე დროს, პოულობს შინაგან ძალას, რომ სხვებს მოუწოდოს სულიერი მხნეობის შენარჩუნებისაკენ.

სამწუხაროდ, ადგილის სიმცირე ნებას არ იძლევა ამ წერილების ვრცლად ციტირებისა. მოვიყვან ნაწყვეტებს რამდენიმე მათგანიდან:

ანეტა ოქრომჭედლიშვილს:

„კარგი, მეგობრული, გულწრფელი საუბარი, მგონი ერთადერთი ნამდვილი სიამოვნებაა, რომელიც ადამიანის გულში სევდის და ნაღველის კვალს არ ტოვებს. როცა გულწრფელად, გულახდილად ვლაპარაკობ, ან კიდევ სხვა ვინმე მელაპარაკება ამგვარად, ასე მგონია, რაღაც იზრდება ჩემში, ჩემი ვინაობა, არსება მფართოვდება, ორკეცდება და მე მეკარგება მარტოობის გრძნობა, რომელიც თან სდევს თითქმის ყოველ ადამიანს. აზრების და გრძნობების დაგუბება გულში არ ვარგა. ადამიანი იხუთება, ილრჩობა ამ შეგუბებულ ტბაში. საუბარი აზრთა ალებ-მიცემობაა, ის მილია, რომლის შემწეობით გული სხვას აძლევს ნაფიქრს და ნაგრძნობს და სხვისგანაც იმასვე ითვისებს".

უაღრესად საინტერესოა 1904 წლის 16 და 20 იანვრით დათარიღებული ბარათები. მკითხველი განმარტებების გარეშეც მიხვდება, თუ რაოდენ საჭირბოროტო საკითხებს უტრიალებს აქ არჩილ ჯორჯაძე. ამიტომ მე კომენტარებისაგან თავს შევიკავებ; ადრესატი კვლავ ანეტა ოქრომჭედლიშვილია:

„თქვენს წერილებში ორი საგანი მაჯავრებს და სალერღელს მიშლის. პირველი გახლავთ წერის რუსული მანერა (ენას ვიღა ჩივის). ვერ წარმომიდგენია, რომ ქართველი ქალი, რომელსაც რუსეთში თავის დღეში არ უცხოვრია, რომელსაც ქართველი გამდელი ჰყავდა, ვერ წარმომიდგენია, რომ ამ პირობებში აღზრდილი ქართველი ქალი იმ ზომამდე გარუსებულიყოს, როგორც თქვენ ხართ გარუსებული მართალი გითხრათ. მე მანამდე მომდიოდა ჯავრი, თქვენს სუფთა რუსულ კილოს რომ ვუგდებდი ყურს. განსაკუთრებით ბოლმა ივსებოდა ხოლმე, როდესაც თქვენს გვარს ამბობდით უცნაურის გამოთქმით: ოკრომჩედლოვა. მე პეტერბურგში მოსამსახურე ქალები „ყორყაზ.ინს" მეძახოდნენ და ნაკაშიძეს „ნაკაშევიჩს". არ ვიცი, ოკრომჩედლოვა რითი სჯობია ყორყაზინს? იქნება გგონიათ, ეს წვრილმანი და უმნიშვნელოა, მაგრამ ნუ აჩქარდებით... ამ გზით რომ ვიაროთ, ყველანი დავკარგავთ ენას, ლიტერატურას, ხელოვნებას და ამის დაკარგვა ერის სიკვდილს მოასწავებს და ერთი მიბრძანეთ, რომელი სარწმუნოება, ანუ ფილოსოფია ამართლებს ერის განადგურებას?"

მეორე ბარათიდან:

„ჩემს წარსულში, მე ჩემდა თავად, სწორედ იმგვარი სულიერი მდგომარეობა გამოვიარე, რომელსაც თქვენ გაუყვედრით. ბევრი ვიტანჯე იმ ხანში, ძლივს, რის ყოფით და წვალებით, სამშობლოში ჩაველი და ადამიანად ვიგრძენ თავი. გარდა ამისა, ორ-სამ ქალს, რომელთაც წარსულიდან დაახლოვებით ვიცნობდი, ამგვარივე სულიერი ავადმყოფობა სჭირდათ. და ისე არაფრისა მეშინია სიცოცხლეში, არაფერი მძულს ისე გულწრფელად, როგორც ის, როდესაც ამგვარ თვისებებს რომელიმე ადამიანის ხასიათში დავინახავ ხოლმე. ამჟამად, რასაკვირველია, მე თქვენ ჯერ კიდევ კარგად არ გიცნობთ, მაგრამ თქვენი ხასიათის ზოგიერთი მხარე ჩემთვის კარგად არის გარკვეული. ის, რაც ვსთქვი თქვენს შესახებ, თქვენი არ არის, წარსულის ნარჩენია, რომელსაც თქვენ ჯერ კიდევ ბოლო ვერ მოუღეთ და ძირფესვიანად გულიდამ ვერ ამოიღეთ. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ამ ზედმეტ ქერქს გადაიგდებთ და თქვენს საკუთარს ბუნებას აღმოაჩენთ საბოლოოდ. რაიც შეეხება ეროვნულ კითხვას, ენას და სხვა — აქაც ვხელმძღვანელობდი იმითი, რაც გამოვცადე და გამოვიარე. იყო დრო, როცა სამშობლო და მამული ჩემთვის ცარიელი სიტყვა იყო, იყო დრო, როდესაც ვითომ ღმერთს ვეძებდი, სინამდვილეში კი უიმედო, უსაგნო და უმიზნო სიცოცხლეს ვაჩანჩალებდი. რამდენიმე წელია, ყველა ამას თავი დავაღწიე, ჩემს გულში აღმოვაჩინე ის რაც ჩემი არ მეგონა, ვიპოვნე სიცოცხლის საგანი, ადამიანი და ხალხი შემიყვარდა, შევიგენ, რომ განსაზღვრულ წრეში, იმ ხალხის წრეში, რომელმაც გამზარდა და ფეხზე წამომაყენა და რომლის ვალიც მმართებდა, შემეძლო მოქმედება, განხორციელება სიკეთისა, ჭეშმარიტებისა, ყველა იმისა, რაც ღვივის ადამიანის გულში და რაც სურს მას სხვას გაუზიაროს.

ამ დროიდამ შედარებით ბედნიერი ვარ და ეხლა იმ მდგომარეობაში ვარ, რომ მზადა ვარ ყველაფერი მივცე, თვით სიცოცხლე, იმ აზრის განხორციელებისათვის, რომელმაც მე გამაცოცხლა.

მაგრამ, საუბედუროდ, ვინც გონიერი და ჭკვიანია, ხშირად გაურბის ჩვენ ხალხს, საზოგადო ასპარეზზე გამოდიან „მენახშირეები" ლიტერატორების მაგიერ. ვინც იგემა კულტურა, ვისაც ნერვული კონსტრუქცია ფაქიზი აქვს, ვისაც აქვს მშვენიერებისა და სამართლიანობის შეგნების ნიჭი — სადღაც შორს გარბიან, გარიყულნი არიან, განმარტოებით ცხოვრობენ და ბურთი და მოედანი იმ „მენახშირეებს" რჩებათ, რომელნიც თავიანთ პროფესიაში კარგი იქნებოდნენ, ხოლო მწერლობაში, მხატვრობაში და ხელოვნებაში უბადრუკ მოვლენად ჩაითვლებიან.

არცერთ ინტელიგენტის წრეებში არ არის იმოდენა ნერვებით ავადმყოფი, რამდენიც რუსეთში. რუსეთში ყოველივე ეს უსახსრობით, აღზრდის და სხვა ამგვარ პირობების [illegible] საუბედუროდ, ჩვენშიც იჩინა ამან თავი. მაგრამ ჩვენში რუსის სხვა თვისებებმაც აღმოაჩინა პირი. სახეში მაქვს მისწრაფება განუსაზღვრელისადმი, მიუწვდომლობისადმი, მისწრაფება, რომელიც გონების ძალას ბუნების და ცხოვრების შესწავლას კი არ ანდომებს, არამედ იმას, რაც ცოდნით და გამოცდილებით შეუიარაღებელ გონებას სიცოცხლის და ბუნების იქით ელანდება და ეზმანება. სახეში მაქვს, აგრეთვე, რუსული „ხანდრა", როდესაც კაცი თითქოს განგებ ეძებს იმგვარ შთაბეჭდილებებს, რომელნიც გულს უბრუნებენ და სულს უშფოთებენ.

შეიძლება არ გესიამოვნოთ, რომ ამ საგანს შევეხე. მაგრამ სწორეთ მოგახსენებთ, გაჩუმება ძნელია ჩემთვის, რადგან მე ვხედავ, რომ თქვენ თითქოს განზრახ ჰკლავთ თქვენში ცოცხალ, მომქმედ, საღ და ადამიანურ არსებას და ჰკვებავთ და ასაზრდოებთ უსიცოცხლო, უმოქმედო, უნუგეშო, უიმედო პიროვნებას. ეგ თავის მოკვლაა სხვა არაფერი.

ყველა ამის წინაალმდეგ მე გულწრფელ პროტესტს ვატარებ.

მინაწერი: დღეს დილით გადავიკითხე ეს წერილი. ცოტა არ იყოს მკაცრი მეჩვენა, მაგრამ მაინც გიგზავნით.

არჩილ ჯორჯაძე

აი, ასეთი გახლდათ იგი, როგორც მეგობარი: გულწრფელი, სათუთი, მზრუნველი, სპეტაკი, უკომპრომისო, სამშობლოს ინტერესებით მოსულდგმული. ახლა ვნახოთ, როგორი იყო იგი, ვითარცა არალეგალური გაზეთის „საქართველოს" რედაქტორი.

გაზეთი „საქართველო"...

დღესდღეობით, ამ გაზეთის ღვაწლი და როლი ქართველთა რევოლუციურ ბრძოლაში თვითმპყრობელობის წინაალმდეგ, მიჩუმათებულია. მიჩუმათებულია ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ ჩვენი ერის ისტორიისა. ალბათ ეს ამბავი მავანსა და მავან დოქტრინიორს კიდეც აძლევდა ხელს, ან იქნებ ახლაც აძლევდეს, მაგრამ განა ცხადზე უცხადესი არ არის, მიუხედავად იმისა, თუ ვის რა დამოკიდებულება აქვს „საქართველოს" არალეგალურად ბეჭდვის ფაქტთან, იგი უნდა შეფასდეს, როგორც ქართველი ერის რევოლუციური წარსულის ნათელი და გმირული გამოვლინება? ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმ დიდი წვლილით, რაც ქართველმა ერმა შეიტანა რუსეთის თვითმპყრობელობასთან თავგანწირულ ბრძოლის საქმეში, ხოლო არალეგალური გაზეთი „საქართველო" ამ ბრძოლის ერთერთი ულამაზესი ეპოზოდია. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ რევოლუციის ჭეშმარიტი რაინდები — გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკანოზიშვილი, მუშა ასოთამწყობი კიკნაძე, თედო სახოკია და სხვები, რომლებიც მშიერ-მწყურვალნი, უცხოობაში საკუთარი სისხლის ფასად ბეჭდავდნენ გაზეთს, მერმე სიცოცხლის რისკით შემოჰქონდათ საქართველოში და ხალხს ბრძოლისა და თავისუფლების ჟინს უღვივებდნენ. დიახ, ჩვენ უფლება არა გვაქვს, ასე უსამართლოდ დავივიწყოთ ჩვენი ეროვნული გმირები!

რაც შეეხება არჩილ ჯორჯაძეს, „თავისი ფიზიკური სისუსტისა და თავმდაბლობის მიუხედავად, ის, როგორც ეტყობა, ბელადის თვისებებით იყო აღჭურვილი და მისი თანამოაზრეების წრე მას ყოველთვის ისე უცქერდა, როგორც წინამძღოლს. მას ჰქონდა დიდი ღირსებები, რომლებიც ყველა ჭეშმარიტ ბელადს ახასიათებს: უანგარობა, ზნეობრივი სიფაქიზე. უკომპრომისობა“, — წერს ერთგან გერონტი ქიქოძე.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ არჩილი არ იყო ამა თუ იმ დოქტრინით შეზღუდული მოღვაწე. მან მშვენივრად უწყოდა, რომ ეს „უთვალავი ფერით“ გადაშლილი ქვეყნიერება ერთი რომელიმე, თუნდაც ძალზე მახვილგონივრულად მოგონილი დოქტრინით ვერ აიხსნება და ამოიწურება, ამიტომ იმ მოღვაწეთაგან განსხვავებით, რომლებიც დოქტრინამომარჯვებული ცდილობენ ცხოვრებისეულ მოვლენებში წვდომას, იგი, უპირველეს ყოვლისა, საერთო-ეროვნულ ინტერესებიდან ამოდიოდა, სწორედ ერის კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე ქმნიდა დოქტრინებს, რათა აუცილებლობის შემთხვევაში უმალვე უარეყო იგი და ახალი წამოეყენებინა.

ჩემს ხელთაა არჩილ ჯორჯაძის რამდენიმე ბარათი გიორგი დეკანოზიშვილისადმი მიწერილი შვეიცარიიდან პარიზში. ეს ბარათები უძვირფასეს ფაქტობრივ მასალას შეიცავს „საქართველოს“ ბეჭდვის ისტორიიდან, საინტერესოა ის არჩილის ბიოგრაფიისთვისაც, მით უმეტეს, რომ დღემდე არსად ყოფილა გამოქვეყნებული.

მომყავს მხოლოდ ნაწყვეტები:

30 იანვარი, 1904.

„სრულიად გეთანხმები გიორგი, რომ საქმე არ უნდა შევაჩეროთ. გულს არ ვიტეხავ, თუმცა ცუდად დატრიალდა ჩვენი საქმე. თქვენ იქ მშიერ-მწყურვალნი ხართ,' მე აქ დასნეულებული, უსაქმოდ ვიმყოფები, მაგრამ საქმე შეიძლება მაინც გამოვიდეს. ჩვენზე ბევრია დამოკიდებული. მე, ჩემის მხრივ, ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ ფეხზე წამოვდგე და მეტის სიმტკიცით გავაგრძელო დაწყებული შრომა“.

იქვე:

„ჩვენს ახლანდელ სისუსტეს, რასაკვირველია, არ გამოვაჩენთ .პირიქით, სიმტკიცე და ენერგია უნდა დავანახოთ ყველას. დიდი სურვილი და ენერგია, ჰქმნის ხშირად ახალ ისტორიულ ხანას.“

იქვე:

„მე მგონი, გიორგი, ახლა კი მალე მოგვივა ფული ჩვენებისაგან. სოფელში რომ წახვიდე ხოლმე ემჯობინება. თავს გაუფრთხილდი... თორემ შენც რომ გიღალატოს ღონემ, უარესად გახდება ჩვენი მდგომარეობა. ფული რომ მოგივიდეს, თუ ძმა ხარ, ტანისამოსი და წაღები გამომიგზავნე, ძალიან მესაჭიროება. აქ კაი დარია, მაგრამ რასაკვირველია, ხველა თავს არ მანებებს, ასე რომ, მეშინიან კიდევ არ წამსკდეს სისხლი. ჩემი იმედი გქონდეს, არ დაგივარდები, სანამ შევძლებ“.

31 იანვარი, 1904.

„გურჯი“ მეკითხება (ფრანგული წერილის ავტორი, ვინაობა არ ვიცი). დაიბეჭდება თუ არა ჩემი წერილიო. მე ვუპასუხე: დაიბეჭდება-მეთქი. „შეურიგებელსაც“ უნდა თავისი წერილის დაბეჭდვა ფრანგულად. მე მგონი ურიგო არ იქნება. უნდა ვაჩვენოთ უცხოელებს და რუსებს, რომ ჩვენში სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მომხრენიც არიან. ინგლისში ეს წერილი ძალიან მოეწონებათ. ჩვენ ჩვენი შენიშვნა გავუკეთოთ და ისე დავსტამბოთ. ასე რომ, ააწყოს ჯერ ქართულად და მერე გამომიგზავნე. გადავთარგმნი ფრანგულად, ან კიდევ, თუ გინდა, რადგან ფრანგულის ნომერი დაგვიანდა, გამომიგზავნე, ეხლავე გადავთარგმნი მე თვითონ, ან ბრიუსელში გავგზავნი გადასათარგმნელად. კაი ძალ ადგილს დაიჭერს, ორად რომ გავყოთ. კიდევ ერთ-ორ წერილს მოვამზადებ, ახალ ამბებს ჩავურთავ და ნომერი მომზადდება. „საქართველო და კავკასიის ფედერაცია“ (აწყობილი რომ გვქონდა), არ დაიბეჭდება განა, მეცხრეში? მომწერე პასუხი ყველაფერზე“.

12 თებერვალი, 1904.

„ჩემი საქმე ასე დატრიალდა, მგონი ველარ მოვახერხო ცალკე აპარტამენტში დგომა. თუ რაიმე მოგცეს, გაჰყიდე ავეჯეულობა, ხოლო წიგნები კი გამოაზიდვინე, მაგრამ შენ არ გაგაყიდვინებენ მგონი. ისე მოიქეცი, როგორც ამჯობინო, არაფერს ვინაღვლი მაინცა და მაინც“.

7 სექტემბერი, 1904

„რამდენჯერმე ვცადე წერა, ვერ შევძელი. სამი კვირა იქნება ცუდად ვარ. სიცხე გამოულეველი მაქვს. ძალიან დავსუსტდი და კალამი არ მემორჩილება. მაწუხებს იმ წერილის საქმე. მისწერე, ნუღარ დაბეჭდავენ დასაწყისს, რადგან გაგრძელებას ვერ მოვუსწრებ ამ მოკლე ხანში. ნეტავი მალე ვიყო, ამ მარტოობაში დაიღალა გული. დასუსტებული რომა ვარ, უფრო მწყურიან ყველა თქვენგანის ნახვა. რა ვიცი, მეღირსება კი? გულს ნუ გაიტეხ, ძმაო! ასე თუ ისე, ერთ ურემში ვართ ჩაბმულნი და ფეხი არ უნდა შევაჩეროთ. სანამ

ძალა შეგვწევს. გიორგი ლასხიშვილის ნახვა ძალიან საჭიროდ მიმაჩნია. ისე არ წავიდეს, რომ აქეთ არ შემოუხვიოს. სთხოვე ჩემს მაგივრად. ბევრი მაქვს სათქმელი".

პარიზში მყოფმა გიორგი ლასხიშვილმა თხოვნა შეუსრულა არჩილს და კლარანსში ეწვია აი, რას მოგვითხრობს იგი ამის თაობაზე:

„ჟენევიდან გავემგზავრე სოფელ კლარანსში არჩილის სანახავად. კარგა ხნის ძებნის შემდეგ მივადექი პატარა კოტეჯს, რომელშიც არჩილი ცხოვრობდა. შესავალ კარებთან მოსამსახურე ქალი შემხვდა. ჩემს კითხვაზე:

— სად შემიძლიან არჩილ ჯორჯაძის ნახვა-მეთქი, — ქალმა ნაღვლიანად მიპასუხა:

— ავად არის, ძალიან ავად არისო, — და წინ გამიძღვა.

შევედი ოთახში, სადაც არჩილი იწვა. თუმცა მომელოდა, მაინც ძალიან აღელდა და ხველა აუტყდა. ერთი დღე და ღამე დავყავი არჩილთან. ხარბად დაეწაფა საქართველოს ამბებს, ჩვენი პარტიის საქმეებს, რუსეთის მდგომარეობასა და სხვა. საღამოს იმდენად კარგად შეიქნა, რომ ლოგინიდან ადგა და, მიუხედავად დიასახლისის პროტესტისა, გარედაც გამოვიდა გასასეირნებლად.

არჩილი პირდაპირ ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე:

— მე აქ ვერ მოვრჩები, გიორგი, დავიღუპები... რაც შეიძლება მალე უნდა დავბრუნდე და იქ, კახეთში, უეჭველად ვსძლევ ამ ჩემს საშინელ სენსაო.

მე ვამშვიდებდი, ვეუბნებოდი, რომ რუსეთში მალე საკონსტიტუციო რეჟიმი იქნება და ყველა პოლიტიკურ გახიზნულთ საშუალება მიეცემათ დაბრუნებისა და თავისუფლად ცხოვრებისა-მეთქი, მაგრამ არჩილი ამას არ დაჯერდა და სიტყვა ჩამომართვა, რომ ვეცდებოდით დაგვებრუნებინა და არალეგარულად გვეცხოვრებინა საქართველოში.

დიდის სიამოვნებით დავყავი არჩილთან ეს დღეები. საუცხოო მოსაუბრე იყო, მეტად ნაზი და ნამდვილის კეთილშობილის გულის ადამიანი. თვალცრემლიანი გამომეთხოვა და უკანასკნელად კიდევ შემეხვეწა — არ დამტოვოთ აქ, უთუოდ მალე წამიყვანეთ სამშობლოშიო".

თედო სახოკიას მოგონებიდან:

„1905 წლის დამდეგს არჩილი ჩამოვიდა პარიზში და განაგრძობდა მუშაობას უფრო მომეტებულად ისე, როცა 39 სიცხე ჰქონდა ხოლმე.

1905 წლის პირველი თვეებია. იაპონიასთან დამარცხებული მეფის რუსეთი უძლურდება. მთავრობა აღელვებულ ხალხს თავს ველარ უჭერს. იწყება რევოლუცია. მომავალი განთავისუფლების სუნი ტრიალებს ჰაერში. პარტიები მხურვალედ მუშაობენ, ყველას აღფრთოვანება ეტყობა. ჩვენი სამშობლოც საერთო ფერხულში ებმის. პრესა თითქმის თავისუფლად წერს ყველაფერზე. იმედი გვესახება, რომ მოახლოებულია ჟამი, როცა ფედერალისტთა პარტიის ოცნებას — საქართველოს ავტონომიას ფრთები შეესხმის, სინამდვილედ გახდება.

არჩილი პარიზში დარჩა, რადგან ავადმყოფობის მიზეზით მგზავრობა აღარ შეეძლო, გული კი საშინლად მიუწევდა სამშობლოსაკენ. ამას სჩიოდა: ავადმყოფობისა და თვით სიკვდილისა სრულიად არ მეშინიან, მეორე სიკვდილი ის არის, რომ როცა გარშემო სიცოცხლე სდუღს, ჩვენს ქვეყანას მზიანი დღე უთენდება და საჭიროა ხალხი, მუშა, მოქმედი ხალხი, იძულებული ვარ ლოგინში ვიწვე და შორიდან გულხელდაკრეფილი შევცქეროდე ქვეყანასო.

გაზაფხულის გასულს იგიც გაუდგა სამშობლოს გზას".

ქალბატონი ნინო ნაკაშიძე იგონებს:

„1905 წელს საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა ავადმყოფი მწერალი არჩილ ჯორჯაძე. არჩილი ემალებოდა მეფის ადმინისტრაციას და ამხანაგებმა გადაწყვიტეს ჩვენთან მოეყვანათ იგი. ჩვენ მაშინ დიდუბეში, საგურამოს ქუჩაზე ვცხოვრობდით. ერთი ოთახი მივუჩინეთ ავადმყოფს და არავის ვუშვებდით მასთან, გარდა ძალიან ახლო ამხანაგებისა და მეგობრებისა.

და აი, ერთ დღეს, — ეს იყო გაზაფხულზე, — ჩვენთან მოვიდა ვაჟა-ფშაველა. თვალი აღარ ჰქონდა შეხვეული, მაგრამ ეცრემლებოდა კირუხი ფერის ჩოხა ეცვა და მაღალყელიანი წაღები.

მე ძალიან გამაკვირვა და გამახარა მისმა მოსვლამ. მოსალმების შემდეგ მკითხა:

— ილიკო არ არის შინ?

— არ არის, — მივუგე მე.

— მასთან ერთი ძალიან საჭირო საქმე მქონდა სწორედ ამიტომ შეგაწუხეთ.

— რა საქმე იყო ბატონო ვაჟა იქნებ მე შევძლო მაგივრობის გაწევა?

ვაჟამ გაიღიმა.

— არჩილის ნახვა მინდა, — თქვა მოკლედ.

— არჩილის? — წარმოვთქვი და ალბათ შიში გამომეხატა სახეზე.

— დიახ, არჩილის. ნუ გეშინიან, გიორგი ლასხიშვილმა მითხრა მისი ჩამოსვლის ამბავი. ისიც მითხრა, ილიკოს შეუძლია გაჩვენოსო, მაგრამ თუ არ გინდათ, ნუ მეტყვით.

— ცოტა დაიცადეთ, — ვუთხარი და არჩილის ოთახში შევედი.

არჩილს ახველებდა. ლამაზი, სანთელივით სახე შესწითლებოდა. გული მწარედ შემეკუმშა მის დანახვაზე.

— არჩილ, ვაჟა-ფშაველა მოვიდა შენს სანახავად. გაუგია შენი ჩამოსვლა, გიორგის უთქვამს.

— ვაჟა-ფშაველა? — შესძახა და მისმა ჩაცვინულმა, შავმა თვალებმა სიხარულით გაუ-

ელვა ხშირ, გრძელ წამწამებში. წამოიწია კიდევაც ლოგინიდან, — მობრძანდეს, მობრძანდეს, — თქვა სიხარულით, მაგრამ ხველამ უმატა. დავფაცურდით, რძე მივაწოდეთ, ცოტათი დაწყნარდა.

— აბა მოვიყვან.

— დიახ, დიახ, მოიყვანე. მაგრამ ელენე, — მიმართა მან ელენე ჯორჯაძეს, თავის ბიძაშვილს, რომელიც უვლიდა,— ხელი მომეცი! — არჩილი ლოგინში უხელოდ იწვა (მას მარცხენა ხელი წაწყვეტილი ჰქონდა მაჯაში, უცაბედად გასროლილმა თოფმა წააგლიჯა). ელენემ მიაწოდა ლაიკის ხელთათმანიანი ხელის პროტეზი, მან გაიკეთა და დაიდვა ბალიშზე.

შემოვიყვანე ვაჟა.

არ ვიცი, მანამდის იცნობდნენ ისინი ერთმანეთს თუ არა, მაგრამ ისე შეხვდნენ როგორც ძალიან მოსიყვარულე, უფროს-უმცროსი ძმები. არჩილი წამოიწია, ვაჟა დაიხარა, ერთმანეთს გადაეხვივნენ და გადაკოცნეს. როდესაც ვაჟა წელში გაიმართა, ორივეს ცრემლები ადგათ თვალზე.

პირველად ვაჟა გამოერკვა.

— დაბრუნდი არჩილ სამშობლოში?

— აი, ხედავთ, როგორ დავბრუნდი... მაგრამ ვაჟა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარეთ თქვენი მოსვლით. დიდი ყურადღებით ვკითხულობდი უცხო ქვეყანაში თქვენს „ბახტრიონს", „სტუმარ-მასპინძელს", „სისხლის ძიებას", „ალუდა ქეთელაურს"... შედევრებია, შედევრები... საზღვარგარეთ თქვენი ბადალი მწერალი არა ჰყავთ. განსაკუთრებით, ამ ბოლო დროს ძალიან დაეცა ფრანგული მწერლობა.

არჩილის ხმა თანდათან ყრუვდებოდა და სუსტდებოდა. ელენემ რაღაც წვეთები დაალევინა და ოდნავ დაწყნარდა. ვაჟა მას კმაყოფილებით და თან მწუხარებით უსმენდა.

— რა ვიცი აბა, კი არაფერი გამოდის ჩემი წერიდან და... ვინ აფასებს, — თქვა მან.

— რას ამბობთ, ვაჟა! თქვენ თუ არ გაფასებენ, აბა ვის აფასებს ქართველი ხალხი. თქვენი უფრო დაფასება კი მომავალს ეკუთვნის. მაგრამ მიამბეთ, ახლა რას წერთ, როგორ ცხოვრობთ"...

ვაჟასთან შეხვედრა ჩვენ კიდევ მოგვიწევს ამ ნარკვევში, ახლა კი აქ ისევ უნდა მოვიხმო გ. ლასხიშვილის მოგონება, რომელიც ქართველი ერის სიქადულს — აკაკის ეხება და მის დიდბუნებოვნებას, რაც მთავარია, არჩილ ჯორჯაძესთან მის დამოკიდებულებას გვისურათებს:

„ერთხელ ზაფხულის დამდეგს, მარიამ დემურიასთან შევედი. აკაკი იქ დამხვდა. დემურიას შევჩივლე:

— არჩილის გაგზავნაა აუცილებელი აგარაკზე. ამ ზაფხულს თუ აქ დარჩა, ცუდად იქნება მისი საქმე. ფული კი არა გვაქვს: კომიტეტი ვერ იძლევა, რამდენსაც წინად იძლეოდა არჩილისათვის, რედაქციასაც არა აქვს. იქნება რამე მოგვიხერხოთ, ქალბატონო მარიამ?

— რამდენია საჭირო? — მომიბრუნდა აკაკი.

მე ვუპასუხე, რომ ერთდროულად საჭიროა თხუთმეტი-ოცი თუმანი აგარაკის ქირის, მგზავრობისთვის და თან, რაღაცეები უნდა ვუყიდოთ-მეთქი. — გიორგი, წაიღეთ ჩემი ფონდიდან ოცი თუმანი. ბარათს მიგიწერთ წერაკითხვის საზოგადოებაში. როცა შეძლებთ, სესხს დააბრუნებთ. თუ ვერ შეიძლოთ, თქვენი ჭირი წაუღიათ.

აკაკიმ ბარათი მომცა და ეს მით უფრო სასიამოვნო იყო, რომ წ. კ-ს გამგეობამ აკაკის დაუკითხავად დროებით ადრეც ისესხა მისი ფონდიდან ასი მანეთი იმავ არჩილ ჯორჯაძისათვის. ახლა კიდევ წამოვიღეთ ასი მანეთი".

ახლობლების, მეგობრების, თვით დიდი ერისკაცების ასეთმა თავგამოდებულმა ზრუნვამ და ყურადღებამ არჩილი დროებით გამოაჯობინა. ძმური დახმარებისა და ხელის გაწვდენის წყალობით იგი სხვადასხვა აგარაკებზე მკურნალობს — ხან მანგლისშია, ხან წაღვერში, ხან კიკეთში, სურამში, ან ზღვაზე და ჯიუტად უმკლავდება ბედითად შემოჩენილ სენს, რათა უკანასკნელი ძალა მოიკრიფოს და მუშაობის გაგრძელება შეიძლოს.

სამსონ ფირცხალავა („სიტყვა") იგონებს:

„მახსოვს, როცა საფრანგეთიდან დაბრუნდა განსვენებული 1905 წელს, უკურნებელი სენით დაავადებული, ბათუმში შევხვდი გემიდან გადმოსვლისას. მისმა ძალზე გამხდარმა, ჩალურჯებულმა სახემ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. შევშინდი, არ მეგონა, თუ იგი რამდენიმე დღეს გაძლებდა.

მაგრამ სულ სხვა იყო მისი ძლიერი სული, რომელიც დაავადებულს სხეულს გულგაუტეხლად ებრძოდა, არ ემორჩილებოდა, თითქოს უარჰყოფდა მის არსებობასაც და თუმცა მეტწილად ლოგინზე იყო მიჯაჭვული, თუმცა ექიმები დღე-დღეზე მოელოდნენ მის გარდაცვალებას და გაოცებულნიც იყვნენ, რომ ის ცოცხალი იყო, მაგრამ მაღალის, აღფრთოვანებულის სულისა და რწმენის მეოხებით შვიდი წლიწადი იცოცხლა კიდევ და ეს დრო იყო საუკეთესო და უნაყოფიერესთაგანი მთელს მის ცხოვრებაში. მისმა მოშწიფებულმა ნიჭმა გამოაჩინა დიდი ანალიტიკური და სინთეტური ძალა ჩვენი საზოგადოებრიობის შესწავლაში და ღრმა რწმენა იმ სოციალურ-პოლიტიკური იდეალისა, რომელსაც თავიდან ემსახურებოდა. მისი გული იმედისა და მხნეობის კლდე იყო და ყოველი განსაცდელის დროს მისკენ იყო მიქცეული ამხანაგების თვალები"...

არჩილ ჯორჯაძის სიცოცხლის ბოლო პერიოდზე რამდენიმე საყურადღებო დოკუმენტი მოგვეპოვება. მათ შორისაა ვინმე „ვლადის" (ვინაობა ვერ დავადგინეთ. თ. მ.) მოგონებანი,

რომელიც „სახალხო გაზეთის" 1914 წლის ორ ნომერში დაიბეჭდა:

„სურამში, მისი სახლის აივნის წინ, ორიოდ ნაბიჯზე, წისქვილი იყო, სადაც მთელი სოფელი იფქვავდა. ზოგს დაფქვილი ჰქონდა, ზოგსაც მოჰქონდა დასაფქვავი ზურგით, თუ ურმით. არჩილის საყვარელი ადგილიც სწორედ ეს აივანი იყო, საიდანაც ადევნებდა თვალს მოფუსფუსე მშრომელ ხალხს, ხან გამოელაპარაკებოდა კიდეც. ეს ის წისქვილია, რომელიც ერთი მისი ფილოსოფიური წერილის საბაბი იყო, ამიტომაც დაარქვა უკანასკნელს „წერილები იტრიის წისქვილიდან, ანუ იმა ქვეყნის ხელშეხება"...

განსაკუთრებით დილაობით სწერდა. თუ არ მუშაობდა, ლოგინზე იწვა და ჰკითხულობდა. თუ ატბილდებოდა, შუადღისას აივანზე გამოვიდოდა და წისქვილს გადამყურებდა. სალამოობით ყოველდღე ვაკითხავდი და თუ კმაყოფილი იყო დილის ნამუშევრით, ფურცლებზე მანიშნებდა. მეც ვაგროვებდი დაწერილს ქაღალდებს და სიცილით ვსთვლიდი. ერთი, ორი, სამი... არჩილი ამას ღიმილით უყურებდა.

სურამში მყოფნი ჩვენი მოღვაწენი ვალადა სთვლიდნენ არჩილთან მოსვლას. მისი ხშირი სტუმარი და ჯანმრთელობის დარაჯი იყო ექიმი ივანე გომართელი. მოდიოდნენ საგანგებოდ ავადმყოფის სანახავად ჩამოსული ზურაბ ავალიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, აგრეთვე გრიგოლ რობაქიძე, გრიგოლ დიასამიძე, ლამბაშიძე და მრავალი სხვა. თანამოკალმეთა და მოღვაწეთა ყურადღება სიამოვნებასა მგვრიდა. ერთხელ, როგორღაც გაეგო, ნოე ჟორდანია ჩამოსულაო სურამში. დაინტერესდა: — მინახულებს თუ არაო. როცა ნოე წავიდა დაბიდან, ღიმილით თქვა:

— როგორ მოვიდოდა ჩემთან, მოსისხლე მტერთან?

ასეთი ლაპარაკი და ხუმრობა იმას მოასწავებდა, რომ არჩილი კარგ გუნებაზე იყო. ჩვეულებრივ ჩაფიქრებული და ჩუმი, ასეთ წუთებში კარგი მოსაუბრე ხდებოდა. იგონებდა გიმნაზიაში ყოფნის ხანას, უნივერსიტეტს, სამეცნიერო წრეებში მუშაობას, ინგლისს გამგზავრებას, პარიზში ყოფნას, აუტანელ გაჭირვებას და სხვა.

ხშირად ახალგაზრდებისაგან იღებდა წერილებს, სტუდენტები თავის ნააზრევს უზიარებდნენ, საზოგადოებრივ საკითხებზე გამოსაუბრებას სთხოვდნენ. იგი ძლიერ აფასებდა ასეთ ყურადღებას და პასუხსაც ხალისით აძლევდა. უმთავრესად საკითხი ჩვენი საზოგადოებრიობის და მწერლობის დაქვეითების გარშემო ტრიალებდა. უნდა ითქვას, არჩილი დიდი ოპტიმისტი იყო და მომავალს ჩვენსას იმედით შეჰყურებდა. პირადი ჭირსახდელი, ავადობა და ხიფათი და განსაცდელით მდიდარი წარსული მასში სულის სიძლიერეს ვერ ასუსტებდა და თუ პირადად მისთვის დამახ[illegible]ლი იყო ბელეტრისტება, თავისი ტანჯული ერისთვის არამცთუ სწყუროდა იგი, [illegible] და, [illegible] ახალგაზრდობისაგან. ახალგაზრდობის გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე საოცრადახარებდა. რამდენჯერ უთქვამს: ქართულ პრესას რომ სტუდენტობა არა მყავდეს მუქთა თანამშრომლად, ამდენ ხანს ყველა დაიხურებოდაო. კარგად მახსოვს მისი სიტყვები: ათი-თორმეტი წელიწადი არ გაივლის, რომ ჩვენი მწერლობა გამდიდრდებაო, ალორძინება ჩვენს მწერლობას, კერძოდ, პუბლიცისტიკას, ახლაც ეტყობაო".

1911 წლიდან ავადმყოფობამ კვლავ იმძლავრა.

არჩილი ახლა კი საბოლოოდ მიეჯაჭვა ლოგინს. ამჯერად ადგომა უკვე აღარ ეწერა. იძულებული გახდა ხელი აეღო ისეთ ჩვეულებრივ ადამიანურ სიამოვნებაზეც კი, როგორც, ვთქვათ, თეატრში წასვლა, ანდა მუსიკის მოსმენაა. ამის მიუხედავად, მაინც არ წყვეტს მუშაობას. წყვეტს კი არა, სწორედ ამ დროს იწყებს და ამთავრებს დიდ წიგნს — მონოგრაფიას დიმიტრი ყიფიანზე, რომელიც ერთი მნიშვნელოვანი რგოლია მისი გამოკვლევების ციკლისა ქართველი ინტელიგენციის ისტორიაში. „დიმიტრი ყიფიანი" კარგა ხნის მანძილზე იბეჭდებოდა 1918 წლის „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე და მკითხველი საზოგადოების დიდი კმაყოფილებაც გამოიწვია. კერძოდ, ჩვენთვის ცნობილია ვაჟა-ფშაველას აზრი.

მომყავს სიკო ფაშალიშვილის მოგონებიდან:

„ვაჟას დიდ ნაკლად მიაჩნდა, რომ ჩვენს პროზაში ინტელიგენციის სულისკვეთება არ იყო ასახული, ვარაუდს გამოთქვამდა, თუ რომელ ბელეტრისტს შეეძლო ამ მიმართულებით სასარგებლო რამ გაეკეთებინა. უფრო კი თვალი ახალგაზრდობისაკენ ეჭირა. როცა იმ ხანებში (იგულისხმება 1918 წელი — თ. მ.) დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არჩილ ჯორჯაძის ვრცელი მონოგრაფია გამოქვეყნდა, ვაჟა კმაყოფილი ამბობდა:

— აი, რა მშვენიერია! განა არ შეუძლიათ ჩვენს ბელეტრისტებს ასევე ხინამდვილიდან ამოღებული მოქმედი ადამიანების ტიპები გამოიყვანონ და დაგვიხატონ ჩვენი ახლანდელი ცხოვრება? განა ილია თემა არ არის? განა ივანე მაჩაბელი, ევდოშვილი თემა არ არის? განა რევოლუციამ ახალი ადამიანი არ დაგვანახა? ახალი ტიპი აკლია ჩვენს პროზას, იქით უნდა მიიხედოს ჩვენმა ახალგაზრდობამ".

სიცოცხლე კი თანდათან იფერფლებოდა, ქრებოდა...

ექიმ შალვა მიქელაძის მოგონება:

„ვიდრე არჩილი ტფილისში ცხოვრობდა, მას მუდმივად მე ვწამლობდი. ამ სამი წლის გან-

მავლობაში არჩილს დავუახლოვდი (მატინოვის ქუჩაზე იდგა), გავიცანი მისი ფაქიზი და მშვიდი ხასიათი, მისი მგრძნობიარე გული, მისი ნიჭიერება და შეუპოვარი ენერგია და გასაოცარი სიყვარული წიგნისა.

იგი ნამდვილი პატიმარი იყო, მთელი ზამთარი ოთხკედელშუა გამომწყვდეული, უფრო ხშირად ლოგინზე წამოწოლილი, ან კითხულობდა, ან ისვენებდა. დილაობით კი სწერდა ხოლმე. არავითარი გასართობი მისთვის არ არსებობდა, არავითარ პრაქტიკულ საქმეში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო. ვერ დაესწრებოდა კრებას, ვერ წავიდოდა წარმოდგენაზე, ვერ მოისმენდა კონცერტს. მისი დავადებული სხეულისათვის ყველა ეს შეუძლებელი იყო. ერთადერთი გასართობი არჩილისა კითხვა იყო და ბაასი ნაცნობ-მეგობრებთან. ცნობილი პიანისტი გოფმანი რომ ჩამოვიდა ტფილისში, არჩილი აღელდა, უნდოდა კონცერტზე დასწრება, მაგრამ ვერ გაბედა — ცუდად გავხდებიო და მუშაობას ველარ შევძლებო. საერთოდ, არჩილს ძლიერ უყვარდა მუსიკა და აღტაცებით ლაპარაკობდა ხოლმე მასზე. ძლიერ ჰსუროდა, აგრეთვე, ენახა გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი", რომლის ასრულებაზე ბევრი ჰქონდა გაგონილი. მხოლოდ ერთხელ, სამი წლის განმავლობაში მოისურვა მან დასწრება ივანე ჯავახიშვილის ლექციაზე. დიდის სიფრთხილით წავიყვანეთ ქართულ თეატრში, დირექტორის ლოჟაში დავაბინავეთ, მაგრამ ნახევარი საათიც ვერ შეძლო თეატრში დარჩენა და შეწუხებული წავიყვანეთ შინ.

არჩილმა კარგად იცოდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ჰქონდა და სცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ეშრომნა, მეტი დაეწერა. უნდოდა საჩქაროდ გამოეთქვა თავისი აზრები, სამარეში არ ჩაეტანა ნაფიქრი. საკმარისი იყო ცოტა უკეთესობა დასტყობოდა, უკვე ფიქრობდა, თუ რაზე უნდა დაეწყო მუშაობა, რა ჰქონდა დასაწერი. ჯერ კიდევ სიცხეებს აძლევდა საღამოობით, რომ უკვე სია ჰქონდა შემდგარი საჭირო წიგნებისა, საჭირო მასალისა და მეგობრებს სთხოვდა, ესა და ეს წიგნი, ესა და ეს მასალა მომიტანეთო. არაერთხელ უთქვამს: „თუ ვცხოვრობ, მხოლოდ იმისთვის, რომ ვიმუშაო და რამე დავწერო, ამის მეტი, დაავადებულს, არავითარი ინტერესი აღარა მაქვს ცხოვრებისა და თუ ესეც მომესპო, მაშინ სიცოცხლე რათ მინდა, თუკი ჩემს თავს ზედმეტ ბარგად ვიგრძნობ". გადაათვალიერეთ უკანასკნელი სამი წლის მისი ნაწერები, გაიხსენეთ, თუ რა მდგომარეობაში იყო არჩილი, როგორი ავადმყოფი იყო და თქვენ დაინახავთ, თუ როგორი ძლიერი ნება, რამდენი იდეური და ზნეობრივი ენერგია ჰქონდა, რაც აკეთებინებდა იმდენ საქმეს, რამდენის გაკეთება მრთელ, ჯანსაღ ადამიანსაც არ შეუძლია.

უკანასკნელ დროს უფრო ისტორიულ წერილებს სწერდა ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან. ამის მიზეზი ორგვარი იყო: ერთი ისა, რომ საგანი ფრიად აინტერესებდა, მეორეც ისე, რომ თანამედროვე კითხვებზედ წერა და განსაკუთრებით პოლემიკა, ძლიერ აღელვებდა მას. უკანასკნელ წელს ძლიერ სუსტად იყო, თითქმის ყოველ დღე სიცხეებს აძლევდა, საღამოობით მაინც. ნერვებიც, რა თქმა უნდა, დასუსტებული ჰქონდა და ამიტომ ღელავდა ხოლმე, აღელვება კი ძლიერ სწყინდა. ამიტომ არჩილი სცდილობდა საამდროვო საკითხებზე წერას მოჰრიდებოდა და თუ ხანდახან მაინც დასწერდა გაზეთში ასეთ წერილებს, ამის მიზეზი ისევ მისი მოუსვენარი და მაძიებელი აზროვნება იყო, რომელიც სძლევდა ხოლმე მის ნებას და თითქოს ძალად გადაადგმევინებდა ხოლმე ასეთ ნაბიჯს.

ქართველი ინტელიგენციის ისტორია ძალიან აინტერესებდა. იგი გრძნობდა, რომ ქართულ ლიტერატურაში დიდი დანაკლისი იყო ასეთი ისტორიის უქონლობა და ცდილობდა ამ დანაკლისის შევსებას. და აი, სწორედ უკანასკნელი წლები თავის სიცოცხლისა, უმთავრესად შესწირა ამ ისტორიის ცალკეული თავების შემუშავებას. არჩილს სურდა ბოლოს ხელახლა შეემუშავებინა და ერთ წიგნად გამოეცა ცალკე წერილებად დაბეჭდილი მასალები ამ ისტორიისათვის, მაგრამ საუბედუროდ ბედმა აღარ არგუნა ამ სურვილის შესრულება.

ერთ დღეს არჩილთან შევედი. გულს შემომეყარა. მთელი პატარა ოთახი ძველ-ძველი წიგნებითა და ხელნაწერებით იყო სავსე. არჩილი, ჩვეულებისამებრ, გულაღმა იწვა და რაღაც ხელთნაწერს კითხულობდა. ოთახში დაძველებული ქაღალდების სუნი იდგა. საყვედურით მივმართე, რათ შემოგიტანინებია ეს მტვრიანი და ძველი წიგნები და ხელთნაწერები, რათ აფუჭებ ოთახის ჰაერსა-მეთქი. არჩილს, თითქოს ჩემი შერცხვაო, დარცხვენილად მიპასუხა — არაუშავს-რაო და აღფრთოვანებით დაუმატა: „რომ იცოდე, რა ძვირფასი მასალაა, რა ძვირფასი მასალაო!"

ეს ძვირფასი მასალა დიმიტრი ყიფიანის არხივი იყო. ყიფიანის მოღვაწეობის გაცნობა მისთვის ორგვარად იყო საინტერესო: ერთი — თავისთავად აინტერესებდა ისეთი რთული და შესამჩნევ პიროვნების ბუნება და დახასიათება, როგორიც წამებული მოღვაწე იყო. მეორეც — ამ არხივის შესწავლით არჩილს საშუალება ეძლეოდა ქართველი ინტელიგენციის ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი თავი შეემუშავებინა და განზრახული შრომა — ქართველი ინტელიგენციის ისტორია — წინ წაეწია.

შეუდგა მუშაობას, დილაობით მუშაობდა. ვინც კი მასთან შევიდოდა, ყველას აღტაცებით ესაუბრებოდა ამ არხივზე, განსაკუთრებით გა-

კვირვებული იყო დიმიტრი ყიფიანით, რომელიც თურმე ერთ მცირედმნიშვნელოვან მოვლენასაც არ გამოსტოვებდა, რომ თავის დღიურში არ შეეტანა თურმე. „ნამდვილი ევროპელი ყოფილა, ნამდვილი ევროპელიო!“ — გაკვირვებით გაიძახოდა არჩილი.

ამ დროს იგი უკვე ძლიერ ცუდად გრძნობდა თავს. ზაფხული წალვერში გაატარა, მაგრამ მოკეთებით ვერ მოკეთდა, ისევ დასუსტებული ჩამოვიდა ტფილისში. ჩამოსვლის დღეს ქუჩაში გულიც კი წასვლია და ძლივს მოუბრუნებიათ. მიუხედავად ამისა, განაგრძობდა მუშაობას, დაამთავრა კიდეც და ბეჭდვაც დაიწყო, მაგრამ აქამდე თუ მისი ნება და ენერგია ძალას ატანდა დაავადებულ ორგანიზმს, ახლა კი სნეულებამ სძლია. არჩილი ძლიერ ცუდად შეიქნა.

სწორედ შუაღამე იყო, მაცნობეს: არჩილი ცუდად არის და ნახეო. საჩქაროდ გავეშურე. კარი რომ შევაღე, საშინელი სურათი წარმოდგა: არჩილს მაერი აღარ ჰყოფნიდა სასუნთქავად, ხრიალებდა... არასოდეს შეშინებული არ მინახავს, კარგად იცოდა, რაც სჭირდა, ისიც იცოდა, რომ მისი მორჩენა არ შეიძლებოდა, ამიტომ თითქოს შერიგებია იმას, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე აღარ დარჩენიაო, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა. მაგრამ იმ დღეს კი შეშინებული დამხვდა: „ცუდად არის საქმე, ამაღამ ვეღარ გავატანო“, — მითხრა. ჟანგბადის მოტანისა და ჩასუნთქვის შემდეგ მოიხედა, სულთქმა დაუმშვიდდა, ამ საშინელ ღამესაც გადაურჩა. აი, იმ დღიდან დაიჟინა — ბათომში უნდა წავიდეო. ბათომის მაერის იმედი ჰქონდა, ფიქრობდა ჯერ კიდევ ვიცოცხლებო და წასვლისას ამხანაგებს სთხოვა — ორი კვირის შემდეგ ესა და ეს მასალა გამომიგზავნეთ, ესა და ეს უნდა დავსწეროო, მაგრამ აღარ დასცალდა, იმ დღეს გამოეთხოვა იგი უკანასკნელად ტფილისს“.

და ბოლო აკორდი...

ისევ გიორგი ლასხიშვილის მემუარებიდან:

„მარტის დამდეგს მომივიდა დეპეშა — არჩილს შენი ნახვა უნდა და ჩამოდიო. იმ დღესვე ბათუმს გავემგზავრე და დილას სასტუმრო „ფრანციაში“ მივედი, სადაც არჩილს ბინა ედო. იწვა დიდ, მზით უხვად განათებულ ოთახში. ტყავისა და ძვლების მეტი აღარაფერი იყო, მხოლოდ ფერმიხდილ სახეზე ისევ ძველებურად ანათებდნენ მისი შავი თვალები. სუნთქვა გაძნელებული ჰქონდა და ბევრი ლაპარაკი არ შეეძლო, ირგვლივ მჯდომნი ვლაპარაკობდით ერთმანეთში და არჩილი ხანდახან ორიოდე სიტყვით ჩაგვერეოდა. ბევრი ხალხი მოდიოდა მის სანახავად. მოდიოდნენ სხვა პარტიების წარმომადგენლებიც. არჩილის მეგობრებიდან იმჟამად ბათომში იყვნენ: კიტა აბაშიძე, ხოსიკო მდივანი და ანდრია დეკანოზიშვილი.

სამ დღეს დავრჩი ბათომში. მე და კიტა არ მოვშორებივართ მის ლოგინს და ვცდილობდით სასიამოვნო მოგონებებით გაგვერთო. ის საკვირველად სულით ძლიერი ადამიანი მედგრად ებრძოდა საშინლად მორეულ სენს, მაგრამ ცხადი ხდებოდა, მისი დღეები დათვლილი იყო.

არასოდეს დამავიწყდება გამოთხოვების დღე. არჩილი რამდენჯერმე გამომემშვიდობა, მაგრამ ხელის ქნევით უკანვე მეძახდა. ბოლოს, მითხრა:

— წადი, გიორგი, წადი, საქმეებს მიხედე!

ტფილისში დაბრუნების შემდეგ არ გაუვლია ათ დღესაც, დილით რედაქციაში დეპეშა მოვიდა: „გუშინ, 21 მარტს, ღამის 11 საათზე, უშფოთველად მიიცვალა მეგობრებით გარშემორტყმული არჩილი“.

აღესრულა სული ძლიერი!

ამიერიდან, არჩილ ჯორჯაძის ჭირისუფალი მთელი ქართველი ერი იყო. ერი, რომელსაც იგი დაუცხრომლად მოუწოდებდა ბრძოლისა და თავისუფლებისაკენ, საკუთარი მეობის გარკვევისაკენ, წარსულის, აწმყოსა და მომავლის გონივრულად შეცნობისაკენ.

აღესრულა კაცი.

რომელმაც უკანასკნელი სისხლის წვეთიც კი სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის მიიტანა სამსხვერპლოზე და შთამომავლობას თავდადების ნათელი მაგალითი დაუტოვა. რომელიც ღირსეული მემკვიდრე იყო დიდი ილია ჭავჭავაძისა!

ეს კარგად იცოდა მაშინდელმა მოაზროვნე საქართველომ, ამიტომაც არჩილ ჯორჯაძეს, მარტის ბოლოშულ დღეს 1918 წლისა, მთელი საქართველო ასაფლავებდა.

ქაშუეთის ტაძრიდან გრძელმა პროცესიამ დიდუბისაკენ აიღო გეზი. მაშინ იქ პანთეონი არ იყო, მაგრამ საზოგადოებრიობა, ჩვენგან განსხვავებით, მაინც ძალზე მომჭირნედ იმეტებდა საფლავის მიწას.

რამეთუ მაშინ იქ განისვენებდა ბარათაშვილი!

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ იყვნენ დელეგაციები, უნდა თქმულიყო მრავალი სამგლოვიარო სიტყვა, მაგრამ...

როდესაც კუბო ძვირფასი ცხედრით სამარესთან დაასვენეს, „სახალხო გაზეთის“ რედაქტორმა არისტო ჭუმბაძემ ხალხს მცირე სიტყვით მიმართა:

„— ბატონებო, განსვენებულის ამხანაგებისა და ჭირისუფლებისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავი სიტყვები არ იქნება. ამიტომ გთხოვთ, მუხლმოდრეკითა და ღრმა დუმილით სცეთ პატივი განსვენებულის ცხედარს.

ყველამ მუხლი მოიყარა. სამარისებურ სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ ზარების ნელი რეკვა და სევდით აღსავსე „საუკუნოდ იყოს

ხსენება შენი", რომელსაც ოთხი ხორო ერთად გალობდა".

„სახალხო გაზეთი", 1918, № 856.

სამრეკლოს ჯვარზე იჯდა საიდანღაც მოფრენილი თვალბედითი შავი ყორანი, რომელიც თავს დაპყრანტალებდა საქართველოს გვემულ ხნულს.

მუხლმოდრეკილთა შორის იყო მყინვარივით ჩამოთოვლილი აკაკი წერეთელი!

იყო კლდის ნატეხი — ვაჟა ფშაველა!

ერთსაც და მეორესაც მზად ჰქონდათ მეტი რამ გამოსათხოვარი, მაგრამ მათგან „დამოუკიდებელი მიზეზებისა" გამო, საშუალება არ მიეცათ თქმისა.

 აი, აკაკის სიტყვა,

რომელიც უნდა წარმოეთქვა არჩილ ჯორჯაძის დაკრძალვის დღეს საფლავზე:

კურთხეულ იყოს ის ქვეყანა, რომელიც შენისთანა საზოგადო მოღვაწეებს წარმოშობს ხოლმე.

კრულ და წყეულ იყოს ის გარემოებაც, რომელიც უდროოდ სტაცებს ხელიდან ცხოვრებას შენისთანა ნიჭიერ ახალგაზრდებს.

ახალგაზრდა შენ დიდ იმედებს იძლეოდი მომავლისათვის და ჩვენც ვამბობდით გუნებაში: „ჩვენ წარმავალნი ვართ, მოვლენ სხვები, უფრო მომზადებულნი, უმეტესის ენერგიით და ჩვენს ნაკლს გულწრფელად შეავსებენ". მაგრამ, სამწუხაროდ, ალარ დაგცალდა, რომ მოგეთავებინა დაწყებული საქმე.

მე კი, მოხუცი, როგორც მამა, საიმედო და სანუგეშო შვილის დამკარგავი, ვდგევარ შენს წინ და პირი მიშრება. სიტყვა ვერ მომიხერხებია, მაგრამ დუმილში მეტი თანაგრძნობა იხატება, ვიდრე მრავალმეტყველებაში. მშვიდობით, შვილო! სამარადისოდ იყოს შენი ხსენება!

ხოლო ვაჟას ლექსი „ქანდარი", რომელსაც ქვესათაურად აწერია „ვუძღვნი არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას" და რომელიც ცოტა მოგვიანებით დაიბეჭდა „ცნობის ფურცლის" სურათებიან დამატებაში (№ 28), ასეთი [illegible]

„მინდორზე იდგა ქანდარი ტოტგართხმით, როგორც კარავი, წვიმის და პაპანების დროს მშრომელი ხალხის მფარავი. დაღლილნი მუშაობითა, გულმკერდს ოფლ-გადამდინარნი, იმ ხის ქვეშ თავსა იყრიდნენ მუშები სახემცინარნი, სტკბებოდნენ გრილის სიოთი ზეზე მყოფნი და მძინარნი. ხესა ჰლოცავდნენ, ამბობდნენ: „ხეო, იცოცხლე ღვთიანო! უშენოდ გემო წყალს არ აქვს, ვერცა ვჭამთ, როცა გვშიანო". დამწკრივდებიან ხის გრილში, წინ სუფრას გაიშლიანო. ჩრდილი სამოთხეს სჯობია, როცა ყანასა მკიანო. ლობიოს სჭამენ, ან მაწონს, სხვა იმათ არ იციანო! ცოტ-ცოტა ღვინოსაც შასმენ, გულით დარდს გადიყრიანო. შამშრებათ ოფლის ღვარები, გულმკერდს რომ უღარვიანო. უფრთხილდებიან ქანდარსა, — მუშების დედა ჰქვიანო. მაგრამ ხე უცებ წაიქცა, მით აატირა გლეხები და ქანდრის დიდრონ ფესვებზე სხვა ამოვიდა ხეები. დიდი ქალაკი გაკეთდა ქანდრის ნადგომზე ფიჩხისა, თუმც ჯერ არა აქვს მათგანსა არცერთს ლაზათი იმ ხისა. იმედი არის, რომ ერთ დროს დაიზრდებიან დიდები, — მათ ჩრდილში მოიგრილებენ მკერდ-ოფლიანი ბიჭები".

დიდუბის პანთეონში, შესასვლელიდან ხელმარცხნივ, რუხი ქვით შემორაგვული საფლავია. შიგნით ორი ტანძლიერი კვიპაროსი დგას, კენწეროები ურჩად აუწვდენიათ ცაში. დროჟამისაგან ჩაშავებულ მარმარილოს პატარა ფილს აწერია: არჩილ ჯორჯაძე (1872-1918). „ძვირფას მასწავლებელს მადლიერი მუშებისაგან".

საფლავს მოუვლელობა ეტყობა, ხავსი, ხმელი ბალახი, ფოთლები, სურო... ახლა იქ სიმყუდროვეა და ჩუმი მოლოდინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ უთურაშვილი

# XIX საუკუნის 70-იანი წლების ქართული დემოკრატიული პუბლიცისტიკა და გ. მუხრანბატონის წიგნაკი

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩვენში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ საზოგადოების ზედაფენის ერთ ნაწილში საგრძნობლად შესუსტდა მშობლიური ენის პოზიციები. ვხვდებით თვით ოჯახებიდან დედაენის განდევნის ფაქტებს, რაც ეროვნულ გადაგვარებას მოასწავებდა. ამ მხრივ, გამოირჩეოდნენ მმართველობის მომსახურე არისტოკრატიის ის წარმომადგენლები, რომლებსაც ეროვნული თვითშეგნება არ გააჩნდათ — მათი მოქმედება მათივე კარიერისტული მიზნებით განისაზღვრებოდა. ილია ჭავჭავაძე სწორედ ასეთთა მისამართით წერდა:

„ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა
ბრძანებით დასთმეთ ალმოსაკვეთად?!
შიშით — არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა
სარცხვენად“.[1]

ქართული წარმოშობის მოხელეთა დაცემას, უეჭველია, მათი პიროვნული ზნეობრივ-ფსიქიკური თვისებებიც განაპირობებდა. აკაკის „ლამურას“ მსგავსად, მოხელეთა ერთი ნაწილი უარყოფდა ყოველივე საკუთარს, ეროვნულს და გაბატონებული ძალის მხარეზე უყოყმანოდ დგებოდა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა კავკასიის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის მოხელე გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი).

გ. მუხრანბატონი გამოსული იყო ქართული ფეოდალური არისტოკრატიის უმაღლესი წრიდან. ის ერეკლე II ასულის ქეთევანისა და ქართლ-კახეთის სამეფოს სახლთუხუცესის იოანე მუხრანბატონის შვილიშვილია. გიორგის მამა კონსტანტინე ტრადიციით ქართველი ჯარის მარცხენა ფრთის სარდლად ითვლებოდა. სწორედ ამ ტიტულით იყო ის შეტანილი დასაჯილდოებელთა იმ სიაში, რომელიც გიორგი XII რუსეთის მთავრობას წარუდგინა. რუსეთთან შეერთების შემდეგ მსგავსი ტიტულები, რასაკვირველია, გაუქმდა. სამაგიეროდ, კონსტანტინე მუხრანბატონმა რუსეთის მთავრობისაგან გენერალ-მაიორობა მიიღო და თავდადებითაც ემსახურებოდა თავის მწყალობელ ხელისუფლებას. ნ. რტიშჩევის ცნობით გენერალ-მაიორი კონსტანტინე ივანეს ძე მუხრანბატონი, თავისი ერთგული ოსებითა და ქართველებით 1812 წელს აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოსულა და აჯანყების ჩაქრობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია.[2]

გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონს (დაიბადა 1821 წ. სოფ. მუხრანში, გარდაიცვალა 1877 წ. პარიზში, დაკრძალულია სვეტიცხოველში) დამთავრებული ჰქონდა თბილისის გიმნაზია, შემდეგ კი პეტერბურგის სამართლისმცოდნეობის სასწავლებელი. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა პეტერბურგში სენატის ობერ-პროკურორის მოხელედ,

სენატიდან გადაყვანილ იქნა ერევნის საგუბერნიო სასამართლოს თავმჯდომარედ (1849 წელს), 1852 წელს ვორონცოვს გ. მუხრანბატონი თბილისში გადმოუყვანია მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სასამართლო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორად. 1855 წლიდან იყო მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი, 1858 წლიდან — მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, 1858-1867 წწ. — მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სასამართლო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი. 1868 წლიდან მეფისნაცვლის უშუალო განკარგულებაშია და მის პირდაპირ დავალებებს ასრულებს. ერთხანს იყო მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. 1868 წლიდან გლეხთა მოწყობის კომიტეტის წევრია. იყო საიდუმლო მრჩეველი (1864 წ.), სენატორი (1867 წ.), სახელმწიფო მდივანი 1878 წლიდან. ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობდა მეფისნაცვლის განკარგულებით შექმნილ კომისიას, რომელსაც ევალებოდა დებულების პროექტის შედგენა ქუთაისის გუბერნიისათვის, იყო რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი.[3]

გიორგის უფროსი ძმა ივანე, გენერალ-ლეიტენანტი, მსხვილი მიწათმფლობელი, მევენახე-მეღვინე კაპიტალისტი, მეზობლების მიმართ, აგრეთვე, თავისი დაუნდობლობით იყო განთქმული. ძალმომრეობითართმევდა მათ სახნავ მიწებს, სათიბებს, ტყეებს, ვენახებს. „ტაციობით დღეს ალამებს, გულმურტალი და ფლიდია“ — წერდა მის შესახებ ილია.[4] ივანეს ბრალად ედება არაერთი ოჯახის გაჩანაგება, მათ შორის აზნაური ზედგინიძეების დიდი ოჯახის ამოგდება.[5] არის ცნობა, რომ ამგვარ საქმეებში ივანე მუხრანბატონს ხელს უწყობდა მისი ძმა სენატორი გიორგი მუხრანბატონი.[6]

გიორგი მუხრანბატონი, ისტორიული სინამდვილისა და პროგრესის საწინააღმდეგოდ, შეეცადა ჩაგრული მცირერიცხოვანი ერების გაბატონებულ ხალხში გათქვეფა-მოსპობის ცარისტული პოლიტიკის მიზანდასახულობანი და პრაქტიკული საქმიანობა ისტორიულ კანონზომიერებად გაესაღებინა.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, სავსებით მართებულად, გ. მუხრანბატონის ეროვნული იდეები შეფასებულია, როგორც მავნე და რეაქციული. გ. მუხრანბატონის „თეორია“, რომელიც ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამართლების ცდას წარმოადგენდა, მკაცრად არის გაკიცხული და დაგმობილი.[7]

წინამდებარე წერილში შევეცდებით მკითხველს შევახსენოთ ის კამათი, რაც წარსული საუკუნის 70-იან წლებში გაიმართა გ. მუხრანბატონის ანტიეროვნული იდეებით გამსჭვალული წიგნაკის გამოქვეყნების გამო.

გ. მუხრანბატონს ცარიზმის შოვინისტური პოლიტიკისადმი თავისი აქტიური მხარდაჭერა წერილობითი სახით, ჯერ კიდევ 1864 წელს დაუდასტურებია. ეს იყო პოლონელთა აჯანყების დამარცხების პერიოდი, როცა რუსეთში შოვინისტურ-ნაციონალისტურ პოლიტიკას ფრთები ფართოდ ჰქონდა გაშლილი. მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვისადმი წარსადგენად გამიზნულ წერილში გ. მუხრანბატონი აღტაცებით იზიარებდა ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარების პერსპექტივებს. წერილში იგი აღნიშნავდა: შორს არ არის ის დრო, როცა ქართველი ხალხი არამარტო პოლიტიკურად, არამედ სულიერადაც სავსებით შეუერთდება რუს ხალხს. საქართველოს განვითარებული კლასებისათვის რუსეთი უკვე ამჟამად მათი ერთადერთი სულიერი სამშობლოა. ამ განვითარებული კლასების კვალდაკვალ ივლიან სხვა კლასებიც, რომლებიც ყოველმხრივ შეერწყმიან რუსეთს.[8]

გ. მუხრანბატონის ეს ეგრეთწოდებული „განვითარებული კლასები“, პირველყოვლისა, თავადაზნაურობის იმ წრეებს წარმოადგენდა, რომლებიც ცარიზმის ერთგულ მსახურეულ არისტოკრატიას ქმნიდა. მისი დიდი ნაწილი სრული ეროვნული გადაგვარების გზაზე იდგა.

თავგამოდებული მონარქისტი გ. მუხრანბატონი ილაშქრებდა ქართველი ხალხისა და მისი სულისა და გულის — ქართული მწერლობის წინააღმდეგ. აკაკი წერეთელი მოგვითხრობს, რომ როცა ის, 60-იან წლებში, რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა, გ. მუხრანბატონმა პოეტს ქართული მწერლობის მიტოვება და მეფის სამსახურში შესვლა ურჩია. — „ქართული მწერლობა თუ რასმე დაგაკლებს, თორემ ვერას შეგძენს! — ქართველი უსამსახუროდ ძნელი წარმოსადგენია! აი, ეხლა კარგი შემთხვევა არის, ახალი რეფორმები შემოდის ჩვენში და შედი სამსახურშიო“. მე ამის საპასუხოდ — წერს აკაკი — ერთი ალეგორიული ზღაპარი „სნეული და მკურნალი“ დავწერე და მივუტანე. წაიკითხა, გაიცინა და მითხრა: „ჰო, ეს სულ სხვა არის. მე მეგონა თუ გამოუცდელობით ცხოვრება არ იცოდი, შენ კი ფანატიკოსი ყოფილხარო“.[9]

1872 წელს თბილისში გაზ. „Кавказ“-ის, 1878 წელს კი პეტერბურგში გაზ. Русский мир-ის დამატების სახით, რუსულ ენაზე ანონიმურად გამოვიდა მისი უბადალებული წიგნაკი.[10] მის წინასიტყვაობაში მითითებული იყო: აქ საკითხის თეორიული მხარეა მოცემული, ხოლო ისტორიული მონაცემებით დასაბუთება თხზულების სხვა ნაწილში იქნებაო წარმოდგენილი.

გ. მუხრანბატონის თხზულების მეორე, ეგრეთწოდებული ისტორიული ნაწილი, ქართულ ენაზე ყოფილა დაწერილი. ის, ავტორს, გაცნობის მიზნით, ზოგიერთი პირისათვის გაუგზავნია. თხზულების ეს ნაწილი შესაძლოა არსებობს, მაგრამ დღემდე ვერ მივაკვლიეთ. ის

გაბრიელ ეპისკოპოსს (ქიქოძეს) წაუკითხავს.[11]

გ. მუხრანბატონი საზღვარგარეთ ყოფნისას ცდილობდა ფრანგულ ენაზე გამოეცა თავისი ბროშურა და მეორე ნაწილიც ზედ დაერთო. 1877 წლის იანვარში პარიზში ის უეცრად გარდაიცვალა. იმავე წელს ფრანგულ ენაზე გამოვიდა მისი თხზულება.[12]

თავის თხზულებაში გ. მუხრანბატონი აყალიბებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწინააღმდეგო მტრულ აზრებს. კერძოდ, მის მიერ წამოყენებული დებულებების ძირითადი შინაარსი ასე წარმოგვიდგება:

1. კაცობრიობის მომავალი პროგრესი გულისხმობს მცირე ენების მოსპობას, დიდი ხალხების ენების გაბატონებას და დიდი მოცულობის „სახალხო ორგანიზმის" შექმნის აუცილებლობას. თვით ის ხალხები, რომლებმაც აქამდე შეინარჩუნეს საკუთარი ტერიტორია და ენა, თავისი მცირერიცხოვნობის გამო მაინც განწირულნი არიან და ისინი სხვა, უფრო ძლიერი ხალხების ნაწილებად უნდა გადაიქცნენ;

2. მცირე ხალხების შერწყმა-შეერთება დიდ ხალხებთან იმიტომ არის აუცილებელი, რომ მცირერიცხოვანი ხალხი ვერ შეძლებს ისტორიულ ხალხად გადაქცევას, ვერ შეძლებს სრულყოფილი სახელმწიფო ორგანიზმის შექმნას, თავისი ენის ანაბარა ვერ მისწვდება ცივილიზაციის სიკეთეს;

3. დიდ ხალხთან ყოველგვარი შეერთება-შერწყმა ნიშნავს პატარა ხალხის ინდივიდუალობის (რომლის ძირითადი ნიშანი ენაა) დაკარგვას. პატარა ხალხები შეადგენენ თავისებურ მცირე ნაკადულებს, რომელთა შეერთება ჰქმნის დიდ „სახალხო ორგანიზმს". „ეროვნებათა შერწყმისას, სუსტი სახალხო ორგანიზმი უნდა დაიშალოს, რათა მისი შემადგენელი ელემენტები სავსებით შეიწოვოს უფრო ძლიერმა სახალხო ორგანიზმმა". სანამ ხალხი თავის ენას ინარჩუნებს, მანამ სხვა ხალხთან მისი შერწყმა მომხდარ ფაქტად ვერ ჩაითვლება;

4. მცირე ენების მოსპობა სახელმწიფოს განმტკიცების აუცილებელი პირობაა, ხოლო მცირე ხალხების მისწრაფება თავისი არსებობის შესანარჩუნებლად არა მარტო უიმედო, არამედ მავნეც არის;

5. გაბატონებული ხალხი იერთებს რა მცირერიცხოვან ერებს, ამით ზრდის თავის რაოდენობას და აფართოებს თავისი ენის გავრცელების სფეროს. ხალხის რაოდენობრივი მაჩვენებლები განაპირობებენ მის თვისებრივ წარმატებებს, ესე იგი, რაც უფრო მრავალრიცხოვანია ესა თუ ის ხალხი, მით უფრო მაღლა დგას სულიერი განვითარებით.

6. ადგილობრივი ტერიტორიული ენების გაუქმება არ შეიძლება მოხდეს ერთბაშად. ამ ენებს გარკვეული როლის შესრულება შეუძლიათ ადგილობრივი მოსახლეობის გონებრივ განვითარებაში. ადგილობრივი ენების ერთგვარი განვითარება უნდა მოემსახუროს სახელმწიფო ენის გავრცელება-გაბატონების საქმეს;

7. კაცობრიობის მიერ გამომუშავებული ცოდნის დაუფლებას შესძლებენ მხოლოდ ისეთი დიდი ხალხები, როგორც ინგლისელი, ფრანგი, ესპანელი, იტალიელი, გერმანელი, რუსი, არაბი, სპარსი, ჩინელი და ინდოეთის ორი-სამი ხალხი;

8. „მსხვილ სახალხო ერთეულებში მცირერიცხოვანი ხალხების შერწყმა წარმოადგენს აუცილებელ და გარდუვალ ისტორიულ კანონს კაცობრიობის წინაშე დასახული მიზნების შესრულებისათვის", ხოლო მთავარი მიზანია ადამიანის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის განუწყვეტელი სრულყოფა.

გ. მუხრანბატონის ბროშურაში მოხსენიებულია არა ერთი ცნობილი მოაზროვნის სახელი (ლენორმანი, რენანი, მომზენი, გროტი, მაქს მიულერი, მაიერი...), რათა მკითხველს შექმნოდა შთაბეჭდილება, რომ თითქოს ნაშრომი თავისი დროის უცხოური ფილოსოფიური და ისტორიული აზროვნების შესაფერის დონეზე იდგა. ბროშურის ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ მის მიერ დასახელებული ავტორები ეროვნული ურთიერთობის საკითხს ესოდენ მკვეთრად არ სვამდნენ, არ ამტკიცებდნენ, რომ კაცობრიობის წარმატებისათვის საჭირო იყოს დიდი ხალხების მიერ პატარების მოსპობა. გ. მუხრანბატონი ცდილობს მსგავსი მტკიცების სავალალო პირველობის გვირგვინი არავის დაუთმოს.[13] მაგრამ ეს მთლად ახე არ არის.

ცნობილია, რომ „ქვეყნის დაპყრობის შემდეგ დამპყრობელთა უახლოეს ამოცანას მუდამ შეადგენდა ადმიანების მითვისებაც".[14] ყოველი გაბატონებული ხალხის მისწრაფებას — შთაენთქა მის გამგებლობაში მყოფი სხვა ეთნიკური ერთეულები — ყოველთვის ჰყავდა თავისი იდეოლოგები, რომლებიც დაპყრობილი ხალხების მოსპობას საერთო პროგრესისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ. ამასთან, ჩვეულებრივ ივიწყებდნენ, რომ თითქმის ყველა ეს, აწ დამპყრობელი — გაბატონებული ხალხი, რომლის სახელითაც ეს იდეოლოგები გამოდიოდნენ, შესაძლოა ოდესღაც თვითონ იყო სხვა, მასზე უფრო ძლიერი ხალხის ჩაგვრის ობიექტი, და ზოგჯერ თვითონ მას ემუქრებოდა გადაგვარება-მოსპობის საფრთხე. სხვათა წინააღმდეგ მიმართული ძლიერი და გაბატონებული ხალხების პოლიტიკის აპოლოგეტები იმავე დროს სუსტი და პატივაყრილი ხალხების იდეოლოგიურ ჯალათებადაც გვევლინებიან.

დიდმპყრობელური შოვინიზმის იდეოლოგები ფეხს იკიდებდნენ არა მარტო მმართველობაში და მასთან ახლო მდგომ წრეებში, არამედ ზოგჯერ არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგეთა გარკვეულ პოლიტიკურ მიმდინარეო-

ბებს ჰქმნიდნენ. ეს უკანასკნელნი უპირატესად სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, ხოლო მცირე ერებთან ურთიერთობაში დამკვიდრებულ პოლიტიკას ფაქტიურად უცვლელად ტოვებდნენ.[15] ასე რომ, მუხრანბატონი მცირე ერების მოსპობის მქადაგებელთა შორის არც პირველი ყოფილა და არც ერთადერთი.

გ. მუხრანბატონის წიგნაკში წამოყენებული დებულებები თეორიულად უსუსურია და ფაქტობრივ საფუძველს მოკლებული. მასში მოტანილი მსჯელობა ხალხთა ისტორიულ ბედსა და კაცობრიობის განვითარების კანონზომიერებებზე — რუსეთის მონარქიის ერთგული მოხელის შეზღუდული გონებრივი ჰორიზონტის შესაფერისია. წიგნაკში წამოყენებულ დებულებებს არავითარი კავშირი არა აქვთ მეცნიერებასთან და წარმოადგენენ იმ დროის რუსულ რეაქციულ წრეებში გაბატონებული შეხედულებების დალაგებას ისე რომ მათ რაღაც თეორიული დასკვნების სახე მიეღოთ. კერძოდ, ქართულ პერიოდიკაში აღინიშნა, რომ „ამ უსახელო ბროშურაში გამოწურულია ის აზრები, რაც ამ ათიოდ წელიწადში გამოთქმულა ენების გაუქმებაზე. ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთების სიბრძნე ავტორს ციფრებით და ნომრებით მუხლებათ დაუყვია, შეუდგენია აფორიზმები და გამოუცია წიგნაკი".[16]

გ. მუხრანბატონის ბროშურა გარკვეულ კავშირშია მეფის მთავრობის კოლონიურ პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებებთან. XIX ს. მანძილზე ცარიზმის დამოკიდებულება იმპერიის ეგრეთწოდებული მცირე ხალხებისადმი უცვლელი არ ყოფილა. მაგალითად, გასული საუკუნის 40-50-იან წლებში, შამილთან ბრძოლის პერიოდში, მეფის მთავრობა ამიერკავკასიის ხალხებს ელაციცებოდა, ხოლო 60-70-იან წლებში და შემდეგ მთავრობის პოლიტიკა საგრძნობლად შეიცვალა, ეს ცვლილება განსაკუთრებით ნათელი გახდა კავკასიის საბოლოო დაწყნარებისა (1864 წ.) და პოლონეთის 1863-1864 წწ. აჯანყების დამარცხების შემდეგ. ამიერიდან მმართველობა და მასთან ახლოს მდგომი რეაქციული წრეები (კატკოვისა და სხვათა მეთაურობით) მცირე ერების წინააღმდეგ აშკარა შეტევაზე გადადიან.[17]

გ. მუხრანბატონის წიგნაკის გამოსვლას რეაქციული პრესა აღტაცებით შეხვდა. მაგალითად, გაზეთ „კავკაზ"-მა დიდად შეაქო მუხრანბატონის ეს ბროშურა და გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, ვინც გმობდა ბროშურაში წამოყენებულ აზრებს[18] 1874 წ. ცალკე გამოქვეყნებული უსათაურო და ანონიმური რეცენზიის ავტორი ადასტურებდა, რომ გ. მუხრანბატონის წიგნაკის გამოქვეყნებას ამიერკავკასიის ადგილობრივი ხალხების მოწინავე წარმომადგენლები უდიდესი აღშფოთებით შეხვდრიან. მაგრამ ეს იყო წყლის ჰიქაში ამოვარდნილი ქარიშხალით — ცინიკურად დაასკვნიდა რეცენზენტი.[19]

გ. მუხრანბატონის წიგნაკი პოლიტიკური ფარისევლობის კლასიკური ნიმუშია. მისი ავტორი, ერთი მხრივ, სძრახავდა ინგლისელებს და გერმანელებს „დაბალ ერებზე" ბატონობისაკენ მათი მისწრაფების გამო, მეორე მხრივ, სავსებით ნორმალურ მოვლენად სთვლიდა რუსებში არარუსი ხალხების გათქვეფა-გადაგვარების ცარისტული პოლიტიკის განხორციელებას.

გ. მუხრანბატონი აკრიტიკებდა ფრანგ ფილოსოფოსსა და ისტორიკოსს ე. რენანს: მართალია, მას სურს შექმნას ყველა ხალხების კავშირი ტომობრივი და ენობრივი განსხვავების მიუხედავად, მაგრამ იგი რასების თანასწორუფლებიანობას არ სცნობს და იქითკენ ისწრაფვის, რომ თეთრი ტომების სამსახურში ჩააყენონ დაბალი რასები, არა მარტო შავი, არამედ ყვითელიცაო.

გ. მუხრანბატონი უარყოფითად ეკიდება გერმანელი ავტორების მოსაზრებას, რომ კელტებსა და სლავებს გერმანელთა მიმართ იგივე ეთნიკური სამსახურის გაწევა ევალებოდათ, როგორსაც რენანი ევროპელი ხალხების მიმართ ყვითელ და შავ რასებს აკისრებდა.[20]

გ. მუხრანბატონი აგრეთვე საყვედურობს ზოგიერთ ისტორიკოსს იმის გამო, რომ მათი აზრით გერმანელი რასის სულიერი უპირატესობა განსაზღვრავს ამ რასის ბატონობის აუცილებლობას გამოფიტულ და უძლურ ლათინურ დასავლეთსა და უხეშსა და უკულტურო სლავურ აღმოსავლეთზე.[21]

ეს იყო ჩვეულებრივი ფანდი დიდმპყრობელური ნაციონალიზმით გაჟღენთილი მოხელეებისათვის. კ. პობედონოსცევი, მაგალითად, უკმაყოფილებას გამოთქვამდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში სლავების ეროვნული ჩაგვრის გამო, ხოლო, ამავე დროს, სასტიკად ილაშქრებდა რუსეთის იმპერიის მცირე ერების, მათ შორის ქართველების წინააღმდეგ იმის გამო, რომ ისინი ეროვნული მეობის შენარჩუნებას ცდილობდნენ.[22]

გ. მუხრანბატონის ამ წიგნაკმა, რომელიც, მსოფლიოს ათიოდე ხალხის გარდა, ყველას სიკვდილს „უწინასწარმეტყველებდა". უდიდესი უკმაყოფილება და აღშფოთება გამოიწვია ქართულ და სომხურ[23] მოწინავე საზოგადოებაში: მეფის მოხელის ბნელი აზრები მკაცრად იქნა დაგმობილი.

აკაკი იგონებს: გ. მუხრანბატონმა გამოსცა წიგნი სხვადასხვა ერების გაერთიანებაზე. ამ წიგნაკში ის აზრი იყო გატარებული, რომ პატარა ერებს უფლება არა აქვთ თვით არსებობისა და დიდ ერებში უნდა გაითქვიფონო. ამან დიდი უსიამოვნება გამოიწვია საზოგადოთ, მაგრამ ვინ რას იტყოდა? ერთმა მხოლოდ ირაკლი გრუზინსკიმ კითხა: „რამ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწერინა მისთანა საუკუღმართო რამ? ან რამ გაფიქრებიაო?

— მე დიდიხანია მოფიქრებულიც მქონდა და დაწერილიცაო — მიუგო მუხრან-ბატონმა — მაგრამ დაბეჭდვით არ ვბეჭდავდი, რადგანაც შენ გიცდიდით და როცა შენი ვინაობა აბანოზე გაცვალე, მაშინ მე დავბეჭდეო!..

ეს მე გადმომცა სიცილით გიორგიმ და თანავე დამეკითხა: შენ რაღას იტყვი პოეტო?

— რაღაი საქმე გაბან-გარეცხვაზე მივარდება, ერთი აბანო საკმაო არ არის ირაკლისათვის, მაგრამ თქვენ წიგნაკსაც კი ბევრი მოუნდება მეთქი — მოვახსენე.

მეორე წიგნაკი, თუმცა, მზათ მქონდა, მაგრამ აღარ გამოუცია და ცენზურასაც ნაბრძანები ჰქონდა თვალყური ედევნებინა, რომ არავის არა დაეწერა რა იმ გამოსულ წიგნაკზე".[24]

მმართველობის შემზღუდავი ღონისძიებების მიუხედავად, გ. მუხრანბატონის ანტიეროვნული კონცეფცია ჩვენს პუბლიცისტიკაში მძაფრი კრიტიკული განხილვის საგნად იქცა. ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, სერგეი მესხმა,[25] პეტრე უმიკაშვილმა (მ. პეტრიძის ფსევდონიმით),[26] იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (მისი კრიტიკული წერილი იმ ხანებში ხალხში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა)[27] და სხვებმა გადაგვარებული ავტორის მოსაზრებებიდან ქვა ქვაზე არ დატოვეს.

ილიამ ჯერ კიდევ 1871 წელს თავის „გამოცანებში" გაკიცხა გ. მუხრანბატონი, რომელიც ჩვენში უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგ გამოვიდა. ის შეადარა ლობემძვრალას, რომელიც „მაღლა ზის", ქვეყნის საქმე კი ფეხებზე ჰკიდია.[28]

ერთი ცნობით, გ. მუხრანბატონს თავისი ბროშურა (ალბათ გამოქვეყნებამდე), რომელშიც იგი ამტკიცებდა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა უნდა შთანთქან პატარა ხალხები — სხვადასხვა პირებისათვის გაუგზავნია, რათა მათი აზრი შეეტყო. ცხადია, ბროშურის შინაარსი გახმაურდებოდა და ილიას „პასუხის პასუხში" (1872 წლის 28 იანვარი) ეს მომენტი უნდა იყოს ახახული:

„პირველ თქვენგანმა,
იმა ბედ-შავმა
მას მკვდრის სუდარი გადააფარა".[29]

გ. მუხრანბატონის ყბადაღებული წიგნაკის წაკითხვის შემდეგ ქ. დუშეთიდან პ. უმიკაშვილისადმი გადმოგზავნილ წერილში (1872 წ. აგვისტო) ილია აღნიშნავდა: „მუხრანსკის ბროშურა წავიკითხე. აი ჩემი პასუხი: **Лишь право сильного раб. свято почитает**[30]. ამავე წერილთან ერთად ილიას გადმოუგზავნია ბროშურის ავტორის საპასუხოდ დაწერილი ლექსი „რჩევა", რომელიც იმავე წლის 8 სექტემბერს დაბეჭდილა.[31]

თუ გინდა, ძმაო, იგემო
ამა ქვეყნისა შვებანი,
დიდთა საფეროდ მოჰმართე
შენი გულ-სიტყვის ებანი.
მერე გრძნობით შეიმოსე,
დიდთა უკმიე, სხვათ არა,
და იქადაგე: — „წესია,
რომ დიდმა ჰყლაპოს პატარა".
ამა წესის სიმართლისა
შენ საბუთი ვინ მოგკითხოს,
— „ჯერ ეგრე-თქო, დამიჯერეთ,
საბუთი-თქო მერე იყოს".
დიდნი ხომ დაგიჯერებენ,
აბა უარს რად იტყვიან?
პატარებს ჯანიც გავარდეს,
დიდნი მადლს გადაგიხდიან.
თუმცა დიდთა პირფერობა
არის მონებრივი ქცევა,
მაგრამ მაღლა აცოცისთვის
უნდა თურმე კუდის ქნევა.
ამას გირჩევ, იმიტომ რომ
ჩვენ გვყავს ერთი მეგობარი,
რომელიცა ამგვარ ქცევით
ჩვენში ბედნიერი არი.

წარმოჩენილ იქნა ცარიზმის ქართველ მოხელეთა ნაწილისათვის დამახასიათებელი მონური სულისკვეთება.

აკაკიმ აგრეთვე დაუყოვნებლივ გაკიცხა გადაგვარებული დიდმოხელე და ლექსში „აღარ გვაქვს გრძნობა" ნათლად მიანიშნა, რომ მსახურ არისტოკრატიას სრულიად ჰქონდა დაკარგული პატრიოტული გრძნობა და რომ მათ შორის ჭკუა ჩინით იზომებოდა.[32] მუხრანბატონი აკაკის აგონებს იმ ბოროტ ადამიანს, რომელიც თავის მოძმეს, თავის ხალხს „ჯერ მოჰკლავს ტანჯვით და დევნით საწყალს, მერე მოვა და ზარით იტირებს". აკაკის ლექსის ეპიგრაა შემდეგი სტროფი:

„ფარისეველო, გაუტანელო!
სხვასთან თავმხრელო, შინ ორმოს
მთხრელო,
ნაგავის მყრელო, შენ ჭრელო გველო!
რამ შეგაძულა, სთქვი, „საქართველო?!"

აკაკი მუხრანბატონს გვარის დამგმობს, სჯულის შემარცხვენებელს, მოღალატეს უწოდებს. მას ძმის გაწირვასა და მტრისადმი მიდგომაში სდებდა ბრალს.[33] შემდეგში აკაკი იგონებდა: „ლექსი ენების გასამართლება" ალეგორიულად დაწერილი შევაპარე ცენზურას. მაშინ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ლექსმა".[34]

გ. მუხრანბატონს თავისი ბროშურა აგრეთვე დავით (გლუხარიჩი) ერისთავისათვის გაუ-

გზავნია, რათა მისი აზრი შეეტყო. დავით ერისთავს წიგნაკი ავტორისათვის დაუბრუნებია შესაფერისი წარწერით: ჩვენ ამის გარეშეც ვიცოდით, რომ შენ არარაობას წარმოადგენო.[35]

„დროების" ფელეტონისტი მ. ხუჩუა გ. მუხრანბატონს ადარებს იუდას, რომელმაც ქრისტე 30 ვერცხლად გაყიდა.[36]

არსებობს გადმოცემა, რომ გ. მუხრანბატონის წიგნაკის გამოსვლის შემდეგ ავტორისათვის პლატონ იოსელიანს უთქვამს: „გიორგი! საქართველო ძაღლის კუდსა ჰგავს, როგორც ის არ გასწორდება, ისე ეს. ოთხმა სახელმწიფომ ჩაიდო საქართველო პირში ჩასაყლაპავად, მაგრამ ჩაყლაპვის დროს თვითონ დასქდნენ და საქრთველო კი საქართველოთ დაშთა".[37]

ქართულ პუბლიცისტიკაში ერთხმად აღინიშნა გ. მუხრანბატონის მტკიცების სრული უსაფუძვლობა იმის თაობაზე, თითქოს პატარა ხალხები საკუთარი ენის საშუალებით ვერ შესძლებდნენ ცივილიზაციის მონაპოვართა დაუფლებას და რომ ამ მისიის შესრულება მხოლოდ „რჩეული" ენების ხვედრი იყო.

პ. უმიკაშვილი წერდა: ბროშურის ავტორის აზრით, მცირერიცხოვანი ხალხის ენა ვერ გახდება კაცობრიობის განათლების იარაღი. რომელი ენა შეგვიძლია დავასახელოთ, რომ ეს არის კაცობრიობის განათლების იარაღი? ყველა ენაზე შეგვიძლია ჰოცა ვთქვათ და არაცა. ჯერ ერთი, არც ერთი ენა არ არის დედამიწის ზურგზე, მან რომ კაცობრიობის მთელი სიბრძნე დაიტიოს. მეორეც ის, რომ თითქმის ყველა ენაზე შეიძლება კაცობრიობის სიბრძნე გავრცელდეს. ეპისკოპოსი გაბრიელი აღნიშნავდა: მართალია, ზოგიერთი ენა ღარიბია, ანბანი და მწიგნობრობა მას არა აქვს, ლიტერატურა მით უმეტეს, და ამ ენაზე ძნელდება ზოგიერთი განყენებული აზრის გამოთქმა, მაგრამ ეგრეთწოდებული მცირე ხალხების ენებს შორის არა ერთია განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ენა. მათ შორისაა ქართული და სომხური ენები. „ქართველების და სომხების ენა თუმცა მცირე ხალხების ენა არის, მაგრამ არა ღარიბი; ამ ენებს აქვთ მწიგნობრობა, ლიტერატურა... ამ ორ ენაზე ყოველი მეცნიერება და აზრი გამოითქმის".

ქართველმა მოაზროვნეებმა სამართლიანად შენიშნეს, რომ ხალხის სულიერი კულტურის დონე სრულიადაც არ არის დამოკიდებული მოსახლეობის რიცხვის სიდიდეზე. ს. მესხი ეკამათებოდა ბროშურის ავტორს, რომელიც წერდა: „რაც უფრო რომელიმე ხალხი მრავალრიცხოვანია, ისე ეს ხალხი უფრო განათლებული და წარმატებულიაო! და საპასუხოდ ამბობდა: აბსურდი არ არის ეს აზრი? ჩამოთვალეთ უფალო ავტორო, ახლანდელი ევროპისა და აზიის ხალხები და გაიგებთ, რომ ამ აზრში ჭეშმარიტების ნატამალიც არ არის. შეადარეთ ერთმანეთს, მაგალითად, ინდოეთი და ინგლისი, ჩინეთი და შვეიცარია, იაპონია და ბელგია, ოსმალეთი და იმის ქვეშევრდომი ხალხები და სხვ... დარწმუნებული იყავით, რომ ხალხის წარმატება სრულებით რიცხვზე არ არის დამოკიდებული".

გაბათილებულ იქნა გ. მუხრანბატონის აზრი კაცობრიობის ისტორიულ და არაისტორიულ ხალხებად დაყოფის შესახებაც.

გაცამტვერებული იქნა გ. მუხრანბატონის კონცეფციის ძირითადი ცრუმეცნიერული დებულება, რომ თითქოსდა მცირე ხალხების მოსპობა-გაქრობა, მრავალრიცხოვან ხალხებში მათი შერწყმა-გათქვეფა, ასიმილაცია, ისტორიის გარდუვალ კანონს წარმოადგენდა. ჩვენმა მოაზროვნეებმა, პირველყოვლისა შემუსრეს გ. მუხრანბატონის ამ დებულების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი, როგორც არაჭეშმარიტი, არაგონივრული. ამით ნაჩვენები იქნა გ. მუხრანბატონის დასკვნების სრული მცდარობა.

გ. მუხრანბატონისადმი მიმართულ წერილში გაბრიელი ხალხთა სასიკვდილო განაჩენის ავტორს რეზონულ კითხვას უსვამდა: „მაგრამ რით ამტკიცებ, შენ, რომ ეს მოვლენა (მცირე ხალხის ენის განქარვება) არის ბუნებითი წესი? ამას შენ ბროშურაში ამტკიცებ მარტო ლოღიკური თეორიით". გაბრიელმა კარგად იცოდა, რომ ცალკეულ საკითხებზე, მსჯელობისას ცარიელი ფრაზა, ლიტონ სიტყვაზე დამყარებული „თეორია" (თუ ის ფაქტების, მოვლენების ცოდნას არ ემყარება) ამაოა. ყოველ თეორიულ დებულებას სათანადო ფაქტობრივი დასაბუთება უნდა გააჩნდეს. გაბრიელი სწორედ ამის უქონლობას უკიჟინებს ბროშურის ავტორს და განაგრძობს: „პრაქტიკა, გამოცდილება (ОПЫТ) ამტკიცებს თუ არა ამ შენს თეორიას?... თეორია გამოცდილებაზე უნდა იყოს დამყარებული, ფაქტებიდან უნდა იყოს გამოყვანილი და არა უკუღმა, ესე იგი ფაქტები თეორიიდან არ გამოიყვანება... თეორია რაც გინდა ღრმა და საფუძვლიანი იყოს, ვერასოდეს ვერ ახსნის მრავალფეროვანსა, მრავალკერძოსა, დაუცხრომლად მოძრავსა, მუდამ ცვალებადსა კაცობრივსა ისტორიულსა ცხოვრებასა".

მოტანილი სიტყვები არა მარტო გ. მუხრანბატონის ნაღაუზევის სიცრუეს ამჟღავნებს, არამედ, აგრეთვე, მიუთითებს იმ მაღალ თეორიულ დონეზე, რომლიდანაც ჩვენი მოაზროვნეები მოწინააღმდეგეს ეკამათებოდნენ. გაბრიელი, აქ, ისტორიული მოვლენების ახსნისადმი შემოქმედებითი მიდგომის ნიმუშს გვიჩვენებს. მას მსოფლიო ისტორია კაცობრიობის მარად დაუცხრომლად მოძრავ და ცვალებად ცხოვრებად მიაჩნია.

პ. უმიკაშვილი ახევე მიუთითებდა, რომ გ. მუხრანბატონის ბროშურა მარტო თეორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ ვარჯიშობას შეიცავდა, ხოლო აზრის ახსნისათვის და დასკვნისათვის საფუძვლიანი მეცნიერებაა საჭირო. აუცილებელია თვით ცხოვრების გამოცდილების ცოდნა და ცხოვრების მსვლელობის მიმართულების შემეცნება. „გამოცემულ ნაწილში სჯა არარაზედ არის დამყარებული, სჯა თავით ბოლომდე დოლმატიკური აფორიზმებია. საზოგადოთ დაუმტკიცებელი, a priori აზრებია გამოთქმული“.

გაბათილდა ბროშურის ავტორის ეგრეთწოდებული ისტორიული კონცეფცია, რომ თითქოსდა „მცირერიცხოვანი ერების შერწყმა მსხვილ სახალხო ერთეულებში წარმოადგენს ისეთ ფაქტს, რომელიც მუდმივად მეორდება ისტორიაში“. ამ დებულების ისტორიული საბუთიანობის გამო გაბრიელი წერდა: „ისტორია, მართალია, ახსენებს მრავალთა თესლთა და ენათა, რომელნი თითქმის განქარდნენ ისტორიული ასპარეზიდან, მაგრამ რა იყო ამის მიზეზი? ძალადობა, მტრებისგან შევიწროება, იძულება, ამოწყვეტა. „თუ ამ სახით ენის მოსპობას უწოდებთ თქვენ ისტორიულ კანონათ და წესათ, მაშინ წინაალმდეგს ვერავინ დაგიმტკიცებს“. მაგრამ ეს არ წარმოადგენს ისტორიის ბუნებრივი მსვლელობის შედეგს, სრულიად არ არის კაცობრიობის პროგრესისა და დაწინაურების მაჩვენებელი.

პ. უმიკაშვილი აღნიშნავდა: ავტორი ამბობს ისტორიაში ვხედავთ, რომ რიცხვმცირე ხალხები რიცხვ-დიდ ხალხებს უერთდებიანო. „სულ პირველად ავტორის ამ აზრს უნდა დავაკვირდეთ, რომ ისტორიაში ასე ვხედავთო. ისტორიაში ბევრ რამეს ვხედავთ, რომელიც არ შეგვიძლია ალვიაროთ კაცობრიობის პროგრესის კუთვნილებად, არამედ წარმავალ, შემთხვევით მოვლენებად. ამას გარდა, რაც მომხდარა ისტორიაში იმას ხომ არ გვიმტკიცებს, რომ სულ ასე უნდა იყოსო. მაგალითად, კაცობრიობის ისტორიაში ვიცით მაგალითები, რომ კაცები ერთმანეთს სჭამდნენ, ან დასჯის დროს თვალებს სთხრიდნენ, ყურებსა და ცხვირს სჭრიდნენ. ნუთუ ეს დასჯა და წვალება არის უეჭველი კანონი პროგრესისა, კაცობრიობის წინსვლისა?“

ისეთი შემთხვევები, როცა ადგილი ჰქონდა ერთი ხალხის მეორეში იძულებით გათქვეფაშერწყმას ჩვენს მოწინავე მოაზროვნეებს, სავსებით სამართლიანად, ძალადობისა და უსამართლობის გამოვლინებად მიაჩნდათ. ხოლო „ძალდატანება და ფიზიკური ძალის ხმარება კაცობრიობის გონიერ მოქმედებას არ შეჰფერის. ძალდატანებით გაკეთებულ საქმეს არასოდეს მკვიდრი საძირკველი და დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვს. თუ არ ძალდატანებით, თუ არ გასაკიცხი საშუალების შემწეობით, ხალხი არასოდეს არ მიატოვებს თავის განსაკუთრებულ ცხოვრებას და ამ გვარათაც დაკარგულის აღდგენას ყოველთვის ეცდება“ — წერდა ს. მესხი.

ალინიშნა, რომ კაცობრიობის განვითარებასა და პროგრესში კანონზომიერია არა ეგრეთ წოდებული მცირე ენების მოსპობა, არამედ დაჩაგრული ხალხების გადარჩენა და მათი ენების შენარჩუნება. ამ აზრს, ჩვენი მოღვაწეები ისტორიული მაგალითებით ასაბუთებდნენ. მითითებული იყო, რომ, მიუხედავად მჩაგვრელი ხალხების მისწრაფებისა, მოესპოთ ესა თუ ის ხალხი, თავისში გაეთქვიფათ ის, არაერთი ენა გადაურჩა დაღუპვას. პ. უმიკაშვილი წერდა: „აქაც უკვდავი კანონი ბუნებისა მუშაობს და ვხედავთ, რომ ერთხელ დაჩაგრული ენები სლოვენებისა გადარჩნენ ნემეცურის ძლიერებას, ბერძნული — ოსმალურს, ქართული — სპარსულს, არაბულს და ოსმალურს, სომხური ოსმალურს და სპარსული — არაბულს და თათრულს.

აგრეთვე მოტანილი იყო ასეთი მაგალითი. ყველა ამბობს, რომ საფრანგეთისთანა ერთგვაროვანი და ერთენოვანი სახელმწიფო არ არის ევროპაში. მაგრამ აქაც, სამხრეთით, ცხოვრობს ერთი ძველი, იბერიის დანარჩენი ხალხი, სახელათ ბასკი, რომელიც ახლაც თავის ძველ ენას ხმარობს. ასე რომ, სასამართლოებში მათ ფრანგულად მთარგმნელი სჭირდებათ. ამრიგად, ევროპის პირველმა ენამ ვერ მოსპო ბასკების ძველი ენა, რომელსაც ხმარობს ერთი მუჭა ხალხი ორი ათასი წლის განმავლობაში.[38]

გ. მუხრანბატონთან კამათისას გაბრიელი იშველიებდა აგრეთვე ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ სტიუარტ მილის თხზულებას — „თავისუფლებაზე“. კერძოდ, ამ თხზულების მესამე თავში, ინგლისელი მოაზროვნე საუცხოოდ განმარტავდა, რომ ადამიანის (და, მაშასადამე, ხალხის) სიკეთისა და ბედნიერებისათვის აუცილებელ პირობას გარკვეული ინდივიდუალობის არსებობა წარმოადგენდა. ეს ინდივიდუალობა გულისხმობდა, ადამიანისა და ხალხის მხრივ, თავისი საკუთარი, განსხვავებული თვისებებისა და ხასიათის ქონას. ფილოსოფოსს მიაჩნდა, რომ ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტია — ენა. მაშასადამე, ის აუცილებლად საჭიროა ხალხის ბედნიერებისათვისო.

თავის მხრივ გაბრიელი დაასკვნიდა: თუ ეს ასე არის, მაშინ ენის გამოცვლა არც მცირე ხალხებს არგებს, არც დიდი ხალხისათვის (რომლის ენას მცირე ხალხი მიიღებს) არის სასურველი. მცირე ხალხი რომ შეერთდება დიდ ხალხთან, რაიმე, მცირე მაინც, საკუთარი დადებითი ელემენტი უნდა შეიტანოს და დაუმატოს დიდ ხალხს, წინაალმდეგ შემთხვევაში დიდ ხალხს უსარგებლო ტვირთი დაედება კისერზე. როგორც რომ კარგ მუშა მშრომელ ოჯახს ეშვილოს ულონო, ზარმაცი კაცი, არა-

ფერს სარგებლობას არ მისცემს, გარდა მისა, რომ ოჯახის ნაოფლარს პურს შეხჭამს. მცირე ხალხი, მოკლებული თავის ენას, იქნება მოკლებული ყოველ ინდივიდუალობას, ხასიათითა და თვისებებით და უსარგებლო იქნება თავისთვისაც და სხვისთვისაც, როგორც კერძო პირი, არ მქონი პირადი დამოუკიდებლობისა, ვერაფერს კეთილს და სასარგებლო საქმეს ვერ იქმსო.

გ. მუხრანბატონის ერთ-ერთი ძირითადი დებულების — მცირე ენების მოსპობა სახელმწიფოს სიძლიერის აუცილებელი პირობააო — ფორმალურ ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენდა წანამძღვარი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო არის და უნდა იყოს ერთი ორგანიზმი. ერთ ორგანიზმს ერთი სული უნდა ჰქონდეს. ენა სულია ორგანიზმისა. მაშასადამე, ერთი ენა უნდა იყოს სახელმწიფოში. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო არ იქნება მაგარი და მკვიდრი. გ. მუხრანბატონის ამგვარ მსჯელობას საფუძვლად უპირატესად პოლიტიკური მოტივი ედვათ.

ქართველმა პუბლიცისტებმა სამართლიანად მიუთითეს, რომ სხვადასხვა ენების არსებობა სრულიადაც არ უშლის ხელს სახელმწიფოს განმტკიცება-გაძლიერებას. მსოფლიო ისტორიაში, დასაბამითგან აქამდე და ახლაც, არ ყოფილა და არ არის ისეთი დიდი სახელმწიფო, რომელშიც ყველა მცხოვრები ლაპარაკობდეს ერთი ენით. ყოველ დიდ სახელმწიფოში, ყოველთვის და ყველგან, გარდა ერთი უმთავრესი სამმართველო ენისა, ყოფილა სხვა წვრილი ენები. მაგრამ ეს გარემოება არაფერს უშლიდა და არც ახლა უშლის სახელმწიფოს ძლიერებას. ესე იგი, მარტო ამ გარემოებას სახელმწიფო არსად არ დაურღვევია და დაუსუსტებია.

იმ დებულების დასასაბუთებლად, რომ მოსახლეობის მრავალეროვანი შემადგენლობა თითქოს ხელს უშლიდეს სახელმწიფოს სიძლიერეს, გ. მუხრანბატონს, თავისი თხზულების გამოუქვეყნებელ მეორე ნაწილში მოჰქონდა შვეიცარიისა და ავსტრიის მაგალითი: ამ ქვეყნებში რამდენიმე ენა ფუნქციონირებს, რის გამოც ეს სახელმწიფოები მკვიდრნი არ არიანო. ამის საპასუხოდ კრიტიკამ აღნიშნა, რომ ეს მაგალითები ბროშურაში წამოყენებული კონცეფციის საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. გაბრიელი წერდა: „შვეიცარიას უჩვენებ და იტყვი, აქ სამი ენა არისო და ამისათვის ერთი მკვიდრი სახელმწიფო არ არისო. შვეიცარია დიაღ მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო არის. ანუ ფედერაციას და რესპუბლიკას შენ სახელმწიფოდ არ თვლი? ნუთუ მარტო მონარქია არის მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო და რესპუბლიკა არა? ვგონებ, შვეიცარიასთანა განათლებული, მაგარი, ერთობით და თანხმობით სავსე სახელმწიფო არც კი არის ევროპაში.

გასაკვირი არაა, რომ პირწავარდნილი მონარქისტი გ. მუხრანბატონი რესპუბლიკას სახელმწიფოებრივი მმართველობის ნორმალურ ფორმად არ მიიჩნევდა.

თავისი დებულების დასამტკიცებლად გ. მუხრანბატონი ავსტრიის მაგალითსაც იშველიებდა. — ეს სახელმწიფო იმიტომ არ არის ძლიერი, რომ იქ რამდენიმე ენა არსებობსო.

მაგრამ ეს მაგალითიც არ იქნა მიჩნეული გ. მუხრანბატონის მოსაზრების დამადასტურებელ ფაქტად.

გ. მუხრანბატონი თავის კონცეფციას აგრეთვე იმით ასაბუთებდა, რომ: კაცი თავისი კეთილდღეობისათვის ჯერ ერთდება ოჯახად, შემდეგ ოჯახები ერთიანდებიან თემად, ტომად ან ხალხად. ბოლოს პატარა ხალხები დიდ ხალხს უერთდება და ამნაირი დაკავშირების შედეგად წვრილი და განცალკევებული ხალხების ნაცვლად ოდესმე დედამიწაზე რამდენიმე დიდი ხალხი (სახელმწიფო) დარჩება. ხოლო რაკი ყოველი ხალხის განმაცალკევებელი არის ენა, ამიტომ პირველყოვლისა წვრილი ხალხების ენები უნდა გაუქმდესო.

კრიტიკამ ცხადყო, რომ გ. მუხრანბატონს არ ესმოდა ხალხთა ჭეშმარიტი კავშირის რაობა. ისტორიაში ხალხების დროებითი „მექანიკური“ გაერთიანება ბევრი ყოფილა, მაგრამ მათ კავშირი არ ეწოდებათ. „ადამიანის უმაღლეს კავშირათ ავტორს ერთტომობა, ერთი ენით მოლაპარაკე ხალხები ჰგონიათ“[39] ენა არ არის ისეთი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხის სახელმწიფოებრივ ერთიანობას და სიძლიერეს. მაგალითად, ირლანდიელები და ინგლისელები ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ირლანდიელი ხალხი მუდამ იმას ცდილობს, რომ ინგლისს ჩამოშორდეს და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწიოს. შვეიცარიაში ნემცებს გერმანიასთან შეერთება უარუყვიათ და იტალიისა და ფრანგი ხალხის ნაწილებთან, ამგვარადვე განკერძოებულებთან შეერთებულა. დიდ, თავის მოძმე ერთ სისხლხორც ტომს დაშორებიან ნემცებიც, ფრანგებიც, იტალიელებიც. მაშასადამე, ერთ შემთხვევაში, სხვადასხვა ხალხები ერთდებიან ერთ სახელმწიფოდ, მეორე შემთხვევაში, ერთი ენით მოლაპარაკენი ერთმანეთის დაშორებას ცდილობენ. ეს ფაქტები დავიწყებია ავტორს, თორემ როგორ იტყოდა ენა არის სახელმწიფოს შემაერთებელი იარაღიო.[40]

ქართველმა მოღვაწეებმა მიუთითეს, რომ მსოფლიოში ხალხების ერთმანეთთან დაახლოების პროცესი უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო და რომ ეს პროცესი პროგრესული ხასიათით გამოირჩეოდა. ხალხები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ ვაჭრობაში, მეცნიერებაში, სწა-

ვლასა და ხელოვნებაში. ამრიგად, „უმაღლესი ერთობა ხალხებისა ერთმანეთთან კავშირი ყოფილა, რომელიც წარმოსდგება ენის ერთობისაგან კი არა, არამედ საზოგადო ცხოვრების ინტერესებისაგან".[41]

პ. უმიკაშვილი აღნიშნავდა: „მკითხველმა არ იფიქროს, რომ ხალხების შეერთება ისტორიულ მოვლენებად არ გვწამდეს. არა. ჩვენ იმგვარ შეერთებაზე ვამბობთ, ბროშურის ავტორს რომ ჰგონია", ხოლო გაბრიელი მიუთითებდა: მცირე ხალხისათვის მოუცილებელი საჭიროება და სარგებლობა არის შეერთება დიდ ხალხთან, მისი ენის სწავლა, მისი ენის მიღება განათლებისათვის. ეს ჭეშმარიტად ბუნების წესი და კანონი არის. ამის წინააღმდეგს ვინ იტყვის. მაგრამ სხვაა, ერთი ხალხის მეორესთან დაკავშირება, შეერთება და მეორეა — შთანთქმა.

ხაზგასმული იქნა ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც აქვს სხვა ხალხის ენის შესწავლას ამა თუ იმ პიროვნების საერთო თუ სპეციალური განათლების საქმეში. განათლებულნი პირნი, ერთი ენის ცოდნით არ კმაყოფილდებიან. მაგალითად, ევროპაში განათლებულ კაცად არ ითვლება ის, ვინც მხოლოდ თავისი ენა იცის. ინგლისელი ცდილობს ფრანგული ენის შესწავლას, ხოლო ფრანგი — ინგლისურისას და ა. შ .ამრიგად, სწორად იქნა შეფასებული სხვა ხალხის ენის ცოდნის მნიშვნელობა საკაცობრიო კულტურის დაუფლების საქმეში.

ჩვენი მოღვაწეები შესანიშნავად განასხვავებდნენ ერთმანეთისაგან ორ ცნებას: ხალხების ერთმანეთთან დ ა ა ხ ლ ო ე ბ ა-შ ე ე რ თ ე ბ ა ს და ერთი ხალხის მიერ მეორის შ თ ა ნ თ ქ მ ა ს (შერწყმა, გათქვეფა, მოსპობა, ასიმილაცია).

გაბრიელი წერდა: „ყოველიფრით შეიძლება შეერთდეს მცირე ხალხი დიდთან, სულით, გულით, აზრით, ინტერესებით, მაგრამ მისი ენის მოსპობა არ შეიძლება, და არც არაფერს დაშავებს, ანუ დაუშლის ამ ერთობას.

ხალხის ხალხთან ერთობა მარტო ენით არ მოხდება, არც დაბრკოლდება; ამას ისტორია ცხადად გვიმტკიცებს. ენაზე უდიდესი არიან სხვანი კავშირნი, რომელნიც შეაერთებენ უფრო მაგრად ხალხებს და ტომებს. კაცის და ხალხის შინაგანი გრძნობა, აზრი, ხასიათი ენაზე უდიდესია; ენა არის მხოლოდ მათი გამოთქმელი გარეგანი სახე. თუ სიყვარული, ნდობა, ინტერესების ერთობა არ შეაკავშირებს კაცს კაცთან, ხალხს ხალხთან, ენათი აქ ვერაფერს იქმ. და სუყველა ამაზე უდიდესნი, გაუწყვეტელი კავშირი ხალხთა შორის, ჩემის აზრით არის სჯულის ალსარება. თუ ერთი სჯული და აღსარება აქვს ორ შეერთებულ ხალხს, ამაზე უმტკიცესი კავშირი სხვა აღარ იქნება მათ შორის.

ამრიგად, გაბრიელს ხალხთა შეკავშირების უმთავრეს საფუძვლად მიაჩნდა იდეური ერთობა.

ქართული პუბლიცისტიკა [illegible] რუნდა გ. მუხრანბატონის ანტიეროვნულ გამოხდომას, ხაზი გაუსვა, რომ ქართველთა შორის რუსეთის ცარიზმს არაერთი ერთგული მსახური ჰყავდა, რომლებისთვისაც უცხო იყო ეროვნული გრძნობა. გ. მუხრანბატონი ერთი მათგანი იყო, ვინც ამტკიცებდა, რომ პატარა ერებს (მათ შორის ქართველებს) არავითარი მომავალი არა აქვთ და მათი შთანთქმა დიდი ერების მიერ ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენსო. ფსიქოლოგიური წყარო ამგვარი ფილოსოფიისა ეროვნული გადაგვარება იყო. ასეთი აზრები ესიამოვნებოდათ იმ წრეებში, სადაც წყდებოდა სენატორებისა და მაღალი რანგის სხვა მოხელეთა ბედი.[42]

გ. მუხრანბატონის გარჯას, ცარიზმის მხრივ, როგორც მოსალოდნელი იყო, შესაფერისი ანაზღაურება, ყურადღება და ჯილდოები არ მოკლებია. სახელმწიფო მდივნის, მუხრანბატონის პირადი საქმე იმპერატორის საკუთარ კანცელარიაში ინახებოდა.[43]

გ. მუხრანბატონის კლასობრივი პოზიცია რუსეთის თვითმპყრობელობის სამსახურში ჩამდგარი ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის რეაქციული ნაწილის პოზიციაა. ეს ფენა ეკონომიკურად და პოლიტიკურად რუსულ მმართველობაზე იყო დამოკიდებული და მისი ცალკეული წარმომადგენლები, სამსახურებრივ სარბიელზე შემდგომი წარმატების უზრუნველყოფის მიზნით, ცარიზმის პოლიტიკური კურსის თავგამოდებული დამცველები იყვნენ.

ამ ფენის საზოგადოებრივ-ეროვნული ინტერესები უპირისპირდებოდა მისივე წარმომშობი ერის სასიცოცხლო ინტერესებს, მისი მოქმედება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ შეესაბამებოდა გაბატონებული ერის ზედაფენის პოლიტიკურ ინტერესებს. ამ ფენის წარმომადგენლები გაბატონებული ხალხის მმართველი წრეების პირდაპირ აგენტურას წარმოადგენდნენ. ამ აგენტურის სოციალურ-საზოგადოებრივი სახე გარკვეულ ისტორიულ მემკვიდრეობით კავშირშია ქართველი საზოგადოების ზედა ფენის იმ ნაწილთან, რომელიც ჩვენი წარსულის სხვადასხვა პერიოდში უცხოელ დამპყრობლებთან თანამშრომლობდა და მხარში ედგა მათ.

მეფის მმართველობას განსაკუთრებით გაახარებდა წარმოშობით არარუსი მოხელის მიერ ცარიზმის ეროვნული პოლიტიკის თეორიული დასაბუთების ცდა, რადგანაც რუსეთის სხვა ხალხების რუსებთან შერწყმის პოლიტიკა იმ დროს სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე იყო აყვანილი.

ჩვენი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტერმა გ. მუხრანბატონმა

ეროვნულად გადაგვარებული რეტროგრადის სახელი დატოვა. ის უცოლშვილო იყო და უძიროდ გადაეგო — მას ხორციელი შთამომავალი არ დარჩენია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ სენატორ გ. მუხრანბატონს სულიერი მემკვიდრეები არ დარჩენოდეს (ი. ჯაბადარი და სხვ.).

XIX საუკუნის 70-იანი წლების მოწინავე ქართულმა პუბლიცისტიკამ ნათლად წარმოაჩინა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი იდეოლოგის გ. მუხრანბატონის შეხედულების რეაქციულობა, შეხედულებისა, რომელიც მრავალრიცხოვანი ერების მიერ მცირე ერების შთანთქმა-მოსპობას კაცობრიობის პროგრესის აუცილებელ პირობად და ისტორიულ კანონზომიერებად აცხადებდა. კრიტიკამ მიანიშნა, რომ ეს თეორია კაციჭამიაობის ხანის შესაფერისი თვალთახედვით იყო შედგენილი, რომ მსგავსი კონცეფციით გამოსვლა პოლიტიკურ ბარბაროსობას წარმოადგენდა.

ეროვნული ურთიერთობის საკითხებზე გამართულმა კამათმა ცხადყო ქართული დემოკრატიული პუბლიცისტიკის იდეურ-თეორიული პოზიციების საიმედო სიმტკიცე. ის გამოდიოდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებიდან და გაბედულად ამხელდა პატარა ერებისადმი მტრულად განწყობილ ცარიზმის აგენტებს. ასეთი გამოსვლები კი ხელს უწყობდა ხალხის ეროვნული სულიერი ძალების კონსოლიდაციასა და მობილიზებას, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენიშვნები:

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით ტ. 1, თბ., 1951. გვ. 97-98.

[2] Акты собранные кавказскою археологическою комиссиею, т. V, с. 226.

[3] «Кавказский календарь»-ის შესაბამისი წლები; «Кавказ»; 1877, № 31; ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 1, ტფილისი, 1914, მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა, გვ. XIII, „შენიშვნები."

[4] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 1, თბილისი, 1951, გვ. 85-86.

[5] გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, № 13271. გ. მოზდოკელი ივანე მუხრანსკის შესახებ.

[6] გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, № 23188-ხ გ. მოზდოკელი, ილია ჭავჭავაძის დროის დუშეთი, გვ. 29-30.

7 პ. რატიანი, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გაძლიერება და ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. „საქართველოს ისტორია", ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, თბილისი, 1962, გვ. 108; მ. გაფრინდაშვილი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. V, თბ., 1970, გვ. 462.

8 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი (შემდეგში: ხელნაწერთა ინსტიტუტი), ბარონ ალ. პ. ნიკოლაის ფონდი, № 41.

[9] აკაკი, უკანასკნელი პასუხი, „კვალი", 1896, № 9; ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1650, გვ. 473.

[10] «О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц». Тифлис. 1872, 51 стр.; Санкт-Петербург, 1873, 64 стр.

[11] ხელნაწერთა ინსტიტუტი, გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) ფონდი, „S", № 49, ფონდი „H", № 3018; ჟურნალი „მოამბე", 1896, № 3.

[12] Consideration sur les nationalités. De l'essence de l'individualite, nationale et du role civilisateur des grandes unités nationales, Paris, 1877.

[13] ამის თაობაზე ავტორი თავის ბროშურაში მიუთითებდა: «Уяснение этих постоянных причин или законов, под влиянием коих совершается органический рост человеческих обществ, составляет предмет настоящего рассуждения, предлагаемого нами, как первый, сколько нам известно, опыт систематического исследования вопросов, касающихся слияния младших племен или народов (национальностей с малочисленным составом) с крупными народными единицами» (с. 23—24).

[14] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 2, გვ. 410.

[15] ს. ციცქიშვილი ეროვნულ საკითხზე შეხედულებათა ისტორიისათვის (XVIII-XIX სს.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 113, 1965 წ.

[16] მ. პეტრიძე, მცირე ტომთა ენებზე, „კრებული", 1872, № 11-12.

[17] რუსეთის თვითმპყრობელობისადმი მიმართულ მაამებლურ თეორიულ ვარჯიშში თავისი როლი უნდა შეესრულებინა აგრეთვე გ. მუხრანბატონის პირადი ხასიათის თვისებებს, მის ანგარებით აღსავსე ბუნებას. გარკვეული თანხის გაღების სანაცვლოდ გ. მუხრანბატონის გამოყენება-მოსყიდვა სავსებით შესაძლებელ საქმედ ყოფილა მიჩნეული. უკვე

მუხრანბატონის გარდაცვალების შემდეგ „ივერიაში“ მოთავსებული იყო შემდეგი შინაარსის „ნაკვესი“.

„პლატონ იოსელიანი სადილად თ. გიორგი მუხრან-ბატონთან იყო და ლაპარაკი ჩამოვარდა ვიღაცა მდიდარ კაცზე, რომელსაც დღეში ასი თუმანი აქვსო შემოსავალი. პლატონმა ინატრა ნეტავი მე მქონდეს ეგ შემოსავალიო!

— რად გინდაო, ჩემო პლატონ, ჰკითხა თავადმა გიორგიმ, ჭამა შენ არ იციო და სმაო, რაში გამოიყენებო?

— როცა მაგოდენა სიმდიდრე მექნებაო, უპასუხა პლატონმა, შენისთანა დიდ-კაცებს მოჯამაგირეთ დავიჭერო, და სმასაც მასწავლიანო და ჭამასაცო“! („ივერია“, 1886, № 28).

[18] Павел Зелский, Местная литература, «Кавказ», 1872, № 113, 119, 120.

[19] (ეს რეცენზია მოიპოვება კ. მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში. ის გ. მუხრანბატონის წიგნაკის ერთ-ერთ ეგზემპლართან ერთად ერთ ყდაშია შეკრული: R 146.730 309).

[20] «О существе...», с. 19.

[21] იქვე.

[22] «Письма Победоносцева к Александру III», т. II, 1926, с. 9—11, 112—113.

[23] მაგალითად, თბილისის სომხურ გაზეთ „მშაკ“-ში (№ 33, 1872) მოთავსებულ რეცენზიაში სასტიკად იყო გაკრიტიკებული გ. მუხრანბატონის ბროშურაში წამოყენებული ცრუ მეცნიერული დებულებები. ეხებოდა რა ბროშურაში მოტანილ აზრს მცირე ერების მოსპობის თაობაზე, „მშაკ“-ის რეცენზენტი წერდა: ეს არის არა მარტო უზარმაზარი მსხვერპლი, არამედ აუნაზღაურებელი დანაკლისი, რადგანაც თავისი ენის დაკარგვით ხალხი კარგავს თავის წარსულ ისტორიულ არსებობას და, ამავე დროს ხელს იღებს მასზე, რაც ხალხის ორგანულ კავშირს ჰქმნის. ენის დაკარგვით ხალხიც გაქრება. რეცენზენტი აღნიშნავდა, რომ ბროშურის ავტორი ყველა ხალხს ორ ჯგუფად ყოფდა: ხალხები, რომლებსაც ავტორი უფლებას აძლევს იქონიონ თავისი საკუთარი ენა, და ხალხები, რომლის ყველა წევრმა უკლებლივ სკოლაში ახლად უნდა შეისწავლოს სხვათა ენა, რათა შევიდეს ერთ-ერთ იმ ხალხის შემადგენლობაში, რომელსაც ავტორი არსებობის უფლებას უტოვებს. რეცენზიაში აღნიშნულია სომხებისა და ქართველების ისტორიული დამსახურება. ამ ხალხებმა მრავალსაუკუნოვან მტრულ გარემოცვაში თავისი სისხლის ფასად შესძლეს კავკასიასა და მცირე აზიაში ცივილიზაციის შენარჩუნება. რეცენზენტი დაასკვნის, რომ მის მიერ განხილული ბროშურა ისტორიის შესწავლის შედეგს კი არ წარმოადგენს, არამედ ის მხოლოდ ყალბ მეცნიერულ საბურველში [illegible]

[24] ხელნაწერთა ინსტიტუტი, [illegible] № 303.

[25] ს. მესხი, „ბიბლიოგრაფია“, „დროება“, 1872, № 35.

[26] მ. პეტრიძე, „მცირე ტომთა ენებზე“, „კრებული“, 1872, № 11-12.

[27] ხელნაწერთა ინსტიტუტი. გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდი „S“, № 49; ჟურნალი „მოამბე“, 1896, № 3.

[28] ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად ტ. I. თბ., 1951, გვ. 85.

[29] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I. 1914, ტფილისი, მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა, „შენიშვნები“, გვ. XIII-XIV.

[30] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 10, თბ., 1961, გვ. 38.

[31] „დროება“ 1872, № 35; ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, 1951, გვ. 100.

[32] აკაკი წერეთელი, აღარ გვაქვს გრძნობა, „დროება“, 1872, № 33; თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. I, თბილისი, 1950, გვ. 233-234.

[33] „დროება“, 1874, № 452; ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1950, გვ. 295-297.

[34] ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკის ფონდი, № 303.

[35] აი, დავით ერისთავის ეს წარწერა:

«О существе ты написал,
Мой друг, более ста страниц,
Но этим только доказал,
То, что мы знали без того,
Что ты совсем не существо
А нуль меж крупных единиц».

(ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914, ტფილისი, მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა. „შენიშვნები“, გვ. XIV).

[36] მახარობელი ხუჩუა, „ფელეტონი“: „დროება“, 1872, № 38.

[37] ზ. ჭიჭინაძე, პლატონ იოსელიანი, 1893, გვ. 26.

[38] ხელნაწერთა ინსტიტუტი, გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდი, № 49.

[39] „კრებული“, 1972. № 11-12.

[40] იქვე.

[41] იქვე.

[42] არ. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, „სახალხო გაზეთი“, 1913, № 797.

[43] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 5, საქმე 3402, ფურც. 1-2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ რობაქიძე

# ივანე ჯავახიშვილი

1907 წელს საქართველოს დედა ქალაქში ქართველი სწავლული მოხსენებას კითხულობს. თეატრში ტევა აღარაა. მსმენელთა შორის იმყოფება დიდი ქართველი: ჭავჭავაძე ილია, რომლის თანდასწრება მთელ კრებას საზეიმო იერს ჰფენს. მომხსენებელი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ხოლო გონებით უკვე მოწიფული. სწორი, კეთილმოყვანილი სახე, მყუდრო ძლიერების მეტყველი. უბადლო შუბლი, გონიერების ნათელ სათავსად ნაკვეთი. გამოხედვა ღრმა: თითქო ჰინდური, რომელიც პირველივე ღიმილით ქართულ ხალხს ხიბლად იფრქვევა. დინჯი, აუჩქარებელი — რადგან პასუხსაგებ საქმით დატვირთული. მორიდებული უფრო ვიდრე უკარებელი. შინაგან შეკვრივული და არა გულჩათხრობილი — უდრეკი, ურყევი — რადგან მტკიცე და მყარი. მაგარი როგორც კუნძი და ულრუო ვითარ ძელქვის ნამორი. თითქმის „ჯიუტი": არ დამთმობი ერთხელ აღებული გეზისა. ლაპარაკობს ნელა, პაუზებით: ეტყობა — სწონის და ზომავს ნათქვამს. სიტყვა თითქო არ ემორჩილება — ალბათ ცდილობს: არც მეტი თქვას არც ნაკლები. არც ერთხელ ხმის ამაღლება: ნააზრის ცხადება ისე გულისხმიერია მისი. დამსწრენი გულდასმით ისმენენ ყოველ სიტყვას მომხსენებლისას — და გრძნობენ თანდათან: რომ მათში რაღაც იზრდება ნელ-ნელ, ან უკეთ: რაღაც იმართება. ასე ტკბილი და ძალის მომგვრელი. საქართველოს ხერხემალი? სწორედ ეს და მხოლოდ ეს. თავდება მოხსენება. მსმენელნი აღფრთოვანებით აცილებენ ახლად მოვლენილ სწავლულს, ხოლო თვალი მაინც ილიას მიმართ უჭირავთ: უნდათ გაიგონ, თუ რას იტყვის დაულალავი მოურავი საქართველოს კულტურისა. ნელი, მოკლე, შინაგან აღვივებული სიტყვით ამცნევს დიდი ქართველი ირგვლივ თავმოყრილთ თავის გახარებას. ილიას სიტყვა ედება მთელ კრებას — რიგიდან რიგებს — ვითარ მადლით განფენილი დასტური. სიხარული მატულობს. ბოლოს ეს „განაჩენი" მომხსენებელსაც სწვდება. მის მშვიდ სახეს ნათელი ეფინება — თითქო სურს გამხნევებულს გასძახოს ხევსურულად: „ჯანი მამიმატის!" ახალგაზრდა სწავლული ივანე ჯავახიშვილია.

გადის რამდენიმე თვე. საქართველოს თავს ატყდება დიდი უბედურება: წიწამურის ველი ირწყვება დიდი ქართველის სისხლით. მკვლელი ქართველთა ნაშიერია, რაიც კიდევ უფრო ამძაფრებს ტკივილს. დიდია გლოვა და ვაება. ხოლო საოცარი და საცნაური: ერის მიერ ღრმად განცდილ ტანჯვაში მკვლელობა თანდათან „მსხვერპლის" სახეს იღებს — მსხვერპლის, რომლის საიდუმლოება სინამდვილის გარდამქმნელი ძალაა. და აი: წიწამურის ველიდან დღითიდღე, კიდიდან კიდამდე, მთელს საქართველოს არეში ეს უხილავი ხოლო ცხადზე უცხადესი ძალა — ვლინდება უშუალო ქმედებით ეს ქვეშეცნეული. ყოველ ქართველში — რომელშიაც ღვივის კიდევ ოდნავ მაინც ცეცხლი კარდმუს თესლისა — ყოველ ქართველში იღვიძებს საქართველო — იღვიძებს არა წილობით, არამედ მთლად: იღვიძებს მთელი საქართველო, მთელი მისი ბედით. არც ერთი მექმე ქართველი არ რჩება ეხლა განზე განაპირებული. ყოველი მათგანის გზა მიდის ამიერიდან ამ მსხვერპლის ნიშნით. ხოლო ერთი კაცი, რომელიც მთელი თავისი არსით საქართველოს საუკუნოებში გაწვდილ წიაღშია გადასული, ალბათ ყველაზე უფრო ღრმად განიცდის ამ შინაგან გარდაქმნას. ეს კაცი უთუოდ ივანე ჯავახიშვილია. სიხარული, ილიას გახარებით შობილი, ეხლა მისთვის „კურთხევად" იქცევა. ხოლო კურთხევა მოწოდებაა და დანიშნულება. ილია იღწვოდა საქართველოს მზეოსან ხელმწიფების აღდგენისათვის: სიტყვით, საქმით, ცხოვრებით. კურთხევა-მიღებული სწავლული ხედავს ეხლა ნათლივ: მან უნდა განაგრძოს გზა, მეტად მძიმე გარნა მეტადვე საშური. მაგრამ როგორ? ჯა-

ვახიშვილი მემატიანეა, მეისტორიე, გამოიკვლევს საქართველოს თავგადასავალს — იგი ამით დაეხმარება მის ხელმწიფების აღდგენას. ეს არის ეხლა მისი ულრმესი რწმენა, რწმენა უტყუარი და მართებული. გსურს გაიგო „ვინა ხარ", უნდა შეიგნო „ვინ იყავ". გინდა იქცე „რამედ". უნდა შეიტყო „რა განვლე", „საით-კენ?" მიზანშეწონილია მაშინ, თუ ესეც იცი: „საიდან?" ისტორია არის არამარტო ხსოვნა წარსულისა — იგი თანვე ქმედითი მონაწილეა მომავლისა. ამ რწმენით იწყებს ჯავახიშვილი თავის მოწოდების ასრულებას. უამრავი სიძნელენი იმართებიან მის წინ: ევროპაში ისტორიული კვლევა გაადვილებულია: სწავლულს აქ ყოველი დარგი გაკაფული ხვდება წინ: ყოველი მასალა დალაგებული, ჯავახიშვილი კი თითქმის ყველაფერს პირველად უნდა შეეხოს. იგი მაინც იმედნეული იკაფავს გზას, იშველიებს-რა ყოველგვარ საჭურველს სიძნელეთა დასაძლევად იგი სწავლობს ევროპასა და რუსეთში: ენებს, როგორც დასავლეთისა ისე აღმოსავლეთისა, პალეონტოლოგიას, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას, ხუროთმოძღვრებას — ხოლო ყოველი ეს ჯერ კიდევ მზადებაა მხოლოდ და მასალასთან მიახლოვება.

იწყება დაუღალავი, ნაყოფიერი შრომა. ქართული უნივერსიტეტი იქცევა ლაბორატორიად ქართული შეგნებისა. შუა გულში აქაც ივანე ჯავახიშვილია: თავგანწირვით — რომელიც უმაგალითო თუ არა სამაგალითოა — აგრძელებს იგი ერთხელ დაწყებულ საქმეს: აგროვებს საქართველოს ყოფიდან ყოველგვარ მასალას — ძველ ხელნაწერს, ნახატს, ნახაზს, გადმოცემას, სიგელს — და კიდევ რას? აგროვებს მასალას, არჩევს და იკვლევს და ალაგებს მას. ხოლო მასალა უფრო და უფრო ხვავდება. ჯავახიშვილი ეხლა იკრებს მთელს ჯგუფს ახალგაზრდა მკვლევართა: თანამშრომელთა და დამხმარეთა. ჩაღდება უმაგალითო მუშაობა. „ქართველი ერის ისტორია" — მთავრი შრომა ჯავახიშვილისა — იზრდება თანდათან: თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე. ეს არაა ჩვეულებრივი „ისტორია", იგი უფრო ენციკლოპედიაა. ყველაფერია აქ განხილული: ქართველთა წარმოშობა, ნათესავ ტომთა ერთ ერად ქცევა და ჩამოსხმა, ქართული ენა, ნივთიერი და სულიერი კულტურა საქართველოსი, ხელმწიფების დგენა და განმტკიცება მისი. ბედი თუ უბედობა, მარჯი და მარცხი — ყველაფერია აქ განხილული. და მერე როგორ? აიღეთ ნიმუშად განხილვა ქართული სიტყვისა „მზე", რომელსაც ამ ნაშრომში თითქმის მთელი სამი გვერდი უჭირავს. ეს განხილვა სწორუპოვარი ცდაა ენის შინაგანი დონის მისი მითიურ-მსახიერებელი ცნევისა. და ასე ყველგან, ყოველ დარგში. დროდადრო იგი ამ ნაშრომს სხვადასხვა ნარკვევებით ავსებს და ამარაგებს. იგი იკვლევს: ქართულ სამართალს, ქართულ ეკლესიას, ქართულ ხუროთმოძღვრებას, ქართულ მხატვრობას, ქართულ მუსიკას, გეოგრაფიას, დამწერლობას, არქეოლოგიურ ნაშთებს — და კიდევ რას? ქართულ მევენახეობასაც კი! და მერე: რა სიყვარულით და გულმოდგინებით! არ დარჩენილა არც ერთი ლერწი, რომელიც მას „რაობის" მიხედვით არ განეხილოს. არ დარჩენილა არც ერთი მტევანი, რომელიც მას „თვისების" მხარით არ განეხილოს. მტევნის მარცვალიც რაა — მისი მნიშვნელობაც კი აქვს გაშუქებული. და ასე ყველგან, ყოველ დარგში.

დიდია ნაშრომი ივანე ჯავახიშვილისა და ფასდაუდებელი მისი დანატოვარი. მის ისტორიულ ნარკვევში — აქ მეხმარება გენია ქართული სიტყვისა — მონივთულია „ცხოვრებაი ქართულისაი". დიახ — „მონივთული". ეს ქართული სიტყვა, სხვა ენაზე უთარგმნელი, სწორუპოვრად მარტავს ნაშრომს ჩვენი ისტორიკოსისა. მომავალი მეისტორიე, რომელიც დაისახავს მიზნად: აღმოაჩინოს ქართველთა ვითარებაში მსოფლიო ქცევის ერთ-ერთი გულისხმიერი სახეობა — ჯავახიშვილის მიერ „მონივთულ" თავგადასავალში საქართველოსა იპოვის ყველაფერს დასახულის მისაღწევად. მაშინ დაფასდება იგი საბოლოოდ როგორც მკვლევარი. — წინამორბედი. ხოლო ჩვენთვის დღესაც ნათელია ერთი-რამ: ივანე ჯავახიშვილმა პირნათლად გაამართლა კურთხევა, დიდი ილიასაგან იდუმალი გზით მიღებული: და ამით უკვდავჰყო თავისი პიროვნება ქართველი ერის დაუშრეტელ წიაღში.

პ. ს. ზემოხსენებულ მოხსენებას ჯავახიშვილისა მე არ დავსწრებივარ: იმ ჟამად უცხოეთში ვიყავ. თუ როგორ შეხვდა ამ მოხსენებას ილია ჭავჭავაძე — ეს ამბავი გაგონილი მაქვს განსვენებულ ვალერიან გუნიასაგან. სხვათა შორის: უკანასკნელი უზომო თაყვანისმცემელი იყო ილიასი, რომლის სახელს იგი იცავდა როგორც თავდადებული რაინდი.

გ. რ.

# ვაჟა-ფშაველა

(ნაწყვეტი 1909 წ. წაკითხული ლექციისა)

ყოველს მგოსანს ერთი იდუმალი ჟამი აქვს, როცა მას მუზა ეწვევა. ყოველს ხელოვანს ერთი ფარული ადგილი აქვს, საცა იგი მუზას ნახულობს. ეს ის ჟამია, როცა იგი მეორედ იშვის. ეს ის ადგილია, საცა იგი გარდაიქმნის. ამ ჟამს ელის იგი სიკვდილსა და ამ ადგილს ნატრობს იგი საფლავსა. ვაჟა-ფშაველასაც აქვს ასეთი ჟამი და ასეთი ადგილი. მისი პოეტური ჟამი მაშინ წარმოიშვა, როცა ბუნებამ პირველად აიხსნა თვალი. მისი მგოსნური ადგილი კლდის მკერდის ძირას გამოიჭრა, საცა ბუნებამ პირველად იხილა თავი. თვალის მომჭრელ ქალწულს წყალი მოსწყურდა და მთის წყაროს დაეყრდნო მხურვალე. ქალწულმა წყაროს სარკეში პირველად იხილა თავის ლამაზი სახე და მის ტურფა ბაგეს ცისკროვანი ღიმილი დააკვდა. ეს ქალწული ვაჟას ზღაპრული მუზაა. ეს ღიმილი მისი მგოსნური სიტყვაა.

მთვარიან ღამეს, როცა გრძნეულ შუქთა ზეწარი სიზმრად ეფინება მიძინებულ ქვეყანას, ელის შეყვარებული მგოსანი სატრფოს ხილვას. და უკანასკნელიც მოვლინდება: იგი გამოდის შავის მღვიმით, მიაშურებს კლდის წყაროს, თავს უშვერს მის ნაჟურს, დაჭმღერის სამყაროს. და როცა ოდნავ დაიწყებს ნათებას, თითქოს მთვარეულს დღის ცხადი თვალის ეშინიაო, ისევ შავს მღვიმეს შეეფარება. ათრთოლებული მგოსანი, ჯადოსანი სიმღერით ფრთა ასხმული, ფანდურს იღებს ხელში და ტკბილად ახმაურებს მოზღვავებულს გულისთქმას...

შემოქმედი შეცნობა ვაჟა-ფშაველასი მითოლოგიურია უთუოდ: მისი მაფრთოვანებელი ქალწულიც ხომ მითოსის თვალწარმტაცი ხატებაა! მგოსანი უსმენს ყოველს მოვლენას და ნახულობს მასში რაღაც ახლოსა და ნათესაურს, ხოლო რაღაც გვარ მისგან მოწყვეტილს და დაკარგულს. იგი ყურს უგდებს მთით მოხეთქილ ჩანჩქერს და უკანასკნელის ტიტველი ტანის ხმაური იწვევს მასში სულიერ განცდათა მოძახილს. მგოსნის შეცნობა ჰქმნის ბუნების მოვლენაში თავის სახეს და მით აპიროვნებს მას. მაგრამ, როგორ შეიძლება რისამე გაპიროვნება, თუ მას იმ თავითვე თავისი საკუთარი სახე არ აქვს?! დიახ, ყოველს მოვლენას საკუთარი სახე აქვს, — და როცა მგოსანი მასში თავის სახესა ჰქმნის, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბუნების მოვლენამ და მგოსანმა საიდუმლო შეხვედრის წამს ერთი მეორე იცნეს. აქ არის სათავე პანთეიზმისა, — და ვაჟა-ფშაველაც პანთეისტია უცილობლად.

მაგრამ როგორი? ბუნებამ, ამ ტურფა ქალწულმა, სარკეში ჩაიხედა და იგრძნო ოდენ უსრულობა თავისი ლამაზი სახისა: აქ გაჩნდა პირველად ნაღვლი შემოქმედისა. ბუნებამ სევდით მიიძინა — და სიზმრად ნახა თავისი სრული სახე: პირველად იშვა პოეტური ინტუიცია. ბუნებამ გულისფეთქვით გაიღვიძა და ამხილა მხიარულმა ლამაზი სიზმარი: აქ წარმოიშვა პირველად მხატვრული სახე. და სახე იგი გაიშალა, მითოსად, ზღაპრად, ლეგენდად... ადამიანის გენია გასცილდა ზერელე სინამდვილეს და თავბრუ-დამხვევი ოცნებით ნამდვილ სინამდვილეს ფრთა ჩამოაჭრა... აი შემოქმედი ძალა, ნამდვილი ენტელექია მსოფლიო გენიისა! ვაჟა-ფშაველას ნიჭი სწორედ ამ გენიის ალით არის ანთებული... იგი არ არის პანთეისტი ფიგურალურად: არა: იგი თავის პანთეისტობაში ნამდვილი მისტიკოსია... ბუნება მისთვის ცოცხალი არსია, რომელიც ჰლამობს თავისს სრულობას... ლოგოსია სათავე ვაჟას პოეტური გენიისა!! ლოგოსის გარეშე მისი პოეტური სიტყვა მხოლოდ „ჭრელი სიტყვა" იქნებოდა. ამას ნათლად ამართლებს მისი პოემა „გველის მჭამელი"... შევჩერდეთ ამ პოემაზე! ეს საჭიროა არამარტო ვაჟა-ფშაველას ნიჭის დასახასიათებლად, არამედ კიდევ უფრო ქართველთა გენიის ცნობად, — რადგან „გველის მჭამელი" ნამდვილი სხეულებაა ქართველთა სულიერი ენერგიისა, მისი საუკეთესო ნაყოფი...

რთულია და ღრმა ამ პოემის შემოქმედი არაკი. მთიელი მინდია დევებსა ჰყავთ ტყვედ წაყვანილი, და უხუთავს მას სულს დახშული მარტოობა. კლდეთა ნაპრალნი, საცა თავს აფარებენ თავისუფალნი და პირქუშნი არწივნი, ულრანი ტყენი, რომელთა ტევრებში უცნაურნი ზღაპარნი ხმაურდებიან, მდუმარე ქალები, რომელთა მოქნილ ზოლებს ადამიანთა კაეშანი გადაუშლიათ, — ყოველი ეს, ახლო და ნათესავი, აგონდება მინდიას და სულს მისას იფლობს ნაღველი გამოუთქმელი. იგი ამაყ მთების შვილი, თავისუფლებაშია შობილი, — და ვერ ურიგდება უბედურ საშინელს მონობას. სასოწარკვეთილი გადასწყვეტს იგი თავის მოკვლას: იგემებს გველის ხორცს, რომლითაც დევნი იკვებებიან, — ჰგონია, მოიწამლება მით. მაგრამ დახეთ უცნაურობას: მინდია გარდაიქმნა სრულებით, შეიცვალა სულითა და სხეულით, იქცა გულთმისანი და სულთამხილავი.

მაშინ მიუხვდება იგი თავის ტყვეობის საიდუმლოს, ამსხვრევს ბორკილებს მონობისას, — და თავისუფალი ევლინება სამშობლოს.

ასე იწყება ეს მშვენიერი ლეგენდა. ყოველს არსს აქვს თავისი ენა: ადამიანს — ადამიანური. მინდიას კი ესმის სიტყვა ყოველისა, იგი მეტყველებს მსოფლიოს ენით. იგი სულთამხილავია და სწვდება ყოველს საიდუმლოს ქვეყნისას; იგი გულთმისანია — და არ ეპარება მას არც ერთი ნარნარი განცდა ადამიანის სულისა. მისთვის მისაწვდომია ყოველი: ფოთოლთა შრიალიც და ტყეთა დუმილიც, ქალათა ფიქრნიც და ჩანჩქერის ხმაურიც, მისთვის არ არსებობს „პირ-უტყვი": პირიქით, ყოველი არსი მისთვის მეტყველია ნამდვილი. და მის შემოქმედის წარმოდგენაში მსოფლიო იშლება როგორც ცოცხალი მთლიანი სხეული, სადაც ყოველი ნაწილი ავსილია თვის აზრით, სადაც ყოველს მონადას აქვს საკუთარი ენა. გენიალური უბრალოებით ხატავს მგოსანი სურათს ასეთი სულთამხილაობისას. მინდია ხევსურებშია: განზე იყურება, რაღაცას უცქერს, სახე დაღვრემილი აქვს. რა დაგემართა? ეკითხებიან...

აგერ იმ ჩიტებს ყურს ვუგდებ,
თითით უჩვენა ჩიტებზე, —
ორნი ფრთებ ჩამოშვებულნი
იფნის ქვეშ ისხდნენ სიპებზე;
ერთი მათგანი უამბობს
სიკვდილის ამბავს შვილებზე;
მარცხნით მჯდომარე დედაა,
მარჯვნისკენ ამბის მთხრობელი,
თქვენს მტერს, რომ გულმოკლულადა
შვილებსა სტირის მშობელი...

სულ განაბულნი ხევსურნი ჩიტებს უცქერენ. ამ დროს ერთი ჩიტი სიპიდან დაბლა ვარდება და სულს განუტევებს. უთუოდ დედაა, — იელვებს აზრი...

ვინ არის მინდია? მსოფლიოს უთუოდ ეტყობა ავადური ტეხილი. ყოველი ნაწილი ქვეყნისა ილტვის და ყოფადდოს თავის თავი გარე და წინააღმდეგ ყოველისა. ხოლო არც ერთ ნაწილს ქვეყნისას არ ძალუძს სრულიად გამოეყოს ყველა სხვა ნაწილებს და დამთავრდეს თავისს განცალკევებულს კერძოობაში. აქედან: შუღლი, გაუგებრობა, მონობა, გახრწნილობა. რელიგიის შემოქმედი საქმეა აღადგინოს მსოფლიოს ნაწილთა შორის სიყვარულის ქსოვილი შინა-მხრით და თავისუფალი ურთიერთობა გარე-მხრით. გარნა. ამისათვის საჭიროა ერთხელ და საყოველთაოდ დაიმსხვრეს ყოველი ზღვარი და ყოველი ზღუდე, ეს საშინელი თესლი ცალკერძი თვითდამყარებისა. საჭიროა მიწვდომა „სხვისა", საჭიროა „სხვის" გაგება, საჭიროა „სხვაში" გადასვლა, საჭიროა „სხვადქცევა". აი შემოქმედი დანიშნულება რელიგიისა! და ჰქმნის კიდეც ხომ შემოქმედი ლოგოსი — რაიცა თვითონ „საზრისის" სხეულებაა, მსოფლიო ისტორიას სწორედ ამ გზით.

მინდია სწორედ ამ ლოგოსის ერთ-ერთი ნატეხის სხეულებაა: იგი გასცილდა თავის თავს, გადაეზარდა თავის თავს: მან სძლია თავის თავში ვიწრო-პირადული, ადამიანურ-შეზღუდული, ცალკერძ-საზღვრული. მან განასხეულა თავის თავით შემოქმედი გენია ბუნებისა და იქცა თვითონ ნამდვილ გენიოსად მსოფლიოს აზრით. იგი აღარ არის ადამიანი უბრალო, იგი ზესთადამიანია ნამდვილი, — მაგრამ არა ნიცშეს ზესთადამიანი-ინდივიდუალისტი, არამედ რელიგიური უნივერსალისტი. რასაკვირველია, იგივ პიროვნებაა, ინდივიდუალობა: მას არ მოუკლავს თავი „სხვადქცევაში", იგი არ გათქვეფილა „უნივერსალურში". პირიქით: იგი არის „ეს", კერძოდ საზღვრული პირადობა, მაგრამ იქცევა რა „სხვად", იგი ერთვის მით „ყოველს", ეზიარება მსოფლიო სიცოცხლეს. და ამასთანავე მის სულში იშვება ოდნავ მჩინარი, მაგრამ ღრმა პროცესი. გადადის რა „სხვაში", იგი იგებს „ყოველს", ყოველს საგანში ამჩნევს „სახეს", ყოველს მოვლენაში ნახულობს „სიტყვას". და ნელინელ გაგებასთან ერთად იგი იღებს და ითვისებს ყოველს მოვლენას: იგი უახლოვდება მათ, იგი უმეგობრდება მათ: მათ შორის იმართება სიყვარულის კავშირი, ბუნების ზრდასა და ყვავილობის ჟამს ატაცებულია მინდია: იგი გარბის ველად და მწვანე მდელოსთან ერთად განიცდის მხიარული ლბილ ბალახთა ზდას და ფერად ყვავილთა ყვავილობას. იგი ერთვის მსოფლიოს სულს მსოფლიოს ზიარებული და გრძნობს გრძნობა გამახვილებული, როგორ იშლება ყვავილის კოკორი, გრძნობს აფრთოვანებული, როგორ ძგერს ყოველს ყლორტში ქვეყნის სუნთქვა, ნელი და მათრობელი... მან შეიყვარა ქვეყანა და ქვეყანამ შეიყვარა იგი... და ბუნება გულუხვი უხვდება მინდიას მკერდგაშლილი:

ყვავილნი ყელგადაგდებით
დახატულები კალმითა
მინდიას გაუმარჯოსო!
ერთხმად ასტეხენ ყიჟინსა,
ხეები ფოთლებს არხევენ.
ბუნება იწყებს ბიბინსა,
და მერე სათითაოდა
ყველა მოჰყვება ტიტინსა:
მე ვარო ამის წამალი,
სხვა გაიძახის, იმისა;
მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს.
ჯერ ზედ ნამი აქვს დილისა.

და მინდიაც სხვა და სხვა წვენის შეზავებით წამალს ამზადებს: იგი გულთმისანი არაა მარტო: იგი ხალხის აქიმიცაა, მკურნები ქურუ-

მი... მინდიას ესმის ყოველი. იგი მიდის ხეს-თან. უნდა ცული შემოუქნიოს, — მაგრამ უეცრად მკლავი უდუნდება, — რადგან მოესმის: „ნუ მომკლავ. ჩემო მინდიავ, ნუ დამიბნელებ მზესაო: უიარაღო რომა ვარ, მიტომ მიმეტებ ხესაო“... ან და ყანას როცა მოევლინება სამკელად. მინდია გიჟივით გარბის, ტრიალებს ციბრუტივით, ხან ამ თავთავს ეცემა, ხან იმას, ბოლოს — კი დაქანცული მიწაზე იშხლართება. რათა? თავთავნი მეხვევიანო, — გვიამბობს მინდია, — ჩქარა მოგვმკე: სიტყვის გვეშინიანო; ყოველი მათგანი ტიტინით მაცნობებს:

პატარა ნისლიც რომ ვნახო,
ჩამოვეშვები ტანითა...

ასეთია მინდია ბუნების ნამდვილი გენიოსი. მან შეიცნო ქვეყანა და შეიყვარა იგი. აი პირველი პასსაჟი პოემისა. და აქ უნებლიეთ გვაგონდება საიდუმლო თქმა ლეონარდო და-ვინჩისა: ცოდნა შეიქმს სიყვარულსა. მინდიამ შეიცნო და შეიყვარა თან.

ხოლო მგოსანი აქ არ შეჩერებულა: ქვეით და ქვეით ეს პასსაჟი ტრაგიულ სიმფონიად იშლება. მინდიამ არა თუ „იცის“ მარტო: იგი კიდეც „განიცდის“. აქ არის მისი სიყვარული, აქვეა მისი ტრაგედია. იგი ცოცხლობს მსოფლიოს სიცოცხლით: მსოფლიოს სიხარული მისი სიხარულია, მსოფლიოს მწუხარება მისი მწუხარებაა. ხოლო მსოფლიო ტრაგედიულია თავისთავად — და ნარნარი სული გველის მჭამელისა ნაზ ჭურჭელად იქცევა, რომელიც ივსება მსოფლიო ტანჯვით... იგი მწუხარეა ყოველთვის, მოწყენილი, დაფიქრებული, განმარტოებული... მსოფლიოს იგი ვერ იხსნის — რადგან ერთია მხოლოდ, — მსოფლიო ხსნისათვის საჭიროა კრებული შემოქმედება... თავის თავს იგი ვერ იხსნის საბოლოოდ, — რადგან შეუძლოა ინდივიდუალი ხსნა გარეშე მსოფლიურისა, — ცალკერძი თვით დადგინება მსოფლიო ტანჯვის სათავეა... მაშ რა ჰქნას მინდიამ? აი ეს ბედისწერითი კითხვა ულმობელ ტრაგედიად გადატყდება მინდიას სულში... მის წინ აიმართება ასეთი დილლემა (გზა ჯვარედინი): ან უნდა მოსცილდე მსოფლიოს, იქცე განდეგილად, განეყენო ქვეყანას და იხსნა თავი განმარტოებით — ან უნდა დარჩე მსოფლიოში, მიიღო მისი ტრაგიულობა, შეერიო მის დენას და „ისტორიულობაში“ გაშალო პიროვნება... პირველი გზა მინდიას მიერ უკვე უარყოფილია: მისი „მე“ მსოფლიო გენიოსობაში გაიზარდა და აბა როგორ მოსცილდება იგი მსოფლიოს?! დარჩა მეორე გზა: — მიღება „ისტორიულად“ მსოფლიოისა... მინდიაც ირჩევს მას... და აქ იწყება საფთხე, რომელსაც კაცთაშობილი ვერ აიცდენს ვერაოდეს... სადაა ეს საფთხე??

მის გასახსნელად მგოსანი მინდიას ოჯახურობაში მოაქცევს... მინდიამ ცოლი შეირთო: გაჩნდნენ ბავშვები, გაიმართა ოჯახური ერთეული. ოჯახური დასაწყისი მგოსანს გამოყვანილი ჰყავს როგორც სიმბოლო ვიწრო-პირადულისა, დახშულისა, ცალკერძსაზღვრულისა. და აი გაიჩაღება მინდიას სულში საშინელი ომი ვიწრო-პირადულისა და ზესთა-პირადულს შორის, საზღვრულ „მესა“ და უსაზღვრო მსოფლიოს შორის. ოჯახს შეშა უნდა, — მინდიამ ხეები უნდა მოჭრას; ოჯახს საჭმელი უნდა — მინდიამ ცხოველნი უნდა ჰხოცოს. მაგრამ როგორ მოუქნევს იგი ნაჯახს საროტანიანს ქადარს, როცა იგი სიყვარულით ირხევა და ლალი დალუნვით თავს უქნევს მინდიას?! როგორ გაიმეტებს იგი უელმოლერებულ ჯიხვს, სალი კლდიდან ამაყად მაცქერალს, როცა უკანასკნელი ალერსიანი ხტომით ეგებება მინდიას?! და იტანჯის საბრალო გველისმჭამელი, იტანჯის ძალზე, გამოუთქმელად... მაგრამ ცხოვრება, ეს უბადრუკი ცხოვრება, თავისას თხოულობს, — და მინდიაც ნელინელი მიყოლით ემორჩილება მას... იგი იტანჯის ცხოველთა ცრემლით და მცენარეთა ტკივილით, — და აი, რომ აღარ იგრძნოს არც ერთი და არც მეორე, არც ცრემლი და არც ტკივილი, იგი მგოსნის ლამაზი სიტყვით, სიყვარულით ავარვარებულს მკერდში ქვის გულს ჩაიდებს... და გაცივდა მკერდი, და გაჰქრა სიყვარული... მაგრამ დახეთ უბედურებას: სიყვარულის გრძნობასთან ერთად მას ცნობის ძალაც მოაკლდა: გაუქრა გულთმისნობა და წაერთვა მოენეობა... მას აღარ ესმის „სხვისა“: მსოფლიო საიდუმლო ახლა მისთვის მიმალულია... მკვდარი ვერა გრძნობს თავისს სიკვდილს, — მინდიას „მე“ მკვდარია და გრძნობს დარჩენილი „მე“ თავისს სიკვდილსა... იგი სტირის: „ყვავილნი არას მეტყვიან, აღარც ნდობა მაქვს იმათი; აღარა მესმის ფრინველთა, აღარა მესმის ყანისა, აღარ მსმენია მას შემდეგ ტკბილი ხალამი მწვანისა“... და ერთხელ, როცა ცოლთან ლაპარაკის დროს მოაგონდა თავისი ყოფილი ძალა, მის სულში მძორად გადაქცეული, — „ადგა და გულ-ხელდაკრეფით გამოეფინა კარზედა, მთათ რომ შეხედა მაღალთა, დაიქვითინა მწარედა“... დაიქვითინა, — რადგან მთანი მაღალნი, მისი მესაიდუმლენი და მოსიყვარულენი, ეხლა ზურგს უქცევდნენ ტანჯულს გველის მჭამელს... და აი ამ წამს იგრძნო მან საბოლოოდ, რომ მისი სულის ქნარს დააწყდნენ სიმნი, ჩამქსოვნი ყოვლის საიდუმლოისა, და ქნარი იგი დადუმდა საბოლოოდ...

აი მეორე პასსაჟი პოემისა: მინდიამ მოჰკლა თავის გულში სიყვარული და თანვე დაჰკარგა ძალა ცოდნისა, და აქ უნებლიედ გვაგონდება სიტყვა პავლე მოციქულისა: სიყვარული შეიქმს ცოდნასა (ეთეს., III, 18). მინდიამ შეიცნო ქვეყანა და შეიყვარა იგი; მინდიამ ჩაიკლა მისი სიყვარული და წაერთო შეცნობის ძალა, — აი მგოსნის ინტუიცია, და მგოსანმა შემოქმედს სინტეზში შეაერთა ორი პირველი

შეხვედრით მოპირდაპირე შეხედულება: ცოდნა შეიქმს სიყვარულსა (და-ვინჩი) და სიყვარული შეიქმს ცოდნასა (მოც. პავლე), — ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, მგოსანმა ინტუიტივურად გამონახა, რომ ცოდნა და სიყვარული ბოლოს და ბოლოს ერთი და იგივეა, რომ ცოდნა იგივე სიყვარულია, მხოლოდ სხვა სახის, და სიყვარულიც იგივე ცოდნაა, მხოლოდ სხვა გვარის...

ასეთია ამ გენიალური პოემის მდინარება, ხოლო ტრაგედიას ხსნა სჭირდება ყოველთვის და მგოსანიც ჰპოულობს მის სახსნელად ერთს ამბავს. მინდია, როგორც გულთმისანი და სულთამხილავი, მრჩეველიც იყო საუკეთესო, განსაკუთრებით ომის დროს, და აი იმ ჟამს, როცა მას გველის სიბრძნე წაერთვა, ომი უნდა გაიმართოს მტერთან. ჯერ ეს სურათი:

ცოტა რამ მკრთალი ნათელი
ხახმატს ხატშია ჩნდებოდა;
სანთლები ენთო ყორეზე,
ალი იფნებსა სწვდებოდა,
ხან ცისკრად გამოაშუქის
ხან კი მინელდის, ჰქრებოდა...

ამ ხახმატის ჯვართან მიდის მინდიასთან ხალხისაგან მიგზავნილი „ხევის ბერი“ ბერდია. იგი თხოვს მინდიას რჩევას, თუ სად დაუხვდენ მტერს. მინდია შეკრთება, წყლული ეხსნება, ცრემლი მოსქდება, — და რომ ხევის ბერმა არ შეამჩნიოს, მიბრუნდება და გვერდზე მოიწმენდს. დრამატიზმი უმწვერვალესს წერტილს აღწევს. მინდია ოდნავ შენელდება და ბერდიას აუხსნის თავის საიდუმლოს: ის აღარ არის უწინდელი მინდია: მან დაჰკარგა ძალა გულთმისნობისა. ხევის ბერი დაღონდება, — მაგრამ მაინც სთხოვს. მინდია უარობს, მაგრამ შემდგომ დასთანხმდება: დახვდით მტერს „მოწამლულს ხევშიო“ — აძლევს რჩევას. ომი გაიმართება... ომის ველს საზღაპრო კოშკი გადასცქერს. კოშკში მეომართა ცოლნი არიან... მათ შორის მზია, მინდიას ცოლი... იგი უამბობს მეგობართ მინდიას უბედურებას. „გადის დრო“. უეცრათ მეომართა წრით მინდია გამოჩნდება „შერეული“, წვალობს, იგრიხება ხელფეხშეკრული. „კაცო, რად იკლავ ძალად თავს?“ — ეკითხებიან. მინდია სდუმს: სულის სიღრმეში ცნობს, რომ შეცდა რჩევის მიცემაში. ამ დროს მთელს სოფელს ალი მოედება. მაშინ კი იგრძნობს მინდია, რომ დამღუპველი რჩევა მისცა მშობელ ხალხს, — და ხანჯლით გულს გაიგმირავს.

მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,
გადმოუვიდა ჩქეფითა,
მთვარემაც გადმოაშუქა
საჯიხვეების სერითა
და დასცქეროდა თავის მკვლელს
მოზარე ქალის ფერითა...

გათავდა პოემა და დამთავრდა ტანჯვა მინდიასი. საუცხოვო და საგულისხმოა ფრიად პოემის ბოლო. მინდიამ ბუნებას უღალატა, მაგრამ ბუნება მთვარის, მოზარე ქალის, სახით მაინც დასტირის უბედურს... რათა? მისთვის, რომ მინდიას დანაშაული არ არის პირადი მისი დანაშაული: მასში მთელს მსოფლიოს უდევს წილი. იგი ტრაგიული დანაშაულია და მინდია მსხვერპლია მისი მხოლოდ. ამისათვისაა, რომ ბედი მინდიასი თანაგრძნობას იწვევს და ტანჯვა მინდიასი — განწმენდას სულისას. აი ნამდვილი ტრაგედია.

საკვირველია ეს პოემა! უბრალო ჩონჩხიც მისი კომპოზიციისა ნამდვილი გენიის ალის ნაყოფია. ძნელია გამორჩევა, სად თავდება ხალხის გენია და სად იწყება მგოსნის პირადი ნიჭი. მით უკეთესი ორივესათვის: — მგოსანი ხომ მხოლოდ ინდივიდუალი სახეა ერისა! არის, რასაკვირველია, პოემაში ნაკლიც, მაგრამ ეს მხოლოდ დეტალებს შეეხება... ამის გარჩევის ადგილი აქ არ არის... ვიტყოდი მხოლოდ: „სხეული“ — კომპოზიციისა მეტს სიმშვენიერეს მოითხოვს... მოხდა უცნაური რამ: იმ დროს, როცა მგოსანი გასცილდა ხალხის უბრალო თქმულობას და შემოქმედი ენერგიით გარდაქმნა იგი სრულქმნილ მთელად, ფორმის ტეხნიკის მხრით იგი ისევ ხალხური პოეზიის მორჩილად დარჩა. „გველისმჭამელის“ ფაბულა კი ინდივიდუალურს სხეულ-ფორმას ტეხნიკის მხრით (ამ სიტყვის ფართო აზრით) საჭიროებს აუცილებლად*...

მაგრამ ამ მოვლენას მეორე მხარეც აქვს, რომელიც მომხიბლავია უთუოდ. ვაჟა-ფშაველას პოეზია იმ ქალწულის შთაგონებაა, რომელიც ლამლამობით კლდის ნაჟურს უშვერს თავს გვირაბიდან გამოსული... ვაჟას პოეტური სიტყვა სწორედ ეს კლდის ნაჟურია: მჩენი ბუნების, მთის წყარო, შავი ტევრით ამონახეთქი, იგი წყალი არ არის ჩასხმული ძვირფასს ჭურჭელში: მისი ჭურჭელი მისი მკერდი არის უხვი და ქალწული... წყარო იგი ხანდახან ხავსმოკიდებულიცაა; წყალი იგი ხანდახან ირმის ჩლიქით ამღვრეულიცაა, მაგრამ იგი მაინც პირვანდელი ცინცხალობის ხალასი ნაკადულებაა... რომელი რომელ წყალს არჩევს, — მთით მოხეთქილს, თუ ძვირფას ჭურჭელში გადმოსხმულს, — ეს გემოვნების საქმეა... დიდებულმა ლეონარდო და-ვინჩიმ კი წარმოსთქვა: „ვისაც შეუძლია წყაროს დაეწაფოს, იგი არ მოისურვებს სურით დალევას“... და კიდევ ერთი გარემოება: ეს „ხავსმოკიდებული წყარო“, რომელიც ირმის ჩლიქით ხანდახან ამღვრეულია, — ბოლოს და ბოლოს იმ ზღაპრულობასა ჰქმნის, რომელიც მაგარი სურნელებით ესხურება ყოველს სიტყვას, ვაჟას მიერ წარმოთქმულს... მისი კოლორიტი ამ მხრივ

* ამის გარჩევას ცალკე წერილს ვუძღვნი.

სწორედ რაუტენდელაინს სახეს („დიძ. ზარა" ჰაუპტმანისა) ედარება. რაუტენდელაინი ხომ ნახევრად მითიური ქალია და იგი სილეზიის დიალექტით მეტყველებს... ვაჟას ფშაური დიალექტიც ასეთი სურნელოვანი კოლორიტით არის გაჟღენთილი...

სახიხარულოა ფრიად, რომ ქართველმა გენიამ შექმნა ისეთი მსოფლიო ლეგენდა, როგორიც არის „გველის მჭამელი". მისი ფიქრი, კერძოდ ტანჯვაში შობილი, თავისუფლების უნივერსალურ იდეად იქცა. იქ, შორს, ფშავეთის ნისლოვან მთებში, სადაც ქართველთა დევნილ სულს თავი შეუფარებია, სადაც რუსთაველის გენია, ეს მისი ჯადოსანი ენა, დღემდე ნაკვთნაკვთად შენახულა, იქ შვებულა პირველში მოხევე მინდია, გულთმისანი და სულთამხილავი. ტკივა რამე ქართველთა სულს, — იგი მინდიას მიმართავს: მან იცის ჩიტუნების ენაც და ტკივილსაც მიუხვდება, რასაკვირველია. უნდა წამალი მის აშლილს წყლულსა, — აქაც მინდია გამოჩნდება: იგი უვავილთა მეგობარია და უვავილნიც მას მკურნებ წვენს მისცემენ. მსურს მას გაიგოს საიდუმლოება ქვეყნისა, — აქაც მინდიაა საჭირო: იგი თვითონ მესაიდუმლეა ბუნებისა და უოველთვის სცნობს მის საიდუმლოს. განიცდის იგი საცდურსა და საშინელს, — მინდია, მას მოევლინება საჩქაროდ, — იგი ხომ თვითონ სიყვარულის სახიერებაა, — და მსხვერპლად შეეწირება მას: — მინდია ქართველი გენიის სულია ნამდვილი...

ხშულ ბნელეთში იყო სული მისი დატყვევებული... იგი თვით დაკარგულ მელოდიას ჰგავდა, რომელიც ელის გახმაურებას... ვაჟას მუზამ ლამაზი კლდის ქალწულის სახე მიიღო, გამოვიდა ბუნების ძილის ჟამს, კლდის ნაჟურს თავი შეუშურა, ღიმილით უწყო ალერსი გრძნეულ მთვარეს, ერთი კიდეც დამღერა, — და სული მინდიასი, ეს დაკარგული მელოდია, ლანდათ წარმოავლინა... მინდიამ თავი მოიკლა, — მაგრამ სული მისი ზავს მღვიმეშია მხოლოდ მოქცეული... ქალწულიც ლამლამობით უცდის მის გამოსვლას... ვაჟა უმზერს ტყვემქნელ სატრფოს, ტრფიალით ანაკადულებულს ჩანგურს აჟღერებს, ქალწულის ჟღერას ძილისპირს დამღერს — და ბნელეთით დგება სული მინდიასი...

# ვაჟას ენგადი

(ბარათი სამშობლოსადმი)

„გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა"

ვაჟა

ტფილისი, **1908** წელი. ზაფხული. ახლად დაბრუნებული ვიყავ საზღვარგარეთიდან. ერთ სალამოს „ნიშადურის" რედაქციაში შევიარე — ვალერიან გუნიასთან. შემთხვევას ვერ გავუშვებ ისე, რომ ეს დაუვიწყარი მამულიშვილ-მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე — ორიოდე სიტყვით მაინც არ ავსახო. მითქვამს: ილია დიდი მოურავია კარდუსი — ვიტყვი: ვალერიანი დიდი მოურავი იყო ილიასი: „ყმა" — ამ სიტყვის უმაღლნდელი მნიშვნელობით .

ვბაასობდით. რედაქციაში სხვა არავინ იყო. არ გასულა დიდი ხანი, ერთი ჩოხოსანი შემოვიდა. „აა, ვაჟა!" შეეფრქვია ვალერიანი. გამაცნო, ჩემი თავიც გააცნო. ვაჟას სახელი, რასაკვირველია, ხშირად გამეგონა, ხოლო მისი პოეტური ნაქმითგან ორიოდე შაირი თუ მქონდა წაკითხული. ლაჯდა. შემოსვლისთანავე მის ირგვლივ რაღაც უცხოური ატმოსფერო განიფანტა. ჩვენს წინ იჯდა კაცი პირვანდელი: „ურმენში", გერმანული სიტყვით. კაცი, რომელიც ბუნების შუაგულიდან უმზერს გარესკნელს. ვმუსაიფობდით, შევცქეროდით. ვაკვირდებოდი ვაჟას. ვატყობდი, უნდა ყოფილიყო: თვითმყარი, ურყევი, შინაგან ამაყი, შემმართებელი. თანაც — გულახდილი და გულმართალი. მის „ურმენშურ" გამოხედვას ერთი რამ კიდევ უფრო ამძაფრებდა, სახელდობრ: ცალი უპედაზიანებული თვალი. როგორც შემდეგ გავიგე, ციმბირის იარით.

საუბარმა ერთ ხრტილში ფილოსოფიური ხასიათი მიიღო. ალბათ ჩემგან. ვაჟა გამომყვა. გამიკვირდა, რომ გამომყვა. ხოლო ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან ერთ ხვეულში მოსაზრებისა ჰეგელის „ლოგიკა" იმოწმა. კამათს სიცხარე დაეტყო. „წავლაპარაკდით" კიდეც. უეცრად მისგან „ტონაწეული" სიტყვა მომესმა. ყმაწვილობისას ვიყავ უკიდურესად თავნება, ურჩი, თავდაჯერებული, —გარნა არ ვყოფილვარ მოდავე და მით უფრო შემტევი თუ შემმართებელი. გასაგებია, თუ ეს „აწეული" ტონი, რბილად რომ ვთქვათ, მეუცხოვა (შესაძლოა, მეც „ავამაღლე" ტონი და ვერ შევამჩნიე ეს)... ვალერიანისთვის ეთქვა შემდგომ ვაჟას: ბოლოში მომხადე იმ ყმაწვილთან, მგონი ვაწყენინე. ცოტა ნაღვინები

ვიყავით (უნდა ვაღიარო: „წუენას" — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — ჩემში ადგილი არ ჰქონია).

რამდენიმე თვის შემდეგ. ახლოვდებოდა 50 წლისთავი აკაკის ლიტერატურული მოღვაწეობისა. ამოძრავდა მთელი საქართველო, მამულიშვილური გრძნობით აყვანილი. დედაქალაქი ზეიმისთვის ემზადებოდა. მთიდან ჩამოვიდა ვაჟა. ზეიმის მზადებისას ნადიმი გაიმართა, რომელიც ზეიმის პრელუდიად გადაიქცა. გაიმართა მტკვრის ნაპირზე გამართულ რესტორანში, იქ, სადაც ვორონცოვის ძეგლი იდგა... რამდენიმე დღის შემდგომ თვითონ ზეიმი გაიმართა, საოპერო თეატრში. ყველაზე უფრო გულხმიერი მომენტი ზეიმზე იყო ვაჟას მისალმება შაირით აკაკისადმი. აქ უნდა გადავუხვიო: საჭიროა აღვნიშნო ისტორიისათვის ერთი ფაქტი.

ზეიმის წინ აკაკიზე ლექცია უნდა წამეკითხა. მოხდა გაუგონარი ამბავი. გუბერნატორმა არ დამრთო ნება საჯარო ლექცია ქართულ ენაზე წამეკითხა. ეს იმ ენაზე, რომელიც ჟაკ დე მორგანის აზრით, ერთი ოთხ პირველთაგანია ბასკურთან, ეტრუსკულთან და ჰეტითურთან ერთად! იმ ენაზე, რომელზეც ერთ ქართველს მეათე საუკუნეში, ულრმესად ჩახედულს სიტყვის ლოგოსურ ქვედენაში, უთქვამს: „რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს" (ვამბობ: „ერთ ქართველს", ვინაიდან, პავლე ინგოროყვას შესანიშნავი ქმნილების შემდეგ „გიორგი მერჩულე", იოანე-ზოსიმე საბაწმინდელ-სინელი, დღემდე ავტორად მიჩნეული საგალობელისა „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ", საიდანაც ამოღებულია ზემოთმოყვანილი თქმა, ამიერიდან გადამწყვეტად უნდა ჩაითვალოს. ავტორი საგალობლისა კი, სამწუხაროდ, უსახელოდ დარჩენილა. ოო, რომ ვიცოდეთ მისი სახელი, მარტოდმარტო სახელიც — რაოდენ გავმდიდრდებოდით! ჰოი, საიდუმლოებავ „სახელისა!").

გამიტაცა გადახვევამ. ჰო და, არ დამრთო ნება გუბერნატორმა საჯარო ლექცია აკაკიზე ქართულ ენაზე წამეკითხა. ეს იყო უმძაფრესი შელანძღვა, შეურაცხება ქართველი ერისა, და დავუმატებ: უმაგალითო სიბეცე ცარისტული პოლიტიკისა (კიდეც იმიტომ მიინგრა ცარების იმპერია!). გავხელდი, მაგრამ რას ვიქმდი! აღელდნენ სხვებიც, მაგრამ რას იზამდნენ! გაიგო ეს ამბავი გენერალმა გიორგი ყაზბეგმა. იყო იგი ახოვანი, კლდეკაცი, მზემოსილი, გონიერი, ნელი, დინჯი, მძლავრი და თავიდათავი: „არისტოს", ბერძნული ცნებით. გაიგო ეს ამბავი და მყისვე გაეშურა მეფისნაცვლის სასახლისკენ. ინახულა. მოელაპარაკა. მიიღო საჭირო ნებართვა. ლექცია გაიმართა რუსთაველის თეატრის, მაშინ „არტისტული საზოგადოების" საკონცერტო დარბაზში. ლექციას დიდი გამარჯვება ერგუნა... ლექცია გავიმეორე ქუთაისში, იქაც ზეიმის წინ, იქაც არა ნაკლები გამარჯვებით.

ვუბრუნდები ვაჟას. ვთქვი: მისი მისალმება აკაკისადმი ყველაზე უფრო გულხმიერი მომენტი იყო-მეთქი ზეიმზე. როგორ გამოვთქვა ეს მომენტი? წარმოვისახოთ ვინმე ქართველი, ანაზდეულად, რაღაც სასწაულებრივ მოგვევლინა გარდასული საუკუნეებიდან. აი, თუგინდ ის უსახელო ქართველი, რომელსაც ეგზომ ღრმა სიტყვა უთქვამს ქართული ენის რჩეულობაზე. იგი ჩვენთვის, ქართველთათვის, ყველაზე უფრო შორი იქნებოდა, ვიდრე რომელიმე ჩვენთაგანი: შორი, ვინაიდან — ჩვენგან საუკუნეებით დაცილებული. მაგრამ ეს — ზედაპირზე ჩვენი ცნობიერებისა. ხოლო ქვეფენებში უკანასკნელისა? იგი ჩვენთვის ყველაზე უფრო ახლო იქნებოდა, ვიდრე რომელიმე ჩვენთაგანი: ახლო, როგორც ჩვენს ფესვებამდე საუკუნეებიდან მოახლოვებული და ამ გზით ჩვენი თაობის საუკუნეებში გარდასულ თაობებთან ზიარმქნელი. მოვკვეთოთ ერთი სიტყვით: იქნებოდა ცხოველყოფილი სახე ქართველობისა. როგორც ასეთი, — შორეული და ახლომყოფი, — იგი ჩვენ, ვითარცა ქართველთ, ერთიმეორესთან კიდევ უფრო დაგვაახლოვებდა.

ასეთ წარმოსახულ ქართველს ჰგავდა ვაჟა, სცენაზე გამოსული (რაც აქ ნათლად მოვკვეთე უკანგახედვით — მაშინ ეს ბუნდოვნად ვიგრძენი მხოლოდ). დარბაზი გაინაბა ერთნაირად, როცა მან დაიწყო შაირით მისალმება აკაკისადმი. უეცრად გაისმა: „ილიაც მესაუბრება, უნდა დავუგდო მას ყური". მთელი ტანი დარბაზისა ატორტმანდა. მეტის თქმა აქ საჭირო აღარაა.

ზეიმის წინა დღეებში ერთი მცირერიცხოვანი ჯგუფი რუსთაველის გამზირზე მივდიოდით. მე კიტა აბაშიძეს ვესაუბრებოდი... კიტამ მაუწყა: ვაჟას ერთი შესანიშნავი, მეტად საცნაური პოემა აქვსო: „გველისმჭამელი".

ეს სიტყვა იმპულსად ჩამეწვეთა. ვიშოვე მისი წიგნი. წავიკითხე „გველისმჭამელი". დავინახე შიგ გაყვანილი ერთი უნივერსალური იდეა (არა ის, რასაც დღეს მასში ხედავენ). აღვფრთოვანდი. მომხიბლეს შაირებმა პირველქმნილი სიხალასით. განსაკუთრებით აღიბეჭდა ჩემში „დაუსრულებელი კვნესა", შესავალი და ბოლოში „კვნესა" კი არა, არამედ მოლანდება მითიური ქალისა, შაირის შუაგულში თითქო უკავშიროდ შე-ტანილი. ორი შედევრი ვაჟასი — „ფშაველი ჯარისკაცის წერილი" და „დიდი თამარი" — არც ერთი არ იყო მაშინ წარმოშობილი.

1909 წლის დამდეგს ლექცია ვაჟაზე უკვე მზად მქონდა. გაიმართა იგი ქართულ თეატრში, რომელიც აგებული იყო სათავადაზნაურო ქარვასლის შუაგულში (შემდეგ ეს თეატრი დაიწვა). თეატრში ტევა არ იყო. ლექცია

ავაგე უმთავრესად „გველის მჭამელის“ გარჩევაზე. რასაკვირველია ვაჟას ლირიკასაც შევეხე — გამოწვევრებით იმ შაირისა მითიურ ქალზე, რომელიც ასე იწყება: „როცა კი შემობინდდება, კისკისი ისმის ალისა, ამ მომხიბლავის, ცბიერის ტურფა, თმახშირი ქალისა“.

(რამდენჯერ წარმომითქვამს ეს შაირი შემდეგ, ხალისით, სცენიდან თუ მეგობართა წრეში! საკვირველია მეტად, რომ ამ შაირისათვის, რომლით ნამდვილი მითიური არე იფინება, მისი წარმოშობის დღიდან, რამდენადაც ვიცი, არავის მიუქცევია ყურადღება. მხოლოდ გერონტი ქიქოძემ, აწ განსვენებულმა, აღნიშნა იგი: მთლიანად შაირი და არა ის მნიშვნელოვანი ნაკვეთი, და ესეც გაკვრით... მე მესმის „ფშაველი ჭარისკაცის წერილის“ არხსენება იქ, საქართველოში. ამ შაირს რომ შეეხო, ლაშარს გვერდს ვერ აუვლი, ხოლო ვერ შეეხები ლაშარს, თუ არ გრწამს უზენაესი. ეს გასაგებია. მიკვირს მხოლოდ, რომ იმ გასაოცარ ლირიულ ნაკვეთს „ვაჟას დღეებშიც“ ვერ მიაგნეს).

ჩანართი გამიგრძელდა. ლექციაში გადმოვშალე დედაგული ვაჟას შემოქმედებისა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ გადმოშლამ. ვაჟას კულტი, უნდა ითქვას, ჩემი ლექციის დღიდან იწყება. ლექცია გავიმეორე ქუთაისში. იქაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. წლების შემდეგ დიდი ნაწილი ამ ლექციისა ერთერთ გაზეთში დაიბეჭდა. რუსეთსაც მე გავაცანი პირველად ვაჟა. ჩემი წერილი მასზე გამოქვეყნდა 1911 წელს, აგვისტოს ნუმერში განთქმული ჟურნალისა „Русская мысль“.

ვიმეორებ: ვაჟას კულტი იმ ჩემი ლექციიდან იწყება... სერგო კლდიაშვილი იგონებს („ლიტ. გაზ.“, 27. 7. 61), თუ რა დიდი აღფრთოვანებით შეეგება ვაჟას 1911 წელს ქუთაისი დავით კლდიაშვილის მეთაურობით ილიას ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ ლიტერატურულ საღამოზე, რომლის მონაწილედ ვაჟა-ფშაველა იყო მოწვეული. ქუთაისი ვერ შეხვდებოდა ვაჟას ასეთი დიდი შეფრქვევით, თუგინდ კლდიაშვილის მეთაურობითაც, რომ იგი ორი წლის წინ ჩემს მიერ არ ყოფილიყო მომზადებული...

დაკავშირებით ვაჟას იმ ლირიულ ნაკვეთთან, რომელიც მითიურ ატმოსფეროს გვფენს. გვაქვს თუ არა მსგავსი რამ „ბარის“ ლიტერატურაში? გვაქვს. ისეთები მაინც, რომლებიც თუ მითიურ ატმოსფეროს ვერ გვფენენ პირდაპირ, მისი მოქროლვით სუნთქავენ. ესენი არიან: „ალმასგირ კიბულან“, მოთხრობა ლეო ქიაჩელისა, „სანავარდო“, რომანი დემნა შენგელაიასი, „ტაბუ“, მოთხრობა კონსტანტინე გამსახურდიასი, „გაბზარული გული“, რომანი შიო არაგვისპირელისა. განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიო არისტო ჭუმბაძის ერთ ვრცელი მოთხრობის შესავალი (იბეჭდებოდა ქუთაისის გაზეთში „კოლხიდა“). მოთხრობა პირწავარდნილი მიბაძვა იყო კნუტ ჰამსუნისა, მაგრამ შესავალი მისი ისეთი რამ იყო, რაიც ჰამსუნს არც კი მოლანდებია. ვიგონებ იმ შესავალს უკანგახედვით და ვფიქრობ: პროზაში იგი თითქმის გაეტოლება იმას, რაც ვაჟამ მოგვცა იმ ლირიულ ნაკვეთში...

ზემოთ ვახსენე ხუთი ავტორის ხუთი ნაწარმოები, სადაც მობერილია მოქროლვა მითიურისა. ამ ხუთ ავტორთაგან სამი სამეგრელოდანაა: კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია. ეტყობა, კოლხეთის მითიური მარაგი ჯერ კიდევ არ მილეულა. ამას მოწმობს ერთი ფაქტიც, მეტად საინტერესო. 100 წლისთავზე ვაჟას დაბადებისა უთვალავი წერილი გამოუქვეყნებიათ. ყველა წავიკითხე. და მერმე? ვაჟას, მითიური რეალობის პოეტს, ყველაზე უფრო სწორედ ესენი მიახლოვებიან: ჯერ იგივე კ. გამსახურდია, შემდეგ აკაკი გაწერელია, სიმონ ჩიქოვანი, ვიქტორ გაბესკირია და ვინმე ალიო ადამია (უკანასკნელი პოეტური გზნებით).

1. გამსახურდია: „ტკბილხმოვანი ორფეოსი“, „მნათობი“, № 7, 1961. მტკიცება: ვაჟას სათავე — „მითოლოგია“. ვიცი, რისი თქმა უნდა ავტორს. გაუგებრობის ასაცილებლად მის თქმას დაზუსტება ესაჭიროება. ყმაწვილობისას სანდრო შანშიაშვილი „მითოლოგიას“ აშარებდა და მართლაც, მაგრამ ნაქმი მისი გამოდიოდა „მითოლოგიური“ და არა „მითიური“,

2. გაწერელია: „ქართული პოეზიის დიდება“, „მნათობი“, № 7, 1961. ფორმულა: „ვაჟა-ფშაველა — შემოქმედი, რომლის მხატვრულმა ნიჭმა მსოფლიო პოეზია გაამდიდრა ქართული მითოსის სიღრმეებიდან მომდინარე ხილვებით“. ფორმულა ნამდვილია. ხოლო წერილში „ქართული მითოსის ხილვები“ არ არიან „გამოშიგნულნი“.

3. ჩიქოვანი (ხანშიშესული, ანდრე ჟიდს დამსგავსებია. სურათი გრ. აბაშიძესთან ერთად გადაღებული): „ვაჟა-ფშაველას პოემები“, „ლიტ. გაზ.“ 28. 7. 1961. სწორად მიდგომია საგანს ავტორი. განსაკუთრებით კარგადაა გადმოშლილი შუაგული პოემისა „ბახტრიონი“. ძალიან კარგად დაუჭერია მისი მითიური ძარღვი და მართებულად ასკვნის: ლუხუმი ვაჟამ. „ხალხურ მითიურ სახედ აქცია“-ო.

4. გაბესკირია: „ვაჟა-ფშაველას მხატვრული სახეები“. წავიკითხე მხოლოდ მეორე ნახევარი წერილისა („ლიტ. გაზ.“ 7. 4. 1961). ავტორი ცდილობს ახსნას უცნაურობა ვაჟას პოეტური სახეებისა. ცდა მარჯვედაა გაყვანილი.

5. ადამია: შაირი „სიზმარი“, „მნათობი“, № 7, 1961. ეს შაირი ისეთია, რომ ვაჟასაც აუჩუყებდა გულს...

აქვე უნდა ვახსენო გაბედული და თანვე მეტად გულხმიერი წერილი ლავროსი კალანდაძისა — „პირიმზე“, „ლიტ. გაზ.“, 7. 4. 1961... ვერ დავტოვებ უხსენებლად გულიდან ამომხდარ შაირს ირაკლი აბაშიძისა „ხმა ჯვარის მონასტერში“ (მნათობი , № 6. 1961)...

მითოსს გენიალური განმარტება მისცა სალუსტიმ, რომაელმა ავტორმა (86-34), თქვა რა ატისის მითებზე: „ეს არასოდეს ყოფილა, ოლონდ ყოველთვის არის“. იგულისხმება: არ ყოფილა — ისტორიულად, არის — ზეისტორიულად. სალუსტის ფორმულას ანაირებით ეხმიანება ქართული ზღაპრის დასაწყისი: „იყო და არა იყო რა“ (თუ როგორ — ამას აქ არ შევეხები).

მითოსის კონკრეტული წარმოდგენისათვის მე ყოველთვის ვიგონებ ხოლმე გოეთეს სწავლას „ურფენომენზე“ (თაურმოვლენაზე), რომელიც დასავლეთის კულტურაში უგენიალესი ცნაურობაა გონისა („გონი“; Geist, Esprit, Дух). ორიოდე სიტყვით, თუ რა არის იგი. მცენარე ცხადდება დანამდვილებით თავისი განვითარების რომელიმე ხრტილში: ან მორჩობისას, ან აღმოცენებისას, ან ყლორტობისას თუ ფოთლობისას, ასე ვთქვათ, „წილობით“ და არა „მთლიანად“. გოეთე მცენარეს ორმაგი ჭვრეტით იკვლევს: წინისკე — მორჩიდან ყლორტამდე თუ ფოთლამდე, და უკანისკე — ყლორტიდან და ფოთლიდან მორჩამდე. ამჩნევს: ამ განვითარების ხაზზე მცენარის ყოველი ნაწილაკისაგან შეიძლება წარმოიშვას მთელი მცენარე. აკვირდება ამ მოვლენას. თუ ეს ასეა, მაშასადამე, მთლიანად მცენარე მისი განვითარების ყოველ ხრტილში ვირტუალურად უნდა იმყოფებოდეს, — ჰგონებს ასე. და აი, 1776 წელს, სიცილიაში, ვაიმარელი მესაიდუმლე წარმოსახვით ხედავს მცენარეში „თაურმცენარეს“, ესე იგი: უხილავად მყოფ მცენარეს, ანუ შინა-სახეს მცენარისა. „თაურმცენარე“ იღებს სახელს: „ურფენომენ“. „შინა-სახე“ არსებითად იგივე „იდეაა“ პლატონისა. სხვაობა ნაირული: პლატონის „სახე“ თესლივით უძრობს „მარადში“, გოეთეს „სახე“ ვლინდება „მოვლენაში“ როგორც აღმოცენება თესლისა. დასკვნა: „თაურმცენარე“ მითოსია მცენარისათვის, როგორც ყოველთვის გულვებული, მაგრამ არასოდეს ხილული მყოფადი. ხედავთ, როგორ ესიტყვება ესე — ფორმულას: „არასოდეს ყოფილა, ოლონდ ყოველთვის არის!“

ამდენი მიხვევ-მოხვევის შემდეგ, როგორც იქნა, მივადექით ვაჟას ენგადს. „შინა-სახე“. სხვა ხალხებს ამ ცნების გამოსათქმელად ორი სიტყვა ჰირდება. ქართველები კი ერთი სიტყვით გამოვთქვამთ: „ხატი“. ბარში „ხატი“ ნიშნავს რომელიმე წმინდანის სა[illegible]რათს. მაგრამ მთაში ჯერაც არ დაუკარგავს პირვანდელი მნიშვნელობა: მითიური. იქ „ხატი“ სახელია სალოცავის. ხშირად მის მაგიერ „ჯვარიც“ იხმარება. „სკამს იჯდა ბაბურაული გუდანს გუდანის ჯვარშია“, — ნათქვამია ვაჟას ერთ შაირში. „წილის მყრელები შევარდნენ ბაბურაულთან ხატშია“, — ნათქვამია იმავე შაირში. ხოლო საკვირველი: მთიელთა „ხატში“ — სალოცავში არავითარი „ხატი“ მოიპოვება, „ბარის“ გაგებით ამ სიტყვისა. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ „ხატი“ შენობაა, სადაც ლოცულობენ. შეცდომა იქნება. დავუგდოთ ყური, რას ამბობს ფშაველი მეომარი ვაჟას უშესანიშნავეს შაირში „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“. იგი სწერს დედას:

ერთი რამ უნდა გაუწყო,
გაკვირვებულ ვართ ამითა:
როცა ომი გვაქვს ქართვლის ჯარს,
ნათელი გვიძლვის ღამითა,
კაცი რამ ლურჯცხენიანი,
ამოღებული ხმალითა
მაღლიდან თავზე დაგვბრუნავს
ტურფა იერით, ტანითა.
სახე აქვს შავად მოცული
მას დიდის კაეშანითა.
ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვსცანითა.

„ჯვარი“ ან „ხატი“ შენობა რომ იყოს, რარიგ მოევლინებოდა იგი მეომართ როგორც „კაცი რამ ლურჯცხენიანი!“ არა — „ჯვარი“ თუ „ხატი“ რქმევაა შინა-სახის. ვისი სახის? ტომის, თემის, ვითარცა არსისა, — „მთელის“. დააკვირდით, რიტუალური ლუდის გამოსახდელად წყალი „მთელმა“ სოფელმა „ერთად“ უნდა მიიტანოს სალოცავში. ერთი დეტალი კიდევ: შესაწირავი მიაქვს სალოცავში ყოველ კომლს თანაბრად, მიუხედავად მეკომურთა რიცხვისა. ვხედავთ ნათლივ, რომ აქ თავი და თავი „მთელია“ — ტომი, თემი, და არა „ცალკეულნი“. „ჯვარი“ თუ „ხატი“ ღვთიური შუაგულია ტომის, თემის. ლაშარი? მითიური განპიროვნება ამ შუაგულისა ცალკეულთა მისტიურ ხილვაში. არიან სხვა სახიერებანიც აღნიშნულისა: თამარ-მეფე, კოპალა, კარატე, არხოტი, ხახმატი, უკვე ნახსენები გუდანი და სხვა, — ოლონდ ლაშარი მთავარია. ლაშარი: ბრწყინვალე, სხივოსანი. ტომის თუ თემის ღვთიური შუაგული მითიურ ლაშარში განპიროვნებული, — აი საიდან გამოდის ვაჟა. აქ არის წყაროსთვალი — ენგადი — მისი პოეზიისა.

ფშავხევსურული ფშანი ქართულისა... **1917** წელს, პავლე ინგოროყვამ თქვა ერთხელ ჩემთან საუბარში: ფშავხევსურული არქაული ქართულია და არა პროვინციალიზმით. მე დავაზუსტებდი: ერთი ძველთაძველი ფენი ქართულისა, მთაში შერჩენილი და დღემდე ცოცხალი... გაუგებრობას ამ საკითხში აკაკიც წამოეგო, „ენას გიწუნებ, ფშაველო", — ასე მიმართავს იგი ვაჟას ერთ შაირში. თანვე უმატებს კი: „თუმც კი გვითესავ მარგალიტს". ვაჟა პასუხს აძლევს მორიდებით, შაირითვე:

> და ენა წითისა სიმტკიცით
> მსგავსია კლდისა სალისა.

ფშავხევსურული მართლაც სალი კლდის ნაკვეთია ყოველ თქმაში. კვეცილი ფორმა ამ ფშანისა მკვეთრია ძალზე და დავუმატებდი: ვაჟურ-მკვრივი. სწორუპოვარი ელიასი ქართულისა — ართქმული, გარნა ნაგულისხმევი — ფშავხევსურულში მოშვილდულია პირდაპირ.

სერგო კლდიაშვილი ამბობს („კომუნისტი", 28. 7, 61): „ეს კილო (ე. ი. ფშავხევსურული) მან მართლაც დიდებულად მოიმარჯვა და დღეს ჩვენ შეიძლება ეჭვიც დაგვებადოს: იქნებოდა თუ არა ვაჟას პოეზია იმგვარადვე ძლიერი და შთამბეჭდავი, რომ თავის ამ სტიქიაში არ დარჩენილიყო პოეტი?" არ იქნებოდა — ვამბობ ამას გადაჭრით...

ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი: უმაგალითო შემთხვევა მსოფლიო ლიტერატურაში. შაირის თხზვისას ვაჟა ფშავხევსურულს მიმართავს, — ვგულისხმობ უფრო ტონალობას, ვიდრე სიტყვარს, — პოეზიის ფუძისას კი ზოგად-ლიტერატურულ ქართულს, — ვხედავთ ნათლივ: პოეტი ისე ღრმად არის გადახრტილებული ტომის თუ თემის შაირულ დენაში, რომ იქიდან გამოხრტილება უაღრესად უძნელდება. გამონაკლისი აქ ორიოდე შემთხვევა თუა. და დახე: გამონაკლისებში ვაჟა აღარ არის ვაჟა... არა! თავის სტიქიაში რომ არ დარჩენილიყო ვაჟა, ვუბრუნდები სერგო კლდიაშვილის გამოთქმას, მისი პოეზია არ იქნებოდა ასე ძლიერი, ასე შთამბეჭდავი.

ვიგონებ ვაჟას და მაგონდება ნიკო ფიროსმანი. რა კარგი მომხდარა, რომ პოეტი და ფერმწერი შეხვედრიან ერთხელ ერთიმეორეს, გაზაფხულზე, **1914** წელს. ამაზე მოგვითხრობს ვრცლად ვინმე ვასილ ჩაჩანიძე („ლიტ. გაზ." **22. 9. 61**). ამაღელვებელია, დიაღ, შემრხეველი მათი გაბაასება. რომ ცოდნოდა ვაჟას, რომ იგი პოეზიაში ასე ახლოს იყო მასთან, რასაც ნიკო ხატავდა! რომ ცოდნოდა ნიკოსაც, რომ იგი ფერწერაში ასე ახლოს იყო მასთან, რასაც ვაჟა შაირებით ქმნიდა! საქართველოს სამარადისოში ვაჟას გვერდით ნიკო ფიროსმანი მეგულება, „საწყალი ნიკალა", რომელსაც შეეძლო ეთქვა ვაჟასავით, მხოლოდ მას:

> გულზე მესვენა მზე-მთვარე,
> ვლაპარაკობდი ღმერთთანა.

(მწიგობრისთვე, 1961, ქენევა)

მინაწერი:

ვაჟას შემოქმედებით იმთავითვე დაინტერესდა საზღვარგარეთიდან ახლად ჩამოსული გრ. რობაქიძე და ეს ინტერესი სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია, რასაც ცხადყოფს **1916** წ. გაზ. „საქართველოსა" და **1961** წ. პარიზულ ჟურნალში („ბედი ქართლისა", **№ 38**) გამოქვეყნებული მისი ესეები.

ვაჟას შემოქმედების პირველმკვლევარი გრ. რობაქიძეა, და როგორც თვითონ აღნიშნავს, „ვაჟას კულტი" **1909** წ. მის მიერ წაკითხული ლექციით იწყება (ლექციები წაიკითხა თბილისსა და ქუთაისში). ამ ლექციის ერთი ვარიანტი მან რუსულად გამოაქვეყნა **1911** წ. ჟურნალში „Русская мысль" აქ გრ. რობაქიძე წერდა, რომ ვაჟა-ფშაველას „შემოქმედებითი ცნობიერება შეიძლება განისაზღვროს როგორც მითოლოგიური". ამ თვალსაზრისს იზიარებდნენ ვახტანგ კოტეტიშვილი და ტიციან ტაბიძე.

გრ. რობაქიძის ზოგიერთ დებულებაში, შესაძლოა, ამა თუ იმ მკვლევარმა კორექტივიც შეიტანოს, მაგრამ ურყევია მისი ფუნდამენტური თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, ვაჟას პოეზიის წყაროსთვალი ქართული მითოსია.

„ვაჟას ენგადი" შემოკლებით იბეჭდება.

თამაზ ჩხენკელი
როსტომ ჩხეიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, **№ 12**.

ტელეფონები: რედაქტორის — **93-55-11**, მთ. პ/მგ მდივნის — **93-55-13**, და განყოფილებების — **93-55-15; 93-55-17. 93-55-20.**

გადაეცა ასაწყობად 24. 08. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6. 10. 87 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 10338. ტირაჟი 32.000. შეკვ. 2014. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

683/192

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ